


გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№11

2017

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2016 წლის 22 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებს.

2016 წლის 22 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“

თავმჯდომარე: პროფ. პ. ქურდაძე

წევრები: პროფ. ნ. მირაზანაშვილი, ასოც. პროფ. ც. ბაქრაძე

სექცია: „კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა“

თავმჯდომარის მ/შ: პროფ. ს. ცოტნიაშვილი

წევრი: მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი გ. საათაშვილი

სექცია: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)“

თავმჯდომარე: პროფ. ნ. გოგინაშვილი

წევრი: მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი მ. უბირია

სექცია: „ბიზნესი და მართვა“

თავმჯდომარე: პროფ. ნ. ლიპარტელიანი

წევრები: პროფ. ნ. ახალაია, პროფ. ლ. მამულაშვილი

სექცია: „ტურიზმი“

თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მ. აზმაიფარაშვილი

წევრები: ასოც. პროფ. გ. ედიშერაშვილი, ასოც. პროფ. გ. შაქარაშვილი

სექცია: „სოციალური მეცნიერებანი“

თავმჯდომარე: პროფ. ნ. აბრამიშვილი

წევრები: ასოც. პროფ. ი. ჭუმბურიძე, ასოც. პროფ. ქ. ლომსაძე

სექცია: „სამართალი“

თავმჯდომარე: ასოც. პროფ. გ. გიორგაძე

წევრი: მოწვეული სპეციალისტი დ. კვერნაძე

სექცია: „ქართული ენა“

თავმჯდომარე: პროფ. ვ. ახალაია

წევრები: პროფ. გ. გოგოლაშვილი, პროფ. ე. ხოჯევანიშვილი, პროფ. მ. კობერიძე

სექცია: „ქართული ლიტერატურა“

თავმჯდომარე: პროფ. მ. ცერცვაძე

წევრები: პროფ. თ. გოგოლაძე, ასოც. პროფ. გ. ხორბალაძე, უფ. მასწ. ზ. ოქროპირიძე

სექცია: „უცხო ენა და ლიტერატურა“

თავმჯდომარე: პროფ. ზ. ჩხიკვაძე

წევრები: პროფ. ა. მესხი, პროფ. ლ. მახვილაძე, ასოც. პროფ. ნ. ბაქრაძე, ასოც. პროფ. ნ. დავითიშვილი

სექცია: „ისტორია“

თავმჯდომარე: პროფ. ე. მამისთვალიშვილი

წევრები: პროფ. ო. ჯანელიძე, პროფ. მ. ჯოღბორდი, პროფ. ვ. ჩოჩია, ასოც. პროფ. ი. ალიმზარაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

- აზალაძე თინათინ – ენის ინტელექტუალიზაცია და ზოგი მეთოდოლოგიური საკითხი – 6
- ამირხანოვი თამარ, გიორგაძე ციცილო – კითხვის სწავლებაზე მუშაობა დაწყებით კლასებში – 8
- ბალიაშვილი დიანა, გერმანიშვილი ლია – გარემოებისა და უბრალო დამატების გამიჯვნის მეთოდები – 12
- მარნაძე ნინო – თვითშეფასება და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში (დაწყებით კლასში) – 14
- მარქაროვი ნინო – *Обучение лексики на начальном этапе изучения русского языка как иностранного* – 17
- მიდელაშვილი ლუიზა, გოგიაშვილი მეგი – ბავშვთა მიმართ ძალადობა – 19
- ცერაძე ლიკა – გაკვეთილის გეგმის შედგენის სტრატეგიები – 22

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

- ბალიაშვილი ნინო – მობილური სატელეფონო სისტემების განვითარების ტენდენციები – 25
- რაზმაძე რუსუდან – ძალდებული შეფასებები და მისი პრაქტიკული ინტერპრეტირება – 29
- რაზმაძე რუსუდან – გრაფები და მათი გამოყენება – 31
- საათაშვილი ქეთი – RSA ალგორითმი – 34

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

- ელიაშვილი ელენე, სარქისიანი მარიამ – საქართველოს ამფიბიები – 36
- მახოხაშვილი ნინო, ქიტაიშვილი რომან – ტოპიარი-მწვანე კულტურა – 39
- საპანაძე ბექა, სალია ვლადიმერ – ილეთების სწავლებისა და სრულყოფის სპეციფიკა თავისუფალ ჭიდაობაში – 43
- სარქისიანი ნინო, კაკაშვილი ანი – აზოტოვანი ნაერთები სასურსათო მცენარეებში – 44
- ურჯულელაშვილი თინათინ – ვიტამინების ზოგიერთი თავისებურება – 47
- ქვრივიშვილი ალექო, ღონღაძე ლაშა – ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ისტორია – 50

ბიზნესი და მართვა

- ბიბილაშვილი ნონა – უმუშევრობა და მისი უარყოფითი შედეგები – 52
- ელიაშვილი ნინო, გიგაური სოფიკო – სამომხმარებლო ფასების ინდექსი და სამომხმარებლო კალათა – 56
- რაზმაძე მარიამ – ბიზნესის გარემო და უცხოური ინვესტიციები საქართველოში – 59
- საბაშვილი თეიმურაზ, იასაშვილი თამარ – აგრო დაზღვევა და სადაზღვევო კომპანიები საქართველოში – 62
- ჯავახიშვილი ნინო, ყუმბულაშვილი თეონა – ინფლაციური პროცესები საქართველოში და მისი კავშირი სავალუტო კურსთან – 64
- ჯღირაძე სოფიო – საბანკო კონკურენციის რეგულირების ეროვნული გამოცდილება – 68

ტურიზმი

- გელაშვილი მარიამ, რატიანი რუსუდან – ტაო-კლარჯეთი - რელიგიური, ნოსტალგიური და მომლოცველობითი ტურიზმისათვის – 72
- ილარიშვილი თეონა – ოჯახური მარნები და ღვინის ტურიზმი შიდა ქართლში – 76
- ქოქოშვილი თამარ – ტურიზმის ინდუსტრია, როგორც ქვეყნის განვითარების ხელშეწყობი ფაქტორი – 79

სოციალური მეცნიერებანი

- ლაშხი ანი, მელაძე მზია – საქართველო XXI საუკუნის გლობალურ სივრცეში – 83
- მუმლაძე ხატია – სურსათის უვნებლობა და ჟურნალისტიკის როლი მოსახლეობის ინფორმირებაში – 86
- ჯილავედარი სოფიო, ვატიტაძე გიორგი – ტერმინ „კულტურის“ ეტიმოლოგიური განსაზღვრის საკითხისათვის – 88

სამართალი

- გოგაძე უტა – იურიდიული პირის შედარებითი ანალიზი ქართულ და გერმანულ სამართალს შორის – 91
- ქერდიყოშვილი თამარ – ტერმინი „მხარდაჭერის მიმღები“ და მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება – 94
- ღვინიაშვილი გულნაზი – გარიგებები გერმანულსა და ქართულ სამოქალაქო სამართალში – 100
- ხაბელაშვილი გვანცა – საქართველოს ტერიტორიული მოწყობა – 103

ქართული ენა

- ბუჭუხიშვილი ნინო – ნიკო ლორთქიფანიძის ენის კოლორიტი – 107
- დოლიაშვილი ლამარა – გიორგი წერეთლის ენის პალიტრა – 110
- ოქროპირიძე მარიამ – სოფელ ქორდის ტოპონიმია – 112
- ოქროშიაშვილი სოფიკო – მეტსახელები სოფელ სკრაში – 116
- ოქრუაშვილი ნათია – ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულურში – 119
- ტვინიკაძე მანანა – სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევები ტელევიზიის ენაში – 121
- ცერაძე ლიკა – მიცემითი ბრუნვა ქართულ დიალექტში – 129
- ჩხიკვაძე თინათინ – სოფელ საციხურის ონომასტიკა – 132
- ყუმბულაშვილი თეონა – ნასესხობა და ინგლისური ენიდან ქართულ ენაში ნასესხები ლექსიკური ერთეულების მოკლე მიმოხილვა – 134

ქართული ლიტერატურა

- გერმანიშვილი ლია, მელანაშვილი მადონა – საბავშვო ლიტერატურის ძირითადი წყაროები – 137
- ეცადაშვილი ნანული – ზეცის ბინადარი – 140

კობალაძე ქეთევან, მასურაშვილი ნაირა – დემოკრატიული ღირებულებები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში – 142

ნადირაძე სალომე – ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია (მისი ზოგიერთი პუბლიცისტური წერილის საფუძველზე) – 144

უცხო ენა და ლიტერატურა

აზალაძე თინათინ – Entropy - ტერმინი-სათაური, როგორც ენის ინტელექტუალიზაციის თვისებრივად ახალი ეტაპი – 148

თინიკაშვილი ანა – Тема одиночества в творчестве М. Ю. Лермонтова – 151

კასრაძე ლიკა – კარნავალი გერმანულენოვან ქვეყნებში და მასთან დაკავშირებული სიტყვების თემატური ჯგუფი – 153

კუმლაძე თამარ, ბალიაშვილი ლიკა – უოლტ უიტმენის ქართული თარგმანები – 155

ხადური მარიამ, ვარძელაშვილი ნინო – ჯეკ ლონდონის რომანის „მარტინ იდენის“ იდეურ-მხატვრული ასპექტები – 160

ხანიშვილი თამარ – თინეიჯერების ზოგადსაკაცობრიო პრობლემა (ჯ.დ. სელინჯერის რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ მიხედვით) – 163

ისტორია

არხოშაშვილი მარიამ, გოგოლაური თამარი – საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან (ძმები კერესელიძეები და დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია) – 167

გიგუაშვილი მერი, მერებაშვილი მარი – საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი) – 173

დოლიაშვილი სოფიკო – შიდა ქართლის სიძველეების ისტორიიდან (სოფელი სამწევრისი) – 177

კასრაძე ნანა, პავლიაშვილი ეთერ – ერთი ეპიზოდი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან – 180

ქოქაშვილი თამარ – გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა – 184

განათლება

ენის ინტელექტუალიზაცია და ზოგი მეთოდოლოგიური საკითხი

თინათინ აზალაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ანა მესხი, პროფესორი

ტ. პინჩონი მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსად უკვე აღიარებულია. იგი სხვა მწერლებისგან, განსაკუთრებით კი მოდერნისტ და პოსტ-მოდერნისტ ავტორებისგან, იმით განსხვავდება, რომ თავის ნაშრომებში დიდი რაოდენობით იყენებს სხვადასხვა მეცნიერული სფეროს ტერმინოლოგიურ ერთეულებს. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინოლოგიის გამოყენება ტ. პინჩონის ცალკეულ ნაწარმოებებს კი არ ახასიათებს, არამედ მთელ მის შემოქმედებას, რაც მისი ნაწარმოებების განხილვას ჩვენთვის საინტერესო რაკურსით განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. გვეძლევა შესაძლებლობა, აღვწეროთ და წარმოვადგინოთ ენის ინტელექტუალიზაციის კონკრეტული სურათი გარკვეული პერიოდის მანძილზე, რაც ჩვენი სადიპლომო ნამუშევრის ძირითადი მიზანია. კვლევის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სირთულე მხატვრულ ტექსტში ტერმინოლოგიური ერთეულების, განსაკუთრებით, საზოგადო სიტყვებიდან სემანტიკის დავიწროების გზით შექმნილი ტერმინების იდენტიფიკაცია იყო. ვინაიდან თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ტ. პინჩონის ნაწარმოებების წაკითხვა შეუძლებელია ტერმინოლოგიური ერთეულების მიერ ტექსტში შემოტანილი სემანტიკის გაცნობიერების გარეშე, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ მიერ შემჩნეული სირთულეები სტატის სახით კონფერენციაზე გამოგვეტანა. ამით გავზაზავთ იმ მეთოდოლოგიური ცვლილებების აუცილებლობას, რომლებიც სკოლაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის სწავლებასთან არის დაკავშირებული.

ენის ინტელექტუალიზაციის ძირითადი დამახასიათებელი თვისება, მისი ზეპირი თუ წერიტი ვარიანტების სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინებით გამდიდრებაში მდგომარეობს. ტ. პინჩონის პირველ მოთხრობებში (*The Small Rain, Low Lands, Entropy, Under the Rose, The Secret Integration*) ამ პროცესის ინტენსივობის განსაზღვრის ძირითად იარაღად სტატისტიკური მეთოდი გამოყენებული. მხატვრულ ტექსტში ტერმინთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა გარკვეული კონკრეტული ხერხების ჩართვა გამოიწვია:

ინტელექტუალიზაციის ხარისხის დასადგენად საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, ორი პროცედურის ჩატარება:

- ა) ტერმინების ტექსტში გამოკვეთა;
- ბ) მათი სტატისტიკური დამუშავება.

ანალიზის პირველივე საფეხურზე ნათელი გახდა, რომ ტერმინების განსაზღვრა-შერჩევა გარკვეულ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. კერძოდ, სირთულის ხარისხიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ტერმინების იდენტიფიკაციის ორი გზა: ა) ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის ფუძეებიდან ნაწარმოები ტერმინების განსაზღვრა მარტივად ხდებოდა მათი ფორმალური (ფონეტიკური) შედგენილობის გამო; ბ) ზოგადი ლექსიკის ერთეულთა მნიშვნელობების სემანტიკური დავიწროების შედეგად მიღებული ტერმინების განსაზღვრა კონტექსტის დახმარების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც ამ სტატისტიკის ძირითადი მიზანია. პირველი შემთხვევის საილუსტრაციოდ ტ. პინჩონის ნაწარმოებიდან (*Entropy*) მრავალი მაგალითის მოყვანა შესაძლებელი:

Sidereal – ასტრონომია, Calculated by the stars (EGOD 2003), E, 2000: 69; სიდერული, ვარსკვლავიერი (EGD 2005: 829);

Thermodynamic – ფიზიკა, The area of physics connected with the action of heat and other types of energy, and the relationship between them (EGOD 2003), E, 2000: 69; თერმოდინამიკა (EGD 2005: 929).

ამგვარი (ბერძნულ-ლათინური) ტერმინების მხატვრულ ტექსტში გამოყენება მკითხველისგან აღნიშნული ტერმინის ცოდნას მოითხოვს, რათა ტექსტიდან მისი შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია ამოიღოს. ამისთვის მკითხველს დასჭირდება სპეციალური ლიტერატურისა და ენციკლოპედიური მასალის დამუშავება, რაც ზრდის მის ინტელექტს და ტექსტის გაგების სიღრმეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ კითხვისას, არც თუ იშვიათად, მკითხველს, რომლისთვისაც ნაწარმოების მხოლოდ

მხატვრული ასპექტია მნიშვნელოვანია, შეუძლია უგულვებელყოს გამოყენებული ტერმინი, რითიც ნაწარმოების მხატვრულ აღქმას მცირე ნაწილი დააკლდება მხოლოდ.

სრულიად სხვაგვარად არის საქმე, როდესაც ტერმინი ზოგადი ლექსიკის პოლისემანტური სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობიდან არის ნაწარმოები. ამ დროს სამი შემთხვევაა შესაძლებელი: ერთი, როდესაც ტერმინოლოგიური მნიშვნელობის რეალიზაცია ხდება, მეორე, როდესაც სახეზე სიტყვის არატერმინოლოგიური მნიშვნელობაა და მესამე, როდესაც რთულია რეალიზებული მნიშვნელობის ზუსტად განსაზღვრა. პირველ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა ტერმინოლოგიური მნიშვნელობით რეალიზდება, სირთულე მის ლინგვისტურ გარემოცვაშია. მხატვრულ ტექსტში ტერმინოლოგიური ერთეულები თემატურ ჩარჩოში არა გამოიყენება. ისინი ზოგადი ლექსიკის „მასაშია“ გაბნეული და გვხვდება ორი ტიპის შესიტყვებაში: $T + P$ ან $P + T$ (მესხი 1985: 112). სხვაგვარად, ტერმინი შეიძლება იდგეს ზოგადი ლექსიკის ერთეულის წინ ან შემდგომ. ზოგჯერ შესიტყვების დონე კმაროდა, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევებში ტექსტის უფრო დიდი მონაკვეთის (მაკრო-კონტექსტი) მოხმობა იყო საჭირო. ამისი ნათელი მაგალითია სიტყვის water გამოყენება მოთხრობაში The Secret Integration. ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი, გროვერი ექსპერიმენტს ატარებს:

“He’d been very mad that day, Tim remembered, because a new invention hadn’t worked out. A sodium grenade: two compartments, **sodium** and **water**, separated by a burst-diaphragm. When the sodium came in contact with the **water**, it would go off with a tremendous bang” (SI, 2000: 144).

ფიქრობთ, ნათელია, რომ მოყვანილ მონაკვეთში წყლის ჩვეულებრივი გაგება კი არ იგულისხმება, არამედ სწორედ მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა, ანუ ქიმიური შედგენილობა H_2O , რასაც სიტყვის sodium გამოყენებაც უჭერს მხარს. მკითხველმა უნდა იცოდეს წყლის თვისებები, რათა მოთხრობაში აღწერილი სიტუაცია სწორედ შეაფასოს და გაიგოს. თუ მისთვის ეს ინფორმაცია უცნობია, უნდა შეისწავლოს, რითიც საკუთარი ინტელექტუალიზაციის პროცესს დააჩქარებს.

გარდა ტერმინოლოგიური მნიშვნელობებისა, ხშირად, რთული იყო არასპეციალური და სპეციალური მნიშვნელობების განსხვავება. მაგალითად, მოთხრობაში Under the Rose (გვ. 101) გამოყენებულია სიტყვა rackish, რომელსაც ორი, ტერმინოლოგიური და არატერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს. აი, როგორ აღწერს ავტორი მოთხრობის ერთ-ერთ მთავარ გმირს, აგენტ პორპენტინს, რომელსაც ერთ პატარა კაფეში შეხვედრა აქვს დანიშნული:

“Porpentine shifted in his seat, took a watch from his waistcoat pocket, consulted it, replaced it. Turned once more to look out at the Europeans milling about the square: some hurrying into the Banque Impériale Ottomane, others lingering by shopwindows, seated themselves at cafés. His face was carefully arranged: nerveless, rackish - expectant; he might have been there to meet a lady” (UR, 2000: 101).

სიტყვა rackish ლექსიკონში შემდეგნაირად არის ფიქსირებული; rackish – 1. распутный, распушенный, беспутный. 2. мор. 1. острыми обводами, быстроходный (БАРС, 2: 296).

მოყვანილ მაგალითში ლექსემა rackish შესაძლოა ორივე მნიშვნელობით იყოს გამოყენებული, როგორც „თავაშვებული“, „აულაგმავი“, „თავხედი“ (распутный, распушенный, беспутный), ისე საზღვაო ტერმინის „სწრაფი“ (быстроходный) მნიშვნელობით, რომ აღწერილ სიტუაციას მეტი დრამატიზმი შემატოს. ამ შემთხვევაში, ტერმინოლოგიური მნიშვნელობა მისი მოუსვენარი მოლოდინის გადმოსაცემად იქნებოდა გამოყენებული. ამის მაჩვენებელი ლექსიკური სიგნალები კონტექსტში მრავლად არის: shifted in his seat, took a watch, consulted it, replaced it, turned once more..., ასეთი შემთხვევებში, როდესაც ავტორი ზოგადი ლექსიკური და ტერმინოლოგიური მნიშვნელობების რეალიზაციის „ბეწვის ხიდზე გადის“ წარმოიქმნება ე.წ. „ენტროპია“, ბუნდოვანება, როდესაც ორივე მნიშვნელობის რეალიზაციასაც აქვს ხოლმე ადგილი (ჯოხაძე), რასაც ნაწარმოების უფრო სიღრმისეულ შრეებამდე ჩაყავს მკითხველი.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სამედიცინო ტერმინის malignant (UR, 2000: 123) გამოყენებისას შემდეგ წინადადებაში:

“He flinched, remembering the knife-switch, fastened to Bongo-Shaftsburys’s arm like a malignant insect” (UR 2000: 123).

ამ წინადადებაში ტერმინი malignant სტილისტური მნიშვნელობით, კერძოდ კი სიმილის (simile = მსგავსება) ფუნქციაში გამოიყენება, რასაც სიტყვის like გამოყენებაც ადასტურებს (Galperin 1981: 167).

შემდეგი მაგალითი. მოთხრობაში Under the Rose აღწერილია პორპენტინისა და რამდენიმე ევროპელი აგენტის სამხედრო დავალებაზე მატარებლით გამგზავრების ეპიზოდი. მატარებელში პორპენტინი შენიშნავს, რომ ცოტა ხნით ადრე მის მიერ გაგდებული ერთ-ერთი არაბი ვაგონ-რესტორანისკენ გაეშურა. არაბის სურვილი სწრაფად გასცდეს იმ ადგილს, სადაც მას ადვილად შეამჩნევენ მათემატიკური ტერმინით diagonal არის გადმოცემული:

“Two minutes later the Arab got off and cut across on a diagonal to the buffet entrance” (UR, 2000: 122-23).

სტილისტიკური დატვირთვით გამოყენებული ტერმინი diagonal ტერმინთა ჯგუფში, ბუნებრივია, არ შევიყვანეთ, თუმცა იგი მაინც მოხვდა სპეციალური ლექსიკის ჯგუფში, ვინაიდან სხვა მოთხრობებში ტერმინოლოგიური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ასეა, მაგალითად, ეპიზოდში, სადაც დიაგონალზე განლაგებული შენობებთან მანქანების სადგომი ადგილია აღწერილი:

“...neither Tim nor Hogan felt like stopping in tonight, and all of a sudden there were parking meters and several blocks of diagonal parking, which meant you had to put on your brakes and keep an eye out for the traffic” (SI, 2000: 168-69).

როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიური ერთეულები ხშირად სტილისტიკურ დატვირთვას მატებენ რეალიზებულ მნიშვნელობას, რითიც იზრდება მხატვრული ტექსტის ხარისხი. სხვაგვარად, მხატვრულ ტექსტში ტერმინოლოგიური ერთეულები გამოიყენება სტილისტიკური დატვირთვით, როდესაც იგი კარგავს მეცნიერული სფეროთი დასაზღვრულ სპეციალურ მნიშვნელობას. გვაქვს შემთხვევები, როდესაც მხატვრულ ტექსტში ტერმინოლოგიური ერთეულები ახდენენ ორივე – სპეციალური და ჩვეული ლექსიკური მნიშვნელობის პარალელურ რეალიზაციას, რომლის მაგალითი ზევით მოვიყვანეთ და რომლის უამრავი მაგალითი მესხის სადისერტაციო ნაშრომში არის მოცემული (მესხი 1990). ყველა ეს შემთხვევა უფრო დაწვრილებითი და სკრუპულოზური შესწავლის საგანი უნდა გახდეს მომავალში, რამაც ჩვენ მიერ მოხაზული პრობლემატიკის გარდა სხვა საინტერესო საკითხებიც შეიძლება გამოავლინოს.

ამრიგად, წარმოდგენილი მოხსენებით შევეცადეთ გვეჩვენებინა ტერმინოლოგიური ერთეულების მხატვრულ ტექსტში გამოყენების შედეგად მომხდარი სემანტიკური ცვლილებები და ამ ცვლილებებით გამოწვეული სირთულეები, რომელთა გადასალახად მასწავლებლებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მეთოდოლოგიური პრობლემები უნდა გადაჭრან მხატვრული ტექსტის სწავლებისას.

ლიტერატურა:

1. მესხი ა., 1990. *სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების სემანტიკური და ფუნქციური თავისებურებანი მხატვრულ ტექსტებში*, ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, თბილისი.
2. Месхи А., 1985. *Сочетаемость и широта семантики прилагательного в стиле языка научной прозы, Моамбе*, #1, 1985.
3. Джохадзе Л. Е. 1977. *Стилистическое исследование многозначного слова*, Дисс. на соиск. уч. степ. канд. филол. наук. М.
4. Galperin I.R., 1981. *Stylistics*, Moscow.

კითხვის სწავლებაზე მუშაობა დაწყებით კლასებში

თამარ ამირხანოვი, ციცილო გიორგაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: მზია ზანგალაძე, პროფესორი

კითხვა ის საშუალებაა, რომლითაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას. ადამიანი სანამ კითხვას დაიწყებს უნდა იცოდეს, რისთვის კითხულობს, რა წაიკითხოს, როგორ წაიკითხოს, რა ხერხები და საშუალებები, კითხვის რომელი სტრატეგიები გამოიყენოს. კითხვა ერთიანი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საერთო განვითარებას.

კითხვის სწავლებას აქვს დიდი საგანმანათლებლო, შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მისი საშუალებით მოსწავლე ეცნობა გარესამყაროს. კითხვის საფუძველზე ხდება ლექსიკური მარაგის გამდიდრება, თხრობის უნარის განვითარება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება. დაწყებით კლასებში მოსწავლეთა აღზრდა-განათლების ძირითადი ღონისძიებანი კითხვის გზით ხორციელდება. (3, გვ. 73)

კითხვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი: ტექსტის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა, სიამოვნების მიღება, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა. მიზნის შესაბამისად შეირჩევა კითხვის სახეობა ანუ კითხვის სტრატეგია. ტრადიციულად განასხვავებენ კითხვის 2 სახეს: ხმამაღალსა და ჩუმს. კითხვის ამ სახეებთან დაკავშირებულია კითხვის მხარეები: სწორი, სწრაფი, შეგნებული. ხმამაღალ კითხვას უკავშირდება გამომეტყველებითი კითხვა, რომელიც მიჩნეულია კითხვის უმაღლეს საფეხურად. (1, გვ. 60)

გამომეტყველებითი კითხვის სწავლების ორი ხერხი არსებობს:

1. მასწავლებლის მიერ სრულყოფილი კითხვის ნიმუშის მიცემა;
2. გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიშის სწორი ორგანიზაცია; (2, გვ. 101)

კითხვა ინტერაქტიულ-კონსტრუქციული პროცესია, რომლის დროსაც მკითხველი ადარებს ახალწაკითხულს იმას, რაც მან უკვე იცის. ეს მეთოდი ცხადყოფს იმას, რომ თითოეული მოსწავლის დამოკიდებულება ტექსტის მიმართ განსხვავებულია და ის ამ დამოკიდებულებას აგებს უნიკალურ პიროვნულ გამოცდილებაზე, უკვე არსებულ ცოდნაზე. კითხვა მაშინ გადაიქცევა სახალისო საქმიანობად, როცა მოსწავლე გაიგებს წაკითხულს. წაკითხულის გაგებაზე კი გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი:

1. „სამყაროს“ ე. წ. ზოგადი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება;
2. თემის, ანუ ე. წ. ფონური ცოდნა;
3. ლინგვისტური ცოდნა;
4. ტექსტის სტრუქტურის ცოდნა;
5. მეტაკოგნიტური ცოდნა.

„სამყაროს“ ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება მოსწავლეს ეხმარება წაკითხულის წარმოსახვაში. უჩნდება შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული აზრის, შეხედულებების, კულტურის მიმართ.

თემის, ანუ ე. წ. ფონური ცოდნა უადვილებს მოსწავლეს წაკითხულის გაგებას. მოსწავლეს გონებაში აქვს ამ თემასთან დაკავშირებული ცოდნის ორგანიზებული კონსტრუქციები, სქემები, რომლებიც მას ეხმარება წაკითხულის გაგებაში და იცვლება წაკითხულისავე გავლენით. ამ სქემების საშუალებით უყალიბდება მკითხველს ჰიპოთეზებიცა და დასკვნებიც.

ლინგვისტური ცოდნა გავლენას ახდენს ტექსტის გაგებაზე. თუ მოსწავლე ჩამოყალიბდა წარმატებულ მკითხველად, იგი იმდენად ითავსებს ენობრივ სისტემას, რომ ავტომატურად იყენებს გრამატიკულ ფორმებს წაკითხულის გასაგებად.

ტექსტის სტრუქტურის ცოდნაც ხელს უწყობს გაგებასა და დამახსოვრებას. ამ ცოდნის წყალობით მოსწავლეს შეუძლია ტექსტების კლასიფიცირება და მათთვის კითხვის შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა.

მეტაკოგნიტური ცოდნა მოსწავლეს აძლევს იმის გაცნობიერების საშუალებას, თუ როგორ მიმდინარეობს წაკითხულის გაგების პროცესი.

ამრიგად, კითხვა რომ სასარგებლო იყოს, მკითხველმა რომ შეძლოს ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია, ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლე დაკავშირებს იმას, რასაც კითხულობს, იმასთან, რაც იცის. მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, დაეხმაროს მოსწავლეს ამ კავშირის დამყარებაში, გააზრებული კითხვის გამომუშავებაში, ასწავლოს როგორ განსაზღვროს კითხვის მიზანი, როგორ მიიღოს კითხვით სიამოვნება, როგორ დაამყაროს კონტაქტი ტექსტთან და როგორ მივიდეს მეხსიერებით ტექსტის უბრალო აღდგენიდან მის კომპლექსურ გაგებამდე. (5, გვ. 137)

კითხვის პროცესში აუცილებელია სამი უმთავრესი ელემენტის არსებობა. ეს არის დრო, არჩევანის შესაძლებლობა და წაკითხულის შესახებ აზრის გამოთქმა. იმის დადგენა, თუ კონკრეტულ დროში რა მოცულობის ტექსტის წაკითხვას ახერხებს მოსწავლე, გვეხმარება მოსწავლის შესაძლებლობებისა და არსებული დონის დიაგნოსტიკაში. როცა მოსწავლეებს შეუძლიათ თავად აირჩიონ წასაკითხი მასალა, მათ უჩნდებათ ე. წ. „საკუთრების გრძნობა“ ტექსტის მიმართ. ეს პირველი ნაბიჯია კარგ მკითხველად ჩამოყალიბების გზაზე. ეს გრძნობა აძლევთ საშუალებას დაიკმაყოფილონ ინტერესი, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. მოსწავლეს უნდა მივცეთ წაკითხულით აღძრული შთაბეჭდილებების გაზიარების, გულწრფელი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. ეს მოსწავლეებს სჭირდებათ თვით რეალიზაციისა და თვით დამკვიდრებისათვის.

სხვადასხვა სახისა და ჟანრის ტექსტები ის საშუალებაა, რომლითაც მოსწავლეები სწავლობენ ენას, მის გამოყენებას. ტექსტების შერჩევას აუცილებელია ვიცოდეთ რა შინაარსის ტექსტები მივაწოდოთ მოსწავლეებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1. რით შეიძლება მოეწონოთ ტექსტი მოსწავლეებს;
2. არის თუ არა მისაწვდომი და გასაგები მოსწავლისთვის ის ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ტექსტი;

3. არის თუ არა საკმარისი მოსწავლეთა ლინგვისტური ცოდნა ტექსტის გასაგებად, ხომ არ არის ტექსტი ძალიან მარტივი, ან ძალიან რთული;

კითხვა გულისხმობს მოსწავლეს, ტექსტსა და სამყაროს შორის კავშირს. კითხვის პროცესი ორგანოა: ხელმძღვანელობითი კითხვა და დამოუკიდებელი კითხვა. ხელმძღვანელობითი კითხვის დროს მასწავლებლის საქმიანობები ხელს უწყობს პროცესის გამრავალფეროვნებას. დამოუკიდებელი კითხვისას მოსწავლეები იყენებენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც ხელმძღვანელობითი კითხვისას შეიძინეს.

ხელმძღვანელობითი კითხვა სამი ეტაპისაგან შედგება; კითხვამდე ეტაპი, კითხვის ეტაპი და კითხვის შემდგომი ეტაპი.

კითხვამდე ეტაპში გამოყენებული სტრატეგიები მოსწავლეს ეხმარება იმ ცოდნის შეხსენებაში, რომელიც მას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უკვე აქვს. კითხვის წინა აქტივობები მოსწავლეებს ხელს უწყობს შემდეგში წაკითხულის უკეთ გაგებასა და გააზრებას. კითხვამდე ეტაპის მიზანია:

1. მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, მოტივაციის აღძვრა;
2. მოსწავლეთა ლინგვისტური ცოდნის შეფასება და აქტივიზაცია;
3. კითხვის მიზნის განსაზღვრა.

კითხვის ეტაპი ახალი ინფორმაციის გაგებასა და მის უკეთ ათვისებას უწყობს ხელს. მოსწავლე საკუთარ შეკითხვებზე პოულობს პასუხს. მოსწავლე კითხვისას უნდა გრძნობდეს პირად პროგრესს, წარმატებას. ეს დამოკიდებულია ტექსტის გაგების ხარისხზე. ამ ეტაპზე მას აუცილებლად ესაჭიროება მასწავლებლის რეკომენდაციები, რჩევები. კითხვის ეტაპის მიზნებია:

1. ტექსტის შინაარსისა და იდეის გაგება;
2. სხვადასხვა ტიპის, სახისა და ჟანრის ტექსტების ნიშნების, სტრუქტურის, ორგანიზაციის თავისებურებების გააზრება;
3. ენის ეფექტიანი გამოყენება
4. ავტორისეული იდეებით, თემებით, ენობრივი საშუალებებით აღძრული რეაქციების გამოხატვისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

კითხვის შემდგომი ეტაპი წაკითხული მასალის გააზრების ეტაპია. სწორად წარმართული საქმიანობებით მოსწავლეებს გონებაში უყალიბდებათ ანალიზის, სინთეზისა და შეფასების სქემები, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებენ დამოუკიდებელი კითხვის დროს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებებს წაკითხული ტექსტის შესახებ, დაამყარებენ კავშირს ადრინდელ ცოდნას, პირად გამოცდილებასა და ახალ წაკითხულ მასალას შორის. მათ ეძლევათ საშუალება, თვალი ადევნონ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას: რა იცოდნენ, რა ისწავლეს და რისი სწავლა სჭირდებათ კიდევ. კითხვის შემდგომი ეტაპის მიზნებია:

1. ავტორისეულ იდეებზე, ჩანაფიქრზე, პრობლემებზე ფიქრისა და მსჯელობის უნარის განვითარება;
2. ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის კავშირის დანახვის ხელშეწყობა;
3. შედარებითი ანალიზის სქემების შემუშავება;
4. მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ტექსტის ანალიზის, სინთეზის პროცესში;

არსებობს მეთოდები, რომელთა გამოყენებისას კითხვის სწავლება უფრო მარტივი და მოსწავლეთათვის სახალისოა. ეს მეთოდებია:

1. ორიენტირებული მოსმენა და აზროვნება - მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ჩასატარებელი სამუშაოს მიზანი და გეგმა, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ მიზნის განხორციელება. კერძოდ, მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას გულდია, თავისუფალი გარემო, თანამშრომლობის ატმოსფერო, სადაც ყველა აზრი საინტერესო, მისაღები და მნიშვნელოვანია. მასწავლებელი, შესამლებელია, დაეხმაროს მოსწავლეს ისეთი სიტუაციის აღწერაში, რომლის გადმოცემაც მოსწავლეს ეძნელება. დაუსვას ისეთი დამატებითი კითხვა, რომელიც „სწორ გეზს“ მისცემს და გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. სასურველია, შეირჩეს თხრობითი (ნარატიული ტიპის) ტექსტი, რომელიც პირდაპირ შეესაბამება მეთოდის მიზანს, ან იძლევა ადაპტირების საშუალებას.

2. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტექსტის ძირითადი მახასიათებლის გათვალისწინება, კერძოდ, ავთენტურობა, ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, თემის აქტუალობა, მოსწავლეთა ინტერესი და ა.შ. წაკითხულის გაგება-გააზრება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეაქვს მკითხველს კითხვის პროცესში წინარე ცოდნითა და საკუთარი ფანტაზიით. ამიტომ ტექსტის წაკითხვამდე სასურველია გამოწვევა, წინარე ცოდნის გააქტიურება „გონებრივი იერიშის“ გზით, ან სხვა აქტივობით (მაგ. გამოცანით). ეს ზრდის ჩართულობის ხარისხს და ხელს უწყობს ტექსტის მოსასმენად მოსწავლეთა მოტივირებას. წინასწარი ყოფა რამდენიმე ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტი გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა შემდეგ მონაკვეთში მოსწავლეებმა ვარაუდი გამოთქვან მოცემული სიუჟეტის შესახებ.

მასწავლებელი კლასს განუმარტავს, რომ ტექსტის თითოეული ნაწილის კითხვის დროს აუცილებელია ყურადღებით მოსმენა, რათა კარგად გაიაზრონ წაკითხული მონაკვეთი, რაც დაეხმარება ვარაუდების გამოთქმასა და მოსაზრებების გადამოწმებაში. მეთოდის მსვლელობისას, მასწავლებელმა, სასურველია ისეთი მინიშნებები გააკეთოს, რომელიც მოსწავლეს მოტივაციას შეუქმნის, იმსჯელოს თემის საკითხებზე, პერსონაჟის ხასიათის განვითარებაზე, საკუთარ თავთან და სხვა ტექსტებთან კავშირებზე. ამისათვის ყოველი შემდეგი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სასურველია ისეთი კითხვების დასმა, რომელიც მოქმედი გმირების, ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის ანალიზის საშუალებას იძლევა. ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი ადრეული ასაკიდან ავითარებს გააზრების, კრიტიკული აზროვნების უნარს. მოსწავლეს უჩენს ტექსტის კითხვის მოტივაციას და, ამავე დროს, ეხმარება წარმოსახვის, გამართულად მეტყველების, კომუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარებაში.

3. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა - ამ მეთოდის ძირითად რესურსს დიდი წიგნები წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება თქვენ თვითონ დაამზადოთ. დიდი წიგნის შექმნას გარკვეული წინასწარი სამუშაო სჭირდება. უნდა შეირჩეს ისეთი ტექსტი, რომლის წაკითხვაც რამდენჯერმე, სხვადასხვა მიზნით იქნება შესაძლებელი. თავიდან ბავშვები სიტყვების ამოკითხვაზე არ მუშაობენ, ვინაიდან მათ არ იციან კითხვა. ისინი ვიზუალურად იმახსოვრებენ სიტყვებსა და წინადადებებს. ბევრი ასეთი გაკვეთილის ჩატარება დაგჭირდებათ, სანამ ასო-ბგერების წაკითხვას ასწავლით, რადგან მათ ჯერ უნდა შეძლონ, 150 სიტყვის ამოცნობა მაინც. ისინი ვერ ამოიკითხავენ, მაგრამ დაიმახსოვრებენ, რა წერია; (4, გვ. 19)

4. მნიშვნელოვანი სიტყვები - მისი მიზანია, მოსწავლეებს განუვითარდეთ არა მხოლოდ ახალ სიტყვებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევა, არამედ შეძლონ ტექსტის გაგება და მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად, მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე:

- აქტიურად ერთვებიან კითხვის პროცესში;
- გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხული ტექსტის მიმართ. ავლენენ ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს;
- ახერხებენ ტექსტში მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი სიტყვების გამოყოფას;
- უმდიდრდებათ ლექსიკური მარაგი;
- უვითარდებათ მსჯელობის, წაკითხული ტექსტის გაგებისა და ანალიზის უნარები. (4, გვ.23)

დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე - ეს არის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაუზიაროს ის სხვებს. იგი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც:

- ავითარებს მოსწავლეთა ზეპირსიტყვიერებას, კომუნიკაციას, შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევებს;
- აყალიბებს ანალიტიკურ აზროვნებას;
- აჩვენებს მოსწავლეებს სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას.

ეს მეთოდი სამსაფეხურიანია და თითოეულ საფეხურზე კონკრეტულად არის განსაზღვრული მოსწავლეთა საქმიანობა:

- დაფიქრდი - მოსწავლეები ინდივიდუალურად ფიქრობენ დასმულ შეკითხვებზე;
- დაწყვილდი - მოსწავლეები წყვილებიან და განიხილავენ მოფიქრებულ პასუხს;
- გაუზიარე - მოსწავლეები წყვილებში განხილულ პასუხს კლასს უზიარებენ. (4, გვ. 30)

მკითხველთა თეატრი - არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნარატიული ტექსტის მოსწავლეების მიერ კითხვას როლებში. ის ბავშვების საყვარელი მეთოდია, ვინაიდან ის თამაშის ბევრ ელემენტს აერთიანებს. ეს მეთოდი გამოიყენება როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე. აღნიშნული მეთოდი:

- ავითარებს გამართული კითხვის უნარ-ჩვევებს;
- ავითარებს მოსმენისა და მეტყველების უნარ-ჩვევებს;
- ზრდის ბავშვის თვითშეფასებას;
- უნერგავს მოსწავლეს კითხვის სიყვარულს. (4, გვ. 42)

მასწავლებლებს შეუძლიათ ამ მეთოდების გართულება ან გამარტივება კლასის დონისა და საგაკვეთილო მიზნის შესაბამისად. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენებით მოსწავლეთა კითხვის სწავლება უფრო ეფექტური, მოსწავლეთათვის სახალისო ხდება და რაც მთავარია, ხელს უწყობს მოსწავლეს „კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას“.

ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდთა/დიდაქტიკა (I- VI კლასები), თბ., 2013.

2. ლიპარტელიანი რ., დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდის საკითხები; თბ., 1999.
3. რამიშვილი ვ., ქართული ენის სწავლების მეთოდის საკითხები, თბ., 1976.
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; კითხვის ეფექტური მეთოდები, 2011.
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; კითხვის ეფექტური მეთოდები 2; 2011.
6. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, 2006.

გარემოებისა და უბრალო დამატების გამიჯვნის მეთოდები

დიანა ბალიაშვილი, ლია გერმანიშვილი
 განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
 ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
 ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე**, პროფესორი

ქართულ ენაში წინადადების წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, უბრალო დამატება, გარემოება და განსაზღვრება. აქედან მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატება, ხოლო ყველა დანარჩენი არამთავარი წევრებია.

წინადადების წევრთა ამოცნობა შინაარსისა და კითხვების მიხედვით ხდება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე წევრს სხვადასხვა წევრის კითხვები შეეწყობა. „განსაკუთრებით ჭირს ადგილის გარემოებისა და უბრალო დამატების (რომელიც პირმიუმართავი დამატებაა)“ ერთმანეთისაგან გამიჯვნა. აღრევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახელი მიცემით ბრუნვამია -**ზე**, -**ში**, -**თან** თანდებულებით, ან ნათესაობითში -**კენ** თანდებულებით, იშვიათად -**გან** თანდებულებითაც. (2. გვ. 139). თანდებულებიანი მიცემითი ახალ ქართულში ფართოდაა გამოყენებული. თანდებულების გარდა გვხვდება ზოგიერთი ზმნიზედაც თანდებულის მნიშვნელობით, მაგ., „ნელ-ნელა ამოიწვერა მთვარე მთებს იქედან“.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მიცემითი ბრუნვის უძველესი ფუნქცია იყო ადგილის გარემოების გადმოცემა. თუ ძველ ქართულში ადგილის გარემოების მიცემითის ფორმა მეტწილად უთანდებულო იყო, ახალში იგი თანდებულებიან ფორმებთან შედარებით ძალზე იშვიათია (3. გვ. 120)

დამატებისა და გარემოების აღრევის ძირითადი მიზეზი კითხვების დასმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ: რადგან სახელის კითხვა შეიძლება შეიწყოს და დამატებაა, ან პირიქით, გარემოების კითხვაზე უპასუხებს და გარემოებაა. ანგარიში არ ეწევა იმას, რომ შეიძლება ერთი და იგივე კითხვა მიუყენოთ სხვადასხვა მიმართების შესიტყვებებს, მაგ., „თოვლი მთაზე დევს“. აქ თანდებულებიანი სიტყვა „მთაზე“ ორივე კითხვას შეიწყობს: **სად დევს თოვლი? რაზე დევს თოვლი?** (4. გვ. 264)

ცხადია, ადგილის გარემოებისა და დამატების ერთმანეთისაგან გასარჩევად მხოლოდ კითხვა ვერ გამოდგება, საჭიროა სხვა ხერხებიც მოვიშველიოთ:

1. დამატებისა და ადგილის გარემოების ერთმანეთისაგან გასამიჯნად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას მიემართება მოქმედება - საგანს, ობიექტს თუ სივრცეს. მთავარია აზრობრივი მიმართების გარკვევა. თუ მოქმედება მიემართება საგანს, ობიექტს, მაშინ დამატებასთან გვაქვს საქმე და მას დამატების კითხვა უნდა მიუყენოთ „ყურებზე (რაზე?) ხახვი არ დამაჭრა“, ხოლო თუ მიმართება ადგილის, სივრცისადმი, მაშინ ადგილის გარემოებაა ("შესვლისთანავე პირველ კედელთან (სად?) დამაყენეს").

2. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარემოებად იქნეს მიჩნეული ყველა ის წევრი, რომელსაც შეიძლება დაესვას ადგილის გარემოების კითხვა და რომლის ნაცვლად ადგილის ზმნიზედის ჩასმა

წინადადების აზრს არ შეცვლის. მაგ., „გულშემოყრილი დაეცა მიწაზე. აქ თანდებულიანი სახელი მიწაზე იგუებს კითხვას - სად? და შეიძლება შეიცვალოს ზმნიზედით იქ (გულშემოყრილი დაეცა იქ).

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ „მიწაზე“ თავისთავად სივრცეზე, ადგილზე მიგვითითებს თავისი მნიშვნელობით, ცხადია, ადგილის გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული.

წინადადებაში „ორივე იდაყვით მუხლების თავებზე დაეხრნა“ თანდებულიანი სახელი „თავებზე“ ორივე კითხვას იგუებს (რაზე დაეხრნა?, სად დაეხრნა?), მაგრამ მისი ზმნიზედით შეცვლა შეუძლებელი ხდება, ამდენად, თანდებულიანი სახელი აქ დამატებაა

3. ჩვეულებრივ ადგილის გარემოებას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ა) გვიჩვენებს მოძრაობას სივრცეში - საგნის ან ნივთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას (მეგობარმა მომკიდა ხელი და წამიყვანა **სამოახლოში**“; ან ბ) მიგვითითებს საგნის მდებარეობაზე სივრცეში. მდებარეობა სხვადასხვაგვარია: 1. შიგნით, („სულ **სახლში** იჯდა“) ან საგნის მახლობლად“ („**ჭიშკართან** ეგდო დაჭრილი ძაღლი“), მდებარეობა სხვა საგნის ზედაპირზე (გულშემოყრილი დაეცა **მიწაზე**), მდებარეობა საგნის სხვადასხვა მხარეს (**კარებს უკან** ძაღლსავით მივეგდები“).

აქ თანდებულიანი სახელები ადგილის გარემოებაა. მათ ადგილის გარემოებობას ადასტურებს ისიც, რომ მათ შეეწყობა გარემოების კითხვა სად?. აქ სახელი შეიძლება შეიცვალოს ზმნიზედით: იჯდა იქ, იქ ეგდო და ა.შ. და მოქმედება მიემართება ადგილს, სივრცეს.

ადგილის გარემოებისა და დამატების განსხვავებას ქმნის ფუნქცია, რისი აღნიშვნაც მათ აქვთ დავალებული. ფუნქციონალურად უბრალო დამატება მიუთითებს, რომ მოქმედება, რომელსაც ქვემდებარე ასრულებს, მიეწერება მას, - ხდება მასთან ერთად, მასზე, მისით, აღნიშნავს ისეთ საგანს, რომელიც მოქმედების ჩამდენად ჩანს ან ეხება მოქმედება, ან გამოხატავს თანაობას, საჭურველს. გარემოება კი მიუთითებს მოქმედების ადგილზე, ვითარებაზე, დროზე“. (მაღლაკელიძე, გვ. 213)

4. ადგილის გარემოებისა და დამატების ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის მნიშვნელოვანია თვით სახელის მნიშვნელობაც. თუ **კენ** და **თან** თანდებულიანი სახელები სულიერთა აღმნიშვნელია, მაშინ ის ჩვეულებრივ დამატებაა. „არჩილი კესოსთან იდგა“, აქ კესოსთან დამატებაა.

ხშირად არასულიერი **კენ** და **თან** თანდებულიანი სახელები სხვადასხვა ფუნქციით წარმოგვიდგებიან წინადადებაში. მაგ., დგას ხესთან, ზღვასთან, სახლთან - დამატებებია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მოქმედების მიმართებაა (ზმნაა), დგომა - ადგილზე (სივრცეზე) შეიძლება, ხოლო მისვლა - საგანთან, ობიექტთან.

5. დამატებისა და ადგილის გარემოების ერთმანეთისაგან გასარჩევად რამდენადმე მნიშვნელოვანია შემასმენელიც (ზმნა). ჩვეულებრივ გარდაუვალ, მდგომარეობისა და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან უმეტესად გარემოება ივარაუდება (ავდია კუთხეში), დგას (ოთახში), მიფრინავს (სამხრეთისაკენ).

„უბრალო დამატებად მიიჩნევენ აგრეთვე ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებსაც.

ადგილის გარემოებისა და უბრალო დამატების სადიფერენციაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ ვინ და რა ჯგუფის სახელთა დაპირისპირებაც: თუ მიცემითის თანდებულები ერთვის ვინ ჯგუფის სახელს, მაშინ გამოსაცნობი წევრი უბრალო დამატება იქნება.“ (3. გვ. 126)

ადგილის გარემოება მეტწილად დაკავშირებულია გარდაუვალ ზმნებთან, რომლებიც სივრცესა და ადგილზე მიუთითებენ.

გარდა ამ ზოგადი წესებისა, შესაძლებელია გამოვიყენოთ პრაქტიკული ხერხებიც:

1. თუ **თან** თანდებულიანი სახელთან აზრობრივად ჩაისმება **ერთად** სიტყვა მაშინ ეს სახელი უბრალო დამატებაა, თუ არა და- ადგილის გარემოება:

ხბო **ხართან** დაწვა - ხბო **ხართან ერთად** დაწვა (უბრ. დამ.).

მაგრამ: ქვა **ხართან** დაეცა- ქვა **ხართან ერთად** დაეცა - აზრობრივად მიუღებელია, ამიტომ ხართან აქ ადგილის გარემოებაა.

2. თუ **ზე** თანდებულიანი სახელთან აზრობრივად ჩაისმება **ზედ** ზმნიზედა, მაშინ იგი ადგილის გარემოებაა, თუ არა და - უბრალო დამატებაა. მაგ.: ბავშვი **მიწაზე** იჯდა - **ზედ მიწაზე** იჯდა. (ადგ. გარ)

მაგრამ: **სამშობლოზე** ფიქრობდა - **ზედ სამშობლოზე** ფიქრობდა - აზრობრივად მიუღებელია, ამიტომ აქ უბრალო დამატებაა.

თუ **ში** თანდებულიანი სახელთან აზრობრივად ჩაისმება **შიგ** ზმნიზედა, მაშინ ადგილის გარემოებაა. მაგ.: **სახლში** შევიდა. **შიგ სახლში** შევიდა (ადგილის გარემოებაა)

მაგრამ: **მწუხარებაში** ჩავარდა - **შიგ მწუხარებაში** ჩავარდა - აზრობრივად გაუმართავია, ამიტომ უბრალო დამატებაა.

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ **გან** თანდებულიანი ნათესაობითით გამოხატულ უბრალო დამატებასა და ადგილის გარემოებას, რომელიც წარმოდგენილია **გან** თანდებულიანი მოქმედებით. მაგ: **ხისგან** გამოთალეს თუ **ხიდან** გამოთალეს. თუ **გან** თანდებულიანი სახელი მოიხდენს კითხვას -

საიდან? - მაშინ ის ადგილის გარემოებაა, ხოლო თუ დაესმის კითხვები: ვისთან? რისგან? - მაშინ უბრალო დამატებაა. მაგ.:

ჭრილობიდან გათავისუფლდა (რისგან? - უბრ. დამატებაა)

ჭრილობიდან სისხლი სდიოდა (საიდან? - ადგილის გარემოება).

„ზოგჯერ ძნელდება დადგენა -გან თანდებულისა ნათესაობითი ვიხმაროთ, თუ მოქმედებითი. თუ გან თანდებულისა სახელი გამოხატავს მასალას, კუთვნილებას, ან რეალური ვითარების მიხედვით მოქმედ საგანს, ზოგჯერ - სამოქმედოს; მიუთითებს საგნის დანიშნულებაზე; აღნიშნავს დაშორებას, დაცილებას, თავის დაღწევას, აგრეთვე გამოყოფას, გამორჩევას... მაშინ იგი უბრალო დამატებაა. გარდა ამისა შეიძლება ზოგ შემთხვევაში საკონტროლო საშუალებად **მიერ** თანდებულის ჩასმაც გამოვიყენოთ (**მორევისაგან გარიყული -მორევის მიერ** გარიყული - უბრ. დამატებაა. (3. გვ. 127).

ამრიგად, დამატებისა და ადგილის გარემოების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ერთდროულად რამდენიმე ხერხი უნდა იქნას გამოყენებული. მთავარი ამათგან მაინც მოქმედების საგნისადმი თუ ადგილისადმი მიმართება და მისი ზმნიზედით შეცვლის შესაძლებლობაა. კითხვები კი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც დამხმარე ხერხი.

ლიტერატურა:

1. მალაკელიძე ნ., მიქაძე მ., „ქართული ენის სწავლების მეთოდთა“, თბ., 1997.
2. კვაჭაძე ლ., „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბ., 1996.
3. ფეიქრიშვილი ჟ., „ქართული ენის სინტაქსი“, თბ., 1996.
4. თალაკვაძე მ., „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთა“, თბ., 1985.

თვითშეფასება და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში (დაწყებით კლასში)

ნინო მარნაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე**, ასოცირებული პროფესორი

ალბათ, ყველას გვექონია ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც გამუდმებით უკმაყოფილონი არიან და აცხადებენ, რომ გაცილებით მეტს იმსახურებენ ვიდრე იღებენ, მარცხის შემთხვევაში ყოველთვის სხვას ადანაშაულებენ, თავს უსამართლოდ დაჩაგრულად წარმოაჩენენ და იშვიათად ეძებენ მარცხის მიზეზს საკუთარ თავში. თუმცა, ისეთებიც გვხვდებიან, რომლებიც, მიუხედავად სათანადო შესაძლებლობებისა, ნებისმიერ საქმეს გაურბიან იმის შიშით, რომ ვერ დაძლევენ და თავს შეირცხვენენ. ყოველივე ამის გამო, ასეთი ადამიანები ხშირად ითრგუნებიან და არარეალიზებული არიან ცხოვრებაში, რაც უარყოფითი ემოციური განცდებისა და საკუთარ თავში ჩაკეტვის მიზეზად იქცევა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ხდება თვითშეფასება, რომელიც შესაძლოა საკმაოდ ადრეულ პერიოდში იყოს ჩამოყალიბებული.

თვითშეფასება არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარ შესაძლებლობებისადმი და გარეგნობისადმი. იგი პიროვნების ცენტრალური წარმონაქმნია და მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც განსაზღვრავს პიროვნების ფორმირებას. ის, თუ როგორი პიროვნება დადგება ამა თუ იმ ბავშვისაგან მომავალში, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, როგორი თვითშეფასება გამოუმუშავდება მას. [3]

თვითშეფასება შეიძლება იყოს **ადეკვატური** და **არადეკვატური**.

„ადეკვატური თვითშეფასების მქონე მოზარდები არიან საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი, თვითკრიტიკულნი, აქვთ მაღალი საზოგადოებრივი და პიროვნული სტატუსი, შემეცნებითი ინტერესები და მაღალი აკადემიური მოსწრება.

არაადეკვატური შეფასება, თავის მხრივ, არაადეკვატურად მაღალი ან არაადეკვატურად დაბალია.

იმის გასარკვევად, თუ როგორია არაადეკვატურად მაღალი და არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვი, ჩავატარე კვლევა ხაშურის რაიონის სოფელ ბეკამის საჯარო სკოლის III კლასში (არასასწავლო პერიოდში). მეტაანალიზმა აჩვენა, რომ არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვი, რომელიც ზედმეტად იყო დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში აგრესიულად იყო განწყობილი თანაკლასელების მიმართ, რადგან თვლიდა, რომ მხოლოდ მას შეეძლო მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ, როდესაც ეს მოლოდინი არ გამართლდა სხვა თანაკლასელმა უკეთ გასცა პასუხი მასწავლებელს, იგი აგრესიული გახდა მის მიმართ.

ამდენად, მაღალი (გადაჭარბებული) შეფასებისას, ბავშვი აჭარბებს თავის შესაძლებლობებს და ცდილობს იმ ამოცანების გადაჭრას, რაც მას არ შეუძლია.

არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვისათვის კი დამახასიათებელი იყო საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და შემართების უქონლობა კერძოდ გაუბედაობა, რაც გამოვლინდა დისკუსიის დროს. დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვს უჭირდა დისკუსიაში მონაწილეობისას საკუთარი აზრის გამოხატვა, რადგან სათანადოდ ვერ აფასებდა საკუთარ შესაძლებლობას, თვლიდა რომ მისი მოსაზრება არ იქნებოდა მართებული, ამიტომ ერჩივნა პასიურ მდგომარეობაში ყოფილიყო ვიდრე, მისი შეხედულებით არასწორი პასუხი დაეფიქსირებინა. მაშინ, როდესაც მას არაჩვეულებრივი მსჯელობა და არგუმენტაცია შეეძლო. მისი ეს უნარი ნათლად გამოჩნდა, მაშინ როდესაც მას მასწავლებელმა დაუსვა კითხვა დისკუსიის თემასთან დაკავშირებით და მან არგუმენტირებულად დაასაბუთა თავისი მოსაზრება.

მამასადამე, არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვი გაზვიადებით აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, რის გამოც მოსდის კონფლიქტი ირგვლივ მყოფებთან. გაზვიადებული თვითშეფასების საფუძველზე ადამიანს უჩნდება არასწორი წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე, ხოლო არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვი კი პირიქით ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში და შესაძლებლობებში და გააჩნია დაბალი თვითშეფასება.

როგორც სკოლამდელ, ასევე პირველ სასკოლო პერიოდში, სანამ ბავშვი დამოუკიდებლად დაიწყებდეს საკუთარი თავის შეფასებას, თვითშეფასების ფორმირებაში მშობელს განსაკუთრებული როლი აკისრია, რადგან მისი გავლენა საკმაოდ ძლიერია. ბევრ მშობელს მიაჩნია იმისათვის, რომ მომავალში შვილი არ დაეჩაგროს, საჭიროა, ხშირად აქოს და გაუძლიეროს საკუთარი ძალების რწმენა. ასეთ მშობლებს სჯერათ, რომ მათი შვილი განსაკუთრებით ნიჭიერებით გამოირჩევა და ცდილობენ, ამაში სხვებიც დაარწმუნონ ბავშვის „ნიჭის დემონსტრირებით“. ხშირად ისინი აიძულებენ თავიანთ პატარას სტუმრების წინაშე იმღეროს, იცეკვოს, წაიკითხოს ლექსი, აჩვენოს მათ თავისი ნახატები. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ბავშვს არავითარი მონაცემი არ ჰქონდეს აღნიშნული საქმიანობისთვის. [3;]

ვინაიდან თვითშეფასება შეფასებითი ურთიერთობის პროცესში ყალიბდება, დიდია ალბათობა, რომ ასეთ ბავშვს არაადეკვატურად მაღალი შეფასება ჩამოუყალიბდეს საკუთარი თავის მიმართ.

გვხვდებიან სხვა კატეგორიის მშობლებიც, რომლებსაც ისე ეშინიათ მათ შვილს ხასიათის არასასურველი თვისებები, მაგალითად, ქედმაღლობა, ამპარტავნობა, ზედმეტი თავდაჯერება არ ჩამოუყალიბდეს, იშვიათად აქებენ, იშვიათად აღნიშნავენ ბავშვების წარმატებას და ცდილობენ თავიანთი შეფასებით გააუფასურონ მათი მიღწევები. ყოველივე ეს ხშირად არაადეკვატურად დაბალი თვითშეფასების მიზეზად იქცევა.

მოზარდი თვითშეფასების ფორმირებისას ყურადღებას ამახვილებს აკადემიურ მოსწრებაზე, გარეგნობაზე, ფიზიკურ ძალაზე, ქცევაზე და სოციალურ აღიარებაზე. მოზარდობის ასაკში გოგონებს უფრო დაბალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე ბიჭებს, ვინაიდან მათ მიერ საკუთარი თავის შეფასება ძირითადად დამოკიდებულია მათი გარეგნობის შეფასებასთან.

მოსწავლემ შეიძლება შეაფასოს საკუთარი თავი, ასევე მეგობარიც. რ. ტყემალაძე აღნიშნავდა რომ „მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება მოსწავლის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. შეფასების ეს მეთოდები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალყური ადევნოს საკუთარ პროგრესს. ამასთანავე მათი სისტემატიური გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლის ჩვევებსა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. ეს მეთოდები აგრეთვე მოსწავლეებს საშუალებას აძლევს

კარგად გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამით მათ სწავლის პროცესის მიმართ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა უვითარდებათ“. [1; 112]

რ. ტყემალაძე ასევე აღნიშნავდა, რომ „თვითშეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმა თვითშეფასების სქემებია. ეს სქემები შეიძლება გამოვიყენოთ განსხვავებულ დროსა და განსხვავებულ შემთხვევებში: როდესაც ვამოწმებთ თუ როგორ დაძლიეს მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული ერთი თემა ან სულაც ერთ-ერთი სავარჯიშო, როგორ აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფაქტობრივი მასალა, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები და ა.შ.“ [1; 113]

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, მოსწავლეთათვის შეთავაზებული სქემის თემატიკა შეიძლება იყოს: ა) ცოდნის ფლობის თვითშეფასება ბ) სოციალური უნარების თვითშეფასება გ) სწავლის სტრატეგიების გამოყენების თვითშეფასება მაგალითისათვის, მასწავლებელმა მოსწავლეთა შესაძლებლობების იდენტიფიცირებისათვის შეიძლება მოსწავლეებს სთხოვოს ასეთი კითხვარის/სქემის შევსება:

ამ საგანში ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა _____
მინდა უკეთესად ვიცოდე _____
მინდა მეტი ვიცოდე _____
შემიძლია _____
მინდა შემეძლოს _____
ინტერესით ვარ ჩართული გაკვეთილზე, როდესაც _____
როდესაც უყურადღებოდ ვარ, უმეტესად ამის მიზეზი არის _____
მომწონს ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობა, რადგან _____
ჯგუფური მუშაობის დროს დაბრკოლებას მიქმნის _____
როდესაც ახალი სიტყვა ახალია, მაშინ _____
როდესაც დავალების პირობა გაუგებარია, მაშინ _____

ასეთი კითხვარის/სქემის შევსების საშუალებით მოსწავლეს ეძლევა საშუალება დამოუკიდებლად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, აკონტროლოს საკუთარი პროგრესი. ეს ზრდის მის თავდაჯერებულობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. [4]

მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს თვითშეფასების სქემების გამოუყენებლობის მიზეზი. მასწავლებელს შეუძლია იზრუნოს მოსწავლის ადეკვატური თვითშეფასების განვითარებაზე შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა შეაფასონ საკუთარი ნაშრომები შეფასების სქემების გამოყენებით. ამ დროს მოსწავლე შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შეცდომების აღმოჩენა/გასწორების დროს, გააცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს; გარდა ამისა მას განუვითარდება ავტონომიურობისა და თვითკონტროლის უნარი; ამ პროცესში მოსწავლე უკეთ გაიაზრებს მის წინაშე არსებულ სასწავლო მიზნებს/გამოწვევებს და დაგეგმავს მოქმედებებს შემდგომი სწავლისათვის.

საკუთარი ნაშრომის შეფასების გარდა ეფექტიანია მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ნამუშევრების შეფასება კრიტერიუმებზე დაყრდნობით. აქტივობა შედეგიანია, რადგან „მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ აკადემიურ მიღწევებს რაიმე აბსოლუტურ სტანდარტს კი არ ადარებენ, არამედ იმ მოსწავლეებისას, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ სკოლაში“ [2; 255]

ამრიგად, ნებისმიერი პედაგოგისათვის საინტერესო იქნება იმის ცოდნა, როგორ ყალიბდება თვითშეფასება. ვფიქრობ, ნებისმიერი აღმზრდელი, პედაგოგი და მშობელი ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ საჭიროდ ჩათვლის ბავშვის აღმზრდის პროცესში ორიენტირებული იყოს ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე, ვინაიდან ასეთი თვითშეფასება მომავალში უამრავი სირთულის თავიდან აცილების საშუალებას მისცემს მათ.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი, „სწავლება და შეფასება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
2. გამოცდების ეროვნული ცენტრი, ეფექტიანი სწავლება, 2010.
3. <http://edu.aris.ge/news/TviTSefaseba-da-misi-rol-i-bavSvis-pirovnebis-formirebis-procesSi.html>
4. gesj.internet-academy.org/ge/download.php?id=2095.pdf&t=1

ОБУЧЕНИЕ ЛЕКСИКЕ НА НАЧАЛЬНОМ ЭТАПЕ ИЗУЧЕНИЯ РУССКОГО ЯЗЫКА КАК ИНОСТРАННОГО

Нино Маркарова

ст. 2 курса спец. образование
факультета образования, точных и естественных наук
научн. рук. докт. Н. Хинчагашвили

Обучение лексике на начальном этапе обучения русского языка как иностранного имеет практическую направленность. Владеющий русским языком в базовом объеме должен уметь решать практические задачи в стандартных ситуациях повседневной жизни, устанавливать и поддерживать межличностные контакты, владеть типовыми языковыми средствами, его словарь должен достигать 1500 лексических единиц.

Основная цель обучения лексике на начальном этапе заключается в формировании устойчивого навыка правильного употребления лексических единиц. Как известно, к лексическим единицам относятся слова, устойчивые сочетания, клишированные обороты. В современной методической литературе лексические навыки определяются как «автоматизированные операции, связанные с использованием слова в нужном значении, с образованием слов от уже известных по слово-образовательным моделям и с узнаванием слова в чужой речи» [4; 57]

Таким образом, говорить о сформированном лексическом навыке можно тогда, когда обучаемый знает значение слова, его звуковую и графическую форму, словообразовательные возможности слова, формы словоизменения и сферу употребления данного слова.

Существенным фактором при формировании лексического навыка у иностранцев является определение оптимального объема лексических единиц, которые могут быть введены в течение одного занятия продолжительностью в полтора часа. С точки зрения психологов, на первых занятиях их количество может быть доведено до 20-25, а в дальнейшем варьироваться в зависимости от степени трудности усвоения предлагаемой лексики [1; 152].

При освоении лексической системы русского языка на начальном этапе учащиеся могут столкнуться с определенными трудностями, связанными с совпадением или несовпадением значений

слов родного и иностранного языка, характером структуры слова и другими факторами. Поэтому для эффективного обучения русскому языку немаловажной является грамотная методическая организация языкового материала, которая подразумевает группировку лексических единиц по типам трудности их усвоения. Примером такой группировки может быть типология, предлагаемая Н.В. Николаевым [4; 57-58]. Основой начального курса обучения лексике, на взгляд многих методистов, работающих в области преподавания РКИ, должны быть следующие темы:

1. Работа над грамматическими темами – время глаголов, глаголы движения, выражение принадлежности, состояния, предлоги с падежами, пространственные и временные предлоги, союзы и союзные слова.

2. Работа над лексическими темами: семья, дом (мебель, комната, качества и свойства, большой и маленький, много и мало, счет от 1 до 100, тело человека, животные, овощи, фрукты, ягоды, цвета предметов, посуда, одежда, еда, магазин, растения, транспорт, город/улица/деревня, природа, погода, время года, сутки, праздники и развлечения, музыка, спорт, школа/вуз, путешествие, у врача/в поликлинике, профессии.

Как видим, объем изучаемой лексики довольно таки большой, поэтому традиционно процесс формирования лексических навыков на занятиях по русскому языку как иностранному проходит в три этапа: 1) предъявление нового материала; 2) тренировка; 3) применение [4; 64-68].

Рассмотрим процесс работы над лексикой поэтапно.

1. **На этапе предъявления** новый материал может быть введен различными способами:

- в аудиотексте, составленном и прочитанном преподавателем;
- в подготовленной беседе;
- в отдельных предложениях;
- в виде списка слов;
- в тексте для чтения;
- в процессе подготовки учащихся к высказыванию.

2. **Этап тренировки** осуществляется с помощью упражнений. Цель тренировки – закрепление новых слов и словосочетаний, которые образованы на основе лексической совместимости компонентов.

Все тренировочные упражнения можно разделить на две группы:

1. упражнения, направленные на запоминание слова, его семантики в единстве с произносительной и грамматической формами;

2. упражнения, направленные на формирование навыка построения сочетаний слов.

К первой группе упражнений относятся задания такого типа:

- назовите предметы, которые изображены на картинке или фотографии;

- выберите из ряда слов одно, которое соответствует данной ситуации (теме);
- исключите из предлагаемого ряда слов одно, которое не соответствует данной ситуации;
- образуйте предложения с выделенным словом по образцу;
- употребите синоним к выделенному слову;
- употребите антоним вместо выделенного слова;
- ответьте на вопрос, употребив данное слово и т.д.

На этом этапе тренировки возможно использование игровых элементов. Обучаемым могут быть предложены такие задания:

- назовите как можно больше слов на тему...;
- назовите слово, соответствующее логическому определению;
- подберите сочетания из разбросанных слов.

3. На этапе применения учащиеся должны использовать новые слова в высказываниях, диалогической и монологической речи, понимать аудиотекст, понимать слова в тексте для чтения. Содержание работы на данном этапе составляют условно-речевые, ситуативные и контекстные упражнения с лексической направленностью.

Таким образом, обучение иностранцев лексике на начальном этапе должно обеспечивать формирование устойчивых навыков употребления лексических единиц в речи, обеспечивая возможность решения различных практических задач на уровне повседневного социально - бытового общения.

Большую роль в формировании лексического запаса у дошкольников и младшеклассников играют песни, рифмовки и выразительное чтение стихов на русском языке. Поэтому целесообразно при изучении новых слов использовать аудирование.

С самых первых занятий обучающимся вышеуказанной возрастной группы предлагается прослушивать песни, стихи для усвоения новой лексики и правильного произношения. При заучивании стихов, песен, рифмовок через аудирование необходимо пользоваться следующим алгоритмом разучивания:

1. Аудирование с опорой на наглядность (1-2 раза)
2. Поиск знакомых слов.
3. Отработка новых слов (хоровое повторение и индивидуальное)
4. Ответы на вопросы.
5. Совместное повторение текста.
6. Самостоятельное исполнение.

Такая последовательность работы позволяет активизировать слуховое восприятие и мыслительную деятельность, делая последующее запоминание стихотворения или песенки более осмысленным. Таким образом возникает связь между словом и предметом, фразой и действием, формируется привычка изъясняться на иностранном языке, что способствует в дальнейшем преодолению языкового барьера, который существенно мешает изучению языка.

Ведущим видом деятельности является игра. Конечно, элементы языковых игр на разном возрастном уровне отличаются друг от друга. Так, на занятиях дошкольников и младшеклассников необходимо вводить игры словесные, дидактические, подвижные, музыкальные, пальчиковые, сюжетно-ролевые, игры-драматизации. Для активизации лексики подходят каждые из них.

Начальный этап обучения РКИ взрослых подразумевает другой формат и содержание языковых игр. Решение учебных задач осуществляется в языковых, условно-речевых и речевых упражнениях с опорой. По способу выполнения упражнения делятся на имитационные, подстановочные, трансформационные и комбинаторные; по направленности на получение/выдачу информации – на рецептивные, рецептивно-репродуктивные и продуктивные.

Наличие коммуникативного задания в игровой форме - отличительная черта всех упражнений. Устное коммуникативное задание, нацеленное на репродукцию, содержит образец выполнения упражнения. Имитационные упражнения составляют ядро 1 этапа комплекса. Объект усвоения - отдельные лексические единицы и клише речевого этикета, воспринимаемые как единые речевые единицы.

Задача 1 этапа - накопление лексики, которая тематически организована.

Задачей 2 этапа является формирование, автоматизация и обеспечение условий переноса лексического навыка в новых учебно-речевых ситуациях. Сначала выполняются упражнения в подстановке, затем – в трансформации речевого образца. Решение речемыслительной задачи облегчается опорой на механизм аналогии. Форма усваивается в тесной связи с ее функцией при ведущей роли последней.

Задача 3 этапа - совершенствование речевых навыков в условно-речевых и речевых упражнениях с опорой на предмет, картинку, ситуацию. Коммуникативное задание этого этапа - ролевая игра в новых ситуативных условиях, предполагающих развитие умения решать коммуникативную задачу на основе имеющихся речевых средств.

ЛИТЕРАТУРА:

1. Акишина, А.А. Учимся учить: Для преподавателя русского языка как иностранного. М., 2002.
2. Щукин А.Н. Методика преподавания русского языка как иностранного. М., 2003

ბავშვთა მიმართ ძალადობა

ლუიზა მიდელაშვილი, მეგი გოგიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

ბავშვზე ძალადობა აქტუალური თემაა, ფსიქოლოგების განმარტებით, ძალადობა არის კონტროლისა და დათრგუნვის საშუალება, რომელიც მოიცავს სოციალურ, ემოციურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ, სექსუალურ იძულებას. ძალადობაა ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ან შეუღებოს კანონით მინიჭებული უფლებები. განსაკუთრებით ხშირია ოჯახში ძალადობის შემთხვევები, როდესაც მოძალადედ თვით ბავშვის მშობლები და ახლო ნათესავები გვევლინებიან, თუმცა ისინი ვერ ხვდებიან, რომ ძალადობენ საკუთარ შვილზე.

ვინ შეიძლება იყოს მოძალადე? ბავშვები ძალადობას განიცდიან სხვადასხვა პიროვნებებისგან, ხშირად მოძალადე მშობელია. მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ თითქოს მოძალადე ადამიანები არანორმალურნი არიან. ხშირად ისინი გარეშეებთან ურთიერთობაში სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან. მათ ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ: საკუთარი რისხვის კონტროლის უუნარობა. მათ შორის მაღალია ალკოჰოლიზმით და ნარკომანიით დაავადებულთა რიცხვი.

ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი? ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი მოპყრობის რისკ-ჯგუფებს შეადგენენ. გამოკვლევების თანახმად, რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა დედებიც სისტემატიურად განიცდიან ძალადობას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციით, განასხვავებენ ბავშვთა მიმართ არადირსეული ქცევის ორ ძირითად ფორმას: ძალადობას და უფლებებელყოფას. ძალადობის სახეებია: ფიზიკური, მენტალური, სექსუალური ძალადობა. ფიზიკური ძალადობა გულისხმობს დარტყმას, ხელის კვრას, ტრავმის მიყენების მცდელობას, გარდა ამისა, ფიზიკურ ძალადობად ითვლება თავდასხმა ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით. მენტალური ძალადობა არის არაფიზიკური, სიტყვიერი, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. სექსუალური ძალადობაში იგულისხმება გაუპატიურება, სისხლის აღრევა.

ბავშვთა ქცევითი ნიშნები ფიზიკური ძალადობის შემდეგ: ტრავმის წარმოშობის ახსნაზე უარის თქმა, სახლში დაბრუნების შიში, აგრესიულობა სხვებთან მიმართებაში, სისტემური გაცდენები სკოლაში, თვითშეფასების და პირადი ჰიგიენის დაბალი დონე. ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები - სისასტიკე და ძალადობა ადამიანთა საზოგადოებაში უძველესი დროიდან არსებობდა. ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც ბავშვების მიმართ არაადამიანური მოპყრობა სახელმწიფო დონეზე იყო დაკანონებული. რომის იმპერიის ძლიერების ხანაში მამას უფლება ჰქონდა საკუთარი შვილი სახლიდან გაეგდო, გაეყიდა მონად, შეეწირა მსხვერპლად და მოეკლა კიდეც. მიტოვებული ბავშვები მონებად იყიდებოდნენ, აიძულებდნენ პროსტიტუციას და მათხოვრობას. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფაბრიკებში, ობოლი ბავშვების უფასო შრომას იყენებდნენ, რომლებიც დაზგებთან ყოველდღიურად 10 საათს ატარებდნენ, ხოლო რომ არ გაქცეულიყვნენ, კედელზე ჯაჭვით აბამდნენ.

ბავშვთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს პიროვნული, სოციალური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა 4 ძირითადი კატეგორია: ძალადობრივი ქცევის გადაცემა თაობიდან თაობაზე; სოციალური მდგომარეობით გამოწვეული სტრესი; სოციალური იზოლაცია; ოჯახის სტრუქტურა.

ძალადობის გამომწვევი მიზეზები:

- 1) დაბალი კულტურა და განათლება;
- 2) მშობელთა მენტალური პრობლემები;

- 3) დაბალი ეკონომიკური შემოსავალი, სიღარიბე;
- 4) მშობელთა ფსიქიკური დაავადებები;
- 5) ხშირი ოჯახური კონფლიქტი;
- 6) ჩაკეტილი ცხოვრების წესი.

ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები: ბავშვთა მიმართ ძალადობას და უგულვებელყოფას აქვს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შედეგები. რომელიც მთლიანად ამახინჯებს ბავშვის ცხოვრებას, მის პიროვნებას. უარესდება ბავშვის ჯანმრთელობა, ბავშვი ვერ აღწევს წარმატებას განათლებასა და პირად ცხოვრებაში, მას უჩნდება სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები, ვერ ეგუება მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ცვლილებებს, საფრთხე ექმნება ბავშვის შემდგომ ეკონომიკურ კეთილდღეობას. ადრეულ ასაკში ბავშვზე ძალადობა თავის ტვინის სტრუქტურის შეცვლას იწვევს და მთელ მის ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე ზრდასრული კრიმინალების 70% ბავშობაში ძალადობა გადატანილია. ძალადობის შედეგები აისახება არამარტო პიროვნულ, არამედ სახელმწიფო დონეზეც, ვინაიდან მსხვერპლთა პრობლემების მოგვარება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან. იგულისხმება: სამედიცინო დახმარება მწვავე შემთხვევებში, სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა და საზოგადოება შეამფოთა იმ ფაქტმა რომ ახალგაზრდები, რომელთა შორის არასრულწლოვანთა რიცხვი მაღალია, ქმნიან დაჯგუფებებს, სექტებს და იკრიბებიან უცნაურ, მიტოვებულ ადგილებში. მათ არა აქვთ სახლში მისვლის სურვილი... სწორედ ოჯახური პირობები, მშობლების დამოკიდებულება უბიძგებს მათ შექმნან საკუთარი სამყარო, რომელიც კიდევ უფრო თრგუნავს მათ, თუმცა შესაძლებელია სრულიად ჯანსაღი ოჯახური გარემოს მქონე ბავშვებიც იყვნენ ჩართულნი, სამეგობრო წრის ზემოქმედებით.

ძალადობის სტატისტიკა: სოციალური მომსახურების სააგენტოს კვლევების მიხედვით ვხედავთ, რომ სხვადასხვა ფორმის ძალადობის ფაქტები ყოველწლიურად იზრდება. სოფელსა თუ ქალაქში უამრავი ბავშვი ხდება ძალადობის მსხვერპლი. ძალადობის უპირველესი კერა ოჯახია. ბავშვის აღზრდის პროცესში, ფიზიკურ დასჯას მშობელთა 45% დასაშვებად მიიჩნევს, ყოველი მეორე ქართველი თვლის რომ აღზრდის მკაცრი მეთოდი ბევრად ეფექტურია. ბავშვთა აღზრდის დროს მშობელთა უმრავლესობა ორიენტირებულია პროცესზე და არა შედეგზე. გამოცდილება გვიჩვენებს რომ ძალადობის მსხვერპლი მომავალში თვითონ ხდება მოძალადე. კვლევების თანახმად საქართველოში ძალადობა განცდილი აქვს ბავშვების 80%, რომლის საფუძველზეც მთავრობის მიერ გამოიცა ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობისა და რეფერირების შესახებ“ რომელიც მიზნად ისახავს სათანადო მექანიზმების შექმნას ბავშვთა ძალადობის შემთხვევაში, თუმცა ამის მიუხედავად ვხედავთ რომ ძალადობის სტატისტიკა იზრდება.

ღონისძიებები: ფაქტები რომლებიც ბავშვთა ძალადობას ეხება რეაგირების გარეშე არ რჩება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოების და ხელისუფლების რეაგირება საკმარისი არ არის. 19 ნოემბერი ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღეა, ხოლო 1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღე, იგი აღინიშნება ყველა ქვეყანაში. ტარდება გასართობი, სპორტული, კულტურული ღონისძიებები, ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვის.

მსოფლიოში მრავალი ორგანიზაციაა შექმნილი ბავშვთა უფლებების დასაცავად, მათ შორისაა: გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზაცია, რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს, ასევე ცდილობს დააკმაყოფილოს მათი ძირითადი საჭიროებები, იგი 1946 წელს დაარსდა და ხელმძღვანელობს ბავშვის უფლებათა კონვენციით. ბავშვებისთვის, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, ცხოვრობენ სიღატაკეში, UNICEF-ი ახორციელებს პროექტებს, რომლითაც შესაძლებელი ხდება განათლების მიღება, საზოგადოებაში ინტეგრირება. იგი ცდილობს უკეთესი მომავლის იმედი ჩაუსახოს ბავშვებს. IUNICEF-ი აქტიურად მოღვაწეობს საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს ბავშვების მიმართ. UNICEF-ს მინიჭებული აქვს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

„დაარღვიე ღუმელი! შეაჩრე ძალადობა“ - ამ ლოზუნგით გამოდის დღეს მრავალი ცნობილი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებებით, მუსიკალური რგოლებით, რეკლამებით, აპროტესტებენ და გმობენ ძალადობას.

ჩვენი, როგორც მოქალაქის მისიაა: შევამციროთ ბავშვთა მიმართ ძალადობა და თითოეული მათგანი საზოგადოების სრულყოფილ წევრად ვაქციოთ, მსხვერპლ ბავშვებს აღმოვუჩინოთ ფსიქოლოგიური დახმარება და რაც მთავარია, როდესაც ჩვენს ირგვლივ ხორციელდება ნებისმიერი სახის ძალადობა, აუცილებლად უნდა მივმართოთ შესაბამის სტრუქტურებს და შევასრულოთ მოქალაქის ვალი. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ჩვენ სიტყვას აქვს ძალა. ეს არის ბავშვთა დახმარების ხაზი - 116 111, ჩვენ ვგმობთ ძალადობას! არა ძალადობას!

თუმცა ბავშვების აღზრდაში რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს ვხვდებით, როდესაც მშობელი, აღზრდელი, დემოკრატიული აღზრდის მეთოდებს იყენებს, ანიჭებს მათ თავისუფლებას, ასეთ შემთხვევაში ბავშვები უფრო გახსნილები და პოზიტიურები არიან.

რჩევები მშობლებს:

- თუ მშობლები შვილის მეგობრები იქნებიან, ის კეთილი ადამიანი გაიზრდება;
- ემოციურად ძალიან ბევრს აძლევენ პატარას, ყველაფერ საუკეთესოს აკეთებენ მისთვის;
- მსუბუქები არიან ბავშვთან ურთიერთობაში და მას საზრიანობას უფითარებენ;
- სწრაფად ამყარებენ ბავშვთან ემოციურ კონტაქტს და მის აღზრდას სერიოზულად უდგებიან;
- თუ ბავშვის აღზრდას მეტისმეტად სერიოზულად უდგებით, ბავშვს შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ მშობელი თავისუფლებას უზღუდავს;

• შეეცადეთ, ბავშვს გაუფართოოთ ინტერესების სფერო, დაეხმარეთ, რომ განუვითარდეს როგორც შემოქმედებითი, ასევე ლოგიკური აზროვნება;

- ბავშვთან სრული ურთიერთგაგება უნდა გქონდეთ;
- მეგობრული მშობლები ბავშვის შინაგან სამყაროზე დადებით გავლენას ახდენენ;
- ისწავლეთ შვილის მოსმენა. ბავშვის მიმართ იყავით მოსიყვარულე და ყურადღებიანი.

ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, ვიყავით მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სადაც შევხვდით ძალიან მსხვერპლ ბავშვებს. ისინი კონტაქტში ვერ შემოდიოდნენ, აღზრდელმა კი ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოგვაწოდეს მათ შესახებ კონფედენციალობის გამო. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება უშუალოდ გავსაუბრებოდით, სურათები გადაგვეღო.

24 მაისს ჩავატარეთ ღონისძიება თემაზე „ჩვენ ვართ მსოფლიო, ჩვენ ვართ ბავშვები“. სადაც სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კატეგორიის ბავშვებმა (სკოლის მოსწავლეები, უნარ შეზღუდულები, ასევე ჩვენი რესპონდენტები) მათ ძალიან იმხიარულეს, იცეკვეს, იმღერეს, ალბათ დიდ ხანს ემახსოვრებათ მათ ცხოვრებაში ეს განსხვავებული დღე. წასვლისას მათ გამოთქვეს ჩვენთან დამეგობრების სურვილი. ჩვენ მათთან გავაგრძელებთ ურთიერთობას, რათა მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, რომ მათ დაიძვიდრონ თავი საზოგადოებაში, მოხდეს მათი სოციალიზაცია.

გაეროს ბავშვთა ფონდმა მსოფლიოს 29 ქვეყანაში ჩაატარა კვლევა, რათა გაერკვია სად ცხოვრობენ ყველაზე ბედნიერი ბავშვები. გაირკვა 5 ქვეყანა რომლებიც ბავშვებისთვის ნამდვილი სამოთხეა დედამიწაზე:

ჰოლანდიაში კვლევების თანახმად ბავშვების ბედნიერებისთვის ყველაზე მეტად ზრუნავენ. განსაკუთრებით დიდ როლს სახელმწიფო თამაშობს. ბავშვის დაბადების შემდეგ მშობელს შეუძლია 4 წლამდე იყოს ბავშვთან. ამასთან, ბავშვების სურვილებს ყოველთვის ითვალისწინებენ ძალიან პატარა ასაკშიც კი.

ფინეთში ბავშვის ემოციურ განვითარებას დიდი სიფრთხილით უდგებიან, მეშვიდე კლასამდე მოსწავლეები არ აბარებენ გამოცდებს, არ აფასებენ მათ არც ერთი კუთხით, არ ყოფენ კარგ და ცუდ კატეგორიებად. ისინი უბრალოდ უყვართ და უხარიათ მათი წარმატება.

ბელგიაში ბავშვები აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან. უფროსები დარწმუნებულები არიან რომ ბავშვებმა უნდა ისწავლონ დამოუკიდებლად ცხოვრება, რაც შეიძლება ადრე. ბავშვის ინიციატივებს ბელგიაში ყოველთვის დადებითად ხვდებიან.

ნორვეგია ლიდერია იმ ქვეყნებს შორის, სადაც დედობისთვის და ბავშვის გაზრდისთვის სახელმწიფო საუკეთესო პირობებს ქმნის. ქვეყანაში გამორიცხავენ აღზრდისას ყოველგვარ სიმკაცრეს, გოგონებს და ბიჭებს არ ყოფენ ერთმანეთისგან. არანაირი აკრძალვა, გენდერული გრადაცია ქვეყანაში არ არსებობს.

შვეიცარიაში მშობლები ბავშვების კეთილდღეობისთვის ბევრს ზრუნავენ, სკოლამდელ ასაკში ბავშვებს უშვებენ სკოლა-პანსიონატებში, რომლებიც უნიკალური მეთოდებით მუშაობენ, ცდილობენ ბავშვებს ყველა მეცნიერება ნელ-ნელა და სიამოვნებით ასწავლონ, არ არის შეჯიბრი კარგი შეფასებისთვის...

ბავშვები არ უნდა ცხოვრობდნენ ბავშვობის გარეშე.

ლიტერატურა:

- 1) შოთა მალაზონია, „პედაგოგიკა“, თბ., 2001.
- 2) გულნაზი ხუხუა, „პედაგოგიკა“, თბ., 2009.
- 3) მამია ყოლბაია, „ძნელად აღსაზრდელი ბავშვები“, თბ., 1985.
- 4) <http://www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/5998-rogori-mshoblebi-kharth-da-rogori-bavshvoba-aqvsthqvens-shvils-astrockhrilis-shedegebi.html>

- 5) <http://fortuna.ge/5-qveyana-sadac-msoflioshi-yvelaze-bednieri-bavshvebi-ckhovroben/>
 6) <http://www.ambioni.ge/zaladoba-bavsvebze>
 7) <http://www.radiotavisupleba.ge/content/bavshvebze-dzaladobis-statistika/27022681.html>
 8) <http://rcs.ge/?p=783>

გაკვეთილის გეგმის შედგენის სტრატეგიები

ლიკა ცერამე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
 სწავლების პირველი წლის სტუდენტი
 ხელმძღვანელი: ნელი ჭამპურიძე, პროფესორი

თანამედროვე მსოფლიოში საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება არის მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ინტერაქტიური, უნდა იყოს. მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდიკა ემსახურება ბავშვის შინაგანი ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას, მის პიროვნულ ზრდა-განვითარებას.

ინტერაქტიური მეთოდიკა საშვალეებს გვამძლევს გავაქტიუროთ მოსწავლის შემეცნებითი საშუალებები, ხელი შევუწყოთ კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარებას. მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდიკა ეფუძნება ცხოვრებასა და გამოცდილებას, საკუთარი ძალების მოსინჯვასა და თანამშრომლობას.

სანამ დავიწყებთ გაკვეთილის გეგმაზე მუშაობას, სამი კითხვა დავუსვათ საკუთარ თავს:

1. რას უნდა მიაღწიონ ჩვენმა მოსწავლეებმა? (შედეგი)
2. როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს?
3. როგორ გავიგოთ მიღწეულია თუ არა სასურველი შედეგი?

ამის შემდეგ დავიწყებთ გეგმის შედგენა. დაგეგმვის პროცესში, ყველა ეტაპზე, უნდა გამოვიყენოთ შემოთავაზებული შეკითხვები, რაც დაგვეხმარება თვალნათლივ წარმოვიდგინოთ მთელი გაკვეთილის მსვლელობა.

მიზანი

გაკვეთილის მიზანი განსაზღვრავს შედეგს - რას უნდა მიაღწიონ თქვენმა მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში.

რა არის გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები?

- რა მიზნები გაქვთ კონკრეტულ გაკვეთილზე?
- რას ველით მოსწავლეებისაგან? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ გაკვეთილის ბოლოს?

ამოცანები

ამ ეტაპზე მასწავლებელმა უნდა ჩამოაყალიბოს, რას გააკეთებენ მისი მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობისას.

- რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში?
- რომელ ეტაპზე უნდა დამთავრდეს გარკვეული სამუშაო?
- რა კრიტერიუმები გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად?
- როგორ მოხდება მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირება?

აუცილებელი პირობები:

ამ ეტაპზე განისაზღვროს, მზად არიან თუ არა მოსწავლეები მომავალი აქტივობის ჩასატარებლად. რა ცოდნა უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს ამ გაკვეთილამდე.

- რომელი საკითხები უნდა დაამუშაონ წინასწარ, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიონ?

მასალა:

ამ ეტაპს ორი ფუნქცია აკისრია: მასწავლებლის მიერ უნდა განისაზღვროს მოსამზადებელი დრო და ის რესურსები, რაც მას სჭირდება გეგმის წარმატებით განსახორციელებლად - (წიგნები, ციტატები, სამუშაო სქემები და სხვა თვალსაჩინოება).

- რა მასალაა საჭირო?
- რა ლიტერატურაა საჭირო? (სრული ბიბლიოგრაფია)
- როგორ უნდა მომზადდეს და დაიგეგმოს სამეცნიერო და პრაქტიკული სამუშაოები?

გაკვეთილის აღწერა:

სასურველია, მასწავლებელმა იმგვარად აღწეროს გაკვეთილის მსვლელობა, რომ იგი, სურვილის შემთხვევაში, მისმა კოლეგებმაც გამოიყენონ.

- რა არის მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილში?
- რით შევძლებთ მოსწავლეთა დაინტერესებას?
- სწავლების რომელი დონეა გათვალისწინებული გაკვეთილზე ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, თუ შეფასება.

გაკვეთილის პროცედურა (მსვლელობა):

გეგმის ეს ნაწილი წარმოადგენს გაკვეთილის დეტალურ აღწერას. როგორ უნდა განვახორციელოთ გაკვეთილის მიზნები. როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე. ეს პროცესი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, მთავარი აქტივობა, (ძირითადი ნაწილი) და დასკვნითი ნაწილი.

შესავალი:

- როგორ გავაცნოთ მოსწავლეებს გაკვეთილის იდეებს და მიზნებს?
- როგორ მოვახერხოთ მოსწავლეთა პროვოცირება?
- როგორ შევძლოთ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება და მოტივაცია?
- როგორ დავუკავშიროთ გაკვეთილის მიზნები მოსწავლეთა ინტერესებს?
- რა ელის მოსწავლეებს?

ძირითადი ნაწილი:

- რა არის გაკვეთილის მთავარი თემა?
- რას აკეთებს მასწავლებელი იმისათვის, რომ უფრო მარტივი და საინტერესო გახადოს გაკვეთილი? რა ხერხებს იყენებს?
- საილუსტრაციო მაგალითების ჩამოთვლა.
- როგორ უნდა წარიმართოს პრეზენტაცია, რათა მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ მიღებული ცოდნის საჭიროება?

ბლუმის ტაქსონომია

„ბლუმის ტაქსონომია არის პედაგოგიური მიზნებისათვის შექმნილი კოგნიტური (შემეცნებითი) იერარქიული სისტემა. მისი ავტორია ამერიკელი პედაგოგი და ფსიქოლოგი ბენჯამენ ბლუმი. ტაქსონომია ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. იგი ბერძნული სიტყვაა (Taxis და nomos), რაც ნიშნავს დიფერენცირებას რიგისა და კანონის მიხედვით. ტაქსონომია ბიოლოგიურ ტერმინთა ნუსხიდანაა ნასესხები და აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისკენ“. [1-22] ამრიგად, ბლუმის ტაქსონომია აზროვნების განვითარებული ექვსსაფეხურიანი მოდელია:

- 1. ინფორმაციის ცოდნა, ფაქტების გახსენება** - ამ ეტაპზე (საწყისი საფეხური) მოსწავლემ გონებაში უნდა აღადგინოს ინფორმაცია, რომელიც რაიმე ნიშნით უკავშირდება საგაკვეთილო თმას... (შესასწავლი მასალის გახსენება).
 - 2. გაგება** - მოსწავლე კომუნიკაციის გზით შეიმეცნებს ახალ მასალას და იძენს ცოდნას (მასალის არსში წვდომის უნარი).
 - 3. გამოყენება** - მოსწავლე იყენებს მიღებულ ცოდნას. (ნასწავლი მასალის ახალ და კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების უნარი).
 - 4. ანალიზი** - მოსწავლე ნაწილებად შლის მიღებულ ცოდნას (მთლიანი მასალის დანაწილება კონსტიტუენტებად ისე, რომ მთლიანი ორგანიზებული სტრუქტურა იყოს გასაგები).
 - 5. სინთეზი** - მოსწავლე ამთლიანებს ელემენტებსა და ნაწილებს. (ნაწილების დაკავშირების და ერთ მთლიანობად ჩამოყალიბების უნარი).
 - 6. შეფასება** - მოსწავლე აფასებს მასალას, მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა დასახული მიზნის მისაღწევად (იმსჯელებით, რამდენად ღირებულია მასალა დასახული მიზნის მისაღწევად).
- სასურველია, მასწავლებელმა სამუშაო პრინციპად აქციოს აზროვნების სხვადასხვა დონის განმავითარებელი შეკითხვების თანმიმდევრული გამოყენება.


წესი №1

გაითვალისწინე, რას სწავლობს და ამუშავებს მოსწავლე (წერს ფორმულას, კონცეფციას /ფაქტს/ იდეას, ახალ უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას საკითხისადმი, თუ ღირებულებას).

გაკვეთილისთვის ამოვირჩიოთ ჩამონათვლიდან რამოდენიმე ტექნიკა:

- **დემონსტრირება** - დაწვრილებით და თანმიმდევრულად აღწერა მოქმედების ყველა დეტალისა;
- **ახსნა** - ასახსნელი ინფორმაციის განსაზღვრა;
- **დისკუსია** - დისკუსიის წასამართი ძირითადი კითხვების ჩამოწერა;

შემოგთავაზებთ ზმნებს, რომლებიც გაგიადვილებთ კითხვის დასმას აზროვნების სხვადასხვა საფეხურზე: ინფორმაციული ცოდნის აღსადგენად საჭირო კითხვებიდან (უიოლესი) - შეფასების ჩასატარებლად საჭირო კითხვებამდე (ურთულესი).



დასკვნითი ნაწილი:

- რას გამოიყენებთ აზრების შეჯამებისათვის გაკვეთილის ბოლოს?

როგორ განახორციელებთ უკუკავშირს მოსწავლეებთან (ხარვეზების შესავსებად და ცოდნის გასამტკიცებლად)?

შემდგომი გაკვეთილები / აქტივობები:

- რა აქტივობები გამოიყენება ახსნილი მასალის ასათვისებლად?
- რომელი გაკვეთილები მოყვება ამ გაკვეთილს?

შეფასება:

ამ ნაწილში აისახება მიღწეული შედეგები. სასურველია, თავი მოვუყაროთ მოსწავლის მიერ ამ თემაზე შესრულებულ ნამუშევრებს (საშინაო დავალებების, თხზულებების, პლაკატების, ნახატების და სხვა). ყოველთვის შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სხვადასხვა გზით: (რუბრიკები, ტესტი, საქაღალდე, ზეპირი გამოკითხვა და სხვა).


- როგორ შეაფასებთ დასახულ მიზნებს?
- იციან თუ არა მოსწავლეებმა, როგორ, რა კრიტერიუმებით შეაფასებს მათ მასწავლებელი?

წესი №2

მოსწავლეებს გააცანით, რას შეაფასებთ და როგორ. შეფასების დროს მიზანშეწონილი არ არის მიაწოდოთ ახალი მასალა, თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განამტკიცოთ.

სრულყოფილი შეფასებისათვის მასწავლებელს მრავალი ხერხი უნდა ჰქონდეს თავის არსენალში. მაგ., გაზეთის შექმნა, ესეს დაწერა, გამოფენის მომზადება, საქაღალდის შექმნა განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებით. შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამკუთხედში.

სწავლების მიზნები და შინაარსი



შეფასება პედაგოგს ეხმარება, დაადგინოს მიღწევათა დონეები და შეიმუშაოს სწავლების გზები, ასევე ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, უკეთ გაიგონ ერთმანეთი.

ლიტერატურა:

1. მასალები ინტერაქტიული სწავლებისათვის, სკოლიდან – სამოქალაქო საზოგადოებისაკენ, თბ., 2003.
2. ინასარიძე მ., ნაჭყებია მ., ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბ., 2007.
3. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
4. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
5. სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008.
6. კითხვისა და წერის მეთოდები, თბ., 2007.
7. საკვანძო კომპონენტები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის. ევროპული ჩარჩო ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები, 2006.
8. თერნბული ჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
9. მარზანო ჯ., ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
10. როგორ ვასწავლოთ მასწავლებლებს აზროვნება, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი, 2007.
11. პიტერ ბრეტი, პასკალ მომპონტ-გელადი, მარია ელენა სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, 2009.
12. <http://www.ascd.org>

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

მობილური სატელეფონო სისტემების განვითარების ტენდენციები

ნინო ბალიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ციური ნოზაძე, ასოცირებული პროფესორი

ტრადიციული სატელეფონო სისტემები, რომლებიც ერთ მშენიერ დღეს შეიძლება სრულად გადავიდნენ ოპტიკურ-ბოჭკოვან სადენებზე, ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებენ მგზავრობაში მყოფი მომხმარებლების მოთხოვნებს. ადამიანებს სურთ დაურეკონ ან დაუკავშირდნენ ინტერნეტს ავტომობილებში, აეროპორტებში და სხვა, შესაბამისად არის დიდი ინტერესი უსადენო ტელეფონიზაციის მიმართ.

მობილური ტელეფონები გამოიყენება ხმებისა და მონაცემების (ინტერნეტი, ელ. ფოსტა და სხვა) ფართო არეალში. გადასაცემად ამ მომენტისათვის არსებობს მობილური ტელეფონების 4 სხვადასხვა თაობა, რომლებსაც 1G, 2G, 3G, 4G უწოდებენ.

პირველი თაობის 1G მობილური ტელეფონები უზრუნველყოფდნენ ხმის ანალოგურ გადაცემას, მეორე თაობის 2G მობილური ტელეფონები უზრუნველყოფდნენ ხმის ციფრულ გადაცემას, მესამე თაობის 3G მობილური ტელეფონები კი უზრუნველყოფენ ხმის და მონაცემების ციფრულ გადაცემას, განვიხილოთ მობილური კავშირის განვითარების ისტორია და მობილური კავშირის სხვადასხვა საშუალებები.

მობილური ტელეფონი – ტელეფონი, რომელსაც ფართო გეოგრაფიულ არეალში მოძრაობის მიუხედავად, რადიოსიგნალის საშუალებით შეუძლია სატელეფონო ზარების მიღება და განხორციელება. მოწყობილობა ამას ფიჭური კავშირის საშუალებით აკეთებს, რასაც მობილური ტელეფონის ოპერატორი უზრუნველყოფს. ამის საპირისპიროდ, არსებობს რადიოტელეფონი, რომელიც მხოლოდ მოკლე მანძილზე, საკუთარი საბაზო სადგურის ახლომახლო მოქმედებს.

გარდა სატელეფონო ფუნქციისა, თანამედროვე მობილურ ტელეფონებს სხვა მრავალი სერვისის მხარდაჭერაც აქვს, მათ შორისაა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მულტიმედიური შეტყობინებები (MMS), ელექტრონული ფოსტა, წვდომა ინტერნეტთან, ახლო მანძილის უკაბელო კომუნიკაციები (infrared, Bluetooth), ბიზნეს აპლიკაციები, თამაშები და ფოტოგრაფია. მობილურ ტელეფონებს, რომელთაც ეს და სხვა ზოგადი კომპიუტერული შესაძლებლობები აქვს, სმარტფონი ეწოდება.

პირველი ხელით სატარებელი ტელეფონი 1973 წელს კომპანია მოტოროლას თანამშრომლებმა, ჯონ ფრენსის მიტჩელმა და დოქტორმა მარტინ კუპერმა წარმოადგინეს. მათ შექმნეს მოწყობილობა, რომელიც 2 ვილოგრამს იწონიდა. 1983 წელს, გამოვიდა პირველი კომერციული მობილური Motorola DynaTAC. 1983-დან 2014 წლამდე, მობილური ტელეფონების რაოდენობა წლიდან 7 მილიარდამდე გაიზარდა; პროპორციულად 100%-ით მოიცვა მსოფლიო მოსახლეობა და ეკონომიკური პირამიდის ფსკერამდე დავიდა. 2014 წლისათვის, მობილური ტელეფონების მოწინავე მწარმოებლები იყვნენ Samsung, Nokia, Apple და LG.

მობილური ტელეფონების განვითარება თანმიმდევრული თაობებით იწყება „0G“-დან (0 თაობა), რომელიც ფიჭური არ იყო, ჰქონდა რამდენიმე ერთდროული ზარის მხარდაჭერა და საკმაოდ ძვირი იყო. პირველი თაობის სისტემებს („1G“) გააჩნდა ოდნავ მეტი 0G-ზე მხარდაჭერა, მაგრამ ჯერ კიდევ ანალოგურ ტექნოლოგიებს იყენებდნენ. 1991 წელს ფინეთში, კომპანია Radiolinja-მ GSM სტანდარტში გაუშვა მეორე თაობის (2G) ციფრული ფიჭური ტექნოლოგია, ხოლო 2001 წელს იაპონიაში, კომპანია NTT DoCoMo-მა გაუშვა მესამე თაობის (3G) ქსელი. ამას მოჰყვა 3.5G და 3G+ ქსელები, რომლებიც მონაცემთა უსწრაფესი გადაცემის შესაძლებლობები გააჩნდა.

პირველი ფერადეკრანიანი ტელეფონი 1997 წელს გამოვიდა, ხოლო პირველი ორ ბარათიანი მობილური – 1999 წელს. 2009 წლისთვის ნათელი გახდა, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, 3G ქსელები უძლური იყო ისეთი ინტენსიური გამტარუნარიანობის აპლიკაციების წინაშე, როგორცაა მაგალითად სტრიმინგ-მედია. თანდათანობით, ინდუსტრიამ მონაცემების ოპტიმიზების მიზნით მე-4 თაობის ტექნოლოგიებზე მუშაობა დაიწყო, რომლის სიჩქარეც არსებულ 3G ტექნოლოგიებზე ათჯერ სწრაფი უნდა ყოფილიყო. კომერციულად ხელმისაწვდომი პირველი ორი ტექნოლოგია, რომელიც 4G-დ შეირაცხა, იყო WiMAX (გაუშვა კომპანია Sprint-მა აშშ-ში), რომელიც მომხმარებლებს პირველად სკანდინავიაში, კომპანია TeliaSonera-მ შესთავაზა.

როდის ამოქმედდა პირველი მობილური ოპერატორი საქართველოში? პირველი მობილური ოპერატორი „მეგაკომი“ საქართველოში ამოქმედდა 1996 წელს. ეს იყო მობილური კავშირგაბმულობის, პირველი თაობის ამერიკულ “AMPS” ტექნოლოგიაზე აგებული სისტემა. 1997 წლის მარტში ამოქმედდა კომპანია „ჯეოსელის“ მობილური კავშირგაბმულობის ქსელი. 1997 წლის სექტემბერში ამოქმედდა კომპანია „მაგთიკომის“ მობილური კავშირგაბმულობის ქსელი.

მობილურ ტელეფონებს მრავალი საერთო მახასიათებელი გააჩნია, თუმცა მწარმოებლები მუდმივად ცდილობენ დამატებითი ფუნქციების შექმნით საკუთარი პროდუქტი განასხვავონ, რათა ის მომხმარებლისათვის უფრო მიმზიდველად იქცეს. ამ ყველაფერმა, ბოლო 20 წლის მანძილზე, მობილური ტელეფონების განვითარებაში უდიდესი ინოვაციები შეიტანა.

ყველა ტელეფონისათვის დამახასიათებელი საერთო კომპონენტებია:

- ბატარეა, რომელიც ტელეფონის ფუნქციების კვების წყაროა;

• შეყვანის მექანიზმი, რომელიც მომხმარებლებს ტელეფონთან ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს. ყველაზე გავრცელებული შეყვანის მექანიზმია პატარა კლავიატურა, მაგრამ სმარტფონთა უმრავლესობა სენსორულ ეკრანს იყენებს;

• ეკრანი, რომელიც აჩვენებს მომხმარებლის მიერ შესრულებულ ოპერაციებს, ტექსტურ შეტყობინებებს, კონტაქტებს და ა. შ.;

• უმთავრესი — მობილური ტელეფონის სერვისი, რომელიც მომხმარებლებს დარეკვისა და ტექსტური შეტყობინების გაგზავნის საშუალებას აძლევს;

• GSM ტელეფონები სერვისებზე წვდომისათვის სიმ-ბარათს იყენებს, ზოგიერთი CDMA მოწყობილობას კი ასევე აქვს მსგავსი ბარათი, რომელსაც R-UIM-ს უწოდებენ;

• ინდივიდუალური GSM, WCDMA, iDEN და ზოგიერთი თანამგზავრული მოწყობილობები უნიკალურადაა იდენტიფიცირებული International Mobile Station Equipment Identity (IMEI) კოდით.

ტელეფონების ზოგიერთი სერია შემუშავდა ბაზრის მოცემული სეგმენტისათვის, მაგალითად, BlackBerry, რომელიც ფოკუსირებულია ელ-ფოსტის საჭიროების მქონე საწარმოო და კორპორატიულ მომხმარებლებზე; Sony-Ericsson-ის „Walkman“-ი მუსიკის მოყვარულებზე; Cybershot სერია კი კამერა-ტელეფონებზე; მულტიმედიურ ტელეფონებს შორისაა Nokia Nseries და ა. შ.

მობილურ ტელეფონებზე ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოყენებადი მონაცემთა აპლიკაციაა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გზავნა. პირველი SMS შეტყობინება 1992 წელს კომპიუტერიდან ტელეფონზე გააგზავნეს გაერთიანებულ სამეფოში, ტელეფონიდან ადამიანმა ადამიანს კი SMS პირველად 1993 წელს გაუგზავნა ფინეთში.

2000 წელს, SMS-ის გამოყენებით, ფინეთში გაეშვა პირველი მობილური ახალი ამბების სერვისი.

სიმ-ბარათი



მობილური ტელეფონის ტიპური სიმ-ბარათი

GSM მახასიათებლის მქონე ტელეფონი ფუნქციონირებისათვის საჭიროებს მიკროჩიპს, რომელსაც Subscriber Identity Module-ს ან შემოკლებით სიმ-ბარათს (SIM) უწოდებენ. სიმ-ბარათი დაახლოებით პატარა საფოსტო მარკის ზომისაა და როგორც წესი, ტელეფონის ბატარეის ქვეშ თავსდება. SIM-ი უსაფრთხოდ ინახავს service-subscriber key (IMSI)-სა და Ki-ს, რომლებიც მობილური ტელეფონის მომხმარებლის იდენტიფიცირებისა და აუთენტიფიკაციისათვის გამოიყენება. სიმ-ბარათი მომხმარებელს საშუალებას აძლევს სულ ადვილად გამოცვალოს მობილური ტელეფონი, უბრალოდ, საჭიროა მისი ამოღება და ახალ მოწყობილობაში გადატანა.

პირველი სიმ-ბარათი 1991 წელს მიუნხენის სმარტ-ბარათების მწარმოებელმა კომპანიამ დაამზადა ფინურ ოპერატორ Radiolinja-სათვის.

აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, მსოფლიოში უდიდესი მობილური ოპერატორია China Mobile, რომელსაც 500 მილიონზე მეტი აბონენტი ჰყავს. 2009 წლის მონაცემებით, უმსხვილესი 50 მობილური ოპერატორიდან თითოეულს 10 მილიონზე მეტი აბონენტი ჰყავდა, 150 ოპერატორს კი მინიმუმ 1 მილიონი. 2014 წელს, მსოფლიოში სულ 7 მილიარდზე მეტი აბონენტი იყო და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება.

2010 წლამდე ბაზრის ლიდერი ნოკია იყო. თუმცა, მას შემდეგ რაც შეჯიბრში აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი ჩაერთო ისეთი ბრენდებით, როგორებიცაა Micromax, Nexian და i-Mobile, ნოკიამ ბაზრის დიდი წილი დაკარგა. ნოკიას ბაზარზე შეიჭრა და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ანდროიდზე მომუშავე სმარტფონებმა. ამავე პერიოდში, ფინური კომპანიის ბაზრის წილი 56 %-დან 31 %-მდე დაეცა ინდოეთშიც. მისი წილი ძირითადად ჩინურმა და ინდურმა იაფფასიანმა მობილურებმა დაიკავა.


Strategy Analytics-ის მონაცემებით, 2012 წლის პირველ კვარტალში ნოკიას სამსუნგმა გაუსწრო, კორეულმა კომპანიამ 93.5 მილიონი ტელეფონი გაყიდა, ფინურმა კი 82.7 მლნ. ამავე დროს, ამერიკულმა საფინანსო კომპანია Standard & Poor's-მა ნოკიას „ცუდ“ სტატუსამდე, BB+/B-მდე დააქვეითა, რადგან კომპანიას განიციდა დიდ დანაკარგებს, ლუმინას ხაზის სმარტფონები კი ვერ ანაზღაურებდა იმ დანაკარგებს, რაც მისთვის Symbian სმარტფონებს მოჰქონდა.

2014 წლის მე-3 კვარტალში ტოპ-10 მწარმოებელი იყო: Samsung (20.6%), Nokia (9.5%), AppleInc. (8.4%), LG (4.2%), Huawei (3.6%), TCLCommunication (3.5), Xiaomi (3.5%), Lenovo (3.3%), ZTE (3.0%) და Micromax (2.2%).

მობილური ტელეფონების მწარმოებელთა ხუთეული, 2013			
რანგი	მწარმოებელი	Gartner	IDC
1	Samsung	24.6%	24.5%
2	Nokia	13.9%	13.8%
3	Apple Inc.	8.3%	8.4%
4	LG	3.8%	3.8%
5	ZTE	3.3%	-
5	Huawei	-	3.0%
	სხვები	34.0%	46.4%

სმარტფონები მობილურის აქტიური მომხმარებლები ყოველ 100 მოსახლეზე. წყარო: ITU სმარტფონებს გარკვეული განმასხვავებელი მახასიათებლები აქვს, თუმცა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის საზომით, ეს ის მობილურებია, რომლებსაც აქვს ინტერნეტ-კავშირი, რომელსაც ორგანიზაცია ACTIVE MOBILE-BROADBAND SUBSCRIPTIONS-ს უწოდებს (რაც ასევე აქვს ტაბლეტებს). განვითარებულ სამყაროში, ასეთი მობილურები ახლა აბსოლუტურად ჭარბობს ადრეული ეტაპის ტელეფონებს, თუმცა განვითარებად მსოფლიოში მათი მოცულობა მხოლოდ 20%-ია.

Mobile phone subscribers per 100 inhabitants 1997-2014



ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანალიზის სახით შეიძლება მოვიყვანოთ განსხვავებები მობილური ტელეფონების თაობებს შორის, კერძოდ:

მობილური ტელეფონების განვითარება თანმიმდევრული თაობებით იწყება „0G“-დან (0 თაობა), რომელიც ფიჭური არ იყო, ჰქონდა რამდენიმე ერთდროული ზარის მხარდაჭერა და საკმაოდ ძვირი იყო.

1G (1-ლი თაობა) იყო მსოფლიოში პირველი სრულად ავტომატიზირებული ფიჭური სატელეფონო სისტემა, რომელსაც გააჩნდა ოდნავ მეტი 0G-ზე მხარდაჭერა.

განსხვავება 1G-სა და 2G -ს შორის.

1G-საგან განსხვავებით 2G არის მეორე თაობის მობილური ტექნოლოგია, რომელსაც შეეძლო ხმასთან ერთად, მონაცემების გადაგზავნაც. ეს არის გლობალური ციფრული სტანდარტი მობილური კავშირგაბმულობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ორ მობილურ მოწყობილობას შორის. მისთვის გამოიყენება სხვადასხვა სიხშირეები 850/900/1800/1900 მეგაჰერცი (MHz).

განსხვავება 2 G-ს და 3 G -ს შორის.

2G-საგან განსხვავებით 3G მესამე თაობის ქსელია რომლის გადაცემის სიჩქარე წამში 200(KB) იყო, მაღალსიჩქარიანი მობილური ინტერნეტით და გაუმჯობესებული ხმოვანი შესაძლებლობებით (სიჩქარე დამოკიდებულია მომსახურე ოპერატორების სერვისზე). მესამე თაობის ქსელის დანერგვამ შემოიტანა დამატებითი სერვისები, როგორებიც არის ვიდეო ზარის განხორციელება, ვიდეო კონფერენციების მოწყობა და ა.შ. (ასევე მესამე თაობის ქსელს წარმოადგენს WCDMA, CDMA)

განსხვავება 3G-ს და 4G -ს შორის.

3G -საგან განსხვავებით 4G ეს არის მეოთხე თაობის საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც თეორიულად მასზე გაცილებით სწრაფია (4G მონაცემთა გადაცემის სიჩქარე 100 მბ/წ-მდეა). 4G-ის, ეს სისტემა სამ ძირითად ტექნოლოგიად იყოფა, რომელსაც ოპერატორები მომხმარებლებს სთავაზობენ: LTE, WiMAX და HSPA+-ი. 4G-ის საშუალებას აძლევს, რომ შესაბამისი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მქონე სმარტფონების მომხმარებლებს ვიდეოკონფერენციის მოწყობა, HD მობილური ტელევიზია და სხვა ახალი შესაძლებლობები შესთავაზოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მობილური ტელეფონების თაობებს შორის განსხვავება გადაცემის გარემოს, გადაცემის სისწრაფესა და ფუნქციური შესაძლებლობების განვითარებაში გამოიხატება.

ლიტერატურა:

1. ია მოსაშვილი, ზურაბ გომარელი - მობილურ საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
2. Andrew S. Tanenbaum, Computer Networks, 2011.

ინტერნეტ რესურსები:

მობილური ტელეფონი - ვიკიპედია <https://ka.wikipedia.org/wiki>

მაღლებული შეფასებები და მისი პრაქტიკული ინტერპრეტირება

რუსუდან რაზმაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **ზურაბ ზერაკიძე**, პროფესორი, **ჯემალ ქირია**, პროფესორი

ვთქვათ, მოცემული გვაქვს ზომადი სივრცე E, S , სადაც E -ფიქსირებული სიმრავლეა, ხოლო S - რაიმე ფიქსირებული σ ალგებრა წარმოშობილი E ქვესიმრავლის ქვესიმრავლეებიდან. განვიხილოთ ასეთი კერძო შემთხვევები:

ვთქვათ, S_n ზრდადი σ ალგებრების მიმდევრობებია. $S_1 \subset S_2 \subset \dots \subset S_n \subset \dots$ ისეთები, რომ $S = \bigcup_{n=1}^{\infty} S_n$ და ზომად (E, S) სივრცეზე მოცემული გვაქვს $\{\mu, \nu\}$ ალბათური ზომები, რომლებიც განსაზღვრული გვაქვს

S-ზე. $\{S, E, \mu_i, ieI\}$ – ასეთ სტრუქტურას ეწოდება სტატისტიკური სტრუქტურა. ieI – ს ეწოდება სტატისტიკური სტრუქტურის პარამეტრები. ვთქვათ, I-ზე შემოღებული გვაქვს მეტრიკა $r(i_1, i_2)$.

განსაზღვრება 1. ჩვენ ვამბობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა $\{S, E, \mu_i, ieI\}$ უშვებს სუსტად ძალდებულ შეფასებას ieI პარამეტრებისათვის თუ არსებობს S_n σ ალგებრის მიმართ ზომადი $g_n(x)$ ზომადი ფუნქციითა მიმდევრობა, რომ $\lim_{n \rightarrow \infty} \mu\{x: r(g_n(x), r) \geq \varepsilon\} = 0$, ყოველი ieI და ყოველი $\varepsilon > 0$ – სთვის.

განსაზღვრება 2. ჩვენ ვამბობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა $\{S, E, \mu_i, ieI\}$ ყშვებს პარამეტრებს ieI ძლიერად ძალდებულ შეფასებებს თუ არსებობს ისეთი S_n ზომადი ფუნქციითა მიმდევრობა $g_n(x)$, რომლებიც ღებულობენ მნიშვნელობას I-ში რომ სრულდება შემდეგი პირობები: რომ, $\mu\{x: \lim_{n \rightarrow \infty} r(g_n(x), r) = 0\} = 1$ ყოველი ieI .

განსაზღვრება 3. ჩვენ ვამბობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა $\{S, E, \mu_i, ieI\}$ უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა, $g: (E, S) \rightarrow (I, R(I))$ (იგულისხმება, რომ $R(I)$ σ ალგებრა შეიცავს ყველა სასრულ სიმრავლეებს I-დან), რომ სრულდება შემდეგი პირობები: $\mu\{x: g(x) = i\} = 1$, ყოველი ieI .

შენიშვნა: თუ სტატისტიკური სტრუქტურა $\{S, E, \mu_i, ieI\}$ უშვებს პარამეტრების ძლიერად ძალდებულ შეფასებებს მაშინ ეს სტრუქტურა უშვებს პარამეტრების სუსტად ძალდებულ შეფასებებს და ძალდებულ შეფასებებს. მაგრამ თუ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს მაშინ ზოგადად არ გამოდის რომ ეს სტატისტიკური სტრუქტურა უშვებდეს პარამეტრების ძლიერად ძალდებულ შეფასებებს.

ჩვენ ავაგებთ ისეთ სტატისტიკურ სტრუქტურას, რომელიც უშვებს ძლიერად ძალდებულ შეფასებებს და, რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარეობს, რომ ის უშვებს ძალდებულ შეფასებასაც.

ცნობილია, რომ ძალდებული შეფასება აიგება იმ შემთხვევაში როცა გვაქვს უსასრულო შერჩევა. კერძოდ, ვთქვათ, x_1, x_2, \dots უსასრულო შერჩევაა, მაშინ $T_n: R \rightarrow R$ ზომად ასახვას ეწოდება უცნობი θ პარამეტრის უსასრულო შერჩევითი ძალდებული შეფასება μ_θ ბორელის ალბათურ ზომათა ოჯახისთვის თუ:

$$\mu_\theta\{(X_k)_{k \in N}, T_n(X_k) = \theta\} = 1$$

ყოველი $\theta \in \Theta$.

მაგალითი 1. ვთქვათ, $x_1, x_2, \dots, x_k, \dots$ არის უსასრულო შერჩევა, რომელიც მიღებული მონეტის უსასრულოდ აგდებით. მაშინ ამ ექსპერიმენტის აღმწერ სტატისტიკურ სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

$$\{(\{0, 1\}^N, B(\{0, 1\}^N), \mu_\theta^N): \theta \in (0, 1)\}$$

სადაც $\mu_\theta(\{1\}) = \theta$ და $\mu_\theta(\{0\}) = 1 - \theta$. დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის ძალით ჩვენ გვაქვს:

$$\mu_\theta^N(\{(x_k)_{k \in N}: (x_k)_{k \in N} \in \{0, 1\}^N \& \lim_{n \rightarrow \infty} \sum_{k=1}^n x_k \div n = \theta\}) = 1 \quad T_n = \lim_{n \rightarrow \infty} \sum_{k=1}^n x_k \div n$$


გავათამაშოთ აღნიშნული ორშედეგიანი პროცესი 5000 იტერაციაზე მივიღებთ ცხრილს:

n	x_k	T_n	θ
1	1	1	0.5
2	0	0.5	0.5
3	1	0.666667	0.5
4	1	0.75	0.5
5	0	0.6	0.5
6	1	0.666667	0.5
7	1	0.714286	0.5
8	0	0.625	0.5
9	1	0.666667	0.5
10	0	0.6	0.5

.	.	.	.
100	1	1	0.5
.	.	.	.
200	1	0.495968	0.5
.	.	.	.
500	1	0.49654	0.5
1000	0	0.507707	0.5
2000	1	0.505775	0.5
3000	0	0.511198	0.5

4000	0	0.505304	0.5
15000	0	0.508129	05

საიდანაც გავიგებთ გრაფიკს და აშკარად შეიმჩნევა თუ როგორ მიისტრაფის T_n ფუნქცია ზღვარში n -ის ზრდასთან ერთად $\theta = 0.5$ - სკენ.



სწორედ ეს არის ფორმულის შინაარსი ძალღებული შეფასების შესახებ.

ლიტერატურა:


1. Zurab Zerakidze, Malxaz Mumladze, Struqtura of statistic's and consistent criteria for checking hipodise. Lampert, 2015.

გრაფები და მათი გამოყენება

რუსუდან რაზმაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
 ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი**, პროფესორი


ქალაქ კენიგსბერგში (ამჟამად კალინგრადი) მდინარე პრეგელზე 7 ხიდი იყო გადებული. კენიგსბერგის მოქალაქეების წინაშე ხშირად წამოიჭრებოდა ხოლმე ასეთი ამოცანა: შესაძლებელია თუ არა გავიაროთ შვიდივე ხიდი ისე, რომ ხელმეორედ არ მოგვიწიოს რომელიმე მათგანზე გავლა? ეს თემა მე-18 საუკუნეში განიხილა ლეონარდ ეილერმა და კენიგსბერგის ხიდების შესაბამისი გრაფი გამოსახა. მან დაამტკიცა, რომ ამ გრაფის შემოვლა ყველა წიბოზე ისე, რომ რომელიმე წიბო ორჯერ არ გავიაროთ, შეუძლებელია.



გრაფი ეს არის ორი V და E სიმრავლეების წყვილი, სადაც V არის ამ გრაფში წვეროთა სიმრავლე, ხოლო E არის დეკარტული ნამრავლის ქვესიმრავლე. წვერო ძირითადი ელემენტია, რომელიც ნახაზზე გამოისახება წერტილებით და აღინიშნება ასე: $V(G)$ ან V . წიბო, ეს არის 2-ელემენტის სიმრავლე, რომელიც გამოისახება, როგორც ორი წვეროს შერთებული მონაკვეთი და აღინიშნება ასე: $E(G)$ ან E . წვეროს ხარისხი, ეს არის წიბოების რაოდენობა, რომელთა ბოლოებს წარმოადგენს ეს წიბო.

არსებობს გრაფების რამდენიმე ტიპი: მარტივი, ორიენტირებული, ბმული, რეგულარული, სრული გრაფი, სრულად არაბმული, პლანარული.

ორი გრაფი იზომორფულია თუ მათ წვეროებს შორის არსებობს ურთიერთცალსახა შესაბამისობა და ერთ გრაფში ორი წვერო დაკავშირებულია წიბოთი მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა შესაბამისი წვეროები დაკავშირებულია წიბოთი მეორე გრაფში.



მარტივი გრაფია როცა არ შეიცავს მარყუჟებს და ჯერად წიბოებს.

გრაფი ორიენტირებულია როდესაც წიბოს აქვს მიმართულება, წიბო არის წვეროების სიმრავლისგან შემდგარი მოწესრიგებული წყვილი. მას ორგრაფსაც უწოდებენ.

ერთმანეთს მიყოლებული წიბოები თანმიმდევრობა ქმნის ჯაჭვს. ჯაჭვი, რომლის საწყისი და ბოლო წერტილი ერთმანეთს ემთხვევა არის ციკლი, ჯაჭვს რომელშიც არაა ციკლები, აციკლური ეწოდება. ხოლო გრაფი, რომლის ყოველი ორი წვერო დაკავშირებულია ჯაჭვით წარმოადგენს ბმულს.




სრულად არაბმულია გრაფი როდესაც წიბოების სიმრავლე ცარიელია. მარტივია რომლის ნებისმიერი 2 წვერო მოსაზღვრეა. რაც შეეხება N წვეროიან სრულ გრაფს, ის აღინიშნება ასე: K_n .

გრაფი, რომლის ყველა წვეროს აქვს ერთი და იგივე ხარისხი, რეგულარულია.

გრაფი, რომელიც შეიძლება დაიხატოს სიბრტყეზე, ისე რომ წიბოები არ გადაიკვეთოს, პლანარულია.




ბმულ აციკლურ არაორიენტირებულ გრაფს უწოდებენ ხეს ან თავისუფალ ხეს, ხოლო აციკლურ არაორიენტირებულ გრაფს ტყეს. ტყე შედგება ხეებისგან, რომლების მის ბმულ კომპონენტებს წარმოადგენენ. ხეებისათვის ვარგისი ბევრი ალგორითმი გამოსადეგია ტყეებისთვისაც.



1 სურათზე გამოსახულია ხე, 2-ზე ტყე (ის არ წარმოადგენს ხეს იმის გამო, რომ ბმული არაა). ხოლო 3 ნახაზზე მოცემული გრაფი არც ხეა და არც ტყე, რადგან იგი ციკლს შეიცავს.



ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გრაფები გამოიკვლია ლეონარდ ეილერმა. მან შეადგინა ფორმულა: $r=e-v+2$ სადაც r - წახნაგების რაოდენობაა, e - წიბოების რაოდენობა, ხოლო v - წვეროების რაოდენობა.

ეილერის გრაფი, ეს არის ისეთი გრაფი G , რომ არსებობს ჩაკეტილი ჯაჭვი, რომელიც გადის მის ყველა წიბოზე და წიბოების გვხვდება მხოლოდ ერთხელ. ნახევრად ეილერის გრაფი კი არის ისეთი გრაფი G , რომ არსებობს ჯაჭვი, რომელიც გადის მის ყველა წიბოზე და წიბოები გვხვდება მხოლოდ ერთხელ. ეილერის თეორემის საფუძველზე კი G ბმული გრაფი არის ეილერის გრაფი მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ G -ის ყველა წვეროს გააჩნია ლუწი ხარისხი. ხოლო G ბმული არის ნახევრად ეილერის მაგრამ არა ეილერის მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ მას აქვს ზუსტად 2 კენტი ხარისხის წვერო.





ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნეში დაისვა საკითხი, შესაძლებელია თუ არა სიბრტყეზე დახატული ნებისმიერი პოლიტიკური რუკა შეიღებოს მხოლოდ ოთხი ფერის გამოყენებით ისე, რომ არცერთი მოსაზღვრე ქვეყანა არ აღმოჩნდეს ერთი და იგივე ფერით შეღებული. უფრო მათემატიკური სახით იგივე ამოცანა შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა ნებისმიერი ბრტყელი გრაფის წვეროები შევღებოთ ოთხი ფერის გამოყენებით ისე, რომ ყოველი მომიჯნავე წვერო შეღებული იყოს განსხვავებული ფერებით. ეს პრობლემაც სწორედ გრაფის საშუალებით გადაწყდა.

გრაფები გამოიყენება სხვა და სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებში, სასკოლო საგნებში, მაგალითად: მათემატიკაში, ქიმიაში, ისტორიაში, მშენებლობაში და ა.შ.

ლიტერატურა:

1. Paul Van Dooren , Graph Theory and Applications.. Belgium. Dublin, 2009.
2. Kenneth H. Rosen, Discrete Mathematics and its applications; seventh edition, 2011.
3. J. A. Bondy and U. S. R. Murty, Department of Combinatorics and Optimization, University of Waterloo, Ontario, Canada, 1982.

RSA ალგორითმი

ქეთი საათაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი**, პროფესორი

ადამიანი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა დაშიფრვის, შენიღბვის, დასაიდუმლოების მიმართ. ამის მაგალითებია, სამხედრო, სამეცნიერო, სახელმწიფო ჯგუფებისა თუ ცალკეულ პირთა პროფესიული მოქმედება. უძველესი შუმერის, ეგვიპტის, ისევე როგორც ჩინეთის, საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციისათვის ცნობილი იყო საიდუმლო დამწერლობისა და სხვა სახის დასაიდუმლოების საშუალებები.

საიდუმლო შიფრს იყენებდა რომის კეისარი იულიუს ცეზარიც. ამიტომ დღესაც სამეცნიერო ლიტერატურაში ცეზარის სახელით მოიხსენიება ერთ-ერთი კრიპტოგრაფიული ალგორითმი.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში საიდუმლო ალგორითმების მისაღებად იღვწოდნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები, მათ შორის, ფილოსოფოსი ფრანსის ბეკონი, მათემატიკოსები ფრანსუა ვიეტი, ჯორდანო კარდანო, ჯონ ვალისი და სხვ. გაჩნდა დასაიდუმლოების შედარებით რთული მეთოდებიც.

აღსანიშნავია, რომ XV საუკუნის ბოლოს არაბების მიერ გამოქვეყნებულ ენციკლოპედიაში ცალკე თავი დაეთმო კრიპტოგრაფიის საკითხებს. ნიშანდობლივია, რომ სხვა საკითხებთან ერთად პირველად არის განხილული კრიპტოგრაფიული ალგორითმის ანალიზის, ანუ კრიპტოანალიზის, სტატისტიკური მეთოდი. სტატისტიკური მეთოდი გულისხმობს, რომ ცალკეულ სიმბოლოებს, კერძოდ, ბუნებრივი სასაუბრო ენის ცალკეულ ასო-ნიშნებს გააჩნია განსხვავებული სიხშირეები (მაგალითად, ინგლისურ ტექსტში, ყველაზე ხშირად გვხვდება ასო „e“, ხოლო ყველაზე იშვიათად ასო „z“). ასო-ნიშნების სიხშირული მნიშვნელობების გათვალისწინება წარმოადგენს კრიპტოანალიზის ერთ-ერთ შესაძლებლობას ალგორითმის გასატეხად.


ბუნებრივია ტექსტის დაშიფვრის შემდეგი იდეა: მოცემულ ტექსტურ სიტყვებში და მთლიანად წინადადებაში ასო-ნიშნებს შევუცვალოთ ადგილები. პოზიციების ცვლილება, ცხადია, გამოიწვევს ტექსტში ასო-ნიშნების არეკას და ტექსტის შინაარსის გაბუნდოვანებას, რაც განსაზღვრების თანახმად არის ტექსტის გარდაქმნა, ანუ დაშიფვრა. ასეთი დაშიფვრის წესია იულიუს ცეზარის ალგორითმი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს იმ დროს არსებული ალგორითმების ერთ-ერთ ვარიანტს.

ცეზარი თავის გზავნილში ლათინური ანბანის პირველ A ასოს ცვლიდა, მეოთხე D ასო-ნიშნით, მეორე B ასოს - მეხუთე E ასოთი და ა.შ. ბოლო Z ასოს - მესამე C ასოთი. ამრიგად, თუ პირველ სტრიქონში ჩავწერთ ლათინური ანბანის ასო-ნიშნებს ჩვეულებრივი რიგის მიხედვით, ხოლო მეორე სტრიქონში დავალაგებთ შიფრის შესაბამის ასო-ნიშნებს, მივიღებთ დაშიფვრის ალგორითმს:

A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z
D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z A B C

ცეზარის მიერ სენატისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ დაშიფრულ შეტყობინებას ცეზარის ალგორითმის შესაბამისად აქვს შემდეგი სახე: YLFL, YLGL, YHQL ხოლო გაშიფვრის შემდეგ: „veni, vidi, vici“ რაც ქართულად ნიშნავს - „მოველ, ვნახე, დავამარცხე“. ასე შეატყობინა ცეზარმა რომის სენატს თავისი გამარჯვება 20 საუკუნის წინათ.

ცეზარის ალგორითმით დაშიფრული ტექსტი ადვილად იშიფრება კრიპტოანალიზის საშუალებით. ქვემოთ მოცემულია ინგლისურ ტექსტში ასოების განაწილების სიხშირე.



სიხშირის ანალიზის საწინააღმდეგოდ იყენებენ მრავალჯერად ჩანაცვლებას (polyalphabetic cipher): ამისათვის იყენებენ სიტყვას, რომელსაც უწოდებენ კოდას. მაგალითად „სკამი“, ამ სიტყვის ასოებს შეუსაბამებენ მათ ნომერს ანბანში: ს-18, კ-10, ა-1, მ-12, ი-9. ამის შემდეგ ღია ტექსტის ასოებს ვანაცვლებთ მორიგეობით - პირველ ასოს 18-ით, მეორეს-10-ით, მესამეს- 1-ით, მეოთხეს - 12-ით, მეხუთეს 9-ით, მეექვსეს ისევ 18-ით და ა.შ. ასე დაშიფრული ტექსტი ბევრად უფრო საიმედოა ვიდრე ცეზარის შიფრი. მაგრამ ეს დაცულობა ვერ შეედრება იმ დაცულობას რასაც დაშიფვრის თანამედროვე მეთოდები გვაძლევენ.

1978 წელს რონ რივესტმა, ადი შამირმა და ლენ ადლემანმა გამოაქვეყნეს სამეცნიერო სტატია, რომელიც თანამედროვე კრიპტოგრაფიის საფუძველი გახდა.

თანამედროვე მეთოდებში გამოიყენება ასიმეტრიული ალგორითმი. მეთოდის იდეა ისაა, რომ ორი მარტივი რიცხვის გამრავლებას სჭირდება გაცილებით ნაკლები დრო, ვიდრე პირიქით - მამრავლებად დაშლას. მაგალითად თუ ავიღებთ 2 ათასწილს მარტივ რიცხვს მათ ნამრავლს კომპიუტერი რამდენიმე წამში იპოვის. პირიქით, მიღებული რიცხვის მამრავლებად დაშლას კი საუკუნეები დასჭირდება. ალგორითმს აღვწერთ პატარა მარტივ რიცხვებზე. ცენტრი იღებს ორ მარტივ რიცხვს, მაგალითად $p=3$, $q=5$, და ამრავლებს მათ, $n=15$, ცენტრი იღებს კიდევ ერთ რიცხვს, ურთიერთ მარტივს $(p-1)(q-1)=8$ -თან, მაგალითად $e=3$. რიცხვები 15 და 3 არიან საჯარო, ისინი წარმოადგენენ საჯარო ბოქლომს და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ვთქვათ გვინდა დავშიფროთ და ცენტრს მივწეროთ სიტყვა good. ეს მესიჯი უნდა ჩავწეროთ როგორც რიცხვი, g არის ინგლისური ალფაბეტის მე-7 ასო და შევუსაბამოთ 7, ასევე ყოველ ასოს შევუსაბამო ალფაბეტში მისი რიგითი ნომერი. ასოები დავშიფროთ სათითაოდ. ანუ ჩვენი პირველი მესიჯი იყოს $m=7$. ეს მესიჯი იშიფრება შემდეგნაირად: 7 აგვყავს $e=3$ ხარისხში $7^3=343$, გამოვთვლით 343-ის 15-ზე გაყოფის შედეგად მიღებულ ნაშთს. ნაშთი ტოლია 13-ის. 13 არის დაშიფრული მესიჯი, რომელსაც ვუგზავნით ცენტრს. $m^*=13$ რომ გაშიფროს ჩვენი დაშიფრული მესიჯი, ცენტრმა უნდა გამოთვალოს გასაღები, ანუ ისეთი d , რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად ed რიცხვი $(p-1)(q-1)$ -ზე გაყოფისას ნაშთში უნდა გვამღევდეს 1. ჩვენს შემთხვევაში $3d$ -ს 8-ზე გაყოფისას ნაშთი უნდა იყოს 1. აქედან $d=3$. $m^*=13$ აგვყავს $d=3$ ხარისხში და გამოვთვლით მიღებული რიცხვის $n=15$ -ზე გაყოფისას მიღებულ ნაშთს. მიღებული ნაშთი 7, არის ადდგენილი პირვანდელი მესიჯი.

ლიტერატურა:

1. Bruce Schneier. Applied Cryptography, Second Edition, Published Online: 9 OCT 2015 03:14AM EST.
2. Dr. Prerna Mahajan & Abhishek Sachdeva, A Study of Encryption Algorithms AES, DES and RSA for Security, Global Journal of Computer Science and Technology. Network, Web & Security Volume 13 Issue 15 Version 1.0 Year 2013.
3. Keijo Ruohonen, Mathematical Cryptology, (Translation by Jussi Kangas and Paul Coughlan), 2014.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

საქართველოს ამფიბიები

ელენე ელიაშვილი, მარიამ სარქისიანი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გია ედიშერაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ამფიბიები - ყველაზე მარტივად აგებული, ხმელეთის პირველი ხერხემლიანებია, რომლებსაც ჯერ კიდევ გააჩნიათ მტკიცე კავშირი წყალთან. კლასი ყველაზე მცირერიცხოვანია სხვა ხერხემლიანებთან შედარებით, მასში გაერთიანებულია თანამედროვე სამი რიგის 2500-3400 სახეობა. ზოგიერთი მონაცემებით მათი რაოდენობა 5000 სცილდება. სახეობათა უმრავლესობა თბილი ქვეყნების ბინადარია. მაგალითად, კუნძულ მადაგასკარზე გავრცელებულია 247 სახეობა, რუსეთში კი - 28. საქართველოში გვხვდება 12 სახეობის ამფიბია. პირველ მეცნიერულ ცნობებს საქართველოს ამფიბიების შესახებ, როგორც წესი, ხერხემლიან ცხოველების სხვა ჯგუფებთან პარალელურად ვხვდებით ზოოლოგ-მოგზაურების ფირტინჰვის (1812), ე. ეიხვალდის (1831-1841), ე. მენეტრიეს (1832), ე. ევერსმანის (1834), რ. ჰოპენაკერის (1937), მ. ვაგნერის (1850), ფ. დე-ფილიპის (1865), კ. კესლერის (1875) ნაშრომებში. ისინი მოგზაურობდნენ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში - გავლით ან მოკლე ვადით და სხვა ცხოველების კოლექციებთან ერთად შექმნეს ბატრაქო-ჰერპეტოლოგიური შენაგროვებებიც. ვაგამ 1876 წელს აღწერა კავკასიური

გრძელდება სალამანდრა. ცხოველების (მათ შორის ამფიბიების და ქვეწარმავლების) მნიშვნელოვანი კოლექცია კავკასიურ (ამჟამად საქართველოს) მუზეუმში შექმნა დოქტორმა გუსტავ რადემ. 1896 წ. ბულანჯემ (ბულენჯერმა) აღწერა კავკასიური ჯვარულა. 1928 წ. საინტერესო ნაშრომი საქართველოს მცვარების შესახებ გამოაქვეყნა დელვიგმა. მნიშვნელოვანია არჩ. ჯანაშვილის წვლილი საქართველოს ქვეწარმავლებისა და ამფიბიების შესწავლაში. 1957 წელს მან გამოსცა საქართველოს ამფიბიების სარკვევი. 1940 წ. გამოაქვეყნა ზ. ექვთიმოშვილის ნაშრომი ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოების ამფიბიებზე, 1950 წ. ქ. სამსონიას ნაშრომი კასპის რაიონის ამფიბიების შესახებ. აღსანიშნავია ასევე მ. ბაქრაძის და ვ. ჩხიკვაძის (2002), რ. ტარტარაშვილის, (1992, 2002) ნაშრომები. განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს ამფიბიების შესწავლაში (განვითარების ეკოლოგია, პოპულაციური ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია და სხვა საკითხები) მიუძღვის დ. თარხნიშვილს (1985 – 2016 წლების პუბლიკაციები).

კლასი ამფიბიები (AMPHIBIA)

რიგი - კუდიანი ამფიბიები (Urodela)

ოჯახი - სალამანდრისნაირნი (Salamandridea)

ჩვეულებრივი ტრიტონი (*Triturus vulgaris*)

ცხოველის სიგრძე 60 მმ-ს აღწევს, მისი კანი გლუვია ან წვრილბორკლიანი. სხეულის ზედა მხარე შეფერილია მურა ფერად, ქვედა - მოყვითალოა, დაფარული წვრილი მუქი ლაქებით. თავზე მუქი ზოლები აქვს, ბინადრობს ფოთლოვან ტყეებში, პარკებში და ბაღებში, ერიდება ღია სივრცეებს. იკვებება უხერხემლოებით, განსაკუთრებით სხვადასხვა კოლოს მატლებით, აგრეთვე თევზებისა და ბაყაყების ქვირითებით. კვერცხის განაყოფიერებას წინ უსწრებს საქორწინო რიტუალი და მამრის მიერ ე.წ. სპერმატოფორების გამოყოფა. ამ დროისთვის მამრებს კეფიდან კუდამდე წარმოექმნება სავარცხლისებრი ნაოჭი, მამრის მიერ სპერმატოფორების გამოყოფის შემდეგ მდედრი იტაცებს კლოაკით. კვერცხების რაოდენობა შეიძლება რამდენიმე ასეულს აღწევდეს. ლარვები გამოდიან 14-20 დღეში /მეტამორფოზი მთავრდება 2 თვის შემდეგ. ჩვეულებრივი ტრიტონი საქართველოში გვხვდება: ბაკურიანის, ქუთაისის, გაგრის, სოხუმის, ბათუმის და ფოთის მიდამოებში.

მცირეაზიური ტრიტონი (*Triturus vittatus*)

სიგრძე აღწევს 70 მმ-ს, სხეულის ზედა მხარე ბრინჯაოსფერ-წენგოსფერია, დაფარულია მუქი ლაქებით, სხეული ორივე მხარეს ორი მოვერცხლისფრო ზოლი აქვს. კუდი ასევე ზოლიანი და ლაქებიანია, მუცელი კი - ნარინჯისფერ-ყვითელი. გავრცელებულია მხოლოდ დასავლეთ კავკასიასა და მცირე აზიაში. საქართველოში ვხვდებით: თელავის, ლაგოდეხის, ბორჯომის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ფოთის, თბილისისა და ბათუმის მიდამოებში. იკვებება უხერხემლოებით, მისი ცხოვრების ნირი სუსტადაა შესწავლილი, მრავლდება ქვირითით, გამრავლების პერიოდში მამრს უვითარდება მეტად მაღალი დაკბილული კუდთან დამთავრებული ქედი. შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

სავარცხლიანი (კარელინის) ტრიტონი (*Triturus karelinii*)

სხეულის სიგრძე 10 სმ-მდეა, კანი მსხვილი, ხორკლიანია, შეფერილობით ზურგზე შავი ან მოყავისფრო - შავია, მუცელი ნარინჯისფერია, შერეული მსხვილი შავი ლაქებით, საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან. დღისით იმალება ქვის გროვების ქვეშ, ღამით კი აქტიურია. ძირითადად იკვებება უხერხემლოებით, მაგრამ ეტანება ქვირითსა და თავკომბალებს, ხმელეთზე ნაკლებად იკვებება. გაზაფხულზე მდედრი ყრის რამდენიმე ასეულ ქვირითს, ლარვების მეტამორფოზი აგვისტოსთვის მთავრდება.

კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*)

ამ სალამანდრას მოხდენილი გრძელკუდა სხეული აქვს, სიგრძით 70 მმ-მდეა, მამრებს კუდის ფუძესთან აქვთ ზევით მიმართული მომცრო გამოწარწარდი, სხეულის ზედა მხარე მზინავი და შავ-ყავისფერია, ზურგზე და გვერდებზე ყვითელი ოვალური ლაქები აქვს, ქვედა მხარე ყავისფერი აქვს, გვხვდებიან შავი ულაქებო ეგზემპლარებიც. ეს სახეობა კავკასიის ენდემია, გვხვდება აჭარა-იმერეთის ქედზე და თრიალეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაქილში, აქტიურია შებინდებისას, დღისით იმალება ქვების ქვეშ, ბუჩქნარში და ა.შ. ზოგჯერ ცხოველი წყალში წევს, ხოლო თავი ამოყოფილი აქვს, შეუძლია ხმელეთზე სხეულის კლაკვნიტ სირბილი, რითაც ხელივს მოგვაგონებს, ასევე აქვს აუტოტომიის უნარი, ზოგჯერ მოიწყვეტს კუდს და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ აღდგება. იკვებება ჭიკაყელებით, მწერებით, ტენჭიებითა და სხვ. დიდხანს ფიქრობდნენ, რომ კავკასიური სალამანდრა ცოცხალმშობიარეა, მაგრამ 1963 წელს ჰერპეტოლოგმა ი. დარვესკიმ პირველად აღმოაჩინა სალამანდრას მიერ დაყრილი 90 ცალი კვერცხი, ქვირითს სალამანდრა დებს მზით კარგად გამთბარ თავთხელ ყურეებში, ეს სახეობა შეტანილია საქართველოს და IUCN - ს წითელ წუსხეებში.

რიგი - უკუდო ამფიბიები (Anura)

ოჯახი - მყვარისებრნი (Pelobatidae)

სირიული მყვარი (*Pelobates syriacus*)

სხეულის სიგრძე 8 სმ-მდე აღწევს, ზედა მხარე ღია ნაცრისფერი ან მოყვითალოა, დაფარული მუქი მწვანე ლაქებით, კანი გლუვია, საქართველოში აღნიშნულია თბილისის გარეუბნებში (კოჯორი, კუს ტბა) უფრო ხშირად, წყალსატევის ნაპირებთანაა, თხრის ღრმა სოროებს, იმალება ქვების ქვეშ, აქტიურია ღამით, იკვებება წვრილი უხერხემლოებით, შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

კავკასიური ჯვრიანა (*Pelodites caucasicus*)

ამ ცხოველის სიგრძე 50 მმ-მდე აღწევს, ზემოდან წენგოსფერია, მუქი მწვანე ლაქებით, ქვედა მხარე თეთრი აქვს, ზოგჯერ აქა-იქ წითელი ლაქებით. გამრავლების შემდეგ ზურგზე გამოიკვეთება ღია ფერის ჯვრის კონტური, სწორედ აქედან მომდინარეობს მისი დასახელებაც. გვხვდება შიდა ქართლში, იკვებება წყლისა და ხმელეთის უხერხემლოებით. აპრილ-მაისში მდედრები დებენ 300-500 ქვირითს, დამდგარ და მდორე მდინარეებში, ქვირითი მცირე გროვების სახით ემაგრება წყალში ჩამოცვნილ ტოტებს ან ფოთლებს.

ოჯახი - ვაკასკისებრნი (Hylidae)

ჩვეულებრივი ვასაკა (*Hyla arborea*)

სხეულის ზედა მხარე მკვეთრად მწვანეა, ზოგჯერ მოყვითალო ან მორუხო, ქვედა მხარე თეთრი, ტემპერატურის მიხედვით შეფერილობა სწრაფად იცვლება, ბოლო თითის ფალანგები გაფართოებულია დისკოების სახით, ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარში, მდელოებზე, მთებში ადის 1500 მ სიმაღლემდე, ცხოვრების უმეტეს ნაწილს ვასაკები ხეებზე, ბუჩქებზე ან მაღალ ბალახებზე ატარებენ. იქიდან გამუდმებით ისმის მათი ხმა, რომელიც ჭირჭინოებელას ხმას ან იხვის ვიტციტს მოგვაგონებს. ჩვეულებრივ, დღისით ვასაკა უმოძრაოა, ბინდში მიწაზე ჩამოდის, ბანაობს ნამში ან წყალში და იწყებს კვებას, იკვებება მცენარეებით.

ოჯახი - გომბემოები (Bufonidae)

მწვანე გომბემო (*Bufo viridis*)

სხეულის სიგრძე 14 სმ-ში შეიძლება აღწევდეს, საქართველოში მთელ ტერიტორიაზე გვხვდება, ბინადრობს მინდვრებში, ველებზე, ნახევრადუდაბნოში, ეს სახეობა ჩვენი ფაუნის ამფიბიებს შორის ყველაზე კარგადაა შეგუებული მშრალ საბინადრო გარემოს და მეტად მრავალრიცხოვანი სახეობაა. აქტივობა წყდება მხოლოდ -3-4 C-ზე, გამრავლებისათვის იყენებს ყველა სახის წყალსატევს, მომლაშო მცირე გუბურებს და ტყეებს. ქვირითის ყრა დიდხანს გრძელდება, ასე რომ მწვანე გომბემოს ნახვა წყალსატევეში ივლისშიც შეიძლება, წყალსატევეებში ჯერ მამრები ჩადიან, დაიწყებენ მელოდიურ რაკრავს, ამ დროს კანქვეშ მდებარე კენტი რეზონატორი ბუმტივით იბერება, კვერცხები იდება ზონარის სახით, რომელიც შეიძლება 7 მ-ს აღწევდეს, თავკომბალები იჩიკებიან 3-6 დღის შემდეგ.

ჩვეულებრივი (კავკასიური) გომბემო (*Bufo bufo verrucosissimus*)

კანზე აქვს მეჭეჭები, საქართველოში ბევრგანაა გავრცელებული, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ბინადრობს ტყეებში, ბაღებში, ვენახებში, თუმცა ერიდება მდინარის ფართო ჭალებს, მათ ხშირად ვხვდებით ჭაობებში. დღისით იმალება ბინდში და ღამით იკვებება სხვადასხვა უხერხემლოებით. იზამთრებს სოროებში და იღვიძებს მარტ-აპრილში, როდესაც მიემართება საქვირითოდ დამდგარ, ან სუსტად გამდინარე წყალსატევეებში.

ოჯახი - ბაყაყისებრნი (Ranidea)

ტბის ბაყაყი (*Rana ridibunda*)

სხეულის სიგრძე შეიძლება აღწევდეს 15 სმ-ს, ზემოდან შეფერილია სხვადასხვა ელფერის მურა - მწვანე მეტნაკლები რაოდენობის მუქი ლაქებით, ხშირად ზურგის გასწვრივ მიუყვება ბაცი ზოლი. მამრებს პირის კუთხეში აქვთ მქრალი რუხი ფერის რეზონატორები. საქართველოში ყველგანაა. ცხოვრობს წყალში ან მის ახლო-მახლო ატარებს, აქტიურია მთელი დღე-ღამის განმავლობაში, მისი ძირითადი საკვებია: მწერები, იშვიათად წვრილი ფრინველების ბარტყები და მღრღნელები, ზოგჯერ ჭამს თავკომბალებსა და ლიფსიტებს, აქტივობა წყდება წყლის 6-9 C-ზე. ქვირითს დებენ ორი გროვის ან მომცრო ულუფების სახით, ჩვენში გავრცელებულია მოკლეფეხება ტბის ბაყაყი.

მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macronemys*)

სხეულის სიგრძე აღწევს 80მმ-ს, მდედრებს სხეულის ზედა ნაწილში ვარდისფერ-ნარინჯისფერი ელფერი გადაჰკრავთ (განსაკუთრებით გამრავლების პერიოდში), ხოლო მამრებს ყელში, კანქვეშ, მბგერავი პარკები აქვთ, საქართველოში დიდი რაოდენობით გვხვდება ყველგან, სადაც არის შესაფერისი საბინადრო გარემო. ძირითადად იკვებება მწერებით, მაღალმთიან რაიონებში სწორფრთიანებით. ზამთრის ძილიდან გამოდის თოვლის დნობის დამთავრებისას. მამრების საქორწინო ძახილი ესაა 2-3 წამის ხანგრძლივობაში ყრუ რაკრავი. მდედრი 3000 კვერცხს დებს.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე მ., ჩხიკვაძე ვ., რამდენი სახის მურა ბაყაყი ბინადრობს საქართველოში, კრებ./ბიოლოგია და თანამედროვეობა, თბ., თსუ-ს გამ., 2002.
2. ჟორდანიას რ., საქართველოს მცენარეებისა და რეპტილის სარკვევი. თსუ-ს გამ., თბ., 2000.
3. თარხნიშვილი დ., ამფიბიები. კრებ./მასალები საქართველოს ბიომრავალფეროვნებისთვის, თბ., 1996.
4. მუსხელიშვილი თ., საქართველოს ამფიბიებისა და რეპტილების ატლასი. WWF, თბ., 1994.
5. ჯანაშვილი ა., საქართველოს ამფიბიების სარკვევი, თსუ-ს გამ., თბ., 1957.

ტოპიარი - მწვანე კულტურა

ნინო მახოხაშვილი, რომან ქიტიაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: თინათინ იოსებძე, ასოცირებული პროფესორი

ხე-მცენარეთა და ბუჩქების გასხვლა-ფორმირება (გადაბერებული, ნაკლებპროდუქტიული ტოტების, ყლორტების ან ფესვების მოჭრა) – უზრუნველყოფს მცენარეთა განვითარებისა და ფორმირების ოპტიმალურ პირობებს. ამ აგროტექნიკური ღონისძიების შედეგად ყალიბდება ჯანსაღი, კარგი ხარისხის და მაღალი მოსავლის მომცემი კულტურა. განსხვავებულია სხვადასხვა კულტურის გასხვლის ფორმებიც. რაც შეეხება დეკორატიულ მცენარეებს, მათი სხვლა-ფორმირება სხვა მიზნებს ემსახურება.

დეკორატიული მცენარეებისთვის სხვადასხვა ფორმების მიცემა უძველესი ხელოვნებაა მეზაღობაში. დეკორატიული გასხვლა, ანუ ტოპიარი, არასოდეს გადადის მოდიდან. ჯერ კიდევ ძველი რომი განთქმული იყო ოსტატებით, რომლებიც ფლობდნენ ტოპიარის ხელოვნებას. სწორედ ევროპული ტოპიარი სათავეს რომის იმპერიიდან იღებს. ინგლისური სიტყვა «topiary» ძველი ბერძნულიდან, τóπιος“ მოდის და ლანდშაფტისთვის გამოგონილ ფიგურებს, ხოლო ლათინური „topiarius“ კი მეზაღეს ნიშნავს.



სურათი 1. ტოპიარი

რენესანსის ხანა ორნამენტული მეზაღობის განვითარების მეორე დაბადებად ითვლება. სწორედ ამ ეპოქაში „ბუჩქოვან დეკორატიულ მცენარეებისგან“ შექმნილმა ბურთის, პირამიდის, ადამიანის და ცხოველის მსგავსმა მცენარეთა ფიგურებმა აღაფრთოვანა ევროპელები.

შემდგომში ხელოვნების ამ დარგმა XVI საუკუნეში საფრანგეთში გადაინაცვლა. ეს იყო გასხვლის ხელოვნების ოქროს ხანა ისტორიაში და ცუდ ტონად ითვლებოდა სტუმრებისთვის ეჩვენებინათ ბაღი, რომელსაც ადამიანის ხელი არ შეხებოდა. ინგლისში, ჰოლანდიაში, ჩინეთში, ამერიკაში დეკორატიულ

გასხვლას ასევე უძველესი ტრადიციები აქვს. ევროპულ ქვეყნებში დეკორატიულ სხვლას ჰქონდა აღზევება და, ამასთან ერთად, შეინიშნებოდა ამ ხელოვნებისადმი ინტერესების დაცემა. დღეისათვის ტოპიარისადმი შეინიშნება ნამდვილი ბუმი.

პროგრესული მეზღვების მისია რთულია - ჯანმრთელი, მოვლილი და გემოვნებიანად გაფორმებული ლანდშაფტების შექმნა. მათ ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ისინი სისტემატურად ქმნიან ახალ ახალ „მწვანე ხელოვნების ნიმუშებს“.

აქედან გამომდინარე, ჩვენი თემის მიზანია უკეთ გავცნობოდით და შეგვესწავლა ტოპიარის ხელოვნება იმ ადგილობრივი სპეციალისტებისგან, რომლებიც დეკორატიულ სხვლას გორში არსებულ პატარა სკვერებსა და ქუჩებში აწარმოებენ (ახალბადის, სტალინის სახლ-მუზეუმის, გამგეობის ტერიტორიაზე, სტალინის ქუჩაზე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში). საცდელ ობიექტად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის პატარა სკვერი ავირჩიეთ. გავეცანით იქ არსებულ მწირ მცენარეებს, რომელიც ძირითადად ბზით და ფიჭვითაა წარმოდგენილი. დავსახეთ პერსპექტივები, თუ როგორ შეიძლება სკვერი უფრო მომხიბვლელი გავხადოთ მცენარეთა სახეობებით გამდიდრებისა და ვარჯის ფორმებით შეცვლილის ხარჯზე.

დეკორატიული ფიგურების მისაღებად ყველა მცენარის გამოყენება არ შეიძლება. გასხვლა კი დამოკიდებულია სახეობაზე. წიწვოვანი მცენარეებიდან მისაღებია: ჩვეულებრივი ნაძვი, სოჭი, ტუია, ღვია, ფოთლოვნებიდან: მსხალი, ტყის ვაშლი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, თელა, მოცხარი, კუნელი. მარადმწვანე ბუჩქნარი, ისეთები, როგორცაა დაფნა, ბზა, უთხოვარი გვევლინება კლასიკურ სახეობებად, რომლებიც გამოიყენება შემოგარენისათვის და კარგი მასალაა ფიგურული გასხვლასა.

მრავალფეროვნებისთვის ჩვენი სკვერის მცენარეებს ვუმატებთ ტუიას, უთხოვარს და გრაკლას. ძირითადად დეკორატიული მცენარეთა გასხვლას გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით მიმართავენ. ფოთლოვანი მცენარეების გასხვლა რეკომენდირებულია „სიმშვიდის პერიოდში“, ან გვიან შემოდგომით, ან ადრეულ გაზაფხულზე მცენარეში წყლის „ჩადგომამდე“.

დეკორატიული ბუჩქოვანი მცენარეების ზრდის გაუმჯობესებისათვის საჭიროა მათი გასხვლა რეგულარულად. ასეთ პროცედურაში უნდა გამოვყოთ სამი ჯგუფი: ნახევრად ბუჩქოვანი, დეკორატიული ბუჩქოვანი მცენარეები, რომელთა წამონაზარდები ნიადაგიდანაა და ბუჩქოვანი მცენარეები, არანიადაგობრივი წამონაზარდებით. ნახევრადბუჩქოვანი მცენარეები უნდა გაიხვლას ყოველწლიურად, მათი სიმაღლის სამი-მეოთხედის შემცირებით. ნიადაგობრივ წამონაზარდიანი ბუჩქოვანი მცენარეების განახლება ხდება ძირითადი ბუჩქიდან წამოსული გრძელი ღეროებით, რომლებიც დროთა განმავლობაში მსხვილდება და ხდება მათი განტოტვა და ბუჩქი უფრო და უფრო სქელდება. ამიტომ საჭიროა ახალი წამონაზარდების მოშორება.

წიწვოვანი მცენარეების გასხვლა ყოველ წელს არ შეიძლება, თუ არ ჩავთვლით მათ სანიტარულ მოვლას (ხმელი და გადატეხილი ტოტების მოცილება), ასეთი მცენარეების გასხვლა დარგვის პირველ წელს არ ხდება, რადგან ამ დროს ხდება მცენარის ადაპტაცია გარემოსთან, ისინი ნელი ზრდითაც ხასიათდებიან. მათი პირველი გასხვლა ხდება ზაფხულში, ამისათვის საუკეთესო დროა ივლისი და აგვისტო. გასხვლა სასურველია ჩატარდეს მოღრუბლულ დღეს, რათა წიწვებზე ლაქები არ გაჩნდეს.

გაზაფხულზე, მოყვავილე მცენარეების გასხვლისას უმჯობესია, დაველოდოთ ყვავილობის პერიოდის დასრულებას. თუ ასეთ მცენარეებს ზამთარში გავსხლავთ, შეიძლება მოვჭრათ ბევრი საყვავილე კვირტი. აყვავილების შემდგომ გასხვლისას, მცენარეს საკმარისი დრო ექნება, რომ წარმოქმნას ახალი საყვავილე კვირტი.

ფართოფოთლოვანი ხეების გასხვლა, მათთვის ფორმის მიცემის მიზნით, უკეთესია გაზაფხულზე ვიდრე მცენარეში დაიწყება მინერალურ მარილთა მოძრაობა ან შემოდგომით, ფოთოლცვენის შემდეგ.

მუშაობის პროცესში მეზღვის მიერ გასათვალისწინებელია სამ ძირითადი ფაქტორი :

- მცენარის სანიტარული გასხვლა (მცენარისათვის ხმელი ან გადამტვრეული ტოტების მოშორება).

- ბუჩქის გაახალგაზრდავების უზრუნველყოფა (განვითარდეს ახალი წამონაზარდები).

- მცენარის ხედისათვის განსაზღვრული ფორმის ფორმირება (იგი ტარდება მაშინ, როდესაც მცენარის უმეტესი ნაწილი ხმება და კარგავს თავის დეკორატიულ შეფერილობას).

ყველა მოხიბლულია ინგლისური ბაღების განსაკუთრებულად გაკრეჭილი ბუჩქოვანი და ნახევრადბუჩქოვანი დეკორატიული მცენარეების ხაზების სიზუსტით, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა ფორმებს. მცენარეების ფიგურული გაკრეჭვა რა თქმა უნდა ამდიდრებს და ალამაზებს ნებისმიერი სტილის ლანდშაფტს, მაგრამ ასეთი ფორმა უფრო უხდება ჩრდილოვან ბაღებს. ფიგურული გასხვლა ხდება მაშინ, როდესაც მცენარეს აძლევენ სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმას. თუ რამდენად მიზანშეწონილია მცენარეებისათვის ხელოვნური ფორმების მიცემა - ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ

დადებითად, თუკი ასეთი დეკორატიული ბაღები, პარკები და სკვერები კარგად ეხამება თანამედროვე არქიტექტურას. ასევე გასათვალისწინებელია კლიმატური პირობებიც.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მცენარის ბიოლოგიური აღწერა, რომელიც დეკორატიულ სხვლაში აქტიურად გამოიყენება:

ტუია (Thuja) – კვიპაროზისებრთა ოჯახის წიწვოვანი, მარადმწვანე ხეები და ბუჩქებია. მათი სიმაღლე 20-60 მ აღწევს. აქვთ ბრტყელი ყლორტები, ქერქლისებრი მოპირისპირედ განლაგებული წიწვები, პატარა გირჩები. ტუიას 5 სახეობა, ბუნებრივადაა გავრცელებულ ჩრდილოეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიის სუბტროპიკული ზომიერი ჰავის სარტყლებში. ადვილად ეგუებიან ნაირგვარ გარემო პირობებს და ნაწილობრივ დაჩრდილვას.

საქართველოში პოპულარულია დეკორატიულ მებაღეობაში, რადგან კარგად იტანს კრეჭვას. ჩვენთან ძირითადად გავრცელებულია ორი სახეობა - ტუია ჩვეულებრივი და ტუია კომპაქტური, ორივე ჯიში ძირიდანვე იტოტება და ბუჩქებს ქმნის.



სურათი 2. ტუია ჩვეულებრივი

ბუა (Buxus) მოიცავს 70-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ, ნაწილობრივ ზომიერი ჰავის ზონაში. საქართველოში მოშენებულია 4 უცხოური სახეობა: ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე, წვრილფოთოლა, იაპონური და ბალეარული ბუა. მცენარე იზრდება ნელა და ცოცხლობს 500-600 წელს. მისი მაგარი და მძიმე მერქანი გარეგნულად სპილოს ძვალს წააგავს, კარგად პრიალდება. ბუას იყენებენ სხვადასხვა დანიშნულებისამებრ - სამხედრო, საყოფაცხოვრებო და რელიგიური ნივთების დასამზადებლად. ის წითელ წიგნშია შეტანილი, ამიტომ მისი მასიურად ჭრა აკრძალულია და ისჯება კანონით.



სურათი 3. კოლხური ბუა

ურთხელი, უთხოვარი (Taxusbaccata) - წიწვოვანი მცენარეა ურთხლისებრთა ოჯახიდან, მისი ხაზურა და შიშველი წიწვები 2-3,5 სმ სიგრძისა და 2-2,5 მმ სიგანისაა. სიმაღლე 10-20 მ, განსაკუთრებულ შემთხვევაში იზრდება 28 მ სიმაღლის. იზრდება ძალიან ნელა, მაგრამ ხასიათდება დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობით. ხის მაქსიმალური დაფიქსირებული დიამეტრია 4 მეტრი. აღნიშნული ხის ასაკი 4 000 წელი იყო. აქვს მაღალი ხარისხის მაგარი მერქანი და გამოიყენება, როგორც დეკორატიული მცენარე. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა ტყიან რაიონში. იზრდება

დაჩრდილო ტენიან ადგილებში, უმთავრესად წიფლნარებში 1500-1800 მ-მდე ზღვის დონიდან. იზრდება პატარა ჯგუფების ან ერთეული ხეების სახით. იშვიათად ქმნის კორომებს.

საქართველოში ურთხელი საკმაოდ ფართო არეალითაა წარმოდგენილი, მაგრამ რაოდენობრივად მეტად შემცირდა.



სურათი 4. ურთხელი, უთხოვარი

გრაკლა (Spiraeoideae) მრავალწლოვანი ბუჩქებია, იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში და ტყის ნაპირებზე. ვარდისებრთა ქვეოჯახის გრაკლოვანის წარმომადგენელია, მარტივი ან ფრთისებრი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები ქოლგისებრ, ფარისებრ, საგველასებრ ან მტევნისებრ ყვავილედად აქვს შეკრებილი. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. ნაყოფი ფოთლურა ან კოლოფია, საქართველოში და კავკასიაში იზრდება 2 სახეობა-ჩვეულებრივი ანუ კრაზანფოთოლა და ხერხებილა გრაკლა. პირველი გავრცელებულია ნახევარუდაბნოს, ველისა და ტყის სარტყელში, ზოგან კი მაღალმთის ზონამდე. მეორე უფრო ქსეროფილურია და უმთავრესად სამხრეთ მთიანეთის მთის შუა სარტყლამდე იზრდება. ქმნიან ბუჩქნარებს გრაკლიანებს. ორივე კარგი თაფლოვანი მცენარეა. იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში.



სურათი 5. გრაკლა

ამრიგად, ჩვენ შევისწავლეთ და დავუფლეთ დეკორატიული სხვლის ხელოვნებას. ჩვენი ექსპერიმენტის ობიექტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სკვერი წარმოვადგინეთ მაკეტის სახით, სადაც გამოვიყენეთ დეკორატიული მცენარეები ტუია, ბუჩქი, გრაკლა, უთხოვარი. მათ ვარჯხ მივეცით - სპირალური, ბურთის, პირამიდის, თალის ფორმა, რითაც საინტერესო და მომხიბვლელი გარემო შევქმენით სტუდენტებისათვის.

ლიტერატურა:

1. ხეების მოვლა და სხვა-ფორმირება საქართველოს ქალაქებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2015.
2. კურსანოვი ლ. ი., ბოტანიკა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949.
3. კომარნიცი ნ. ა. და სხვ., მცენარეთა სისტემატიკა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973, 794 გვ.
4. udivitelno.com/.../901-topiar-zelenoe-iskusstvo-figurnoj.

ილეთების სწავლებისა და სრულყოფის სპეციფიკა თავისუფალ ჭიდაობაში

ბექა საპანაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ვლადიმერ სალია

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების მრავალფეროვნება თავისუფალ ჭიდაობაში და ჭიდაობების სხვა სახეობებში და მეტად მრავალრიცხოვანი - მრავალნაირი დინამიური სიტუაციების არსებობა - განაპირობებს მოჭიდავის ტექნიკური ოსტატობის სპეციფიკას. მსგავს პირობებში სპორტსმენმა უნდა შეძლოს სწრაფად შეაფასოს წარმოქმნილი სიტუაციები და მოახდინოს მათზე რეაგირება ეფექტურ და მიზანგამართლებული მოქმედებებით. ეს მოითხოვს მოჭიდავეებისაგან საბოლოო შედეგის სტაბილურობას, სადაც წარმოიქმნება დინამიური სიტუაციების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი რაოდენობა. ამით ხდება თავისუფალი სტილის მოჭიდავეების ტექნიკური ოსტატობის ერთი მიმართულების დახასიათება. ამასთან ერთად მოჭიდავის ტექნიკური ოსტატობის არანაკლები და მნიშვნელოვანი მხარე არის ათვისებული და გამომუშავებული ჩვევების რაოდენობა, სადაც ფასდება - სამომრათო ჩვევის ხარისხი. როგორც ცნობილია, თანამედროვე თავისუფალი ჭიდაობა თავის ტექნიკურ და ტაქტიკურ არსენალში მოიცავს ათასზე მეტს საიერიშო ტექნიკურ მოქმედებებს, საწინააღმდეგო ილეთებსა და დაცვით ილეთებს, როგორც დგომში ასევე ჩოქბჯენში. ამ ილეთებით ხდება კომბინაციებისა და კომპლექსების ეფექტური დაკავშირება. ეს რა თქმა უნდა ართულებს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტექნიკური ოსტატობის სრულყოფის პრობლემას.

ტექნიკური ოსტატობის ორ ზემოთ აღნიშნულ მხარეს აქვს თავისი ამოცანები და სრულყოფის გზები, რომლებიც განაპირობებენ სპორტსმენის ტექნიკური მომზადების ხარისხს.

თავისუფალი სტილის მოჭიდავის ტექნიკური მოქმედებების მოცულობის ოპტიმიზაციის პრობლემა მოიცავს თავის მხრივ მრავალმხრივანი მომზადების საკითხს, რომელიც გულისხმობს - უნარს და შესაძლებლობას შევასრულოთ ტექნიკური ილეთები ორივე მხარეს.

მოცემულ საკითხში შეიძლება გამოვყოთ ორი მხარე: 1) ინდივიდუალურ არსენალში ისეთი მოქმედებების არსებობა, რომლებიც სრულდება როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა მხარეს (მარჯვენა და მარცხენა დგომიდან); 2) მეორეს მხრივ გამართლება იმისა, რომ ერთი და იგივე ილეთი სრულდებოდეს ორივე მხარეს. მოცემული პრობლემის პირველი მხარე არ საჭიროებს დიდ დამტკიცებას, იქიდან გამომდინარე, რომ მოჭიდავე და განსაკუთრებით მაღალი ოსტატობისა და დონის სპორტსმენმა უნდა შეძლოს შეხვედრის წარმართვა, რომელიც იმყოფება როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა დგომში. ამ პრობლემის მეორე მხარე არის მეტად რთული. ვ. ი. ოგურენკოვისა და ა. ვ. როდიონოვის მონაცემებზე დაყრდნობით მოსახლეობის 3% შეადგენენ - „ცაციები“. რაც შეეხება სპორტს - აქ შეიძლება ითქვას, რომ დიდ შეჯიბრში გამარჯვებულების რაოდენობაში 40%-ს შეადგენენ - „ცაციები“. სპორტული ჭიდაობის თეორიაში ამ საკითხისთვის არის განკუთვნილი დიდი ყურადღება.

როგორია რაციონალური და სწორე ტექნიკა? რაციონალური და გამართლებული ტექნიკა - ეს არის ისეთი ტექნიკა, როდესაც მოჭიდავე სწორად წარმართავს შეხვედრას და აქვს უპირატესობა ამ შეხვედრაში, მოქმედებს ეფექტურად და დამაჯერებლად, აკეთებს ყველაფერს სწორად - შეხვედრის მსვლელობის დროს მასში შექმნილი თავისებურებებიდან გამომდინარე. მწვრთნელის ცოდნა და გამოცდილება მიმართული უნდა იყოს ვარიაციული ჩვევის გამომუშავებაზე, ე.ი. მწვრთნელმა უნდა გაითვალისწინოს მოჭიდავის უნარი, მოახდინოს რეაგირება, დინამიური სიტუაციების ცვლილებები.

აღმოჩენილი ფაქტების ანალიზი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავაკეთოთ დასკვნა, რომ „ორმხრივი“ მოჭიდავეები საგრძნობლად გამოირჩევიან უპირატესობით „ცალმხრივი“ მოჭიდავეებისგან. ამრიგად დღესდღეობით ეს საკითხი რჩება ღია. სპორტსმენების მომზადების მეთოდოლოგია იყოფა სწავლებისა და სრულყოფის მეთოდოლოგიაზე, რომლებსაც აქვთ თავისი სპეციფიკური ამოცანები და მეთოდოლოგური თავისებურებები.

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არსებობს სპორტული ჭიდაობის პრაქტიკაში, რომელიც ეხება ილეთების მოცულობასა და თანამიმდევრობას, რომელიც უნდა

შეისწავლებოდეს სწავლების საწყის ეტაპზე.

ჩვენ სასწავლო-საწვრთნო პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ილეთების სწავლებასა და სრულყოფას დიდი მოცულობის გამოყენებით და ჩვენს მიერ თანამიმდევრობის დაცვით. ასევე აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ილეთები უნდა სრულდებოდეს ორივე მხარეს მოწინააღმდეგესთან შეხვედრის დროს. სხვა შემთხვევაში სპორტსმენ-მოჭიდავეს ნაკლები შესაძლებლობები ეძლევა, როცა მოწინააღმდეგე ძლიერია და გააჩნია მრავალფეროვანი არსენალი. ეს პროცესი მეტად ეფექტური იქნება და ილეთების ათვისება სრულყოფის დონეზე მეტად შესაძლებელი, როდესაც ამ პრინციპით სწავლება მოხდება საჭიდაო სექციაში სპორტსმენის მოსვლისთანავე. თუ მოჭიდავე მიეჩვევა ილეთების შესრულებას ერთ მხარეს - ათვისება და სრულყოფა ამ ილეთის მეორე მხარეს იქნება ძალიან ძნელი და ხშირად შეუძლებელი.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ავტორებს არ აქვთ ერთი აზრი ამ საკითხში. ჩვენი აზრით, ილეთების სწავლება და სრულყოფა შესაძლებელია ორივე ზემოთ აღნიშნული მიმართულებით.

ილეთების სწავლებასა და სრულყოფის პრინციპს ორივე მხარეს - ჩვენ ვიცავთ ყოველთვის სასწავლო-საწვრთნო პროცესში. ერთფეროვან და ცალმხრივ ჭიდაობას მოაქვს ნაკლები ეფექტი და შედეგი. მსგავს ჭიდაობას მოაქვს პატარა შედეგი გარკვეულ საფეხურამდე. იმისათვის, რომ შედეგი გაიზარდოს, რა თქმა უნდა, საძირკველი უნდა ჩაეყაროს სწავლების საწყის ეტაპზე. შეიძლება თავიდან ეს რთული იყოს, მაგრამ ყველა პედაგოგიური კანონის დაცვის შემთხვევაში აქ მეტი შედეგი იქნება. ეს არის დამოკიდებული როგორც მწვრთნელზე, ასევე სპორტსმენზეც.

ხშირად მწვრთნელები და სპორტსმენები აკეთებენ და იმეორებენ იმას, რაც იციან და რაც ეადვილებათ, მაგრამ ეს ესე არ არის, ყოველთვის უნდა ვეცადოთ განვითარდეთ და მოხდეს პროგრესირება, შეიძლება ეს რთულია, ეს არის სპორტი, რომელიც მოითხოვს მეტ მუშაობას და ნებისყოფას.

ლიტერატურა:

1. Караев М. Г., Новиков А. А., Особенности проявления функциональной асимметрии у квалифицированных спортсменов. Теория и практика физической культуры. 1985, №10.
2. Чермит К. Д., Двигательная асимметрия в борьбе дзюдо. Автореф. дисс. на соиск. учен. степ. канд. пед. наук., М., 1984.
3. Коблев Я. К., Чермит К. Д., Рубанов М. Н., Невзоров В., Дутов В. С., Методика преодоления асимметрии технической подготовленности дзюдоистов. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1983.
4. Анисимов Е. А., Макаров А.А., Исследование функциональной асимметрии кинестетического анализатора. Теория и практика физ.культуры, 1981, №12.
5. Огуренков В. И., Родионов А. В., Двигательная асимметрия в боксе по показателям психомоторики. «Теория и практика физической культуры», 1975, №6.

აზოტოვანი ნაერთები სასურსათო მცენარეებში

ნინო სარქისიანი, ანი კაკაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი**, პროფესორი

აზოტის ნაერთებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ბუნებაში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაში, მაგრამ მათი ჭარბი რაოდენობა მთელ რიგ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ადამიანის ორგანიზმში მათი მოხვედრის ძირითადი წყაროა მცენარეული პროდუქტები, რომლებშიც აზოტოვანი ნაერთები ძირითადად წარმოდგენილია როგორც ცილოვანი, ისე არაცილოვანი სახით. უკანასკნელიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აზოტის ნიტრატული ფორმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკუთრივ ნიტრატები არატოქსიკურია, მაგრამ ადამიანის ორგანიზმში, კერძოდ, კუჭში გარდაიქმნებიან ნიტრიტებად, რომელთა ტოქსიკურობა 10-ჯერ აღემატება ნიტრატების ტოქსიკურობას. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ნიტრატების აღდგენის შედეგად წარმოქმნილი ნიტრიტები მკავე არეში რეაგირებენ მეორად ამინებთან და წარმოქმნიან ნიტროზოამინებს, რომელთაც გააჩნიათ კანცეროგენული თვისებები და შეუძლიათ გამოიწვიონ ონკოლოგიური დაავადებები. ამასთან, ნიტრიტებს ჰემოგლობინის ორვალენტური რკინა გადაყავთ სამვალენტურში, რაც იწვევს დაავადება მეტჰემოგლობინემას. ასეთი სისხლი ვედარ ასრულებს ჟანგბადის გადატანის ფუნქციას და ამის შედეგად შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობა დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს.

მცენარის მიერ შეთვისებული ნიტრატები პირველ საფეხურზე უნდა გარდაიქმნან ამიაკად. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი ჩართვა ორგანულ ნაერთებში, მაგრამ ამ პროცესის წარმართვისათვის საჭიროა მთელი რიგი მაკრო- და მიკროელემენტები: Cu, Fe, Mn, Mg და სხვა.

თუ ხსენებული მიკრო- და მაკროელემენტების სიმცირის გამო ნიტრატები ამიაკად ვერ გარდაიქმნება, მაშინ ვერ მოხდება მისი შეერთება ორგანულ მკავეებთან (რომლებიც თავის მხრივ მკავეების დაჟანგვითაა წარმოქმნილი), რაც შეაფერხებს ამინომკავეებისა და ცილების სინთეზს, ეს პროცესი კი საბოლოოდ უზრუნველყოფს მცენარის მიერ ამა თუ იმ თავისივე ორგანოში ნიტრატების დაგროვებას.

ნიტრატების აღდგენა უმთავრესად ხდება სინათლეზე. მისი ინტენსივობის შემცირება აფერხებს ნიტრატების აღმდგენი ფერმენტის - ნიტრატრედუქტაზას აქტივობას, რაც იწვევს ნიტრატების დაგროვებას.

ჭარბი ნალექებისას და ღრუბლიან პერიოდში მცირდება განათების ინტენსივობა, ნაკლები რაოდენობით წარმოიქმნება ნახშირწყლები, იზრდება მცენარეში ნიტრატების შეღწევა და დაგროვება. ასევე ნიადაგისა და ჰაერის ტემპერატურის დაწევა სწრაფად ამცირებს ცილოვანი აზოტის წარმოქმნას მცენარეში და ხელს უწყობს ნიტრატების დაგროვებას. თბილ დღეებში - პირიქით, ნიტრატების შემცველობა მცირდება.

აზოტის სასუქების მაღალი დოზების გამოყენებით და მათი შეტანის ტექნოლოგიების დარღვევით, მნიშვნელოვნად იზრდება პროდუქციაში ნიტრატების შემცველობა. ამ პროცესს ხელს უწყობს ნიადაგში ნიტრატების ჭარბი რაოდენობით არსებობა, მინერალური კვების რეჟიმისა და მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიური თუ ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევა.

როგორც აღვნიშნეთ, ნიტრატების ბაზაზე მცენარეში წარმოიქმნება ტოქსიკური ნიტროზოამინები. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ნიტრატების ჭარბი რაოდენობით დაგროვება ბოსტნეულ-ბაღჩეულ მცენარეებში, რადგან მათი პროდუქციის დიდი ნაწილი ადამიანის მიერ ნედლი სახით, ყოველგვარი გადამამუშავების გარეშე მოიხმარება. გადამამუშავებისა და დაწინილების პროცესში კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვნად მცირდება ნიტრატების შემცველობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ადამიანის კვების რაციონში ფართოდ გამოყენებული ბოსტნეულ-ბაღჩეული მცენარეების პროდუქციაში ნიტრატების შემცველობის დადგენა ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით, რაც დღევანდელი ეკოლოგიური დატვირთვის პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია და განაპირობებს კვლევის აქტუალობას.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ჩვენს მიერ საქართველო-ისრაელის პროექტების მენეჯმენტის ლაბორატორიაში (ქალაქ გორში) პროდუქციაში ნიტრატების განმსაზღვრელი აპარატის - НИТРАТ-ТЕСТЕР-ის გამოყენებით. ანალიზების მონაცემები დამუშავებული იქნა მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით.

კვლევის ობიექტი: პამიდორის, კიტრის, სტაფილოს, მწვანე ხახვის, ნიორის, თავიანი კომბოსტოს, კარტოფილის, ტკბილი წიწაკის, ფოთლოვანი ბოსტნეულის, ნესვის და საზამთროს საკვებად გამოსაყენებელი ორგანოები. საკვლევი მასალა შექმნილი იქნა ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე. ამასთან მოძიებული იქნა ინფორმაცია პროდუქციის წარმომავლობის და მოყვანის ტექნოლოგიური პროცესების შესახებ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მოტანილია 1-ელ ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ საკვლევ მცენარეთა სახეობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნიტრატების დაგროვების უნარით და მათი რაოდენობის მიხედვით ისინი შეიძლება დავალაგოთ შემდეგი მზარდი რიგით:

საზამთრო → ნესვი → პამიდორი → კიტრი → წიწაკა ტკბილი → კარტოფილი → სტაფილო → ნიორი → ხახვი მწვანე → კომბოსტო თავიანი → ფოთლოვანი ბოსტნეული

**ნიტრატების შემცველობა ბოსტნეულ-ბაღჩეულ მცენარეთა პროდუქციაში
2016 წელი**

მცენარე	სასაქონლო ნაწილი	NO ₃ ⁻ მგ/კგ	
		საკვლევ პროდუქციაში	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ)
პამიდორი	ნაყოფი	113 ± 1,22	150
კიტრი	ნაყოფი	137 ± 1,47	150
სტაფილო	ძირხვეწა	380 ± 7,02	400
ხახვი მწვანე	მთელი მცენარე	497 ± 5,21	600
ნიორი	ბოლქვი	460 ± 8,50	400
კომბოსტო თავიანი	თავი	1063 ± 10,23	900
კარტოფილი	ტუბერი	165 ± 1,73	250
წიწაკა ტკბილი	ნაყოფი	152 ± 1,35	200
ფოთლოვანი ბოსტნეული (სალათა, ოხრახუმი, ქინძი, კამა, ნიახური და სხვ.)	ღერო, ფოთლები	1540 ± 22,02	2000
ნესვი	ნაყოფი	67 ± 1,15	90
საზამთრო	ნაყოფი	45 ± 0,91	60

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთ მცენარეში ნიტრატების დაგროვება რამდენადმე მაღალია შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრატთან შედარებით, სახელდობრ, ნივრის ბოლქვებში 15,0%-ით, კომბოსტოს თავებში - 18,1%-ით. დანარჩენ საკვლევ მცენარეებში პამიდორი, კიტრი, სტაფილო, ხახვი მწვანე, კარტოფილი, წიწაკა ტკბილი, ფოთლოვანი ბოსტნეული, ნესვი, საზამთრო, ნიტრატების შემცველობა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრატთან შედარებით დაბალია და შეადგენს შესაბამისად 113, 137, 380, 497, 165, 152, 1540, 67, 45 მგ/კგ-ს.

სხვადასხვა მკვლევართა აზრით, ნიტრატების ჭარბი დაგროვება დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნული კულტურების (ნიორი, კომბოსტო) აზოტით ცალმხრივ და მაღალი დოზებით კვებასთან. ამასთან, არაბალანსირებული მინერალური კვებისას ხდება ფერმენტ ნიტრატრედუქტაზას აქტივობის დაქვეითება. ამიტომ აზოტის ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია ვიცოდეთ კვების პროდუქტებში ნიტრატების ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია და მოვახდინოთ მასზე კონტროლი.

იმის გამო, რომ პროდუქტებში ნიტრატების ყველგან განსაზღვრის საშუალება არ არსებობს, საჭიროა თითოეულმა ადამიანმა იცოდეს ის ძირითადი სიმპტომები, რითაც დაბინძურებული ბოსტნეულ-ბაღჩეული რამდენადმე განსხვავდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციისგან. სახელდობრ: ნიტრატებით დაბინძურებულ კიტრის ნაყოფების კანს აქვს ძალზე მუქი მწვანე შეფერილობა, რომელიც რბილობზეც ვრცელდება. ნიტრატებით სუფთა მცენარის ნაყოფებს და ფოთლებს კი აქვთ ღია მწვანე შეფერილობა; პამიდორის ნიტრატებით ჭარბი კვება იწვევს ვეგეტატიური ორგანოების მძლავრ ზრდა-განვითარებას და ნაყოფმსხმოიარობის მკვეთრ შემცირებას. მის ფოთლებს გააჩნია მუქი მწვანე შეფერილობა, მწიფე ნაყოფის ყუნწის გარშემო კი მწვანე რჩება; ასევე კომბოსტოს თავის გარეთა ფოთლები მწვანე შეფერილობისაა, ხოლო შიგა (მეოთხე, მეხუთე და ა.შ.) ფოთლები, რომლებიც წესით თეთრი უნდა იყოს, ღია მწვანეა; კარტოფილის ტუნერების ფოთლებს აქვს მუქი მწვანე შეფერილობა და ტუბერებსაც გადაჰკრავს მწვანე ფერი; ნესვისა და საზამთროს ნაყოფის კანქვეშა მდებარე რბილობი აზოტის მაღალი დოზების შეტანისას, თითქმის კიტრის ანალოგიური სიმპტომებით ხასიათდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიტრატების დაგროვების შესამცირებლად (თავიდან ასაცილებლად) შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- მინერალური ელემენტების, განსაკუთრებით აზოტის ოპტიმალური დოზების დადგენა ნიადაგში არსებული საკვები ელემენტების მარაგის და მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;

- ცალკეულ საკვებ ელემენტებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა, რაც გამოირიცხავს მცენარის აზოტით ცალმხრივად კვებას;

- აზოტიანი სასუქების ფორმების შერჩევა ნიადაგის ტიპისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

- ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ისეთი ჯიშების შერჩევა, რომლებიც შედარებით მცირე რაოდენობით აგროვებენ ნიტრატებს.

ლიტერატურა:

1. ა. თხელიძე, რ. ლიპარტელიანი, ნ. მუმლაძე, ხ. ხომასურიძე, გ. დანელია, სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა, თბილისი, 2009.
2. თ. ურუშაძე, აგროეკოლოგია, თბილისი, 2001.
3. ნ. გოგინაშვილი, ი. ბურჭულაძე, ნიტრატების გავლენა ადამიანის ორგანიზმზე და მისი შემცველობა ბოსტნეულ პროდუქციაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამეცნიერო შრომები, III, იურიდიული აზრი, თბილისი, 2001.
4. მ. გორდეზიანი, გ. კვეციტაძე, ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები, თბილისი, 2000.
5. გ. ქაჯაია, ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თსუ, თბილისი, 1999.
6. Маренюк Г. В., Загрязнение окружающей среды и здоровье населения. Кишинёв, Штиница, 1984.

ვიტამინების ზოგიერთი თავისებურება

თინათინ ურჯუმელაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ქურიძე**, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ცოცხალი ორგანიზმებისთვის აუცილებელია მათში არსებობდეს რთული ორგანული ნაერთები, რომლებიც ცნობილია ვიტამინების სახელწოდებით.

ვიტამინები სხვადასხვა ქიმიური სტრუქტურის მქონე დაბალმოლეკულური ნაერთებია, რომლებიც ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებში მონაწილეობენ, გავლენას ახდენენ ნივთიერებათა ცვლაზე, ასრულებენ კატალიზურ ფუნქციას და ა.შ.

ორგანიზმში ვიტამინების დეფიციტი შეიძლება შეიქმნას არასრულფასოვანი პროდუქტებით კვებისას, ან შეწოვის მექანიზმის დარღვევით. საკვებ რაციონში ვიტამინების ნაკლებობისას ვითარდება ჰიპოვიტამინოზი, არ არსებობისას - ავიტამინოზი, სიჭარბისას - ჰიპერვიტამინოზი.

ადამიანთა დიდი ჯგუფი უკონტროლოდ იღებს ვიტამინებს დიდი რაოდენობით, რადგან ჩაგვაგონეს, რომ ვიტამინები სასარგებლოა და რაც უფრო მეტია მით უკეთესია. ეს ასეც არის, თუ საქმე ნატურალურ, ბუნებრივ საკვებში შემავალ ვიტამინებს ეხება. სინთეზური ვიტამინები კი ჯანმრთელობისთვის საშიშია. ისინი ხშირად ტოქსიკურ რეაქციებს იწვევენ, პათოლოგიებს.

ვიტამინების დასახელებისათვის გამოყენებულია ლათინური ასოები: A, B, C, D და ა.შ. ვიტამინების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მათი ხსნადობა, ამის მიხედვით ვიტამინები იყოფა ორ ჯგუფად - წყალში და ცხიმში ხსნადები.

ცხიმში ხსნადი ვიტამინებია:

ვიტამინი A (რეტინოლი) - ციკლური, უჯერი, ერთატომიანი სპირტია. წარმოდგენილია კაროტინოიდები, რომლებიც ამ ვიტამინის პროვიტამინია. ორგანიზმში რეტინოლი გარდაიქმნება რეტინალად და რეტინის მჟავად, რომლებიც მონაწილეობენ უჯრედების ზრდასა და დიფერენცირებაში, ასევე წარმოადგენენ მხედველობის ფოტოქიმიურ საფუძველს.

ვიტამინი D - კალციფეროლები, ვიტამინი D, რომელიც ადამიანის და ცხოველურ ორგანიზმებში გვხვდება, ადამიანის კანში წარმოიქმნება ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით. ვიტამინი D ხელს უწყობს Ca და P იონების შეწოვას წვრილი ნაწლავების მიერ, აკავებს Ca-ს საჭირო დონეს სისხლში.

ვიტამინი E - ტოკოფეროლები, ვიტამინი E არის ანტიოქსიდანტი - ხელს უშლის ჟანგბადის დამანგრეველ მოქმედებას, ვიტამინი E არის ბიოლოგიური მემბრანების აუცილებელი კომპონენტი, მონაწილეობს ნუკლეინის მჟავების სინთეზში, აუცილებელია ემბრიონის ნორმალური განვითარებისთვის.

ვიტამინი K - ნაფტოქინონი, მონაწილეობს პროთრომბინის სინთეზში, ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, ატფ-ს სინთეზში, **სისხლის შედედების პროცესში**.

ვიტამინი F - მონაწილეობს ლიპიდების ცვლაში, შედის სისხლის პლაზმაში, მონაწილეობს ლიპიდების ცვლაში, ორგანიზმიდან გამოაქვს ჭარბი ქოლესტერინი, არეგულირებს სუნთქვის კოეფიციენტს ანუ CO₂-ის ფარდობას O₂-თან.

ვიტამინი Q - მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, გადააქვს ელექტრონები სუნთქვის ჯჭვში.

წყალში ხსნადი ვიტამინებია:

ვიტამინი B1 - თიამინპიროფოსფატი - B1 ცხიმოვანი მჟავების სინთეზში, არეგულირებს გულის მუშაობას.

ვიტამინი B2 - რიბოფლავინი, მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, შედის კოფერმენტების შედგენილობაში.

ვიტამინი B3 - ფართოდაა გავრცელებული მცენარეულ საკვებში და მსხვილფეხა ცხოველის ღვიძლში და თირკმელში. ვიტამინი B3 სტეროიდული ჰორმონების სინთეზში.

ვიტამინი B5 - პანტოთენის მჟავა უნივერსალური ვიტამინია. მას საჭიროებს როგორც ადამიანი, ასევე ცხოველები, მცენარეები და მიკროორგანიზმები. ჩართულია ღვიძლში მიმდინარე უცხო ნაერთების გაუვნებელყოფის პროცესში, ცხიმოვანი მჟავების გააქტივებაში.

ვიტამინი B6 - პირიდოქსოლი მონაწილეობს ამინომჟავების ცვლაში, მათ მეტაბოლიზმში.

ვიტამინი B9 - ფოლის მჟავა. არეგულირებს ჰემოპოეზს, ამცირებს ქოლესტერინს, არის უჯრედის გამრავლების ფაქტორი.

ვიტამინი B12 - კობალამინი - მონაწილეობს ერთროციტების წარმოქმნაში, ღვიძლის უჯრედების რეგენერაციაში.

ვიტამინი B15 - პანგამის მჟავა - ღვიძლს იცავს ცხიმური გადაგვარებისგან.

ვიტამინი H - ბიოტინი, არის ანტიცებორეული, მონაწილეობს ცილის, რნმ-ს სინთეზში. არეგულირებს ნერვული სისტემის ფუნქციონირებას.

ვიტამინი P - ვიტამინები P და C აძლიერებენ ერთმანეთის მოქმედებას, რომელ მცენარეშიც შედის ვიტამინი P იქ ყოველთვის არის ვიტამინი C. მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში.

ვიტამინი C - ასკორბინის მჟავა, ვიტამინი C საჭიროა ენდოკრინული სისტემისთვის, გულისთვის, ორგანიზმს იცავს ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედებისგან.

სინთეზური ვიტამინებით გატაცებამ შეიძლება გაზარდოს რისკი სხვადასხვა დაავადებების გამოწვევის. მაგ.: ადამიანები, რომლებიც იღებენ ანტიოქსიდანტების კომპლექსს, სინამდვილეში ორგანიზმს ხელს უშლიან, ჩართოს დაცვის ბუნებრივი ფუნქცია, რის გამოც ნაადრევი სიკვდილის რისკი 16 პროცენტამდე იზრდება. F ვიტამინის გაზრდილი დოზის გამოყენება განსაკუთრებით საშიშია ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის, რადგან ისინი ზრდიან სიმსივნური უჯრედების გამრავლების სიჩქარეს.

სინთეზურ ვიტამინებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა, რომლებშიც რამდენიმე ათასი მწვეელი მონაწილეობდა, ასეთი სურათი აჩვენა: მწვეელთა ჯგუფში, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად იღებდა A ვიტამინს, ფილტვის კიბოს დაავადებათა რაოდენობა საშუალოზე მდალი აღმოჩნდა, ხოლო იმ ჯგუფში რომელიც E ვიტამინს იღებდა, დაფიქსირდა ინსულტების დიდი რაოდენობა (საშუალოსტატისტიკურთან შედარებით). ვიტამინების მწარმოებლები უარყოფენ ამ შედეგებს და აცხადებენ, რომ მათი პროდუქციისგან გამოწვეული ზიანი არ არის დადგენილი, სინთეზური ვიტამინები კი ბუნებრივის მსგავსია.

ამერიკაში, მასაჩუსეტის შტატში, ადამიანები მოიწამლნენ რძეში მომატებული რაოდენობით D ვიტამინის შემცველობის გამო. ერთი ადამიანი გარდაიცვალა. მწარმოებლებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ სინთეზური D ვიტამინის დიდი დოზა მაღალტოქსიკურია.

ბოლო დრომდე C ვიტამინს უკეთებოდა რეკლამა, როგორც ონკოდაავადებათა მკურნალობის და პროფილაქტიკის საშუალებას, თუმცა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სინთეზური C ვიტამინის დიდი რაოდენობით მიღება, პირიქით, ხელს უწყობს კიბოს განვითარებას. საქმე ის არის, რომ ეს ვიტამინი წარმოქმნის გენოტოქსინებს, რომლებიც აზიანებს დნმ-ს.

არსებობს მოსაზრება, რომ C ვიტამინი, დიდი დოზით, ამაღლებს ჩვენი ორგანიზმის გამძლეობას ინფექციების მიმართ. ამ დროს სინთეზური ვიტამინის ჭარბი დოზები იწვევს მძიმე ალერგიულ დაავადებებს.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებმა უნდა იცოდნენ, რომ C ვიტამინის მაღალი დოზა უარყოფითად მოქმედებს კუჭქვეშა ჯირკვალზე, აქვეითებს ინსულინის გამომუშავებას და ზრდის სისხლში შაქრის შემცველობას.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო კომპლექსური ვიტამინების (პოლივიტამინები) მიღების შემთხვევაში. მათი მიღებისას შესაძლოა, მოხდეს დოზის გადაჭარბება და მოჰყვეს სავალალო შედეგები. მაგალითად, A ვიტამინი (რეტინოლი) ძვლებს მყიფეს ხდის და მისი დოზის გადაჭარბება, შესაძლოა მოტეხილობის მიზეზი გახდეს. ამ ვიტამინის სადღეღამისო ნორმაა 10 000 სე (საერთაშორისო ერთეული), თუმცა ვიტამინური კომპლექსები (ცენტრუმი, დუოვიტი) შეიცავს 5 000 სე-ს - სადღეღამისო ნორმის ნახევარს, რეკომენდაციაში კი მითითებულია, რომ მოზრდილი ადამიანის დღიური ნორმაა 3 აბი.

ზოგიერთი ვიტამინი და მინერალური ნივთიერება ერთმანეთს აძლიერებს (მაგ. C ვიტამინი და სპილენძი). სხვა კომპონენტებს პირიქით, როგორც ანტაგონისტებს, შეუძლია ერთმანეთს ხელი შეუშალოს. ცნობილია, ანტაგონიზმი C და B12 ვიტამინებს, კალციუმსა და თუთიას შორის. არ არის სასურველი B1 და B2 ვიტამინების მიღება ერთდროულად. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პოლივიტამინებში შემავალი კომპონენტების ბალანსი.

ნატურალური ვიტამინი - ეს მთელი ბიოლოგიური კომპლექსია. იგი აერთიანებს მრავალ აქტიურ კომპონენტს (ბიოფლავონოიდები, ტოკოფეროლები და სხვ.) მთელი ეს კომპლექსი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და განსაკუთრებული სტრუქტურა გააჩნია. სასარგებლოა მხოლოდ ნატურალურ პროდუქტებში შემავალი ვიტამინები. ის ვიტამინებიც კი, რომლებსაც ბუნებრივი პროდუქტები გამოყოფენ, მკვდარი კრისტალებია, ისინი არ არიან აქტიურნი.

ნატურალურ და სინთეზურ ვიტამინებს შორის დიდი განსხვავებაა. მაგალითად, ბუნებრივი E ვიტამინი წარმოადგენს ოთხი ნივთიერების ე.წ. ტოკოფეროლების (ალფა, ბეტა, გამა, დელტა) კომპლექსს, ხოლო სინთეზური ან ხელოვნური E ვიტამინი წარმოადგენს ქიმიურად სუფთა მხოლოდ ერთ ნივთიერებას - ალფა-ტოკოფეროლს ან გამა-ტოკოფეროლს. ეს ინდივიდუალური ნივთიერებები უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმზე მაშინ, როცა ვიტამინების ბუნებრივ კომპლექსს ახასიათებს გაწონასწორებული სასარგებლო მოქმედება. როცა E ვიტამინის შემცველი პროდუქტებით (ხორბალი, სოია, ზეთისხილი) ვიკვებებით, იმავე ალფა-ტოკოფეროლს ვიღებთ, მაგრამ უკვე მთელ „ოჯახთან“ ერთად, ჩვენი ორგანიზმისთვის საჭირო ფორმით. აღმოჩნდა, რომ E ვიტამინის მოქმედებისთვის აუცილებელია გამა-ტოკოფეროლი, რომელიც სინთეზურ პრეპარატებში არ შედის. ასევე, ნატურალური კვებით მიღებული ბეტა-კაროტინი (რომლისგანაც ორგანიზმში წარმოიქმნება A ვიტამინი) 10-ჯერ უფრო აქტიურია ალფა-კაროტინთან ერთად.

ასევე ასკორბინის მჟავა მხოლოდ ნატურალური C ვიტამინის ფრაგმენტია. C ვიტამინი, ასკორბინის მჟავასთან ერთად, შეიცავს რუტინს, ბიოფლავონოიდებს და ა.შ. ანუ მთელ კომპლექსს, რაც ვიტამინს ბევრად უფრო ეფექტურს ხდის. ასეთი ბუნებრივი კომპლექსების შექმნა დღეს არცერთ ლაბორატორიას არ შეუძლია.

სინთეზურ ვიტამინებს რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება. უფრო მეტიც, არის სიტუაცია, როცა მათი გამოყენება აუცილებელია, მაგრამ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც სამკურნალო პრეპარატები, ე.ი. მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით მოხდეს მათი გამოყენება უკიდურეს შემთხვევებში.

ყველა დიეტოლოგი აღიარებს, რომ ჩვენს ორგანიზმს აკლია ვიტამინები. ასევე აკლია უხეში, ცუდად მოსაწელებელი საკვები (უჯრედისი), მხოლოდ ასეთ საკვებს შეუძლია ჩვენი საჭმლის მომწელებელი სისტემის გაწმენდა და მისი მუშაობის ნორმალუზება (ვიტამინების და მინერალურ ნივთიერებათა უკეთ შესათვისებლად). აუცილებელია ჩვენი კვების რაციონის კორექტირება. მასში უნდა ჩაერთოს ორგანიზმისთვის სასარგებლო პროდუქტები: მარცვლოვნები, პარკოსნები, ბოსტნეული, ხილი, მწვანილი და ა.შ. ამ პროდუქტებში შემავალი ვიტამინები სრულიად საკმარისია ჩვენი ორგანიზმისთვის. მათი დეფიციტი მაშინ წარმოიქმნება, თუ ამ პროდუქტებს ამოვიღებთ ჩვენი რაციონიდან.

ჩვენ ვიკვებებით ცხიმოვანი რაფინირებული საკვებით, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებს.

ვიტამინების მწარმოებელი კომპანიები ამტკიცებენ, რომ მათი ვიტამინები ნატურალურია, რადგან ნატურალური პროდუქტებისაგან (როგორც წესი საფუარებისაგან აწარმოებენ, მაგრამ ჩვენთვის, როგორც მომხმარებელთათვის ეს არაფერს ცვლის. საბოლოო ჯამში, ჩვენ იგივე „მკვდარ“ კრისტალებს გვთავაზობენ. ისინი არაფრით განსხვავდებიან ქიმიური გზით მიღებული თავიანთი სინთეზური ანალოგებისგან. მაგალითად, ქიმიური თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს, მათ ნავთობის წარმოების ნარჩენებისაგან იღებენ (სინთეზური ვიტამინები), თუ გამოყოფენ ბუნებრივი ობიექტებისგან (ხელოვნური ვიტამინები).

ყოველივე ამის შემდეგ დაგვრჩა მთავარი: სად ვეძებთ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებები, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე და ნებისმიერი კომბინაციითაც აფთიაქის თაროებზე ყოველ მათგანს უკავია კუთვნილი ადგილი, სურვილი იყოს და ქსელური მარკეტინგის მოღვაწენი შინაც მოგვართმევენ, დაგვარწმუნებენ, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ერთადერთი გზა დაგვრჩა - ისინი აბებით ჩავანაცვლოთ.

რა თქმა უნდა გარემოც დაბინძურებულია და ჩვენი საკვებიც უფრო და უფრო იტენება ფუჭი კალორიებით, და მაინც, მთელ მსოფლიოში, (მათ შორის აშშ-შიც, სადაც ჯანსაღი საკვების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას), ჯანმრთელობის სფეროს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის ვიტამინების საუკეთესო წყარო საკვებია. იქიდან ვიტამინები უფრო ადვილად შეითვისება და უფრო ნელაც გამოიყოფა. თანაც, აბისგან განსხვავებით, საკვები სხვა სასარგებლო ნივთიერებებსაც შეიცავს.

რომელი ვიტამინი რომელ პროდუქტშია და რა რაოდენობით, ან რამდენი გვჭირდება თითოეული მათგანი, მეცნიერებს გამოწვლილვით აქვთ შესწავლილი და ცხრილებიც კი შეუდგენიათ. მაგრამ, დაგვეთანხმებით ყოველივე ამის დამახსოვრებას და გამოთვლას მოკვდავის ტვინი კი არა, საკმაოდ მძლავრი პროცესორი სჭირდება. როგორც სპეციალისტები ამბობენ ეს არც არის აუცილებელი. ვიტამინების საჭირო რაოდენობას ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოაგვარებთ თუ თქვენი რაციონი მრავალფეროვანი და ჯანსაღი იქნება.

აქცენტი ხილზე, ბოსტნეულზე, სად მარცვლეულზე, ნაკლებციმიან რძესა და მის ნაწარმზე გააკეთეთ, ნუ უგულებელყოფთ მჭლე საქონლის, ფრინველის ხორცს, თევზს, თხილეულს, პარკოსნებსა და კვერცხს. შეზღუდეთ ნაჯერი (ცხოველური) და ტრანსციბიმების, ქოლესტეროლის, მარილისა და შაქრის რაოდენობა.

ლიტერატურა:

1. Ф. Б. Филипович, «Основы биохимии», «Флинма», М., 1999, 507 стр.
2. ნანა კომორიძე, „ბიოქიმია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, 447 გვ.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://www.mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/nivthierebatha-cvla/3204-vitaminebi-da-mineralebi-sakvebshi.html>
2. <http://www.medgeo.net/2010/08/27/vitamins-10/>
3. http://janmrtelobainfo.ge/?page_id=2033

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ისტორია

ალეკო ქვრივიშვილი, ლაშა ღონღაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: ალექსანდრე იაშვილი, პროფესორი

ფეხბურთი - მოსახლეობის ფართო მასების ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. თანამედროვე ცხოვრების პირობებში ფეხბურთი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეა.

სანამ შეიქმნებოდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ფიფა, საკონტინენტთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში ოლიმპიური თამაშების ეგიდით მიმდინარეობდა.

1904 წელს შეიქმნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ფიფა, რომელმაც 1928 წლის 28 მაისს ამსტერდამის კონფერენციაზე მიიღო მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილება.

1930 წელს პირველ მსოფლიო ჩემპიონატს ურუგვაიმ უმასპინძლა. ურუგვაის ამ დროს უძლიერესი საფეხბურთო ნაკრები ჰყავდა, რომელმაც 1924 და 1928 წლების ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები მოიპოვა.

ფიფას გადაწყვეტილებამ, მსოფლიო პირველობის ურუგვაიში ჩატარების შესახებ, ევროპის ქვეყნებში უკმაყოფილება გამოიწვია. მაშინ კონტინენტზე ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა და ასეთ ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მოგზაურობაში მონაწილეობის პერსპექტივა არავის ხიბლავდა. ამის გამო, გამგზავრება ევროპის ყველა ძლიერმა გუნდმა იუარა და მსოფლიო პირველობასაც საფრთხე დაემუქრა.

მსოფლიო პირველობაზე გამგზავრება, ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ საფრანგეთის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და ბელგიის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელობამ შესძლო.

ურუგვაიში ევროპიდან ჩასულ ოთხ ნაკრებს ცხრა ამერიკული კონტინენტის ნაკრებთან ერთად, ბერძნულ მითოლოგიაში, გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკებისთვის უნდა ებრძოლათ.

მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატამდე გამარჯვებულს სწორედ ეს პრიზი გადაეცემოდა.

1930 წლის 30 ივლისს, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრაში, არგენტინელებსა და ურუგვაელებს შორის გამარჯვება მოიპოვა ურუგვაელთა ნაკრებმა ანგარიშით - 4:2.

1970 წელს ბრაზილიელებმა ნიკეს ქანდაკება მესამედ მოიგეს და, წესდების თანახმად, ის სამუდამოდ დაიტოვეს.

მომდევნო მსოფლიოს პირველობა 1934 წელს გაიმართა იტალიაში, სადაც თვით იტალიელებმა მოიპოვეს გამარჯვება და ასევე მომდევნო მსოფლიო პირველობაც, 1938 წელს, იტალიის გამარჯვებით დასრულდა, რომლის მასპინძელი ქვეყანაც საფრანგეთი გახლდათ.

მსოფლიოს მესამე ჩემპიონატის შემდეგ პოლიტიკური ვითარება არათუ ევროპაში, ყველგან დაიძაბა და, ცხადია, ფეხბურთმაც თავისი მნიშვნელობა დროებით დაკარგა - მსოფლიო ომში ჩაეფლო და შესაბამისად 1942 და 1946 წლების მუნდიალებიც ჩაიშალა.

1946 წელს ფიფას კონგრესზე მსოფლიო ფეხბურთის მესვეურებმა ნიკეს თასის მორიგი გათამაშების მასპინძლად ბრაზილია დაამტკიცეს.

1950 წელს ფინალური ეტაპი შედგა ბრაზილიაში. გადამწყვეტი დაპირისპირება გაიმართა ბრაზილიელებსა და ურუგვაელებს შორის.

გამარჯვების მოპოვება ურუგვაის ნაკრებმა შესძლო, რაც ბრაზილიელი გულშემატკივრისთვის მიმედ გადასატანი მარცხი აღმოჩნდა. ცნობილია, რომ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ათეულობით ბრაზილიელმა თავი მოიკლა, ორჯერ მეტს კი გულმა უმტყუნა.

1954 წელს, შვეიცარიაში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მნიშვნელოვანი სიახლეები მოხდა ფეხბურთში. საორგანიზაციო კომიტეტის ძალისხმევით პირველად გახდა შესაძლებელი მსოფლიო ჩემპიონატის თამაშების ტელეტრანსლირება, რამაც ფეხბურთი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ასევე მნიშვნელოვანი სიახლე იყო მოთამაშეთა ნუმერაციაც. ამ მსოფლიოზე გერმანიის ნაკრებმა, პირველად მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, იმით არის დასამახსოვრებელი, რომ ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარმა გაიცნო ფეხბურთის მეფედ წოდებული პელე. ის ერთადერთია ვინც მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულის მოპოვება 3-ჯერ შესძლო (1958 – 1962 – 1970) ჩილეში, მექსიკაში.

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, ფეხბურთის სამშობლოს ეწვია - ინგლისმა ჩემპიონატს უმასპინძლა.

ფინალური მატჩი გერმანიასა და ინგლისს შორის დრამატული და სკანდალური გამოდგა. ამავედროულად ეს იყო მსოფლიო პირველობაზე გამართული საიუბილეო, მეორასე მატჩი. დამატებით დროში - ფეხბურთის სამშობლოს შვილებმა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, ლეგენდარული ფეხბურთელის დიეგო მარადონას დებიუტი შედგა (ამ ჩემპიონატზე იმარჯვა იტალიამ).

1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც მექსიკა მასპინძლობდა, ფეხბურთის ღმერთად წოდებული დიეგო მარადონა, მსოფლიო ჩემპიონის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს არნახული უპირატესობით დაეუფლა.

მან ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა ინგლისელ მეტოქეებთან მეოთხედფინალში.

მარადონამ ინგლისელებს ორი გოლი გაუტანა. აქედან პირველი ხელით - როგორც მერე თვითონვე განაცხადა, „ღმერთის ხელით“ გაიტანა.

მეორე კი მართლაც ზღაპრული გამოდგა, რამდენიმე წუთში, ხუთი მეტოქის მოტყუებით ის ბურთი გაიტანა, რომელიც წლების შემდეგ ფიფა-მ მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში საუკეთესო გოლად აღიარა.

ქართველები მსოფლიო ჩემპიონატებზე

საქართველოში ფეხბურთი თამაში ჩაისახა XIX საუკუნის მიწურულში. 1912 წელს ჩატარდა თბილისის პირველი ჩემპიონატი.

1924 წლის მონაცემებით საქართველოში 120 გუნდი არსებობდა. ქართული ფეხბურთის ისტორიას ახსოვს მოთამაშეები, რომლებიც წარმატებით იცავდნენ ქართული ფეხბურთის ღირსებას, როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე და აგრეთვე საერთაშორისო სარბიელზე.

პირველად ქართველი ფეხბურთელების დებიუტი შედგა მსოფლიო ჩემპიონატზე 1962 წელს ჩილეში. საბჭოთა კავშირის ნაკრებში იყო ოთხი ქართველი: მეკარე სერგო კოტრიკაძე, მცველი გივი ჩოხელი და მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი, რომლებიც თბილისის „დინამოში“ ირიცხებოდნენ. მეოთხე ქართველი იყო სლავა მეტრეველი, რომელიც წლების მანძილზე მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა. მეოთხედფინალში ჩილესთან წაგებით საბჭოთა ნაკრები გამოეთიშა ჩემპიონატს.

1966 წელს ინგლისში გამართულ მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებში ირიცხებოდნენ: მეკარე ანზორ კავაზაშვილი მოსკოვის „ტორპედოს“ მეკარე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა და სლავა მეტრეველი კი თბილისის „დინამოს“ წევრები.

საბჭოთა ნაკრებმა ამ ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა და იმ დროს ნაკრები წესის მიხედვით ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ.

1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მექსიკაში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ექვსი ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხა. მეკარე ანზორ კავაზაშვილი, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში“ ასპარეზობდა და თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები: მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, კახა ასათიანი, სლავა მეტრეველი და გივი ნოდია. საბჭოთა ნაკრებმა მეოთხედფინალამდე მიაღწია.

1982 წელს ესპანეთში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრებში ოთხი ქართველი ფეხბურთელი იღებდა მონაწილეობას. ნაკრების კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია და რამაზ შენგელია. საბჭოთა ნაკრებმა მეოთხედფინალში შესძლო თამაში და ჩემპიონატს გამოეთიშა.

1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკაში საბჭოთა ნაკრებში მხოლოდ ერთადერთი ქართველი ალექსანდრე ჩივაძე იყო. ნაკრები ამ ჩემპიონატზეც ადრე გამოეთიშა ასპარეზობას, მეოთხედფინალამდე წააგო შეხვედრა.

დღევანდელი გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრების გასვლა უდიდესი საფეხბურთო ტურნირის ფინალურ ეტაპზე, რთული წარმოსადგენია.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსი:

1. ელგუჯა ბერიშვილი, სპორტის ენციკლოპედია, თბილისი, 2006.
2. მსოფლიო თასის ისტორია, თბილისი, 2010.
3. www.msy.gov.ge

ბიზნესი და მართვა

უმუშევრობა და მისი უარყოფითი შედეგები

ნონა ბიბილაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, პროფესორი

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. შედარებით ადვილად ხორციელდება უმუშევრობის ეკონომიკური შედეგების შეფასება, ხოლო სოციალური შედეგები, რომელიც რთული გასამიჯნია და ატარებს კომპლექსურ ხასიათს, სრულყოფილად ვერ ფასდება. უმუშევრობის უარყოფითი შედეგები და მისი გავლენის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, სოციალური მდგომარეობის კონკრეტულ პარამეტრებზე. ეკონომისტები თვლიან, რომ

უმუშევარი ადამიანი გამოუყენებელი სამუშაო ძალაა და მისი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება, შესაბამისად, ისინი ითვლიან ეგრეთწოდებულ გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს, ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში, უმუშევრობა მხოლოდ უმუშევარს არ აზარალებს. ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგადაც. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებადშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს.

უმუშევრობა- მოცემული ტერმინი ახასიათებს იმ დაუსაქმებელ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც შრომის ბაზარზე წონასწორობის მუდმივი რყევის შედეგად მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობას. ამა თუ იმ ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის დადგენის მეთოდები განსხვავებულია. ამასთან დაკავშირებით ორი მეთოდოლოგიური მიდგომა არსებობს:

პირველის მიდგომის თანახმად, უმუშევრობის მაჩვენებლები დგინდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე, რაც პერიოდულად ტარდება (აშშ, იაპონია). ასე მაგალითად, აშშ-ში უმუშევართა რაოდენობის დასადგენად ყოველთვიურად ხდება მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევა. რაც 60 ათას ოჯახს მოიცავს. მიღებული შედეგები განზოგადდება მთელ ქვეყანაზე.

მეორე მიდგომის თანახმად, უმუშევრობის მაჩვენებლები დგინდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში უმუშევრის სტატუსის მოსაპოვებლად შემოსული განცხადებების საფუძველზე (მაგ. დიდი ბრიტანეთი).

პირველი მიდგომა, რომელიც პერიოდულ შერჩევით გამოკვლევას ითვალისწინებს, უფრო ძვირადღირებულია, მაგრამ შედარებით ზუსტად ასახავს უმუშევართა სტრუქტურას; რაც შეეხება მეორე მიდგომას, იგი შედარებით მარტივია, მაგრამ უმუშევრების თვისობრივი შემადგენლობის დაზუსტების თვალსაზრისით, მოითხოვს დამატებითი კონტროლის ღონისძიებების გატარებას იმ პირების ქცევაზე, რომლებიც საკუთარ თავს უმუშევართა კატეგორიას აკუთვნებენ. უმუშევრობის მდგომარეობის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული უმუშევრობის დონე. იგი გაიანგარიშება, როგორც უმუშევართა რაოდენობის შეფარდება სამუშაო ძალის ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შსბ გამოკითხული ოჯახების თითოეულ ზრდასრულ წევრს თექვსმეტი წლის ზემოთ) შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთში ათავსებს. ეს კატეგორიებია: დასაქმებული, უმუშევარი და არათვითმოქმედი მოსახლეობა. უმუშევართა და დასაქმებულთ დონის განსაზღვრისთვის შსბ ეყრდნობა, როგორც საკუთარ კვლევებს, ასევე აშშ-ს სენსუს ბიუროს მიერ ჩატარებულ ორ კვლევას. მიღებული მონაცემები ასევე გამოიყენება უმუშევრობის 5 სხვადასხვა დონის განსაზღვრისათვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი კოდები. კერძოდ კი: 1) სამუშაო ძალის პროცენტი, რომელიც ვერ დასაქმდა 15 კვირის ან მეტი პერიოდის განმავლობაში; 2) სამუშაო ძალის პროცენტი, რომელმაც კვლევის მომენტისათვის დაკარგა სამუშაო ან დაასრულა დროებითი სამუშაო; 3) ოფიციალური უმუშევრობის დონე საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის განმარტებების შესაბამისად; 4) სამუშაო ძალა, რომელსაც სურს მუშაობის დაწყება, მაგრამ შეწყვიტა ძიება, რადგან არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილი არ არის ხელმისაწვდომი; 5) ნახევარი განაკვეთით დასაქმებული პირები, რომლებსაც სურთ სრულ განაკვეთზე მუშაობა, მაგრამ არ შეუძლიათ გარკვეული ეკონომიკური მიზეზების გამო. [1]

უმუშევრობის სახეებია:

- ფრიქციული;
- სტრუქტურული;
- ციკლური.

ფრიქციული უმუშევრობა - პროფესიისა და საქმიანობის არჩევის „თავისუფლების“ პირობებში გარკვეული მომუშავეები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ზოგიერთი ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს და და კიდევ არსებობს მომუშავეთა კატეგორია ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს. ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნეველად გადადის მეორე კატეგორიაში, რომელსაც სტრუქტურული უმუშევრობა ეწოდება.

სტრუქტურული უმუშევრობა - დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიქმნება იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ

პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიასა და სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში, ცვლილებების გამო.

ციკლური უმუშევრობა - იგი წარმოიშობა დაქვეითების პერიოდში, ესე იგი ეკონომიკური ციკლის იმ ფაზაში, რომელიც საერთო ან მთლიანი ხარჯების უკმარისობით ხასიათდება.

უმუშევრობის კლასიფიკაციაში გარკვეული ადგილი უკავია სეზონურ უმუშევრობას. იგი დამახასიათებელია ცალკეული დარგებისათვის, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ნაწილობრივ მშენებლობა და სხვ. ამ დარგების საწარმოებს შეუძლიათ სრული დატვირთვით იმუშაონ რამდენიმე თვეს, სხვა დროს ისინი მკვეთრად ამცირებენ ან საერთოდ წყვეტენ საქმიანობას, რაც ბუნებრივი პირობებითაა გამოწვეული. ინტენსიური მუშაობის პერიოდში აღნიშნული დარგის საწარმოებში ადგილი აქვს მომუშავეების მასობრივ დაქირავებას, ხოლო სამუშაოთა შემცირების პერიოდში – მასობრივ დათხოვნას. [2]

უმუშევრობის სახეების დახასიათებისას მიზანშეწონილია ასევე ნაწილობრივი უმუშევრობის განხილვა. ერთ-ერთი პირველი, ვინც მიუთითებდა მის არსებობაზე იყო ა. პიგუ. იგი უმუშევრობის აღნიშნული სახის არსებობას ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითების პირობებში მეწარმეების ქცევის სამ შესაძლო შემთხვევას უკავშირებდა:

- მომუშავეებისათვის სრული სამუშაო დროის შენარჩუნება;
- მომუშავეებისათვის მონაცვლეობით მუშაობის შესაძლებლობების მიცემა სრული სამუშაო დროის პირობებში;
- ყველა დასაქმებულისათვის სამუშაო დროის შემცირება.

მეწარმეების ქცევის პირველი ვარიანტი იწვევს სრულ უმუშევრობას, ხოლო მეორე და მესამე – ნაწილობრივ უმუშევრობას, რაც პიგუს აზრით, უფრო მისაღებია, რადგან სრულ უმუშევრობას მივყავართ ეროვნული დივიდენდის სრულ დაკარგვამდე და სამუშაო ძალის ხარისხის დაქვეითებამდე.

უმუშევრობის განხილული სახეები ღია უმუშევრობას განეკუთვნება. მათ გარდა, ლიტერატურაში გამოიყოფა ასევე ფარული უმუშევრობის კატეგორია, რომელიც წარმოიშობა საწარმოებში მომუშავეთა არასრული გამოყენებით. კერძოდ, არასრული სამუშაო კვირის ან არასრული სამუშაო დღის პირობებში მუშაობისას, ან იმ შემთხვევაში, როცა მომუშავეები იძულებულნი არიან, გავიდნენ ანაზღაურების გარეშე (უხელფასო) შვებულებაში.

უმუშევრობის ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: უმუშევრების რიცხოვნობა, უმუშევრობის დონე და ხანგრძლივობა, უმუშევართა სქესობრივ-საკობრივი, პროფესიულ-დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა. უმუშევრობის შეფასებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტს, რომელიც გამოხატავს ერთ ვაკანტურ სამუშაო ადგილზე უმუშევრების რაოდენობას.

მეცნიერები გამოყოფენ უმუშევრობის, როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს. დადებითი შედეგებია: დასაქმებულთა სოციალური სტატუსის ზრდა, მომუშავეებს შორის კონკურენცია, სამუშაო ძალის რეზერვის მუდმივი შენარჩუნება, შრომის სოციალური მნიშვნელობისა და როლის ამაღლება საზოგადოებაში; შრომის მწარმოებლურობისა და ინტენსივობის სტიმულირება, სამუშაო ადგილის არჩევანის თავისუფლება და ა.შ. უარყოფითი შედეგებია: მომუშავეთა მიერ კვალიფიკაციის დაკარგვა, შობადობის შემცირება, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება, სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა, სოციალური დაძაბულობა და პოლიტიკური დესტაბილიზაცია, კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება.

შესაძლებელია უმუშევრობის პრობლემის გარკვეულწილად გადაჭრა. პრობლემის გადაჭრამდე აუცილებელია: 1) უმუშევრობის რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენა. 2) მარეგულირებელი პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა 3) გრძელვადიანი ეფექტიანი სტრატეგია უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მიზნად დაისახავს უმუშევრობის დონის შემცირებას, უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები: ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ხარჯების ეკონომია, ინვესტირება დაბალმწარმოებლურ დარგებში, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ინვესტირება განათლების სფეროში, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა. ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები. მთვრობის ვალია გაატაროს საჭირო რეფორმები, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკის და ამ, შემთხვევაში დასაქმების პოლიტიკის წარმატებას. საზოგადოებამ კი თავის მხრივ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. ისინი უნდა იყვნენ პატიოსნები და მომთხოვნები როგორც მუშაკის ასევე დამსაქმებლის როლში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, ბოლო წლების განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, უმუშევრობის პრობლემა ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მთავრობის მთავარი გამოწვევაა. [3]

უმუშევრობა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1	2021.5
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2	1779.9
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246.0	241.6
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6	12.4	12.0

წყარო: <http://www.geostat.ge/>

ცალკეულ ექსპერტთა შეფასებებით, უმუშევრობის სტატისტიკა ბევრად უფრო მწვავეა და მის დასაძლევად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება საჭირო მთავრობის მხრიდან. ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად აღნიშნული საკითხი აწუხებს. გამოკითხული 1000 რესპონდენტიდან 51,9 %-მა უმთავრეს პრობლემად სამსახურის უქონლობა დაასახელა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, ადამიანი, რომელიც მიწის მცირე ნაკვეთს მაინც ფლობს, დაუსაქმებლად არ ითვლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფლობს მიწის გარკვეულ ნაწილს, გასაგები გახდება, რომ უმუშევრებში სოფლის მოსახლეობა არ შედის. აქედან გამომდინარე, ოფიციალური სტატისტიკისაგან განსხვავებით, საქმე გაცილებით რთულადაა.

ბოლო 15 წელია საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტია, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლის ამბიცია აქვს სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას პირდება საზოგადოებას, ზოგი ამას კერძო სექტორის, ზოგი სახელმწიფოს მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნით აპირებს, სხვადასხვა დროს გვახსოვს სტუდენტთა და უმუშევართა დასაქმების პროგრამები, თუმცა მათი მთავარი შედეგი ბიუჯეტის ფულის არაეფექტური ხარჯვა და მაღალი ინფლაცია იყო. მოსახლეობის დიდი ნაწილიც თვლის, რომ მათი უმუშევრობის მთავარი მიზეზი სახელმწიფოა, მან არ მისცა დასაქმების საშუალება და იმის ნაცვლად, რომ საკუთარი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე იფიქროს, ჯიუტად ელოდება სახელმწიფოსგან ხსნას. პარადოქსია ისიც, რომ ბიზნესი საქართველოში ერთ-ერთ პრობლემად კვალიფიციურ კადრებს ასახელებს, მაშინ როდესაც შრომის ბაზარზე მიწოდება ჭარბია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ინვესტორებს უცხოეთიდან შემოჰყავთ სამუშაო ძალა, რადგან ადგილობრივების გადამზადებაში ფულის ჩადება არ უღირთ. [4]

როგორ უნდა ვებრძოლოთ უმუშევრობას? მთავარი საკითხი ალბათ მაინც განათლებაა, სადაც უნდა მოხდეს ინვესტირება სახელმწიფოს მხრიდან. მთავარი ამ ნაწილში პროფესიული გადამზადების ცენტრების შექმნაა, რომლებმაც ბიზნესის და დასაქმების მსურველების ინტერესები და უნარ-ჩვევები ერთმანეთს უნდა დაუახლოოს. გარდა ამისა, საკმაოდ კარგი ინიციატივაა საჯარო სკოლებში ახალი საგნის, „მეწარმეობის“ შემოღება, რომლის მიზანაც სკოლის ასაკიდან ბავშვებში ბიზნესისადმი ინტერესის გაღვივებაა. ასევე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების როლი, რომელთა დაჩქარება, განსაკუთრებით რეგიონებში მნიშვნელოვნად გაზრდიდა დაინტერესებას და ადგილობრივების დასაქმებას. მცირე და საოჯახო ბიზნესი ძალიან ბევრ ქვეყანაში ასრულებდა სერიოზულ ფუნქციას, საქართველოში კი მისი მაჩვენებელი ძალიან დაბალია, ბრუნვაში მისი წილი 17%, დასაქმებაში კი მხოლოდ 30%-ია. საქართველოში, ტურიზმის და აგრობიზნესის პოტენციალის გათვალისწინებით, მცირე და საოჯახო ბიზნესების განვითარების შესაძლებლობები დიდია, უბრალოდ საჭიროა მცირე მენეჯერული უნარი და სწორი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღება, იდეებზე ფიქრი და ფორმირება. [4]

ამრიგად, მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და ა.შ. [5]

უმუშევრობის რეცეპტი ნაპოვნია: მეტი განათლება, უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა და უკეთესი ბიზნესგარემო.

ლიტერატურა:

1. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14705
2. გრეგორი მენქიუ, „ეკონომიკის პრინციპები“, 2008, გვ. 581-602
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=145&lang=geo
4. ირაკლი ლექვიანიძე, როგორ ვებრძოლოთ უმუშევრობას. <http://forbes.ge/blog/25/rogor-vebrZoloT-umuSevrobas>
5. ბესო ნამჩავაძე, უმუშევრობის პრობლემა. <http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema>

სამომხმარებლო ფასების ინდექსი და სამომხმარებლო კალათა

ნინო ელიაშვილი, სოფიკო გიგაური

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, პროფესორი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), როგორც ინფლაციის დონის დამახასიათებელი მაჩვენებელი, ზომავს ფასებისა და ტარიფების საშუალო ცვლილებას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც შეიძენს მოსახლეობა პირადი მოხმარების მიზნით. იგი გაიანგარიშება ყოველთვიური პერიოდულობით. სფი მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს, საერთაშორისო კლასიფიკატორის „ინდივიდუალური მოხმარება მიზნების მიხედვით“ (COICOP) შესაბამისად. 295 დასახელების საქონლისა და მომსახურების ფასები, რომლებიც გამოიყენება ყოველთვიური სფი-ის გამოსათვლელად, გროვდება ქვეყნის 5 ქალაქში განლაგებულ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში – მაღაზიებში, ბაზრებში, ბაზრობებზე, ბენზინგასამართ სადგურებში, კლინიკებში და ა.შ. სამომხმარებლო კალათის წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას.

აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო კალათა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად გამოიყენება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განცხადებით, 2012 წლის იანვრიდან განახლებული სამომხმარებლო კალათა ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას დაეფუძნება. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას წარმოადგენს, რომელსაც ევროსტატი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს. განახლებული სამომხმარებლო კალათა მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას ასახავს, რაც სამომხმარებლო ფასების ინდექსს - ინფლაციის მაჩვენებელს უფრო საიმედოს ხდის.

სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევებიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად, თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს მომხმარებლების მიერ. კალათის განახლება 3 წელიწადში ერთხელ ხდება სამომხმარებლო კალათის განახლება ხოლო 2012

წლიდან ყოველწლიურად ახლდება . ამჟამად კალათა 295 სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას შეიცავს.

ამჟამად კალათის დათვლის მეთოდოლოგია შეცვლილია. საქსტატში აცხადებენ, რომ 2012 წლის თებერვალში, 2011-თან შედარებით, კალათის ღირებულება 2,1 პროცენტით შემცირდა. დეფლაციამ სურსათის პროდუქტებზე 3,5 პროცენტი შეადგინა, თუმცა, კომუნალური გადასახადების და ტრანსპორტის გაძვირებამ ეს მაჩვენებელი 2,1 პროცენტამდე დასწია. „საქსტატის“ ცნობით, სასურსათო პროდუქტებს შორის ყველაზე მეტად - 35 პროცენტით ბოსტნეული გაიფდა, სამაგიეროდ, ხორცი 15 პროცენტით გაძვირდა.

ეკონომისტთა ნაწილი ოფიციალურ მაჩვენებლებს არ ეთანხმება და სამომხმარებლო კალათის გაიფების საფუძველს ვერ ხედავს. მათი აზრით სამომხმარებლო კალათის დათვლის მეთოდოლოგია შეცვლილია, ამიტომ გასული და წლევეანდელი პერიოდების შედარებით პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა რეალურ სურათს მოკლებულია. კალათაში გაიფებული პროდუქტების ხვედრითი წილი გაძვირებული საქონლის შემცირების ხარჯზეა გაზრდილი და სურსათზე ფასები რეგიონების მიხედვით არის გამოყვანილი, სადაც თბილისთან შედარებით საქონელი იაფია. ამ მეთოდოლოგიით, თბილისში მცხოვრებთა მდგომარეობა გათვალისწინებული არ არის, ხოლო დედაქალაქში მოსახლეობის 40 პროცენტი იყრის თავს.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ წევრები აღნიშნავენ, რომ „ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, სამომხმარებლო კალათაში სასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილი 40%-დან 30%-მდე შემცირდა. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ გავლენას იქონიებდა იანვრის ინფლაციის მაჩვენებელზე. თუ გასულ წლებში სურსათზე ფასების მომატება ინფლაციის მაჩვენებლის ზრდაში მთავარ როლს თამაშობდა, მიმდინარე წლიდან სურსათის ფასებს აღარ აქვთ წამყვანი როლი, რაც თავის მხრივ არასწორია, რადგან ჩვენი მოსახლეობის შემოსავლის მეტი წილი პროდუქტსა და პირველადი მოხმარების საქონელში იხარჯება. აქედან გამომდინარე, ინფლაცია იმის მიხედვით უნდა გამოითვალოს, მოსახლეობა საკუთარი შემოსავლის რამდენ პროცენტს ხარჯავს სასურსათო პროდუქტებში და არა იმის მიხედვით, ევროკავშირში როგორ ითვლიან.“

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას 1992 წლიდან ახორციელებს. ის ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას ზომავს.

სამომხმარებლო ფასების ყოველთვიური რეგისტრაცია ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) ხორციელდება. ფასების რეგისტრაციას ფასების ოცი რეგისტრატორი აწარმოებს, რომელთაც გადანაწილებული აქვთ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტები. ამ ობიექტების მთლიანი რაოდენობა 1300-ს აღემატება. მათ შორის, 300-ზე მეტი ობიექტი განთავსებულია თბილისში.

რაც შეეხება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს, საქსტატი მას 2004 წლიდან იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს, რომელიც განსაზღვრული და დადგენილია "საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N111/5 ბრძანების შესაბამისად. 2004 წლამდე საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლების გაანგარიშებას სხვა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ახორციელებდა. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებებით აიხსნება 2004 წლამდე და 2004 წლის შემდგომი პერიოდისთვის გაანგარიშებულ მონაცემებს შორის სხვაობა. 2012 წლის იანვრისთვის კი საქსტატმა საარსებო მინიმუმის შემდეგი მონაცემები გამოაქვეყნა: შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი - 157,2 ლარი თვეში; საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი - 139,3 ლარი თვეში; საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი - 263,7 ლარი თვეში.

2015 წლის სამომხმარებლო კალათა მოიცავს 295 დასახელების სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას, რაც 2014 წლის სამომხმარებლო კალათის იდენტურია. განახლებულია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების წონები. სტატისტიკის სამსახურში ამბობენ, რომ პროდუქტის გავლენა ინფლაციაზე სამომხმარებლო კალათაში მისი წონით განისაზღვრება. რაც მეტია წონა – მით მეტად ახდენს გავლენას აღნიშნულ პროდუქტზე ფასების ცვლილება ფასების საერთო დონის ცვლილებაზე. სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წვლილი სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფს უჭირავს (30,74%); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (5,19%); ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (2,86%); ჯანმრთელობის დაცვა (9,46%); საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8,48%); ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-

შეკეთება (6,43%); ტრანსპორტი (11,80%); კავშირგაბმულობა (3,61%); დასვენება, გართობა და კულტურა (7,11%); განათლება (5,03%); სასტუმროები, კაფეები და რესტორნები (4,80%); ხოლო სხვადასხვა საქონელი და მომსახურების წილი ახალ სამომხმარებლო კალათაში 4,50%-ით განისაზღვრა. 2015 წლის განახლებული სამომხმარებლო კალათა ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას.

სამომხმარებლო კალათა სხვადასხვა ქვეყანაში იმ საქონელსა და მომსახურებას მოიცავს, რომელსაც იქაური მომხმარებელი ყიდულობს. ჩვენს ახალ სამომხმარებლო კალათაში ტრადიციულად ყველაზე დიდი წილი სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა დაიკავა. ეს კი დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. სამომხმარებლო კალათის შედგენისას პრინციპი საერთოა და მას თითქმის ყველა ქვეყანა იყენებს. ეს საერთაშორისო ნორმებით მიღებული ჯგუფებია, თუმცა ზოგ სახელმწიფოს სამომხმარებლო კალათაში მეტი პროდუქტი აქვს ჩადებული, ზოგს უფრო ნაკლები. ყველა ქვეყანაში, თავისი კულტურისა და ტრადიციებიდან გამომდინარე, აქვთ სამომხმარებლო კალათაში ჩადებული ესა თუ ის საქონელი და მომსახურება. განვითარებული ქვეყნების სამომხმარებლო კალათაში გართობასა და დასვენებას, ჩვენთან შედარებით, გაცილებით დიდი ადგილი უკავია, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში ბანანის მოხმარების წონაა დიდი, აშშ-ში სხვა ქვეყნებზე "მძიმეა" ბინის ქირის ხვედრითი წონა და ა.შ.

როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აცხადებს ორგანიზაცია 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) გაანგარიშებას. სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს ძირითად მაჩვენებელს, რომელიც ზომავს ქვეყანაში არსებულ ინფლაციას, ანუ სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას. ინფლაციის გამოთვლის დაწყება და მისი სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო პარტნიორების ტექნიკური დახმარების და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე მიმდინარეობდა.

დღევანდელ საქართველოში ძალიან ბევრი ოჯახი ყიდულობს კომპიუტერს, რის გამოც 2012 წლის სამომხმარებლო კალათაში განსაკუთრებით გაიზარდა კომპიუტერების ხვედრითი წონა. როგორც ვთქვით, ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო კალათა უფრო მწირი და ღარიბულია, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა. ჩვენი სამომხმარებლო კალათა, რომლითაც ინფლაცია ითვლება, ძირითადად სურსათს შეიცავს. დღეს საშუალო შეძლების მქონე ქართული ოჯახი თავისი შემოსავლის 7080 პროცენტს სწორედ სურსათზე ხარჯავს. დანარჩენი კი კომუნალურ გადასახადებს სჭირდება. ასეთია დღეს ჩვენი ხარჯების სტრუქტურა. განვითარებულ ქვეყნებში სამომხმარებლო კალათა გაცილებით მრავალფეროვანია და მხოლოდ სურსათით არ შემოიფარგლება. თუ ავიღებთ თანხის ხარჯვის სტრუქტურას სამომხმარებლო კალათიდან, ნორმალურ ქვეყნებში ეს ხარჯები ძირითადად მიდის განათლების მიღებაზე, ჯანდაცვაზე, მოგზაურობაზე და ნაკლები ადგილი ეთმობა სურსათს. ჩვენთან კი პირიქით სამომხმარებლო კალათის დიდი ნაწილი სასურსათო ხარჯია, რაც დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. სპეციალისტთა აზრით, სამომხმარებლო კალათაში სურსათის პროცენტი არ უნდა იყოს ასე მაღალი.

2012 წლის იანვრიდან განახლებული სამომხმარებლო კალათა დაეფუძნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას, რომელსაც სთავაზობს ევროსტატი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოშიც იგეგმება სამომხმარებლო კალათის ყოველწლიური განახლება. განახლებული სამომხმარებლო კალათა ასახავს მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას, რაც უფრო საიმედოს ხდის სამომხმარებლო ფასების ინდექსს – ინფლაციის მაჩვენებელს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით. მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონელი და მომსახურება წარმოდგენილია ფიქსირებული სამომხმარებლო კალათის სახით, რომელიც ასახავს ქვეყნის საშუალო მომხმარებლის დანახარჯების სტრუქტურას. სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონელი და მომსახურება შერჩეულია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა საფუძველზე და დაჯგუფებულია „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაციის“, COICOP-ის (Classification of Individual Consumption by Purpose) შესაბამისად. სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: 1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება საქართველოში ინფლაციის დონის გასაანგარიშებლად. ამასთან, სამომხმარებლო ფასების ინდექსი მონაწილეობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში; 2. სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მნიშვნელოვან ორიენტირს შემოსავლების, სოციალური დახმარებების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა თანხების ინდექსაციის პროცესში; 3. სამომხმარებლო

ფასების ინდექსი ასრულებს დეფლატორის როლს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშების დროს ინფლაციის გავლენის გამოსარიცხად.

2015 წლის შემოდგომაზე სამომხმარებლო კალათის 295 საქონლის და მომსახურების 80% გაძვირდა, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. საქონლის და მომსახურების 295 სახეობიდან 148 მათგანი 5%-ზე მეტად გაძვირდა, გაიაფებით კი 5%-ზე მეტად მხოლოდ 14 ერთეული გაიაფდა. როგორ გამოდის, რომ ფასების საშუალო დონე მხოლოდ 5,4%-ით გაიზარდა.

ასეთ ვითარებაში სავსებით ლეგიტიმურია დაისვას კითხვა – რამდენად რეალურია ინფლაციის არსებული მაჩვენებელი?

არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ინფლაციის მაჩვენებლის ადეკვატურობას ეჭვქვეშ აყენებს:

- 1) სასურსათო პროდუქციის დაბალი წილი სამომხმარებლო კალათაში;
- 2) ლარის დევალაციით გამოწვეული სესხის გაძვირების არასახვა ინფლაციაში.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ პირადი მოხმარების მიზნით საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ცვლილებას. ინდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა თუ ინსტიტუციონალური დაწესებულებების (სავადადმოფოები, ციხეები, თავშესაფრები და სხვ.) მიერ გაწეულ ხარჯებს. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის ზრდა უფრო მეტად მსხვილ ბიზნესზე აისახება, რადგან მრეწველობა უფრო დიდ ძალისხმევას და ინვესტიციებს მოითხოვს. ის რომ 2015 წლის ოქტომბერში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, წინა წელთან შედარებით, 8,3%-ით გაიზარდა მათ მუშაობას ვერ შეაფერხებს, თუმცა რა თქმა უნდა არც ერთი კომპანიისთვის სასურველი არ არის.

ინტერნეტ-რესურსები:

<https://www.nbg.gov.ge/uploads/methodologia/prices.doc>

<http://www.24saati.ge/news/story/26373-samomkhmareblo-kalata-da-saarsebo-minimumi>

<http://www.gruzinform.ge/news/8403/ganaxlebuli+samomxmareblo+kalaTa.html>

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/price/CPI%20metodologia%202013.pdf

<http://www.speqtri.ge/ekonomika/article/14998htt>

<p://gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/187/id/336/print/true>

ბიზნესის გარემო და უცხოური ინვესტიციები საქართველოში

მარიამ რაზმაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, პროფესორი


ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. სახელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა საკითხების განხილვა-გადაწყვეტა მოითხოვს ყველა თავისებურებების გათვალისწინებას, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, ბიზნესის გარემო ფაქტორების მოქმედების ხარისხს და ბიზნესის განვითარების დონეს. ბიზნეს გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ზოგჯერ გადაწყვეტიცაა ბიზნესმენტთა ქცევის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში. ნებისმიერი ბიზნეს-ინვესტორი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის წინაშე დგას და შეუძლებელია ცალსახად იმის განსაზღვრა, როგორ მოიქცევა ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში და კიდევ რა მოელის მის მიერ დაბანდებულ ინვესტიციებს. ამიტომ აუცილებელია წინასწარ იქნას შესწავლილი ბიზნეს გარემო და შედეგები გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილებათა მიღებისას. ბიზნეს გარემო მეტად რთული და მრავალგანზომილებიანი სისტემაა, რომელიც მრავალი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ბუნებრივი და სხვა სახის ფაქტორით განისაზღვრება, რაც სხვადასხვა სახის გარემოს წარმოქმნის:

- ❑ სოციალურ-დემოგრაფიული გარემო;
- ❑ ბუნებრივი გარემო;
- ❑ იურიდიულ-სამართლებრივი გარემო;
- ❑ პოლიტიკური გარემო;
- ❑ შრომის გარემო.

ბოლო ორ ათწლეულში შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მდგრადი ბიზნეს კლიმატის ფორმირებისთვის. გასული ათწლეულებში გადატანილი ომებისა და ეკონომიკის სრული კრაზის შედეგად, ძალიან ბევრი ეკონომიკური სუბიექტი განიდევნა ბაზრიდან. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე კი სახელმწიფოს არანაირი მექანიზმები არ გააჩნდა ამ პროცესებთან საბრძოლველად. ძველი სისტემა უკვე მთლიანად მოშლილი იყო, ახლის შესაქმნელად კი ვერ მოხერხდა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმა და შესრულება. აღნიშნული კრიზისი უფრო მარტივად იქნებოდა დაძლეული თუ სახელმწიფო შეძლებდა კომუნისტური წყობიდან მემკვიდრეობით მიღებული უზარმაზარი საწარმოებისა და ფაბრიკების კომპლექსის შენარჩუნებასა და მათი განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. მსგავს ხერხებს მიმართეს ბალიტიისპირეთის ქვეყნებმა და შედეგად არ დააყოვნა, დღესდღეობით მათი ეკონომიკური განვითარების დონე ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით ხასიათდება.

მიუხედავად თანამედროვე პირობებში მიღწეული დადებითი შედეგებისა, სახელმწიფო სისტემამ განვითარებული კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა ბოლომდე ვერ უზრუნველყო. ეკონომიკური სისტემის (და არა მხოლოდ) შემდგომი რეფორმირების მიზნებია მისი მდგრადობის განმტკიცება, განვითარებისათვის საჭირო კომპლექსური ღონისძიებები შემუშავება და რეალიზაცია, სახელმწიფოს როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მონაწილის როლის სწორი განსაზღვრა, ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს ფორმირება და ეკონომიკური პარამეტრების ამალგება წარმოადგენს. დასახული მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა ტიპის კომპლექსური ღონისძიებების გატარების გზით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, რომელმაც განვითარების დიდი გზა გაიარეს დროის მოკლე ინტერვალში. სამთავრობო თუ საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის, საბაზრო ეკონომიკასთან თანამედროვე პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობამ, მისი თეორიული დასაბუთების დიდმა პრაქტიკულმა მოთხოვნადობამ, კომპლექსური ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიის არ არსებობამ მისი მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის რიგი საკითხების დაუმუშავებლობამ მოცემული კვლევის თემის და შინაარსის არჩევა განაპირობა.

ეკონომიკური წინსვლის სასიცოცხლო კომპონენტები ახალი ბიზნესების დაარსება და არსებული ბიზნესების ზრდაა. მუდმივად გვესმის უცხოელი ინვესტორების მოზიდვის აუცილებლობის შესახებ, თუმცა შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა შიდა ინვესტიციების წახალისებასა და მცირე ბიზნესების შექმნა-განვითარებას, რაც სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი წყაროა. აუცილებელია არსებობდეს პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს შიდა ინვესტიციების განხორციელებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოქმნა-განვითარებას საქართველოში.



ტერმინ - ინვესტიციებს, მრავალი მნიშვნელობა აქვს, იგი აღნიშნავს აქციებს, ობლიგაციების შექმნას რაიმე ფინანსური შედეგის მიღების იმედით. ამავე ტერმინით აღნიშნავენ რეალურ აქტივებს, მაგრამ ფართო აზრით, ინვესტიციები იმ მექანიზმს უზრუნველყოფენ, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების დასაფინანსებლად.

საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. ამ კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში. სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ეს მომსახურება ფასიანია (გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია) და მომსახურების საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 914 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წლის დაზუსტებული მონაცემებით ეს მაჩვენებელი 912 მლნ აშშ დოლარი იყო. როგორც ვხედავთ, 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 მლნ აშშ დოლარით აღემატება წინა წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

2013 წლის II და III კვარტალებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა ფიქსირდება როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ასევე წინა კვარტალთან შედარებით. თუმცა 2013 წლის I და IV კვარტალებში აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც წინა წლის შესაბამის პერიოდთან, ასევე წინა კვარტალთან შედარებით.

პირველი კვარტალი ეკონომიკურად ყველაზე პასიურად მიიჩნევა, ყოველი მომდევნო კვარტალი კი წინამორბედზე აქტიურია. შესაბამისად, ყველაზე აქტიური მეოთხე კვარტალია და ეკონომიკური აქტივობაც, ინვესტიციების ჩათვლით, როგორც წესი, ყველაზე მაღალია. თუმცა, 2013 წლის IV კვარტალი 2013 წლის სხვა კვარტალებთან შედარებით ყველაზე პასიური აღმოჩნდა.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. საქსტატის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1351 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6 %-ით აღემატება 2014 წლის წინასწარ შედეგებს და 23 %-ით ნაკლებია ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებზე. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22% შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 2487 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2015 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 63% შეადგინა.

2015 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა:

- ✚ პირველი ადგილი - აზერბაიჯანი 40%-ით;
- ✚ მეორე ადგილი - გაერთიანებული სამეფო 15%-ით;
- ✚ მესამე ადგილი - ნიდერლანდები 8%-ით.

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, ქვეყნებიდან ჩინეთი ლიდერობს, საიდანაც, 2014 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა 149 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორების ნუსხა ასე გამოიყურება:

- ☐ ჩინეთი – 149 მლნ. აშშ დოლარი (ინვესტიციების 29%);

- ❑ აზერბაიჯანი – 95 მლნ. აშშ დოლარი (19%);
- ❑ ნიდერლანდები – 90 მლნ. აშშ დოლარი (18%);
- ❑ პანამა – 44 მლნ. აშშ დოლარი (9%);
- ❑ მალტა – 34 მლნ. აშშ დოლარი (7%);
- ❑ გაერთიანებული სამეფო – 27 მლნ. აშშ დოლარი (5%);
- ❑ აშშ – 26 მლნ. აშშ დოლარი (5%);
- ❑ თურქეთი – 20 მლნ. აშშ დოლარი (4%);
- ❑ რუსეთი – 16 მლნ. აშშ დოლარი (3%) და ა.შ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2014 წლების მონაცემების მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს:

- ✓ საკუთრების უფლების დაცვა - 120-ე ადგილი
- ✓ დავის გადაწყვეტის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა - 92-ე ადგილი
- ✓ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა - 138-ე ადგილი
- ✓ ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 123-ე ადგილი
- ✓ ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 119-ე ადგილი

საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, არსებული სიტუაცია ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. 2004 წლიდან საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმები დაიწყო. ამ რეფორმების განხორციელებამ აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შეამცირა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. ამჟამად ქვეყანას ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა, ცალკეულ სფეროში არსებობს სერიოზული პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi.../BA.../avtoreperati_i.papava.pdf
2. forbes.ge/news/302/pirdapiri-ucxouri-investiciebi-saqarTveloS
3. www.ireporter.ge
4. www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=1744
5. http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
6. kvira.ge

აგრო დაზღვევა და სადაზღვევო კომპანიები საქართველოში

თეიმურაზ საბაშვილი, თამარ იასაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: დავით ჭიოტაშვილი, პროფესორი

ნებისმიერი ჩვენგანი ვცდილობთ შევქმნათ, დავაგროვოთ და გავზარდოთ უძრავი თუ მოძრავი ქონება, იქნება ეს სახლი, აგარაკი, საწარმო თუ სხვა. ნებისმიერმა მოულოდნელობამ, ბუნებრივმა მოვლენამ, ან სულაც გამიზნულმა ქმედებამ შეიძლება ერთი ხელის მოსმით დაგვაკარგვინოს ყველაფერი.

ვინც დაზღვეულია, ის დაცულია ! ამიტომ ნუ დაელოდებით რა მოხდება - დააზღვიეთ და დაიცავით ყველაფერი, რაც თქვენს კეთილდღეობას განაპირობებს.

სტიქიური მოვლენები ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკია აგრობიზნესში. ხშირად ხდება, რომ მოსავალი სრულიად ნადგურდება ამა თუ იმ ბუნებრივი სტიქიის გამო და ფერმერი ან გლეხი

შემოსავლის გარეშე რჩება. აგროდაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომ ფერმერმა მიიღოს ანაზღაურება, თუკი მოსავალი გაუნადგურდა და მომდევნო წელს კვლავ შეძლოს მოსავლის მოყვანა.

საქართველოში აგროდაზღვევა „ახალი ხილია“ და ამ მიმართულებით სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურდნენ, ამიტომ ეს სფერო ჯერჯერობით არ წარმოადგენს მომგებიანს სადაზღვევო კომპანიებისთვის.

სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელის პირველ კვარტალში ქონების დაზღვევის სეგმენტში სადაზღვევო კომპანიებმა 17 513 211 ლარი მოიზიდეს. სადაც აგროდაზღვევაზე მხოლოდ 1% 17 513 ლარი მოდის.

ამავე დროს, დაზღვევის მიმართ უნდობლობა გლუხებსა და ფერმერებს შორისაც შეინიშნება. მათი ეს უნდობლობა ალბათ განპირობებულია მათი ნაკლები ინფორმაციულობით აგროდაზღვევის მიმართ.

ამ სექტორის დანერგვისა და განვითარებისთვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკმა (KfW) გრანტის სახით გამოყო 200 ათასი ევრო, რომ საქართველოში 3-თვიანი კვლევა ჩატარებულიყო, კვლევამ აგროსადაზღვევო გარემო შეისწავლა, მისი დასრულების შემდეგ კი აგროდაზღვევის კონცეფცია შეიქმნა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე აგროდაზღვევის პროდუქტი მხოლოდ ორ კომპანიას „ჯიპიაი ჰოლდინგს“ და „ალდაგი ბისიას“ გამოჰქონდა.

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

„აგროდაზღვევის“ პროგრამა არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით მზღვეველს, დამზღვევს და სააგენტოს შორის.

არსებობს აგროდაზღვევის 2 მიმართულება: მოსავლის და საქონლის დაზღვევა. ავიღოთ მოსავლის დაზღვევა. დაზღვევის განაკვეთი შეიძლება იყოს 6–7%. მარტივად რომ ავხსნათ, თუ მაგალითად, ხორბლის მოსავლის ღირებულება არის 10 000 ლარი, დაზღვევის განაკვეთი კი 6%, მთლიანი სადაზღვევო პრემია იქნება 10 000-ის 6%, ანუ 600 ლარი. თუ განსაზღვრული იქნება, რომ ხორბლის მოსავლის დაზღვევას სახელმწიფო 50%-ით დააფინანსებს, მაშინ პრემიის ნახევარს, ანუ 300 ლარს სახელმწიფო დაფარავს, ხოლო 300 ლარს – ფერმერი. დაზღვევის განაკვეთი და ამა თუ იმ კულტურის დაზღვევაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის პროცენტული განაკვეთი დადგინდება მას შემდეგ, როცა ე.წ. ფული შეიქმნება.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში 4 სადაზღვევო კომპანია: „ჯიპიაი ჰოლდინგი“, „ალდაგი“, „აისი ჯგუფი“, „ირაო“ ჩაერთო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა; ჭარბი ნალექი; ქარიშხალი; საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში. პროგრამის ფარგლებში, დასაზღვევად მიიღება მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები. სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა 30 000 ლარია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში კი - 50 000 ლარი.

პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო დააფინანსებს სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს (70%-დან 90%-მდე), ფერმერის მხრიდან კი უნდა გაფორმდეს სადაზღვევო პოლისი ამა თუ იმ კომპანიასთან, სადაც დაფიქსირდება მისი ნაკვეთის მდებარეობა და მოსალოდნელი მოსავლის მოცულობა.

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელმაც მომხმარებელს აგროდაზღვევა შესთავაზა. დღეს კომპანიაში რამდენიმე ასეული ფერმერია დაზღვეული. მხოლოდ 2014 წლის პირველი ორი კვარტალის განმავლობაში ფერმერებს სეტყვით მიყენებული ზარალისთვის 400000 ლარზე მეტი თანხა გადაუხადა. მათი აგროდაზღვევის პორტფელში შედის ხორბლის, ქერის, სიმინდის, ვაშლის, ატმის, მანდარინის, ვენახის, თხილის ნარგავებისა და კარტოფილის დაზღვევა. ისინი აცხადებდნენ, რომ ყველა ნაკვეთს დააზღვევდნენ და იმ შემთხვევაში, თუ გლუხს ნაკვეთის საკადასტრო რუკა არ ექნება, GPS კოორდინატებს თვითონ კომპანია დაადგენს.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“ დაზღვევის მიმართულებით 25-წლიანი გამოცდილება აქვს. 10 წელია კი აგროდაზღვევის მიმართულებითაც მუშაობს და ბოლო სამი წლის განმავლობაში 3 მილიონზე მეტი ზარალი აანაზღაურა.

„აი სი ჯგუფი“ აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროგრამაში და 2015 წლის მონაცემებით მოზიდული პრემიის მიხედვით მთლიანი ბაზრის 26,2%-ს ფლობდა.

გასულ წელს „ირაო“ ჩაერთო 2014 წლის შემოდგომაზე დაწყებულ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, რომელშიც მონაწილეობის შედეგადაც კომპანიამ დაზარალებულ ბენეფიციარებს, ამ ეტაპზე, უპრეცედენტო ოდენობის თანხა - 1 277 215 ლარი აუნაზღაურა.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაცია საქართველოში 2012 წელს გაიცა: 2012 წლის 19 ივლისს ქარბორბალამ და ძლიერმა სეტყვამ თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ყვარლის და ახმეტის რაიონებში რამდენიმე ათასი ოჯახი დააზარალა. დასეტყვა ვენახები, ხეხილის ბაღები და ბოსტნეული, დაიხოცა შინაური ფრინველი და პირუტყვი, დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. რამდენიმე სოფელში სეტყვამ მოსავლის თითქმის 100% გაანადგურა. „ქართული ოცნების“ მაშინდელმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მოინახულა და დაზარალებულებს შეპირდა, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში სტიქიით მიყენებულ ზარალს სრულად აუნაზღაურებდა. ამ მიზნით, მან არჩევნებამდე ბიუჯეტში 80 მილიონი ლარი გადარიცხა. კომპენსაცია ჯამში 28 500-მა ოჯახმა აიღო.

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა.) თითოეული დამზღვევი 70% - იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10%-ით მეტი იქნება.

2016 წელს იმოქმედებს მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას. ასევე მიმდინარე წელს გაუმჯობესდა და მაქსიმალურად მოერგო მომხმარებლის მოთხოვნებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის და ფრანშიზის (არანაზღაურებადი მინიმუმის) გამოქვეითვის წესი.

საქართველოში ამ მიმართულებით განვითარება დაწყებულია, თუმცა ფერმერების მხრიდან მასიური აქტიურობა არ შეინიშნება. სადაზღვევო კომპანიების პორტფელში აგროდაზღვევის წილი 1%-ზე ნაკლებია. გასულ წელს ფერმერებთან სულ 2 500 კონტრაქტი იყო დადებული. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ფერმერი ჩაერთოს ამ პროექტში. ეს საშუალებას იძლევა, დაბალანსდეს რისკები და უკეთესი პორტფელი შეიქმნას.

ინტერნეტ-რესურსები:

<http://apma.ge>

www.gpih.ge

<http://www.bpn.ge>

<http://www.insurance.org.ge>

<http://www.aldagi.ge>

ინფლაციური პროცესები საქართველოში და მისი კავშირი სავალუტო კურსთან

ნინო ჯავახიშვილი, თეონა ყუმბულაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: გიული გიგუაშვილი, პროფესორი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად, საქართველოს საფინანსო სისტემის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინფლაცია - ფასების ზრდა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, მისი მყიდველთუნარიანობის დაქვეითება, დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

საუკუნეების მანძილზე არაერთი მეცნიერი იკვლევდა ინფლაციურ პროცესებს და ცდილობდნენ დაეხსენებინათ მისი გამომწვევი მიზეზები, შედეგები და შეემუშავებინათ ინფლაციური პროცესების რეგულირების მექანიზმები. დღეისათვის, ეკონომიკურ თეორიებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი ინფლაციის გამომწვევი მიზეზები:

- დისპროპორციულობა - სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების არაბალანსირებულობა, ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ივარება „მბეჭდავი დაზგის“ გამოყენებით, რაც საბოლოოდ ფასების დონის ზრდას იწვევს ანუ ინფლაციასთან მიყვავართ.

- ინფლაციურ - სახიფათო ინვესტიციები - ძირითადად ეკონომიკის მილიტარიზაციას გულისხმობს.

- თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არარსებობა - თანამედროვე ბაზარი გარკვეულ დონეზე ოლიგოპოლიზირებულია. ოლიგოპოლისტი ისწრაფვის რა შეინარჩუნოს ფასების მაღალი დონე დაინტერესებულია დეფიციტის შექმნით.

- იმპორტირებული ინფლაცია – მისი როლი ეკონომიკის ღიაობის ზრდასთან ერთად იზრდება, სახელმწიფოს ბრძოლის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია.

- ინფლაციური მოლოდინი - ამის მაგალითები ყოველდღიურ ცხოვრებაში შეინიშნება.

- ინფლაციის მოთხოვნა – ეს არის წონასწორობის დარღვევა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, მოთხოვნის მხრიდან, რომლის ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფო შეღავათების გაზრდა და ა.შ. შედეგად კი მიიღება ფასების ზრდა.

- ინფლაციის ხარჯები - ფასების დონის ზრდის შედეგად წარმოების ხარჯების ზრდა, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა და ა.შ.

ეკონომისტები 4 ტიპის ინფლაციას გამოყოფენ:

1. მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია, როდესაც მთლიანი მოთხოვნა ეკონომიკაში აჭარბებს არსებულ მიწოდებას ანუ სხვაგვარად ეს არის ე.წ. მონეტარული ინფლაცია.

2. ხარჯებით გამოწვეული ინფლაცია, როდესაც მზა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასები იმატებს ნედლ მასალაზე ფასების ზრდის გამო ან როდესაც ხელფასების მატება წარმოებული პროდუქციის ერთეულ ფასს ზრდის.

3. ფასწარმოქმნით გამოწვეული ინფლაცია ანუ დაწესებული ფასის ინფლაცია, როდესაც რამდენიმე ბიზნესი გადაწყვეტს, მოუმატოს ფასებს საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ოლიგოპოლიური ინფლაცია. ოლიგოპოლიებს შეუძლიათ დააწესონ საკუთარი ფასები და გაზარდონ ეს ფასები, როდესაც მოესურვებათ ე.წ. კარტელური გარიგებებით.

4. სექტორული ინფლაცია, როდესაც ერთ დარგში ფასების ზრდა სხვა სექტორში ზრდის ფასებს, მაგალითად, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა საკვებისა და სხვა სექტორებში ფასების ზრდას იწვევს. ინფლაციის ამ ტიპების გარდა, იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპორტზე არიან დამოკიდებულები, იმპორტირებული ინფლაცია არსებობს (მიწოდების შოკები), რომელიც სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული ფაქტორია, რომელიც ინფლაციის დონის ზრდას იწვევს.

პრაქტიკაში ძნელია ინფლაციის ერთი ტიპი მეორესგან განვასხვაოთ, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი ასპექტებია:

- ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ოჯახებს

- ეროვნული ვალუტის მყიდველუნარიანობის კლება

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში

- რეალური მოგების კლება ბიზნესში

- ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება

- საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტებს აძვირებს და ა.შ

ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას. [1]

ინფლაცია ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და საშიში პროცესია, რომელიც დიდ პრობლემას უქმნის ეკონომიკურ სისტემას. მას განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. ინფლაციის მართვა დიდ პრობლემას წარმოადგენს ფულადი და ზოგადად, ეკონომიკური პოლიტიკისთვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას ინფლაციის შესახებ. თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსის მაჩვენებლებს თვალს გადავავლებთ, 2007

წლიდან - 2016 წლამდე (გამონაკლისია 2012-2013წწ), ძირითადად ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ფასების საერთო დონის ზრდას, ანუ ინფლაციას:

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109.2	110.0	101.7	107.1	108.5	99.1	99.5	103.1	104.0
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	111.0	105.5	103.0	111.2	102.0	98.6	102.4	102.0	104.9

წყარო: <http://www.geostat.ge/>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2016 წლის იანვარში, 2015 წლის იანვართან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 5,6% შეადგინა. 2016 წლის მაისში 2015 წლის მაისთან შედარებით კი ინფლაციის დონემ საქართველოში 2,1 პროცენტი შეადგინა. მაისში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 1,4 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,40 პროცენტული პუნქტი შეადგინა.
2. ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 5,7 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,55 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა.
3. ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 12,6 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,77 პროცენტული პუნქტით აისახა.
4. ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 8,3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -1,01 პროცენტული პუნქტით აისახა. [2]

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალოვადიან პერიოდში. ეს მაჩვენებელი მტკიცდება პარლამენტის მიერ. 2016 წლისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 5%-ს, 2017 წლისათვის კი - 4 პროცენტს. გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული მიზნობრივი მაჩვენებელი თანდათან შემცირდება და 2018 წელს დაუახლოვდება 3 პროცენტთან დონეს. [3]

საქართველოში ინფლაციური პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნული ვალუტის კურსთან. 2014-2015 წწ-ის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ლარის კურსის ვარდნა, რასაც ექსპერტები ექსპორტ-იმპორტის დისბალანსს, ფულადი გზავნილების შემცირებას და ტურიზმის სტატისტიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებდნენ. ცალკეულ ექსპერტთა შეფასებით, ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში არა მარტო გარეზე ფაქტორებმა, არამედ, დიდწილად, შიდა ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა.

ლარის გაუფასურების პროცესი 2014 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. მიზეზი ნავთობის გაიაფებისა და პოლიტიკური დაძაბულობის გამო საქართველოს მთავარ სავაჭრო ქვეყნებში ეკონომიკის ვარდნა და მათი ვალუტების გაუფასურება გახდა. 2014 წლის ბოლოს ეროვნული ვალუტა დოლართან 1,8 ნიშნულს დონემდე გაუფასურდა. 2015 წლიდან დაიწყო სწრაფი დევალვაცია. მარტის შუა რიცხვებში ლარი უკვე 2,2-ის ნიშნულს მიუახლოვდა. აპრილის ბოლოს 2,3-ს გადააჭარბა. სექტემბერში ტურისტული ბუმის პერიოდში დევალვაციამ 2,4-ს გადააჭარბა. 2016 წლის იანვრის ბოლოს კი ლარი დოლართან მიმართებით 2,5 ნიშნულამდე დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო რეზერვები 2,6 მილიარდ დოლარს აჭარბებდა, ეროვნულმა ბანკმა დევალვაციის შეჩერება ვერ მოახერხა.

თებერვლის ბოლოდან ლარის ისეთივე სწრაფი გამყარება დაიწყო, როგორც გაუფასურდა. 1-ლი მარტიდან მოყოლებული ერთ თვეში ლარი დოლარის მიმართ 2,47 ნიშნულიდან 2,31 ნიშნულამდე გამყარდა. აპრილის ბოლოს 2,23-ს მიაღწია, ხოლო დღეის მდგომარეობით 1 დოლარი 2,14 ლარი ღირს. 2 თვეში ეროვნულმა ბანკმა ვალუტის თავბრუდამხვევი გამყარების შესაჩერებლად სავალუტო ბაზარს 195 მილიონი დოლარი გამოაცალა. სპეციალისტების განცხადებით, რომ არა ეროვნული ბანკის ჩარევა, დღეს 1 დოლარის ღირებულება 2 ლარის დიაპაზონში იქნებოდა. [4]

ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ეკონომიკაში არსებული ტენდენციები პოზიტიური და იმედისმომცემია. „ორი მთავარი ინდიკატორი ეს არის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი (აპრილისთვის მაჩვენებელმა 4,3%, ოთხი თვის საშუალო მაჩვენებელმა კი, 2,8% შეადგინა) და ლარის კურსის ეტაპობრივი, თანამიმდევრული გამყარების ტენდენცია. აღნიშნულ ტენდენციებსა და

მაკროეკონომიკური და მონეტარული მაჩვენებლების გაუმჯობესებას ეკონომიკური აქტივობის ზრდა და ლარზე მოთხოვნის გაზრდა განაპირობებს, რისი ძირითადი საფუძველიც ქვეყანაში სავალუტო შემოდინებების გაზრდილი მაჩვენებელია. ჩვენ გაზრდილი გვაქვს სავალუტო შემოსავლები ტურიზმიდან და უცხოელი ვიზიტორებიდან, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინვესტიციები, რაც ბუნებრივად იწვევს წინა პერიოდებთან შედარებით ქვეყანაში დოლარზე მოთხოვნის შემცირებასა და ლარზე მოთხოვნის ზრდას. [5]

ლარის გამყარება ბუნებრივია დადებით ზეგავლენას მოახდენს ეკონომიკის განვითარებაზე.

თუ გადავხედავთ რამდენიმე ეკონომიკურ მაჩვენებელს დავინახავთ, რომ მცირედი გაუმჯობესება უკვე არის ქვეყნის ფინანსურ მონაცემებში. აი მაგალითად, იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3287 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8 პროცენტით მეტია; საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-აპრილში 2071 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 63 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, 2016 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 94.8 მლნ აშშ დოლარი, ანუ 214.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 4.0 პროცენტით (3.7 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2015 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე. უკვე თითქმის ერთ წელზე მეტია რაც საქართველოში ფულადი გზავნილები იკლებდა რეგიონში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

ასევე აღსანიშნავია ტურიზმი და იქიდან შემოსული თანხები. ეს ერთადერთი სფეროა, რომელიც ბოლო წლებში განუხრელად იზრდება. 2016 წლის პირველ 3 თვეში, საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 1,134 მლნ-ს მიაღწია. ეს მონაცემი 14.7%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საზოგადოებაში შექმნილი მოლოდინები ლარის კურსის მიმართ. საქართველოს ეროვნული ბანკი კურსის სტაბილურობისთვის აქტიურად იყენებს სავალუტო აუქციონებს, შესაბამისად ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და მოლოდინები ბევრად მაღალია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ წინა წელთან შედარებით შეწყდა დოლარის ქვეყნიდან გატანის პროცესი. გასულ წელს იმ ბანკებმა, რომლებიც ფილიალების სახით არის საქართველოში წარმოდგენილი, დაახლოებით 800 მილიონი დოლარი გაიტანეს. სავარაუდოდ, ეს ჩვენი მეზობელი ქვეყნების ბანკებს უკავშირდებოდა, რადგან იქაც სავალუტო კრიზისი იყო, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში. წელს კი მდგომარეობა დასტაბილურდა როგორც აზერბაიჯანში, ისე სომხეთსა და უკრაინაში და რუსეთშიც შეწყდა უცხოური ვალუტის გადინება. [6]

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ეროვნული ბანკის სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ქმედითი ღონისძიებების საფუძველზე საქართველოში შესაძლებელი იქნება ზომიერი ინფლაციური პროცესების შენარჩუნება, კერძოდ, მიგვაჩნია, რომ საჭიროა ჩატარდეს ფართო სპექტრის ანტიინფლაციური ღონისძიებები, მათ შორის - წარმოების სტიმულირება, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, საზაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა, რათა დარეგულირდეს ფასები და შემოსავლები.

ლიტერატურა:

1. ბიბლიური ანი - ინფლაცია, მისი არსი და ტიპები. <http://www.lari.ge/149-ekonomika-da-biznesi/454-inflacia-misi-arsi-da-tipebi.html>
2. საქართველოს სტატისტიკა - <http://www.geostat.ge>, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/CPI%20Press%20Release_05%202016_Geo.pdf
3. საქართველოს ეროვნული ბანკი - <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538>
4. <http://bfm.ge/finansebi/rit-hgavs-ertmanets-erovnuli-valutis-1999-wlis-da-2015-2016-wlebis-ryevebi/>
5. <http://bfm.ge/finansebi/levan-kalandadze-erovnuli-banki-dghes-gacilebit-efeqtania-vidre-wina-khelmdzghvanelobis-dros/>
6. <http://bfm.ge/finansebi/lari-aghar-khumrobs-ra-faqtoebis-gamo-myardeba-erovnuli-valuta/>

საბანკო კონკურენციის რეგულირების ეროვნული გამოცდილება

სოფიო ჯღირაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მერაბ ვანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

შესავალი: სათანადო კვლევებით დადგენილი და სამეურნეო ცხოვრებით დადასტურებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია ისეთი ბერკეტების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტული გარემოს არსებობასა და დაცვას, რადგან ხშირ შემთხვევაში მონოპოლიური გარემოს არსებობა სხვადასხვა ბაზრისათვის, მათ შორის საფინანსოსთვის უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური პირების, ასევე მთლიანად ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნად დაზარალებას. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ისეთი სახელმწიფო და სამართლებრივი რესურსი, რომელიც გამოავლენს კონკურენციის დარღვევის ფაქტს და ექნება პრევენციის ფუნქცია.

გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში სწორი კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის გატარება შიდა და გარე ბაზარზე ხელს უწყობს ქვეყნის აქტიურ ჩართვას საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პირობებში. ამასთან, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველო, კონკურენციის დაცვისა და რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის ფორმირება უზრუნველყოს სათანადო ჯანსაღი კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყველა ეკონომიკური აგენტისათვის და, უპირველეს ყოვლისა, საბანკო სექტორის წარმომადგენელთათვის.

კვლევის შედეგები: საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას პრაქტიკულად საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“, რომელზე დაყრდნობითაც, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმართვის მიზნით, 1992 თებერვალში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სამმართველო, რომელსაც დაეკისრა მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციები. მოგვიანებით, 1995 წელს მიღებულ იქნა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, 1996 წელს - კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, ხოლო 1998 წელს - კანონი „რეკლამის შესახებ“.

ქვეყანაში კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური ორგანოს სტატუსის და უფლებამოსილებების გაფართოების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის №848 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 მარტის №137 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის დებულება და სტრუქტურა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 მაისის №314 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება, ხოლო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის შესაბამისად პრეზიდენტის 1998 წლის 23 აპრილის №262 ბრძანებულებით შეიქმნა ანტიმონოპოლიური საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება.

ფაქტობრივად, 1998 წელს დასრულდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მინიმალური სამართლებრივი ბაზისა და ინსტიტუტის ფორმირება. შეიქმნა მაკონტროლებელმარეგულირებელი სისტემა, რომელიც ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლს ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვაზე.

სამწუხაროდ, 2000 წლიდან აქტიურად დაიწყო სამსახურის დაუსრულებელი რეორგანიზაცია, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის №430 განკარგულების შესაბამისად სამსახურის საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ინიცირებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურის შერწყმას ფასების სახელმწიფო ინსპექციასთან. ფასების მაკონტროლებელ ორგანოსთან შერწყმამ უარყოფითად იმოქმედა სამსახურის იმიჯზე და არასწორი წარმოდგენა შექმნა საზოგადოებაში კონკურენციის წესებსა და პრინციპებზე.

2004 წელს განხორციელდა ანტიმონოპოლიური სამსახურის მორიგი რეორგანიზაცია. ლიბერალიზების ლოზუნგით გაუქმებულ საკანონმდებლო აქტებსა და ცალკეულ ნორმებს შორის

აღმოჩნდა 1996 წლის კანონიც „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“. 2005 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. აღნიშნული კანონი საფუძვლად დაედო მის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ახალი ორგანოს - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნას, რომელიც 2010 წლის თებერვალში გარდაიქმნა იმავე სახელწოდების დამოუკიდებელ ორგანოდ, ხოლო 2011 წლის დეკემბერში მოხდა კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის შერწყმა და 2012 წლიდან ამოქმედდა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

საგულისხმოა, რომ 2005 წლის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, სხვა ქვეყნების (მათ შორის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და სხვა ქვეყნების) კონკურენციის კანონებისაგან განსხვავებით, არ შეიცავდა ანტიკონკურენციული შეთანხმებების, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და შერწყმების მარეგულირებელ დებულებებს; არ შეესაბამებოდა ქვეყნის საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს; ნებით თუ უნებლიედ, ხელს უწყობდა ბაზარზე უკვე დამკვიდრებული ძალების ანტიკონკურენტულ ქმედებებს, მათ შორის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ტენდენციების დაუსჯელად გაძლიერებას [1, გვ. 27].

ასეთი ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა საქართველოს ეკონომიკის კლანური პრინციპით განვითარებისა და სასაქონლო/მომსახურების ბაზრებზე უკვე დამკვიდრებული ძალების ანტიკონკურენტული ქმედებებისათვის, რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგებზე, საზოგადოების კეთილდღეობაზე და საინვესტიციო იმიჯზე. სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზების გაძლიერებულმა ტენდენციებმა და მომხმარებელთა უფლებების საყოველთაო იგნორირებამ, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებმა დღის წესრიგში დააყენა კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის აუცილებლობა.

კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. კონკურენციის სფეროში პროგრესის აუცილებლობა ხაზგასმული იყო ევროკომისიის ფაქტების დამდგენი მისიის (2009) დასკვნაშიც, რომელიც ეხებოდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ქვეყნის მზაობის შეფასებას. ევროკომისიის მიერ ასოცირების პროცესში შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად განისაზღვრა რეფორმები გარკვეული მიმართულებით, მათ შორის კონკურენციული პოლიტიკის სფეროში, რათა შეიქმნას სოლიდური, ეფექტიანი და ტრანსპარენტული ევროსტანდარტების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო, როგორც ანტიტრესტული რეგულირების, ასევე სახელმწიფო დახმარებების სფეროში. რეფორმის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა შესაბამისი უფლებამოსილებით (მათ შორის, საგამოძიებო) აღჭურვილი და ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფილი სააგენტოს შექმნა.

ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, 2010-2012 წლებში განხორციელდა რიგი ფორმალური ღონისძიებები, კერძოდ:

- საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 26 თებერვლის №143 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა ფორმალურად დამოუკიდებელი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო [2], თუმცა იგივე ფუნქციებით და უფლებებით, რაც მის წინამორბედს ჰქონდა და, ცხადია, არსებული სახით ვერ უზრუნველყოფდა კონკურენციული პოლიტიკის სფეროში რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარებას;

- 2010 წლის დეკემბერში დამტკიცდა მთავრობის ყოვლისმომცველი სტრატეგია კონკურენციის სფეროში, რითაც ხელისუფლებამ გამოხატა კონკურენციის პოლიტიკის გაჯანსაღების ნება;

- საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის №829 ბრძანებულების საფუძველზე 2012 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს რეორგანიზაციის (შერწყმის) გზით [3];

- საქართველოს მთავრობის მიერ მომზადდა და 2011 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ ახალი კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2012 წლის 8 მაისს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არც მომხმარებლის და არც ბიზნესისათვის, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, ერთი შეხედვით, საკმაოდ პროგრესულად გამოიყურება. მისი სტრუქტურა შესაბამისობაშია კონკურენციის სფეროში გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან, შეიცავს ყველა საბაზისო დეფინიციას და წინ

გადადგმული ნაბიჯია 2005 წლის კანონთან შედარებით. თუმცა, ამ კანონის მუხლობრივი ანალიზიდან ირკვევა, რომ იგი შეიცავს მრავალ საკამათო და მიუღებელ დებულებას.

კონკურენციული პოლიტიკის გადაუდებელი რეფორმის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ზრუნვა მისი ისეთი ელემენტების შექმნაზე, როგორცაა: კონკურენციის ცხადი და პროგნოზირებადი წესები და მათ დაცვაზე ეფექტური სახელმწიფო ზედამხედველობა.

სწორედ ამ მიზნით განხორციელებული რეფორმის შედეგია ის, რომ 2014 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონის პროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (რომლის თანახმადაც, მას „კონკურენციის შესახებ“ კანონი ეწოდა) [4]. ახალი კანონით, კონკურენციის მარეგულირებელ ინსტიტუციურ ჩარჩოში განხორციელდა მნიშვნელოვანი სიახლეები.

საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნა-განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით შედეგიანი გამოდგა 2014 წლის 17 ივნისი, რადგან ამ თარიღით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებების საფუძველზე რამდენიმე მნიშვნელოვანი „დებულება“ თუ „წესი“ იქნა დამტკიცებული, კერძოდ: №48/04 ბრძანებით - „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, რომელიც სარგებლობას მოუტანს როგორც საბანკო სისტემას, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელ პირებს [6]; №49/04 ბრძანებით - „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება“, რომელიც ადგენს იმ ლიმიტებსა და შეზღუდვებს, რომელთა დაცვით ბანკებმა თავიდან უნდა აიცილონ კრედიტების კონცენტრაცია და მის საფუძველზე წარმოშობილი მსხვილი რისკები [7]; №50/04 ბრძანებით - „დებულება კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკისა და უცხოეთის ბანკის ფილიალის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს და შესაფერისობის თაობაზე ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარმოდგენის საკითხებს [8]; №51/04 ბრძანებით - „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“, რომლის მიზანი არის ის, რომ კომერციულმა ბანკებმა თავიანთი აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვებთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის უზრუნველყონ შიდა პროცედურებისა და საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოყალიბება და შესრულება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და მის გათვითცნობიერებას ბანკის მენაბრეების, მენეჯმენტის, აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, ეროვნული ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის [9]; №52/04 ბრძანებით - ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი“, რომლითაც განისაზღვრა კომერციული ბანკების სალიცენზიო, შერწყმისა და გაყოფის ახალი პირობები [10].

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის N18/04 ბრძანებით დამტკიცდა „დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოეთის ბანკების ფილიალების (წარმომადგენლობების) საქმიანობის რეგულირების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნეს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა და ამ გზით მაქსიმალურად დაცული იქნეს ბანკების დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრები, საბანკო სისტემაში კონკურენტუნარიანობის პრინციპები და საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალური ინტერესები [11]. შემუშავდა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანებით დამტკიცდა განახლებული „ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება“, რომლის მიზანია კომერციული ბანკების მიერ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებზე ადეკვატური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად არიდებისათვის [12].

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარებასთან ერთად, უკანასკნელ პერიოდში გადაიღდა ნაბიჯები კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის ჩარჩოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობისათვის. აღნიშნული მიმართულებით ეროვნული ბანკი გეგმავს კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს შემუშავებას, რომელიც დაფუძნებული იქნება არა მხოლოდ სტრუქტურულ/ორგანიზაციულ მოთხოვნებზე, არამედ ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის შინაარსობრივი და ქცევითი (behavioral) პრაქტიკის მოლოდინებს.

საგულისხმოა, რომ 2014 წლიდან ძალაში შევიდა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) მოქმედების წესი, რომლის მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პროცესის ფორმალიზაცია. მასში მოცემულია რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის სხვადასხვა კომპონენტის აღწერა და მასზე პასუხისმგებელი

სტრუქტურული ერთეულები. პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მე-2 პილარის ფარგლებში ბანკების შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება და სტრესტესტები. პროგრამის ფარგლებში ზედამხედველი განსაზღვრავს რისკებზე დაფუძნებულ საზედამხედველო ქმედებებს.

დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფი საკანონმდებლოსამართლებრივი ბაზის გაზრდა კომერციულ ბანკებს აიძულებს უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგან მომხმარებლებისაკენ. აქ იგულისხმება როგორც საბანკო მომსახურების ხარისხი, ასევე მისი მიწოდების გეოგრაფია და ცალკეული საბანკო პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

ლიტერატურა:

1. კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში. მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ / ავტორები: ქეთევან ლაფაჩი, ნათია კუტივაძე. - თბილისი, 2015. - 79 გვ.
2. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 26 თებერვლის №143 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2010-02-26): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/107068>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
3. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის №829 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2011-12-19): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1531578>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
4. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014-03-21): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2294894>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
5. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 „კონკურენციის შესახებ“: <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/4df7243daab340a1ae38b5893424.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №48/04 ბრძანება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/individual/sabanko_zedamx/riskebi220615.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
7. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №49/04 ბრძანება „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/individual/sabanko_zedamx/kredit_koncentr_220615.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
8. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №50/04 ბრძანება „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/individual/sabanko_zedamx/administr_shesaferisobis220615.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
9. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №51/04 ბრძანება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“: matsne.gov.ge/ka/document/view/2372714, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
10. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №52/04 ბრძანება „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/individual/sabanko_zedamx/licenzirebis_wesi220615.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
11. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის N18/04 ბრძანება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2015/kapitalis_ad-ekvaturobishesaxe_b_19_03_15.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

12. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანება „ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2763188>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

ტურიზმი

ტაო-კლარჯეთი - რელიგიური, ნოსტალგიური და მომლოცველობითი ტურიზმისათვის

მარიამ გელაშვილი, რუსუდან რატიანი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

რელიგიური ტურიზმი თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილია. ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, მეჩეთები, საკულტო ძეგლები და რელიგიის ისტორია ის მოტივაციებია, რის გამოც ხდება შესაბამისი ქვეყნებისა თუ რეგიონების მონახულება, განსაკუთრებით კი სპეციალური მოგზაურობები მომლოცველთათვის. საკულტო ნაგებობებს ნებისმიერი ტურისტული ქვეყანა განიხილავს, როგორც ტურისტულ ობიექტებს და იცავს მათ, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას.

მომლოცველობა ანუ რელიგიური ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ეგზოტიკური სფეროა. მისი მიზნიდევლობა ქვეყნების, მათი ისტორიის მიხედვით იცვლება. საქართველოში საუკეთესო პირობები არსებობს რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის.

ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარეობს შუა საუკუნეების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, ამათგან აღსანიშნავია: ხანძთა, ოპიზა, დოლისყანა, სათლე, ტბეთი. ქაჯთა ციხე, ოლთისი, ბანა, პარხალი, ოთხთა ეკლესია, არტანუჯი, ახიზის ციხე, შატბერდი, იშხანი, ოშკი, ხახული, ბანა, ქაჯთაციხე, ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესასწავლად იქ ჩასული იყო ექვთიმე თაყაიშვილი. მას მოუწონებოდა „ქაჯთა ციხე“-ც რომლისთვისაც „მრისხანე ციხე“ უწოდებია.

„მსოფლიო გაცილებით ღარიბი იქნება, ისეთი ძეგლების გარეშე, როგორებიცაა ოშკი, იშხანი და ხანძთა, რომელთა კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა სცდება რეგიონულ და ეროვნულ ინტერესებს. ეს ძეგლები სადმე სხვაგან რომ მდგარიყო, ალბათ, ათწლეულების წინ შეიტანდნენ იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. მაგრამ ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლია საკმაოდ იზოლირებული ადგილია. ტაო-კლარჯეთის მონასტრების არსებობის შესახებ ხელოვნების ისტორიკოსებმა და ბიზანტინისტებმაც კი არ იციან“.

ტაო-კლარჯეთი - ისტორიული ზემო ქართლის-მესხეთის ნაწილი. ტერმინს საფუძვლად უდევს ამ მხარის ორი უმნიშვნელოვანესი პროვინციის, ტაოსა და კლარჯეთის სახელწოდებები. ტაო-კლარჯეთი ტერიტორიულად სრულად მოიცავს მდინარე ჭოროხის აუზს და აღნიშნული ტოპონიმის საზღვრები არ სცილდება მის საზღვრებს. შესაბამისად ტაოში მოიაზრება ტერიტორია მდინარე ჭოროხის იმ ნაწილისა რომელიც იწყება მდინარე იმერხევისა და ჭოროხის შესართავიდან, ვიდრე ბაიბურთის ჩათვლით, ხოლო მდინარე ჭოროხის აუზის ნაწილი, რომელიც იწყება იმერხევიდან ვიდრე შავ ზღვამდე, არის კლარჯეთი. ტაო თავის მხრივ იყოფა სპერისა და ტაონის ტერიტორიებად, ხოლო კლარჯეთში შედის მდინარე იმერხევის აუზის ტერიტორიები, როგორცაა: შავშეთი და იმერხევი, ხოლო იმერხევი ჭოროხის შესართავიდან ვიდრე შავ ზღვამდე არსებული კლარჯეთი დაყოფილია ნიგალის, აჭარის, მაჭახელას და სხვა ხეობებად. ტაო-კლარჯეთის სამეფო - ფეოდალურ-პოლიტიკური ერთეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მოიცავს დღეს ერზრუმის, არტანის, ართვიანის და ყარსის რეგიონებს. სამეფო 809 წელს შექმნა ქართლის ერისთავმა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამაარსებელმა აშოტ I-მა. 1921 წლის 23 ოქტომბერს ყარსის ხელშეკრულებით ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო მცირე ნაწილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრება გახდა.

1991 წლიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დაიწყო კეთილმეზობლური ურთიერთობები თურქეთთან და ქართული კულტურის თურქეთში მდებარე ძეგლების ინტენსიური შესწავლა ქართველ მკვლევარ-მეცნიერთა მიერ. 2002 წლიდან საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ახალციხის ეპარქიას ნომინალურად მიუერთა ტაო-კლარჯეთის ტერიტორია. დღეისთვის თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია 200-ზე მეტი ქართული არქიტექტურული ძეგლი – მონასტრები, ეკლესიები, ციხე-ქალაქები, ციხეები, კოშკები. მათი უდიდესი ნაწილი ჟამთა მსვლელობამ გაანადგურა, მაგრამ რამდენიმე შემორჩენილი ტაძარი – ხანძთა, ტბეთი, დოლისყანა, ახალდაბა, იშხანი, პარხალი, ოთხთა, ოშკი, ხახული, ბანა, აგრეთვე ციხე-ქალაქები არტანუჯი, არტანი, თორთომი, ოლთისი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

ოპიზა - უძველესი სავანეა არა მარტო ტაო-კლარჯეთში, არამედ საერთოდ საქართველოში. ოპიზაში ინახებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდე, ქვედა ყბა წმ. იოანე ნათლისმცემლისა. ვახუშტი წერს, რომ ოპიზას დაფლულ იყო ხორხი იოანე ნათლისმცემლისა.

ხანძთა - ხანძთის სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, მაღალმთიან სოფელში, რომლის თანამედროვე სახელია ფირნალი. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში სამონასტრო კომპლექსს მრავალი დამთავალიერებელი სტუმრობს; მანამდე კი ხანძთა ჯერ დაკარგული, შემდეგ კი მიუღწევადი ადგილი იყო.

არტანუჯი - აკაკი შანიძის განმარტებით, „არტანუჯი“ არტანის ყურს, ანუ კარს ნიშნავს. ვახუშტი კი განმარტავს: „არცა ტანის, არცა უჯისო...“ „არტანუჯის ციხე წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“, - ამბობდა თურმე ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე პორფიროგენტი.

შატბერდი - შატბერდის ტაძარი ბერტას ხეობაშია. როცა აშოტ კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელისგან ხანძთის ქება მოისმინა „შეწირა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“. „და რაჟამს მივიდა ნეტარი მამაი გრიგოლ შატბერდს, მაშინ ცრემლითა მისითა მდინარითა ირწყვებოდა ადგილი იგი“, - მოგვითხრობს გიორგი მერჩულე.

იშხანი (VII-XI სს) - შუა საუკუნეთა საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო ცენტრი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ტაოში, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე. VII საუკუნის 30-იან წლებში ეპისკოპოსმა ნერსესმა ააშენა. არაბების შემოსევის დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია IX საუკუნის I ათეულ წლებში გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა განაახლა. X საუკუნეში იგი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს, მაგრამ საბოლოო სახე ტაძარმა 1032 ბაგრატ IV-ის მეფობის დროს მიიღო. იშხანის ტაძარმა, მიუხედავად გადაკეთებებისა და ნგრევისა, მრავალი წარწერა შეინარჩუნა.

ოშკის - ტაძარი მთის კალთაზე დგას. მისი ამშენებელი ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი (დავით III დიდი კურაპალატი), რომლის მშენებლობა დასრულებულა 958-961 წლებში. ოშკი ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო ტაოში. ტაძარს ადრე ოთხი კარი ჰქონია. მთავარ კართან არის ასევე წითელ ფერში შესრულებული ასომთავარული წარწერა, რომელშიც ნახსენები არიან ადარნასე კურაპალატი და მისი შვილები ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით კურაპალატი. ტაძარი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ხახული - თორთომის წყლის მარცხენა შენაკადზე, ხახულის წყლის ხეობაში, არის სოფელი, რომელსაც დღესაც ხახულს ეძახიან. იგი რამდენიმე კილომეტრზეა გაშლილი და უზნებად იყოფა. ხახულისწყალზე შემორჩენილია ხიდი, რომელსაც აქაურები, ქართული ტრადიციისამებრ, თამარის ხიდს უწოდებენ. სოფლის ბოლოს არის ხახულის ტაძარი, რომელიც დააარსა დავით III კურაპალატმა (X საუკუნის II ნახევარი). ხახულის მონასტერი ძველი საქართველოს განათლების ერთ-ერთი კერა იყო, საიდანაც გამოდიოდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი. სახელგანთქმულ მთარგმნელს, გიორგი მთაწმინდელს პირველდაწყებითი განათლება სწორედ ამ მონასტერში მიუღია და აქვე აღკვეცილა ბერად. ჩვენამდე მოაღწია ხახულის მონასტერში გადაწერილმა ხელნაწერებმაც. ხახულის ცნობილი ღვთისმშობლის ხატი - კარედის კი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ბანა - საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანის მარჯვენა ნაპირას. ტაძარი აგებულია მრგვალ ბორცვზე. ამ ადგილას თითქოს ცა და მიწა ერთიანდება. ბანა მრგვლად აღიქმებოდა, თუმცა რეალურად მრავალწახნაგა იყო. სამსართულიანი და რთული კომპოზიციის ტაძარი ეკლესიისგან და მრგვალი გალერეისგან შედგებოდა. ძველად კი გარედან შემოსაზღვრული იყო ქვის გალავნით. ბანაში დაიწერა ჯვარი ბაგრატ მეოთხემ, ბიზანტიის იმპერატორის ძმის, რომან არგონის ასულ ელენეზე. იქ იყვნენ დაკრძალულნი ტაოს ბაგრატიონები. უკანასკნელად დაკრძალეს ვახტანგ მეოთხე და მისი მეუღლე.

ოთხთა - ასევე ჭოროხის აუზში, ოთხთას წყლის ხეობაში მდებარე მეათე საუკუნის ძეგლია. იგი პარხალთან ერთად გვიანი ხანის ბაზილიკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია, რომელიც პროპორციებით ძალიან განსხვავდება ძველი ქართული ბაზილიკებისგან. ოშკის, ხახულისა და იშხნის შემდეგ ოთხთა ამ მხარეში მეოთხე დიდი ტაძარი იყო და ასეთ სახელი იმიტომ დაურქმევიათ. ტაძარი მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, დავით კურაპალატის დროს მოუპირკეთებიათ.

ოლთისი - ოლთისნი, ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტაოს მხარეში, იმიერტაოს ცენტრი (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ოლთისი (თურქ. ოლთუ) მდებარეობს მდინარე ოლთისწყლის (თურქ. ოლთუჩაი) შუა წელზე. X საუკუნეში ოლთისი დავით III დიდი კურაპალატის რეზიდენცია იყო.

პარხალი - ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა და ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი პარხალი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის პარხლისწყლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთების აღმოსავლეთ კალთაზე.

ახიზის ციხე - ციხესიმაგრე ადრინდელი ფეოდალურ საქართველოში, კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე (ამჟამად თურქეთშია). გადმოცემით ახიზის ციხე ვახტანგ გორგასალს განუახლებია (V ს.), მასვე აუგია აქ მონასტერი და კლარჯეთის ეპისკოპოსი ადგილსამყოფლად დაუდგენია.

დოლისყანა - მდებარეობს მდ. იმერხევის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს, სოფელში სახელწოდებით ჰამამლი (თურქ. Hamamlı). გიორგი მერჩულის ცნობით, აქ ეკლესია აშენდა წმ. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს, ხოლო „დოლისყანაი მონასტრად უკუანას იქმნა“, ე.ი. მოგვიანებით დაარსდა.

ტბეთი - ტბეთის კათედრალი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის ერთ-ერთი მშვენიერებაა. იგი მდებარეობს ისტორიულ შავშეთში, ქალაქ შავშათიდან დაახლოებით 15 კილომეტრზე (სოფელი ჩვეიზლი). ტბეთის კათედრალი საკმაოდ კარგად იყო შემონახული, როდესაც ის გ. ყაზბეგმა, დ. ბაქრაძემ, ა. პავლინოვმა და ნ. მარმა ნახეს.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორია ამჟამად თურქეთის მფლობელობაში შედის, ის ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული ქართველისთვის დიდ ნოსტალგიასთან ასოცირდება.

1990-იანი წლებიდან მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა - დღეს მკვლევარს კი არა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია თბილისიდან ტურისტულ ავტობუსს გაჰყვეს და ჩვენი მიტოვებული სავანეები დაათვალიეროს.

ტაო-კლარჯეთის ძეგლებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვის, რომ ბუნებრივია ქართველი ხალხის სურვილი, ეს ადგილები მოინახულოს. მათ უნდათ, რომ შინ რაიმე სამახსოვრო წაიღონ, რაც გაახსენებთ, სად იყვნენ, განსაკუთრებით, თუ ეს ისტორიული ან რელიგიური ადგილებია. შეიძლება მიამიტობად ჩანდეს, როცა ქვის პატარა ფრაგმენტებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ყველა ასე მოიქცევა. ზოგსაც დიდი და მორთული ნაწილები უნდა. ეს მართლაც დიდი პრობლემაა. თუმცა მიმაჩნია, რომ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ძეგლების უკეთესი მოვლითა და სათანადო დაცვით.

საქმე ისაა, რომ ძეგლები ჯერ მასობრივი ტურიზმისთვის მზად არ არის. არ არის დაცული, არც პირობებია. ტურისტების მოთხოვნებიც გასათვალისწინებელია - სჭირდებათ საკვები, სასმელი. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება სრულიადაც არ ნიშნავს, ვეებერთელა სასტუმროების აშენებას საცურაო აუზებით - თუნდაც დეველოპერი ასე ფიქრობდეს. გარემოს შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა მოკრძალებული, ზომიერი დარჩეს და შემოგარენს შეეფერებოდეს. ოშკში უკვე გვაქვს პრობლემები - ახალი მაღალსართულიანი შენობები მასშტაბით არც ძველ სახლებს შეეფერება, არც - ისტორიულ ეკლესიას. ეს დიდი სირცხვილია, იმიტომ რომ ტაო-კლარჯეთის ისტორიული მონუმენტების ადგილმდებარეობა მათი ესთეტიკური ხარისხის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამწუხაროდ, ამაზე არავინ ლაპარაკობს.

მეტიც, ოშკი მხოლოდ ეკლესია არ არის. ოდესღაც დიდი მონასტერი იყო, ცნობილი არა მხოლოდ ხელნაწერებით... ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა ვიცით მის შესახებ, ამიტომ რესტავრაციის პროექტზე საუბრისას მხოლოდ მთავარი ტაძარი არ უნდა ვივარაუდოთ. ოშკი, ტაო-კლარჯეთის სხვა მონასტრების მსგავსად, ნაგებობათა მთელი კომპლექსია. ასეთი ადგილების ისტორიული მნიშვნელობა მნახველებისთვის მისაწვდომი რომ გახდეს, ბუნებრივია, რეაბილიტაციის გეგმაში ამ კომპლექსის ყველა ნაგებობა უნდა ჩაერთოს. უნდა ჩატარდეს, არქეოლოგიური სამუშაოები, რაც ხელოვნების ბევრ ნიმუშს გამოავლენს და იქვე უნდა გამოიფინოს და არა შორს, არქეოლოგიურ მუზეუმში. ამით თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სოფლებს გაუჩნდებათ მუდმივი შემოსავალი, და ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობა ისტორიულ ნაგებობებსა და მის დასათვალიერებლად ჩამოსულ ხალხს ცუდი თვალით აღარ დაუწყებს ყურებას.

დღეს მოსახლეობა ტურისტებისგან დიდად განებივრებული არ არის. (გერმანელი მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე მარკუს ბოგიში, 2011).

საინტერესოა სხვადასხვა ტურისტული კომპანიების მხრიდან დაგეგმილი სხვადასხვა სახის ტურები ტაო-კლარჯეთის მიმართულებით. მაგალითად, ტურისტული კომპანია „GOOD TRAVEL“-ი აწყობს სამდღიანი ტურს, რომლის ღირებულება 280 ლარია. ყველა ტურისტს საჩუქრად კომპანია გუდ თრაველისგან გადაეცემა ტაო-კლარჯეთის გზამკვლევი.

ღირებულებაში შედის:

- ტრანსპორტირება კომფორტული მიკროავტობუსით;
- ღამისთევა სასტუმროში;
- კვება 2-ჯერადი. (საუზმე-ვახშამი);
- გიდის მომსახურება;
- ტაძრების დათვალიერების ადგილობრივი მოსაკრებელი;
- სამოგზაურო დაზღვევა თურქეთის ტერიტორიაზე.

რჩევები კომპანიისგან:

ვალეს საბაჟო მუშაობს ყოველ დღე 10:00 - 20:00

საზღვარზე მოქმედებს მხოლოდ გერმანიის პასპორტი ან ახალი ID ბარათი.

პასპორტს მოქმედების ვადა მინიმუმ 6 თვე უნდა ჰქონდეს დარჩენილი.

ე.წ. ბორჯღაღიანი პასპორტით საზღვრის გადაკვეთა შეუძლებელია, მიუხედავად მისი მოქმედების ვადისა. კანონმდებლობის მიხედვით 2011 წლის 1 იანვრიდან იგი ხმარებიდან ამოღებულია.

18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საზღვარზე საჭიროა დაბადების მოწმობა და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა მშობლებისგან.

თორთუმის ჩანჩქერის „მუშაობის“ პერიოდი არის მაისის ბოლოდან ივლისის ბოლომდე.

შოპინგისთვის უკეთესია თან იქონიოთ თურქული ლირა, თუმცა დოლარიც "მუშაობს".

დროის სიმცირის გამო უმჯობესია შუადღის კვება ტრანსპორტში მოგვარდეს (თან საქმე) ვინც მარხვაზეა, უნდა გაითვალისწინოს კვების მენიუ სასტუმროში: კალმახი, კიტრი, პომიდორი, ბრინჯი, კარტოფილი, კვერცხი, კარაქი, ჯემი, ყველი, თაფლი, ჩაი.

2016 წლის 13 მაისს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორის პაატა ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო 10 დღიანი ტური ტაო-კლარჯეთის მიმართულებით. ტურის სახელწოდება - „სულხან-საბას დაბრუნება“ პაატა ნაცვლიშვილი სტუდენტებს ინტერნეტმედიის კურსს უკითხავს და ამავე დროს უძღვება შემოქმედებით სახელოსნოს, რომლის რამდენიმე წევრს ძალიან გაუმართლა: ისინი მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის გახმაურებულ პროექტში „მოგზაურობა 300 წლის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის ნაკვალევზე“.

ეს პროექტი პაატა ნაცვლიშვილის თაოსნობით და მისივე ხელმძღვანელობით ხორციელდება 2014 წლიდან. მოგზაურობის ხარჯებს კი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს. პროექტის მონაწილეებმა მთლიანად გაიარეს ის გზა, რაც თავის დროზე სულხან-საბამ განვლო და თითოეული მათგანი დიდი ემოციებით და აღტაცებით აღვსილი დაბრუნდა საქართველოში...

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ძეგლების ახლანდელი მდგომარეობა კრიტიკულია. საოცრებაა, რომ ოშკი და იშხანი ისევე დგას. თუ არაფერს ვიღონებთ, ვეღარ გადარჩება. ყოველ ზამთარს ძეგლებს აზიანებს სახურავიდან ჩამოსული წყალი, რომელიც იყინება და ფართოვდება. ეს ყველა შენობისთვის მძიმეა - ძველია თუ თანამედროვე. დაუჯერებელია მაშინდელ მშენებელთა მიღწევა, როგორ „შეაძლებინეს“, გადაეტანათ ამდენი ქარტახილი, რომ დღემდე მოაღწიეს. საშიშია აგრეთვე მიწისძვრაც, რომელიც, შესაძლოა, ამ რეგიონში მოხდეს, წარმოიდგინეთ რა დაემართება ნაგებობას!

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. თ. ხუციშვილი, ვ. შენგელია, შ. მაჭავარიანი, ვ. სილოგავა, ტაო-კლარჯეთი, 2004.
2. დ. ხომტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, 2005.
3. მარკუს ბოგიში, ტაო-კლარჯეთი, აწყობა და მომავალი, 2011.
4. <http://taoklarjeti.com/>
5. <http://taosaqahttp://www.davisvenot.ge>
6. tao-klarjeti.com/porta
7. reportiori.ge/

ოჯახური მარნები და ღვინის ტურიზმი შიდა ქართლში

თეონა ილარიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი ხელმძღვანელი: მათა აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანაა, რომელსაც მევენახეობის ათასწლოვანი ისტორია გააჩნია. ამ ქვეყნის მკვიდრმა ქართველებმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მევენახეობისა და მეღვინეობის უაღრესად მდიდარი, ორიგინალური კულტურა შექმნეს. მევენახეობა, მეღვინეობასთან ერთად, საქართველოს შუა საუკუნეების ინტენსიური მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს შეადგენდა. „სამხრეთ კავკასია, საქართველო - აი, ის უმთავრესი კერა, სადაც პირველად მოაშინაურეს ველური ვაზი და ყურძნის წვენისგან ღვინო დააყენეს“ - წერდა XIX საუკუნის გამოჩენილი შვეიცარიელი ბოტანიკოსი დეკანდოლი.

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოსთვის სოფლის მეურნეობის უძველესი და მთავარი დარგია. მას ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ვაზის კულტურისა და ღვინის ტექნოლოგიის მაღალ დონესაც განაპირობებდა. ძველი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მეღვინეობის პროდუქციას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და ქართული ღვინო უძველესი დროიდანვე საექსპორტოდ გამოიყენებოდა. ქართული ყურძნის ჯიშების დიდი უმრავლესობა საღვინეადაა განკუთვნილი. ზოგი მათგანი განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩევა და მათი ღვინო საყოველთაოდაა აღიარებული. ქართველი მევენახე კარგად იცნობდა ვაზის ბუნებასა და ხასიათს და სწორედ ეს მრავალფეროვანი ცოდნა დაედო საფუძვლად მისი მოვლა-მოშენების ტრადიციულ წესებს, რომელთა უმრავლესობა საქართველოში დღემდეა შემორჩენილი.

საქართველოში, ოდითგანვე ტრადიციულად, ღვინის დაწურვა და შენახვა საგანგებო შენობაში - მარანში ხდებოდა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში განსხვავებული ვარიაციებით გვხვდება. არსებობს მარნის რამდენიმე ტიპი, ზოგჯერ იგი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზეა განთავსებული, ზოგჯერ ცალკე ნაგებობაა, ხოლო ძველად მას პირდაპირ ვენახში აწყობდნენ.

ღვინის დასაყენებელი და შესანახი ნაგებობის აღსანიშნავად ამ ტერმინის გამოყენება წერილობით წყაროში VIII-IX საუკუნით დათარიღებულ სვანურ ხელნაწერში გვხვდება, ხოლო არქეოლოგიური მასალა უძველესი მარნის ნაშთებს გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანას მიაკუთვნებს. გათხრების შედეგად მარნების მრავალი ნაშთია აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. მარანს ქართველი კაცი წმინდა ადგილად მიიჩნევდა და აქ გარკვეულ რიტუალებსაც ატარებდა. გულუხვ და სტუმრიან ოჯახს ზოგჯერ „შიოს მარანს“ ეძახიან. სახელწოდება წმინდა შიოსგან მომდინარეობს, რომელსაც გადმოცემის თანახმად, VI საუკუნეში მცხეთის მახლობლად შიომღვიმის მონასტერი დაუარსებია, რომელთანაც ქართული ტრადიციისამებრ მარანიც ყოფილა, რომლის ქვევრებში ღვინო არ ილეოდა, რადგან ნაკლები ქვევრები ღვინის მაღლით დილამდე ისევ იცებოდა. როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ქართლ-კახეთისთვის ტრადიციულია დახურული მარანი სადაც იწურება ყურძენი, დგება და ინახება ღვინო (თოფჩიშვილი, 2008).

მარნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ქვევრია - ღვინის დასაყენებელი და შესანახი ჭურჭელი. საქართველოში ქვევრის კეთების უძველეს ტრადიციებს ქვეყნის ტერიტორიაზე გათხრილი დიდძალი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს, სადაც ორი ათასი წლის წინანდელი სრულყოფილი ფორმით გამორჩეული ქვევრებია აღმოჩენილი. საქართველოში მექვევრეობის რამდენიმე მნიშვნელოვანი კერა არსებობდა. ასეთებია: ქართლში - უწლევი და ცხავატი, იმერეთში - შროშა, ბოსლევი, დიდწიფელა, ჩხიროული და ა. შ.

ტრადიციული მარნების აღორძინების პროცესმა ახალი სიცოცხლე შეიძინა UNCO-ს მიერ ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარების შემდეგ.

ქართლი მეღვინეობის გამორჩეული რეგიონია საქართველოში, რომელიც ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოებით. ვენახები გაშენებულია მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების - ლიახვისა და ქსნის ვრცელ აუზებში, ზღვის დონიდან 450-700 მეტრ სიმაღლეზე. ქართლს, ისევე როგორც სხვა რეგიონებს, აბორიგენული ჯიშები განსაკუთრებულ ხასიათს

სძენს. ქართლში გავრცელებული ჯიშებიდან აღსანიშნავია ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური თეთრი, თავკვერი, შავკაპიტო და საფერავი. ასევე გვხვდება იშვიათი ჯიშები: ჭყლაპა, ანდრეული, არაგვისპირული, გრძელმტევანა, მელიკუდა, ჭროლა, ხარისთვალა, ძელშავი. გარდა ადგილობრივი ჯიშებისა, ქართლში გავრცელებულია უცხოური ჯიშებიც: ალიგოტე, პინო შავი და თეთრი, შარდონე და სხვა. ქართლში, ისევე როგორც კახეთში, გავრცელებულია ტრადიციული და ევროპული მეღვინეობა. ადგილწარმოშობის ღვინის ჯიშებიდან ერთ-ერთი – „ატენური“, სწორედ ქართლში იწარმოება. <http://georgianwine.gov.ge>).

საქართველოს ვაზის აბორიგენული ჯიშები სწორედ იმ კუთხეების ტრადიციებსა და ისტორიას იმეორებს, სადაც ისინი ოდითგანვე ხარობდნენ. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ქართლის ცნობილი ვაზის ჯიშები - ჩინური. ჩინური შიდა ქართლის აბსოლუტურად ყველა რაიონშია გავრცელებული. თუმცა, ისტორიულად ცნობილია, რომ ჩინურის ვენახებს განსაკუთრებულად დიდ ფართობებზე მაინც გორელი და კასპელი გლეხები აშენებდნენ. ასევე ძალიან პოპულარული იყო ე.წ. „ატენური ღვინო“, რომელსაც, როგორც წესი, ქართლის ორი ჯიშის - გორული მწვანისა და ჩინურის შერევით ამზადებდნენ. საბჭოთა პერიოდიდან საზოგადოება ჩინურს იცნობდა, როგორც მსუბუქ, ევროპული ტიპის ღვინოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ასევე არის, მაგრამ ამავე დროს ამ ჯიშს ტრადიციული წესით ჭაჭასთან ერთად დავარგების პოტენციალიც გააჩნია (<http://georgianwine.gov.ge/>).

მარნებში არსებული რეალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით ვიმყოფებოდით გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდისთავში, გოგი დვალისძის ღვინის მარანში. საინტერესოა, რომ ოჯახს გააჩნია საფუტკრე მეურნეობა და ტურისტებს ღვინის დეგუსტაციის გარდა, სთავაზობენ თაფლს და ფიჭას, ასევე თაფლის არაყს. აყენებს ძალიან საინტერესო ღვინოებს როგორც ქვევრში, ასევე ევროპული წესით. ჯიშები - თავკვერი, ჩინური, გორული მწვანე, მწვანე კახური, რქაწითელი. აღსანიშნავია, რომ ეს მარანი ტურისტულ პაკეტებშია და ტურისტებს მასპინძლობს ყოველწლიურად. მიუხედავად იმისა, რომ პატარა მარანია, სრულყოფილად არის აღჭურვილი და ესთეტიურადაც კარგად გამოიყურება. აქვს მიღებული სერტიფიკატები, რაც ღვინის მაღალი ხარისხის დადასტურებაა. ჩანაწერების წიგნში ვნახე უამრავი კარგი შთაბეჭდილება ტურისტებისა. საინტერესოა, რომ დვალისძის მარანი მონაწილეა ღვინის ფესტივალების. ბოლოს მონაწილეობა მიიღო ფესტივალში New Wine festival 2016.

აგრეთვე ვეწვიეთ გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ატენის დედათა მონასტრის მარანს. მონასტერს გააჩნია სამი მარანი, რომელთაგან ერთ-ერთში ღვინოსაც აწარმოებენ. ეზოში არის მცირე ფანჩატური, სადაც შესაძლებელია სტუმრების მიღება და ღვინის დეგუსტაცია. ღვინოებს აყენებენ ტრადიციული წესით, ქვევრებში, ჩინურიდან და გორული მწვანედან. აღნიშნული მარნები შესულია პროექტ „საქართველოს ღვინის გზა“ და გზამკვლევაში.

პროექტი - „საქართველოს ღვინის გზა“ ითვალისწინებს საქართველოს ყველა რეგიონში არსებული ღვინის კომპანიების, მცირე და ოჯახური მარნების მოძიებას, აღრიცხვას და ტურისტებისთვის განკუთვნილ საინფორმაციო კატალოგებში განთავსებას. ამავე დროს გზებზე მონტაჟდება სპეციალური ნიშნულები, რომლებიც ტურისტს მათ ადგილმდებარეობაზე მიანიშნებენ. კომპანიებისა და მარნების შესარჩევად ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრისა და ღვინის კლუბის წარმომადგენლებმა ამ ეტაპზე პრაქტიკულად საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა რეგიონი მოიარეს და იმ კომპანიებისა და მარნების ინფრასტრუქტურა შეისწავლეს, რომლებსაც ღვინის ტურიზმში ჩართვა სურთ. მათგან, საერთო ჯამში, ჯერჯერობით 26 საოჯახო მარანი და 18 ღვინის კომპანია შეირჩა, რომლებიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაც ტურისტების მისაღებად და გასამასპინძლებლად არის აუცილებელი (<http://www.marani.co/>).

ექსპერტების მალხაზ ხარბედიას და ზაზა გაგუას შეფასებით, რეგიონებში ამ დროისთვის ვითარება საკმაოდ არასახარბიელოა. დასავლეთ საქართველოში კვლავ ძალიან არის ფესვგადგმული შაქარზე და წყალზე ე. წ. ღვინის დაყენების „ტექნოლოგიები“, რაც ქართულ ღვინოს სახელს უტეხს და ხარისხიანი ღვინის მწარმოებელ მეღვინეებს დიდ დარტყმას აყენებს. თუმცა, კარგია, რომ მევენახე-მეღვინეებს აქვთ ღვინის ტურიზმში ჩართვის ინტერესი და თუ ამ ინტერესს გავაღვივებთ, შესაძლებელია, რამდენიმე წელიწადში ვითარება რადიკალურად შეიცვალოს. პროექტი „საქართველოს ღვინის გზა“ მცირე მარნებს საშუალებას აძლევს, განვითარდნენ და მისაბამ მაგალითად იქცნენ სხვა მარნებისთვის, რომლებიც ამ ეტაპზე „ღვინის გზას“ ასცდნენ.

საინტერესოა გზამკვლევი, მალხაზ ხარბედიას თქმით, წიგნში შეტანილია დეტალური ინფორმაცია თვრამეტივე ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მიკროზონების აღწერას შემდეგი პარამეტრებით: ფართობი, ნიადაგი, კლიმატი, საუკეთესო ზვრები, ვაზის ჯიშები, ღვინის დაყენების მეთოდი და ისტორიული ექსკურსი. საუბარია ყველასათვის კარგად ცნობილ

ადგილწარმოშობის ისეთ დასახელებებზე, როგორებიცაა, მაგალითად: კოტეხი, კარდენახი, ტიბაანი, წინანდალი, სვირი, ხვანჭკარა, ტვიში, ატენი და სხვა. ფრაგმენტი 2014 წლის ღვინის გზამკვლევიდან:

„ატენი“: მდებარეობს გორის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე, მდინარე ტანას მარჯვენა და მარცხენა ფერდობებზე. ვენახები მოიცავს სოფლებს პატარა ატენს, გარდატენს და დიდ ატენს.

ზვრები: დავით კაზვარი დიდ ატენში. ხორგუანთეული, მეურმეანთეული, ჭეჭელაანთუბანი, ჭიკუანთეული სიონში, დვალიანთეული.

ფართობი: 14,5 კვადრატულიკილომეტრი.

ნიადაგი: თიხნარი და ლამიანი.

ვაზის ჯიშები: ჩინური და გორული მწვანე.

ღვინო: ატენური ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. ატენურს ეგრეთ წოდებულ ბუნებრივ ცქრიალა ღვინოსაც უწოდებენ. ხეობაში დღესაც აქტიურად მისდევენ მევენახეობა-მეღვინეობას, თუმცა ამ დასახელების ღვინოს არც ერთი ღვინის კომპანია არ აწარმოებს“. (<http://www.marani.co/>).

ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასევე დატანილია საქართველოს ღვინის რუკის უკანა მხარეზე. რუკის ავტორის, ეკოტურიზმის განვითარების ცენტრის წარმომადგენლის ზაზა გაგუას თქმით, ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საქართველოს ღვინის რუკა გაკეთდა შარშან, 2014 წელს კი ის განახლდა და დაიხვეწა. „აქ არის ვაზის გავრცელების არეალები, ტურისტულად საინტერესო მარნები, ვაზის ჯიშები და ასე შემდეგ. ბევრი თემატიკაა მოცემული. უკანა გვერდზე კი არის საქართველოს ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ზონის დეტალური ტოპოგრაფიული რუკები, რომლებიც გვამლევს საშუალებას გავიგოთ, მაგალითად, წინანდალი რომელ სოფლებს მოიცავს, რა არეალზეა გავრცელებული. ეს, ფაქტობრივად, ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, რომ ასე ფართო საზოგადოებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, იმიტომ რომ ამ რუკების მხოლოდ სამეცნიერო ნიმუშები არსებობდა.

„ქართული ღვინის გზამკვლევის“ მიხედვით, საქართველოში ღვინის წლიური მოხმარება ერთ სულზე 15-20 ლიტრს არ აღემატება, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ევროპის მაჩვენებელზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესტორნების ქსელი გაჯერებულია უხარისხო, დაავადებული და, სულაც, ფალსიფიცირებული ჩამოსასხმელი ღვინით. და ეს მაშინ, როცა, მალხაზ ხარბედიას თქმით, სულ უფრო მეტი უცხოელი მომხმარებელი და ღვინით მოვაჭრე ყიდულობს განსაკუთრებული ინდივიდუალობით გამორჩეულ არაერთ ქართულ ღვინოს, რომელიც უნიფიცირებული თანამედროვე ბაზრის პირობებში ბევრისთვის ერთგვარ თავშესაფრადაც იქცა.

ღვინის ტურიზმის ვითარდება და აქტუალური ხდება. უცხოელების დაინტერესება ქართული მევენახეობითა და ღვინის წარმოებით სულ უფრო იზრდება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ტურიზმის დეპარტამენტი ამ ფაქტს ღვინის ტურიზმის განვითარებით და მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციით ხსნიან. საქართველოში ჩამოსული ტურისტების 100% თუ არა, 80% მაინც ითხოვს ღვინოების გასინჯვას. სტატისტიკის მიხედვით, 2014 წელს საქართველოში მოგზაურობის დროს ქართული ღვინო უკვე 500 000--ზე მეტმა ვიზიტორმა დააგემოვნა.

ღვინის ტურიზმი მზარდი პროცესია. წინასწარ იმის თქმა, რომ ეს მიმართულება ჩვენთან განვითარებულია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ჯერ კიდევ გვაკლია ცნობადობა და უცხოელების დაინტერესება. უფრო მეტი შრომა და ცნობიერების ამაღლება გვმართებს.

ლიტერატურა:

1. რამიშვილი რ., ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, თბილისი, 1988.
2. თოფჩიშვილი თ., ეთნოგრაფია, თბილისი, 2008.
3. <http://georgianwine.gov.ge/>
4. <http://www.telianivalley.com/>
5. <http://winetours4u.com/ru/>
6. <http://www.marani.co/>

ტურიზმის ინდუსტრია, როგორც ქვეყნის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი

თამარ ქოქოშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: თეა ანესაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

ტურიზმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის, ქვეყნის მომავლის განვითარების და უპირველეს ყოვლისა, ადამიანების დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. დღესდღეობით ტურიზმი გვპირდება ეფექტურ დასვენებას და განტვირთვას, უჩვეულო განცდებს, კრეატიულ ინსპირაციას, ახალ შეგრძნებებს და რა თქმა უნდა ჯანსაღ დასვენებას და სოციალურ ურთიერთობებს. ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა, რომლის განვითარებასაც ამა თუ იმ ქვეყანაში დიდწილად განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. სწორედ ტურიზმი არის ვალუტის მოძრაობის მთავარი გენერატორი, რომლის მეშვეობითაც იგი უდიდეს როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. მას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობის, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს თუ რას ეფუძნება მისი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გააუმჯობესოს მომსახურება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი რეგულირებით და ინფრასტრუქტურის მოწყობით. რა თქმა უნდა, წამყვანი როლი ტურიზმის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე ძირითადად და ცალკეული სუბიექტების შემთხვევაში ეკუთვნის სახელმწიფოს. რაც შემდეგი დებულებებით შეიძლება დავასაბუთოთ:

1. ტურიზმისა და კურორტების შესახებ კანონში კონსტატირებულია, რომ სახელმწიფო აღიარებს ტურისტულ საქმიანობას, როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს.

2. სახელმწიფოს მიერ დაწესებული წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ტურიზმის დარგში, ატარებენ სავალდებულო ხასიათს და სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების სისტემის საშუალებით იღებს აგრეთვე შესაძლებლობას გააკონტროლოს მათი შესრულება და აუცილებლობის შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული იძულებითი ხასიათის ღონისძიებები.

3. სახელმწიფო გვევლინება მიწის და ტურისტული ინტერესის ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობის მესაკუთრედ და ფლობს ამით შესაძლებლობას, დაამყაროს ისეთი ქცევის წესები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესების დაცვას ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული რესურსების გამოყენების გზით.

4. სახელმწიფო განსაზღვრავს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს. ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტული მიმართულებად განსაზღვრულია შიდა, შემოსვლითი, სოციალური და დამოუკიდებელი ტურიზმის განვითარება და მხარდაჭერა.

5. სახელმწიფო არა მარტო განსაზღვრავს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს, არამედ ასახავს მათ კონკრეტულ გეგმებსა და პროგრამებში, შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის გზით. ამდენად პროექტებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალური ეკონომიკური ზონების ტურისტული რეკრეაციული ტიპის ჩამოყალიბებაზე, დაგეგმილია და გამოყოფილია სერიოზული თანხები ბიუჯეტიდან.

6. სახელმწიფო აბანდებს სახსრებს ტურისტული, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რომლებიც გვევლინება ყველაზე დანახარჯიან და ამავე დროს ინვესტირებისთვის მიმზიდველ სფეროდ ბიზნესის მხრიდან, რამდენადაც იგი ხორციელდება განთავსების საშუალებების, გართობის ობიექტების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების და სხვა მაღალმემოსავლიანი, სწრაფად ანაზღაურებადი პროექტების განხორციელებით.

ტურიზმში სახელმწიფოს როლის გაზრდა თანამედროვე პირობებში განპირობებულია მთელი რიგი მიზნობრივი ფაქტორებით და მათგან ძირითადია სოციალურ-ეკონომიური ამოცანების ზრდა, რომლებიც გადაწყვეტილი უნდა იქნას ტურიზმის განვითარებით.

ჩემი აზრით, სახელმწიფოს ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტირების კონცენტრირება და სხვადასხვა პროტექციონისტული ღონისძიებების განხორციელებით ტურისტული ინფრასტრუქტურის ეფექტური განვითარება.

სახელმწიფოს ჩარევის ძირითადი მიზეზი ტურიზმის ინდუსტრიაში არის საკუთარი მოქალაქეების და ზოგადად მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა. იგი ეხება ისეთ სფეროებს როგორც არის ეკონომიკური სტაბილურობა, ბუნებრივი რესურსების დაცვა, ეროვნული უსაფრთხოება, ჯანდაცვა და დასაქმება.

ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი სფეროა შიდა ტურიზმი, რომელსაც თან ახლავს სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებელი. შიდა ტურიზმის განვითარება ასევე ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდასა და ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობას საშუალება ეძლევა ვიდრე საზღვარგარეთ წასვლას გადაწყვეტდეს უკეთ გაეცნოს თავის ბუნებას, კულტურასა და ისტორიას და საკუთარ ქვეყანაში დახარჯოს იმ თანხის ნაწილი რისი დახარჯვაც განზრახული ჰქონდა საზღვარგარეთ. შიდა ტურიზმის მნიშვნელოვანი ეკონომიკური უპირატესობაა საგადაამხდლო ბალანსის გაუმჯობესება, რადგანაც მოსახლეობის მიერ საკუთარი სახსრების ხარჯვა მათსავე ქვეყანაში ამცირებს ქვეყნიდან გასული ვალუტის ოდენობას.

ყველა რეგიონისათვის საჭიროა ტურისტული ატრაქციები და აქტივობები, რომლებიც ტურისტებს ამ ადგილას მოიზიდავს. ეს შესაძლებელია იყოს როგორც ლამაზი მთები ან აგზოტიკური ზღვის სანაპირო, ასევე გართობა, ვაჭრობა და ა.შ. ატრაქციები შესაძლებელია დაიყოს ბუნებრივ ატრაქციებად, როგორებიცაა: მთები, გეოთერმული ზონები, ტყეები და ა.შ, ასევე კონსტრუირებულ ატრაქციებად, რომელთა შექმნაა და შენახვაა აუცილებელი, მაგალითად: გასართობი პარკები, მუზეუმები და გალერეები, ისტორიული ნაგებობები, ასევე ივენთები: სასცენო მოუბები, გამოფენები და ა.შ. ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის უპირატესობებს:

- განვითარების საშუალებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ნედლეული, თუმცა საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძნებენ თავიანთ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ნაკრძალებსა და ბუნებრივ პირობებზე;
- ხელს უწყობს სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი განვითარებას, კვების მრეწველობას, ახდენს შრომის ბაზრის დივერსიფიკაციას, ქმნის ტურისტულ მარშრუტებს და სამუშაო ადგილებს ისეთი პროფესიის ადამიანებისთვის რომლებიც არიან: გიდები, თარჯიმნები, მზარეულები, სასტუმროს მენეჯერები და მომსახურე პერსონალი და მომსახურების სფეროს სხვა წარმომადგენლები;
- ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკა მოიცავს ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას, რაც მოიცავს გზების, ჯანდაცვის დაწესებულებებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს, რაც ასევე ამცირებს უმუშევრობას და ზრდის შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ორიენტირება ტურიზმის განვითარებაზე მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვას და მოფრთხილებას;
- ტურისტთა ნაკადის ზრდა საშუალებას აძლევს მოსახლეობას, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ნაწარმის ექსპორტზე გატანას, ადგილზე მოახდინოს მისი პროდუქტის რეალიზაცია;
- ქვეყანაში ტურისტთა რაოდენობის ზრდა ახდენს მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებს შორის, რაც ხელს უწყობს ერების დაახლოებას და მათ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას.

ტურიზმის განვითარებას უამრავ უპირატესობასთან ერთად თან ახლავს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, ისეთები როგორიცაა: დაავადებების გავრცელება და ტერორიზმის საფრთხე. ასევე, შესაძლოა, უცხოელი ინვესტორი დაინტერესებული იყოს მხოლოდ მოგების მიღებით მოკლე ვადიან პერიოდში და არ ითვალისწინებდეს ქვეყნის გრძელვადიან მყარი განვითარების ინტერესს. ასეთი მიდგომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მონიტორინგის დაწესება ტურიზმის, განსაკუთრებით კი ეკოტურიზმის სფეროში განხორციელებულ ინვესტიციებზე. ტურიზმის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს დამაბული და არასტაბილური მდგომარეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის მეზობელ ქვეყნებში. მნიშვნელოვანი ხელშემწყობა ტურიზმის განვითარებისთვის არის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებაში ცოდნის ამაღლებას იმის შესახებ თუ რა სტანდარტები და მოთხოვნებია თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიაში, როგორია ტენდენციები და მომავლის პერსპექტივები, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ტურისტების მომსახურება. ადამიანებმა, რომლებიც ფლობენ საოჯახო თუ დიდ სასტუმროებს და განკარგავენ სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებს უნდა იცოდნენ კულტურული განსხვავებულობის ასპექტები, რათა გააუმჯობესონ ტურისტების მომსახურება და ზუსტად განსაზღვრონ ის მიმართულებები, რაც უფრო

ეფექტიანს გახდის მათ ბიზნესს. ამ მიზნით შესაძლებელია კონსულტანტების მოწვევა განვითარებული ტურიზმის მქონე ქვეყნებიდან.

საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ტურიზმის განვითარების სფეროში World Tourism Organisation (UNWTO) წამყვანი და ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციაა მსოფლიოში ტურიზმის სფეროში. იგი გაეროს (UN) სპეციალიზირებული სააგენტოა. იგი მოიაზრება როგორც გლობალური ფორუმი ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკული წყარო ტურისტული ნოუ-ჰაუსთვის. WTO სათაო ოფისით მადრიდში (ესპანეთი), ასრულებს მთავარ და გადამწყვეტ როლს პასუხისმგებლიანი, მდგრადი და უნივერსალურად მიღწევადი ტურიზმის განვითარებაში, რომლის მიზანია კონტრიბუცია ეკონომიკურ განვითარებაში, საერთაშორისო ურთიერთაგება, მშვიდობა, ურთიერთაპატივისცემა, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვა. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 150 ქვეყანა და ტერიტორია, ასევე 450 შემოერთებული წევრი (ადგილობრივი მთავრობები, ტურისტული ასოციაციები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და კერძო სექტორში არსებული ფირმები როგორებიცაა ავიახაზები, სასტუმროები და ტუროპერატორები).

The Pacific Asia Travel Association (PATA) არის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შერეული ორგანიზაცია, რომელნიც ურთიერთქმედებენ რათა განავითარონ პროფესიონალიზმი ტურისტულ ინდუსტრიაში აზიასა და წყნარი ოკეანის რაიონში.

European Travel Commission არის სტრატეგიული ალიანსი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობას 33 ევროპულ ნაციონალურ ტურისტულ ორგანიზაციას შორის. მისი მიზანია მიიზიდოს მომხმარებლები ევროპაში სხვა რეგიონებიდან.

European Travel Commission არის სტრატეგიული ალიანსი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობას 33 ევროპულ ნაციონალურ ტურისტულ ორგანიზაციას შორის. მისი მიზანია მიიზიდოს მომხმარებლები ევროპაში სხვა რეგიონებიდან.

სასტუმრო დარგის ხელშეწყობა საზღვარგარეთ, იმ ქვეყნებში, სადაც ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ჩვეულებრივ ტურისტული ინფრასტრუქტურის, კერძოდ, სასტუმროების განვითარების სტიმულირებისათვის საკანონმდებლო ხასიათის ზომებს მიმართავენ. ამასთან სახელმწიფო ორგანოები და ფინანსური დაწესებულებები ითვალისწინებენ, რომ ინვესტიციები და ტურიზმი ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, მოაქვთ გარკვეული მოგება, მათ შორის მყარი ვალუტის სახით. ამიტომ უმეტეს ქვეყნებში იღებენ ისეთ საკანონმდებლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს უწყობენ უცხოური და შიდა ინვესტიციებისა და სესხის მოზიდვას, მაგალითად, მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით.

სასტუმრო დარგის ხელშეწყობი ძირითადი საშუალებებია: დახმარება მიწის ნაკვეთების გამოყოფაში განაშენიანებისათვის; დახმარება მარკეტინგული კვლევების ჩატარებაში; კაპიტალ დაბანდების დაბრუნება გაზრდილი საკრედიტო განაკვეთებით; პროექტის საწყისი სტადიის დანაკარგების გადატანა პროექტიდან მოგების მიღების პერიოდისათვის (გადახდების გადავადება); სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურების განვითარება პროექტებისთვის; საგადასახადო და საბაჟო შეღავათები ისეთი საპროექტო დანადგრებისთვის, რომლებიც არ იწარმოებიან ქვეყანაში. თურქეთი: სასტუმრო-ტურისტული კომპლექსი 40%-ით სახელმწიფოს დოტაციაზე, რაც კონკურენტუნარიანი ფასების დადგენის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, მიღებულია ტურისტებისთვის მოსახერხებელი უცხოური ვალუტის თავისუფალი მიმოქცევა ადგილობრივ ფულად ერთეულთან ერთად;

ისრაელი: სასტუმრო სფეროში ინვესტიციების 30% უბრუნდება ინვესტორს სახელმწიფოს მიერ პირდაპირი დანარიცხებისა და საგადასახადო შეღავათების სახით (სტუმართა მოზიდვის გარკვეული მოცულობების მიღწევის პირობით); მექსიკა: კურორტების - აკაპულკოს და კანკუნის ირგვლივ შექმნილია ფრანკო (გადასახადებისგან თავისუფალი) ზონები; ინდონეზია: კუნძული ბალი აღიარებულია თავისუფალ ეკონომიკურ ზონად, რაც ამცირებს ფასებს ტურისტულ შემოთავაზებებზე. აქვე პრაქტიკაშია დანერგილი პირდაპირი საბიუჯეტო ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მაროკო: მიღებულია ტურიზმის განვითარების გეგმა, რომელიც პირდაპირ საბიუჯეტო ინვესტიციების (20-40%) ვარაუდობს განვითარების პრიორიტეტულ პროექტებში (დიდი გასართობი პარკები, სასტუმრო კომპლექსი და ა.შ.).

როგორც წესი, პოტენციური ინვესტორების წინაშე დგება წინასწარი პირობა - ინვესტიციები განხორციელდება იმ პროექტებში, რომლებიც განვითარებად რეგიონებად არიან მიჩნეული. გარდა ამისა, წამოყენებულია მოთხოვნები: ქვეყანაში გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი პერსონალის მოზიდვა; განხორციელდეს მისი სწავლება და ა.შ. ზოგჯერ დამატებით წაყენებათ მოთხოვნები პროექტების გარეგნული სახის მიმართ. რაც შეეხება სასტუმრო დარგში კაპიტალ დაბანდებებს სახელმწიფო

მხარდაჭერის ზომებს, რაც ხელსაყრელი საინვესტიციო კლიენტის შექმნაში გამოიხატება, ასეთებად ჩვეულებრივ განიხილება:

სახელმწიფო გარანტიების შეთავაზება - კრედიტების უზრუნველყოფის ფართოდ გავრცელებული მექანიზმი. თანამშრომლობის ასეთი ფორმა იზიდავს უცხოელ ინვესტორებს და განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საქმიან პრაქტიკაში;

ინვესტორების ინტერესების დამცველი კანონმდებლობის შემუშავება ანუ საგადასახადო შეღავათებისა და გარანტიების დადგენა მოგების რეპატრიაციის მიმართ.

ტურიზმის განვითარება საქართველოში

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს: 1. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგრძე 318 კმ.-ია. იგი წარმოადგენს მასობრივი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. 2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრები. დიდი კავკასიონი გადაჭიმულია შავიდან კასპიის ზღვამდე და სიგრძით 1500 კმ-ს აღწევს. საქართველოს მთები უაღრესად ხელსაყრელია სამთო-სათხილამურო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. 3. კურორტები: ქვეყანაში 102 კურორტი და კარგი საკურორტო პერსპექტივების მქონე 182 საკურორტო ადგილია. საქართველო არის ერთ-ერთი უძველესი ტურისტული ქვეყანა, სადაც ტურიზმს 3500 წლის ისტორია აქვს. საქართველო აღიარებულია ღვინის სამშობლოდ. ქვეყნის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ვაზის დასამუშავებელი იარაღი, რომელიც დამზადებულია ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. მსოფლიოში ასეთი სიმკვების ნივთი არსად არ არის აღმოჩენილი. 2 ათასი ყურძნის ჯიშებიდან 500 ქართულია. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნება, ისტორიული და კულტურული ძეგლები მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დეკლარირებულია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ერთნაირი უფლებები, არის შემთხვევები, როდესაც ეს უკანასკნელნი სამართლებრივი დავის წარმოშობისას დაუცველად გრძნობენ თავს. ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის სექტორში კორუფციული გარიგებებისა და არარეგისტრირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მასტიმულირებელი ფაქტორების განხილვისას არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენაც. საქართველოში ტურიზმის სფეროში და სასტუმრო ინდუსტრიაში მოქმედი კერძო ორგანიზაციების უმრავლესობა ჩართულია ბიზნესში, ხოლო ნაწილი კი ტურების ოპერირებასა და ტურისტული მომსახურების. სხვადასხვა სფეროში (მაგ. ავიაბილეთების სერვისი, მოგზაურობის ორგანიზება, საექსკურსიო საქმიანობა და სხვა) მცირე გამოწვევის გარდა, ამ სექტორში მცირე ზომის კომპანიები მუშაობენ, რის გამოც ისინი ხშირად მეტად დაუცველნი არიან ბიზნესის რთულ გარემოში. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესის ოპერირებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. საქართველოში არანაკლებ დამაფიქრებელია თვით დარგის მართვასა და დაგეგმვაში არსებული დიდი ხარვეზები. მის აღმოსაფხვრელად გათვალისწინებული უნდა იქნას უცხოეთის გამოცდილება, რომელიც შეეხამება ადგილობრივ, სპეციფიკურ პირობებს დარგში არსებული პრობლემები.

ფაქტიურად ყველა სახელმწიფოს აქვს ორგანო, რომელიც მუშაობს ტურიზმის განხრით და პასუხს აგებს ქვეყნის ტურისტულ განვითარებაზე. ეს შესაძლებელია იყოს რომელიმე სამინისტროს განყოფილება, ან სპეციალურად შექმნილი ორგანიზაცია ან დაპარტამენტი, რომელსაც თავისი კერძო იურიდიული სტატუსი გააჩნია. ძირითადად, ამ სამსახურების მიზანია შექმნას განვითარების წინაპირობა და მსოფლიო ბაზარზე თავისი ქვეყანა წარადგინოს როგორც მიმართულება ტურისტებისათვის. ეს პროცესი უმეტესად მოიცავს:

- კვლევითი მუშაობები;
- ინფორმაციის გავრცელება, პრომოუშენი ქვეყნის შიგნით;
- საერთაშორისო პრომოუშენი;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მთლიანი ტურისტული პოლიტიკა და პრომოუშენი;

• ეკონომიკური კრიზისების დროს ტურიზმის ინდუსტრიისათვის ხელის შეწყობა საქართველოში, ეს სამსახური ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, რომლის მიზანი და ამოცანაა საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის

პოპულარიზაცია და პრომოუშენი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ მიზნით დეპარტამენტი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში, სადაც წარმოდგენილი სტენდითა და სხვადასხვა ბეჭდვითი ბროშურებითა და მასალებით გამოფენის ვიზიტორებს აწვდის საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას ქვეყნის შესახებ. დეპარტამენტის ინიციატივით ეწყობა გაცნობითი ტურები უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომლის ფარგლებშიც პრესის წარმომადგენლები სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონს. მათ მიერ მზადდება სატელევიზიო სიუჟეტები და სტატიები ბეჭდვითი პრესისთვის, რაც ხელს უწყობს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის პოპულარიზაციას. დეპარტამენტი ასევე აქტიურად მუშაობს შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის საკითხზე. ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების სხვადასხვა ფენებში შიდა ტურიზმით დაინტერესებას.

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოთა მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა. სამთავრობო პროგრამას აწარმოე საქართველოში ახალი კომპონენტი - სასტუმროების მშენებლობისა და გაფართოების მხარდაჭერა, დაემატა. ამ სქემის თანახმად, მეწარმე, რომელსაც სურს რეგიონში ააშენოს ახალი სასტუმრო, ან გააფართოოს უკვე არსებული, ბანკში სესხის დამტკიცების შემთხვევაში, ისარგებლებს სახელმწიფო თანადაფინანსების სქემითა და გირაოს უზრუნველყოფაში თანამონაწილეობით. პროგრამა 2015 წლის აგვისტოდან ამოქმედდა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ ტურიზმის განვითარება იმ ქვეყნებში რომლებსაც რეალურად გააჩნია ტურისტული პოტენციალი და ფლობს გარკვეულ კონკრეტულ უპირატესობებს ამ კუთხით უნდა იყოს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეკლამა ტურიზმის განვითარებაში. ტურიზმის გლობალური ბაზარი ძალზედ კონკურენტულია, ამიტომ, საჭიროა მუდმივი მუშაობა საკუთარი ქვეყნის უპირატესობების დემონსტრაციაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მსოფლიოს წამყვანი ტელეარხების ეთერის გამოყენება, რომელთაც მილიონობით მაყურებელი ყავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ არხებზე სხვადასხვა სარეკლამო რგოლებისა თუ დოკუმენტური ფილმების განთავსების მიზანია მსოფლიოსთვის იმის ჩვენება თუ რა შესაძლებლობები აქვს ქვეყანას და რატომ იქნება ამ ქვეყანაში სტუმრობა საინტერესო. ასეთი გადაცემები ასევე ახდენენ პოტენციური ინვესტორების დაინტერესებას. მსოფლიოსთვის საკუთარი ქვეყნის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა სპორტული თუ მუსიკალური ღონისძიებების ჩატარება.

ლიტერატურა:

1. მ. ვასაძე, „სასტუმროს მენეჯმენტი“, თბილისი, 2009.
2. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ.
3. <https://ka.wikipedia.org>

სოციალური მეცნიერებანი

საქართველო XXI საუკუნის გლობალურ სივრცეში

ანი ლაშვი, მზია მელაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: კარინე ბერძნიშვილი, მოწვეული სპეციალისტი

ტერმინი გლობალიზაცია ინგლისურ სიტყვა „გლობუს“ უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო გლობალ – მსოფლიოს, გლობალურს. გლობალიზაციის ტერმინის გამოჩენა დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა.

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა.

საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მსოფლიოში მე-19 ადგილზეა, სოციალური გლობალიზაციის მიმართულებით საქართველო 98-ე, პოლიტიკური გლობალიზაციის მიმართულებით კი 139-ე პოზიციაზეა, ხოლო ზოგადად გლობალიზაციის დონით – 63-ზე.

ციურისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 191 ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმს ეფუძნება. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმებით განისაზღვრება. სოციალური გლობალიზაციის კრიტერიუმებად შერჩეულია უცხოელებთან კონტაქტის სხვადასხვა მაჩვენებელი (მაგალითად, ტურისტების რაოდენობა, საერთაშორისო სატელეფონო ზარები, უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილი მოსახლეობაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, მაკდონალდსის რესტორნების რაოდენობა და სხვა). პოლიტიკური გლობალიზაციის დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: საელჩოების რაოდენობა ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, გაეროს უშიშროების საბჭოს მისიებში მონაწილეობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები.

ეკონომიკური გლობალიზაციის დონე

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას აძლევს საშუალებას, გამოიყენოს ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს (იმპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რისი წარმოებაც ქვეყნის შიგნით უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთ, და პირიქით, სხვა ქვეყნებში გაიტანოს (ექსპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაც თვითონ უფრო იაფი უჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებს. საბოლოო ჯამში, ქვეყანა იგებს როგორც ექსპორტიდან, ასევე იმპორტიდან. მარტივად რომ ვთქვათ, ვყიდულობთ იაფად და ვყიდით ძვირად. ეს კი ზრდის მოსახლეობის დანაზოგებს, რაც ინვესტირებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

ინდექსის მეორე ძირითადი კრიტერიუმია უცხოური კაპიტალის შემოდინება. ქვეყნის ეკონომიკას ავითარებს ინვესტიცია. ინვესტიცია შეიძლება იყოს შიდა (საკუთარი მოსახლეობის დანაზოგები), ან უცხოური (სხვა ქვეყნების მოსახლეობის დანაზოგები). მხოლოდ შიდა დანაზოგით ქვეყანა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას ვერ მიაღწევს, განსაკუთრებით, თუ ღარიბი, განვითარებადი სახელმწიფოა, სადაც მოსახლეობა ცოტა ფულს ზოგავს. ამიტომაც, განვითარებადი ქვეყნები მდიდარ ქვეყნებზე მეტად ცდილობენ ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ბიზნესგარემო შექმნან.

სოციალური გლობალიზაციის დონე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის კვეთის სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში შემოსული პირების რაოდენობა, ვინც საქართველოში 24 საათზე მეტ ხანს რჩება, 2014 წელთან შედარებით 0.7%-ით არის შემცირებული და 1.57 მილიონს შეადგენს. 2015 წლის იანვარ-აგვისტოს მანძილზე კი, მთლიანად საქართველოში დაფიქსირებული ვიზიტების რაოდენობა 3.9 მილიონს შეადგენს, რაც გასული წლის მაჩვენებელს 6.1%-ით აღემატება. ქვეყნის ეკონომიკაზე რეალური გავლენა ძირითადად იმ ვიზიტორებს აქვთ, რომლებიც საქართველოში 24 საათზე მეტ ხანს რჩებიან, რადგანაც მათ ქვეყანაში დასარჩენად სასტუმროებისა და მომსახურების სფეროს სხვა დაწესებულებების გამოყენება უწევთ.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, მასზე საქართველოს მშპ-ის დაახლოებით 7% მოდის. ამასთანავე, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული, რის გამოც ტურიზმი საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

კომუნიკაციის ეროვნული კომისიის (GNCC)-ის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობამ 2012 წლის ბოლოს 483,3 ათასი აბონენტი შეადგინა. 2011 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 27,4%-ით (103,9 ათასით) გაიზარდა. რაც შეეხება სადენიანი ფართოზოლოვანი (DSL და ოპტიკურ-ბოჭკოვანი) მომსახურების აბონენტთა რიცხვს, მათმა რაოდენობამ 2012 წლის ბოლოსთვის 392 ათასი შეადგინა. აბონენტების უდიდესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი – 64,1%. ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ Wifi მომსახურება ქვეყანაში ყველაზე დინამიურად განვითარებადი ტექნოლოგიაა. „იგი ძირითადად რეგიონებში ვითარდება, იქ, სადაც სადენიანი ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. ხუთ დიდ

ქალაქში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში Wifi აბონენტების წილი მხოლოდ 6,2%-ს შეადგენს“ – ნათქვამია ანგარიშში.

„მაკდონალდსი“ – რესტორნების უმსხვილესი ქსელი მსოფლიოში. მისი ცენტრალური ოფისი აშშ-ში, ქალაქ ჩიკაგოშია, 1999 წლის 5 თებერვალს, თბილისში „მაკდონალდსის“ პირველი რესტორანი გაიხსნა. დღეისათვის კი საქართველოს მასშტაბით უკვე შვიდი რესტორანი ფუნქციონირებს. აქედან – ოთხი თბილისში, ერთი ქუთაისში, ერთი ბათუმსა და ერთი ზუგდიდში.

პოლიტიკური გლობალიზაციის დონე საელჩოები საქართველოში

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩო, ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო, დიდი ბრიტანეთის საელჩო, ერაყის რესპუბლიკის საელჩო, ესტონეთის რესპუბლიკის საელჩო, თურქეთის რესპუბლიკის საელჩო, იაპონიის საელჩო, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, ისრაელის საელჩო, იტალიის რესპუბლიკის საელჩო, ლატვიის რესპუბლიკის საელჩო, ლიტვის რესპუბლიკის საელჩო, ნიდერლანდების საელჩო, პოლონეთის საელჩო, რუმინეთის საელჩო, საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩო, საფრანგეთის საელჩო, სომხეთის რესპუბლიკის საელჩო, უკრაინის საელჩო, უნგრეთის რესპუბლიკის საელჩო, ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩო, შვედეთის საელჩო, შვეიცარიის საელჩო, ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო, ავსტრიის რესპუბლიკის საპატიო კონსული, ბელგიის სამეფოს საპატიო კონსული, დანიის სამეფოს საპატიო კონსული, ესპანეთის სამეფოს საპატიო კონსული, ლატვიის საელჩო, მექსიკის საპატიო კონსული, ნორვეგიის საპატიო კონსული, სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, ფილიპინების საპატიო გენერალური კონსული, ფინეთის საპატიო კონსული, სან-მარინოს რესპუბლიკის საკონსულო საქართველოში.

დღესდღეობით მსოფლიოში 2500-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელთა რიცხვი მუდმივად იზრდება. მათი საშუალებით ხდება საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირება.

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრიცაა საქართველო 2015 წლის მონაცემებით:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
2. ევროპარლამენტი;
3. ევროკომისია;
4. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია;
5. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია;
6. მსოფლიო ბანკი;
7. საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
8. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი;
9. ევროპის საინვესტიციო ბანკი;
10. ევროპის ცენტრალური ბანკი;
11. ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი;
12. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია;
13. აზიის განვითარების ბანკი;
14. საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი;
15. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია;
16. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია;
17. ევროპის სტატისტიკის სამსახური;
18. ევროპის საბჭო;
19. ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა.

საქართველოს გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია პროგრამა „გადაიღე საქართველოში“, რომელიც შეიქმნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლობის შედეგად. კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით.

2016 წლის დასაწყისში სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი, კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტი „გადაიღე საქართველოში“ დაემატა, რომელიც კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას

ამლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ.

გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანაზე არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით ზემოქმედებასაც ახდენს. ქვეყანაზე უარყოფითი ზემოქმედება მაღალი თუ დაბალი ხარისხით დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის შესაბამის პოლიტიკაზე. ყველაზე სერიოზული საშიშროება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გლობალიზაციის უარყოფითმა ზემოქმედებამ, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებით, ჩვენ ეტაპობრივად უნდა შევამციროთ საბაჟო გადასახადი. ე.ი. გავაუქმოთ სავაჭრო ბარიერები, ამის შედეგად უცხოური საქონელი გაავსებს საქართველოს ბაზარს და ჩაახშობს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არიან აღჭურვილი უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება, აქედან გამომდინარე დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას.

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობენ არა მარტო პროგრესული ეკონომიკური ძალები, არამედ რეაქციული, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციებიც. მაფიოზური ქსელი ვრცელდება მთელ მსოფლიოზე და მისი გავლენისაგან არც საქართველოა დაზღვეული.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.lari.ge
2. forbes.ge
3. www.nplg.gov.ge
4. intermedia.ge

სურსათის უვნებლობა და ჟურნალისტიკის როლი მოსახლეობის ინფორმირებაში

ხატია მუმლაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მარიკა შერაზადიშვილი, პროფესორი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქციისაგან. რადგან გვაქვს ამბიციის, ვიყოთ ევროპული ოჯახის წევრი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სურსათის უვნებლობას. დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტიკის მიერ ცხოველური და მცენარეული პროდუქტის შენახვა-გადამუშავების საკითხების სწორად გაშუქებას.

საქართველოში მუდმივად არსებობდა ბაზრებში სანიტარული ნორმების დაუცველობის პრობლემა. ზაფხულის მოსვლასთან ერთად სურსათის უვნებლობის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით სურსათის უვნებლობა რეგულირდება კანონით, თუმცა რამდენად ეფექტურად ხორციელდება ბაზრებში სანიტარული ნორმების კონტროლი, უცნობია. როდესაც საქმე ქუჩაში გამოტანილ საკვებს, მათ შორის რძის პროდუქტებს შეეხება, შეუძლებელია, თვალში არ მოგხვდეს, თუ რაოდენ შეუსაბამო პირობებში ხდება მათი რეალიზაცია.

საქმე კიდევ უფრო ცუდად არის, როცა მომხმარებელმა არ იცის, თუ როგორი უნდა იყოს პროდუქტი, რომელსაც საკვებად მოიხმარს. ზოგიერთი მომხმარებელი, მიუხედავად იმისა, რომ არ მოსწონს, ყველს მაინც გარეთ ყიდულობს.

„გარეთ ვყიდულობ ხოლმე ყველს, სიმართლე გითხრათ, არ მომწონს, მაგრამ დავდივარ ბაზარში და ძირითადად იქ ვყიდულობ, სანიტარული ნორმები საშინელ მდგომარეობაშია, თუ მომეწონა თვითონ გამყიდველი, სისუფთავე ადამიანს ემჩნევა, მაშინ მივალ და ვიყიდი“.

მომხმარებლის ინფორმირება საკვები პროდუქტების წარმოებასა და ჯანმრთელობისთვის საშიშ პროდუქტებზე ყველაზე უკეთ, რა თქმა უნდა, მედიას შეუძლია. ჟურნალისტი ვალდებულია, მუდმივად ინტერესდებოდეს ამ საკითხით და მოსახლეობას პერიოდულად აწვდიდეს ინფორმაციას ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად მოწესრიგდება სურსათის უვნებლობის ხარისხის კონტროლი და ადამიანის სიცოცხლე უვარგისი და მავნე ნივთიერებებით დაბინძურებული საკვებისგან დაცული იქნება.

საქართველოსგან განსხვავებით, რიგ ქვეყნებში მხოლოდ პასტერიზებული რძისგან დამზადებული ყველი იყიდება, ასევე მკაცრად მოწმდება შენახვის პირობებიც. სამწუხაროდ, საქართველოში საერთოდ არ არსებობს ყველის კონტროლის მექანიზმი. გარდა ბაზრებისა, ასევე არ კონტროლდება ე.წ. უბნის მაღაზიებიც, სადაც ხშირია შემთხვევა, როცა მაცივარი გამორთული აქვთ და დიდია ალბათობა, რომ გაფუჭებული პროდუქტი მოგყიდონ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძე ამბობს, რომ მალფუჭებადად ითვლება პროდუქტი, თუ მისი ვარგისიანობის ვადა არ აღემატება 72 საათს და შენახვის ტემპერატურა 6 გრადუსს.

„პროდუქტი უნდა იყოს შენახული იმ ტემპერატურაზე, რაც ეტიკეტზე აწერია. მაგალითად, კვერცხი არ არის მალფუჭებადი და მაცივარს არ საჭიროებს. ის შეიძლება შევინახოთ ოთახის ტემპერატურაზე 21 დღის განმავლობაში. სურსათის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს ყველა იმ პირს, ვისზეც არის ვალდებულება, რომ უნდა იყოს დარეგისტრირებული ბიზნეს-ოპერატორად და მასზე უნდა გავრცელდეს სურსათის უვნებლობის ხარისხის კონტროლი. შემოწმების დროს თუ აღმოვაჩინებ, რომ მალფუჭებადი პროდუქტი არ ინახება მაცივარში, ეს არის კრიტიკული შეუსაბამობა და ექვემდებარება საწარმოო პროცესის შეჩერებას. ახლა შედის ცვლილება სურსათის უვნებლობის კოდექსში და თუ აღმოჩნდება, რომ სურსათი ინახება შეუსაბამო პირობებში, ოპერატორი 1000 ლარით დაჯარიმება.“

მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, დაბინძურებული საკვებით ყოველწლიურად 2 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება. ბაქტერიებით, ვირუსებითა თუ ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული საკვები 200-ზე მეტ დაავადებას იწვევს, დიარეით დაწყებული და მენინგიტითა თუ ავთვისებიანი სიმსივნით დამთავრებული.

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარის მადონა კოიძის თქმით, სურსათის უვნებლობის კუთხით კონტროლი ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა გასაკეთებელი ჯერ ისევ ბევრია და ამ მხრივ ყველაზე დიდ პრობლემას გარე ფაქტორი წარმოადგენს:

„თუკი ქვეყანაში აიკრძალება ე.წ. გარე ფაქტორი და აიკრძალება რეალიზაცია განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტებისა, როგორც არის ნამცხვრები, ხორცი, რძის პროდუქტები, თევზი, მე ვთვლი, რომ ბევრად დადებით შედეგს მივიღებთ და მომხმარებელი ბევრად უფრო დაცული იქნება.“

მომხმარებელს აქვს უფლება, სურსათისა და პროდუქციის უვნებლობასა და ხარისხზე სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური მონიტორინგს ყოველწლიურად ატარებს, მაგრამ მონაცემების მშრალი ჩამონათვალი ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას და ვერც მომხმარებლის უფლებების მაქსიმალურ დაცვას. სურსათის უვნებლობა ევროკავშირისა და საქართველოს სამომავლოდ კიდევ უფრო დაახლოების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, რადგან, ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოუდგენელია ევროკავშირის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილების გარეშე.

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების რომის დეკლარაციიდან გამომდინარე, ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, იცავს თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, რისთვისაც ევროკავშირის სამომხმარებლო ბაზარზე შესულ პროდუქციას ისეთივე მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, როგორც ევროკავშირში წარმოებულს. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ მოწყობას. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, მაგრამ ის ასევე ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მიისწრაფვიან ევროკავშირისკენ და აღიარებენ მათ საკანონმდებლო რეგულირებას.

ნებისმიერი ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს. დღეს ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული გენმოდიფიცირებული სურსათი, ცხოველის საკვები, საკვებდანამატები, ასევე გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე და სანერგე მასალა. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის განვითარებამ აუცილებელი გახადა შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ზომების გატარება. მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია იცოდეს, თუ რა შემადგენლობისაა და როგორი ტექნოლოგიით არის დამზადებული ესა თუ ის პროდუქტი.

2015 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“, რომლის მიზანია მომხმარებლის ინფორმირება სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის შესახებ. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ მომხმარებელს ექნება არჩევანის თავისუფლება, ვინაიდან ის იქნება ინფორმირებული, სურსათი გენმოდიფიცირებულია თუ არა. აღნიშნული კანონი არეგულირებს ეტიკეტზე განსათავსებელ ინფორმაციას. კერძოდ, თუკი სურსათის შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9%-ზე მეტია, მაშინ ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა „გმ“. თუკი სურსათის ეტიკეტირება შეუძლებელია, თანმხლებ დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია გენმოდიფიცირებულობის შესახებ. ეტიკეტირების წესის დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით ჯარიმდება 5 000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება და ბიზნესოპერატორს 10 000 ლარის გადახდა მოუწევს.

ვინაიდან სურსათის უვნებლობას პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, ბიზნესოპერატორი, პირველ რიგში, ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის ეფექტური განხორციელება. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია განახორციელოს ბიზნესოპერატორების ინსპექტირება, ზედამხედველობა და ბაზრის მონიტორინგი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჟურნალისტი ვალდებულია, საფუძვლიანად გაერკვეს განსახილველ საკითხებში და ისე მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას.

ტერმინ „კულტურის“ ეტიმოლოგიური განსაზღვრის საკითხისათვის

სოფიო ჯილავდარი, გიორგი ვატიტაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ვაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიშვილი**, პროფესორი

კულტურის ფენომენი დღეს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მთავარი პრობლემა და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისა და ცნობიერების აუცილებელი თემაა. ძნელია იპოვო ისეთი ცნება, რომელიც ასე ხშირად გამოიყენებოდეს და ასეთი განსხვავებული მნიშვნელობით. ხშირად გვესმის კულტურული ქცევა, კულტურული ადამიანი. კულტურის შესახებ ფილოსოფიური გააზრებანი არსებითად ახალი დროის მოვლენაა. იგი ახალი დროის მსოფლმხედველობითაა გამოწვეული. მისი არსი აზროვნების ახალ პარადიგმაში მდგომარეობს, შესაბამისად, იცვლება სამყაროსადმი მიდგომის წესი. იგი ემყარება სუბიექტის აქტივობის პრინციპს. ახალი დროის მსოფლმხედველობის მიხედვით ადამიანი და მხოლოდ ადამიანია საკუთარი ყოფიერების დამდგენი. მისი არსებობა დამოკიდებულია არა ყოვლის შემძლე ღმერთზე, არამედ საკუთარ შესაძლებლობაზე. ასეთმა ცვლილებამ ისტორიის ახლებური გაგება გახადა შესაძლებელი ახლა ისტორია მოიაზრება არა მხოლოდ წარჩინებულ მთავართა და რელიგიათა ისტორიად, არამედ კაცობრიობის, როგორც ისტორიის ახალი სუბიექტის განვლილ გზად. რაც შეეხება თავად კულტურის ცნებას, საინტერესოა თვითონ სიტყვა „კულტურა“-ს ისტორია. იგი წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან culture, რომელიც მომდინარეობს colore-დან, იგი ნიშნავს დასახლებას, კულტივირებას, მფარველობას, თაყვანისცემას, მიწოდებას, მოგვიანებით კი თითოეულმა საკუთარი სიტყვა შეიძინა.

კულტურის ცნებამ თანამედროვე მეცნიერული მნიშვნელობა შეიძინა მე-18 საუკუნეში. ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა კი ევროპელებს მრავალი ერი და კულტურა გააცნო, რამაც გაზარდა ინტერესი საკუთარი კულტურის მიმართ. კულტურა შესწავლის საგანი ხდება. მე-19 საუკუნეში კულტურის ცნება კარგავს შეფასების ცნებას, აღარ აღნიშნავს საზოგადოებრივ ყოფიერების მაღალ დონეს, შემდგომ მისგან ქრება რომანტიკული მინიშნებები, რაც კულტურას აძლევს უნიკალურობის,

შემოქმედებითი აღმადგენის სულიერების და ყოველდღიური უფერული ცხოვრებიდან გაქცევის ნიშნებს. ადამიანი მასში ეძებს საკუთარ თავს, მხოლოდ ამ სარკეში შეუძლია მას დაინახოს საკუთარი თავი.

ადამიანი დასაბამიდანვე ქმნიდა კულტურას, მაგრამ თავიდან არ ჰქონია კულტურის შესახებ ცოდნა. ის ცდილობს გაიგოს არა მარტო შენება, არამედ საკუთარი თავიც. სამეცნიერო მიმოქცევაში კულტურის ცნების შემოტანა უკავშირდება რომაელ ისტორიკოსსა და მოაზროვნეს ციცერონს. იგი გონების კულტურაზე საუბრობს. მისი აზრით ფილოსოფია არის გონების კულტურა. ციცერონისათვის კულტურა წარმოადგენს პიროვნებისა და საზოგადოების სრულყოფილ ერთიანობას და მაგალითად მოჰყავს რომის იმპერია. რაც შეეხება ბეკონს, კულტურის ძირითად ელემენტად მიაჩნია მეცნიერება და ხელოვნება. მისი აზრით კულტურა უმთავრესად ვლინდება ბუნების მეტყველებაში, სასოფლო-სამეურნეო და ხელოვნურ წარმოებაში. ბეკონისაგან განსხვავებით კულტურის ძირითად ფენომენად თ. ჰობსი სახელმწიფოს თვლის. კულტურის ცნებაში ჰობსთან მოაზრებულია ისეთი კატეგორიები, როგორცაა შრომა, გარდაქმნა, აღზრდა. მისი აზრით კულტურაა ის, რაც შექმნილია ადამიანის მიერ. ე.ი. ხელოვნურია. კულტურის ცნებას უკავშირებს ჰუმანურობას ჰერდერი. ჰერდერმა მოგვცა არა მარტო გონის, როგორც კულტურის ელემენტის ანალიზი, რაც ადრე გამოცემულ ნაშრომში „ენის, წარმოშობის შესახებ“ განავითარა, რომელმაც შემდგომ ადელუნგს მისცა ბიძგი. თავის კულტუროლოგიური ნაშრომი „ადამიანთა მოდგმის კულტურის ისტორიის ცდა“ შექმნა, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორია და კულტურა გახდა სისტემური ანალიზის ობიექტი.

კულტურის პროგრესის უდავო მაჩვენებლების ჰერდერი სასარგებლო ხელოვნებათა ზრდაში ხედავს, რაშიც განსაკუთრებული წვლილი ევროპას მიუძღვის, რადგან მისი აზრით, ზოგიერთ ხალხსაც ჯერაც სძინავს და კულტურისთვის არაფერი გაუკეთებია. ევროპამ კი იმდენი სასარგებლო ხელოვნება შეიმუშავა, იმდენი აღმოჩენა და გამოგონება დაამკვიდრა, რომ მან ჰუმანურობის დაფუძნება შესძლო. „სასარგებლო ხელოვნებათა რიცხვი გაიზარდა. საკუთრების ხელშეუხებლობა იქნა უზრუნველყოფილი, ადამიანთა შრომა შემსუბუქდა, მთელ დედამიწაზე გავრცელდა შრომის პროდუქტები. ამით საფუძველი ჩაეყარა კულტურისა და ჰუმანურობის სულისკვეთებას“.

ჰერდერი ერთ-ერთი პირველი გაიაზრებს კულტურათა უწყვეტობასა და მემკვიდრეობას, რომელიც ლოკალურ კულტურათა თეორიებს უპირისპირდება. მათში კულტურებს შორის მემკვიდრეობა უარყოფილია. კულტურის გონითი და ადამიანური საწყისების წინააღმდეგ ბრძოლას ჰერდერი ისევე საფუძველიანად აღწერს, როგორც კულტურის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს და ამტკიცებს, რომ „თუ კულტურის ნიადაგს არ ყოფნის ხნულის სიღრმე და ფხვიერება, თუ იარაღები, ინსტრუმენტები წყობიდან გამოვიდა, თუ თვით ჰაერში არაა სინათლე და თავისუფლება, იქნებ ბევრი რამ დასამუშავებელი ველის განვრცობამ აანაზღაუროს უნდა დამუშავდეს კულტურის ღირებულება, რომლის გაზრდას მიაღწევს კულტურა“. ასეთია კულტურის თეორიის ერთ-ერთი პირველი მოდელი უმადლესი კულტურის კონტინენტზე - ევროპაში.

დანილევსკის მიხედვით კულტურა ესაა ადამიანის მოღვაწეობა, რაც შეეხება ტეილორისეულ განსაზღვრებას, მისი განსაზღვრება მიუთითებს იმ ობიექტებზე, რომელსაც იკვლევს ეთნოგრაფია. კულტურა არის არსისა და ჯერ არსის სინთეზი, ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში. მის ბირთვს ქმნის იდეალების, ღირებულებების ნორმების, ნიშნების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ერთობლიობა. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი არ გადაიცემა გენეტიკურად, არამედ აღზრდა-განათლების გზით.

კულტურა თავის დასრულებას ნახულობს მსოფლმხედველობაში, ამიტომ განსხვავებული კულტურის ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ, განიცდიან, გრძნობენ სამყაროს. კულტურის შესახებ პირველ რეფლექსიას ჰქონდა ფილოსოფიური ხასიათი, რაც კულტურის არსში წვდომას ისახავდა მიზნად. მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდნენ კულტურის სოციოლოგია, კულტურის ფსიქოლოგია, კულტურის ისტორია, კულტურის სემიოტიკა, ეთნოლოგია.

კულტურის უამრავი განმარტება არსებობს. კულტუროლოგები ამბობენ, რომ მათი რიცხვი ასეულზე მეტია. კულტურის განსაზღვრების ასეთი სიმრავლე გამოწვეულია თავად განსაზღვრის სირთულითა და მრავალმხრივობით. არსებითი მნიშვნელობისაა კულტურის ცნების დადგენა, როგორც კულტუროლოგიისათვის, ასევე სხვა სოციალური მეცნიერებებისათვისაც.

მე, როგორც მომავალი ბიზნესის ორგანიზებისა და მართვის სპეციალისტი, მსურს განვიხილო კორპორაციული კულტურის არსი.

ყოველ კომპანიას გააჩნია საკუთარი ორგანიზაციული კულტურა, რაც მოიცავს ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიას და პრინციპებს, ფასეულობათა სისტემას, ქცევის სტანდარტებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს, შრომის ატმოსფეროს, კომპანიის

ფასეულობების ისტორიას, ტაბუს სისტემას, ან მიუღებელ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაციული კულტურა არის აზროვნების სტილი და მოქმედების საშუალება, რომელიც გადაიზრდება ჩვევაში და ხდება ტრადიცია. მას, ამა თუ იმ ხარისხით, ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი იზიარებს. ის აგრეთვე უნდა აითვისონ და ნაწილობრივ მაინც აღიარონ ახალბედებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გახდებიან კოლექტივის სრულფასოვანი წევრები.

ორგანიზაციული კულტურა არის ქცევების, სიმბოლოების, რიტუალებისა და მითების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ და მის მიერ გაზიარებულ ფასეულობებს და გადაეცემა ყოველ მის წევრს ზეპირი ფორმით, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება.

Wal mart-ის ორგანიზაციული კულტურის შემადგენელი ელემენტებია კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, დანახარჯების შემცირებისათვის ბრძოლა, მკაცრი ეთიკური სტანდარტები, იდეების გაცვლისა და პრობლემების გადაწყვეტისთვის კომპანიის ხელმძღვანელთა შეხვედრებით თანამშრომელთა ინიციატივის გახალისება. Mc donald's-ის ორგანიზაციული კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა ხელმძღვანელთა მხრიდან ხარისხის მუდმივი კონტროლი, მომსახურების, სისუფთავისა და სამომხმარებლო ფასეულობების მაღალი სტანდარტები, სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვა.

ორგანიზაციულ კულტურას აყალიბებს შიდა გარემოს მრავალრიცხოვანი ფაქტორები, მისი საფუძველია ორგანიზაციის მრწამსი და ფილოსოფია. კომპანიის კულტურა ვლინდება თანამშრომელთა შეხედულებებში და ბიზნესის იმ პრინციპებში, რომლებიც დეკლარირებულია, ხელმძღვანელობის მიერ. ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენლებია:

- კომპანიის ეთიკური სტანდარტები;
- ოფიციალური პოლიტიკა;
- სხვადასხვა პარტნიორებთან ურთიერთობები;
- ტრადიციები;
- კონტროლის მეთოდები;
- მოთხოვნები თანამშრომელთა ქცევისადმი.

ყველა ზემოთ მოტანილი ფაქტორი განსაზღვრავს ორგანიზაციულ კულტურას.

რწმენა და მეთოდები, რომლების წარმოქმნის ორგანიზაციულ კულტურას, სათავეს იღებს სხვადასხვა წყაროდან: მუშაკისაგან, რომელიც მოიპოვებს განსაკუთრებულ ავტორიტეტს მენეჯერებისაგან.

ორგანიზაციული კულტურა შედგება სამი მთავარი ელემენტისგან, ესენია:

- საერთო ფასეულობები;
- ქცევის ნორმების ნაკრები;
- საერთო ფასეულობების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის საჭიროა სიმბოლოები და სიმბოლური ქმედებები.

ძალიან მდგრადი კულტურა კი არ არის სტატისტიკური, ის იცვლება ორგანიზაციის სტრატეგიის და სტრუქტურის შესაბამისად. შიდა კრიზისები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოჩენა, ახალი პრობლემები და საქმიანობის წარმატებული მეთოდები ცვლის კულტურას ან ხდება კულტურის კვდომა.

ბიზნესის ახალი სახეების ათვისებამ, საქმიანობის სხვა გეოგრაფიულ რეგიონებზე გავრცელება, სწრაფი ზრდა და ამასთან დაკავშირებული შტატების გადიდება, შერწყმა და შესყიდვა - ყველა ეს ფაქტორი აჩქარებს კულტურაში მიმდინარე ცვლილებებს. სადღეისოდ ყველაზე ძლიერ გავლენას ორგანიზაციულ კულტურაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახდენს გლობალიზაცია და ინტერნეტი.

ლიტერატურა:

1. ვ. რამიშვილი, ფილოსოფია, თბ., 2010.
2. ა. ყულიჯანიშვილი, კულტურის თეორია, თბ., 2009.
3. www.old.press.tsu.ge

სამართალი

იურიდიული პირის შედარებითი ანალიზი ქართულ და გერმანულ სამართალს შორის

უტა გოგიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახს ხანგრძლივი ისტორია აქვს და პირველ სამართლებრივ ოჯახათაა მიჩნეული. ისტორიულად იგი დაკავშირებულია ძველი რომის სამართალთან, მაგრამ თითქმის ათწლეულების ევოლუციამ იგი დააცილა ავგუსტუსისა და იუსტინიანეს დროს აღიარებულ კონცეფციებს. ბევრ მის ელემენტს რომანული სამართლისგან განსხვავებული წყაროებიც აქვს.

ამჟამად რომანულ-გერმანული სამართალი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, იგი შორს გასცდა რომის ყოფილი იმპერიის საზღვრებს და მთელ ლათინურ ამერიკაში, აფრიკის დიდ ნაწილში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც გავრცელდა. ეს ექსპანსია აიხსნება ნაწილობრივ კოლონიზაციით, ნაწილობრივ კი იმ შესაძლებლობებით, რომლებიც რომანულ გერმანულ სამართლებრივ სისტემებში კოდიფიკაციის საყოველთაოდ აღიარებულმა ტექნიკამ შექმნა.

შესაბამისად სამართლიანია ნათქვამი, რომ რომმა სამჯერ მოახერხა მსოფლიოს დაპყრობა. პირველი ეს მოახერხა ხმლით, მეორე – რელიგიით, ხოლო მესამე კი – სამართლით. რომის იმპერია დაიშალა, ხოლო თუ დღევანდელ ვითარებას დავაკვირდებით, სხვადასხვა გამოკითხვების შედეგადაც დადგინდა (მათ შორის, Pew Research Center გამოკითხვის შედეგად), რომ 70 წლის შემდეგ, ისლამი რიცხოვნობით პირველ ადგილს დაიკავებს, ხოლო ქრისტიანობა კი საგრძნობლად შემცირდება, განსხვავებით რომანულ-გერმანული სამართლისგან, რომელიც ვითარდება და იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც რომანულ-გერმანული სამართლის ნორმებს იყენებს და გადმოაქვს სამართლებრივ პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, სამართლიანია ნათქვამი, რომ რომანულ-გერმანული სამართალი იქამდე იარსებებს, სანამ საზოგადოებაში წესრიგის დაცვა საჭირო იქნება.

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღება, სადაც გამოიხატება მანამდე არსებული სამართლებრივი სისტემების უცხო ფორმით ახსნილი კერძო სამართლის ცნება, არსი და საერთოდ, ნების ავტონომია. პირველ რიგში საყურადღებოა ის, რომ გაჩნდა კერძო საკუთრება და ხელშეკრულების თავისუფლება, რაც ქართული სამართლის ფუნდამენტს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საზოგადოება, რომელიც სოციალურ წყობას იყო მიჩვეული, გადავიდა კაპიტალისტურ წყობილებაზე, ადამიანებს მიეცათ სხვადასხვა გაერთიანებების შექმნისა თუ გაწევრიანების უფლება (მათ შორის პოლიტიკური პარტიების, იურიდიული პირების და სხვა სახის გაერთიანების), რომლებიც კონსტიტუციის 26-ე მუხლითაა განსაზღვრული.

იმისთვის რომ სახელმწიფო განვითარდეს ეკონომიკურად, აუცილებელია სტაბილური პოლიტიკური გარემო, დინამიკური ეკონომიკა. ეს ყველაფერი რომ არსებობდეს, მნიშვნელოვანია ხელისუფლების მხრიდან როგორც ამ გაერთიანებებისათვის თავისუფლების მინიჭება, ისე კანონის ფარგლებში კონტროლი. ხოლო რა სახის კონტროლი უნდა იყოს და რა დოზით, ამ შემთხვევაში გერმანულსა და ქართულ სამართალს შევადარებ.

გერმანული სამოქალაქო კოდექსი 1900 წელს შევიდა ძალაში და დღემდე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სამართლის ნიმუშად, რის გამოც 1992 წელს შექმნილმა სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისიამ ის ქართული კოდექსის წყაროდაც აიღო. ქართულ სამოქალაქო კოდექსში მრავლად შევხვდებით რეცეფირებულ გერმანულ ნორმებს, მათ შორის, იურიდიულ პირებს შორისაც ვნახავთ საერთოს.

სამოქალაქო სამართალში პირთა ორგანიზებული გაერთიანების გამოსახატავად, რომელსაც მართლწესრიგი სამართლის სუბიექტად მიიჩნევენ, გამოიყენება იურიდიული პირის ცნება. ზოგადად, იურიდიული პირის ცნება ამოუწურავია, მაგრამ საკანონმდებლო დეფინიციას ვხვდებით სამოქალაქო

კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილში, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელსაც გააჩნია საკუთარი ქონების ქონის უნარი და რომელიც დამოუკიდებლად აგებს პასუხს საკუთარი ქონებით, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“.

გერმანული სამართლის მიხედვით ცნება „იურიდიული პირი“ არის არა ბუნების ქმნილებები, არამედ ისინი შექმნილია სამართლის მიერ, რომელსაც გერმანული კანონმდებლობა ანიჭებს ისეთივე უფლებაუნარიანობას, როგორც ფიზიკურ პირს.

გერმანულ სამართალში უზოგადესი ცნების თანახმად, იურიდიული პირი იყოფა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და კერძო სამართლის იურიდიულ პირად, მსგავსად ქართული სამართლისა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფოს სახელისუფლებო აქტის საფუძველზე იქმნება, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირი კი მხარეთა ავტონომიური ნების საფუძველზე.

ქართულ კანონმდებლობაში იურიდიული პირის კლასიფიკაცია შეიძლება საქმიანობის მიზნის მიხედვითაც. ამ ნიშნით ერთმანეთისგან განასხვავებენ – იურიდიული პირები, რომლებიც იქმნებიან იდეალური, საზოგადოებრივად სასარგებლო, არაკომერციული მიზნისთვის და იურიდიული პირები, რომელთა ძირითად მიზანს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. არასემეწარმეო იურიდიული პირები ქართულ კანონმდებლობაში არსებობს კავშირებისა და ფონდების სახით, ხოლო კომერციული იურიდიული პირები კი, თავის მხრივ, იყოფა ამხანაგური ტიპის საზოგადოებრად და კაპიტალურ საზოგადოებრად. ამხანაგური ტიპის საზოგადოებებია, რომელთა დასაფუძნებლად კანონი არ მოითხოვს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, ხოლო კაპიტალური საზოგადოებებია, რომელთა დაფუძნებისთვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი, რომელიც, თავის მხრივ, წესდებით განისაზღვრება. ამხანაგური ტიპის საზოგადოებებია: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება, ხოლო კაპიტალური (ანუ კაპიტალისტური) საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

რაც შეეხება გერმანიას, იურიდიული პირები აქ არსებობენ ფონდებისა და კავშირების სახით, თავის მხრივ, ვხვდებით კორპორაციებსაც. არსებობს არასამეწარმეო და სამეწარმეო კავშირები და ფონდები (განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან). გერმანიაში კავშირის დასაარსებლად საჭიროა 7 ადამიანი მაინც (მათ შორის არაკომერციული კავშირის დასაარსებლათაც), ხოლო საქართველოში კი 1, რაც, თავის მხრივ, ჩემი აზრით, პრობლემას წარმოშობს, რადგან როდესაც საქმე ეხება საზოგადოების კეთილდღეობის საქმეს, ამ შემთხვევაში, მისაღებია ორმა ადამიანმა დააარსოს კავშირი, კავშირიც ხომ წევრების ერთობაა და თავისთავად 1 ადამიანს მიერ დაარსებული იურიდიული პირი თავის თავს გამორიცხავს, სადაც თანაბარი უფლებებით ისარგებლებს თითოეული და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საზოგადოების საერთო სიკეთის შექმნაში. მეორე პრობლემა, რაც კავშირს შეეხება, ეს არის „კანონი შემოქმედებითი კავშირის შესახებ“ მე-16 მუხლის მეორე პუნქტი, რაც ითვალისწინებს, რომ შემოქმედებითი კავშირის დაარსება არ შეუძლია სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოს. ჩემი აზრით, ეს ნორმა ამოღებული უნდა იქნას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გაერთიანებები საბჭოთა კავშირის სამოქალაქო კოდექსშიც გვხვდებოდა და მხოლოდ სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა. დღევანდელ ვითარებაში საქართველომ არ უნდა თქვას უარი ასეთ ნორმაზე, რადგან როდესაც საქმე ეხება რაიმე გაერთიანებას, რომელიც ხელს შეუწყობს თუნდაც ცოდნის გაღრმავებას, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებაცაა და ზუსტადაც სახელმწიფოს მთავარ მოვალეობასაც შეადგენს, ხოლო ხელისუფლების მოვალეობაც ხომ საზოგადოების კეთილდღეობაა. რაც შეეხება გერმანიას, გერმანულ კანონმდებლობაში კავშირია ისეთი იურიდიული პირი, რომელიც პასუხს აგებს წევრების მეშვეობით, ხოლო ფონდები კი მხოლოდ იურიდიული პირის ქონებით შემოიფარგლებიან, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლო პრაქტიკამ დაუშვა გამონაკლისი, როგორც გერმანიაში ისე საქართველოში და დააკისრა წევრებს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იყო მათი დაუდევრობით. ისევე როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო (მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). გადაწყვეტილება განცხადების შეტანის დღიდან მიღებულ უნდა იქნას ერთი თვის ვადაში. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა, რეგისტრაცია განხორციელებულად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანი გასაგებია, რადგან თვითონ არასამეწარმეო იურიდიული პირი საზოგადოების კეთილდღეობისთვისაა შექმნილი, იდეალური მიზნისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც, რომ

არაკომერციული იურიდიულ პირის საქმიანობა უწყურადღებოდ არ დარჩეს და არ გადაუხვიოს კანონს და სახელმწიფოს ინტერესებს, რადგან ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოსგან გარკვეული შეღავათებითაც სარგებლობენ არაკომერციული იურიდიული პირები. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კავშირები არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეულ ფარგლებში კონტროლი. მაგალითად, ისრაელმა აკრძალა ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება, რომელიც პროპაგანდას უწევს ერთსქესიანთა ქორწინებას. ჩემი აზრით, საქართველოშიც მსგავსი კანონის მიღება ეროვნულ თვითმყოფადობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს, რაც ქვეყნის განვითარების საწინდარია.

გერმანია დღეს ეროვნული ეკონომიკით პირველ ადგილს იკავებს ევროპაში და მსოფლიო მასშტაბით კი მეოთხეს ნომინალური მშპ-ით. ალბათ ამიტაც აიხსნება ის, რომ იურიდიული პირების საწყისი კაპიტალი განსაკუთრებით მაღალია, სხვა ქვეყნებთან შედარებით. განვიხილოთ შპს გერმანიაში. შპს (GmbH) წარმოადგენს კორპორაციული გაერთიანების ყველაზე გავრცელებულ ფორმას. აქტუალური სტატისტიკის მიხედვით, დაახლოებით 1 მილიონი კომერციული გაერთიანება წარმოადგენს შპს-ს. შპს-ს ერთ-ერთი მთავარი დადებითი მახასიათებელი ის არის, რომ აქციონერები არ არიან პერსონალურად პასუხისმგებელი კომპანიის ვალდებულებების და შპს-ს უნდა გააჩნდეს საწყისი კაპიტალი მინიმუმ 25,000 ევროს ოდენობით. მსგავსი ნორმა საქართველოში არ არსებობს, უფრო სწორად კონკრეტული თანხა დადგენილი არაა, რაც, ჩემი აზრით, გარკვეულწილად ხელისშემშლელია იმ დროს, როდესაც შპს ვალს იღებს, ანდა ხელშეკრულებას დებს, რის შედეგადაც, თუ შპს თვითონ ვერ იხდის ვალს, თანხის გადახდისთვის უმეტესწილად სასამართლოს მიმართავენ, რათა მეწილეებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა. ამის საპირისპიროდ მოჰყავთ კონტრარგუმენტი, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და საჭიროა კონტროლის მინიმალიზაცია ინვესტიციების მოსაზიდად, მაგრამ კომერციული იურიდიული პირიც (ამ შემთხვევაში შპს) გარკვეულწილად რაღაც თანხაა საჭირო ბიზნესის ბრუნვისთვის და უკეთესი იქნება თუ გარკვეულ საწყის კაპიტალს დააკისრებს სახელმწიფო. ამასთან ერთად, გერმანული კანონმდებლობით შპს-ს შეუძლია არაკომერციული მიზნებისთვისაც იქნას გამოყენებული, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან, რაც, ჩემი აზრით, პრობლემაა. ზოგადად არაკომერციული იურიდიული პირის არსიც ისაა, რომ საზოგადოების კეთილდღეობას შეუწყოს ხელი, რაც სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაცაა. სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისიამ გაითვალისწინა გერმანული სამოქალაქო კოდექსის ნორმა, რომლის თანახმადაც შპს-ს წესდებაში შეიძლება შესული იყოს ნებისმიერი წესი, თუ ის გერმანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კანონით არ არის აკრძალული, რაც საქართველოსთვის და ქართული კანონმდებლობისთვის უდიდესი წინსვლა იყო, განსხვავებით დსთ-ს მოდელისგან, სადაც მსგავსი ნორმა არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, კანონი ადგენს გარკვეულ საკითხებში სახელმწიფოს სპეციალური ნებართვის აუცილებლობასაც, მაგალითად, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დადებულ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებებს ბათილად მიიჩნევს ქართული კანონმდებლობა.

გერმანიაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლეგიტიმური აქციონერი არის მხოლოდ ის, ვინც აქციონერთა სიაშია რეგისტრირებული. ეს სია უნდა იყოს სავაჭრო რეესტრში შეტანილი და ამგვარად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი. 2008 წლის რეფორმით წარმოიშვა ახალი შესაძლებლობა კეთილსინდისიერად შპს-ს აქციების შექმნისა, როცა ის ეყრდნობა გამოქვეყნებულ აქციონერთა სიას. მყიდველს შეუძლია ენდოს სიაში აქციონერად შეტანილ პიროვნებას. ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა არასწორი ინფორმაცია რეესტრში სამი წლის განმავლობაში იყო მოცემული და ის არავის გაუპროტესტებია. საქართველოშიც მოქმედებს მსგავსი კანონი და ხშირ შემთხვევაში პარადოქსული ვითარებაცაა, მაგალითად, თუ იურიდიულ პირს ჰყავს ხელმძღვანელი და კონტრაქტმა გააფორმა გარიგება ძველ ხელმძღვანელთან, რომელიც კვლავ საჯარო რეესტრის აქციონერთა სიაშია რეგისტრირებული, ასეთ შემთხვევაში ზოგადი სამოქალაქო ნორმიდან გამომდინარე (მოტყუებით დადებული გარიგება) შეცილების უფლებით სარგებლობს მოტყუებული, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კონტრაქტს სურს ასეთი გარიგების დადება, მაშინ ასეთი გარიგება ნამდვილია და იურიდიულ პირს წარმოეშობა ყველა ვალდებულება, რაც შესაბამის დოკუმენტშია მითითებული.

საბოლოოდ, დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ მართალია კანონმდებელი ბრძენია, მაგრამ არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც ინდივიდუალურად შეფასებას მოითხოვს. როგორც ზემოთ ვახსენე, გამონაკლისი არც იურიდიული პირია, რომელიც შეიძლება გარკვეულ შესწორებებსაც მოითხოვდეს, მაგალითად როგორც არის შპს და კავშირები. ზუსტადაც გერმანიის მაგალითი იმიტომ უნდა ავიღოთ, რომ ეს ის ქვეყანაა, რომელმაც 2 მსოფლიო ომი საკუთარ თავზე გადაიტანა, ორივეჯერ წააგო, მაგრამ დღეს ის საუკეთესო ქვეყნების ხუთეულში შედის. ამ ქვეყანას ძალიან დიდი გამოცდილება

აქვს, მათ შორის ეკონომიკის მხრივაც, რაც უპირველესად იმ კანონების დამსახურებაა, რომელიც მან მიიღო ყველაზე რთულ პერიოდში და ალბათ სწორი იქნება, თუ ამ ქვეყანას მივბაძავთ და მსგავს პრაქტიკას გავითვალისწინებთ, რადგან „უკეთესია ისწავლო სხვის შეცდომებზე, ვიდრე შენსაზე“. ეზოპეს ეს გამონათქვამი, ალბათ, სამართლებრივ ჭრილშიც შეგვიძლია განვიხილოთ. არსებობს კონტინენტური სამართლის პრაქტიკა (რომლის ოჯახსაც ჩვენ მივეკუთვნებით) და არსებობენ ჭკვიანი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ესა თუ ის ნორმა ქართულ სინამდვილეს შეუსაბამონ.

ლიტერატურა:

1. ლადო ჭანტურია, „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2010.
2. რენე დავიდი, „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2010.
3. საქართველოს კონსტიტუცია (26 -ე მუხლი).
4. ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011.
5. საქართველოს კანონი „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ“.
6. გერმანული სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014.
7. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <https://geolaw.wordpress.com/2011/05/24/ფონდებისა-და-კავშირების/>
2. <http://ucnauri.com/231571/გერმანიის-ეკონომიკური-გა/>
3. https://www.foreign-investments-in-germany.com/sites/default/files/foreign_investments_in_germany_georgian.pdf

ტერმინი „მხარდაჭერის მიმღები“ და მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

თამარ ქერდიყოშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

ტერმინი - ქმედუუნარო შეცვალა ტერმინმა „მხარდაჭერის მიმღები“, ცვლილება განიცადა სხვა მუხლებთან ერთად სსკ - ის 995-ე მუხლმა.

აღნიშნული ცვლილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის პირველი აპრილიდან, მანამდე კი იურიდიულ ლიტერატურაში და ნორმატიულ აქტებშიც გამოიყენებოდა ტერმინი - „ქმედუუნარო.“

ცვლილებამდელი ვერსია შეიცავდა უამრავ ხარვეზს, რაც ცალსახად ზღუდავდა ადამიანის კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაციას.

სამოქალაქო კოდექსი „ჭკუასუსტობას“ ან „სულით ავადმყოფობას“ მიიჩნევდა პირის ქმედუუნარობის საფუძვლად, რაც გამოიწვევდა ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ დამოუკიდებლად სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების შესაძლებლობას და ნებისმიერი სამართლებრივი შედეგის წარმომშობი ქმედების განხორციელებას.

პირის ქმედუუნაროდ აღიარება არღვევდა მისი სამარათალსუბიექტობის უფლებას, რამდენადაც ამგვარი მიდგომა ფაქტობრივად წარმოადგენდა ადამიანის ყველა უფლების ბლანკეტურად და განუსაზღვრელი დროით განხორციელების შეზღუდვის საფუძველს.

პირის ქმედუწუნაროდ აღიარების შემდგომ, მათ ეზღუდებოდათ ნებისმიერი სამოქალაქო, მათ შორის, წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადების უფლება, ქონების განკარგვის, ქორწინების, შვილების აღზრდის, არჩევნებში მონაწილეობის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ნებისმიერი უფლების რეალიზება.

თავის მხრივ, უფლებაშემლახავი იყო პირის ქმედუწუნაროდ ცნობის პროცედურა. ქმედუწუნაროდ აღიარება ემყარებოდა პირის დიაგნოზს მისი ფსიქიკური თუ გონებრივი მდგომარეობის შესახებ.

ქმედუწუნაროდ აღიარებისას, პირი ვერ ახერხებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობას და სასამართლო მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას.

გარდა მონაწილეობისა, ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირს პრაქტიკულად არ შეეძლო მის მიმართ მიღებული არცერთი შუალედური ან საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

მეურვეთა მხრიდან მათი უფლების დარღვევის შემთხვევაში, ქმედუწუნარო პირები ასევე მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაეცვათ საკუთარი ინტერესები მეურვეების არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისგან და გაესაჩივრებინათ ისინი სასამართლოში ან სხვა ორგანოებში.

ქმედუწუნარიანობის მოდელის თითოეული ელემენტის განხილვისას, სასამართლომ დაადგინა მათი წინააღმდეგობა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან და გააუქმა ქმედუწუნარიანობის სისტემის ყველა კომპონენტი, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან.

ამდენად, დღემდე, ქმედუწუნარიანობის უფლების განმარტების მთავარ წყაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია წარმოადგენს, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევა სამართალსუბიექტობის უფლებაში ჩარევას ნებისმიერი ფორმით.

საკონსტიტუციო სასამართლო, ქმედუწუნარიანობის განმარტებისას, მის მიერ განვითარებულ მსჯელობებში არ ეყრდნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა და გაეროს ფარგლებში მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აღიარებენ კანონის წინაშე ყველას თანასწორობას.¹

იქამდე, სანამ „მხარდაჭერის მიმღების“ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას განვიხილავთ, ყურადსაღებია თუ საიდან, რა საფუძვლით ხდება ზიანის ანაზღაურება?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს დელიქტური ვალდებულებების ცნებას,

დელიქტური ქმედება - არის პირის მიერ სხვა პირისათვის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანი.

დელიქტურ ქმედებად არ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, როგორცაა აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვა.

ზიანი არის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. როგორც წესი, დელიქტური ქმედების წინაპირობას წარმოადგენს მისი განმახორციელებელი პირის ბრალეულობა.

დელიქტური ქმედების განხორციელებისათვის არასრულწლოვანი პირი არის შეზღუდულად დელიქტუწუნარიანი, ხოლო დელიქტუწუნაროდ ითვლება პირი, რომელიც სულით ავადმყოფია (მხარდაჭერის მიმღები) ასეთი პირის დელიქტურ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მასზე მეთვალყურე, პასუხისმგებელ პირებს.²

დელიქტური ვალდებულების ცნებას იცნობს, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე გერმანიის სამოქალაქო სამართალი.

საკითხს: „მხარდაჭერის მიმღების“ მიერ ზიანის ანაზღაურებას თითქმის იდენტურად განმარტავს როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 832¹ 2 მუხლის ნაწილების დეფინიციის თანახმად

„პირი, ვინც კანონის ძალით ვალდებულია განახორციელოს ზედამხედველობა იმ პირზე, რომელიც არასრულწლოვნების ან თავისი გონებრივი ან ფიზიკური მდგომარეობის გამო საჭიროებს ამას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი უკანონოდ აყენებს მესამე პირს.

¹ ქმედუწუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი 2016 წ. კვლევის ავტორი ლ. გვიშანი, კვლევის ხელმძღვანელი ლ. ღვინიაძე, გამომცემლობა „EMC“.

² განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი 2015 წ.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი აკმაყოფილებს მასზე დაკისრებულ ზედამხედველობის მოთხოვნებს ან თუ ეს ზიანი მაინც დადგებოდა სათანადო ზედამხედველობის შემთხვევაშიც კი.“¹

ფაქტობრივად იდენტური ჩანაწერი გვაქვს სსკ-ის 995² მუხლის მიხედვით, „თუ მხარდაჭერის მიმღებს სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდამჭერი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად დაენიშნება, მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდამჭერს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.“²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის (წიგნი მეოთხე, ტომი II) მიხედვით 995-ე მუხლი განმარტებულია შემდეგნაირად: სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუუნაროდ (მხარდაჭერის მიმღებად) მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და არც ერთი სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუუნაროდ, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის მიჩნევისათვის ქმედუუნაროდ. ამავე ჩანაწერის მიხედვით, კანონი არ მოითხოვს, რომ ასეთი პირი ზიანის მიყენების მომენტისათვის სასამართლოს მიერ ცნობილი იყოს ქმედუუნაროდ, შეიძლება ზიანის მიყენების მომენტისათვის პირი არ იყოს ცნობილი ქმედუუნაროდ (მხარდაჭერის მიმღებად), მაგრამ საკმარისია იმ ფაქტის არსებობა, რომ პირი სულით ავადმყოფია.

სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც ვეალებოდა მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე.³

მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოებაში, ვინ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი თუ ზიანის მიმყენებელი სულიერად დაავადებულია და ვერ აღიქვამდა ქმედების მართლწინააღმდეგობას და თუ კი ის არაა სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული?

ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის საპოვნელად და მსჯელობის ფართო განხილვისთვის შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ სასამართლოს პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას - 711-677-2015: აღნიშნული საქმის დავის საგანს წარმოადგენდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება (მოპასუხეები - ზიანის მიმყენებლის მშობლები)

2013 წლის მაისში უნივერსიტეტის მეორე კორპუსის კიბის მოაჯირიდან, 11 მეტრის სიმაღლიდან შ. მ-ემ გადმოაგდო გოგონა ნ.ა-ა. (ინიციალები შეცვლილია) გოგონა დაენარცხა პირველი სართულის იატაკს და მიიღო სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

2013 წლის 14 მაისის განჩინებით ზიანის მიმყენებელი პირი სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო გამოკვლევისათვის მოთავსდა სსიპ ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში.

ექსპერტიზის დასკვნით ზიანის მიმყენებელს დაუდგინდა არადიფერენცირებული შიზოფრენია ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს, ზიანის მიმყენებელი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით და რომ მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი.

ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე მოპასუხეთა შვილის მიმართ შეწყდა გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

დაზარალებულმა კი 2013 წლის 9 აგვისტოს აღძრა სარჩელი მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა მათ სოლიდარულად დაჰკისრებოდათ შვილის მიერ მიყენებული მატერიალური

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. ინ კროპპოლერი. თბილისი 2014 გვ 176

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი (995 მუხლი)

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეოთხე ტომი მეორე. გვ. 397, 398. თბილისი 2001წ.

ზიანი 3 605 ლარისა და მორალური ზიანის 35 00 ლარის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა დაზარალებულის სარჩელი.

ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ დაავადება (არადიფერენცირებული შიზოფრენია), რომელიც ზიანის მიმყენებელს დაუდგინდა დანაშაულის ჩადენის დროს, არ იძლეოდა იმის მტკიცების საშუალებას, რომ მას აღნიშნული ავადმყოფობა ბავშვობიდან, პერმანენტულად ჰქონდა. საქმეში წარმოდგენილია სამხედრო სამედიცინო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვით, მოპასუხეთა შვილმა 2009 წელს გაიარა სამედიცინო შემოწმება და სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი იყო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოპასუხეებმა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მის ბავშვობაშივე გაამახვილეს ყურადღება და, გამოვლენილი შიშების გამო, მკურნალობა ჩაუტარეს ნევროპათოლოგ გ. ნ-თან. კონსულტაციების შედეგად გაკეთებული სამედიცინო დასკვნები ასახულია ექსპერტიზის დასკვნაში. მითითებულია, რომ 2003 წლის 10 მარტის კონსულტაციის ფურცელზე ასახული დიაგნოზით, ზიანის მიმყენებელს დაუდგინდა ანანკასტური (აკვიატებათა) ნევროზი, ღამის ენურეზი, გამოსარიცხია SCH (იშიფრება როგორც შიზოფრენია) მარტივი ფორმა, 05.08.2003 წლის ჩანაწერით: „ბავშვი კარგადაა, დარჩა მხოლოდ მავნე ჩვევა-ფურთხება“.

აღნიშნული მკურნალობის ჩატარების ფაქტი სასამართლომ მიიჩნია, რომ მშობლები სისტემატურად ზრუნავდნენ შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, და, რომ სამედიცინო შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნები არ იძლეოდა ბავშვის ფსიქიკურად დაავადებულად, და სულით ავადმყოფად მიჩნევის საფუძველს.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ნევროპათოლოგთან მკურნალობის პერიოდში, ზიანის მიმყენებლისათვის დანიშნული მედიკამენტები არ იყო განკუთვნილი შიზოფრენიის მკურნალობისთვის.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, მეთვალყურეობის მოვალეობის დარღვევისას, პასუხისმგებლობა მრავალმხრივია.

მეთვალყურეობის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კანონით ან ხელშეკრულებით. კანონის საფუძველზე, მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი შეიძლება იყოს მშობელი, მეურვე, მზრუნველი, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე – აღმზრდელი, ძიძა. (სსკ-ის 1276-ე მუხლი) და (სსკ-ის 1277-ე მუხლი). აღნიშნულ მუხლებზე დაყრდნობით განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეთა შვილი სრულწლოვანია, მშობლები არ არიან ზედამხედველობაზე ვალდებული სუბიექტები. ამასთან, მშობლების პასუხისმგებლობა გამოირიცხა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მათი უყურადღებობის გამო არ დაუდგინდა მათ შვილს ფსიქიკური აშლილობა 2013 წლის 1 მაისამდე, რაც მასზე სავალდებულო ზედამხედველობის განხორციელების საფუძველი გახდებოდა.

დაზარალებულმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

ექსპერტიზის დასკვნით, ზიანის მიმყენებლის დიაგნოზია – ქრონიკული არაიდენტიფიცირებული შიზოფრენია. „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანების (შემდგომში №1/ნ ბრძანება) მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაავადებებს, ანატომიურ და გონებრივ დეფექტებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს, გადამოწმების გარეშე (უვადოდ) არის: შიზოფრენია, მკვეთრად გამოხატული დეფექტი. რაც შეეხება შრომისუუნარობის ტერმინის განმარტებას, მოცემულია სოციალური პაკეტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №179 დადგენილებაში. ამ დადგენილების მეორე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განმარტებულია: შრომისუუნარო – პირი, რომელსაც დადგენილი აქვს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ან არის 18 წლამდე ან 65 წლის და მეტი ასაკის. შესაბამისად, დგინდება, რომ პირისათვის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ნებისმიერი სახის შიზოფრენია.

დაზარალებულის მოსაზრებით, ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად დგინდება, რომ მოპასუხეთა შვილს წლების წინაც ჰქონდა და ახლაც აქვს მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის

დადგენის და, შესაბამისად, სრულად შრომისუნაროდ ცნობის საფუძველი, რის გამოც ის უნდა ყოფილიყო მშობლების რჩენა-კმაყოფაზე. (დაზარალებულის არც სააპელაციო და შემდგომ არც საკასაციო საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული) ზიანის მიმყენებლის მშობლები პირად საუბრებში აცხადებდნენ, რომ საზოგადოება მზად უნდა იყოს მათი შვილის ასეთი არაადეკვატური გამოხტომებისთვის, რადგან ის ნიჭიერია და ყველა გენიოსი ასეა და მაგალითად აინშტაინს ასახელებდნენ.

ექსპერტისათვის მოპასუხეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მათ შვილს ჰქონდა უცნაური ჩვევები, შიშები, აკვიატებები, ჭამისას პურს ათვალიერებდა, ხელებს უცნაურად ხშირად იბანდა მოწამვლის შინაარსის აზრების გამო, საკვების გასინჯვამდე ყოველთვის ითხოვდა ჯერ მშობლებს გაესინჯათ იგი.

საქმეში არსებითად ჩანს, რომ როგორც არასრულწლოვანების ასევე სტუდენტობის პერიოდში იგი ავლენდა არაადეკვატურ შეუსაბამო ქცევებს.¹

აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, ბუნებრივია ისმის კითხვა – ვისგან უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ კი ზიანის მიმყენებელი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არასათანადო მოპასუხეა, რომლისგანაც არ შეიძლება ახსნა – განმარტების მიღება. ამკარაა არსებობს მის ქმედუნაროდ (მხარდაჭერის მიმღებად) ცნობის საფუძველი.

აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე ვფიქრობ ყურადსაღებია საქმეში არსებული დაავადების დამახასიათებელი თვისებების განსაზღვრა.

ზოგადად „შიზოფრენია“ - ბერძნული სიტყვაა და ფსიქიკის გახლეჩას ნიშნავს (scizo - გახლეჩა, Phrene - ფსიქიკა, გონება). შიზოფრენია ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობაა, სამ ფაზად ვითარდება და ხასიათდება აზროვნების და აღქმის ძირეული ცვლილებით, ემოციური სფეროს გასადავებითა და გაღარიბებით, არაადეკვატურობით, არალოგიკურობით, ჰალუცინაციებით, ბოდვებით, აპათიით, დეზორგანიზებული ქცევითა და მეტყველებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზიანის მიმყენებელს არაადეკვატური ქცევები ჰქონდა მშობლების მიმართ, იგი კრძალავდა მშობლებთან კონტაქტს და ხდებოდა ჩაკეტილი მათ მიმართ, რაც ერთ - ერთი მიზეზია იმისა, რომ მშობლები დაინტერესებულებიყვნენ შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით.

არსებობს შიზოფრენიის 5 ტიპი:

1. პარანოიდული შიზოფრენია. 2. ფიქსირებული შიზოფრენია. 3. დეზორგანიზებული შიზოფრენია. 4. არადიფერენცირებული შიზოფრენია. 5. რეზიდუალური შიზოფრენია.²

აღნიშნული დაავადების მქონე პირებს სჯერავთ, რომ მათთვის ზიანის მიყენებას აპირებენ (როგორც ჰქონდა ზიანის მიმყენებელს). შიზოფრენიის მიმდინარეობა გამოირჩევა მრავალფეროვნებით, გამომწვევი მიზეზი კი შეიძლება იყოს სტრესი.

გრძელვადიან პერსპექტივაში 15 წლამდე შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე პირთა დაახლოებით ნახევარს აღნიშნება უფრო ეპიზოდური, ვიდრე მუდმივი სირთულეები.

ზოგჯერ გამოჯანმრთელება სპონტანურად ხდება, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს პაციენტის პიროვნულ რესურსს.

მეცნიერება შიზოფრენიის სიმპტომებს, პრაქტიკული მოსაზრებების გამო აერთიანებს პლიუს (ანუ პოზიტიურ) და მინუს (ანუ დეფიციტურ) სიმპტომებად.

„პლიუს - სიმპტომები“ - ჰალუცინაციები, ბოდვა, უცნაური ქცევა, აზროვნების ფორმის აშლის პოზიტიური პათოლოგია.

„მინუს - სიმპტომები“ - ემოციური გასადავება, გაღარიბება, ლოგიკური მეტყველების შეუძლებლობა, აპათია, ასოციალურობა, უყურადღებობა.

მაგალითად, მოხმობილ საქმის მაგალითზე ზიანის მიმყენებელს შიზოფრენიის სიმპტომებიდან აღნიშნებოდა ორივე რიგისათვის დამახასიათებელი სიმპტომები.

ადამიანები, რომელთაც დასმული აქვთ შიზოფრენიის დიაგნოზი საჭიროებენ ხანგრძლივი დროით მიიღონ ანტიფსიქოზური მედიკამენტები.³

თემაში მოხმობილი მაგალითი ეტაპობრივად, რომ განვიხილოთ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სსკ - ის 1198¹ მუხლის მიხედვით „მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი სულიერი და სოციალური

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე # ას - 711- 677 - 2015

² შიზოფრენიის კლინიკური სურათი, სამეცნიერო ნაშრომი, ანა თოფურძე

³ შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია-გაიდლაინი

განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით“¹.

აღნიშნული მუხლის დეფინიცია გადმოგვცემს როგორც მშობლის უფლებებს ასევე მთელ რიგ ვალდებულებებს იმისა, თუ, როგორ უნდა აღზარდათ არასრულწლოვანი შვილი. მუხლი ცალსახად ავალდებულებს მშობელს იზრუნოს არასრულწლოვან შვილებზე მათი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

საქმეში კი ჩანს, რომ ინტერესების დაცვის ნაცვლად მშობლები არწმუნებდნენ შვილს, რომ მისი არაადეკვატური ქცევები ნორმალურია და რომ გენიოსები ასე იქცევიან, საზოგადოება კი მზად უნდა იყოს ამისათვის. მათი ეს ქმედება შვილს არა თუ ეხმარებოდა გამოჯანმრთელებაში, არამედ პირიქით არწმუნებდნენ რომ მისი ქმედებები ბუნებრივია. ეს სრულიად ეწინააღმდეგება ზემოთ ხსენებული მუხლის შინაარსს. ისინი საზოგადოების ღირსეული წევრის ნაცვლად ზრდიდნენ საზოგადოებისათვის საშიშ ადამიანს. ისინი საკუთარ ვალდებულებებს არაჯეროვნად ასრულებდნენ, რაც უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას, თუნდაც ეს გამოიხატებოდეს დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებაში.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

„16 წლამდე პაციენტს ფსიქიატრიული დახმარება გაეწევა მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით ან/და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე“ (მუხლი 8²)

ამავე კანონით „მკურნალობა ტარდება პაციენტის, ხოლო თუ მისი ასაკი არ აღემატება 16 წელს, პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით, რომელიც დასტურდება ხელმოწერით“².

მშობლებს აღნიშნული კანონის საფუძველზე შეეძლოთ შვილს დახმარებოდნენ გამოჯანმრთელებაში. (ზიანის მიმყენებელს ფსიქიკური პრობლემები დაეწყო 11 წლის ასაკში, როდესაც მას უკბინა ძაღლმა).

მათი ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება დავასაბუთოთ დელიქტური ვალდებულების ზოგადი ნორმით, სსკ - ის 992- ე მუხლით „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“³

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო სამართალში ზიანის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის დიფერენცირება 2 კატეგორიად ხდება, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანის სახით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარის პირველი თავი სწორედ არასახელშეკრულებო, ე-წ დელიქტური ვალდებულების მარეგულირებელ ნორმებს აწესებს.

დელიქტური ვალდებულების ლეგალური ცნება ერთი შეხედვით სრულად ასახავს ყველა იმ სამართლებრივ შემთხვევას, როდესაც პირის პასუხისმგებლობის საკითხი სწორედ ამ თავიდან გამომდინარე უნდა დაწესდეს.

რეალურად ზიანის მიყენება შესაძლებელია, როგორც მოქმედებით (აქტიური ქმედებით) ასევე უმოქმედობითაც. ქართული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, სადაც დელიქტური ვალდებულების ცნება ძალიან ზოგადი და გარკვეულწილად „ბუნდოვანიც“ არის, გერმანულ სამოქალაქო კოდექსში დელიქტური ვალდებულების „იდეა“ მაქსიმალურად სრულყოფილად არის გადმოცემული.⁴

შესაძლებელია მშობლების უყურადღებობა იმის შესახებ, რომ მათ შვილს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემა და მათ არ უმკურნალეს საბოლოოდ გამოჯანმრთელებამდე, ჩათვალოს გაუფრთხილებლად მიყენებულ ზიანად. არ ითვალისწინებდნენ, რომ მათ უმოქმედობას ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვებოდა.

ის, რომ მათ სათანადოდ არ მიაქციეს შვილის განვითარებას ყურადღება, ჩათვლება გაუფრთხილებლობით, უმოქმედებით ჩადენილ დანაშაულად.

ქართულმა პრაქტიკამ დელიქტის ცნების განსაზღვრისას როგორც ჩანს უფრო მეტად ჰოლანდიური პრაქტიკა გაიზიარა. ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსში ზოგადი წესის განმარტებას 6:162 მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით. ამ მუხლის თანახმად: „პიროვნებას, რომლის მიმართ ჩაიდინეს უკანონო ქმედება, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება“.

აქედან გამომდინარე, უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანი აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს.

„მუხლი 1280 - 1. სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, ვალდებულია იმავე გადაწყვეტილებით დანიშნოს მხარდამჭერი

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2014 წელი

² საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“

³ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი

⁴ ლექსო თვარამე, დელიქტური ვალდებულების ინსტიტუტი კერძო სამართალში, თბილისი, 2013.

(მხარდამჭერები), განსაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდამჭერის (მხარდამჭერების) უფლება-მოვალეობები.

ეს გადაწყვეტილება მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 დღისა ვეზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.“

2. „მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.“

ზემოთ ხსენებული მუხლის მიხედვით პირის აღიარება მხარდაჭერის მიმღებად უნდა მოხდეს სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, მიმართვა კი უნდა განახორციელოს დაინტერესებულმა პირმა ან პირებმა, ეს შეიძლება იყოს მშობელი ან ოჯახის წევრი.

თუკი გავითვალისწინებთ, იმ ფაქტს, რომ საერთო სასამართლოთა სისტემა ემსახურება მართლმსაჯულებას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს სამართლიანობას, კანონიერებას, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმას, რაც ნიშნავს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების კანონით გადაწყვეტას, ესე იგი კანონით დაცული სიკეთის ხელყოფის ფაქტის სასამართლო წესით დადგენას და სამართალდამრღვევთა მიმართ სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, სწორედ მართლმსაჯულების განხორციელება საჭიროებს, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ლიტერატურა:

1. ქმედუნარობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი 2016 წ. კვლევის ავტორი ლ. გვიშიანი, კვლევის ხელმძღვანელი ლ. ღვინიაძე, გამომცემლობა „EMC“.
2. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2015.
3. ინ კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2014, გვ. 176
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი (995 მუხლი)
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი, 2001, გვ. 397, 398.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას - 711- 677 – 2015
7. ანა თოფურიძე, შიზოფრენიის კლინიკური სურათი, სამეცნიერო ნაშრომი, 2014.
8. შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია - გაიდლაინი; დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 24 ივლისის N 01-151 / ო ბრძანებით.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2014.
10. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“
11. ლექსო თვარაძე, დელიქტური ვალდებულების ინსტიტუტი კერძო სამართალში, თბილისი, 2013.

გარიგებები გერმანულსა და ქართულ სამოქალაქო სამართალში

გულნაზი ღვინიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი

თავდაპირველად განვმარტავ, თუ რას ნიშნავს გარიგება. გარიგება სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს. იგი კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების განხორციელების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია. გარიგება, როგორც კერძო სამართლის უზოგადესი ცნება, გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა ნაწილებში, მაგალითად, საკორპორაციო ან საავტორო სამართალში. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის

ზოგადი ნაწილის ნორმები გარიგებათა შესახებ ვრცელდება ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგალითად, ქორწინება, ანდერძი, საერთო კრების გადაწყვეტილებები და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარიგება კერძო საკუთრებასთან ერთად ეკონომიკის სამართლებრივი საფუძველია. კომერციული საქმიანობის მონაწილეებს გარიგება აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ერთმანეთს შორის ურთიერთობები სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ. კანონით დადგენილი პირობების დაცვისას, სახელმწიფო კერძო პირთა ამ შეთანხმებას სავალდებულო ძალას ანიჭებს. 50-ე მუხლი შეიცავს გარიგების ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმად გარიგება არის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართული ნების გამოვლენა. რაც შეეხება გერმანულ სამართალს, მასში გარიგებას შემდეგნაირად განმარტავენ: გარიგება არის მოქმედებათა ერთობლიობა, როდესაც, სულ ცოტა, ერთი მოქმედება გამოხატავს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევისაკენ მიმართულ ნების გამოვლენას. ცალმხრივი გარიგებებია, მაგ.: ხელშეკრულების შეწყვეტა, შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა, უფლებამოსილების მინიჭება, ჯილდოს საჯაროდ შეპირება, ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება; ხოლო მრავალმხრივი გარიგებების ნიმუშია, მაგ., ხელშეკრულება. სამართლებრივი შედეგი დგება მხარეთა ნების საფუძველზე.

გარიგებების შემდეგი სახეები არსებობს ქართულ სამართალში: ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები. 50-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი შედეგის დადგომა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ცალმხრივმა, ისე ორმხრივმა ან მრავალმხრივმა ნების გამოვლენამ. ამრიგად, გარიგება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ნების გამოვლენისაგან. აქედან გამომდინარე, რელევანტურია გარიგებების კლასიფიკაცია და დახასიათება ნების გამოვლენათა რაოდენობის მიხედვით – ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებებად.

ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი ნების გამოვლენის არსებობა, მაგალითად, ანდერძი ან ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა). რადგან სამართლებრივი შედეგის დადგომა მხოლოდ ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, რამაც სამართლებრივ სტაბილურობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას, კანონი დეტალურად აწესრიგებს ცალმხრივ გარიგებებსა და მათი გამოყენების წინაპირობებს. ცალმხრივი ნების გამოვლენით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ნების გამომვლენს ან მესამე პირს. ამის მიხედვით, კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცალმხრივ გარიგებებს, რომელთაც ნამდვილობისათვის სჭირდებათ ნების გამოვლენის მიღება მესამე პირის მიერ და გარიგებებს, რომელთაც ასეთი ნების მიღება არ სჭირდებათ. ცალმხრივი გარიგებების ამ დაყოფას ე.წ. თავისთვის და მესამე პირისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი უკავშირდება - ნების გამოვლენის ნამდვილობა. მართალია, ცალმხრივი გარიგებით მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის მესამე პირის თანხმობა აუცილებელი არ არის, მაგრამ მან, სულ ცოტა, უნდა შეიტყოს უფლებამოსილი პირის განზრახვის შესახებ. მაგალითად, ბინის დამქირავებელმა უნდა შეიტყოს, რომ დამქირავებელი წყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას. მესამე პირის (ხელშეკრულების კონტრაქტის) მიერ ნების მიღების მომენტს კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს - ნების გამოვლენა ნამდვილია და სამართლებრივი შედეგი დგება, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულება წყდება. ამიტომ ასეთი გარიგებები ნამდვილია ადრესატისათვის ნების გამოვლენის მისვლის მომენტიდან.

ორმხრივია გარიგება, რომლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი შინაარსობრივად ერთმანეთის თანამთხვევადი ნების გამოვლენა.

ორმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია ხელშეკრულება. ამ გაგებით ხელშეკრულება ყოველთვის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა. ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ორი თანამთხვევადი ნების გამოვლენის - ოფერტისა და აქცეპტის - არსებობა. ოფერტიც (წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ - შეთავაზება) და აქცეპტიც (ამ წინადადების მიღება), ორივე წარმოადგენს ნების გამოვლენას, მაგრამ ცალ-ცალკე არ იწვევს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამიტომ არც ოფერტი და არც აქცეპტი ცალმხრივ გარიგებებად არ მიიჩნევა. ოფერტისა და აქცეპტის თანამთხვევადობა - კონსენსუსი - უზრუნველყოფს სამართლებრივი შედეგის დადგომას. თუ მათ შორის არსებობს განსხვავება, ხელშეკრულება არ დაიდება. მაგალითად, მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდნენ ნასყიდობის ყველა პირობაზე, გარდა ფასისა. ამის გამო ხელშეკრულება ჯერ არ ითვლება დადებულიად. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა, თავის მხრივ ხელშეკრულება თვითონ შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. ცალმხრივია ხელშეკრულება, როცა ის მხოლოდ ერთ მხარეს აკისრებს მოვალეობას ან ანიჭებს უფლებას, მაგალითად ჩუქება. ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ როგორც უფლებები, ისე მოვალეობებიც, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში.

მრავალმხრივი გარიგების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ. გადაწყვეტილებათა მიღების პირობები და პროცედურა ჩვეულებრივ კანონით განისაზღვრება, მაგალითად, აქციონერთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე. არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებული იყოს კონსენსუსითაც. სასამართლო პრაქტიკის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგების ნაირსახეობას. გადაწყვეტილებების, როგორც მრავალმხრივი გარიგებების, თავისებურება შეიძლება იმაშიც გამოიხატოს, რომ ისინი შეიძლება მხოლოდ და სავალდებულო გახდეს იმ პირთათვისაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მაგალითად, საზოგადოების წესდება იმ პარტნიორებისათვის, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ საზოგადოების პარტნიორები, ანდა საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ ამ გადაწყვეტილების მიღების, მაგალითად, კენჭისყრაში მონაწილეთა უმცირესობა.

განვმარტავ ნების გამოვლენას გერმანული და ქართული კოდექსების მიხედვით. გერმანულში გვაქვს შემდეგი განმარტება: ნების გამოვლენა არის გარეგნულად აღქმადი ნების აქტი, რომელიც მიმართულია მართლწესრიგის მიერ სანქცირებული სამართლებრივი შედეგებისკენ. ქართული სამართალში მოცემულია, რომ ნების გამოვლენა გარიგების დეფინიციის აუცილებელი ელემენტია. ამ გაგებით ნების გამოვლენა არის სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილის გარეგნული გამოხატვა კანონით დადგენილი ფორმით. ამით სამოქალაქო კოდექსი გარიგების რეგულირებისას ნების თეორიას ეყრდნობა. ზოგადად სამართლებრივ შედეგს იწვევს მხოლოდ ნამდვილი ნების გამოვლენა, რაც გულისხმობს ნების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ნამდვილია ნების გამოვლენა, თუ დაცულია მისი გამოხატვის სამართლებრივი წინაპირობები - მატერიალური თუ ფორმალური. მატერიალურ წინაპირობებს განეკუთვნება ნების გამომვლენი პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო ფორმალურს - ნების გამოვლენის კანონით დადგენილი ფორმის დაცვა (ნების გამოვლენა წერილობით, ზეპირად, ნოტარიუსის მონაწილეობით, კანონის შესაბამისად და ა.შ.). მაგალითად, 63-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანის მიერ ავტომანქანის ყიდვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ბათილია. სამართლებრივი შედეგის მისაღწევად ყოველთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნების გამოვლენა და აუცილებელი ხდება მესამე პირების ნების გამოვლენაც, მაგალითად, უძრავი ნივთის შეძენა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, თუკი შემძენი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ წარმოადგენს გარიგების ფორმის შემადგენელ ელემენტს, რასაც სასამართლო პრაქტიკაც აღიარებს, რეესტრის გარეშე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე არ წარმოიშობა. ამ თვალსაზრისით რეესტრში რეგისტრაცია არის რეალაქტი.

არსებობს გარიგებების შემდეგი კლასიფიკაცია: კაუზალურია გარიგება, თუკი მისგან გამომდინარეობს სამართლებრივი საფუძველი, ე.წ. causa და გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ამ საფუძველის ნამდვილობაზე. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია მისი სამართლებრივი საფუძველის - ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა და ა.შ. მითითება. თუ ეს საფუძველი ბათილია, მაგალითად ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის წერილობით გაფორმებული, მაშინ გარიგება მთლიანად ბათილია და შემძენი ვერ გახდება მესაკუთრე.

აბსტრაქტული გარიგების ნამდვილობისათვის გარიგების სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობას არ ანიჭებს და გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძველის ნამდვილობისაგან. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 925-ე მუხლის თანახმად, საორდერო ფასიანი ქაღალდის (მაგალითად, ჩეკის) ჩაბარების სანაცვლოდ გადახდის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უდევს მას. ასევე, მოთხოვნის დათმობისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საფუძველითა და მიზნით ხდება მოთხოვნის დათმობა, ე.ი. მას საფუძველად შეიძლება ედოს ჩუქება, ნასყიდობა, გაცვლა და ა.შ.

ნასყიდლიანია გარიგება, რომელშიც გარიგების ერთი მონაწილის მიერ ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მონაწილის საპასუხო შესრულება - ეკვივალენტი. მაგალითად, ნასყიდობისას ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ მყიდველი გამყიდველს უხდის ამ საგნის საფასურს. უსასყიდლო გარიგების დროს გარიგების ერთი მონაწილე კისრულობს ვალდებულების შესრულებას ისე, რომ ამისთვის სანაცვლოს (ეკვივალენტს) არ იღებს მეორე მხარისაგან, მაგალითად, ჩუქების დროს.

გარიგებების კლასიფიკაცია შეიძლება სხვა კრიტერიუმებითაც: ქონებრივი ან პირადი, საოჯახო-სამართლებრივი, ვალდებულებით-სამართლებრივი ან სანივთო-სამართლებრივი გარიგებები (მაგალითად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვება) და ა.შ. ამა თუ იმ ინსტიტუტის მოთავესება სანივთო სამართალში არ იწვევს მის თაობაზე დადებული გარიგების გადაქცევას სანივთო

გარიგებად, მაგალითად, იპოთეკის ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივ და არა სანივთო გარიგებას, მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკა აბსოლუტური სანივთო უფლებაა. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით კორექტირებას მოითხოვს.

არსებობს ბათილი გარიგებები, რომელიც ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვანი პირის მიერ დადებული გარიგება ბათილია, ასევე ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგებაც ბათილია. რაც შეეხება ნაწილობრივ ბათილ გარიგებებს, თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და თუ სავარაუდოა, რომ გარიგების ბათილობის შეტყობისას მისი ნამდვილობა მხარეთა სურვილი იქნებოდა, მაშინ მოქმედებს ამ სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია ბათილი გარიგების დადასტურება: 1) თუ პირი, რომელიც დებს ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი დადასტურება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება; 2) თუ ბათილი ხელშეკრულება დასტურდება მხარეთა მიერ, მაშინ საეჭვოობისას ისინი ვალდებული არიან, გადასცენ ერთმანეთს ის, რასაც იქონიებდნენ, ხელშეკრულება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

გარიგებებში შესაძლებელია ე.წ. „შეცილება“. იგი განისაზღვრება შემდეგნაირად: 1) პირს, რომელმაც ნების გამოვლენის დროს დაუშვა შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით, ან მას საერთოდ არ ჰქონია განზრახვა ასეთი შინაარსით ნების გამოვლენისა, შეუძლია, საცილო გახადოს ნების გამოვლენა, თუ ივარაუდება, რომ იგი არ გააკეთებდა ნების გამოვლენას საქმის ვითარების ცოდნისას ან მისი გონივრული შეფასებისას; 2) ნების გამოვლენის შინაარსში შეცდომად მიიჩნევა შეცდომა პირის ან ნივთის თვისებებში, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში მიიჩნევა არსებითად. შეცილების განცხადება დგება: შეცილება ხორციელდება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ წარდგენილი განცხადებით. ხელშეკრულების შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეა ხელშეკრულების მეორე მხარე, ხოლო – პირი, რომელმაც ხელშეკრულებით უშუალოდ მიიღო უფლება. ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, რომელიც დაიდო სხვა პირის მიმართ, მოწინააღმდეგე მხარეა ეს სხვა პირი. ანალოგიური წესი მოქმედებს ისეთი გარიგების დროსაც, რომელიც უნდა დადებულიყო სხვა პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მაშინაც კი, როდესაც გარიგება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ უკვე დაიდო. სხვა სახის ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარედ მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ მიიღო უფლებრივი სარგებელი გარიგების საფუძველზე. თუმცა, თუ ნების გამოვლენა უნდა გაკეთებულიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, შეცილება შეიძლება გაკეთდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გაკეთებული განცხადებით; ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეატყობინოს შეცილების შესახებ იმ პირს, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ შეეხნენ გარიგებით.

ზოგადად, ერთმანეთს თუ შევადარებთ გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალს, დავინახავთ, რომ მათ აქვთ ძალიან ბევრი საერთო ნიშანი.

ლიტერატურა:

1. ლადო ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.
3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1900.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა

გვანცა ხაბელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: დავით კვერნაძე, მოწვეული სპეციალისტი

როგორც ლ. დიუგი აღნიშნავდა, სახელმწიფოს ხასიათი შეიძლება და უნდა იყოს გათვლილი მხოლოდ კოლექტიურობაზე, რომელსაც აქვს პოლიტიკური ხელისუფლება და სახლობს გარკვეულ ტერიტორიაზე. ამ ტევადი ფორმულის მიღმა სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის

ერთობ რთული კონსტრუქციის ორი უმთავრესი მზიდი ელემენტი იკითხება. ეს არის მისი საყრდენი - ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა და მისი შემკვერელი - პოლიტიკური ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილება.

ტერიტორიული მოწყობა სახელმწიფოში ცენტრსა და მის ტერიტორიულ ერთეულებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის საკითხის განსაზღვრას გულისხმობს. ისტორიულად უპირატესობა ყოველთვის ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ენიჭებოდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდეგ ცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში სახელმწიფოს როლის გაზრდამ მას უამრავი ამოცანა დააკისრა, რომლის გადაჭრაც ცენტრალურ ხელისუფლებას ერთდროულად არ ხელეწიფება. ამიტომ სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ცენტრალური ხელისუფლების იმ მოვალეობებისაგან გათავისუფლებას, რომლის შესრულება ადგილობრივ ორგანოებსაც შეუძლია.

თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლის თეორიაში, იმის მიხედვით, თუ როგორაა სახელისუფლებო ძალაუფლება გადანაწილებული და რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს ცენტრსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის, გამოყოფენ სამ ძირითად ტერიტორიული მოწყობის ფორმას: უნიტარიზმი, რეგიონალიზმი, ფედერალიზმი.

უნიტარიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან "unus" და სიტყვასიტყვით აღნიშნავს მოძრაობას, რომელსაც მიყვავართ ერთიანობისკენ. უნიტარული სახელმწიფო იყოფა ტერიტორიულ ერთეულებად, რომელთა უფლებამოსილებაც ადმინისტრაციული ფუნქციებით შემოიფარგლება. უნიტარული სახელმწიფო არის „განუყოფელი“ და „დაუნაწევრებელი“, იგი არ ცნობს ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია, კანონმდებლობა, სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, ერთიანი მოქალაქეობა და საგადასახადო სისტემა. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს ტერიტორიული ერთეულის ფართო სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ უფლებამოსილებებს. ამიტომ უნიტარიზმი არ ნიშნავს აუცილებლად მკაცრ ცენტრალიზაციას, იგი გულისხმობს ორ ძირითად ნიშან-თვისებას: 1. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ცენტრალური ხელისუფლების მიერ - სახელმწიფო ადგენს ტერიტორიული ერთეულების რაოდენობას, მათ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს; 2. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის პირდაპირი ან ირიბი კონტროლი.

კლასიკურ უნიტარულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ბანგლადეში, ბელარუსი, ბულგარეთი, პორტუგალია, რუმინეთი და სხვა. ასევე რთულ უნიტარულ სახელმწიფოდ შეიძლება მივიჩნიოთ დიდი ბრიტანეთი, რადგან თავის შემადგენლობაში აერთიანებს ერთ ან რამდენიმე ავტონომიურ წარმონაქმნს. მას შეგვიძლია ვუწოდოთ დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო, რადგან 1998 წელს გაერთიანებულმა სამეფომ რეფერენდუმის საფუძველზე შოტლანდიასა და უელსს ავტონომიური უფლებამოსილებები გადასცა.

ტერიტორიული მოწყობის მეორე ფორმას წარმოადგენს ფედერალიზმი. დეცენტრალიზაციის მაღალი დონის გამო, ფედერალიზმი ყველაზე დემოკრატიულ ფორმადაა მიჩნეული. ფედერალური სახელმწიფო საკონსტიტუციო დონეზე პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა, როდესაც საზოგადოებაში არსებობდა ეროვნული მთლიანობის მიღწევისა და ამავე დროს, შტატების ადგილობრივი თავისუფლების შენარჩუნების ორი განსხვავებული ნება, სურვილი. სწორედ ამ ორი ინტერესის წონასწორობაზე აიგო ამერიკის ფედერალური წყობილება.

ფედერალიზმი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც რთული საკავშირო სახელმწიფო, რომელიც შედგება ქვესახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან. ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფოებრიობა გამოიხატება იმაში, რომ მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება, ფინანსური დამოუკიდებლობა და ა.შ. ფედერალურ სახელმწიფოებში მოქმედებს ფედერაციის სუბიექტის მოქალაქეობა, ფედერაციის სუბიექტს აქვს საკუთარი დროშა, გერბი, ჰიმნი. პრაქტიკულად, ერთ სუვერენულ სახელმწიფოში გაერთიანებულია რამდენიმე არასუვერენული სახელმწიფო.

განასხვავებენ სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფედერალიზმს. სიმეტრიული ფედერალიზმის დროს ფედერაციის სუბიექტები ფედერალურ ხელისუფლებასთან მიმართებით თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ასიმეტრიული ფედერალიზმის დროს სახელმწიფოს სუბიექტებს აქვთ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი და უფლებები. მაგ: აშშ-ში ფედერალურ ოლქს აქვს დანარჩენი 50 შტატისგან განსხვავებული სტატუსი. კოლუმბიის ოლქს არ ჰყავს წარმომადგენელი წარმომადგენელთა პალატაში. ფედერაციული სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია ცენტრალისტური ელემენტების არსებობა.

ფედერალური სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველყოფა ექვს ძირითად პრინციპს გამოყოფენ, ესენია: 1. სეცესიის (გამოყოფის) აკრძალვა; 2. უფლება-მოვალეობის მოცულობის ცალმხრივად შეცვლა დაუშვებელია; 3. ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ადამიანების, ინფორმაციისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილება; 4. ფედერალური კანონმდებლობის უზენაესობა; 5. ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს კონსტიტუციის მოდელს. 6. თუ ზემოთ აღნიშნული ხუთი პრინციპი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაშინ გამოიყენება ფედერალური ინტერვენციის ინსტიტუტი. ეს გულისხმობს ფედერაციის სუბიექტის იარაღით ან მის გარეშე დახმარებას, თუ დამოუკიდებლად არ შეუძლია საშინაო წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველყოფა.

ტერიტორიული მოწყობის მესამე ძირითად ფორმას წარმოადგენს რეგიონალიზმი. რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა, წარმოიშვა იტალიასა და ესპანეთში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, როგორც დიქტატურისა და მკაცრი ცენტრალიზაციის საპასუხო რეაქცია. რეგიონალიზმი ეყრდნობა ფართო დეცენტრალიზაციას, ტერიტორიული ერთეულების ავტონომიურობას. თუ სხვა სახელმწიფოებში ავტონომია ეძლევა მხოლოდ ქვეყნის გარკვეულ ნაწილს, რეგიონალიზმში ავტონომიით აღჭურვილია სახელმწიფოს ყველა რეგიონი. ერთი მხრივ, ესპანეთში მძაფრად იდგა ეთნიკური პრობლემის, იტალიაში კი ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების საკითხი, ასევე ფაშისტური დიქტატურიდან გათავისუფლებულ სახელმწიფოებში საზოგადოება მოითხოვდა საჯარო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას სახელმწიფოს სრული მასშტაბით. რადგანაც ესპანეთში გარდაუვალი იყო კატალონიისა და ბასკეთის ავტონომიის მინიჭება, ხელისუფლებამ გადაწყვიტა დეცენტრალიზაცია განეხორციელებინა მთელი ქვეყნის ავტონომიზაციის პროცესით.

რეგიონალიზმს ზოგიერთი ავტორი მოიხსენიებს, როგორც დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს ან პრეფედერაციას. მართალია, რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული ფორმა აღმოცენდა უნიტარულ მოდელში, მაგრამ ის გასცდა უნიტარული, მათ შორის, დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს ფორმებს. ამასთან იგი არც ფედერალიზმს წარმოადგენს, რადგან მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდება მისგან. რეგიონალიზმი კონსტიტუციურად იქნა აღიარებული იტალიის 1947 წლის და ესპანეთის 1978 წლების კონსტიტუციებში. მოგვიანებით მისი რეცეფცია მოხდა შრილანკასა და სამხრეთ აფრიკაში.

ახლა კი შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, თუ რა ეტაპები განვლო ისტორიულად დღემდე. საქართველო მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო არასდროს ყოფილა. იგი მეტნაკლებად ყოველთვის დემოკრატიულ საწყისებზე იმართებოდა: არასდროს ყოფილა რომელიმე რელიგიის დევნა, ინკვიზიცია, მე-12 საუკუნეში მეფობდა ქალი და ა.შ. იმავეს თქმა შეიძლება სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობაზეც. ერთიანი სახელმწიფოს შექმნისთანავე მეფე ფარნავაზმა ქვეყანა მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე საერისთაოებად დაყო, რომელსაც სათავეში ერისთავები ედგნენ. დავითისა და თამარის პერიოდში კი ქვეყანა სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი. სამეფოები ცალ-ცალკე განაგებდნენ საქმეებს, მართვა-გამგეობა დამყარებული იყო საუწყებო და სათემო პრინციპებზე. სამეფო ხელისუფლება ერისმთავრად იმ პირს ნიშნავდა, რომელიც წარმოშობით ამ კუთხიდან იყო. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, როცა საქართველო ახალ სამფლობელოს შემოიერთებდა, იქ დამკვიდრებულ ტრადიციულ მართვა-გამგეობის წესს არ ცვლიდა.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად საქართველომ თავისი ისტორიული განვითარების გეზიც დაკარგა, მოიშალა ტრადიციული მეთოდები; ოქროს ხანის შემდეგ ის მონღოლების, თურქების, ირანისა და ბოლოს რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. საქართველოსთვის მიუღებელი იყო რუსული ცენტრალისტური ბიუროკრატია. ამის წინააღმდეგ ილაშქრებდა ქართული საზოგადოება. ბოლო საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ჰქონია, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველო თავად იყო რუსეთის გუბერნია.

რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლების შემდეგ ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა. 1918-1921 წლებში საქართველო იყო ავტონომიების მქონე უნიტარული დეცენტრალიზებული სახელმწიფო. ტერიტორიული მოწყობის საკითხის განხილვის დროს ფედერალიზმის იდეა უარყოფილი იქნა ეროვნულ-დემოკრატიების მიერ, თავიანთი პოლიტიკური მრწამსის გამო, ხოლო ფედერალის-სოციალისტები, მართალია ფედერალიზმის იდეას ემხრობოდნენ, მაგრამ მიიჩნევდნენ, რომ სანამ ერი და სახელმწიფო ძალას არ მოიკრებდა, სახელმწიფოს ფედერალური სტრუქტურირება შეიძლება ზიანის მომტანი ყოფილიყო. საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე სწორედ ამ დროს წარმოთქვა ი. ბარათაშვილმა ცნობილი სიტყვები: „მე დღეს ვუჭერ მხარს უნიტარულ სახელმწიფოს, თუმცა ფედერალისტი ვარ“. ამასთან ყველა პოლიტიკური ძალა თანხმდებოდა იმაზე, რომ განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულების არსებობა გარდაუვალი იყო. საგარეო

საქმეთა მინისტრი აღნიშნავდა, რომ ეროვნულ უმცირესობებს „ყველაფერი უნდა მისცემოდეთ, რაც შესაძლებელი იქნებოდა და რაც სახელმწიფოს არ ავნებდა“.

1921 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელშიც აღნიშნულია „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“. კონსტიტუციამ აფხაზეთს, „სამუსლიმანო საქართველოს“ (ბათუმის მხარე) და ზაქათალას მიანიჭა ავტონომია. სამწუხაროდ, საქართველოს ანექსიის გამო ამ კონსტიტუციას ამოქმედება ვერ ედირსა.

საბჭოთა ანექსიის შემდეგ საქართველოს წყობა 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციებით განისაზღვრებოდა. ამ პროცესის მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ 1921 წლის 4 მარტს შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელთანაც საქართველომ 1921 წლის 28 დეკემბერს სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო. 1922 წლის საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი საქართველოსთან დაკავშირებულია განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე. იგივე დაფიქსირდა 1927 წლის კონსტიტუციაში. მოგვიანებით აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნის საფუძველი სწორედ ის გახდა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა ეკუთვნოდა. თუმცა ეს სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რადგან 1937 და 1978 წლების კონსტიტუციით აფხაზეთი კვლავ საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად იქნა მიჩნეული, ანუ სამოკავშირეო ხელშეკრულება თავად საბჭოთა კონსტიტუციებმა გააუქმა. აღსანიშნავია, ასევე, რომ საბჭოთა კავშირთან მიერთების შემდეგ, 1922 წელს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახით კიდევ ერთი ავტონომია შეიქმნა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კვლავ გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობა და საქართველოს იურისდიქციიდან გამოვიდა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“.

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციაში ტერიტორიული მოწყობა ყველაზე ბუნდოვანი საკითხია. კანონმდებელმა საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მომავლისათვის გადადო და იგი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დაუკავშირა. თუმცა ამ საკითხის განუსაზღვრელობამ დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მომავალი ტერიტორიული მოწყობის კონტურების მოხაზვა. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი იწყება სიტყვებით: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“. როგორც წესი, კონსტიტუციაში სახელმწიფოს უნიტარულობა პირდაპირ დაწერილია სიტყვებით „უნიტარული“ ან გამოიხატება სიტყვებით „ერთიანი და განუყოფელი“. ამიტომ პირველი მუხლი სახელმწიფოს უნიტარულობას უსვამს ხაზს. მეორე მხრივ, კონსტიტუციის მე-2 მუხლის მესამე პუნქტი აცხადებს, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. ასევე, მე-3 მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროები, ერთობლივი გამგებლობა კი ცალკე უნდა განისაზღვროს. ამასთან კონსტიტუციამ ტერიტორიული ერთეულების არასრული ჩამონათვალიც მოგვცა – აფხაზეთი, აჭარა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულებიც. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ, სამომავლოდ, აფხაზეთისა და აჭარის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნება სხვა ტერიტორიული ერთეულებიც. ამ მუხლებიდან ჩანს, რომ კანონმდებელი ტერიტორიული მთლიანობის შემდეგ მინიმუმ დეცენტრალიზებულ და მაქსიმუმ ფედერალურ ტერიტორიულ მოწყობას გეგმავს, ვინაიდან უფლებამოსილებათა გამიჯვნა, ორპალატიანი პარლამენტისა და მისი ზედა პალატის - სენატის, როგორც ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა, დამახასიათებელია ფართო დეცენტრალიზაციის ან ფედერალიზმისთვის.

რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას, იგი ასე გამოიყურება: რეგიონალური ნიშნით შექმნილია სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სახრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, აქ 1993 წლიდან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განხორციელდა. რაიონები და ქალაქები ცხრა მხარედ გაერთიანდა, რომელთა უმეტესობის საზღვრები ისტორიულ საზღვრებს დაემთხვა. დღესდღეობით საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. აღნიშნული ნორმის თანახმად „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. დღევანდელი

მდგომარეობით, საქართველო შეიძლება განისაზღვროს დეცენტრალიზებულ ასიმეტრიულ უნიტარული სახელმწიფო რეგიონალიზმის ნიშნებით. მის შემადგენლობაშია ორი ავტონომიური რესპუბლიკა, რომელთაგან ვერცერთი აღიქმება ფედერაციის სუბიექტად.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, უმჯობესია საქართველო იყოს უნიტარული სახელმწიფო, ვინაიდან ფედერაციაც და კონფედერაციაც თავს მოხვეული მოდელია და გამიზნულია საქართველოს დასაშლელად. სხვათა შორის აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თანახმად, ფედერაცია და მით უმეტეს კონფედერაცია, გულისხმობს არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებად დაყოფასაც. არადა, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რადგან ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, კონფედერაცია ერთადერთი გამოსავალიაო. სინამდვილეში 2008 წლის ომი სწორედ იმ გეგმაზე იყო გათვლილი, რომ ქართულ საზოგადოებაში ამგვარი მიდგომა ჩამოყალიბებულიყო; თანაც კონფედერაციულ მოდელში მთავარი სახელწოდება კი არ არის, არამედ იქ ჩადებული პირობა, კერძოდ ის, რომ საქართველომ დე იურედ აღიაროს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა. თუკი ეს ასე მოხდება, რუსეთი ჩვენივე მემკვიდრით გადაჭრის იმ პრობლემას, რომელიც მას სადღეისოდ გააჩნია. ამიტომ ვთვლი, რომ დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მოწყობა იყოს ფედერაციული.

ლიტერატურა:

1. პიერ პაკტე, ფერდინან მელენ-სუკრამანიანი, კონსტიტუციური სამართალი, 2009.
2. მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, 2003.
3. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, 2008.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, 2014.
5. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.

ქართული ენა

ნიკო ლორთქიფანიძის ენის კოლორიტი

ნინო ბუჭუხიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასისტენტ პროფესორი

XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ნიკო ლორთქიფანიძე თავისებური მოვლენაა. მან ღირსეულად გააგრძელა ქართული კლასიკური მწერლობის დიდი ტრადიციები. მისი აზროვნება, სტილი გამორჩეულია და ნებისმიერი დიდი თუ მცირე ნაწარმოები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ნიკო ლორთქიფანიძე ისტორიული წარსულის დახატვას რეალისტური მწერლის პოზიციიდან უდგებოდა, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი მხატვრული ქმნილებანი ისტორიული არ არიან. ისინი ასახავენ მხოლოდ წარმოსახვით რეალობას, მაგრამ იმდენად დამაჯერებლად ასახავენ დროსა და მოვლენებს, რომ უკვე სრულიად დარწმუნებული ვართ მოვლენების სიმართლეში, ეპოქალური მოვლენების რეალობაში.

მწერლის შემოქმედებაში უხვადაა მოგონილი ზღაპრული მოტივები, რაც მწერლის სტილის თავისებურებით უნდა აიხსნას, სადაც წინ გრძნობებია წამოწყებული. თხზულებებში ნიშანდობლივია თავისებური გრაფიკული განლაგება, აბზაცები, სტრიქონები, გამოხატვის ინდივიდუალური მეთოდი და

სხვა. საკითხები იმის მომასწავებელია, რომ დააკვირდე და გაიაზრო, თუ რა მდიდარი პალიტრა გვიდევს წინ შესასწავლად.

ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული ენის თავისებურებათა შესწავლა აუცილებელ და ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა მივიჩნიოთ. ინტერესი კიდევ უფრო იზრდება იმიტომ, რომ მწერალი ეყრდნობა თავისი დროის სალიტერატურო ენის ნორმებს და ამავე დროს დიდ ხარკს უხდის მშობლიურ იმერულ მეტყველებას, რომელიც ასე ჭარბად ჩანს მის თხზულებებში.

ზემოიმერული მეტყველების ნიმუშები ძირითადად გვხვდება დიალოგებში, რომლებიც პირდაპირი ნათქვამის ერთ-ერთი სახეობაა. ასეთ ფორმებში გამოჩნდა სხვადასხვა დიალექტური მოვლენები. ჩვენ საანალიზოდ ავიღეთ ნიკო ლორთქიფანიძის რჩეულის I და II ტომები, რომელიც გამომცემლობა „პალიტრამ“ გამოსცა 2012 წელს. მწერლის მინიატურები და მცირე პროზა ძირითადად შესრულებულია XX საუკუნის დასაწყისში.

თხზულებებში რეგრესული ასიმილაცია ძირითადად ხმოვნებში გვხვდება.

ა-ე:

- შენ რაც დეესახლო, შენ კოდარა დედაკაცს.
- დააქადნე, დეეტიე მადანე.
- ვიფიქრე ჯერ არ გეიყოფიან.
- მე თვითონ წოულე მღვდელს მამა რომ გარდაეცვალათ.

ა-ო:

- ოუშვა ახლა მან თავისებური.
- მალლა ოუტანიათ და იქ დაუდგამთ.

და-დე:

- დევიდალე შე ოჯახქორო.
- რა დევიდალე ლაზღანდარობამ დაგღალა თუ?
- თუ დეიმალებოდა არ გეტყოდი!

წა-წო:

- თუ კაცი ხარ გოდორი წეილე!
- ბიჭო შენ ვერ წეილებ?

ზმნისწინის პირველი ხმოვანი ხან იცვლება, ხან არა:

- - გოუშვი ბიჭო შე ღმერთგამწყრალო.
- - აბა მეიფიქრე თედორე.
- - სხვა ვერავინ გამეიმეტე ბიცოლა?
- - დედაკაცო რომ წაგიგდია ენა!
- - დაუქაქანა ქალმა და საბასკენ გაიწია.
- - ჭურს თავი გაურეცხა.
- - ხელმეორედ დაუწყო რეცხვა.

ვ ბგერა იკარგვის ლექსიკურ ერთეულში:

- - ვინ არის ეს ბავში? - დამეკითხა არწივი
- - რამდენი ბავში?
- - ბავშს ხმა არ ამოუღია.
- - ასე უცქეროდა ბავშს!
- - დაუკითხა ბავში არწივს.

მწერლის თხზულებებში ხშირია ლექსიკურ ერთეულებზე ემფატიკური ხმოვნის დართვა. გვხვდება მიცემითა და ნათესაობითში:

- - ვერ გამოაჩენ შენ სიმართლესა?
- - ერთი თუნგი სპილენძისა.
- - ორი იუბკა პირკლისა.
- - სინამდვილესა ხელს ვაწერ.

მრავლობითობის საწარმოებლად ძირითადად -ებ მრავლობითობის სუფიქსია გამოყენებული:

- პატარა ღელეები იკლაკნებიან.
- - შე ღვთის გლახა დეიჯაბნე დედაკაცები?
- - მორბოდნენ ჯერ ქალები, უკან კაცები.
- - მუშტები დაიფშუტენ.

საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის ძირითადად გამოიყენება -ა და -ია ფორმანტები:

- - ლევანმა ხელი დაიბანა. ეე გლახა ჩემი მეგვარეა.

- - ვერ მივატყე, იცრუა პასიკიამ.
- - დათიკია წვერებზე შეტრიალდებოდა.
- - პასიკია განაზდა.
- -ოფოფა დაუმახა ანეტამ.
- - ღენტორია უარზე იყო.

ხშირია მწერლის მინიატურებში დიალექტური ფორმები:

- - ვერ მივატყე, რავა მოუკლიათ, ყურს მევიჭრი ცოდვა არ მომანახო.
- - გადაადვეს ყელი-ყელსა, თუმნიანი წინ დოუდვა.
- - დიდხანს არ შეცქეროდნენ.
- - გაჩერდი შეგასაწყვეტო.
- - არც მაგი ვარგა.
- - რანეირათ?
- - რაც იქნება იქნეს!

როგორც ქართულ გრამატიკებში აღნიშნულია, კავშირები განხილულია მორფოლოგიის ნაწილში, მაგრამ სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვანაირია. ცნება კავშირისა არაა გამოიჯნული მკაცრად ნაწილაკისაგან.

მაჯგუფებელი და აკავშირებს, როგორც წინადადების ცალკეულ სიტყვებს, ისე მთელ წინადადებას:

- -დათიკია ჩამოსულია და ქეიფობს.
- - ანკარა და ტკბილი ხმით შემოსდახა.

თუ კავშირი მინიატურებში ხშირია, განსაკუთრებით კი დიალოგებში:

- - დაანებე თუ კაცი ხარ გამოკითხვას თავი.
- - დოუმახებ თუ გინდა.

უკუთქმით წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირად გამოყენებულია არა, არც, არცა, ვერ, ვერც კავშირები:

- - ჩვენ ამ საქმეში იარაღით ვერ ჩავერევით.
- - ლევანი არ აჩქარებდა.
- - სიტყვას არ გადახვიდეთ, სახლიდან არ დაიძრათ.
- -არც ღულუნა მტრედი და არც ჭიხვინა ცხენი!
- - არც თავნი ვიცი და არც სარგებელნი.

მაცალკევებელი კავშირებიდან გვხვდება: ანუ, ან-ან, ანდა, თუნდ, ხან-ხან:

- - ნუ შემრისხავ, ირემი კოჭლი იყო.
- - ნუ სულელობ!
- - მიწყალე ღმერთო, ნუ შემოდიხარ!
- - ან წადი ან დარჩი!
- - ხან უთხრა, ხან შეუთვალა.

დიალოგურ მეტყველებაში ხშირად მოკვეცილია ნაცვალსახელური თანხმოვანი. მაგ.: ი მიწა, ე ბიჭი, ჩემ ბიჭს და ა.შ ასეთი მაგალითები მინიატურებში საკმაოა.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი „აქვს“ ტიპის ზმნებში ჩვეულებრივ დაკარგულია: ადგილი არა მაქ, სიგელიც გვაქ, მეტი გზა არა მაქ და სხვა.

ნენ სუფიქსის ნაცვლად ხშირად გამოყენებულია ენ:

- ისინი როგორც მოვიდენ ხის ძირში დადგენ, ასე იდგენ.
- - და სვამდენ და სვამდენ.
- - სირბილით მიეჭრენ და გაუვსეს კათხა.
- - როცა სხვები ილიმებოდენ.
- - ფარეშები შეჩერდენ.

მწერლის მთელი რიგი ნიშანდობლივი ენობრივი მოვლენების გამოვლენა მიზანმიმართულ მოვალეობად მიგვაჩნია, რომლის კვლევას მიზანმიმართულად გავაგრძელებთ.

ლიტერატურა:

1. ნ. ლორთქიფანიძე, ტ I, II თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“, 2012.
2. დ. ბენაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე 1958.
3. ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ. III, 1967.
4. ტ. კვანჭილაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, 1980.
5. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, 1982.

გიორგი წერეთლის ენის პალიტრა

ლამარა დოლიაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასისტენტ პროფესორი

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი მრავალმხრივ განვითარებული, განსწავლული ადამიანი იყო. იგი იყო ჟურნალისტი, ბელეტრისტი, კრიტიკოსი, დრამატურგი, პოეტი, არქეოლოგი და ამ ყველა დარგში თავისი წვლილი შეიტანა.

1803 წელს გიორგი წერეთელმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ თავისი მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლის კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი? - აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი, უჩვენოს იმგვარი საშუალებანი, რომლებიც საუკეთესონი არიან“ (საქართველოს მოამბე, 1863, №5).

მწერალი თავის მიერ გამოთქმულ აზრს ნათლად ასრულებდა მწერლურ შემოქმედებაში. მისი მოთხრობები და რომანები, ამ მხრივ, სამაგალითოა. იგი აგვიწერს ქართულ ყოფას, კერძოდ, იმერულს, სადაც გადმოცემულია რეალური ამბები და მოვლენები, რაც შეუფარავი რეალიზმის შესანიშნავი ნიმუშებია.

ნიშანდობლივია, რომ მისი მოღვაწეობის მრავალმხრივობა კარგად არის აღწერილი წიგნში ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბ., 2008 წელი (გვ. 572-573), სადაც სრულად არის გადმოცემული ცნობილი პიროვნების დამსახურება ქართული მწერლობის, ენის შესახებ. ენციკლოპედიაში ვკითხულობთ „დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უფლებების დაცვას, ენისა და დიალექტების ურთიერთობას, ქართული ენის გენეზისსა და მიმართულებას სხვა ენებთან, ეტიმოლოგიურ ძირებს, ორთოგრაფიული ნაშრომების მოწესრიგებას“. აქვე აღნიშნულია, რომ ის ერთ-ერთი პირველი ამოუდგა მხარში ილია ჭავჭავაძეს და მონაწილეობა მიიღო „მამათა და შვილთა“ პაექრობაში და ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. მწერალი მოითხოვდა, რომ ხალხის ცოცხალი მეტყველება გამხდარიყო ახალი სალიტერატურო ენის საფუძველი და მოითხოვდა ორთოგრაფიული საკითხების მოწესრიგებას. თუმცა თვითონ უფრო იმერულ დიალექტს იყენებდა, სამაგიეროდ უხვად შემოჰქონდა მწერლობაში ახალი ლექსიკური ერთეულები.

ჩვენი მიზანია მწერლის შემოქმედებიდან წარმოვადგინოთ ენობრივი ელემენტები, რომლებიც ძირითადად მოვიძიეთ მისი თხზულებებიდან. ესენია: ჩვენი ცხოვრების ყვავილი, მამიდა ასმათი, რუხი მგელი, პირველი ნაბიჯი (რომანი), რომლებიც დაბეჭდილია „ქართული პროზის“ მეათე ტომში, 1985 წელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი წერეთელი თავის თხზულებებში ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველია. ენობრივი თვალსაზრისით კარგად ჩანს ავტორისეული რეალიზმი, რომელიც ხალხურ მეტყველებას ეყრდნობა. მან ბევრი იღვაწა და მდიდარი ქართული ფოლკლორული სამყაროს შესწავლისა და გამოვლენისათვის, ყოველივე ეს კი კარგად გამოჩნდა მის მხატვრულ შემოქმედებაში, პუბლიცისტიკაში.

ჩვენი თემისათვის მწერლის თხზულებებიდან ძირითადად ამოვარჩიეთ ისეთი ენობრივი ერთეულები, რომლებიც იმერული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და ბუნებრივია ისინი საერთო ქართველური ძირიდან მომდინარეობენ.

მწერლის თხზულებებში გვხვდება კითხვითი ნაწილაკები, დამხმარე სიტყვები, რომლებიც სიხშირით გამოირჩევიან.

ა ნაწილაკი რამდენჯერმეა გამოყენებული, მაგალითები:

ა, ბატონო წმინდა კაცი არ არის მაგი? (გვ. 57);

ა, არ გეტკინათ და უფრო მაგრად მოუნაცვლა (გვ. 688);

ა, ბატონო თქვენ წაბრძანდით და თქვენ მოგყვებით (გვ. 375);

ა ნაწილაკი შემოუნახავს იმერულ დიალექტს და სხვა დიალექტებშიც ფიგურირებს. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს მთის კილოებში, მოხეურის გარდა კითხვის გამოსახატავად სიტყვას ანი დაესმის: არ გესმისა? (ა. შანიძე, 1980, 23).

ცნობილია, რომ მე პირველი პირის ნაცვალსახელია, მაგრამ როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია მას სხვადასხვა ფუნქცია აკისრია და მათ შორის თ. უთურგაიძე შენიშნავს, რომ იგი ნატვრითი ნაწილაკია (უთურგაიძე, 1966, 220-226).

- მე ჩემ კუდა ხმაღს ვკეკავ თავში;
- მე იმას წელები თუ არ გადმოვყრევი (გვ. 558);
- მე სამტრედიას მივდივარ;
- მე გახლავართ ნიკო მაისურაძე;
- მე სუდში ვსახურობ და სხვა (გვ. 628).

ამ ნაწილაკის შესახებ კვლავ შეიძლება მსჯელობა.

რელიეფურადაა მწერალთან ასევე ხომ ნაწილაკი, რომლის შესახებ აკაკი შანიძე წერს, რომ ხომ, ხო მომდინარეობს ჰომ/ჰოსაგან (აკ. შანიძე, 1980:609).

მაგალითები: მე ხომ ვიცი, რომ კონტრაბანდაზე დადიხარ (გვ. 585);

თქვენ ხომ არ შეგიმჩნევიათ?;

შენ ხომ არ იცი?;

რომ შეიტყოს, ხომ შენც მაგასთან გაგმაგრავენ (გვ. 668)

იმერულ დიალექტში ძირითადად დასტურდება ხომ არ, ხვარ ფორმები, რომელიც მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას უკავშირდება.

დიალოგებში ხშირად არის გამოყენებული მეთქი ნაწილაკი, რომელიც მოუბარი პირის ნათქვამის განმეორებას აღნიშნავს. ნაწილაკში დაკარგულია პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ, აგრეთვე ძირეული ვ. მეთქი ← მე ვთქვი. აღნიშნული ნაწილაკი გამოიყენება ზმნის პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმასთან, მაგალითები:

- ამ უბედურებას მალე გადამარჩინე მეთქი (გვ. 49)
- ზუმბა, როგორ გაგიტყდა მეთქი (გვ. 49)
- შენც გაგიმარჯოს ჩემო გოგია მეთქი (გვ. 52)
- ძამია ვისი ბიჭი ხარ მეთქი (გვ. 52)

სხვათა სიტყვის ნაწილაკი ო მიღებულია თქვა ზმნისაგან. ო იხმარება მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად თხზულებაში ხშირად არის გამოყენებული აღნიშნული ნაწილაკი. მაგალითები:

- მუშები ფულს ითხოვენო;
- ახალნაყიდ მამულში წასულაო;
- ვსადნიკი სასიკვდილოთ დაუჭრიათო;
- ბახვა ციხეში ჩასვაო (გვ. 518).

დიალოგები გიორგი წერეთლის მოთხრობიდან „რუხი მგელი“:

- დედა, ნეტავი ავი კაცი არ დამენახა! გულგახეთქილმა ესმამ უთხრა სალომეს დაბალი ხმით.

- რატომ, შვილო?.. ის ძალიან მოხდენილი და ჯავრიანი კაცია, ვინც უნდა იყოს ის დედა-მამა ცხონებული! უპასუხა სალომემ.

- არა, ნანაია, მაგი კარგი კაცი არ უნდა იყოს. ფირალს გავს. ასე მგონია რაცღა უბედურებას შეგვამთხვევს...

- არა, შვილო! ეგენი ვსადნიკები არიან, მოსამსახურე კაცები. მაგათში სულ ჩვენებური თავად აზნაურის შვილები არიან, პატოსანი კაცები. ცუდს რავა იკადრებენ.

- არა, ნანაია, მაგი ცუდია, ვინცღა, ცუდი!..
- შენ რა გენაღვლება, შვილო, შენ რას დაეძებ?
- ნანაია, მაგ კაცმა გლახათ ყურება დაიწყო.
- მისი თვალები ქვას, მისი არჩივი ძალღს შვილო (გვ. 478)

მწერლის ენის ლექსიკა საინტერესოა დღევანდელი თვალსაზრისითაც, იგი კარგად გვიხასიათებს თითოეული სიტყვის მნიშვნელობას არა მარტო დიალექტური თვალსაზრისით.

- ხვირჯირში ჩავდებ ჭურჭელსა მოშუპა ბადე (გვ. 415);
- მოდი ჩემო ქენქრეჯკო (გვ. 478);
- ფუჩუნით წარმოსთქვა ბახვამ (გვ. 554);
- ეწყალებოდა და უყვარდა (გვ. 370);
- ლიტონი ობოლი იყოს (გვ. 370);
- როსაფმა ჰკრა ჯლინქი მზეხას (გვ. 409);
- ბრაწი შენ საქმეს (გვ. 409) (გაწითლება).

ბევრი ლექსიკური ერთეული, რომლებიც მწერლის თხზულებებშია დადასტურებული ახსნა-განმარტებას მოითხოვს, მაგრამ ჩანს დროთა განმავლობაში მათი მნიშვნელობა შეიცვალა და სპეციალურ

დიალექტურ ლექსიკონში, მაგალითად ქეთევან მოწინიძის „ზემოიმერულ“ ლექსიკონშიც არ არის დადასტურებული.

მწერლის თხზულებებში წარმოქმნილ სახელთა მთელი ჯგუფების გამოყოფა შეიძლება, სხვადასხვაგვარია წარმოების ყალიბიც. გვხვდება, როგორც პრეფიქსული, სუფიქსური ისე პრეფიქს-სუფიქსური წარმოება:

- განიერ-მხარბეჭიანი და კაბა-გულაჯიანი (გვ. 432);
- ახლადამწვანებული წვერ-ულვაშიანები (გვ. 436);
- კბილებჩამტვრეული ხმალი (გვ. 438);
- სამარიობოდ და საგიორგობოდ გამოეწყობოდა (გვ. 470);
- ეცვა თვალეზიანი ქალამნები (გვ. 440);
- მაღალქუსლებიანი ჩექმები შინ ჰქონდა (გვ. 438).

მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ნენ-ის ნაცვლად ძირითადად გამოყენებული ენ სუფიქსი:

- მოვიდენ კიდეც კაკლის ქვეშ (გვ. 415);
- ჩამოხტენ ცხენიდან და დასდენ (გვ. 416);
- შეხურდენ დაკიდეც შეზარხოშდენ (გვ. 415);
- კალმახები ხტოდენ მინდორზე (გვ. 415);
- ქაჯები დაგვეცენ თავზე (გვ. 450).

მიგვაჩნია, რომ XIX საუკუნის ცნობილი მწერლისა და მრავალმხრივი ადამიანის გიორგი წერეთლის მემკვიდრეობის შესწავლა სადღეისოდ აუცილებელია რათა უკეთესად გამოვავლინოთ დიდი შემოქმედის ენობრივი პოზიცია, დიალექტური და ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა.

ლიტერატურა:

1. ქართული პროზა, წიგნი X, გიორგი წერეთელი, თბ., 1985.
2. აკ. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზ. 12 ტომად, ტ. II, 1980.
3. აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
4. თ. უთურგაიძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, იკე, XV, თბ., 1966.

სოფელ ქორდის ტოპონიმია

მარიამ ოქროპირიძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ვიანორ ახალაია, პროფესორი

ონომასტიკა ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს სახელის შერქმევის ხელოვნებას. იგი ენათმეცნიერების დარგია და აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს. მაგალითად: **ტოპონიმია**ს - ადგილთა სახელების შემსწავლელ მეცნიერებას; **ჰიდრონიმია**ს - მდინარეთა, წყაროების, ტბების; **ანთროპონიმია**ს ადამიანთა გვარ-სახელების, მეტსახელების; **კოსმონიმია**ს - ციურ-სახელთა; **ზოონიმია**ს - ცხოველთა სახელებს; **ეთნონიმია**ს - ხალხების სახელებს. ჩვენი ქვეყნის ონომასტიკა მრავალმხრივია საინტერესო.

ჩვენს თემში ყურადღებას გავამახვილებთ სოფელში დაცულ ტოპონიმებზე.

სოფელი ქორდი მდინარე პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზეა შეფენილი. იგი ზღვის დონიდან 880 მ-ის, ხოლო ქ. გორიდან კი 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს [4, 86].

იოანე ბაგრატიონის ცნობით, ქორდი ეკუთვნის იმ ტერიტორიას, რომელიც პატარა ლიახვით ირწყვის და გორს მიეწერება.

ქორდის მდებარეობის შესახებ უძველესი ცნობა გვხვდება მე-7 საუკუნის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში, სადაც მოცემულია მე-4 საუკუნის იბერიის აღწერილობა. ამ ნაშრომში მნიშვნელოვანი

ადგილი უკავია შიდა ქართლის გეოგრაფიულ მიმოხილვას, სადაც მოხსენებულია „დვანის ხევი, აჩაბეთის ხევი, ქორდითირიკოს ხევი, საცხუმეთი [6, 45].

მე-7 საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს ხევის მოხსენება ცხადყოფს, რომ ქორდის ტერიტორია უძველესი დროიდან ყოფილა ათვისებული და დასახლებული.

ქორდი ძველი დროიდანვე იყო მცხეთის საკათალიკოსო საყდრის კუთვნილება.

მე-15 საუკუნეში სოფელი იხსენიება მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში. არსებობს იმის დამადასტურებელი დოკუმენტებიც, რომ ეკლესიის გარდა ქორდში მამულებს ფლობდა სამეფო კარიც. იყო ხშირი შემთხვევებიც, როდესაც სამეფო კარი მიწებს თავისი ყმა-გლეხებით ეკლესიას სწირავდა. ქორდში ყმა-მამულებს ფლობდნენ ქსნის ერისთავები. ქსნის ერისთავების გარდა ქორდში მე-17 საუკუნის დასაწყისში, ყმა-მამულს ფლობდნენ არაგვის ერისთავებიც. უკვე მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან ქორდში ახალი მებატონეები გედევანიშვილები ჩნდებიან.

ტოპონიმიური ტერმინოლოგია ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია. ქართული ტოპონიმის შეგროვებასა და შესწავლას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. პირველი ცნობები ტოპონიმის შესახებ შემონახულია ძველ საისტორიო წყაროებში, რომლებიც V-XI და XII-XVIII სს. განეკუთვნებიან. საკუთრივ ტოპონიმთა ცნობების შემცველი გეოგრაფიული ნაშრომი საქართველოში XVIII საუკუნის შუა წლებიდან გვაქვს, საუბარია შესანიშნავი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1770) ბრწყინვალე წიგნზე „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ [5, 134-135]. როგორც ყველას კარგად მოგვეხსენება, მან თავისი ფეხით შემოიარა მამინდელი საქართველოს ყველა კუთხე და მათი აღწერილობა მოგვცა.

ტოპონიმები წარმოშობილია უშუალოდ, ადამიანთა ურთიერთობის პროცესში. ხშირად სახელი ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს სტიქიურად, პირველად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შერქმევია. რატომ დაერქვა ამა თუ იმ საგანს ესა თუ ის სახელი? ეს კითხვა ადამიანს ყოველთვის აწუხებდა და პასუხის გაცემასაც ყოველთვის ცდილობდა. ამ მხრივ ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს სოფელ ქორდის ტოპონიმები, პირველ რიგში კი, სოფლის სახელწოდება. ჩვენ პატარა გამოკითხვა ჩავატარეთ და გავესაუბრეთ სოფლის მოსახლეობას, რომლებმაც ასეთი რამ გვითხრეს სოფლის სახელწოდების შესახებ: ის ადგილი, სადაც ამჟამად სოფელია გაშენებული, ადრე უკაცრიელი და ტყით დაფარული ყოფილა, სადაც ბუდობდა ბევრი ქორი. დროთა განმავლობაში ეს ტყე გაუჩეხავთ და აქ სოფელი გაუშენებიათ. ქორის სიმრავლის გამო სოფლისათვის ქორდი უწოდებიათ. მიგვაჩნია, რომ ამ ვარაუდს რაიმე მეცნიერული დასაბუთება არ მოეპოვება; აუხსნელია, როგორ მივიღეთ ქორისგან ქორდი. სოფლის სახელწოდების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროფესორი გიორგი სოსიაშვილის ნაშრომი „პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (ქორდი)“, რომელშიც მკვლევარს ციტატა მოჰყავს პროფ. გიორგი ჯალაბადის გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან: „იმ დროს, როცა ვახუშტი ბატონიშვილს ქართლის, კერძოდ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები აღუწერია და მისი ექსპედიციის რომელიმე შემადგენლობას ეს საქმე გაუკეთებია, ეს აღწერა უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა საქართველო, კერძოდ, ეს მხარე მოოხრებულ-დანგრეული იყო და სოფელი სოფლის ალაგს აღარ იდგა. ნასახიც ალბათ ძნელი შესამჩნევი გახდებოდა, რადგან ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ სახლად მიწური ბინები, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ადამიანი თუ მეტად არ დააკვირდებოდა ნგრევის შემდეგ სოფელს, იმავე ალაგს ვეღარ მიაგნებდა. ხომ არ შეიძლება სოფელი ქორდი ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყოს, მაშინ, როცა ვახუშტიმ, თუ მისმა ექსპედიციამ ამ მხარის აღწერა აწარმოვეს. ეს მდგომარეობა მოსალოდნელია, რადგან სოფელი, სადაც ქორდია გაშენებული, წინათ უნდა ყოფილიყო ტყით დაფარული და, სახელი ქორდიც, სიტყვა კორდის სახესხვაობად უნდა ვიგულისხმოთ. კორდი ამბობს საბა, უნამუშავარი მიწა, და მართლაც, ეს მოსალოდნელია...“

ამრიგად, სოფელი ქორდის დღევანდელი სახელი კორდიდან ნაწარმოები სახელია, მაგრამ საინტერესოა როდიდან მოსდევს ეს სახელი სოფელს“ [2, 15-16].

პროფესორ გ. ჯალაბადის მიერ კორდის და ქორდის მსგავსებაზე ხაზგასმამ ენათმეცნიერულად ასე აიხსნება: ფონეტიკური პროცესების შედეგად უკანაენისმიერი, ხშული, ყრუ მკვეთრი თანხმოვანი გადაიქცა ყრუ ფშვინიერად და ფონეტიკური ფაქტორების შედეგად მივიღეთ კ → ქ კორდი → ქორდი.

ისიც საინტერესოა, თუ რატომ უნდა დაერქმიათ სოფლისათვის კორდი, რომელიც საბას განმარტებით უნამუშავარო მიწას ნიშნავს, ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს ტერიტორია ძველი დროიდანვე იყო ათვისებული და მდინარე პატარა ლიახვი სოფლისათვის ყოველთვის კარგ სამოსავლო პირობებს ქმნიდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ამ ტერიტორიის ათვისებას, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ექსპედიციის ქართლში მოგზაურობის დროს ეს სოფელი ისე იყო განადგურებული მტრის შემოსევების შედეგად, რომ სწორედ დაუსახლებელ უნამუშავარო ადგილს ჰგავდა.

სოფელში გვხვდება არაერთი ტოპონიმი, რომელიც ლექსიკურად ენის ერთეულია, გრამატიკულად საკუთარი არსებითი სახელი. ტოპონიმიკა, როგორც ვიცით, შეისწავლის ადგილთა სახელწოდებებს. წარმოქმნის თვალსაზრისით ქორდის ტოპონიმები სამ ძირითად ჯგუფად იყოფიან: 1. მარტივი, 2. აფიქსური და 3. რთული (სიტყვაშეერთებით ნაწარმოები ანუ თხზული) სახელები. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სოფლის სახელწოდებაზე. ქორდი საკმაოდ პატარა სოფელია, იგი იყოფა უბნებად, უფრო ზუსტად, სამ უბნად:

ზემო უბანი,

შუა უბანი,

ქვემო უბანი.

ზემო უბანს **ჯალაბაძეების უბანსაც** უწოდებენ, რადგან აქ ძირითადად ჯალაბაძეების გვარი ცხოვრობს.

ქვემო უბანში გამოიყოფა კიდევ ქვეუბნები მაგ.:

ხაჩიურების უბანი - ამ უბანში მეტწილად ხაჩიურები სახლობენ, სწორედ ამიტომ უწოდეს ეს სახელი.

ჯიბრიათი უბანი - დაურქმევიათ იმის გამო, რომ იქ მოსახლე ხალხი ერთმანეთის ჯიბრით ყიდულობდნენ რაიმე ნივთს.

ნამალადევი - ეწოდება უბანს, ერთ პატარა დასახლებას, რომელიც მდებარეობს მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე ამაღლებულ ბეგზე, უბანი საკმაოდ კარგი მდებარეობით გამოირჩევა სხვა უბნებისაგან, სწორედ ამის გამო დავა ჰქონდათ სოფლის მოსახლეობას, მათ სასახლკარე ადგილები ძალით აუღიათ, აქ აუშენებიათ სახლები, სწორედ ამიტომ, ამ უბნისათვის ნამალადევი უწოდებიათ.

ბაზიაურები - ეწოდება სახნავ-სათეს მიწებს. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია აუხსნელია, არ ვიცით, თუ რატომ დაერქვა ეს სახელი.

კარვენახი ეწოდება მიწებს, რომლებიც საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარეობს.

ლარები ჰქვია სახნავ-სათეს მიწებს, სოფლის განაპირას. ამ მიდამოებში ლარით სწორი ნაკვეთებია. სწორედ ამიტომ, ამ მიდამოებს ლარებს ეძახიან. ეს ტოპონიმი ნაწარმოებია -ებ სუფიქსისაგან, ეს სუფიქსი საკმაოდ პროდუქტული ჩანს ქორდის ტოპონიმიაში. -ებ სუფიქსი დაერთვის, როგორც მარტივ და წარმოქმნილ ფუძეებს, ისე სიტყვათშეერთებით მიღებულ (რთულ) გეოგრაფიულ სახელებს.

მინდორი - ადგილი სოფლის ბოლოში, სადაც მოსახლეობამ ამჟამად ხეხილის ბაღები გააშენა. რამდენიმე წლის წინ ამ ადგილას ცარიელი ველი იყო, არ იდგა არანაირი ხე, ამიტომ ამ ადგილებს მინდორი დაერქვა. წლების შემდეგ იმის მიუხედავად, რომ ამ ადგილას ხეხილის ბაღები გაშენდა, ადგილს სახელი მაინც იგივე შემორჩა.

ნალიზევი - ადგილია, სადაც ადრე ალიზის შემცველი მიწა იყო და ამ მიწით სოფლის მოსახლეობა სახლებს აშენებდა. დღეს, ამ ადგილს ნალიზევს ეძახიან. ეს ტოპონიმი ნაწარმოებია წინავითარების მაწარმოებელი ნა-არ პრეფიქს-სუფიქსის დართვით.

ნავენახარი - ადგილია, სადაც ადრე მოსახლეობას ვენახი ჰქონდა გაშენებული, შემდგომ ეს ვენახი გაუჩხვავთ და ამ ადგილისათვის ნავენახარი უწოდებიათ. ეს ადგილი დღესაც იმავე სახელწოდებას ატარებს. ტოპონიმი ნაწარმოებია ვენახ ფუძეზე ნა-არ პრეფიქს-სუფიქსის ანუ ცირკუმფიქსის დართვით და აღნიშნავს წინა ვითარების სახელს.

ნამგალაური - ადგილია სოფელში, სადაც ხეხილის ბაღებია გაშენებული. ნაწარმოებია სახელზე - ურ სუფიქსის დართვით.

ნახახვარი - სახნავ-სათესი მიწებია. კოლმეურნეობის დროს ამ ადგილას სოფლის კოლმეურნეებს ხახვი ეთესათ, სწორედ ამიტომ, უწოდეს ამ ადგილს ნახახვარი. უფრო ადრე კი ამ ადგილს მუხიმინები ეწოდებოდა, რადგან ამ ტერიტორიაზე მდგარა სამი დიდი მუხის ხე. **ნახახვარი** ეს ტოპონიმი ნაწარმოებია პრეფიქს-სუფიქსის დართვით. პრეფიქსად ამ ტოპონიმში გამოყენებულია წინა ვითარების ამსახველი ელემენტი ნა-, ბოლოსართად კი -არ. ამ პრეფიქსის დართვით წარმოიქმნება წინავითარების აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები. ნა- პრეფიქსიანი მიკროტოპონიმები ძირითადად სამეურნეო ხასიათის ტოპონიმები არიან. წინავითარების ამსახველი ტოპონიმები სოფელში საკმაოდ მრავლადაა. რამდენიმე მათგანი ჩვენ უკვე ზემოთ დავასახელეთ.

ნაჭაობარი - ეწოდება ადგილს, სადაც ჭაობი იყო. ნაწარმოებია ჭაობ ფუძისაგან ნა-არ პრეფიქს-სუფიქსის დართვით. ესეც გახლავთ წინავითარების აღმნიშვნელი ტოპონიმი.

ნაჭარხლარი - ადრე ამ ადგილას ჭარხალი მოჰყავდათ, სწორედ ამიტომ, დღეს ნაჭარხლარს ეძახიან. ეს ტოპონიმი ნაწარმოებია ნა-არ პრეფიქს-სუფიქსის დართვით და აღნიშნავს წინა ვითარების სახელს.

სასაფლაოები - ეწოდება იმ ტერიტორიას, რომელიც სოფლის სასაფლაოს ახლოსაა, აქ გაშენებულ ბაღებს სასაფლაოების ბაღებს უწოდებენ.

ქოჩორები - ეწოდება იმ ადგილს სადაც ხეხილის ბაღებია გაშენებული. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია აუხსნელია.

ქვიანა - ქვიანი ადგილი სოფლის ბოლოს. მიწის დამუშავების დროს აქ ბევრი ქვა ხვდებოდათ, სწორედ ამიტომ უწოდეს ქვიანა. (-იან-ა) ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია და მისგან სოფლის არაერთი ტოპონიმია ნაწარმოები.

ყორღები - ეწოდება სახნავ-სათეს მიწებს, სადაც უხეში და ძნელად დასამუშავებელი მიწაა.

წყალწაღებული - დაურქმევიათ იმის გამო, რომ ეს ადგილი ხშირად რუს ადიდების დროს სულ გადაურეცხავს წყალს და დაუფარავს.

ჭალა - ადგილი სოფლის მარცხენა ნაპირზე, ლიახვის პირას. ძველად ამ ადგილას მუხრანი ყოფილა, შემდეგ დროთა განმავლობაში მოსახლეობამ ეს მიდამოები გაჩეხა და ხეხილის ბაღები გააშენა. ეს მიდამოები ხშირად დატბორილა ლიახვის ადიდების დროს.

როგორც დავინახეთ, წარმოდგენილ ტოპონიმთა საწარმოებლად ყველაზე პროდუქტულია ნა-არ პრეფიქს-სუფიქსი, რომლის მეშვეობითაც ნაწარმოებია არაერთი წინავითარების აღმნიშვნელი ტოპონიმი.

როგორც უკვე ვიცით, გეოგრაფიული სახელების ძირითადი ფუნქცია ამა თუ იმ ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ობიექტის აღწერა დახასიათებაა. გეოგრაფიულ სახელებში მდიდარი ინფორმაციაა დაცული. აქ აღნიშნულია ობიექტების არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (სერი, რუხი, ნაჭაობარი, ნავენახარი და ა. შ.), არამედ მისი კუთვნილება-წარმომავლობაც. ობიექტის შედარებით სრული დახასიათებისათვის ენამ სიტყვაშეერთების გზა აირჩია, რადგან ობიექტის უფრო ზუსტ და სრულ დახასიათებას ორსიტყვიანი სინტაგმა (მსაზღვრელ-საზღვრული) გვაძლევს. სინტაგმის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სახელი, ხოლო მეორე კომპონენტს კი ნომენკლატურული (გეოგრაფიული) ტერმინი: მთა, ქედი, ბეგი, უბანი, წყარო და სხვა. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ტოპონიმს:

ბარბარების ბაღი - ეწოდება იმ ტერიტორიაზე გაშენებულ ბაღებს, რომლებიც სოფლის სალოცავის ბარბარეს ახლო მიდამოებში მდებარეობს.

რუსი ბეგები - ეწოდებოდა ადგილს, რომელიც სოფლის ბატონს, მიშა გედევანიშვილს უჩუქებია თავისი მსახურისათვის, ამიტომაც ეძახდნენ რუსის ბეგებს. დღეს ამ ადგილს, მხოლოდ, ბეგებს ეძახიან, ამ მიდამოებში კი უკვე სახლებია გაშენებული.

რუხი მიწები - ადგილი სოფელში, სადაც რუხი მიწაა, სწორედ მიწის ფერის გამო მოიხსენიებენ ამ სახელით.

გვხვდება ტოპონიმებიც რომლებიც ნაწარმოებია სუფიქსების დართვით მაგ.: **ქინძიანები** - დაერქვა ადგილს, სადაც იყო გარეული ქინძი. დღეს ამ ადგილებში სოფლის ხეხილის ბაღებია გაშენებული.

ქვაკირა - ეს ტოპონიმი ნაწარმოებია ორი სიტყვის შეერთებით. ადგილს ეს სახელი დაერქვა იმის გამო, რომ აქ ქვიანი და კირივით მიწაა.

ქვახიდები - ეს ტოპონიმი მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით ანუ თხზვით. ეწოდება სახნავ-სათეს მიწებს, რომლებიც სოფლის განაპირასაა, ამ ადგილას ქვისაგან გაკეთებული ხიდები ყოფილა, ამიტომ ამ მიდამოებს ქვახიდები დაერქვა.

ციხიმიწები - ქორღში არსებული ციხის გარშემო არსებულ ტერიტორიას ამ სახელს ეძახიან.

სოფელში გვხვდება ჰიდრონიმებიც. წარმოქმნის თვალსაზრისით ტოპონიმების მსგავსად გვაქვს **მარტივი, წარმოქმნილი და სიტყვაშეერთების** გზით მიღებული ჰიდრონიმები. როგორც ჩვენ უკვე არაერთხელ ვახსენეთ, სოფელში მოედინება მდინარე **პატარა ლიახვი** - რომელიც სათავეს იღებს გუდისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2920 მეტრზე. სიგრძე 65 კილომეტრი, აუზის ფართობი 513 კვადრატული კილომეტრი, ერთვის დიდ ლიახვს სოფელ შერთულთან.

დიცურა - სარწყავი რუ, რომელიც სოფელში მოედინება, ეს რუ სოფელ დიცში ჩაედინება და ამიტომ უწოდეს დიცურა. ჰიდრონიმში საწარმოქმნო საშუალება არის -ურ-ა სუფიქსი.

ოთათხები - სარწყავი რუ, რომლითაც ირწყვის სახნავ-სათესი მიწები. აუხსნელია თუ რატომ ეწოდა ამ რუს ეს სახელი.

სოფელში ორი წყაროა:

ზემო უბნის წყარო - ეძახიან იმის გამო, რომ ზემო უბანშია.

ქვემო უბნის წყარო - ეს წყარო სოფლის ერთ-ერთ უბანში, კერძოდ, ქვემო უბანში მდებარეობს და ამ წყაროთი ძირითადად ქვემო უბნის მოსახლეობა სარგებლობს.

წისქვილის წყალი - ლიახვიდან გამომდინარე წყალია, რომლითაც წისქვილი მუშაობს, ამიტომ უწოდებენ წისქვილის წყალს. ეს ჰიდრონიმი მიღებულია სიტყვაშეერთების გზით. იგი მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის გეოგრაფიული სახელია. მსაზღვრელად არსებითი სახელი გვაქვს, ხოლო საზღვრულად კი ჰიდრონიმული საზოგადო ტერმინი წყალი.

ჩვენ წარმოვადგინეთ სოფელში დაცული ტოპონიმების მხოლოდ გარკვეული ნაწილი. ვეცდებით, კვლავაც გავაგრძელოთ კვლევა ამ მიმართულებით და ბევრი საინტერესო მასალა შემოგთავაზოთ, რითაც გარკვეულ წვლილს შევიტანთ ჩვენი სოფლის ტოპონიმის კვლევაში.

ლიტერატურა:

1. ჟორდანიას თ., ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897.
2. სოსიაშვილი გ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (ქორდი), თბ., 2007.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986.
5. ლლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
6. ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986.

მეტსახელები სოფელ სკრაში

სოფიკო ოქროშიაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიორგი გოგოლაშვილი**, პროფესორი

სოფელი სკრა გამორჩეულია მეტსახელების მრავალფეროვნებით. ინდივიდების უმრავლესობას აქვს შერქმეული სახელი. მისი ავტორები უმეტესად სოფლის მცხოვრები მოსახლეობაა. მეტსახელები შერქმეულია კლასელების, მეგობარ-ამხანაგების, ოჯახის წევრების, მეზობლების მიერ. დროთა განმავლობაში ესა თუ ის შერქმეული სახელი მკვიდრდება ინდივიდის სახელად ან დავიწყებას ეძლევა.

როგორც ალ. ლლონტი წერს, „ქართულ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ადამიანისათვის მეტსახელის შერქმევა, რაც დღესაც არ მისცემია დავიწყებას. მეტსახელის შერქმევისას, უწინარეს ყოვლისა, მიზანში იღებენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, ფიზიკურ გარეგნობას. ამიტომ აქ გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი ჰქონდა. მეტსახელს მთის კილოებში თიკუნს, სალიტერატურო ენაში - ფსევდონიმს ეძახიან.

მეტსახელი, ანუ თიკუნი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი. ზოგჯერ ადამიანს მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე ნამდვილი სახელით“ (ლლონტი, 1988, გვ. 177).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეტსახელები კაცების უმრავლესობას აქვს, თუ ქალს აქვს მეტსახელი, ეს ჩვეულებრივ მოფერებით-ალერსობითი სახელია (იხ. ციციქა).

მეტსახელის შერქმევა უძველესი დროიდან მოდის. ისტორიაში არაერთი ასეთი შემთხვევაა ცნობილი. მეტსახელებს არქმევდნენ ხასიათის, დამსახურების მიხედვით, საქართველოს ისტორიიდან ცნობილია გიორგი მეხუთე ბრწყინვალე, მისი მამა მეფე დემეტრე მეორე თავდადებული, დავით აღმაშენებელი, რუსეთის მეფე ივანე მრისხანე, იმპერატორი პეტრე პირველი დიდი, მურვან ყრუ და ა.შ.

სოფელ სკრაში მეტსახელებად აღებულია როგორც გარეგნობის აღმნიშვნელი და ხასიათის გამომხატველი სახელები, ისე სიტყვები, რომლებსაც გაურკვეველი მნიშვნელობა აქვთ.

ადამიანის გარეგნობის მიხედვით შერქმეული მეტსახელები საკმარისი რაოდენობით არის წარმოდგენილი სოფელში:

ბეკეკა:

ეს მეტსახელი შერქმეული აქვს ძალიან ხვეული, ხუჭუჭი თმის გამო, შეარქვეს სკოლის პერიოდში და დღემდე ამ სახელით იხსენიებენ;

ბურთა:

არის ტანდაბალი და დამრგვალებული კაცი, საკუთარი სახელით მიმართვასთან ერთად, მეტსახელითაც მიმართავენ. მართალია საკუთარ თავს ამ მეტსახელით არ მოიხსენიებს, მაგრამ ბრაზსაც არ გამოხატავს მეტსახელით მიმართვისას;

გაიზღება:

პატარა აღნაგობის გამო ზრდასრულ ასაკშიც კი, მისი წლოვანება უკვირდა ხალხს, მისი მშობლები და ნათესავები ამით დაინტერესებულ პირებს პასუხად სცემდნენ „გაიზდებაო“ და ასე შეერქვა ეს მეტსახელი;

გარინჩა:

მეტსახელის შერქმევისას ყურადღება გამახვილებულია სიკოჭლეზე და არა იმაზე, რომ ფეხბურთს კარგად თამაშობდა, მას ყველა ამ მეტსახელით იცნობდა და საკუთარ თავსაც მეტსახელით მოიხსენიებდა;

კურკა:

გარეგნული მხარის აღსანიშნავად შერქმეული მეტსახელი, მიმართვისას პიროვნების გაღიზიანებას არ იწვევს - როდესაც ახლო მეგობრები მიმართავენ, სხვა შემთხვევაში შეიძლება ბრაზიც გამოხატოს. არის ტანდაბალი და გამბდარი, მეტსახელი მეგობრების მიერ არის შერქმეული;

ნემსა:

მეტსახელი შეარქვეს ახლობლებმა, რადგან არის მაღალი და ძალიან გამბდარი აღნაგობის, საკუთარ თავს ამ სახელით არ მოიხსენიებს, თუმცა წყენას არ გამოხატავს ამ მეტსახელით მიმართვისას;

პელე:

მეტსახელი შეარქვეს ფეხბურთელ პელესთან გარეგნული მსგავსების გამო, იყო ძალიან შავგვრემანი. სოფლის მოსახლეობა ამ სახელით იცნობდა, ბევრმა დღესაც არ იცის მისი საკუთარი სახელი;

ყარყატი:

გარეგნულად ეს ადამიანი არის მაღალი, გრძელი კისრით და ვიწრო თავით, ხალხმა ის მიაჩნდა ყარყატს და ამის გამო შემორჩა ეს სახელი. საკუთარ თავს ამ მეტსახელით არ მოიხსენიებს და ხალხიც თავს იკავებს, რომ მეტსახელით მიმართოს;

ყვავი:

არის ყვავივით შავი, შავგვრემანი, მასაც მეტსახელით ახლობლები უფრო მიმართავენ, ვიდრე სრულიად სოფლის მოსახლეობა;

ჩიკორა:

მეტსახელი შერქმეულია ადგილობრივი მოსახლეობის, ახლობლების მიერ, გარეგნულად არის დაბალი და ჩაფსკვნილი, მიაჩნდავს ჩიკორს. მეტსახელით მიმართავენ და ბრაზსაც არ გამოხატავს, თუმცა უცხო ადამიანებთან საკუთარ თავს ამ მეტსახელით არ წარადგენს;

ჩინგისხანი:

არაქართული შესახედაობით და მონღოლური იერით ჰგავს ჩინგისხანს, კლასელებმა და ამხანაგებმა შეარქვეს ეს მეტსახელი, რომელიც მისთვის მისაღებია, საკუთარი სახელით თითქმის არავინ არ მოიხსენიებს;

ჩორნა:

აგრეთვე არის ძალიან შავგვრემანი, მეტსახელით ცნობს სოფლის მოსახლეობა და მიმართავს კიდეც;

ციცქნა:

ეს მეტსახელი ეკუთვნის ქალს, რომელიც დაიბადა ძალიან პატარა, მშობლები მოფერებით ამ სახელს ემახდნენ და ზრდასრულობაშიც შემორჩა;

წკეპლა:

არის ძალიან გამბდარი, წკეპლასავით წვრილი, მიმართავენ მეტსახელით;

წრიპა:

აგრეთვე პატარა, გაწრიპული. მეგობრები მიმართავენ და მოიხსენიებენ ამ სახელით და ბრაზსაც არ გამოხატავს, მაგრამ საკუთარ თავს მეტსახელით არ ცნობს.

წოწოლა:

ასევე არის გამბდარი, და ამასთან ერთად მაღალი და აწოწილი. სოფელში თითქმის ყველა წოწოლათი მოიხსენიებს და მისთვის ეს უხერხულობას არ ქმნის;

სოფელში ვხვდებით ხასიათის მიხედვით შერქმეულ მეტსახელებს, ასევე პროფესიის ან რაიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით შერქმეულ მეტსახელებსაც;

ბათქაშა:

პროფესიით არის მღვსავი, მებათქაშე და ამ პროფესიის მიხედვით შეარქვა ხალხმა ეს მეტსახელი. სოფელში მეტსახელით იმდენად არის ცნობილი, რომ საკუთარ სახელს არავინ ემახის. მიუხედავად იმისა, რომ გათავისებული აქვს ეს მდგომარეობა, საკუთარ თავს მეტსახელით მაინც არ მოიხსენიებს;

ბოგირა:

ბოგირით მყარი, მტკიცე და ჯიუტი ხასიათის მქონე ადამიანი, სახელი, სავარაუდოდ მშობლების მიერ არის შერქმეული. ამ მეტსახელს თავად არ აღიარებს და მიმართვისას ბრაზს იწვევს;

ბაჩულა:

ძალიან რბილი და მიაშიტი ხასიათის მქონე;

ბაჭია:

ეს მეტსახელი გვხვდება როგორც კაცის, ისე ქალის მეტსახელად, მოტივი საერთოა, შერქმეულია ბავშვობის ასაკში, კნინობით-ალერსობითი ფორმით. მათ ამ მეტსახელით მიმართავენ ნათესავები, მეგობრები და ახლობლები, რაც მათთვის მისაღებია. სოფელში თითქმის თანაბარი ოდენობით გამოიყენება მათი როგორც საკუთარი სახელები, ასევე მეტსახელებიც;

გაფთხა:

არის დამფრთხალი და დაუდევარი ხასიათის მქონე ადამიანი. მეტსახელით მიმართავენ ახლობლები, თუმცა თავს საკუთარი სახელით ცნობს;

დუდუკა:

მისი ხმის ტემბრი ძალიან ხმაურიანია, იმდენად კამათით და ჩხუბით მოსაუბრეა, რომ ხალხმა დუდუკის ხმას შეაღარა. სოფლის მოსახლეობა მოიხსენიებს როგორც მეტსახელით, ასევე საკუთარი სახელითაც, რაც მისთვის პრობლემას არ ქმნის;

ნადველა:

არის ძლიან „მწარე“ ენის მქონე ადამიანი;

პიტალო:

არის ჯიუტი და გაუტეხელი ხასიათის მქონე ადამიანი, საკუთარ თავს ამ სახელით არ მოიხსენიებს და არც მოსწონს, როდესაც მეტსახელით მიმართავენ;

სუფთა:

არის მოწესრიგებული და საქმის სუფთად შემსრულებელი ადამიანი;

ყვარყვარე:

ცვალებადი ხასიათის კაცია, არამყარი პოზიციის, ხასიათით ამსგავსებენ პერსონაჟ ყვარყვარეს;

ჭიმა:

არის ტრაბახა, „იჭიმებაო“, რომ იტყვიან ხოლმე. ეს მეტსახელი ერქვა მამას და გარდაცვალების შემდეგ შვილზეც გადავიდა. ნაწილი მოსახლეობისა მეტსახელით მიმართავს, ნაწილი - საკუთარი სახელით.

სოფელში ასევე გვხვდება მეტსახელები, რომლებიც დაერქვათ ბავშვობაში სიტყვის დამახინჯებულად წარმოთქმის გამო. ასეთი შემთხვევით შერქმეული მეტსახელი ორი გვხვდება:

ბალაბა:

ბავშვობაში ძმის სახელი „მერაბა“ წამოთქვა, როგორც „ბალაბა“;

დახა:

უჭირდა მეტყველება, გაკვეთილზე ლექსის თქმის დროს უნდა წარმოეთქვა „სტალინს დიდება!“ და წარმოთქვა „ნტა ნტა დახა“. აქედან წამოვიდა მისი მეტსახელი.

გარდა ამისა, გვხვდება აჩემებული სიტყვების მიხედვით შერქმეული მეტსახელებიც: **ანტრი, ტაგდა, უჟე.**

გვხვდება გაურკვეველი შინაარსის, გაუმჭირვალე მეტსახელებიც, რომელთა შინაარსი ნათელია, მაგრამ დარქმევის მოტივაცია გაურკვეველი:

ალელა, ბოინა, ბოტოშა, ბუცუცა, ბლუჯია, დაკალო, ვაწაპია, ზონე, მუხათა, ნაწურა, პანჩი, პაჭალა, პეპო, პიოჩა, სრუტა, ტულო, ტუხო, ფამფალა, ქამქამა, ღიღო, ჩახა, ცავე, ცაკა, ცუცუნა, ჭიაო, ჭიკო, ჭიღორა, ჭუკრია, ხუზო.

ასევე არის არაქართული სიტყვებით შერქმეული მეტსახელებიც:

აბაზა, ახპერა, პრაკოლა.

ლიტერატურა:

1. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1988.

ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში

ნათია ოქრუაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მარიამ კობერიძე, პროფესორი

სხვადასხვა ენაში, გარდა სიტყვათა ვრცელი მარაგისა არსებობს, ისეთი მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა.

„ენის ექსპრესულ შესაძლებლობათა საგანძურში გვაქვს სემანტიკური სიტყვათშეერთებანი, რომლებითაც გადმოცემულია გარკვეული მოკვეთილი აზრი, მისი ნაწილი ან შეგონება. ამისთანა სიტყვათშეერთებას ფრაზეოლოგიური ერთეულები ანუ ფრაზეოლოგიზმები ჰქვია. ფრაზეოლოგიურ შეხამებად ითვლება: იდიომები, გამოცანები, ფრთოსანი სიტყვები და გამოთქმები“ (ლლონტი, 1964: 77).

იდიომი, როგორც ენობრივი ფაქტორი, ძალზე რთული მოვლენაა ენაში, ამიტომაც არის, რომ იგი დღემდე იწვევს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას.

ა. თაყაიშვილის „ფრაზეოლოგიის ძირითადი საკითხებში“, რომელიც დღესაც ითვლება ქართული ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომად, იდიომი განიმარტება შემდეგნაირად: „იდიომი არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს“ (თაყაიშვილი, 1961: 40).

არსებობს მოსაზრება, ტერმინი „ფრაზეოლოგიზმი“ შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იდიომებს. იდიომატური გამოთქმები წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების ერთადერთ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს“ (თაბუაშვილი, 2011: 76).

ვფიქრობთ, რომ ენის მეცნიერული კვლევისათვის ფრაზეოლოგიზმების დიალექტური მასალის საფუძველზე შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ადამიანის სულიერი მდგომარეობის ამსახველი ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ მრავალფეროვნებასა და ნიუანსებს ქართული დიალექტის მიხედვით. საანალიზოდ ვიყენებთ, როგორც ჩვენ მიერ მოპოვებულ, ისე „ქართული დიალექტის ლექსიკონიდან“ ამოკრეფილ მასალას. ფრაზეოლოგიზმებზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება, თავმოყრა და გაანალიზება ხელს შეუწყობს ქართული დიალექტის ლექსიკის კიდევ უფრო წარმოჩენასა და არ დავიწყებთ.

ადამიანის სულიერი მდგომარეობის აღმნიშვნელი ქართული ფრაზეოლოგიზმების შესწავლა წარმოაჩენს ამ კუთხის ხალხთა დამოკიდებულებას ადამიანის ჯანმრთელობასთან, განწყობილებებთან, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან. ქართულში ფრაზეოლოგიზმებით შეგვიძლია გამოვხატოთ მეტად მრავალფეროვანი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ადამიანთა სულიერი მდგომარეობა, რომლებიც ზრდიან ენის ექსპრესიულობას. მაგ.:

ადამიანის შიშის, შეწუხების, უმწეო მდგომარეობის გადმოცემია ფრაზეოლოგიზმები: „გული უღელავს“ – ეშინია, „გულზე ადგას“ – აწუხებს; „მდუღრით არის“ – ძალიან მწუხარია, „ანწყობ უხელია თვალები“ – სული ძლივს უდგას; „მთავარი მცნება დაეკარგება“ – გონებას დაკარგავს, „ერთი ხმა ზეცასა აქვს მეორე ქვესკნელსა“ – ძალიან ხმამაღლა ტირის (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981:140, 137, 277, 36, 279, 205). „გულის ადგილი აღარ აქვს“ – შეწუხებულია (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

უხასიათოდ ყოფნის, სევდის, უიმედობის გადმოცემია ფრაზეოლოგიზმები: „გული წკმენტავს“ – ცუდ გუნებაზეა; „გული ებღალება“ – გული უწუხს, „გულს შეიბედენავენს“ – იმედს დაკარგავს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე: 1981: 142, 138).

სიბოროტე, შურია ასახული ფრაზეოლოგიზმებში: „შენი ფეხი დალოდებულა“ – წყევლაა, „სოპად ამოდი“ – წყევლაა; „თვალებში მატლი ამოსდის“ – შურს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 137,382.) „თვალებიდან ვეძა ამოსდის“ – შურს (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

ადამიანის სულიერი სიმტკიცის, სულიერი გამოცოცხლების გადმოცემია ფრაზეოლოგიზმები: „ქვიდან ქვას ამოიღებს“ – შეუძლებელს შეძლებს; „გულს გადაიგრილებს“ – დარდს გადაიყრის; „გულს დაჰყრის“ – გულს დაუღებს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 421,141, 142.).

სიყვარული, სიკეთე ასახული შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: „გულზე აბია“ – ძალიან უყვარს; „ჯიგარს დაჰყრის ვინმეზე“ – შეუყვარდება; „შენ დაგეწამლე“ – შენ გენაცვალე, „თეთრად შენი სარეცხი“ – საალერსო მიმართვაა; „თქვენი ვარდი გეფინოთ“ – ეტყვიან სასიამოვნო ამბის მთქმელს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 137, 530, 158, 220, 225). „შენ დაგენაყე“ – მიმართავენ სიყვარულით; „კეთილი

ლოგინი ააკრეფინოს“ – დალოცვა ორსულისა; „შენი წყალი გადასხმოდეს“ – ეტყვიან იმას ალერსით, ვინც კარგი ბედისად მიაჩნიათ (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

ქართლურში მეტად საინტერესო და მრავალფეროვან ჯგუფს ქმნის გაბრაზებული ადამიანის სულიერი მდგომარეობის ამსახველი ფრაზეოლოგიზმები. „ამ ველის ფრაზეოლოგიზმები გამოხატავენ გაბრაზებული კაცის ემოციურ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია მისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით ვინმეს მიმართ, ვინმეს არასწორი ან უსამართლო საქციელის, მოქმედების ან რაიმე მოვლენის მიმართ. ბრაზს იწვევს აგრეთვე წინააღმდეგობის შეხვედრა მიზნის მიღწევის გზაზე“ (ამირეჯიბი, www.icgl.org).

გაბრაზებული ადამიანის სულიერი მდგომარეობის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმებია: „ოჰო მოუვა“ – გაბრაზდება; „გული უავდება“ – ბრაზობს; „ასკიკუკუს უვლის“ – ძალიან ბრაზობს; „ბეზარზე მოიყვანს“ – გააბრაზებს, მოთინებიდან გამოიყვანს; „ინქერმა წამოუარა“ – უეცრად გაბრაზდება; „ცეცხლს მოიკიდებს“ – ძალიან გაბრაზდება; „კუწუმწრახი მოედება“ – გაბრაზდება; „ცხვირიდან სულს არ უშვებს“ – უბრაზდება (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 346, 140, 40, 57, 232, 482, 170, 483). „დანა პირს არ უხსნის“ – გაბრაზებულია, გაცეცხლებულია (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

სულიერი ავადმყოფობის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმებია: „ალაოდ არის“ – მოისულელებს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 26). „ჭკუა აღარ მოეკითხება“ – სრულ ჭკუაზე აღარაა (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

ჯიუტი, უდარდელი, უსინდისო ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებს ფრაზეოლოგიზმები: „ქვას უკბინა“ – გაჯიუტდა; „ემშაკის ცხენზე შეჯდება“ – გაჯიუტდება; „მოლევის ქვად იქცა“ – გაკერპდა; „ხიდან, ქვიდან არაფერი ესმის“ – გაუგებარია; „დარდი გასწყვიტა“ – არ ენადვლება (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 420, 206, 307, 520, 176). „თავის ღმერთს გადაუდგება“ – სინდისს დაკარგავს (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

მორიდება–სირცხვილია ასახული შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: „ბუწუწები სცვივა“ – ძალიან სცხვენია (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 69). „ტყავსა და ხორცს შუა ითუთქება“ – ძალიან სცხვენია (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

ფრაზეოლოგიზმები ხსნის მთქმელის ხასიათს, მის შინაგან ბუნებას. ამიტომ არის, რომ სხვადასხვა მთქმელთან, შეიძლება ერთი და იგივე შინაარსის ფრაზეოლოგიზმს სხვადასხვა შინაარსი და დატვირთვა ჰქონდეს, ან ერთი და იგივე შინაარსის ფრაზეოლოგიზმი სხვადასხვაგვარად გამოითქმოდეს.

ქართლური დიალექტი ლექსიკური გამომსახველობით, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ფრაზეოლოგიზმებით, რომ მდიდარია, ამის ერთ-ერთი ნიმუში ისიცაა, რომ აქ ვხვდებით უამრავი სინონიმური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმს. აქ გვხვდება, ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი შემდეგი სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმები: „გულს გაიკიტრებს“ – „გულს გულის ალაგს დაიდებს“ – „გულს დაიამინებს“ – დაწყენდება; „სული სცვივა“ – „გაგანას ასხამს“ – ძალიან უნდა რამე; „გული წკმენტავს“ – „გული ეჭინჭრება“ – ცუდ გუნებაზეა (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 141, 384, 81, 139).

ზოგჯერ ერთი და იგივე ადამიანის სულიერი მდგომარეობის აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიზმს ქართლურში, სიტუაციიდან გამომდინარე, სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს და პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმებს გვაძლევს. მაგ.: „გულზე აღოდება“ – 1) აწუხებს, მოთმინებას უკარგავს; 2) უყვარს უიმისობა არ შეუძლია. „თქვენი ვარდი გეფინოთ“ – 1) ეტყვიან სასიამოვნო ამბის მთქმელს; 2) დალოცვაა, იტყვიან არასასიამოვნო ამბის თქმის დროს (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 137, 225).

ემოციურ განცდებს ყოველთვის თან ახლავს მეტნაკლები ცვლილებები ადამიანის ფიზიოლოგიაში, გული ხშირად იხმარება ემოციის გამომხატველ მეტაფორებში. ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ გულს, როგორც ორგანოს, ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანის სხეულში, არა მხოლოდ მდებარეობით, არამედ მნიშვნელობითაც“ (ამირეჯიბი, www.icgl.org).

ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში ხშირად ვხვდებით ერთ-ერთ კომპონენტად „გულს“, მაგ.: „გული აეჩხრიკება“ – გული აუცრუვდება; „გულზე ადგას“ – აწუხებს, არ ასვენებს; „გული ეკანჭება“ – გული ეთანადრება; „გული უხიათდება“ – გული უწყალებს; „გული უღელავს“ – ეშინია (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981: 138, 137, 140).

წარმოდგენილმა ნიმუშებმა ცხადყო თუ რა მდიდარი და მრავალფეროვანია ქართლური დიალექტის ლექსიკა ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომლებიც ან დავიწყებას არიან მიცემულნი, ანკი აღარ გამოიყენება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ვფიქრობთ, რომ ფრაზეოლოგიზმებს ენაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც, უფრაზეოლოგოდ, მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიც კი იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსების მთელი სიმდიდრის გამოხატვა.

ლიტერატურა:

რ. ამირეჯიბი, სიბრაზის სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში: www.icgl.org
 თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1981.
 ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1961.
 ლ. თაბუაშვილი, „ფრანგული სიტყვა „ღვინოსთან“ (vin) დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და მათი ქართული შესიტყვებანი“: საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, თბილისი, 2011.
 ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, 1964.

სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევები ტელევიზიის ენაში

მანანა ტვინიკაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
 სწავლების პირველი წლის სტუდენტი
 ხელმძღვანელი: **გიორგი გოგოლაშვილი**, პროფესორი

ენა ერის მაიდენტიფიცირებელი საშუალებაა. ეს არის მეობის გააზრების, იდენტობის საფუძველი. ენა აზროვნების ძირითადი იარაღია, ადამიანის ცხოვრების წესია და ერის არსებობის საფუძველი. მასში ერის ისტორიული წარსული, ერის კულტურაა გაცხადებული. ქართველ ხალხს უძველესი და მდიდარი წარსულის მქონე ენა აქვს. ყველანი, მათ შორის უცხოელი ქართველოლოგებიც, ერთხმად თანხმდებიან, რომ ქართველებს ქართული ენით შეგვიძლია აზრის ყოველი მცირე დეტალის, ყოველი მცირე ნიუანსის გამოხატვა. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც კი დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით... ქართული ენა თავისი შინაგანი თვისებებით ისეთია, რომ თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს მსოფლიოში დიდად გავრცელებულ ენებს.“ (ნიკო მარი – 1864-1934); „ქართული მშვენიერი ენაა, მოქნილი და ზუსტი, ორიგინალური აგებულებისა.“ (რენე ლაფონი – 1899-1974); „ქართული ენა გამომსახველობითი საშუალებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია და არც სიტყვათა მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე განვითარებულ ენებს.“ (რიჰარდ მაკელანი – 1880-1948)... დღესდღეობით კი ამ უძველესი და უმდიდრესი ენისადმი, სამწუხაროდ, ქართველთა პატივისცემა აღარ იგრძნობა, არადა მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ყოველი ქართველის მოვალეობაა.

დიდია მასმედიის გავლენა ხალხის მეტყველებაზე. პიროვნებანი, რომლებიც ხშირად ჩანან ტელეეკრანებზე, სწორად მეტყველების მაგალითს უნდა გვიჩვენებდნენ; სავალალოდ, პირიქით ხდება. თანამედროვე ტელევიზიის ენაში ძალიან ხშირია ნორმების დარღვევის შემთხვევები, არასწორი ფორმების გამოყენება და სამწუხარო ისაა, რომ ამ დარღვევებს სისტემური ხასიათი აქვს. დავაკვირდი რამდენიმე ტელეარხის საინფორმაციო თუ სხვა სახის გადაცემებს, ამოვწერე არასწორი ქართულის მაგალითები. დარღვევები გვაქვს ენის სხვადასხვა სფეროში. მოპოვებული საილუსტრაციო მასალა დავაჯგუფე თემატურად.

ფონეტიკური პროცესები

არსებითი სახელი არ უნდა იკუმშებოდეს და შეკუმშული სახით გვაქვს მოცემული:

არის: 1. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორია ბავშვების რეაქცია ლიმნის გასინჯვისას.	უნდა იყოს: 1. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორია ბავშვების რეაქცია ლიმონის გასინჯვისას.
--	--

ტ/კ „პალიტრანიუსი“. საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 15.01.2016.

არსებითი სახელი კუმშვადია და შეკუმშვის გარეშე წარმოდგენილი:

2. ექსპერიმენტი ორი წლის მანძილზე გრძელდებოდა და მკვლევარებმა სასურველი შედეგი მიიღეს.	2. ექსპერიმენტი ორი წლის მანძილზე გრძელდებოდა და მკვლევარებმა სასურველი შედეგი მიიღეს.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ გადაცემის წამყვანი - სოსო კაციტაძე. 15.04.2016.

ვხვდებით არასწორ თანხმობანთკომპლექსებს:

3. ჩვენთვის მომაკვდინებელია პიროვნული შეურაწყოფა , გავავლოთ მკვეთრი ხაზი ოპონირებასა და შეურაწყოფას შორის.	3. ჩვენთვის მომაკვდინებელია პიროვნული შეურაცხყოფა , გავავლოთ მკვეთრი ხაზი ოპონირებასა და შეურაცხყოფას შორის.
--	--

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. ტ/კ „ობიექტივის“ ჟურნალისტ ბონდო მძინარაშვილი. 15.04.2016.

სიტყვაში ბგერაა დაკლებული:

4. გაერთიანებები, მაინდამაინც , არ არის საჭირო, რომ ემსახურო ქვეყანას.	4. გაერთიანებები, მაინცდამაინც , არ არის საჭირო, რომ ემსახურო ქვეყანას.
---	--

ტ/კ „მაესტრო.“ საინფორმაციო გადაცემა. რესპონდენტი - პოლიტიკოსი სალომე ზურაბიშვილი. 11.03.2016.

სიტყვის ერთი ხმოვანი მეორე ხმოვნითაა შეცვლილი:

5. ამჟამად მდგომარეობა აბსოლიტურად არის შეცვლილი.	5. ამჟამად მდგომარეობა აბსოლუტურად არის შეცვლილი.
--	--

ტ/კ „GDS.“ საინფორმაციო გადაცემა „20:30.“ რესპონდენტი - განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე. 11.03.2016.

ხდება მაწარმოებელთა შენაცვლება:

6. ჩვენ, აქტივისტები, ფაქტიურად , უკვე შევიკრიბეთ.	6. ჩვენ, აქტივისტები, ფაქტობრივად , უკვე შევიკრიბეთ.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ რესპონდენტი. 08.03.2016.

„რა“ კითხვითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვი არის „რაები“, ამ შემთხვევაში კი იგი მრავლობით რიცხვს საერთოდ არ საჭიროებს:

7. საინტერესო მოსასმენია, თუ რეებს ლაპარაკობენ მწერლებზე.	7. საინტერესო მოსასმენია, თუ რას ლაპარაკობენ მწერლებზე.
--	--

ტ/კ „არტარეა.“ გადაცემა „ქართველ მწერალთა ბიოგრაფია.“ გადაცემის წამყვანი - მწერალი ლაშა ბულაძე. 16.01.2016.

სიტყვას აკლია ბგერა ან ბგერები:

8. თუ შეილება გვითხარით, იკლო რაოდენობამ, თუ იმატა?	8. თუ შეიძლება გვითხარით, იკლო რაოდენობამ, თუ იმატა?
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ ჟურნალისტი. 08.03.2016.

9. ჯანდაცვის და განათლების სფეროში ძაან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული, მე შემილია მოგიყვანოთ მაგალითები.	9. ჯანდაცვის და განათლების სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული, მე შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითები.
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

აქ მეორე შეცდომაცაა დაშვებული - როდესაც არსებით სახელს მსაზღვრელად სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა ახლავს, იგი მხოლოდით რიცხვში დაისმის:

10. ძაან ბევრ სიმღერებზე მიმუშავია რუსა მორჩილამესთან.	10. ძალიან ბევრ სიმღერაზე მიმუშავია რუსა მორჩილამესთან.
--	---

ტ/კ „GDS.“ გადაცემა „შუადღე.“ რესპონდენტი - მსახიობი ნინო ლეჟავა. 14.04.2016.

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა

მოგეხსენებათ, მსაზღვრელ-საზღვრული – კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებით სახელთან ერთად – შემდეგნაირად იბრუნება: ჩემი აზრი, ჩემმა აზრმა, ჩემს აზრს, ჩემი აზრის, ჩემი აზრით... მოქმედებით ბრუნვაში კუთვნილებითი ნაცვალსახელი მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს არ საჭიროებს, მით უმეტეს სრულიად ზედმეტია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი:

არის: 1. ჩემის აზრით, ძალიან პრაქტიკული დანიშნულებისაა.	უნდა იყოს: 1. ჩემი აზრით, ძალიან პრაქტიკული დანიშნულებისაა.
---	---

ტ/კ „ერთსულოვნება.“ შუადღის გადაცემა. რესპონდენტი. 15.01.2016.

წინა მაგალითის მსგავსად არც აქ არის საჭირო ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. უნდა იყოს - ერთი მხრივ, მეორე მხრივ და არა ერთის მხრივ, მეორეს მხრივ:

2. ეს, ერთი მხრივ, კუნთებს გაავარჯიშებს, მეორეს მხრივ, სისხლის მიმოქცევას გააუმჯობესებს.	2. ეს, ერთი მხრივ, კუნთებს გაავარჯიშებს, მეორე მხრივ, სისხლის მიმოქცევას გააუმჯობესებს.
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „პირადი ექიმი.“ გადაცემის თანაწამყვანი თეა ადამია. 30.04.2016.

ნაცვალსახელთა არასწორი ფორმები

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელში „რამდენიმე“ არამართებულად არის ჩასმული „ო“ ხმოვანი:

არის: 1. არის რამდენიმე გამორჩეული მოთამაშე, რომლებზეც უნდა ვისაუბროთ.	უნდა იყოს: 1. არის რამდენიმე გამორჩეული მოთამაშე, რომლებზეც უნდა ვისაუბროთ.
--	---

ტ/კ „აჭარა.“ საინფორმაციო გამოშვება. ჟურნალისტი. 07.03.2016.

2. ჩვენ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში შევძელით ტემპერატურის დაწვევა.	2. ჩვენ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში შევძელით ტემპერატურის დაწვევა.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

ქართულ ენაში არსებობს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „თითოეული“ და არა „თითოეული“:

3. ეს გვამლევს საშუალებას, თუ როგორ დავნიშნოთ მკურნალობის კურსი თითოეულ ბავშვზე.	3. ეს გვამლევს საშუალებას, თუ როგორ დავნიშნოთ მკურნალობის კურსი თითოეულ ბავშვზე.
--	--

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „პირადი ექიმი.“ რესპონდენტი. 07.04.2016.

4. ჩნდება კითხვა, რა აქტივებს ფლობს თითოეული მათგანი.	4. ჩნდება კითხვა, რა აქტივებს ფლობს თითოეული მათგანი.
---	---

ტ/კ „მაესტრო.“ გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი.“ ჟურნალისტი. 18.03.2016.

ვე ნაწილაკიან სიტყვათაგან შეცდომები გვხვდება იგივე და ერთი და იგივე ნაცვალსახელთა ხმარებისას. უნდა გვახსოვდეს, რომ პირველ მათგანს ვე ნაწილაკი ბრუნვის ნიშნის შემდეგ ერთვის, ხოლო მეორეს - ფუმეზე, ბრუნვის ნიშნის წინ. ცალკე ხმარებისას ერთი და იგივე ნაცვალსახელის ორივე ნაწილი იცვლება: ერთი და იგივე, ერთმა და იმავემ, ერთსა და იმავეს, ერთისა და იმავესთვის, ერთითა და იმავეთი, ერთ და იმავედ.

არის: 1. ერთი და იგივე თემაზე ყველას აქვს სხვადასხვა აზრი.	უნდა იყოს: 1. ერთსა და იმავე თემაზე ყველას აქვს სხვადასხვა აზრი.
--	--

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. ჟურნალისტი - მაკა რაზმაძე. 15.04.2016.

2. დღეს სხდომა არ შედგა, ხვალაც იგივეს ვარაუდობენ საბჭოს წევრები.	2. დღეს სხდომა არ შედგა, ხვალაც იმავეს ვარაუდობენ საბჭოს წევრები.
---	---

ტ/კ „აჭარა.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 14.04.2016.

3. რადგან ჩვენ ერთი და იგივე განცხადებას ვაჟღერებთ, ცდილობენ ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელონ ჩვენზე.	3. რადგან ჩვენ ერთსა და იმავე განცხადებას ვაჟღერებთ, ცდილობენ ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელონ ჩვენზე.
--	---

ტ/კ „მაესტრო.“ საინფორმაციო გადაცემა. რესპონდენტი. 26.03.2016.

4. გვაქვს თუ არა იგივენაირი წვდომა ჯანსაღ პროდუქტებზე?	4. გვაქვს თუ არა იმავენაირი წვდომა ჯანსაღ პროდუქტებზე?
--	--

ტ/კ „GDS.“ გადაცემა „შუადღე.“ გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი. 30.03.2016.

თანდებულებიან პირის ნაცვალსახელებს ნათესაობითში ს არ დაერთვის: ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, თქვენ მიერ, ჩემკენ, შენკენ, შენ წინ, თქვენ გამო, თქვენ გარდა... და არა: ჩემსკენ, ჩემს მიერ, შენს გამო, შენს წინ, ჩვენს გარდა, თქვენს ირგვლივ და ასე შემდეგ.

არის: 1. მე თქვენს გამო დავთანხმდი გადაცემაში მონაწილეობის მიღებას.	უნდა იყოს: 1. მე თქვენ გამო დავთანხმდი გადაცემაში მონაწილეობის მიღებას.
--	--

ტ/კ „მაესტრო.“ საინფორმაციო გადაცემა „კონტაქტი.“ რესპონდენტი. 11.03.2016.

2. ეს არის ის საკითხი, რომელიც, შესაძლოა, გამოწვევად რჩებოდეს ჩვენს წინაშე.	2. ეს არის ის საკითხი, რომელიც, შესაძლოა, გამოწვევად რჩებოდეს ჩვენ წინაშე.
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

3. ამაში დარწმუნდებით ჩვენს მიერ მოყოლილი ამბებიდან.	3. ამაში დარწმუნდებით ჩვენ მიერ მოყოლილი ამბებიდან.
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „მუსიკოლოგოსი.“ გადაცემის წამყვანი - აჩიკო გიორგობიანი. 07.05.2016. გვაქვს ნაცვალსახელები: ჩვენგანი, თქვენგანი, **თა** ბგერათკომპლექსის გარეშე:

არის: 1. თითოეულ თქვენთაგანთან გადმოვდივარ ორ-ორი ბარათით.	უნდა იყოს: 1. თითოეულ თქვენგანთან გადმოვდივარ ორ-ორი ბარათით.
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „სიტყვების თამაში.“ გადაცემის წამყვანი - პოეტი რატი ამალალობელი.

პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკები

პირდაპირ ნათქვამს დაერთვის ნაწილაკები: **-მეთქი, -თქო** და **-ო. -მეთქი** აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამის გამეორებას. **-თქო** დაერთვის პირველი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამე პირს უნდა გადასცეს. **-ო** დაერთვის მესამე პირის ნათქვამს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირია მათი ერთმანეთში აღრევა, განსაკუთრებით **-თქო-ს** გამოყენება **-მეთქი-ს** ნაცვლად.

არის: 1. ჩემი შვილი ცხრა წლისაა, მაგრამ როდესაც მის ასაკს მეკითხებიან, ლამისაა ვუთხრა რვის ან ათისაა- თქო.	უნდა იყოს: 1. ჩემი შვილი ცხრა წლისაა, მაგრამ როდესაც მის ასაკს მეკითხებიან, ლამისაა ვუთხრა რვის ან ათისაა- მეთქი.
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

2. მე ვთქვი, არ ვიცი, მათ შორის რა საუბარი შედგა- თქო.	2. მე ვთქვი, არ ვიცი, მათ შორის რა საუბარი შედგა- მეთქი.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

თვალში საცემია დაუდევარი დამოკიდებულება იდიომური გამოთქმებისადმი. ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმი „მადლობა გადაუხადა“ დღეს იშვიათად გვხვდება ჟურნალისტების, პოლიტიკოსების თუ სხვათა მეტყველებაში, მის ნაცვლად გვესმის „მადლობის მოხდა“:

არის: 1. აქვე მინდა მადლობა მოვუხადო მათ მხარდაჭერისთვის.	უნდა იყოს: 1. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო მათ მხარდაჭერისთვის.
--	---

ტ/კ „მაესტრო.“ გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი.“ რესპონდენტი. 24.03.2016.

ხშირად უმართებულოდ ხმარობენ „უკან“ ადგილის ზმნიზედას „წინ/წინათ“ ზმნიზედების ნაცვლად. უნდა ითქვას: ორი დღის/კვირის... წინ და არა უკან.

არის: 1. ხუთიოდე წლის უკან მოხდა ძალიან ცუდი პრეცედენტი ჩვენს სივრცეში.	უნდა იყოს: 1. ხუთიოდე წლის წინ მოხდა ძალიან ცუდი პრეცედენტი ჩვენს სივრცეში.
--	--

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „რეალური სივრცე.“ რესპონდენტი. 11.03.2016.

2. სამწუხაროდ, ეს ადამიანი რამდენიმე თვის	2. სამწუხაროდ, ეს ადამიანი რამდენიმე თვის
--	--

უკან გარდაიცვალა.	წინ გარდაიცვალა.
--------------------------	-------------------------

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „კომუნიკატორი.“ რესპონდენტი - „ვიკიპედიის“ ადმინისტრატორი მიხეილ ჭაბუკაშვილი. 23.03.2016.

კალკირება

კალკი ახალი სიტყვის ან გამოთქმის წარმოქმნა სხვა ენის ლექსიკური ერთეულის მიზამდით, მისი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმნის გზით. კალკირება ენის ლექსიკური ფონდის შევსება-გამდიდრების ერთ-ერთი გზაა, რომელსაც არცთუ იშვიათად მიმართავენ მსოფლიოს კულტურული ენები. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სიფრთხილე და ზომიერება, რათა კალკირების შედეგად არ შეიბღალოს მშობლიური ენის ბუნება. ეს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა კალკირებული სიტყვის ადგილას ენას უკვე აქვს საკუთარი ლექსიკური ერთეული. თანამედროვე ტელევიზიის ენაში ხშირად შევხვდებით კალკირების ამგვარ ნიმუშებს: „გაყიდვაშია“, „იყიდება“-ს ნაცვლად; „სახეზეა“, „თვალწინაა“-ს ნაცვლად; „საქმე იმაშია“, „საქმე ისაა“-ს ნაცვლად, აგრეთვე:

არის: 1. სწორედ ამიტომ კვალიფიციური უნდა იყო, რომ მოახდინო სიტუაციათა სწორად შეფასება.	უნდა იყოს: 1. სწორედ ამიტომ კვალიფიციური უნდა იყო, რომ სიტუაციები სწორად შეაფასო.
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

2. რამდენად ვალდებულია მედია, რომ მოახდინოს ყოველივეს ანალიზი?	2. რამდენად ვალდებულია მედია, რომ ყოველივე გააანალიზოს?
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

3. ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ მასშტაბების შეფასებაც.	3. ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ მასშტაბებიც.
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემა

ტრანსლიტერაციის წესებს ემორჩილება როგორც საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები, ისე საკუთარი სახელები. ლათინური ბგერები **c, qu** ქართულად გადმოიცემა, როგორც **კ, კვ**. სწორია: კოლოკვიუმი, კვორუმი, კვოტა... ბგერა **t** ქართულად გადმოიცემა, როგორც **ტ**. სწორია: სერტიფიკატი, იდენტიფიცირება და სხვა.

არის: 1. ტრენინგებს დააფინანსებენ და გასცემენ შესაბამის სერტიფიკატებს.	უნდა იყოს: 1. ტრენინგებს დააფინანსებენ და გასცემენ შესაბამის სერტიფიკატებს.
---	--

ტ/კ „აჭარა.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 15.01.2016.

2. ჩვენ არ ვახდენთ მის იდენტიფიცირებას.	2. ჩვენ არ ვახდენთ მის იდენტიფიცირებას.
--	--

ტ/კ „პირველი არხი.“ „მომამბე.“ ჟურნალისტი - თამარ ურუშაძე. 11.03.2016.

ბარბარიზმები

ქართული ენა მდიდარია სინონიმებით და საოცარია, რატომ ხდება, რომ ქართველები სათქმელის გამოსაცემად სხვა ენის ენას, ჟარგონს ან ბარბარიზმს იყენებენ. ქართული ენა უხვადაა აჭრელებული რუსული წარმოშობის ბარბარიზმებით, რომელთაც ბოლო პერიოდში ინგლისური წარმოშობის ბარბარიზმებიც დაემატა.

არის: 1. რაც შეეხება სხვა პერფორმანსებს , მეტად საინტერესო რამ ელოდება მაყურებელს.	უნდა იყოს: 1. რაც შეეხება სხვა წარმოდგენებს , მეტად საინტერესო რამ ელოდება მაყურებელს.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ გადაცემის თანაწამყვანი. 08.03.2016.

2. გაატარეთ უიქენდი და დაგეგმეთ დილა ჩვენთან ერთად.	2. გაატარეთ შაბათ-კვირა და დაგეგმეთ დილა ჩვენთან ერთად.
--	--

ტ/კ „აჭარა.“ საანონსე ჭრა. ჟურნალისტი. 09.03.2016.

პარადოქსული სიტუაცია იქმნება, როდესაც ჟურნალისტი მშობლიური ენის ბარბარიზმებისგან დასაცავად ხალხს მოუწოდებს და თავად ხმარობს ბარბარიზმს:

3. დავიცვით ჩვენი ქართული ენა ბარბარიზმებისგან, ესაა ჩვენი სლოგანი .	3. დავიცვით ჩვენი ქართული ენა ბარბარიზმებისგან, ესაა ჩვენი მოწოდება .
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ ჟურნალისტი - გადაცემის წამყვანი. 14.04.2016.

ზმნის მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნები: **ჰ-, ს-**

ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი გარდამავალი ზმნები საჭიროებენ ირიბი ობიექტური პირის ნიშნებს, **ჰ-** და **ს-** თავსართებს. **ს-** იხმარება ცხრა თანხმოვნის წინ (დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ): მისცა, სთხოვს, მოსწონს, მისწერა, სჭირდება... **ჰ-** შვიდი თანხმოვნის წინ იხმარება (ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ): ჰკითხა, ჰქონია, ჰქვია, დაჰპირდა... უმართებულოდ ხდება ზმნებისთვის აღნიშნული პირის ნიშნების დაკლება:

არის: 1. ამომრჩევლები ხმას მიცემენ სამოქალაქო უზნებზე.	უნდა იყოს: 1. ამომრჩევლები ხმას მისცემენ სამოქალაქო უზნებზე.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „მომამბე.“ ჟურნალისტი - ნოდარ ჩაჩუა. 29.01.2016.

2. ეს საკითხი ცდება დავის ფარგლებს.	2. ეს საკითხი სცდება დავის ფარგლებს.
--	---

ტ/კ „მასეტრო.“ საინფორმაციო გადაცემა „კონტაქტი.“ ჟურნალისტი - მაგდა ანიკაშვილი. 25.02.2016.

3. რას პირდება მერია მოსახლეობას?	3. რას ჰპირდება მერია მოსახლეობას?
--	---

ტ/კ „აჭარა.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 18.01.2016.

4. ლიდერსაც მოწონს თავისი არჩეული ახალგაზრდა მუსიკოსები.	4. ლიდერსაც მოსწონს თავისი არჩეული ახალგაზრდა მუსიკოსები.
---	--

ტ/კ „რუსთავი 2.“ გადაცემა „შუადღე.“ რესპონდენტი - პიანისტი ბექა გოჩიაშვილი. 13.01.2016.

5. ამ საკითხებს გამოკვლევა ჭირდება .	5. ამ საკითხებს გამოკვლევა სჭირდება .
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

6. როგორ ფიქრობთ, მათ რატომ ჯერათ ამის?	6. როგორ ფიქრობთ, მათ რატომ სჯერათ ამის?
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტი გიორგი გაბუნია. 15.04.2016.

7. მათ უნდა დაუბრუნდეთ ის უფლებები, რაც ქონდათ .	7. მათ უნდა დაუბრუნდეთ ის უფლებები, რაც ჰქონდათ .
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ რესპონდენტი - იდა ბახტურიძე. 08.03.2016.

ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება

როდესაც ქვემდებარეს ამხსნელად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა, ქვემდებარეც მხოლოდობითში დაისმის და მისი შემასმენელიც. აგრეთვე, როდესაც ქვემდებარე სულიერი საგნის სახელით არის გადმოცემული და მრავლობით რიცხვში დგას, ჩვეულებრივ შემასმენელიც მრავლობითშია. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ქვემდებარე, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა, მხოლოდობითში დაისმის.

არის: 1. ძალიან ბევრი ახალგაზრდა ადამიანები შემოგვიერთდნენ.	უნდა იყოს: 1. ძალიან ბევრი ახალგაზრდა ადამიანი შემოგვიერთდა.
---	--

ტ/კ „იბერია.“ გადაცემა „კარამელი.“ ჟურნალისტი. 15.01.2016.

2. სამწუხაროდ, საზოგადოებას, ჯერჯერობით, ბევრი უფლებები არ აქვს.	2. სამწუხაროდ, საზოგადოებას, ჯერჯერობით, ბევრი უფლება არ აქვს.
---	---

ტ/კ „GDS.“ გადაცემა „ეკოვიზია.“ რესპონდენტი - სტუმარი ლია თოდუა. 27.03.2016.

3. როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას გოგონებმა და ქალბატონებმა ბიზნესში?	3. როგორ უნდა მიაღწიონ წარმატებას გოგონებმა და ქალბატონებმა ბიზნესში?
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ რესპონდენტი. 09.03.2016.

4. სოლიდარობა გამოხატა ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა.	4. სოლიდარობა გამოხატეს ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა.
---	--

ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „რეალური სივრცე.“ რესპონდენტი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. 11.03.2016.

5. კვლევას ახორციელებს სხვადასხვა კონტაქტორი კომპანიები.	5. კვლევას ახორციელებენ სხვადასხვა კონტაქტორი კომპანიები.
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

6. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი პროფესიონალები.	6. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი პროფესიონალი.
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ პრემიერ მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან. პრემიერ მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი. 15.04.2016.

რიცხვში მონაცვლე ზმნები

სინონიმური მნიშვნელობის ზმნებს, რომელთაგანაც ერთი მხოლოდობით იხმარება და მეორე – მრავლობითში, რიცხვში მონაცვლე ზმნები ჰქვია. **ზი, ჯედ (ჯექ) //სხედ: ზი ან ჯედ (ჯექ)** ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები მხოლოდობით რიცხვში იხმარება, **სხედ** ფუძისაგან ნაწარმოები – მრავლობითში: **ზის** ერთი ადამიანი, **სხედან** ორნი და მეტნი. **იჯდა** ერთი, **ისხდნენ** ორნი ან ორზე მეტნი და ა.შ.

არის: 1. უზარმაზარ კორპორაციებში სერიოზული პიროვნებები ზიან .	უნდა იყოს: 1. უზარმაზარ კორპორაციებში სერიოზული პიროვნებები სხედან .
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

2. კარგი იქნება, თუ კომპეტენტური პირები დაჯდებიან და ისაუბრებენ განათლების სამინისტროს აღნიშნულ პრობლემებზე.	2. კარგი იქნება, თუ კომპეტენტური პირები დასხდებიან და ისაუბრებენ განათლების სამინისტროს აღნიშნულ პრობლემებზე.
--	---

ტ/კ „ობიექტივი.“ ჟურნალისტი - მაცაცო გახოკიძე. 09.03.2016.

ზმნისწინები

ზმნისწინი ზმნის ფორმაში წინ დართულ ელემენტაგან პირველია. მაშასადამე, არ შეიძლება მისი გათიშვა პირის ნიშნით: **აღვიწერს** და არა **ავვიღწერს**, **აღვნიშნავ** და არა **ავღნიშნავ** და სხვა.

არის: 1. წიგნში მწერალი კარგად ავვიღწერს არსებულ რეალობას.	უნდა იყოს: 1. წიგნში მწერალი კარგად აღვიწერს არსებულ რეალობას.
---	---

ტ/კ „აჭარა.“ გადაცემა „ბიბლიოთეკა.“ გადაცემის წამყვანი. 28.02.2016.

2. ამ დღეს ყოველწლიურად ავღნიშნავთ .	2. ამ დღეს ყოველწლიურად აღვნიშნავთ .
---	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ ჟურნალისტი. 08.03.2016.

თემის ნიშნები

საჭიროა გვახსოვდეს, რომ თუ ზმნის საწყისი ფორმა -**ვა** მარცვალზე ბოლოვდება, თემის ნიშნად ზმნას -**ავ** მოუდის, თუ -**მა**-ზე – **ამ**. **მალვა** - ვმაღავ, **დასმა** - დავსვამ, **თქმა** - მითქვამს და ა.შ.

არის: 1. მანამ ამ კითხვას დავსვავ , სხვა თემას უნდა შევეხო.	უნდა იყოს: 1. მანამ ამ კითხვას დავსვამ , სხვა თემას უნდა შევეხო.
--	---

ტ/კ „პირველი არხი.“ „რეალური სივრცე.“ რესპონდენტი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. 11.03.2016.

2. არაერთხელ გვითქვია ამ პრობლემის შესახებ.	2. არაერთხელ გვითქვამს ამ პრობლემის შესახებ.
--	---

3. დიდი კორპორაციები ხშირად უსმევენ ამ შეკითხვას საკუთარ თავს.	3. დიდი კორპორაციები ხშირად უსვამენ ამ შეკითხვას საკუთარ თავს.
--	--

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

ორთემიანი ხმოვანმონაცვლე ზმნები

ორთემიან ზმნათაგან ხმოვანმონაცვლეებს პირველ სერიაში არ დაერთვის თემის ნიშნები; უნდა: ვდრეკ, ვგრეხ, ვჟლეტ... (და არა: ვდრეკავ, ვგრეხავ, ვჟლეტავ...) სალიტერატურო ქართულისთვის მიუღებელია აგრეთვე ამ ტიპის ზმნათა მეორე სერიის თემაზე თემის ნიშნის დართვა. უნდა: ვწყვიტ, ვკრიჭავ, ვხვრიტ... (და არა: ვწყვიტავ, ვკრიჭავ, ვხვრიტავ და ა.შ.).

არის: 1. ვინ წყვიტავს, თუ ვინ წავიდეს?	უნდა იყოს: 1. ვინ წყვეტს, თუ ვინ წავიდეს?
---	--

ტ/კ „რუსთავი 2.“ გადაცემა „შუადღე.“ მარინა ბერიძე - ჟურნალისტის ამპლუაში. 13.01.2016.

2. ნამდვილად დიდ სიამოვნებას მიიღებს, ვინც გადაწყვიტავს მის წაკითხვას.	2. ნამდვილად დიდ სიამოვნებას მიიღებს, ვინც გადაწყვეტს მის წაკითხვას.
--	--

ტ/კ „აჭარა.“ გადაცემა „ბიბლიოთეკა.“ ჟურნალისტი. 28.02.2016.

3. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სკოლებს ყვლიფავდით.	3. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სკოლებს ყვლეფდით.
--	--

ტ/კ „GDS.“ საინფორმაციო გადაცემა „20:30“ რესპონდენტი - განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე. 11.03.2016.

როგორც დავინახეთ, დღევანდელი ტელევიზიის ენაში საკმაო რაოდენობით შეიმჩნევა ნორმატიული ხასიათის დარღვევები და სტილისტიკური შეუსაბამობანი. აუცილებელია, რომ ჟურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა თუ იმ პიროვნებებმა, რომლებიც ქართველი საზოგადოების სახეს ქმნიან, პირველ რიგში, საკუთარი მეტყველების დახვეწაზე იზრუნონ, რომ გამართული ქართულით, სწორად იმეტყველონ. განსაკუთრებით ახლა, მასობრივი გლობალიზაციის პერიოდში ჩვენს ენას მოვლა-პატრონობა, დაცვა და განვითარება სჭირდება, რათა გაქრობის არცთუ უსაფუძვლო საფრთხის წინაშე არ დადგეს იგი. როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, სწორედ ასე მოქცევა გვმართებს: „მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი!“

ლიტერატურა:

ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, მორფოლოგია, თბილისი, 1953.
 ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, (ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა და მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ). გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981.
 ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა (ლექსიკა და ფრაზეოლოგია, ორთოგრაფია, მეტყველების განვითარება), VI კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989.
 ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, (მორფოლოგია, ორთოგრაფია, მეტყველების განვითარება). VII კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1985.
 ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 2004.
 ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი. ჟურნალისტთა სარედაქციო კოლეგია - შ. აფრიდონიძე, ნ. ებრალიძე, თ. ზურაბიშვილი, ვ. კალანდამე, ვ. შენგელია, თბილისი, 2002.
 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, წიგნი I, 1971.
 ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1998.

მიცემითი ბრუნვა ქართლურ დიალექტში

ლიკა ცერაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის

სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ვიანორ ახალაია, პროფესორი

„ქართლური არის ქართული ენის დედა დიალექტი. „ქართლური ენის კილოთა შორის ქართლური ყველაზე უფრო მსხვილი დიალექტური ერთეულია. მას უჭირავს საქართველოს ცენტრალური (შუაგული) ადგილი და ვრცელდება კახეთიდან იმერეთამდე, ე.ი. არაგვისა და მტკვრის ხეობიდან ლიხის მთამდე. ისტორიული ქართლი კიდევ უფრო მეტ ტერიტორიას შეიცავდა, სახელდობრ, ჩრდილოეთით - ხევსა და მთიულეთს, სამხრეთით - მესხეთ-ჯავახეთს (სამცხე-საათაბაგოს) და დასავლეთით - ზემო იმერეთს... ქართლი არ არის მხოლოდ ქართლელებით დასახლებული - მათთან ერთად შიგადაშიგ სოფლებში სახლობენ სხვა დიალექტის წარმომადგენლები: იმერლები, ნაწილობრივ გურულები და სხვები - ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში, მოხევეები, მთიულეები, ხევსურები, კახელები და სხვები დუშეთის, მცხეთის, კასპის, თეთრი წყაროს და სამგორის (გარდაბნის) რაიონებში... ბოლო ხანებში ინტენსიური დასახლება დაიწყო რაჭველებისა და იმერლებისა ბოლნისის რაიონში. გარდა ქართველებისა, ქართლში ცხოვრობენ სომხები და ებრაელები, რომლებიც მხოლოდ ქართულად მეტყველებენ, ოსები, რუსები, თათრები, ბერძნები..

გავრცელების ფართო ფარგლები, მოსახლეობის ნარევიანობა განაპირობებს იმას, რომ ქართლური მეტყველება არ არის ერთგვაროვანი: „ის შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ნაწილად (კილოკავად ან თქმად): ცენტრალური ქართლური (შუაქართლური ანუ შიდაქართლური), დასავლური ქართლური (ბორჯომის, ხაშურის და სურამის მიდამოების ქართლური), ჩრდილოური ქართლური (არაგვისა და ქსნის ხეობათა ქართლური), სამხრული ქართლური (ქვემოქართლური).

ამრიგად, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ქართლი იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად:

ა) ცენტრალური ქართლური: მცხეთა - კასპი - გორი - ქარელის რეგიონი;

ბ) ჩრდილო (ზემო) ქართლური, რომელშიც გამოიყოფა ორი თქმა: არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველება;

გ) სამხრეთ (ქვემო) ქართლური, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თრიალეთური კილოკავი; გამოიყოფა რამდენიმე თქმა: გომარული, წერაქვ - სიონური, რეხული, ალგეთური...

დ) დასავლეთ ქართლური, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ორი თქმა: ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება.” [1, 290]

„ქართლური მთავარი დიალექტია ქართული ენისა. ენათმეცნიერული ინტერესი მისდამი დიდია და მრავალმხრივი. ქართლურის მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის განუზომელია.

ქართლური საფუძვლად უძველეს ქართულ ლიტერატურულ ენას. „ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ქართლურის მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისა ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის განუზომელია“. [5, 5]

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ IV - III საუკუნეებში ჩვენს ერამდე ისტორიულ ქართლში (იბერია) ჩამოყალიბდა სამეფო, რომლის დედაქალაქი იყო ჯერ მცხეთა და შემდეგ თბილისი. აქ განვითარდა არსებული მწერლობა და აქვეა დაცული ადრინდელი ქართული წარწერებიც ბოლნისის სიონსა და მცხეთის ჯვრის საყდარზე (V - VI - VII ს.ს.).

ქართლურის ზეგავლენა არ წყდებოდა მაშინაც, როცა თბილისი მტრის ხელში იყო და იგი სახელმწიფოსა და კულტურის ცენტრს არ წარმოადგენდა. XII საუკუნიდან ქართლურის ინტენსიური ზემოქმედება ლიტერატურულ ენაზე გრძელდებოდა და XVII - XIX საუკუნეებში. დღესაც ქართლური ლიტერატურული ენის ერთ-ერთი მთავარი მკვებავი დიალექტთაგანია.

ქართლურის გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ქართლში შედგენილ ისტორიულ დოკუმენტებში - სიგელ-გუჯრებში, რომლებმაც დღემდე საკმაოდ რაოდენობით მოაღწიეს. აღსანიშნავია, რომ ეს საბუთები სხვადასხვა ხნოვანებისაა (XIV - XVIII ს.ს.) და ქართლის სხვადასხვა ადგილას შედგენილი, თუმცა, მათი ენობრივი თავისებურებანი თითქმის ერთნაირია და არ განსხვავდება დღევანდელი ქართლურის თავისებურებებისაგან.” [2, 269]

ქართლური დიალექტი, როგორც ითქვა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი დიალექტია (კახურთან ერთად). მიუხედავად იმისა, რომ ეს კილო ყველაზე ახლოს

დგას სალიტერატურო ენასთან, მაინც საინტერესო თავისებურებებს ავლენს. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია სახელთა ბრუნების თავისებურებები.

მიუთითებენ, რომ „ბრუნვის ნიშნის ხმარების მიხედვით ქართლური არ არის ერთფეროვანი, განსხვავება შეინიშნება კილოკავებისა და თქმების მიხედვით.“ [3, 447]

ფორმალური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბრუნვა ქართლურში არის მიცემითი.

ქართლურში დადასტურებულია მიცემითი ბრუნვის ნიშნის ექვსი ვარიანტი:

1. -ს;
2. -მ;
3. -მს;
4. -მჰ;
5. -მჰს;
6. -ო.

განვიხილავთ ცალ-ცალკე თითოეული ვარიანტის გამოყენების შემთხვევებს. მასალას ვიმოწმებთ: ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურასა და ი. ქავთარაძის წიგნიდან „ქართლური დიალექტოლოგია“, ტომი I.

ს - ვარიანტი გვაქვს კონსტრუქციის ბოლოში, როგორც თანხმოდანფუძიან, ასევე ხმოდანფუძიან სახელებთან. **თანხმოდანფუძიან სახელებთან:** მაგ.: „ამ ტყის მასწავლებელმა კაცმა უთხრა ამ ბერიკაცს.“ [2, 291]. „მრავალ დასაჩუქრა, ბლომათ აჰკიდა ცხენს.“ [2, 291] „წამოულო და მოუტანა ცხენით იმ კაცს.“ [2, 291]. „ეგ წაუღე ცოლ-შვილს.“ [2, 297]. და სხვა. **ხმოდანფუძიან სახელებთან:** მაგ. „ვცემთ ხარს, ვხოცამთ ცემითა და დღეში ორჯელ ვერ უვლით ერთ მიწას.“ [2, 281] „გამოუდგა მღვვი ხუთკუნჭულას.“ [2, 295] „როცა ე ბიჭები დიდები დეეზარდნენ, გაიგეს, რომ მათ მამას ემახიან გაუცინარ ხემწიფეს.“ [2, 301] „ენტხვია დედას.“ [2, 323] და სხვა.

მიცემითი ბრუნვის ნიშანს ხშირად დაერთვის ემფატიკური ა ანუ სავრცობი, რომელიც დიდად უწყობს ხელს ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებას. გავრცობილი ფორმა ძირითადად სიტყვის ბოლოში გვხვდება. არის შემთხვევები, როცა გავრცობის შემთხვევაში ყოველთვის არ არის წარმოდგენილი მიცემითი ბრუნვის ნიშანი. „ამ მხრივ გამონაკლისია სამხრეთ ქართლური, სადაც მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი იკარგვის მავრცობი ხმოდანფუძიან პოზიციაში. მაგ.: სახლ-ა, ხალხ-ა.“ [3, 445].

გავრცობილი ფორმით სახელი შეიძლება შეგვხვდეს, როგორც შემასმენლის წინ, ისე შემასმენლის შემდეგ. წინადადების თავშიც და წინადადების ბოლოშიც. „და“ კავშირის წინაც და შემდეგაც. მაგ: „ხაზეინო, სადილი მე უნდა გავაკეთო დღეს.“ [2, 308]. „კითხა ამ კაცსა.“ [2, 304]. „იმასაც უზამთ წვანილსა, წიწკასა, მარილსა.“ [2, 300]. „ღვიას ცოცხივითა-გვრა-მენ და რეცხავენ ქვევრსა.“ [2, 288]. „გავთოხნით, გავაკეთებთ კვლებსა, დავაპნებთ თესლსა.“ [2, 284]. „რვილი რკინისა უნდა, მაგრა დაიჭერს გუთნის იარაღსა.“ [2.272]. „გავლორდამთ მიწასა და გავტეხამთ კოლსა.“ [2.272]. „გუთანსა აქვ რვილი,რაზეც გუთანია ასხმული.“ [2.272]. „დავალემინამთ წყალსა და მოვრეკავთ ფარეხში.“ [2, 311]. „პამინდერისა, კომბოსტოსი წნილებ ვაკეთებთ.“ [2.285]. „ამოვჭრით ხესა და გამოვიყვანთ.“ [2, 311]. „ხბოსა და ზაქსა კუდუ შუბლზე უდევ,როცა დედის მუცელშია.“ [4, 197]. „ჩაასხამ რძესა, დაასხამ ცოტა წყალსა, რო ადუღდება, მერე ფქვილ მოუკიდა.“ [4, 187]. „რო მოდუღდება, - უზამ ქინძსა და კამასა, კვერცხსა, გამოღებისას, - მარილსა, რო არ აიჭრას.“ [4, 187]. „დაუწომ ხახვსა ერბოში, მერე ჩაასხამ დოსა, წყალში ცოტა ფქვილ გახსნი და დაასხამ.“ [4, 187]. „ამ ხემწიფესა ყამდა ერთი ლამაზი გოგო.“ [2, 301]. „ერთი კაცი სთესამს პურსა.“ [2, 315]. „მამინ ადგა და, ბებერ ქალსა გაგებული ქონდა ესე, წავიდა და შეატყობინა მდიდრის შვილსა.“ [2, 329] და სხვა.

ს - შენარჩუნებულია ხმოდანფუძიან სახელთან თანდებულის წინ. მაგ: „ხემწიფესთან საქმე მაქ და მამაშენი ხო არ წამყვება?“ [2, 299]. „ჰარიქა, შენი ჰირიმე, თუ მართლა მზესთან მიდიხარ, ჩვენი რამეც გაიგე.“ [2, 281]. „შემდეგ გუთნისდედასთან მოვა და იმასაც ეტყვის ამბავს.“ [2, 282]. „შემდგომ წამოვა იმისგან მეცხვარესთან, მივა, მეცხვარეს ეტყვის: - ჩემიც რამე გაიგე?“ [2, 282]. „მივიდა იმ დასთან, ჩამოართვა ხელი და, - ძმები სად არიანო - ჰკითხა.“ [2, 286]. „ადგა და წავა იმ ძროხასთან.“ [2, 277]. „ადგა და მეჯინებესთან მივიდა.“ [2, 322]. და სხვა.

მიცემით ბრუნვაში დასმული თანხმოდანფუძიანი სახელები ბრუნვის ნიშანს ჰკარგავენ მაშინ, როცა სახელი უსწრებს ზმნას.

არ აქვს მნიშვნელობა, მიცემითში დასმული სახელი სინტაქსურად რა წევრია წინადადებისა: ქვემდებარე, დამატება თუ გარემოება... ეს არის დიალექტური ნორმა. ე.ი. კონსტრუქციის შიგნით თანხმოდანფუძიან სახელებთან ბრუნვის ნიშანი იკარგება.

ო-ვარიანტი გვაქვს:

მაგ: „ბორბალი რო სიმრგვლივ დატრიალდება, ის ზეით *წისქვილ* აბრუნემს.“ [2, 274]. „წადი, *მამაჩემ* ახარობლე: შენი შვილი მოდის და თან ერთი ქალი მოჰყავ.“ [2, 324]. „მოგვაქ თონისთვინ და *პურ* ვაცხოფთ.“ [2, 314]. „ან *ზამთარ* გაუჭირდე ან რამე ვერ გამაიტანენ ღილოსა.“ [2, 272]. „ნაყოფსაც *კოწახურ* ვეტყვით.“ [2, 314]. „*ყურძენ* ჩავყრით საწნახელში.“ [2, 288] „ხან *ნამგალ* შასახეპამენ ხოლმე ხელსა და *სათითურებ*, *საცერულ* იკეთემენ, რო აღარ გეეჭრათ ხელეზი.“ [2, 274]. „პატარა ვიყავი, *მამაჩემ* გავებუტე და გავიქეცი.“ [2, 329]. „*კოწახურ* ხმარობენ წნილში.“ [2, 314]. ე ქალი უვლის ამ ხესა ,რო *თავ* ევლება.“ [2, 302]. „ულოსა *საყულფავ* უკეთებენ, მემრე გადააგებენ და დაიდებენ.“ [2, 274]. „*ქასურ* გაუსომენ და აფხავდების.“ [2, 274]. „*ნამგალ* გაფხოვება უნდა.“ [2, 274]. „წვრილია ერთი, წყალი არ უნდა, *ურწყავ* ეძახიან.“ [2, 285]. „ახლო მოხვალ, *პასუბ* გაგცემ, შორიდან კი ნუ იყეფებო!“ [2.286]. გამეცალეო, ჩემი შიშითა მაღლა *ფრინველ* ვერ გადაუვლიაო და *ძირ* ჭიანჭველასაო.“ [2.286]. „საცა *მარცვალ* ჩადყრან, ხვიმირი აქვიან.“ [2, 274]. „სანამ ე ხემწიფე სომდა, დაავლო ამ *ქალ* ხელი და გაოტაცა.“ [2, 301]. „*ეულებ* გვეძახდნენ ჩვენ.“ [2, 322]. „არ გავრეცხამთ, ისე *თვალ* გადავავლებთ, *ბეწვ* რამეს მოვაშორებთ და დავჭრით წვრილად.“ [4, 187]. „ეგრე ვიცით *ღორ* რო დავკლამთ.“ [4, 187]. „*გემრიელ* აკეთებს თუჯის ქვაბი.“ [4, 187]. „იმ ღამეს *სანთლებ* ავანთებთ, *საკმელ* მოვაკმევთ, *კორკოტ* შევდგამთ, მთელი ღამე უნდა იხარშოს.“ [4, 188]. „*სასმელ*, *საჭმელ*, ის უმზადებდა კოშკში, გადმაგდეს და მოკლეს.“ [4, 192]. „მტკვარზე ხიდი იყო და დააქციეს ის ხიდი, რომაო ქორო გადმოდისო ხოდზეო, *ქათმებ* გვიჭამსო.“ [4, 196].

O - ვარიანტი გვაქვს ასევე, თანხმომავანფუმიან სახელებში მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში.

მაგ: „*შავ ჭანჭურს* მოგრძო-მომრგვალო პატარა ნაყოფი აქვს.“ [4, 174]. „ჯერ *ნასწავლ კაცს* კითხა.“ [2, 303]. და სხვა.

ასევე, ნულოვანი ფორმით არის წარმოგდენილი თანხმომავანფუმიან თანდებულის სახელებთან მიცემითი ბრუნვა. მაგ: „მივიდა *მამობილთან* და გადაეხვია.“ [2, 287]. „იფიქრა: სოლომონ *ბრძენთან* რო ვიყავი მეორე წელიწადში,რა მასწავლა ინმანაო.“ [2, 293]. „მივა *ხაზეინთან* და წავლენ შინ.“ [2, 297]. „*ცხვირთან* გარედან მარღვი უნა გაუჭრათ, რო მორჩეს.“ [2, 311]. „ადგა მერე, გასწია *მჭედელთან*.“ [2, 322]. „მივიდა თავის *ცხენთან*.“ [2, 323] და სხვა.

სხვა თანდებულებთანაც ბრუნვის ნიშანი -ს- დაკარგულია და გვაქვს ნულოვანი ფორმა.

მაგ: „*საწნახელში* რო ყურძენ ჩაყრან, მერე თვითონ ჩადგებიან *საწნახელში* და დაიწყება წურვა.“ [2, 288]. „დგება ხის ქვეშ *გრილოში*.“ [2, 311]. „გოდორს დაუდგამ *კარებში*.“ [2, 309]. „ნევსებს *წყალში* დეემებს.“ [2, 306]. „ახლა ურიას მამალი მოყამს და ცხვარი *მამალში* გადაცვალა.“ [2, 306]. და სხვა.

თუ თანხმომავანფუმიან სახელებთან ძირითადი ნორმა არის უნიშნო წარმოება, ხმომავანფუმიან სახელებთან არის „*მ*“ ნიშნის წარმოება.

„*მ*“ - ვარიანტი გვხვდება ხმომავანფუმიანი სახელების ბოლოში.თუმცა,ის შეიძლება შეგვხვდეს კონსტრუქციის თავშიც და შუაშიც. მაგ.: „მემრე ტაბკით აწვევრამენ, *მზე* მიუფიცხებენ.“ [2, 274] „*რქა* შევახვევთ და მოვწამლამთ მეორეთ, კიდევ მესამეთ მოვწამლით.“ [2, 288]. „რაც მიწა განდაგან იჭერს, კოლმოკლე-აქვიან, რაც რო სიგრძივ გასდევს, *ბეჩითავა* ვეტყვით.“ [2, 272]. „ჯერ *ღიღო* გამოიტანს, მემრე *მიწა* ამადგდება და იბარტყებს.“ [2, 273]. „*ნათელა* დაუძახე.“ [2, 283]. „ნაჩხვლელტსა დასვენულ *მიწა* ვეძახით.“ [2, 272]. „*კალო* ჯერ მადთოხნიან, მემრე მოდრწყამენ, კაბლოთი გადახვეტამენ, გადადგვიან, კიდენ მოდრწყამენ.“ [2, 274]

შედარებით იშვიათი ვარიანტებია მიცემითი ბრუნვის -ნიშნისა „*მს*“ „*მჰ*“ „*მჰს*“. ჩვენს მასალაში მხოლოდ თითო მაგალითით დავადასტურეთ.

„*მს*“ - ვარიანტები გვხვდება - ა, ე, ო ხმომავანფუმიან სახელებთან კონსტრუქციის თავში. მაგ: „*ეკლესიას* სუ ზანზარი გაქონდა.“ [4, 12] „*მეფის* ძალიან ეწყინა.“ [4, 12] „ქორი დაეცა კრუხ-*წიწილას* და წაასხა.“ [4, 54] „*სატრფომისთან* მივალ, გზა გამიხსენი!“ [4, 12]

იშვიათად გვხვდება „*მჰ*“ „*მჰს*“ ვარიანტები.

„*მჰ*“ - ვარიანტი გვხვდება ხმომავანფუმიანი სახელების ბოლოში და *თან* თანდებულის წინ ხმომავანფუმიან სახელებში. მაგ.: მაგი *დედამჰ* წამოუღია; *სხვადაჰთან* დაიარება; *დედუამჰთან*; *მამიდაამჰთან*; *ბუბუამჰთან*.“ [4, 13]

„*მჰს*“ - მიცემითი ბრუნვის ნიშანი გვხვდება *თან* თანდებულის წინ ხმომავანფუმიან სახელებში. მაგ: ეგ მოდის *თუთამჰსთან* ერთათ.“ [4, 15]

ლიტერატურა:

1. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, „მეცნიერება“, თბ., 1986.
2. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
3. გოგოლაშვილი გ., შარაშენიძე ნ., ცოცანიძე გ., ჭუმბურიძე ნ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.

4. სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართლური, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1978.
5. იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I გამოკვლევა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974.

სოფელ საციხურის ონომასტიკა

თინათინ ჩხიკვაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასისტენტ პროფესორი

სოფელი საციხური მდებარეობს ქარელის რაიონში მდინარე ფცის, ფრონეს ხეობაში, მდინარე აბანოსწყლის მარჯვენა მხარეს. ეს მდინარე სათავეს იღებს კავკასიონის წინა მთებიდან, კერძოდ, მშვილდაურის მთიდან. სოფელი იყოფა ორ ზედა და ქვედა უბნებად, შედის სოფელ ბრემის საკრებულოში. ხალხური ეტიმოლოგიით სოფლის სახელი წარმოდგება „ციხესგან“, სოფლის თავდასაცავი სიმაგრისაგან. იქვე ახლოს წაღვლის ციხესიმაგრე და საქართველოს მეფეთა რეზიდენციაა.

პირველი ისტორიული ცნობა სოფლის შესახებ დაცულია „1715 წლის რუისის საეპისკოპოსო დავთარში“. იმ დროს სოფელში ცხოვრობდნენ: იესე სიამარდიშვილი, ოტია სიამარდიშვილი, ბერი ტალიკაძე, დათუნა ტალიკაძე, თამაზა ტალიკაძე, დარჩია მატაშვილი, შოშია ჩხეტიძე, გიორგი მეგრელიშვილი, ოთია მახარაშვილი, პეტრე ჭინჭიკაშვილი, პაპუნა ხატისკაცი, მახარა ფუტკარაძე, პაატა, დევა დევაძეები, მამუკა, ბერი სამხარაძეები, ივანე საბაძე, ბერი გურგენაშვილი, დათუნა ნაბაძე, დათუნა მიგელაშვილი, ივანა ბიბილაშვილი.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მთიელთა განუწყვეტელი თავდასხმების გამო მოსახლეობა ამოწყდა სხვებმა სხვა მხარეებს მიამუშრეს საცხოვრებლად.

იოანე ბაგრატიონის 1794–1799 წლის „ქართლ–კახეთის აღწერაში“ ფცის წყალზე დასახელებულია სოფელი საციხური, მაგრამ მას სხვების მსგავსად არ უწერია „მოსახლე“. ვახუშტის შრომა დართული სოფლების სიაშიც არის სოფელი საციხური. (საქ. გეოგრაფია, 024).

სოფელში ზემოხსენებულ გვართაგან აღარავინ არის დარჩენილი, იგი აღსდგა XIX საუკუნის დასაწყისში და ამ საქმის მოთავეები იყვნენ თავადი ხერხეულიძეები, რადგან სოფელი მათ სამფლობელოში იყო.

იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „თავადი ხერხეულიძე, ესენი არიან ძველად სამცხესა შინა, ხერხეთის მცხოვრებნი და მთის ხეობისა მოხელენი, დროსვე თამარ მეფისასა და ამათ ნათესავთაგანიცა იყო მოხელედ კავკასიისა შინა ადგილსა ნარად წოდებულსა“. (ბაგრატიონი, აღწერა, გვ. 28) იოანე ბაგრატიონი ხერხეულიძეების გვარზეც წერს, რომ ისინი არიან სხვადასხვა სახელად: დავითაშვილები, გიორგიშვილები, ჯამასპიშვილები, ალათანგისა და მისი ძმისშვილებად, ზაქარიაშვილები.

ყველაზე ძველი საბუთი, რომელშიც ხერხეულიძეთა გვარია მოხსენებული, 1466-1476 წლებით თარიღდება. მეფე გიორგი მერვემ სვეტიცხოველს შესწირა კახეთში მოსახლე აზნაურები ძმები აღნია და გოგია ხერხეულიძეები (პალ, 1991, 245).

როგორც ზემოთ აღნიშნა, 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით საციხურში ცხოვრობდნენ: იესე და ოტია სიამარდიშვილები. როგორც ზეპირგადმოცემები ისე ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სამარდიშვილები ხერხეულიძეების განაყარია და გვარად მერე სახელის მიხედვით ჩამოყალიბდა.

1676 წლის ყმის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „წიგნი და პირი ნასყიდობისა მოგეცით ჩვენ ხერხეულიძე სიმარდაშვილმა იესემა და ძმამა ჩემმა სპადარ თქვენ გერმანოზიშვილს პაპუნასა, დაგვეჭირა და აგვეყარა ჩვენი მემკვიდრე ყმა მაისურაძე გიორგი თავისი შვილებით და თქვენ მოგვგლოდა და მოგეცით ჩვენცა ნასყიდობით“ (დოკუმენტები, 1940, 52).

ზემოხსენებულ დოკუმენტში ნახსენები იესე სიმარდიშვილი უნდა იყოს 1715 წელს საციხურში მოსახლე იესე სიმარდიშვილი. დოკუმენტებში დასახელებულია ხერხეულიძე ჯამასპი, საიდანაც არის გვარი ნაწარმოები ჯამასპიშვილი, მაგრამ ყოველივე ამას სათანადო კვლევა სჭირდება.

სოფელ საციხურში მიწის მფლობელობა ჰქონდათ თავად ამირეჯიბებს. სარდიონ, ლადიკო შუბითიძემ, პავლე ასანიძემ თავად კონსტანტინე ამირეჯიბისგან შეისყიდეს 9 ჰექტრის მიწის ნაკვეთი და იქ დასახლდნენ. ისინი გადმოსახლდნენ საჩხერის სოფელ ჩონთოდან და ახლა მათ დასახლებას იმერლების უბანი ეწოდება.

იოანე ბაგრატიონი წერს, რომ „ამირეჯიბნი არიან ძველადვე ფალავანდიაანთ გვარისანი, გარნა ამირჯიბობა გაუგვარდათ სახელის გამო, ვინათგან ამირჯიბი ნიშნავს საქმის მომხმარებელსა. არიან ორ სახლად ზემო და ქვემო ამირეჯიბად“ (ბაგრატიონი ი. აღწერა).

ხერხეულიძეებს 1808–1810 წლებში ქართლის სოფელ მარანადან საციხურში გადმოუსახლებიათ ცხრა ოჯახი, მათ შორის ექვსი კომლი ცაბაძე და თითო კომლი სამხარაძე, ალაჯანაშვილი და რაჭმაძე. სოფელში ასევე დასახლებულა აზნაური შალიკაშვილი და მისი ყმა იმენიძე. 1715 წლის რუისის დავთარში დასახლებულ არიან საბაძე და წაბაძე, ეს უკანასკნელიც ცაბაძე უნდა იყოს, რადგან ამას ტრადიცია გვეუბნება, აქ საქმე გვაქვს ტექნიკურ გადაცდომასთან.

სოფლის ზედა უბანში დღეს ცხოვრობენ: ცაბაძეები, მოსიაშვილები, ბიჭაშვილები, გუჩმაზაშვილები, მულაძეები ხოლო ქვედა საციხურში ცაბაძეები, ტურაშვილები, ბიჭაშვილები, ასანიძეები, მაჭარაშვილები, გელაშვილები, შუბითიძეები, ხარაზიშვილები, ვართასაშვილები, მულაძეები, ხარაიშვილები, ჭიჭინაძე, გურგენიშვილი.

გურგენაშვილი რაჭის სოფელ ნიკორწმინდადან არის სოფელში ჩამოსახლებული, მათი უწინდელი გვარი ყოფილა გურგენიძე. ცნობილია, რომ მეთორმეტე საუკუნიდან იჩქით გურგენიძე წუნდის ეკლესიის აღმშენებელი ყოფილა (ცისკარიძე ვ., 1959, გვ. 47)

დევაძე მიღებულია დავაძისგან. მოსულები არიან ზემო იმერეთიდან, კერძოდ კი, საჩხერის მხრიდან.

მახარაშვილი სოფელში მოსულა გორის სოფელ მერეთიდან. გვარი მეგრელიშვილი ეთნონიმ მეგრელიდან არის წარმოქმნილ-ნაწარმოები. ცნობილია, რომ მხარის იგივე გეოგრაფიული სახელი ხშირად საფუძვლად გვარს ედება. ის რაჭის სოფელ აბანოეთიდან არის ჩამოსული (წინაპრები).

საბაძე არის საბაშვილის ძირისა და ასეთი ძირების გვარები გავრცელებულია როგორც ქართლში, მთისწინეთში ისე აჭარაში. ტალიკაძე არის ტალაშვილის ძირისაგან, რომლებიც კახეთიდან არიან მოსულები.

გელაშვილების ბუდე-ადგილად ხარაგაულის რაიონის სოფელი ნადაბური ითვლება და აქედან არიან სოფელში მოსულები.

მაჭარაშვილი მოსულია წაღვლიდან და მათი შტოგვარებია: ივანიათი, ტურფაანთი, დაბიათი. საბაძის გვარის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებულია 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში ამ ფორმით. დღეს ეს გვარი აღარ გვაქვს, მაგრამ არის სახემეცვლილი ცაბაძე. ასევე შეცვლილია წაბაძის გვარიც, რომლებიც ჩაწერის დროს არის მომხდარი.

1715 წლის რუისის დავთრიდან დღეს სოფელში გვხვდება: ტალიკაძე, მატაშვილი, მეგრელიშვილი, ხატისკაცი, სამხარაძე, ბერძენიშვილი. აღარ არიან ძველი გვარები: ბიბილაშვილი, ჭანჭიკაშვილი.

გუჩმაზაშვილები ლიახვის ხეობიდანა არიან მოსულები, ისინი წარმოშობით არიან დვალები და დვალებიდან არიან მიგრირებულები. მათი ნაწილი გაოსდა მთაში მეფის რუსეთის პოლიტიკის მეშვეობით, რომლებიც ცდილობდნენ ქართლის ცენტრალური მთის ნაწილის წართმევას და მიაღწიეს კიდეც. თერგის ოლქში მცხოვრები ქართველი დვალები ოსად ჩაწერეს, მაგრამ 1886 წლის საოჯახო სიებით „საოჯახო ენად“ მაინც ქართული ითვლებოდა თუმცა შემდგომ ასიმილაციამ თავისი საქმე გააკეთა.

ისევ სოფლის სახელწოდების შესახებ როგორც გადმოცემა მოგვითხრობს სოფელში სამი ციხე მდგარა, მტრის შემოსევის შედეგად ეს სიმაგრეები დანგრეულა და სოფლის სახელიც ამ სამ ციხეს უკავშირდება სამციხური, რაც აფიქსურ მ წარმოებამ შემოგვინახა სა-ციხ-ურ-ი.

ტოპონიმები ანუ მიწის რელიეფის ამსახველი სახელებიდან აღსანიშნავია კომპოზიტი „ბებრისმიწები“. გადმოცემით ეს მიწები ვიღაც მოხუც თავადს ეკუთვნოდა და ეს სახელიც იქიდან არისო წარმოდგარი.

ამ ადგილის შემდგომ გვხვდება ტყემიწები, რომლებიც როგორც სხვები ესეც ხერხეულიძეების კუთვნილი იყო.

აკვნიტყე, ეს მამული ტყისპირში არის და როცა გლეხები მამულებს ამუშავებდნენ, ქალები აკვნებს იქ მიდგამდნენ, სადაც იფნის ხეები იდგა, იმიტომ რომ სამუშაოში გართულებს ნაკლებად ეცალათ ბავშვების მისახედად და ცნობილია, რომ უხსენებელს საშინლად ეჯავრება იფნის ხის ფოთლის სუნი და

ფოთლები და იქ საერთოდ არ ეკარება, ყოველივე ეს ცნობილი იყო ადამიანებისთვის და თავს დაცულად გრძნობდნენ. ამ მიწებს დღეს ეწოდება აკვის ტყის მიწები.

დალაქის ახლო, სოფელში ერთი ღარიბი დალაქი ყოფილა და მიწა არ ჰქონია, მისულა ბატონთან და მიწა უთხოვია, ბატონს უთქვამს გაკაფე ტყე და შენი იყოსო, გაუკაფია და სახნავ-სათესად უქცევია.

ხატიმიწა, ანუ სახატე სოფლის თავშია – დასავლეთით. გადმოცემის თანახმად ომში წასვლის წინ ხალხი ამ ხატს ამ ადგილზე დაასვენებდა და ლოცულობდა. აქ არის ნიში, ხეები სადაც ადამიანები დღესაც ლოცულობენ.

კოყები ადგილი – ტყემიწის თავზე, გადმოცემის მიხედვით აქ თამარ მეფე ისვენებდა. აქვეა ციხის ნანგრევები, იქვე ახლოს კი გვირაბი აღმოუჩენიათ და როგორც ამბობენ ამ გვირაბით საციხური სოფელ წაღვლს უკავშირდებოდა. სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით ადგილს ეწოდება „ზაქას ტყე“ სადაც არის ძველი ნასახლარი (ძეგლთა აღწერილობა).

სოფლის დასავლეთით არის ძირითადი სავარგულები. გრძელი ველები, ვანეს ტყე, კილასონიანთ წყაროები (გვარი კილასონია), ანტონას ძემვიანი, ვანიანთ, ბესიკაანთ ტყეები, ასევე ეწოდება რელიეფის გამო ფიჭვების ტყე სადაც დამეწყრილ ადგილებში ფიჭვებია გაშენებული. ეს ადგილები ეკუთვნოდათ ლადო ხერხეულიძის შვილებს: გიგა, სანდრო, რეზო, კოტე ხერხეულიძეებს და ეწოდება ასევე ხერხეულიანთ ტყე.

მოსიანთ ტყე, რომელიც მოსაშვილებს ეკუთვნოდათ შიმშილა ტყე სადაც წყალი არ იყო. გოგიაანთ წყარო, რომელიც ამ სახელის კაცს უკავშირდება. სამთა ხარო დიდი ხარო იყო, იქ ინახავდნენ მარცვლეულს ცაბაძეები და სხვა პროდუქტებს. ასე იყო თავდასაცავ ადგილებად გამოყენებული, განსაკუთრებით ლეკიანობის დროს.

ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია მდინარე ფრონე, რომელიც ისევე ხალხური ეტიმოლოგიით განიმარტება, როგორც „თხელი წყალი“, ანუ ფონი გასასვლელი. აღსანიშნავია, რომ გამოყენება ასეთი კომპოზიტი წყალყინა, რაც შემდგომ განმარტებას საჭიროებს.

ჰიდრონიმი „ჭალიკის წყარო“. ჭალიკი მეტსახელი ყოფილა, რომელიც მაზრის უფროსი ყოფილა და სწორედ მას გამოუყვანია ეს წყარო.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ი., შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
2. ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, მეორე წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, თბ., 1895.
3. ცისკარიძე ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, 1959.
4. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი V, 1990.
5. თაყაიშვილი ე., მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, თბ., 1907.
6. რუისის საეპისკოპოსოს დავთარი, 1715.
7. პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVIII სს., თბ., 1991.
8. დოკუმენტები საშუალო სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

ნასესხობა და ინგლისური ენიდან ქართულ ენაში ნასესხები ლექსიკური ერთეულების მოკლე მიმოხილვა

თეონა ყუმბულაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლანა ლომინაძე**, მოწვეული სპეციალისტი

ენები, მათ შორის ქართული ენაც, სხვა ენებისგან დამოუკიდებლად არ არსებობენ. ენები მეტ-ნაკლებად მუდმივ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ამ ურთიერთგავლენას მეცნიერები ენების კონტაქტს უწოდებენ. (ქეცბა-ხუნდაძე 2012: 91) ენების კონტაქტი შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალურ

და სოციალურ დონეზე. ინდივიდუალურია, როდესაც ცალკეულ ადამიანებს ორ ან მეტ ენაზე შეუძლიათ მეტყველება და სოციალურია, როდესაც ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფში ორ ან რამდენიმე ენაზე მეტყველებენ. ენობრივი კონტაქტის ნებისმიერ შემთხვევაში ენების ურთიერთგავლენის და სიტყვათა ნასესხობის ალბათობა ძალიან დიდია, რადგანაც ხშირად ხდება უცხო კულტურისთვის დამახასიათებელი საგნებისა და ცნებების აღწერის საჭიროება, თუმცადა, „იმის მიუხედავად, რომ ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ერთნი ლექსკურად არიან რთულნი, სხვები - უფრო გრამატიკულად, ნებისმიერ ენაზე შეიძლება ნებისმიერი აზრის გადმოცემა.“ (ჯაგოდნიშვილი 2009: 42)

ენების კონტაქტის შედეგი ამა თუ იმ ენის ლექსიკურ მარაგზე ძირითად ნასესხობით აისახება. ნასესხები სიტყვა მიეკუთვნება ისეთ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც უცხო ენის გავლენით არის წარმოქმნილი. (ქეცბა-ხუნდაძე 2012: 91) ქართულ ენაში გვხვდება ინგლისური ენიდან ნასესხები ისეთი სიტყვები როგორცაა „teenager“, „sorry“, „ok“ და ასე შემდეგ. უცხოური ნეოლოგიზმების (ენაში ახლად შემოსული სიტყვა) გააქტიურება ენაში უშუალოდ უკავშირდება ბარბარიზმების პრობლემას. „ბარბარიზმი აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში უცხო ენიდან გაუმართლებლად შემოჭრილ სიტყვას. ბარბარიზმია ყველა უცხო სიტყვა, რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს, რადგან შესაბამისი შინაარსის სიტყვა ენას უკვე მოეპოვება“. (სარჯველაძე 2013: 136)

მაინც რით არის განპირობებული უცხო ენიდან სიტყვების სესხება? რამდენად გვჭირდება უცხო სიტყვის „შემოტანა“, მაშინ, როდესაც თეორიულად დედაენაზე ნებისმიერი სიტყვის გამოხატვა შეიძლება სიტყვათწარმოების ან პერიფრაზის საშუალებით. ქრისტიანე ვანცეკის ლექსიკოლოგიაზე დაყრდნობით (2010: 125) უცხო სიტყვების სესხების ოთხი ძირითადი მიზეზი შეგვიძლია დავასახელოთ:

1. როდესაც საჭიროა ახალი საგნის ან ცნების აღნიშვნა, რომელიც უცხო კულტურიდან იქნა გადმოტანილი და ამა თუ იმ კულტურაში არ არსებობს.
2. როდესაც საჭიროა ახალი ცნების ან საგნის აღნიშვნა, რომელიც მხოლოდ უცხოური ლექსიკისთვისაა დამახასიათებელი.
3. როდესაც საჭიროა ცნებების ცალკეული ნიუანსების წარმოჩენა, სემანტიკური დიფერენციაცია.
4. როდესაც საჭიროა გარკვეული სტილისტიკური ეფექტის მიღწევა, მეტყველების სტილის ვარიაცია.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

მიზეზი 1: უცხო კულტურისთვის დამახასიათებელი ნივთების, ჩვევების თუ ცნებების შემოტანასთან ერთად შემოდის ამ ცნების დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. ესაა სიტყვის სესხების ყველაზე პროდუქტიული და გავრცელებული ნიმუში. სიტყვა „შოკოლადი“ ამ ტიპის სესხების ტიპური მაგალითია. ეს სიტყვა მექსიკელი ძირძველი მოქალაქეების ენაზე აღნიშნავს კაკაოს სასმელს. მე-17 საუკუნეში მექსიკიდან ევროპაში კაკაოს შემოტანასთან ერთად კაკაოსგან დამზადებული პროდუქტისთვის ყველა ევროპულ ენაში, მათ შორის ინგლისურშიც მცირე ფონეტიკური ვარიაციით დამკვიდრდა შესაბამისი მექსიკური სიტყვა - „chocolate“.

მიზეზი 2: უცხოურ კულტურაზე საუბრისას თუ მსჯელობისას ხშირად გვხვდება ისეთი საგნების, ნივთების, ჩვევების ან ცნებების აღწერა, რომელთაც არც ერთ სხვა კულტურაში შესატყვისი არ მოეძებნება. ასეთ შემთხვევაში უდავოა რომ ბევრად უფრო პრაქტიკულია უცხო სიტყვის გამოყენება, ვიდრე მშობლიურ ენაზე პერიფრაზით უცხო ფენომენის გამოხატვა. ასეთ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ სიტყვა გეიშა, რომელიც აღნიშნავს ქალს, რომელსაც იაპონურ ჩაის სახლებში ხალხის გართობა ევალება. სხვა არც ერთ კულტურაში გეიშას ანალოგი არ ყავს, ამიტომაც მოხდა ამ სიტყვის სესხება.

მიზეზი 3: უცხოურ სიტყვებს ძალიან ხშირად ცნებების ცალკეული ნიუანსის ხაზგასასმელად ან დასაზუსტებლად იყენებენ. ასეთ შემთხვევაში უცხოენოვანი სიტყვის შინაარსის მქონე სიტყვა ან პერიფრაზი მშობლიურ ენაშიც შეიძლება რომ იქნეს მოძიებული. მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა „quiz“-ის სესხება, რომლის შინაარსი შეიძლება გამოვხატოთ სიტყვით „გამოკითხვა“ ან პერიფრაზით „ცოდნის შემოწმება“. თუმცა ამ სიტყვის ძირითადი გამოყენების არეალი უნივერსიტეტია, მიუხედავად იმისა რომ ცოდნის შემოწმება სკოლებშიც ხდება. როგორც ჩანს, „ნასესხები“ ლექსიკური ერთეულები „მსესხებელ“ ენაში სპეციფიკურ ფუნქციას იძენს. ორი მსგავსი მნიშვნელობის ერთეულის არსებობის შემთხვევაში ერთ - ერთი მაინც ჩაანაცვლებს მეორეს, რადგან „ენის სისტემა ორი იდენტური ფუნქციის მქონე ერთეულს როგორც წესი ვერ იტევს“. (ქეცბა-ხუნდაძე 2012: 96)

მიზეზი 4: უცხო სიტყვების გამოყენება ხშირად სტილისტიკური ეფექტის მოხდენის, მეტყველების ვარიაციის საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შესაძლოა იყოს ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთზე არსებული პრესტიჟული ენის გავლენაც. მაგალითად, თუ საბჭოთა

კავშირის დროს თანამშრომლების ერთიანობას „კოლექტივს“ ეძახდნენ ახლა უფრო მისაღებია სიტყვა „*staff*“.

როგორც ვხედავთ უცხო სიტყვათა სესხების მიზეზები და შემდგომ ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში (ამ შემთხვევაში ქართულში) მათი ფუნქციური დატვირთვა მრავალფეროვანია. „სესხების შემდეგ უცხოენოვანი სიტყვა ახალი ენობრივი სისტემის ნაწილი ხდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფონეტიკურ, სემანტიკურ და მორფოლოგიურ მხარეზე. თითქმის არ არსებობს უცხოენოვანი სიტყვა რომელსაც სესხების შედეგად არავითარი ცვლილება არ განუცდია“. (ქეცბა-ხუნდაძე 2012: 103) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ენის ზეგავლენა მეორე ენაზე მხოლოდ სიტყვათა პირდაპირი სესხებით არ ამოიწურება. ნასესხები სიტყვები „სესხების“ შემდეგ განვითარების მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ გზას გადიან. მნიშვნელობის ცვლილებები მათ ისევე ეხება როგორც „მსესხებელ“ ენაში მანამდე არსებულ ლექსიკურ ერთეულებს. ზოგჯერ ამგვარი გავლენა მიმდები ენის სტრუქტურულ თავისებურებებზე ტოვებს ანაბეჭდს.

დღესდღეობით ქართულ ენაში ყველაზე მარტივად ინგლისურენოვანი სიტყვების სესხება ხდება. ჩვენი დღევანდელი ნაშრომის მიზანია მოკლედ წარმოვადგინოთ ყველაზე თვალსაჩინო და ხშირად გამოყენებული ინგლისურენოვანი „ნასესხობები“. ეს თემა დღესდღეობით ძალზე აქტუალურია. ჩვენს თაობაში ძალზე ცოტაა ახალგაზრდა, რომელიც საუბრისას ამა თუ იმ ნასესხობას გააზრებულად ან გაუაზრებლად არ იყენებდეს. გამოყენებასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ეს მოდაა და ახალგაზრდები მოდას მიყვებიან. ზოგი თვლის, რომ ნასესხები ლექსემები საფრთხეს უქმნის ქართული ენის სისუფთავს. ზოგიც პრობლემას, საერთოდ ვერ ხედავს და მათი არსებობა ნორმალურ, ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია. ქართულ ენაში ყოველდღიურად ახალი სიტყვა მკვიდრდება. თუ ადამიანები რამდენიმე წლის წინ განსხვავებული ტერმინოლოგიით საუბრობდნენ, დღეს ლექსიკურმა მარაგმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ მსგავსი სიტყვები ხშირად გვხვდება როგორც მხატვრულ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, ასევე ფართო პოპულარიზაცია ეწევა მათ მედია საშუალებების მიერ. ბარბარიზმი უცხო ენიდან შემოსული ფორმაა, რომელსაც პირდაპირ ვიყენებთ და არ ვცდილობთ რომ ვთარგმნოთ. ქართული ენა აივსო ბარბარიზმებით. მის უამრავი მაგალითია: „სეილი“, „შოპინგი“, „დამესიჯება“, „დაკლიკება“, „დასეივება“ და ა.შ

დღევანდელ ჩვენს ნაშრომში ჩვენი მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ ქართულ ენაში ყველაზე ხშირად გამოყენებული რამოდენიმე ნასესხობა. დავიწყოთ ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვით - თინეიჯერი, რომელიც უკვე ისე ძალიან დამკვიდრდა ჩვენს ენაში, რომ მის ანალოგს, მოზარდს, ან ძალიან იშვიათად იყენებენ, ან უმეტესობამ არც კი იცის რომ ეს ორი სიტყვა ერთმანეთის სინონიმია. სიტყვა „თინეიჯერი“ მოიცავს პიროვნებებს 13-დან 19 წლის ჩათვლით. რადგანაც ინგლისურ ენაში ეს ასაკები ბოლოვდება „*teen*“ დაბოლოებით, (მაგალითად *thirteen*, *fourteen* და ა.შ.) ხოლო „*age*“ ასაკს ნიშნავს. შესაბამისად *teen+ager* ნიშნავს პიროვნებას 13-დან 19-ის ჩათვლით.

სიტყვა ინდეფერენტულიც წარმოშობილია ინგლისური სიტყვიდან „*indifferent*“ და თინეიჯერის მსგავსად ისე დამკვიდრდა ჩვენს ენაში რომ მის ქართულ ანალოგს იშვიათად ვიყენებთ. მისი ქართული შესატყვისებია: გულგრილი, გულცივი, მიუდგომელი ან მიუკერძოებელი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქმიანობის სხვადასხვა სფერომ მისთვის მისაღები ლექსემა შეითვისა. მაგალითად ფსიქოლოგიაში ახლად დამკვიდრებული ტერმინი „*bullying*“ - ესაა სიტყვის „*bully*“-ის გერუნდიული ფორმით ისესხა ქართულმა და დაშინების, ძალადობის და მუქარის მნიშვნელობით ითარგმნება. ამ ერთმა სიტყვამ კი სამივე შეითავსა და ფსიქოლოგიაში ბავშვებზე, ან ბავშვთა შორის ურთიერთდაცინვის ან ძალადობის მოკლედ გამოსახატავად გამოიყენება.

ბიზნესში უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვა „*staff*“. რამდენად იყო სიტყვა „*staff*“-ის სესხება საჭირო როდესაც გვაქვს მისი ქართული ანალოგები, როგორცაა თანამშრომელთა შტატი, მომსახურე პერსონალი ან უბრალოდ კადრები. თუმცა სტაფი დღითი დღე უფრო მყარად იკავებს ადგილს ჩვენს ენაში.

თითქმის შეუცვლელი გახდა სიტყვა „სეილი“ (*sale*), რომელიც ფასდაკლების მნიშვნელობით გვხვდება ქართულ ენაში, თუმცა მისი მნიშვნელობა გაცილებით მეტია. ინგლისურ ენაში ის შესაძლოა შეგვხვდეს როგორც გაყიდვა, ვაჭრობა, აუქციონი ან გაყიდვის მოცულობა. ასევე თითქმის შეუცვლელია ლექსემა ბონუსი, რომლის მნიშვნელობებია სახელფასო დანამატი, შეღავათი, ჯილდო, პრემია და დამატებითი დივიდენდი.

ნასესხები ლექსემების მცირე ჩამონათვალს ვერ დავასრულებთ რომ არ ვახსენოთ სიტყვა ოქ - „*ok*“, რომელმაც ჩანაცვლა მთელი რიგი ისეთი სიტყვებისა როგორებიცაა „კარგია“, „ყველაფერი რიგზეა“, „მოსაწონია“, „წესრიგია“, „გასაგებია“, „მისაღებია“, „გეთანხმები“, „გავაკეთებ“, „მშვენიერია“ და ა.შ.

როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ყოველდღიურობაში ეს პატარა ოქ გვხვდება როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ გარემოში საუბრის წარმართვისას და დღითი დღე უფრო ღრმად იდგავს ფესვებს ჩვენს ენაში.

დღევანდელ ცხოვრებაში ძალიან ცოტაა ახალგაზრდა, რომელიც ნასესხებ ლექსემებს არ იყენებდეს მეტყველებაში. ზოგს ეს პრობლემად მიაჩნია, ზოგი კი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. ასეა თუ ისე ენათა კონტაქტს და ურთიერთგავლენას ვერსად გავექცევით და ხშირად, გააზრებულად თუ გაუაზრებლად გამოვიყენებთ ნასესხობებს.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, ვერბალური კომუნიკაციები, თბილისი, 2009.
2. ლალი ქეცბა-ხუნდაძე, დავით გიორგობიანი, გერმანული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 2012.
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გრძელვადიანი სასწავლო კურსი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის, თბილისი, 2010.
4. <https://ka.wikipedia.org/wiki/main>
5. <http://www.dictionary.com/browse/barbarism>
6. <http://www.oxforddictionaries.com/definition/english/barbarism>

ქართული ლიტერატურა

საბავშვო ლიტერატურის ძირითადი წყაროები

ლია გერმანიშვილი, მადონა მელანაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: ნელი ჭამპურიძე, პროფესორი

ნოდარ დუმბაძე წერდა: „მე ასე მგონია, რაც კაცობრიობას დღემდე შეუქმნია, გამოქვაბულისა და კლდის მხატვრობა იქნება ეს, ველურების უცნაური ნიღბები თუ რომისა და საბერძნეთის უზარმაზარი ამფითეატრები, ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი, ბავშვებისა და მოზარდებისათვის იქმნებოდა. ადამიანები ბავშვობიდანვე ქმნიდნენ თავისთვის ხელოვნებასაც, ლიტერატურასაც, ნაირ-ნაირ სანახაობებსაც: ესაა, რომ ბუნების მიერ მათთვის დაწესებული არსებობის მკაცრი რეგლამენტის გამო ვერ ასწრებდნენ ყოველივე ამით თავის დროზე ესარგებლათ და ძალაუნებურად სიბერეში უხდებოდათ თამაში, ბავშვებისათვის განკუთვნილი გასართობებით თავის შექცევა. იქნება ამიტომაც, მოხუცებულობაში ასეთი გატაცებითა და სიამოვნებით რომ მიველტვით ბავშვობას. მე ასე მგონია. საერთოდაც, მე რომ მკითხო, მთელი დედამიწა ერთი დიდი, უფასო „ბავშვთა სამყარო“ უნდა იყოს, რომლის შესასვლელ კარზე უშველელი ფერად-ფერადი ასოებით იქნება წარწერილი: ყველაფერი ბავშვებისათვის.“

დიდი გოეთე ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს თვლიდა იმ საფუძვლად, რომელსაც მისი და, საერთოდ, ყველა შემოქმედის ცხოვრება ემყარება. რამდენადაც მდიდარი და მრავალფეროვანია ბავშვის შთაბეჭდილებანი, იმდენად ცხოველმყოფელია მისი გავლენა შემოქმედის შთაგონებაზე. ბავშვის გონების განვითარებაში, მისი სულის ფორმირებაში ადრევე იდებს წილს საბავშვო მწერლობა. იგი ჯერ კიდევ ანბანის გაცნობამდე იჭრება ნორჩის არსებაში ზღაპრების, გამოცანების, ენის გასატეხებისა და მოკლე ლექსების სახით. ანბანის შესწავლით ეს არე თანდათან ფართოვდება, ბავშვი იწყებს საგნებისა და მოვლენების ურთიერთ კავშირში გარკვევას, ბუნების საიდუმლოებათა აზრისა და მნიშვნელობის ახსნას. ამ დღიდან საბავშვო მწერლობა ხდება ადამიანის ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრი, მისი სულის ნაწილი. რამდენადაც მაღალი და მნიშვნელოვანია საბავშვო მწერლობის იდეურ-მხატვრული დონე,

იმდენად დიდი და ხანგრძლივია მისი გავლენა ბავშვის გულსა და გონებაზე. როგორც არ უნდა იყოს საბავშვო მწერლობის განსაზღვრა, როგორც არ უნდა შემოვფარგლოთ მისი ჩარჩოები მკითხველის ასაკითა თუ სხვა ნიშნებით, ჩვენ მაინც ხელთ გვრჩება საბავშვო მწერლობის კლასიკის ოქროს ფონდი, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხის მოზარდი თაობის ბიბლიოთეკის უპირველეს წიგნებს შეადგენენ და რომელთა წაუკითხავად ჩვენ ვეღარ წარმოვადგენთ ცოტად თუ ბევრად რიგიანად აღზრდილ ჩვენი დროის ახალგაზრდას. თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცოტა მოეძებნება ბადალი, რომელსაც შეიძლება გატოლებოდა მას თავისი ხანგრძლივობითა და უწყვეტობით, მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით. ისტორიულმა უკულმართობამ ძველი ქართული მწერლობის მიღწევებიდან ცოტა რამ დაგვიტოვა. მაგრამ ის, რაც შემოგვრჩა, მაინც იძლევა დაახლოებით წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ როგორ ზრდიდნენ ბავშვს ძველ საქართველოში, რა იყო მათი მთავარი საკითხავი წიგნები. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, აპოკრიფული ლიტერატურა იყო ძირითადი წრე საკითხავი და სასწავლო წიგნებისა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბიბლია მსოფლიო ლიტერატურის ერთი უპირველესი წიგნთაგანია, რომელიც საუკუნეების მანძილზე რჩებოდა მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეების, კომპოზიტორების შთაგონების წყაროდ. ძველი და ახალი აღთქმა ჰკვებავდა რენესანსის ეპოქის ტიტანთა შემოქმედებას. მდიდარი ეროვნული ჰაგიოგრაფიული მწერლობა ქართველ ახალგაზრდობას უნგრევდა გმირულ სულს, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებას. ამათგან ერთი „წამებაი ყრმათაი წმიდათაი რიცხვით ცხრათაი“ ჩვენი მკვლევრების მიერ მიჩნეულია ქართული საბავშვო მწერლობის უძველეს ნიმუშად. ამ ნაწარმოების აღიარება საბავშვო მწერლობის ნიმუშად მხოლოდ იმ ნიშნით, რომ მისი გმირები ბავშვები არიან, ცოტა გაზვიადებულად გვეჩვენება, მით უფრო, რომ მოთხრობა არ გამოირჩევა თავისი მხატვრული ღირსებებით, დაწერილია კონსპექტივით, მოკლედ და მშრალად. ძველმა ქართულმა მწერლობამ შემოგვინახა ერთი უბრწყინვალესი ძეგლი, რომელიც ორიგინალური არ არის, მაგრამ იმდენად გაქართულებული და გავრცელებული ყოფილა, რომ მას თავის დროზე უდიდესი გავლენა უნდა ჰქონოდა ჩვენი ბავშვობის აღზრდაზე. ამ რომანის მთავარი გმირის ცხოვრება აღწერილია მისი დაბადებიდან, ნაჩვენებია იოდასაფის აღზრდა და სწავლა, შემდეგი მისი გატაცება ქრისტეს მოძღვრებით და ბოლოს, ამ მოძღვრების ზეიმი, იოდასაფის მეცადინეობით მთელი სახელმწიფოს მოქცევა ქრისტეს სჯულზე. ბალავარის რომანი, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ყურადღებას იქცევს არა მარტო ფილოსოფიური სიღრმით, არამედ თავისი მხატვრული ღირსებებითა და აღმზრდელობითი მნიშვნელობითაც. ახალგაზრდა მკითხველის დიდი სიყვარულით სარგებლობდა ალბათ ჩვენი საერთო ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლიც – მოსე ხონელის „ამირან დარეჯანიანი“. ამ ნაწარმოების საზღაპრო-საგმირო ხასიათი, ფანტასტიკა, სიკეთის გამარჯვებისთვის მებრძოლი ბუმბერაზების ვაჟკაცობა, ბოროტ დევებთან მათი კვებება „ამირან დარეჯანიანი“ ნორჩი მკითხველებისთვისაც შეუწელებელი ინტერესით საკითხავ წიგნად ხდიდა თავის დროზე, მაგრამ ძველი საქართველოს ნორჩი თაობის საკითხავი წიგნების წრე ამით როდი შემოიფარგლებოდა. ქართული პოეზიის მწვერვალი „ვეფხისტყაოსანი“ იყო ის წიგნი, რომელსაც ერთნაირი გატაცებით ეტანებოდა დიდი და პატარა. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას, მის დაუპირებლად ადრე, ბავშვობაშივე იწყებდნენ და შემდეგ იგი ქართველი კაცის განუყრელი თანამგზავრი იყო ჭირსა და ღვინოში. რუსთაველის პოემის მაღალ, ჰუმანურ იდეებს, ბავშვობაშივე ითვისებდა ქართველი მკითხველი და ამას ხელს უწყობდა, როგორც პოემის საგმირო-რომანტიკული ხასიათი, დამაბული სიუჟეტი, ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტები, აგრეთვე რუსთაველის ლექსის მელოდიურობა, დამახსოვრებისა და ათვისებისათვის მისი გასაოცარი სიადვილე და როგორც ჰომეროსის და შექსპირის უკვდავ ნაწარმოებებში პოულობდა ყველა ასაკის მკითხველი მისთვის მიმზიდველსა და საინტერესოს, ასევე გენიალური „ვეფხისტყაოსანიც“ ქართველი მკითხველის ყველა თაობის უსაყვარლესი წიგნი იყო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ განუსაზღვრელი გავლენა ჩვენი ხალხის ყოფასა და ცხოვრებაზე, მის მორალსა და ზნეობაზე.

რუსთაველის შემდეგ აღორძინების ხანის ქართულმა მწერლობამ იკისრა ეროვნული განახლების მედროშის როლი. ამ დროს დაწყებული დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა უყურადღებოდ ვერ ტოვებდა ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. იწერება დიდაქტიკური ხასიათის ნაშრომები, უამრავი „ხილთა ქებანი“ და „ანბანთქებანი“, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ და გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეპოქის ლიტერატურულ მემკვიდროებაში ჩვენ გვაქვს საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და გურამიშვილის „დავითიანი“.

ქართველი ერის დიდმა მოჭირნახულემ – სულხან-საბა ორბელიანმა შექმნა იგავ-არაკების ორიგინალური კრებული. კომპოზიციურად წიგნი ისე ოსტატურად არის მოფიქრებული, რომ ყველა იგავი, თავისი აზრითა და მორალით, უკავშირდება და ემსახურება აღზრდის პრობლემას: მაგრამ მწერლის დიდოსტატობა სწორედ ის არის, რომ იგი მშრალ დარიგებებს კი არ ქადაგებს, იგი ცხოველებისა

და ფრინველების პირით ალეგორიულად გვიხატავს თავისი დროის საქართველოს სოციალურ სურათს, გმობს ჩვენი ხალხის ცხოვრების მანკიერ მხარეებს, ქადაგებს სამშობლოს სიყვარულსა და კეთილშობილებას, სიკეთესა და ადამიანობას. გონებამახვილმა იგავ-არაკებმა, მაღალმხატვრულმა ნოველებმა, ენის სისადავემ და სიმდიდრემ, საბას წიგნის უდიდესი პოპულარობა უზრუნველჰყვეს და საპატიო ადგილი სამუდამოდ დაუძკვიდრეს ჩვენი ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში.

მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან დგება ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ამ დროისათვის მძლავრად გაშალა ფრთები და ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამ ბრძოლის მეთაურებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა და ვაჟა-ფშაველამ ქართველი ხალხის განთავისუფლების, მისი ცხოვრების განახლების ერთ-ერთ უპირველეს პირობად ახალი თაობის აღზრდა უნდა დადებოდა საფუძვლად ახალი, თავისუფალი საქართველოს შენებას. ამ უზარმაზარი სამუშაოს უდიდესი ტვირთი საკუთარი მხრებით აზიდა იაკობ გოგებაშვილმა, რომლის ღვაწლის მნიშვნელობა განუზომლად დიდია ჩვენი ხალხის ახალ ისტორიაში. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ არა მარტო დიდი პედაგოგიური ალლოთი შედგენილი წიგნებია. იაკობ გოგებაშვილი კრებდა და ბავშვებისათვის ამუშავებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მის მიერ სახელმძღვანელოში შეტანილი ბევრი ლექსი თუ ზღაპარი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს სასწავლო წიგნებსა და ქრესტომათიებში. იაკობ გოგებაშვილმა გამოკრიფა „ქართლის ცხოვრების“ საგმირო ეპიზოდები, მოსწავლეთათვის მისაწვდომად გადაამუშავა და ჩვენი ბავშვების სულიერ ცხოვრების ნაწილად აქცია ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლისა, იოთამ ზედგენიძისა და სამასი თავდადებული არაგველის გმირობა. იაკობ გოგებაშვილი არა მარტო თვითონ სწერდა, არამედ უდიდესი ყურადღებით ექცეოდა ყველა ნიჭიერ მწერალს, როცა ისინი საბავშვო ნაწარმოებებს ქმნიდნენ. ცნობილია, როგორი აღფრთოვანებით შეხვდა იგი აკაკის საბავშვო ლექსებს. იაკობ გოგებაშვილმა სათავე დაუდო ქართულ საბავშვო მწერლობის თეორიასა და კრიტიკასაც. მისი თეორიულ-კრიტიკული შეხედულებები ნაწარმოების ღრმა ანალიზს ეფუძნება და დღემდე ინარჩუნებს სავალდებულო მნიშვნელობას. იმის საილუსტრაციოდ თუ როგორი ღრმა გაგებითა და წვდომით წერდა იაკობ გოგებაშვილი, მოვიყვანთ ერთ ადგილს მისი წერილიდან: „წარმოიდგინე, მკითხველო, მაღლის მთის წიაღიდან გადმოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც შხუილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესი წყლისას. ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკვეა ბუნებისა, მასში მშვენივრად იხატება მისი ნაპირების მცენარეულობა, მასვე თავის სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად ჩანს ყველაფერი, რომ თვითულს კენჭს ადვილად დათვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიმჭკირვალეს მოტყუებაში შეჰყავხართ: შენ ეს მორევი თხელი გგონია, მაგრამ აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოვი, და მან ძირის ნახევრობამდინაც ვერ უწია, მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა. სწორედ ამისთანა თვისებებისა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შეჰქმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გვეჩვენება, რად? იმიტომ, რომ საარაკო კამკამი გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ. ჰხედავ არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც“. რამდენი რამ დაწერილა აკაკის პოეზიაზე პოეტის სიცოცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ ასე ზუსტად, ასე ზედმიწევნით სწორად, დღემდე აკაკის პოეზია არავის დაუხასიათებია. აკაკი წერეთელმა ვაჟა-ფშაველასთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად სათავე დაუდო ახალ ქართულ საბავშვო მწერლობას. მან ამ მწერლობას რამდენიმე ორიგინალურ ლექსთან და ბრწყინვალე თარგმანებთან ერთად შესძინა თავისი ცხოვრების შესანიშნავი წიგნი „ჩემი თავგადასავალი“. „ჩემი თავგადასავალი“ საბავშვო პოეზიის ისეთი ნიმუშია, რომელსაც ერთნაირი გატაცებით კითხულობენ ყველა ჰასაკის მკითხველები. სოფლად გატარებული ბავშვობა, რუსიფიკატორული სკოლის უკუღმართი გავლენა ბავშვის აღზრდაზე, ნათელი, ხალისიანი ფერებით გადმოგვცა პოეტმა თავისი პროზის ამ შედევრში. ქართველი ბავშვის აღზრდისა და მისი ხასიათის ჩამოყალიბების ჩვენების ამ წარმატებულმა ცდამ, სამწუხაროდ, გამგრძელებლები ვეღარ ჰპოვა ჩვენი მწერლობის შემდგომ განვითარებაში.

ქართული საბავშვო მწერლობის კლასიკის მეორე შემქმნელი ჩვენი ეროვნული პოეზიის ბურჯი ვაჟა-ფშაველა არის. ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ დრამატიზმით აღსავსე ეს პატარა მოთხრობა დაამშვენებდა მსოფლიოს რომელი ერისაც გნებავთ ლიტერატურას.

საბავშვო მწერლობაში თავისი სიტყვა თქვა რაფიელ ერისთავმაც. სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა კარგად აისახა ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის და ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებში. საბავშვო მწერლობაში ნაყოფიერად იმუშავა მაღალნიჭიერმა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა. ევდოშვილის საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველობა. ყოველმა ქართველმა ბავშვმა ზეპირად იცის დუტუ მეგრელის შესანიშნავი ლექსი „პატარა ქართველი“. ამ ლექსმა თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ჩვენი მოზარდი თაობის

ეროვნული ერთიანობის შეგნების ჩამოყალიბებაში. იგი ახლაც ამ ერთობის ჰიმნად გაისმის და გვეხმარება პარტიკულარიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შიო მღვიმელი გასული საუკუნის დიდ პოეტებს მოესწრო და მათთან განუყრელი მეგობრობა ჰქონდა. იგი ჩვენ დროში ცხოვრობდა, ჩუმი, მორიდებული კაცი იყო. შიო მღვიმელი პირველი პოეტი იყო, რომელიც მხოლოდ ბავშვებისთვის სწერდა. შიოს ლექსები ბავშვებივით ალალი და გულწრფელია. იგი კარგად იცნობს ბავშვის ბუნებას, იცის მათი ინტერესები და მათი სახელით ისე ბუნებრივად გველაპარაკება, თითქოს თვითონაც ბავშვი იყოს. შიო მღვიმელის ლექსები კარგა ხანია დამკვიდრდნენ სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში. პოეტის ლექსი ლალია და ადვილად დასამახსოვრებელი, მათზე ჩვენი ახალგაზრდობის მრავალი თაობა აღიზარდა და მომავალშიც აღიზრდება. მემკვიდრეობა ამ პერიოდის მწერლობისა რაოდენობრივად ბევრი არაა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით დიდია. მე-19 საუკუნის ქართული საბავშვო მწერლობა ჩაბმული იყო იმ დიდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ჩვენი დიდი მწერლები მეთაურობდნენ. ეს საბავშვო მწერლობა თავგამოდებით იბრძოდა ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული გადაგვარებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ჰუმანიზმის მაღალი იდეებით ზრდიდა ჩვენს ნორჩ თაობებს, შრომის სიყვარულისა და სამშობლოსათვის თავდადებას უნერგავდა ჩვენს ბავშვებს. ამ მხრივ მე-19 საუკუნის ქართულმა საბავშვო მწერლობამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი მშობელი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ლიტერატურა:

1. ც. ბაბლოვანი, საბავშვო ლიტერატურა, თბ., 1994, გვ. 396
2. შ. ქურდაძე, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია (I ნაწ.), 2002, გვ. 210
3. ნ. ჭამპურიძე, იაკობ გოგებაშვილის ქრისტიანულ-ზნეობრივი მრწამსი და მისი მხატვრული შემოქმედება, თბ., 2006.
4. ლ. მელაძე, უახლესი საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, 2004.
5. თ. გოგოლაძე, მეცხრამეტე საუკუნის 60-90-იანი წლების ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბ., 2012.
6. ნ. საღირაშვილი, ქართული საბავშვო მწერლობა (XIX ს.), 1998.
7. ა. ღვინიაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1979.
8. ვ. ჯიბუტი, ქართველი საბავშვო მწერლები, თბ., 1979.

ზეცის ბინადარი

ნაწილი ეცადაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ზურაბ ოქროპირიძე**, უფროსი მასწავლებელი

„არა სიცოცხლე არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“ - წერდა გასული საუკუნის დასაწყისში ქართული პოეზიის ცის კაბადონზე უცნაურად აელვარებული ვარსკვლავი ტერენტი გრანელი (კვირკველია 1897-1934) იმთავითვე გამორჩა ორიგინალური პოეტური ხელწერით, განუმეორებელი მხატვრული სამყაროთი, მუდამ ზეცისკენ მზირალი, იდუმალი და მაგიური სულით. პოეტს ვერ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივი ყოფითი სიცოცხლე და ასეთივე სიკვდილი. ლექსების ავტორი სიკვდილ-სიცოცხლის ჭეშმარიტი რაობის, ადამიანის ღმერთთან რწმენასთან დამოუკიდებლობის გარკვევას ცდილობს. პოეტს სწყუროდა მიწიერი სამყაროდან ამოსვლა, რაღაც სხვა“, არაჩვეულებრივი. მას სხვაგვარად ესმოდა მიწიერი ყოფის არსი. მისი აზრით, რადგან ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ადამიანი და მხოლოდ მას მიანიჭა უკვდავი სული, მან მისი კარნახით უნდა იცხოვროს. პოეტი მომეტებულად ცდილობს ღმერთისგან მოცემული სულის სიწმინდისათვის.

ტერენტი გრანელი თვლის, რომ დედამიწაზე შეუძლებელია ადამიანის ჭეშმარიტი ბედნიერება. ცხადად გრძნობდა რა, ამ ყოველივეს, მისი სულ ერთიანად ბორგავდა. იგი ეძებდა თანამგრძნობ სულებს, მაგრამ დიდი სულიერი წინაპრის ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად ვერც მან ჰპოვა ასეთნი.

პოეტის სურვილს ქრისტესაკენ მიეხედებინა ადამიანები, ეჩვენებინა მათთვის წუთისოფლის ამოება და სულის მარადიულობა, მკაცრი რეალობა დახვდა წინ. მისი შემოქმედება მიუღებელი აღმოჩნდა რწმენისა და ეკლესიის მნგრეველი საბჭოური იდეოლოგიისათვის. ბოლშევიკურ ფერხულში ჩაბმული ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ძნელად გასაგები აღმოჩნდა ახალგაზრდა მგოსნის მთრთოლვარე სულის ძახილი. მას ვერ უგებდნენ ახლობელი ადამიანებიც. ამიტომ, როგორც მკვლევრები წერენ, საკუთარ თავში ჩაიკეტა, გაურბოდა ადამიანებს, განსაკუთრებით, მონურ მორჩილებას. ეშინოდა მისი სულიც არ დაენაგვიანებინათ. ამის გამო პოეტის სამეგობრო წრე მწირი იყო. მისი მეგობრის, აკაკი ანდრიაშვილის თქმით, ტერენტი ხან ზავშვივით ბუტია, ხან უმიზეზოდ ჭირვეული, უფრო ხშირად ანგელოზივით სათნო და გულუბრყვილო იყო. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ასე შეაფასა იგი: ტერენტი გრანელი განსაკუთრებული პოეტია და განსაკუთრებული პიროვნებაა. ანგელოზია მასში და თავად არის ანგელოზი.“ პოეტი მტკივნეულად განიცდიდა მისი პოეზიის არასათანადოდ დაფასებას. ერთხელ მეგობრისათვის უთქვამს: ამ წუთას ხიდზე, რომ მოვდიოდი, მტკვარში გადავყარე ერთი ილღია „მემენტო მორი“. სულერთია, არავის ესმის ჩემი პოეზია, არავინ არის მისი წაკითხვის ღირსი... ადამიანურ სიტბოს მოწყურებული, მაინც მათკენ მისწრაფვოდა, მაგრამ ხშირად იმედგაცრუებული რჩებოდა. „დღეს ჩემი სევდა ელავს მხესავით, დიდი ხანია, რომ ვცხოვრობ ქარში. არც მეგობარი, არც ნათესავი, არავინ არის სულ მარტო დავრჩი“. თითქოს დამორჩილდა წუთისოფლის ერთფეროვან სვლას, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. მისი სული თავისუფალ სივრცეში დანავარდობდა. პოეტმა, როგორც მორწმუნე აღმსარებელმა, მიწიერ-მატერიალურის თანდათანობით შეზღუდვით დათრგუნა საწუთისოფლო ვნებები, მიაღწია განსაკუთრებულ სულიერ სიმაღლეს. თანამედროვეთა გადმოცემით, მუდამ შორს ეჭირა თავი მატერიალურისაგან. პოეტი ვერ ურიგდებოდა ყველაფერში დაწვრილმანებულ საზოგადოებას. პირველ რიგში ცდილობდა არ მიექმალა საკუთარი ცოდვიანობა. როგორც ვთქვით, ტერენტი გრანელი იგუა იმდროინდელმა ქართულმა სულიერებისგან დაცლილმა საზოგადოებამ, რადგან არ ჰგავდა სხვებს. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა პოეტის განცდები, თუმცა ყოველთვის გრძნობდა საკუთარ სიდიდეს „მე ამდენ დარდებს გულში რად ვაწყობ, ანდა მიწაზე რა დამრჩენია. დამამარცხებენ? დე დამამარცხონ, ვგრძნობ მომკალი მაინც ჩემია“.

მის ლექსებში უნატიფესი ხელოვნებითაა გადმოცემული მარტოობის განწირული შემოქმედის ბრძოლა საბჭოურ-მატერიალისტურ იდეოლოგიასთან. მგოსანი ტატოს მერანივით თავგანწირული ეჯახება ცხოვრებისეულ გრიგალებს. იგიც მზადაა შეეწიროს ამ ბრძოლას. ოღონდ სულიერად აამაღლოს ადამიანი, აზიაროს ზეციურ სიწმინდეს. პოეტის ცხოვრება და შემოქმედება გლეხის მიერ წვალეებით მოწყული მოსავალივით ჭირნახულია, ტანჯვის ქურამია გატარებული. დიდმა სევდა-მწუხარებამ, უმკაცრეს რეალობასთან ჯოჯოხეთურმა ჭიდილმა შვა ტერენტი გრანელის გენიალური პოეზია. მისი ეროვნულიდან ამოზრდილი ტკივილი საკაცობრიო-კოსმიურშია გადასული. იგი წუხს: „რატომ არ შემიძლია ვიყო ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში, სხვა პლანეტებზე...“. ყველგან ყოფნის მოსურნეს ხშირად თავშესაფარიც არ ჰქონდა. პოეტი დადიოდა მშობლიური ქვეყნის ქუჩებში და უცხოდ გრძნობდა თავს. ერთხელ ძმის სანახავად ჩამოსულ დას, ზოზიას, უთხოვია, ბინას დაგილაგებო. ტერენტის უპასუხია: „ახლა არა, შემდეგ გადავდოთო...“ შემდეგ გარკვეულა, რომ მაშინ პოეტს ბინა საერთოს არ ჰქონია.

ტერენტი გრანელი გალაქტიონივით გრძნობდა თავისი პოეზიის სიდიადეს, ცდილობდა ეპატრონა მისთვის. „ეს ჩემი ლექსებია, უთქვამს ზოზიასთვის, რომ მომკლან ან მოვკვდე იცოდე ამას დაბეჭდავენ და უპატრონეო...“. იგიც და გალაქტიონიც სხვა სამყაროს ხედავდნენ სხვათაგან დაუფასებლებმა მათ აღიარეს ერთმანეთის შემოქმედების გენიალურობა. მკვლევარი და ხელოვანი რეზო ადამია აღნიშნავს, რომ ტერენტი გრანელში „უდიდესი კოსმიური კოდირება იყო, რომელიც მხოლოდ კოლხურ-იბერიულ გენშია ჩადებული...“. ამიტომაც იყო ბევრისთვის უჩვეულო და შეუცნობელი. ამან მიიყვანა სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს კართან. გიჟურმა დრომ სიგიჟე დასწამა სულიერებით სავესე პოეტს. მისი ერთადერთი იმედი იყო უფალი. „ჩემი ცხოვრება უცნაური, ქრება ცრემლებით, არავინ არ მყავს, არსაიდან შველას არ ველი. ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები, უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი...“

სრულიად გაუცხოვდა. ვერავის უზიარებდა თავის სულიერ მდგომარეობას. იფიცებოდა, „ამ ჩამავლი მზის სხივებს გეფიცებით, მე არ ვარ გიჟი, მე სიცოცხლე მიყვარს, მე სიმშვიდე მინდა“, სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციეს. არაერთხელ უთქვამთ თურმე: „სიკვდილი ხომ საშინელებაა, მაგრამ სიცოცხლეც არანაკლები ყოფილაო“.

ტერენტი გრანელის ლექსებს წითელ ზოლად გასდევს საგანთა და მოვლენათა სიღრმისეული, სულიერი წვდომა, სიკვდილ-სიცოცხლის მზაობისა და ცხოვრების საზრისის შეცნობა. პოეტის სულს გაუჭირდა დროითა და სივრცით შემოსაზღვრულ სამყაროში, შიშველ მატერიაში ცხოვრება. ზეცას

მიელტვოდა, „რაც სხვას“ ეძებდა. ისწრაფვოდა ცოდვიანი სხეულის დატოვებას, რათა სპეტაკად დაებრუნებინა იგი თავისი პირველსაწყისის, უზენაესი შემოქმედისათვის. მიწიდან გასვლა იყო გადარჩენის გზა „რომ ვერ შევძლო გასვლა მიწიდან, ეს უკვე ნიშნავ გარდაცვალებას“. პოეტს სურდა დაემკვიდრებინა შესაბამისი სივრცე. სწორედ ეს სივრცე არის ჩვენი აზრით „რაც სხვა“ - მიწიერი ყოფის შემდეგ, უფლის წიაღში დამკვიდრება. „მემენტო მორის“ ავტორი ფიქრობდა სიკვდილზე, როგორც მომავალ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რისთვისაც ემზადებოდა კიდეც. დეტალურად იწინასწარმეტყველა სიკვდილის დღე და საათებიც. მისი სული გოდერძი ჩოხელის ცასწავალასავით ცად ამალღების სურვილს შეეპყრო. იგი თავისი ლექსებით აიჭრა ცაში, დაენარცხა მიწაზე, მაგრამ სრულიად დაამარცხა უღმერთო ეპოქა. რაც დრო გადის მეტ ელვარებას იძენს პოეტის ლექსები. ისინი კი ვინც დევნიდა მას, ისტორიამ დიდი ხანია დავიწყებას მისცა. ტერენტი გრანელის შემოქმედება ქართული პოეზიის განძია. იგი მუდამ გვასწავლის: ვემსახუროთ სიმართლეს, სრულყოთ ჩვენი სული, არ შევეკრათ ბოროტებას, გვწამდეს უფალი და ადამიანი.

ლიტერატურა:

1. ლერი ალიმონაკი, „კვირის წირვები“, თბილისი, 1983.
2. რეზო ადამია, „ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა“, <http://www.burusi.ge>
3. ნიკა აგიაშვილი, მოგონება ტერენტი გრანელზე, <http://www.burusi.ge>
4. აკაკი ანდრიაშვილი, ტერენტი გრანელი, <http://www.burusi.ge>
5. ნოე კობახიძე, „მოგონება გრანელზე“, <http://www.burusi.ge>
6. თენგიზ ვერულავა, „გრანელი“, <http://www.burusi.ge>
7. ალ. სიგუა, კოტე მარჯანიშვილი გრანელზე, <http://www.burusi.ge>
8. ესმა ონიანი, „ტერენტი გრანელი“, <http://www.burusi.ge>
9. რეზო ადამია, მგოსანში კოსმიური ფეთქვა და კოსმიური ნგრევაა, <http://www.burusi.ge>
10. ზოზიას მოგონება ტერენტი გრანელზე, <http://www.burusi.ge>
11. ტერენტი გრანელი, 100 ლექსი, 2005.
12. ჟურნალი „ათინათი“, თბილისი, 2013.
13. გ. ჩოხელი, „თევზის წერილები“, 1989.

დემოკრატიული ღირებულებები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ქეთევან კობალაძე, ნაირა მასურაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე**, პროფესორი

დემოკრატია სახელმწიფო მართვის ფორმაა, როდესაც მთლი ლეგიტიმური ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. მოთხოვნებია თანამედროვე პოლიტმეცნიერებაში ტერმინი „დემოკრატია“ იხმარება როგორც თეორიულად იდეალური მმართველობის ფორმა. დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნებია არჩევითობა და მოკლევადიანობა. გარდა ამისა, ცნება „დემოკრატია“ მოიცავს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთაც ბუნება ანიჭებს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი რასული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილებისა.

დემოკრატიულ ღირებულებათა დანერგვისა და შემცნების მრავალი საშუალება არსებობს, თუმცა, ერთ-ერთი საუკეთესო მათ შორის კულტურული ადაპტირების გზაა, სადაც განსაკუთრებული ადგილი კომუნიკაციის მხატვრულ-ლიტერატურულ ფორმას უჭირავს. წერილობითი ძეგლები და ზეპირი სიტყვიერების ნიმუშები წარმოაჩენს ძირეულ ღირებულებათა განვითარების ფაზებსა და მნიშვნელობას ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

XIX საუკუნის მანძილზე ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოციანი წლები უდიდესი მნიშვნელობის პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს ფართო ასპარეზზე გამოვიდა თერგდალეულთა თაობა. რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. სწორედ ამ თაობას და, უპირველეს ყოვლისა, ილიას სახელს უკავშირდება საქართველოში ლიბერალიზმის, ანუ თავისუფალი აზროვნების დამკვიდრებისთვის ბრძოლა.

საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძემ ქართულ მეტყველებაში დაამკვიდრა „ევროპეიზმის“ ცნება. ეს კი ნამდვილად არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ამიტომ არის, რომ ილიას მსოფლმხედველობის ანალიზისას ჩვენ უთუოდ ვითვალისწინებთ ამ მსოფლმხედველობის ევროპულ წარმომავლობას. ილია ევროპული ყაიდის მოაზროვნე იყო. ეს თავისუფლად გულისხმობს ამ აზროვნების ლიბერალურ-დემოკრატიულ ხასიათს.

ეწეოდა დიდი ხნის განმავლობაში ჟურნალისტურ საქმიანობას, ინფორმაციულად ჩართული იყო მსოფლიოს პოლიტიკური და კულტურული ტენდენციების პროცესში, შესაბამისად, იგი ცდილობდა დაემკვიდრებინა ის სამოქალაქო ეთიკა, რასაც სოციალური და აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი, ევროამერიკული სივრცე ამკვიდრებდა, ილია სწრაფად ეხმიანებოდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს როგორც პუბლიცისტიკის ასევე მხატვრული ტექსტების საშუალებით. ცნობილია მისი არაერთი ბეჭდვითი გამომხატურება მსოფლიო სიახლეების შესახებ, წერილები კუნძულ კრეტას აჯანყებაზე. ილია მიიჩნევდა რომ ევროპული საზოგადოებრივი აზროვნებიდან ქართველმა კაცმა უნდა გადმოიღოს ის, რაც ორგანულად უთავსდება ჩვენს ეროვნულ თავისებურებებს, მას გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყველა მოსალოდნელი ფათერაკისაგან. ილიას ლიბერალური შეხედულებები არსებითად დემოკრატიზმის პრინციპებით იყო გამყარებული. აღნიშნული პრინციპების მხატვრული რეალიზება ილია ჭავჭავაძემ ჩინებულად განახორციელა „მგზავრის წერილებში“, „აჩრდილში“, „ოთარაანთ ქვრივში“ და სხვა თხზულებებში, სადაც ილია წარმოჩნდა არა როგორც ერთი რომელიმე წოდების ქომაგი და იდეოლოგი, არამედ როგორც ნამდვილი დემოკრატი, ადამიანთა თანასწორობისა და მათი ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი მოაზროვნე. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში ილია უაღრესად დემოკრატი იყო, მან პირველმა გაათავისუფლა ყმები და როგორც თვითონ წერდა: „მათ მიერ ხმარებული საკომლო სახლ-კარის მიდამო მათი ხვედრი ვენახები უსასყიდლოდ დაუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დაუტოვე. ამით მოვსპე ყოველივე ბატონყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმებთა შორის“. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ჭეშმარიტ დემოკრატს ხელეწიფება. ილია პირდაპირ წერდა, რომ უსამართლო წყობილება და უთანასწორობა „უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა“. იგი წერდა „ძალა კლასებად დაყოფილ ხალხში კი არ არის, არამედ ერთიან და თანასწორად მდგარ ადამიანებშია“. ილიამ ერთმანეთს დაუპირისპირა თერგისა და მყინვარის მხატვრულ-მეტაფორული სახეები და ხაზგასმით შენიშნა: „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა, ამაღლებული და ღირსად ცნობის სახეც არის... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“. სწორედ ამ მოძრაობასა და დაუდგომლობაში იკვეთება ერის თვითგამორკვევის უმაღლესი დემოკრატიული იდეალი. რომელსაც თავისუფლება და თვითმყოფადობა ჰქვია. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ ათქმევინა ილიამ „ტყაპუჭიან გლეხს“, რომლის პირითაც მწერალმა ჩვენი ხალხის ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფებები წარმოაჩინა. განსაკუთრებით მძაფრი რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მისი ნარკვევები, სადაც ილია გამუდმებით მოუწოდებდა ერის უმთავრესი დემოკრატიული უფლების - თავისუფლების ხელყოფაზე. „ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მიმდინარეობა ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასთვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის შემდგარიაო, არც წინ მიდის არ უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენ თვალწინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი რჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავლის იმედისა...“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ - ასე განსჯიდა ილია უშინაარსო და აზრსმოკლებულ ჟამთა სვლას, უიმედობითა და მომავლის შიშით აღსავსე ადამიანის მდგომარეობას.

ილია ჭავჭავაძის აზროვნებასა და შესაბამისად, ლიტერატურულ პროდუქციაშიც ფოკუსირებულია ხალხი, თითოეული მოქალაქე განურჩევლად წოდებისა, ეთნიკური წარმომავლობის თუ რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. იგი ემიჯნება „მამათა თაობას“, რომელთა შორის ამ კუთხით საზოგადოების დაყოფის ტენდენციას ხედავს. მწერლობას ართმევს ელიტარულობის ნიშანს და „ხალხურს“ ხდის მას. ამ მიზნით ილია ჭავჭავაძე ეწინააღმდეგება სამწერლობი ენის სტილურად დაყოფას და აახლოებს მას სალაპარაკო ყოველდღიურ ენასთან. იგი ცდილობს განათლების უფლება მოუპოვოს ყველა წოდებისა და შესაძლებლობის ახალგაზრდას და მიმართავს ბევრ სხვა ღონისძიებას.

სამოქალაქო ცნობიერების ერთ-ერთი ნიშანია კანონის წინაშე თანასწორობა და კანონმორჩილება. ილიასეული გაგება თავისუფლებისა და აგრეთვე თანასწორობისა ეყრდნობა სწორედ კანონმორჩილების პრინციპს.

ილიას იდეალური გმირები: ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, მოძღვარი და სხვები მე-19-ე საუკუნის ქართულ საზოგადოებას აძლევს სამოქალაქო ცნობიერების მაგალითს, „კაცური კაცობის ნიმუშს“. სოციალური უთანასწორობის პრობლემა ილიას მსჯელობის საგანი ხდება პუბლიცისტიკაშიც და მხატვრულ ტექსტებშიც. დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება – სიტყვისა და აზროვნების თავისუფლება ილია ჭავჭავაძეს თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან მონაპოვრად მიაჩნია.

ჩვენ ვისაუბრეთ იმ ღირებულებებზე, რომელიც თანამედროვე საზოგადოების შექმნის საკითხზე პრინციპულ მნიშვნელობას იძენს. ილია ჭავჭავაძე, რასაკვირველია, მამათა თაობასთან ერთად ცდილობდა ერს გაძლოდა თავისუფალი და ერთიანი ქვეყნის ჩამოყალიბების საქმეში, თუმცა მას მამათა თაობის უმრავლესობის ხედვისაგან განსხვავებით გააჩნდა კონკრეტული მოდელი სახელმწიფოს განვითარებისა.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანი იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც იდეოლოგის, დემოკრატიული შეხედულებების ზოგადი სურათის წარმოჩენა. უახლესმა აკადემიურმა გამოცემამ მოგვცა მდიდარი მასალა, რაც სრულყოფილად გამოავლენს მწერლის ჯერ კიდევ შეუსწავლელ მხარეებს. ილიას პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ტექსტებში თანამედროვე მოქალაქეობრივი ფასეულობების პრობლემატიკა ლიტერატურათმცოდნეთა და საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი სამომავლო სიღრმისეული და დისკურსიული კვლევების საფუძველი გახდება.

ლიტერატურა:

1. თამარ ჭანტურია, ანუკა შამუგია, თათია სიჭინავა, ილია ჭავჭავაძე, „თავისუფლება“, ბთ., 2005.
2. მარიამ ზოზირაშვილი, თეო გადრანი, ელენე ქავთარაძე, „ჩვენი ხალხი და განათლება“, თბ., 2011.
3. მაია გესლაიძე, „განათლების მნიშვნელობა“, თბ., 2006.
4. ოთარ ჭილაძე, სხვა ვარსკვლავი (ილია ჭავჭავაძე), 1998.
5. ქეთევან ნინიძე, „თანამედროვე სამოქალაქო ფასეულობები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ ტექსტებში“, თბ., 2012.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია (მისი ზოგიერთი პუბლიცისტური წერილის საფუძველზე)

სალომე ნადირაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოღობორდი**, პროფესორი

ილია ჭავჭავაძეს, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი ისტორიკოსი არ ყოფილა, ჩამოყალიბებული ისტორიული კონცეფცია ჰქონდა, თავის მრავალფეროვან პუბლიცისტიკაში. იგი საინტერესოდ მიმოიხილავს როგორც საქართველოს, ისე ახალი დროის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

„ილიას ფილოსოფია ძირითადად ისტორიის ფილოსოფიაა. მას იმდენად ბუნების ობიექტურობის საკითხი არ აინტერესებს, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მის პრაქტიკულ ამოცანებს ყველაზე მეტად ცხოვრების ფილოსოფიის საკითხები ესაჭიროება. ამიტომ თავის ფილოსოფიურ კვლევა-ძიების ცენტრში ილია ცხოვრებასთან ადამიანის დამოკიდებულების საკითხს აყენებდა.“ (5, 284)

ილიასთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაფერია უცვლელი, გაქვავებული, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და განსაზღვრული. იქ ყველაფერი მარადიულ მოძრაობას, განვითარებას და განახლებას ემორჩილება.

„...ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, - წერს ილია, - იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა.“ (6, 56)

„ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორც ბუნებასა“. (7, 57)

„ისტორიას, - ამბობს ერთი მწერალი, ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან. მაშასადამე, ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზე გამოდისო. ერთ ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთო, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო... თუ ასეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალათა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის?“ (8, 57)

ი. ჭავჭავაძემ ძალიან კარგად იცის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, ისტორია, არ შეიძლება შეჩერდეს ერთ წერტილზე. როგორი დაბრკოლებაც არ უნდა გადაეღობოს მას, იგი მაინც გაარღვევს ამ დაბრკოლებას და წინ წავა, გაამზადებს ნიადაგს შემდგომი განვითარებისათვის. როგორც ადამიანის გულს არ შეუძლია შეჩერება და იძულებულია შეუწყვეტლივ იმუშაოს, ისე არ შეუძლია გაჩერება იმ დედაძარღვს, რომელიც განაპირობებს საზოგადოების განვითარებას. სიღრმისეული ძალების ფარული მოქმედება მიაჩნია მას ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების, მოძრაობისა და განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად. ეს თავისი დამოკიდებულება მან შესანიშნავად გადმოსცა „მგზავრის წერილებსა“ და „განდეგილში“.

ილიას არ მოსწონს დიდებული მყინვარი იმიტომ, რომ იგი განზე გამდგარა, ცამდე აზიდულა და თუმცა ძირი მიწაზე აქვს, ამ ცხოვრებას ყურადღებას არ აქცევს, მიუკარებელია, ცივია, უძრავია, ცხოვრების ავ-კარგი მასზე არ მოქმედებს. ამიტომაც, რომ მას უყვარს გიჟმაჟი თერგი, მისი შხუილით, მუდმივი ბრძოლით და მდინარებით. თერგის მარადიულ სრბოლაში ხედავს იგი ცხოვრებისა და მთელი ქვეყნის სახეს.

ყველა, ვინც ცდილობს გაექცეს საზოგადოებრივ გარემოს, ცხოვრებას, უარყოს მისი კანონები, გარდაუვალი დამარცხებისათვის არის განწირული ისე, როგორც ილიას განდეგილი.

საზოგადოებრივ ცხოვრებას ილია განიხილავს არა მარტო მოძრაობასა და ცვალებადობაში, არამედ წინსვლისა და განვითარების პროცესშიაც. მოძრაობა და განვითარება წინ სწევს საზოგადოებას: იფურჩქნება და ყვავის, ჭაბუკდება და მწიფდება, ზოგი რამ კი ბერდება და ცხოვრებიდან გადის, მაგრამ თვით საზოგადოებრივი ცხოვრება არასოდეს კვდება.

„ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, - წერს ილია, - იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება - იმისთვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიძარხოს, არამედ იმისთვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისვე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული...“ (8, 57)

ძველის უარყოფა მისი „მოხსნა“, ახლის წარმოქმნის, “შენახვის“ საფუძველია. აწმყო წარსულს ემყარება, მომავალს კი თვითონ აწმყო ამზადებს. საზოგადოებრივი ცხოვრების მარადიული მოძრაობისა და განვითარების კანონი, წარსულის, აწმყოს და მომავლის ეს ურღვევი ერთიანობა ი. ჭავჭავაძემ ლაიბნიცის ცნობილი გამოთქმით ასე გამოხატა: “აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

ი. ჭავჭავაძემ მკაცრად გააკრიტიკა გერმანელი მეცნიერის დრეპერის შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ყოველ ერს, ისე როგორც ცალკეულ ადამიანს, თავისი ასაკი აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ვაჟკაცობა და, ბოლოს სიბერე, რომელსაც აუცილებლად სიკვდილი მოსდევს.

ცნობილმა ქართველმა ხალხოსანმა ი. ჯაბადარმა წერილების სერიაში „Письма о Грузии“ ნიჰილისტური თვალსაზრისით გააშუქა საქართველოს ისტორიის საკითხები და დაეყრდნო რა დრეპერის მოხუცებულობის თეორიას, გამოთქვა აზრი ქართველი ერის თითქოსდა მოხუცებისა და მისი გარდაუვალი მიახლოებული სიკვდილის შესახებ. ჯაბადარისადმი პასუხს წარმოადგენდა ილიას ვრცელი პუბლიცისტური წერილების სერია „აი, ისტორია“. ამ ნაშრომში ი. ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა მშობლიური ისტორიის აუგად მხსენებელს და ფართო ისტორიული ფაქტების მოხმობით დაამტკიცა დრეპერის შეხედულების მცდარობა. ილიას მართებული დასკვნით, არავითარი მოხუცებულობის კანონი არ მოქმედებს ისტორიაში. ერი უკვდავია, თუ მას გააჩნია წინსვლისა და განვითარების უნარი, თუ მას აქვს ისეთი „...შინაგანი მოწყობილობა...“, რომელიც სტიმულს აძლევს მას წავიდეს წინ, თუ ბევრი ერი აღგვილია პირისაგან მიწისა და ისტორიის სარბიელიდან გასულა, ამის მიზეზები „შინაურ საქმეთა მოუწყობილობა...“ და მტერთა გამანადგურებელი თავდასხმები იყო და არა მოხუცებულობის რკინის კანონი“.

ი. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის ყოველ მოვლენაში ორ მხარეს ხედავს: პროგრესულს და დრომოჭმულს, რაც წინსვლას ხელს უშლის. მისი აზრით, ძველის ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება,

რადგან მასში არის ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც ახლის აღმოცენებას ედება საფუძვლად და ბიძგს აძლევს ცხოვრების წინსვლას. ასევე ახალსაც გააჩნია ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე, არასასარგებლო ელემენტი, რომელიც თუ განვითარდა, წინსვლას დააბრკოლებს და არსებულის შეცვლის პირობა გახდება.

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის უპირველეს ამოცანად მისი დაკნინებული ეროვნული ცნობიერების აღორძინებას მიიჩნევდა. ვითარება ძალზე სავალალო, თითქმის კატასტროფული იყო. იგი აღნიშნავდა, რომ ეროვნული ცნობიერების დაქვეითებამ ბევრ რამეს დაუკარგა მნიშვნელობა ქართულ სინამდვილეში. ასე დაეკარგა პირვანდელი მნიშვნელობა მამულის ცნებას. 1866 წელს პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელის ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე.“ (2, 133)

„...აზრი ცხოვრებისა, იმაშია, - წერს ილია (შინაური მიმოხილვა XXVII), - რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილს, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა და სიძულვილსა, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა...“ (9, 66)

ერის რაობის საკითხს ილია შეეხო ასევე წერილში „ოსმალის საქართველო“. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში (1914) გრიგოლ ყიფშიძე (1856-1921) წერს: ლაზისტანის ინტერესი კი მაშინ ამტყდარმა რუს-ოსმალეთის ომმა გამოიწვია. ამ ომმა სხვა იმედებიც აღძრა, მაგრამ ბოლოს იმ „იმედისა დიდისა“ ძირს აღარა დარჩა-რა. საინტერესო იყო ჟურნალში (იგულისხმება „ივერია“) წერილები თვით ილიასი. ერთს მათ შორის თვითონაც გაიხსენებდა ხოლმე ათასში ერთხელ. იქ გამოთქმულია, სხვათა შორის, ის აზრი, რომელიც შემდეგ, სამი-ოთხი წლის უკან რენანმა განმარტა თავის წიგნაკში: „რა არის ერი“ წერილი გულ-თბილად არის დაწერილი, გახსენებულია წარსული, როცა მესხნი და ტაო-კლარჯნი ჩვენთან იყვნენ ძმურად ერთ ფერხულში ჩაბმულნი და მესვეურობდნენ, პირველობდნენ კიდევ საქართველოს კულტურის აღორძინებაში. (4)

პუბლიცისტური წერილი „ოსმალის საქართველო“ ანონიმურად გამოქვეყნდა 1877 წ. ყოველკვირეული „ივერიის“ მე-9 ნომერში, ტექსტის ავტორია ი. ჭავჭავაძე.

ტექსტის კონცეფცია ენათესავება ერნესტ რენანის კონცეფციას ერის შესახებ.*

ყიფშიძეს მოყავს ი. ჭავჭავაძის ციტატა, რომლითაც იგი არა მარტო იწყებს ილიასეულ წერილს, არამედ მის სათქმელსაც გამოხატავს. „ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის სულის ბერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შემსჭვალავს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული-ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია“. (ჭავჭავაძე 1897).

ხალხის და პიროვნების როლის საკითხი ისტორიაში წარმოადგენს იმ სასინჯ ქვას, სადაც რელიგიურად გამოვლინდა ილიას ღრმამეცნიერული, პროგრესული დამოკიდებულება ისტორიული პროცესისადმი.

ი. ჭავჭავაძე, რომელიც გადაჭრით უარყოფს ყოველგვარი გარეგანი ძალის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თვით ადამიანი მიაჩნია ამ ცხოვრების ცენტრალურ ფიგურად და უზენაეს ძალად. ყველაფერი, რაც იქ კეთდება ადამიანის ხელით არის შექმნილი. ილიამ კარგად იცის, რომ ადამიანების მოქმედების არე განსაზღვრულია მრავალი ფაქტორით. იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ბუნებრივ გარემოს, ცხოვრების მოცემულ მემკვიდრეობას, ადამიანთა სოციალურ საერთო ცხოვრების წესებს და სხვა გარემოებებს.

ილია არ უარყოფს დიდი პიროვნებების როლს ისტორიაში. მრავალი კონკრეტული მაგალითის მოტანით როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიიდან, მიუთითებს ცალკეული დიდი პიროვნებების-მეფის, სარდლის, მოაზროვნის, პოლიტიკური მოღვაწის დამსახურებაზე საკუთარი ქვეყნის განვითარებაში. მისთვის დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, გიორგი სააკაძე, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე მეორე, ჯუზეპე გარიბალდი, ლაოშ კომუტი, ფრანსუა ვოლტერი,

* ფრანგი პოზიტივისტი ფილოსოფოსისა და რელიგიათა ისტორიკოსის ერნესტ რენანის (1823-1892) ნაშრომი „რა არის ერი“ ფაქტობრივად მისი საჯარო ლექციაა, რომელიც მან სორბონის უნივერსიტეტში წაიკითხა 1882 წლის 11 მარტს.

რენანს მიაჩნია, რომ „ერის არსია ინდივიდუუმებს ჰქონდეთ ბევრი საერთო რამის დასავიწყებლად“, მაგრამ რას შეიძლება ეფუძნებოდეს ეს ერთიანობა? ისტორიულად ერის ერთიანობა წარმოიშობოდა ან დინასტიის საფუძველზე, ან პროვინციათა უშუალო სურვილით ან საერთო სულისკვეთებით, დაემარცხებინა ფეოდალიზმის ახირებები, მაგრამ მაინც, XVIII საუკუნემდე ერების წარმოშობის მთავარი მამომრავებელ-მაკავშირებელი მუხტი იყო დინასტია.

ვაშინგტონი და ბევრი სხვა მსგავსი მოღვაწე წარმოადგენენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ძალზე დიდი მისია დაეკისრათ ქვეყნის ცხოვრებაში. ამგვარი ადამიანების გვერდით ილია ისტორიაში ხედავს მეორე ტიპის ისტორიულ პიროვნებებს -მეფე დესპოტებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს თუ მხედართმთავრებს, რომელთა „დამსახურებასაც“ იგი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავს. მიუხედავად მათი ნეგატიური როლისა, ისინი მაინც მნიშვნელოვან კვალს აჩვენებენ ისტორიის განვითარებას. ერთ-ერთ ასეთ გამორჩენილ პიროვნებად მას მიაჩნია გერმანიის იმპერიის „რკინის კანცლერი“ ოტო ფონ ბისმარკი.

ილიას ისტორიისა და ხალხის დიდ შვილად ისეთი პიროვნება ჰყავს წარმოდგენილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია პატრიოტიზმი, სამართლიანი საქმისათვის თავგანწირვის უნარი, რომლის ნამოღვაწარი მის მემკვიდრეებს და ხალხს წინსვლის გზას გაუნათებდა. ასეთ პიროვნებას ორი სახელი უნდა ჰქონდეს - ერთი, აქ დასარჩენი და მეორე, თან წასაყოლი. (10, 183) ასეთ პიროვნებად ჰყავდა მას წარმოდგენილი დავით აღმაშენებელი. მასო, -წერდა იგი, - აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფის, და იქ, როგორც დიდებულმა კაცმა -წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობოლი.

ასეთი პიროვნების ღვაწლი, ილიას შეხედულებით, შთამომავლობისათვის მაგალითის მაჩვენებლის, ნათელი რწმენის ჩანერგვის და შთამაგონებლის როლს ასრულებს, იგი ამის მეოხებით მარადიულ უკვდავებაში გადადის.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრება მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვაა“. (10, 180) ილიას საპროგრამო აზრი შესანიშნავად ახასიათებს მთელ მის დამოკიდებულებას ხალხისადმი, რომელიც მიაჩნდა მას საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად. მასში ხედავდა ისტორიის შემოქმედს, მის მთავარ მამოძრავებელ ძალას. მთელი მისი მდიდარი შემოქმედების ლაიტმოტივი იყო ხალხის ცხოვრება, მისი ავ-კარგის ჩვენება.

ილიას ისტორია ხალხის ცხოვრების სარკედ, მისი ყოფისა და განვითარების ამსახველ მეცნიერებად ჰქონდა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე ჭეშმარიტ ისტორიად მას მიაჩნდა არა მეფეთა, მხედართმთავართა, დიდ დამპყრობთა თუ ტირანთა ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ თვით ხალხის ისტორია.

ამიტომ იყო, რომ იგი მუდამ სინანულით და გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა სჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა სჩანს“. (11, 372)

ხალხის ცხოვრების ჩრდილში მიყენების გამო იყო, რომ ილია ჭავჭავაძე სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდა „ქართლის ცხოვრების“ მიმართ, მეფეთა ისტორიას უწოდებდა მას და ამ ხარვეზის შევსებას, მოითხოვდა ახალი წყაროების გამოვლენას, სადაც ხალხის ყოფა იქნებოდა ასახული.

„ისტორია იგი დიდებული ტამარია, საცა უწირავს ერთიან სულსა და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნოვან კაცთა უწმინდესი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი“. (12, 203)

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ განსაკუთრებულ დამსახურებად ისტორიული პროცესის გააზრებაში უნდა ჩაითვალოს მისი კრიტიკული დამოკიდებულება სხვადასხვა ხასიათის ისტორიული წყაროებისადმი და საენათმეცნიერო, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ფოლკლორული მასალების სათანადო შესწავლა-გამოყენება.

როცა ილიას ისტორიული წყაროს ინფორმაცია არასაკმარისად ან ნაკლებად სანდოდ მიაჩნია, ანდა დარწმუნებულია, რომ დასკვნის გამოსატანად კონკრეტულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობა საკმარისი არ არის, მაშინ იგი ისტორიის მომიჯნავე დარგებიდან იშველიებს მასალებს, დიდი მონდომებით არჩევს სათანადო ცნობებს, აჯერებს სრულყოფილ წყაროებთან და ამის შემდეგ გამოაქვს გარკვეული დასკვნა. მომიჯნავე დარგების მონაცემებს ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, პირველ ყოვლისა, ისტორიის უფრო შორეული პერიოდის ამბების მზის სინათლეზე გამოსატანად, რომლის შესახებ წერილობითი წყაროები არ არსებობს.

ილიას აზრით, ყოველ ისტორიულ ეპოქას თავისი „სული“, თავისი ტკივილები აქვს, კონკრეტული ნიშან-თვისებები გააჩნია. ისტორიკოსი ვალდებულია ჩასწვდეს ამ ცხოვრების დედაარსში, მისი ჰაერით ისუნთქოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყოს ხელი სათანადო მასალების განზოგადებასა და დასკვნების გაკეთებას.

ლიტერატურა:

1) დონაძე ვ., „ი. ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები“, თბ., 1987.

- 2) „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, გამომც. „არტანუჯი“, 2004.
- 3) ლაღანიძე მ., „ი. ჭავჭავაძის „ოსმალის საქართველო“: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია“, ლიტერატურული ძიებანი, 2007, N28.
- 4) ყიფშიძე გ., „ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია“, 1897.
- 5) „საიუბილეო კრებული“, თბ., 1957.
- 6) თხზ. სრ. კრებ., ტ. 3, თბ., 1953.
- 7) „ცხოვრება და კანონი“, თხზ. სრ. კრებ. ტ. 6, თბ., 1956.
- 8) საქართველოს მოამბეზედ, თხზ. სრ. კრებ., ტ. 3, თბ., 1953.
- 9) შინაური მიმოხილვა, თხზ. სრ. კრებ. ტ. 4, თბ., 1955.
- 10) დავით აღმაშენებელი, თხზ. სრ. კრებ. ტ. 4, თბ., 1955.
- 11) პირადი წერილი დავით ერისთავისადმი, ნაწერების სრ. კრებ., ტ. I, თბ., 1923.
- 12) „ერი და ისტორია“, თხზ. სრ. კრებ., ტ. 4, თბ., 1955.

უცხო ენა და ლიტერატურა

Entropy - ტერმინი-სათაური, როგორც ენის ინტელექტუალიზაციის თვისებრივად ახალი ეტაპი

თინათინ ახალაძე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: ანა მესხი, პროფესორი

ტომას პინჩონი, იდუმალეობით მოცული ამერიკელი კლასიკოსი მწერალი, დაიბადა 1937 წელს. საზოგადოებამ მისი ნაწარმოებების გაცნობა მაშინ დაიწყო, როდესაც მომავალი მწერალი კორნელის უნივერსიტეტში სწავლების ბოლო წელს გადიოდა. მის პირველ მოთხრობებს შორის იყო საკმაოდ გახმაურებული მოთხრობა „ენტროპია“, რომელიც 1960 წელს დაიბეჭდა.

მოთხრობის სათაური „ენტროპია“ თერმოდინამიკის ტერმინია. ავტორი მას ფართოდ იყენებს სხვა ნაწარმოებებშიც; მაგალითად, „Crying of Lot 49“ და „V“. ენტროპიის ცნება არა თუ შემოვიდა, არამედ მტკიცედ დამკვიდრდა როგორც ლიტერატურაში, ისე ლინგვისტიკაში. მეტიც, თერმოდინამიკის მეორე კანონი ინფორმაციის თეორიაში განხილულ განსხვავებულ კომუნიკაციურ სიტუაციებსაც წარმატებით „მოერგო“. ასეთი ინტერდისციპლინარული ცნების არსებობა მწერლის მახვილ თვალს, რა თქმა უნდა, არ გამოპარვია, რის გამოც პინჩონის შემოქმედებაში ტერმინმა მძლავრი სტილისტური და ინფორმაციული დატვირთვა მიიღო.

მხატვრულ ტექსტში სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები შეცვლილი, სტილისტურად განპირობებული სემანტიკით წარმოვიდგება (ჯოხაძე, მესხი 1989: 132). მეტიც, პინჩონის კალმით ნაწარმოების მხატვრულ სახეთა მთლიანი ხატოვანი სისტემა ყალიბდება, რომელშიც მწერლის მიერ აღქმული სამყაროა გარდატეხილი. თანამედროვე ამერიკელი მწერლის ტომას პინჩონის მთელი შემოქმედება ამ აზრის ნათელი დადასტურებაა.

დღეს ტ. პინჩონი ამერიკული მოდერნიზმის ყველაზე ცნობილი და იდუმალეობით აღსავსე ფიგურაა. მწერლის ამოუხსნელობის ერთ-ერთი მიზეზი, მის მიერ აღქმული სამყაროს ორიგინალური მოდელირებაა, რაც კონკრეტულ ენობრივ მასალაში ხორცშესხმისას სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიისა და მხატვრული აზროვნების არაჩვეულებრივ შეხამებაში მქლავნდება. მის მიერ წარმოსახული სამყარო ადამიანებისა და სხვადასხვა ადგილების აღწერაა; ადამიანები მოგზაურობენ სისტემაში და უპირისპირდებიან ენტროპიის ძალებს. ეს ძალები წარმოდგენილია, როგორც ქაოსი, არეულობა, სიკვდილი, რომელიც ფიქსირდება დროსა და ისტორიაში. პინჩონთან ვხვდებით არა მხოლოდ გაზრდილ სოციალურ ენტროპიას, არამედ ინფორმაციულ ენტროპიასაც პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით. ეს არის სისტემის ის ჩაკეტილი მხარე, რომელიც მეტაფორებით არის შელამაზებული.

ჩაკეტილ სისტემაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად ენტროპია ყველაზე ეფექტური მეტაფორაა. გარდა განსახილველი მოთხრობისა („ენტროპია“), ენტროპია ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გამომჟღავნების – სიყვარულის გამწონასწორებელი მოვლენაა. სისადავით და მკაფიოდ გამოხატული სტილისტური სახეებით, ტ. პინჩონის ნოველა „ენტროპია“ ლიტერატურულ შედეგად არის აღიარებული.

პინჩონის ყველა ადრეული ნაწერი ძირითადად ენტროპიის ცნებაზეა ფოკუსირებული. მისი შეცვლილი სემანტიკის გამომჟღავნება მთელი ნაწარმოების სახისმეტყველებას ედება საფუძვლად, რომელშიც მწერლის მიერ გამიზნული სათქმელი გადმოიცემა, როგორც სოციალური სიბინძურე, რაც წარმოშობს დამახინჯებულ ურთიერთობებს ადამიანთა შორის, იწვევს მათ უმიზნო ხეტიალს ცხოვრების აღწერილ ქაოსში, რომელიც განწირულია გარდაუვალი დაღუპვისთვის (ჯოხაძე 2010: 165–183).

ნაწარმოებში თხრობა იშლება ორ ბინაში, ისევე როგორც ენტროპიის გამოყენება ორ განსხვავებულ მეცნიერულ სფეროში ხდება. ერთი განლაგებულია მეორე, ხოლო მეორე კი იმავე სახლის მესამე სართულზე. მიტბოლ მულიგანს წვეულება აქვს. იგი სახლის ლიზინგის კონტრაქტს წყვეტს და მეგობრებთან ერთად ამ შემთხვევას აღნიშნავს. მისი სტუმრების წრე მრავალფეროვანია. აქ არის უნგრეთის თავისუფლებისთვის ყოფილი მებრძოლი სანდორ როხასი (Sandor Rojas), ავანგარდისტული კვარტეტი დიუკ დი ანგელის (Duke di Angelis) და სხვ. ამ დროს ოთახში ფანჯრიდან გადმოძვრება მულიგანის მეზობელი საული, რომელსაც მეუღლესთან კომუნიკაციის თეორიასთან დაკავშირებით კამათი მოუვიდა და სახლიდან წამოვიდა. სტუმრების რაოდენობა და მათი მრავალფეროვნება თანდათან იზრდება, რის გამოც მიტბოლის ოთახში სრულმა ქაოსმა დაისადგურა. მიტბოლი გრძნობს, რომ რაღაც უნდა გააკეთოს წესრიგის დასამყარებლად და წარმატებასაც აღწერს, თუმცა ეს სიმშვიდე და წესრიგი ხანმოკლე და წარმავალია.

მოთხრობაში „ენტროპია“ ავტორს წინა პლანზე ქაოსისა და წესრიგის პრობლემა აქვს წამოწეული. განმსაზღვრელი მისთვის მხოლოდ წესრიგი არ არის; მას სურს იცოდეს, თუ ვინ ამყარებს ამ წესრიგს და რომ ეს პიროვნება „რომელიღაც“ ავტორიტარულ ძალას არ წარმოადგენს.

თუ მიტბოლის წვეულების აღწერით, ტ. პინჩონი ქაოსსა და წესრიგს ერთმანეთს უპირისპირებს, მიტბოლ მულიგანის თავზე მცხოვრებ ოჯახში პატარა ავადმყოფი ჩიტი სიკვდილს ებრძვის. პაწაწინა არსება კალისტოს ხელში უკავია და საკუთარ სითბოს გადასცემს, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნოს. პარალელურად თერმოდინამიკის გავლენაზე საუბრობს ადამიანთა საზოგადოებასა და კულტურაზე. კალისტოს ბინა ჰერმეტიკულად დაბეჭდილ სათბურს ჰგავს. კალისტოს თქმით, კულტურაც, როგორც ნებისმიერი ჩაკეტილი სისტემა, „უფრო შესაძლო ვითარებისკენ“, ენტროპიისკენ მიისრაფვის. “Entropy, then, which Callisto defines as 'the measure of disorganization for a closed system,' is valuable in that it is "an adequate metaphor to apply to certain phenomena in [the] world" such as the consumerist trend away from difference and toward sameness”¹. კალისტოცა და მისი მეუღლეც, ოზადი, წამდაუწუმ ტემპერატურას ამოწმებენ, მაგრამ თერმომეტრი მუდმივ 37 გრადუსს უჩვენებს ფარენჰეიტით (+2.77 ცელსიუსით). ჩიტუნა კვდება; კალისტოს სხეულის სითბომ ვერ უშველა მას; ოზადი ფანჯრებს მუშტისკვრით ადებს და ოთახში დასადგურებულ ეკოსისტემას არღვევს. ერთმანეთის გვერდით მიმჯდარი ცოლ-ქმარი წონასწორობის მომენტს ელის.

Slow learner’s წინასიტყვაობაში პინჩონი ყველაზე უარყოფითად ამ მოთხრობას (“ენტროპია”) ახასიათებს. მისი აზრით “the work is an example of a young writer's mistake of forcing atheme onto the characters rather than having the former develop through the latter, that his concentration on the concept led him to "shortchange the humans in the story" (Pynchon 2000: 15). აქვე, შესავალში, ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად უამრავი შეცდომისა, იგი მაინც აქვეყნებს მოთხრობას, რომ ახალბედა მწერლებმა თავიდან აიცილონ მის მიერ დაშვებული შეცდომები.

თვით ტერმინი ენტროპია ავტორმა მაშინაც არ იცოდა კარგად, როდესაც მოთხრობას წერდა. მას შემდეგ მას აღნიშნული ტერმინის შესწავლისთვის თავი არ დაუნებებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, "Since I wrote this story I have kept trying to understand entropy, but my grasp becomes less sure the more I read" (Pynchon 2000: 17). ავტორი გრძნობს, რომ ტერმინი ენტროპია ცხოვრების მრავალ სფეროს ახასიათებს მეტაფორულად², მაგრამ ტერმინის ტექსტში და სათაურად გამოყენება პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისგან.

„მხატვრული ნაწარმოების სათაური, როგორც ტექსტის ნაწილი, დაკავშირებულია ტექსტთან არა მარტო იდეურ-თემატურად, არამედ ენობრივადაც. ის გამოყოფს ძირითად თემას, მთავარ ინფორმაციას,

¹ <http://www.pynchon.pomona.edu/slowlearner/entropy.html>


² <http://www.pynchon.pomona.edu/slowlearner/entropy.html>

რომელიც დაკავშირებულია ტექსტის სტრუქტურასთან“ (ჯოხაძე 1986: 26). ფორმის მიხედვით სათაურს სხვადასხვა ეპოქა სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს – სათაურის არამხატვრული, მაგრამ ახალი ტიპი ლიტერატურაში მეცნიერული ტერმინის შემოტანას გულისხმობს (ჯოხაძე 1986: 26–34). ნოველის “Entropy” შემთხვევაში, სათაური თვითონ არის ტერმინი. ენტროპია, როგორც ტერმინი, ერთი მხრივ, განისაზღვრება როგორც უწყესრიგობა და ქაოსი, მეორე მხრივ კი, როგორც სიკვდილი, ერთ ადგილზე უმოქმედოდ ყოფნა, რაც სიკვდილის ტოლფასია.

ტერმინი ენტროპია “is a quantity that, in its two contexts, characterizes not only all form and life in the universe, but all signal, language, information and written material ever produced anywhere”¹. კონცეპტი ორ სფეროში გამოიყენება: თერმოდინამიკაში და ინფორმაციის თეორიაში. თერმოდინამიკაში იგი განაგებს სიციხესა და ენერჯის სხვა ფორმებს შორის ურთიერთობას. ამიტომ, იგი სამყაროში მიმდინარე ყველა ცვლილებას მართავს. დროთა განმავლობაში ენერჯია მოუწყესრიგებლად მოძრავ ნაწილაკებზე ყველაზე სავარაუდო მოდელით (the most probable pattern) გადანაწილდება, ვინაიდან ნაწილაკების მეოხებით მათი ენერჯის გადანაწილება ხორციელდება. ეს თერმოდინამიკური ენტროპია სისტემის დისორგანიზაციის საზომია (“Thermodynamic entropy is the measure of this disorganization in a system”²; ბოლოს, დადგება დრო, როცა ყველა ნაწილაკი თანაბარ ენერჯიას ფლობს, ანუ დგება თანასწორი ენერჯიული მდგომარეობა. სწორედ ამ მდგომარეობას ადარებს კალისტო კულტურის მომავალ ყველაზე სავარაუდო მოდელს.

კომუნიკაციის მათემატიკური თეორიის სფეროში, რომლის ფუძემდებელია კლოდ შენონი, ენტროპია გაიგება როგორც “measure of the rate of transfer of information in [that] message” (OED).

სწორედ დიდი და „ხარისხიანი“ ინფორმაციის გადაცემას ემსახურება ტ. პინჩონის მიერ მოთხრობაში „ენტროპია“ გამოყენებული ტერმინოლოგიური ერთეულები. ისინი მოთხრობის მათემატიკურ ტერმინს – ენტროპია – დამატებითი ობერტონებით ავსებენ. სულ მოთხრობაში 59 ტერმინია გამოყენებული. ყველაზე დიდ ჯგუფს მუსიკალური ტერმინები ქმნის (fogue; bass; note). შემდეგ მოდის ასტრონომიული, ექვსი ტერმინ-ერთეულით (sidereal; cosmologist). მესამე ადგილზე ბოტანიკური ტერმინებია ხუთი ტერმინ-ერთეულით (tendrils; acacia); ოთხ-ოთხი ტერმინით არის წარმოდგენილი სამედიცინო (exhaustion; skull), მათემატიკური (tabulator; equation) და ლინგვისტური (bilingual; metaphor) ტერმინოლოგიური ჯგუფები. საზღვაო (navy; boatswain) და ელექტრო (watt; dynamo) ტერმინოლოგია შედგება სამ-სამი ტერმინისგან. რაც შეეხება ფიზიკურ (thermodynamic; radiation) და ანატომიურ (nervous system; stomach) ტერმინოლოგიას, ისინი ერთი და იგივე ოდენობის ტერმინებისგან შედგება. დანარჩენი ხუთი სახეობის ტერმინი: სამხედრო (army), ცეკვის (tango), რელიგიური (apocalypse), ტექნიკური (IBM) და ხელოვნების (decadence) ჯგუფები მინიმალური, ერთი ერთეულით გამოიყენება. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, რომელზეც ტერმინთა რაოდენობრივი განლაგება არის ასახული.



Mus. Astro. Bot. Med. Math. Ling. Nav. Elect. Phy. Anat. Mil. Dan. Rel. Tech. Art

¹ <http://www.pynchon.pomona.edu/slowlearner/entropy.html>

² <http://www.pynchon.pomona.edu/slowlearner/entropy.html>

ამრიგად, ტ. პინჩონის მოთხრობაში „ენტროპია“ სათაურად ქაოსისა, ერთი მხრივ, და სიკვდილ-სიცოცხლისა, მეორე მხრივ, გამოყენებულია თერმოდინამიკის ტერმინი ენტროპია, რომლის სტილისტურ გადააზრებას ამყარებს 15 თემატურ-ტერმინოლოგიური ჯგუფი. ყოველივე ეს მიანიშნებს ტერმინების მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენების დიდ პოტენციაზე, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს ენის ინტელექტუალიზაცია წარმოადგენს. სათაურად ტერმინის გამოყენება კი მიანიშნებს ინტელექტუალიზაციის პროცესის კიდევ უფრო მაღალ, თვისებრივად განსხვავებულ საფეხურზე ასვლას.

ლიტერატურა:

1. ჯოხაძე ლ., მესხი ა., 1989. *სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, როგორც სტილისტურ საშუალებათა რეზერვი მხატვრულ ლიტერატურაში, მაცნე*, №2, 1982.
2. ჯოხაძე ლ., 1986. *სათაურის მხატვრულობა და ლინგვისტური პროგნოზი, უცხო ენები სკოლაში*, №1, 1986.
3. Jokhadze L., 2010. *Social entropy for Thomas Pynchon's literary criticism, Culture and Philosophy*.
4. Bull V., *Oxford Learner's Dictionary, Oxford University Press, China.*, 2008 (OLD).
5. Pynchon T., 2000. *Slow Learner, Vintage Books, London.*

ინტერნეტ-რესურსი:

1. <http://www.pynchon.pomona.edu/slowlearner/entropy.html>

ТЕМА ОДИНОЧЕСТВА В ТВОРЧЕСТВЕ М. Ю. ЛЕРМОНТОВА

Анна Тиникашвили

ст. 4 курса гуманитарного факультета,
спец. русская филология
научн. рук.проф. **Н. Хинчагашвили**

Одна из центральных тем романтизма — тема вольности и гордого одиночества. Она нашла отражение в творчестве таких великих поэтов, как Байрон, Гёте, Шиллер, Гейне. Европейских романтиков увлекала идея непонятости поэта обществом, его изгнанности и трагического одиночества. Большое место занимала эта тема и в творчестве одного из величайших русских поэтов — М. Ю. Лермонтова.

Одиночество — мотив, пронизывающий почти все творчество поэта, начиная с юношеских стихов и кончая последними — «Выхожу один я на дорогу» и «Пророк». Ни у кого из русских поэтов этот мотив не вырос так в такой всеобъемлющий образ, как у Лермонтова.

С самого детства. Юноша был свидетелем раздора между бабушкой и отцом. Полностью тема семейной драмы освещена в стихотворении 1831 года «Ужасная судьба отца и сына», в которой долгие распри отца и бабушки обрываются смертью отца. Личность и судьба отца оставили неизгладимый след в душе Лермонтова.

В сознании Лермонтова его личная семейная драма слилась как отражение с несовершенством человеческой жизни вообще — с тем, что его душа «всё не так, как бы хотелось ей встречать». Это сказалось на юношеском творчестве Лермонтова.

И в стихотворении «Эпитафия» 1832 года («Прости! Увидимся ль мы снова?»), обращено к умершему отцу. В этом стихотворении ещё резче подчеркнута трагическая судьба отца и сочувствие к ней: [1 : 292]

Ты дал мне жизнь, но счастья не дал;
Ты сам на свете был гоним,
Ты в людях только зло изведаль...
Но понимаем был одним.

[1 : 129]

В самых ранних стихах одиночество нередко носит еще весьма абстрактный характер: зачастую оно только называется, будучи скорее данью литературной традиции. Новое, что внес Лермонтов в трактовку темы одиночества, — это прежде всего его абсолютный и глубоко личный характер, связанный с неприятием лермонтовым героем мира, коренных основ миропорядка. Герой Лермонтова всегда одинок: он одинок среди людей, которые преследуют его «жестокостью», «клеветой», «злостью», не способны понять его высоких стремлений и потому враждебны ему: «Души их певца не постигали, / Не могли души его любить, / Не могли

понять его печали, / Не могли восторгов разделить». Ему нет места среди «хладной», «бесчувственной» «толпы», среди «надменного» и «бездушного» «света». Он одинок и в своей «отчизне», «где стонет человек от рабства и цепей» («Жалобы турка»), в «стране рабов, стране господ» («Прощай, немытая Россия»). И, наконец, он одинок в целом мире, который неизменно является ему «пустыней»: «пустыня мира» («Демон»), пустыня жизни («Благодарность»). Это всеобъемлющее одиночество обнаруживается и в таких глубоких и интимных человеческих отношениях, которые по природе своей в наибольшей степени предполагают возможность душевной связи между людьми: любовь, дружба, родство. В любви его уже заранее останавливает и пугает крепнущее сознание ее непостоянства и скоротечности.

Так, поэтические символы одиночества — образы сосны на голой вершине («На севере диком...»), оторванного бурей листка, одинокого паруса, одинокого утеса, до времени созревшего плода («Дума»), узника, заточенного в голые стены «темницы» («Узник», «Сосед», «Пленный рыцарь») — проходят через всю лирику Лермонтова.

Тема изгнанничества является центральной в стихотворении «Тучи». Образы тучки, облака или волны у Лермонтова — символы свободы и беспечности. Лирический герой стихотворения несвободен и подавлен. Он сравнивает себя с тучками: они «вечные странники», а не изгнанники.

«Листок», стихотворение позднего периода Лермонтова (1841), центральным образом которого является гонимый жестокой бурей листок — символ одинокого, не имеющего цели, скитальческого существования.

Богатые смысловые и текстуальные связи «Листка» с «окружающими» стихами заставляют отнести его к итоговым произведениям, причем аллегоризм данного стихотворения в контексте лирики Лермонтова последних лет становится настолько прозрачным, что подчас «стирается», заставляя воспринимать «Листок» как прямое самовыражение лирического героя.

Боль усугубляется тем, что поэт абсолютно одинок, рядом с ним нет понимающей и сочувствующей души, которая могла бы разделить его тоску по родине. В стихах Лермонтова начинает звучать мотив разобщенности, невозможности соединения с родственной душой.

Наряду с героями, обреченными на жизнь без родины, не понятыми и отвергнутыми миром, у Лермонтова есть иной тип изгнанников. Образ изгнания вырастает в грандиозную метафору трагического самосознания героев, одиночество и отверженность которых достигает вселенских, космических масштабов: изгнанник — не только «гоним миром», но он «чужд всему — земле и небесам». Такое изгнание, будучи симптомом духовной неприкаянности и обособленности, уже не связано прямо с непониманием романтического героя «ничтожной» толпой. Сама человеческая жизнь уподобляется «земному краткому изгнанию».

Галерею «вселенских» изгнанников венчает образ Демона. Это уже сам «дух изгнания», которому нет места ни на земле, ни на небе. Не только люди (испытывая их злом, Демон ждет, что они расстанутся со своим «неведеньем спокойным», но лишь убеждается в слабости добра в человеке), но и небо с безмятежным блаженством ангелов, не желающих ведать о зле мира, и бог, безучастный к земным делам, вызывают его непримиримую вражду. Удел, единственно достойный в таком мире, — вызвав «божие проклятье», стать изгнанником, вести «вечную борьбу без торжества, без примиренья».

В зрелом творчестве Лермонтова мотив изгнанничества претерпевает эволюцию и освобождается от романтической условности и фразеологии.

Несчастлив и одинок был Лермонтов и в личной жизни:

Нет, не тебя так пылко я люблю,
Не для меня красы твоей блистанье;
Люблю в тебе я прошлое страданье
И молодость погибшую.

[1 : 249]

Так писал незадолго до гибели поэт. Эти переживания вылились в целый ряд лирических стихотворений о неразделенной любви, об измене и женском коварстве («Нищий», «Я не унижусь пред тобою...» и др.). Поэту не хватало не только друзей и единомышленников, но и любящей женщины, с которой легче было пережить все трудности жизненного пути. Лермонтов совсем один, и это одиночество, хотя и гордое, гнетет его. Оно приобретает вселенские масштабы, и поэт уже чувствует себя одиноким в целом мире, во всей вселенной. Борьба теряет свой острый смысл, поэт устает от нее и уже мечтает не о ней, а о покое и свободе, вольности:

Я ищу свободы и покоя,
Я б хотел забыться и заснуть.

Поэт — избранник судьбы. Эта избранность — не только величайший дар, но и тяжелое бремя. Одаренная личность воспринимает и чувствует окружающее глубже и тоньше других. Поэту свойственны нетерпимость ко лжи, несправедливости; взыскательность, стремление к совершенству в отношениях с людьми, он требователен до жестокости, что часто приводит к конфликту между ним и обществом. Естественный удел поэта — постоянная борьба и одиночество. Это судьба талантливых поэтов всего мира.

ЛИТЕРАТУРА:

1. Лермонтов М.Ю. Собрание сочинений в четырех томах. М., 1999.
2. Андроников Ираклий. Лермонтов. Исследования и находки. М., 2008.
3. Коровин В.И. Творческий путь М.Ю.Лермонтова. М., 2007.
4. Лермонтовская энциклопедия. Под. Ред. Мануйлова В.А; М., 1999.

კარნავალი გერმანულენოვან ქვეყნებში და მასთან დაკავშირებული სიტყვების თემატური ჯგუფი

ლიკა კასრაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა მახვილაძე**, პროფესორი

კარნავალი ყველაზე სახალისო და საინტერესო სახალხო დღესასწაულია. ამ სიტყვასთან დაკავშირებით საკარნავალო ნიღბები და მხიარული ფერადი პროცესიები გვახსენდება. კარნავალს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შემდეგნაირად განმარტავენ: „სახალხო სეირნობა, მასობრივი მსვლელობა, თეატრალიზებული თამაშობები და სხვ. ეწყობოდა ღია ცის ქვეშ. ჩაისახა წარმართულ დღესასწაულებში. XVIII საუკუნეში განსაკუთრებით პოპულარული იყო იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. კარნავალები დღესაც იმართება ლათინურ ამერიკაში, ესპანეთში“ (ქსე, 1980, 411).

ნაშრომის მიზანია გერმანულენოვან ქვეყნებში ტრადიციულ სახალხო დღესასწაულთან კარნავალთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და მასთან დაკავშირებული სიტყვებისა და მათი რეგიონალური ვარიანტების მნიშვნელობის შესწავლა.

კარნავალს მთელ გერმანულენოვან სივრცეში ზეიმობენ. როგორც ამბობენ, გერმანიის ყველა კუთხეს თავისი კარნავალი აქვს. მაგრამ განსაკუთრებულად დიდი ღონისძიებები კათოლიკურ მხარეებში იმართება, როგორცაა, მაგალითად, რაინის მხარე (რაინლანდი), სამხრეთ გერმანია. ადამიანები ამ დროს აღარ ფიქრობენ აღარც სკოლაზე და აღარც სამსახურზე, მთლიანად გადართულები არიან გართობაზე. დიდი საზეიმო პროცესიები და საკარნავალო ზეიმები იმართება ქუჩებში, უკრავს კაპელა (პატარა ორკესტრი) და საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები პირდაპირ ქუჩებში ცეკვავენ. კარნავალის მონაწილეები გამოდიან საზეიმო სიტყვით და ცნობილ პიროვნებებს პაროდირებენ, ან ხუმრობენ, ზოგჯერ დასცინიან კიდევ პოლიტიკოსებს. სხვადასხვა მხარეში ტრადიციული ჩვეულებებიც სხვადასხვანაირია. ყველაზე ცნობილი და გრანდიოზული კარნავალი ქალაქ კიოლნშია. კიოლნისათვის კარნავალი წლის ყველაზე მნიშვნელოვან ზეიმს ნიშნავს, ამიტომ ის ქალაქის ისტორიას ეკუთვნის. ცნობილია კიოლნის კარნავალი (Kölner Karneval), კიოლნის კარნავალის მუზეუმი (Kölner Karnevalsmuseum). პირველი ორგანიზებული კარნავალი კიოლნში 1823 წელს ჩატარდა. როგორც ამბობენ, კიოლნში კარნავალს „რიგანად“ ამ დროიდან ზეიმობენ (Kölner Karnevalsmuseum)¹. ისეთ ქალაქებში, როგორცაა მიუნხენი, კარნავალს უფრო კერძო (ვიწრო) ხასიათი აქვს, ვიდრე საზოგადოებრივი. სხვა ქალაქებში, მაგალითად, ბერლინში, სადაც პროტესტანტული მიმართულებაა გამოხატული, თუმცა ამჟამად აღნიშნავენ კარნავალს, მაგრამ ნამდვილ ტრადიციულ დღესასწაულად არ ითვლება.

მოკლედ სამი ყველაზე გავრცელებული ტერმინის: Fastnacht, Fasching, Karneval შესახებ:

მთელ გერმანულენოვან სივრცეში სხვადასხვა მიწაზე და რეგიონში ამ დღესასწაულს განსხვავებული სახელწოდებით იცნობენ, მაგალითად, გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, საქსონიასა და საარის მხარეში და ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ შვეიცარიაში, ავსტრიის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ტერმინი Fastnacht მისი ვარიანტებით: მაგალითად, შვეიცარიაში - Fasnacht, Fasnet, შვაბიასა და ბადენში - Fasnet, შდრ. Mainzer Fastnacht, Schwäbisch-alemannische Fastnacht - შვაბურ-ალემანური კარნავალი). სიტყვა Fastnacht შედგება fasta -სა ('Fastenzeit' 'მარხვა') და nacht -ისაგან

¹ Kölner Karnevalsmuseum, <http://www.cologneweb.com/karneval.htm>

(‘Nacht, Vorabend’ ‘ღამე, წინა საღამო’). ცნობილია ასევე სხვა სახელწოდებები: Fastelovend, Fastabend, Fasteleer, 5n fünfte Jahreszeit (წელიწადის მეხუთე დრო).

ტერმინი Fasching (სამხრ. გერმ. კარნავალი; რელ. ყველიერის დრესასწაული, შდრ. მისი ძველი ფორმები: vaschanc, vastschang) ხმარობენ ბავარიამი, თიურინგიამი, ბრანდენბურგში, ფრანკფურტში, ავსტრიაში. სიტყვა მოდის ფორმიდან vaschanc, რაც აღნიშნავდა „Ausschenken des Fastentrunks“ -ს (‘ალკოჰოლიანი სასმელის ჩამოსხმა, სასმელების გაყიდვა მარხვის დროს’) (Meyer, 1992-a, 7; DUW, 2001, 522), რომელიც არის შეცვლილი ფორმა სიტყვიდან vastganc (‘Faschingsprozession’ ‘საკარნავალო პროცესია’). ამ სიტყვიდან შედგენილია კომპოზიტები: Faschingsball, Faschingsdienstag, Faschingsfest, Faschingskostüm, Faschingsprinz, Faschingsprinzessin, Faschingstreiben, Faschingsumzug და სხვ. (DUW, იქვე).

ტერმინს Karneval ხმარობენ ძირითადად რაინის მხარეში (რაინლანდში). ცნობილია, მაგალითად, Kölner Karneval, Düsseldorfer Karneval, Aachener Karneval, Koblenzer Karneval, Bonner Karneval, Neusser Karneval. თვითონ სიტყვა კარნავალი (იტალ. carnevale) მოდის ლათინური carnevale (carnelevare) -დან, რაც ნიშნავს ხორცის ამოღებას საკვებიდან (მარხვის დროს) (DUW, 2001, 879; Meyer, 1992-b, 186). საკარნავალო ღონისძიებები და მსვლელობები მაინცში, კიონლსა და დიუსელდორფში ყოველ წელს იზიდავენ მრავალათასობით მონაწილეს და მილიონობით ტელემაყურებელს. რეგიონალური სახელწოდებები მაინც ერთსა და იმავეს გულისხმობს: „die närrische Zeit“ ”გიჟური, სულელური დრო“ (närrisch - ‘სულელი, სულელური; სამასხარაო’): ე.ი. მარხვის წინა კვირები.

ამ წეს-ჩვეულების სათავე/დასაბამი ისტორიულად უკავშირდება კათოლიციზმს და აღდგომის დღესასწაულის წინა მარხვას. ძველ დროში აღდგომის წინა დღეებში, მოქალაქეებს ნება ჰქონდათ სხვა ტანსაცმელში გადაცმულებს გაეკრიტიკებინათ გაბატონებული (მმართველი) კლასი და ჯარისკაცები. ამიტომ თანამედროვე საკარნავალო კავშირები და ჯგუფები უნიფორმებს ატარებენ, რაც მამინდელი უნიფორმის პაროდიაა (Karneval, წიგნში: Basiswörterbuch, 224).

კარნავალი ოფიციალურად სხვადასხვა დროს იწყება. მაგალითად, რაინის მხარეში ის იწყება 11 ნოემბერს, თერთმეტ საათსა და თერთმეტ წუთზე. ამ დროს იკრიბება ე.წ. თერთმეტთა კომიტეტი, რომლებიც გეგმავს გაზაფხულისთვის გრანდიოზულ სახალხო ზეიმს. შვაბურ-ალემანური ტრადიციით კარნავალისათვის მზადება 6 იანვარს იწყება. საკარნავალო მზადება მის ჩატარებამდე გრძელდება რამდენიმე თვის განმავლობაში და ხშირად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წელიწადის მეხუთე დროს უწოდებენ. კარნავალის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეებია: Weiberfastnacht და Rosenmontag. ჩატარების დრო მოძრავია, რადგან ის აღდგომის თარიღზეა დამოკიდებული. Weiberfestnach-ს ზეიმობენ ხუთშაბათს. ამ დღეს გერმანელი თავისი სურვილისამებრ ზეიმობს, მაგალითად, სამასხურში, სკოლაში, ან მეგობრებთან ერთად. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვეულებრივი ყოველდღიურობა ამ დროს ყირაზე დგება. ეს ნიშნავს: თითოეულს შეუძლია ის კოსტიუმი ჩაიცვას, რაც მას სურს. შეუძლია მიღებული წესები საერთოდ ყურადღების გარეშე დატოვოს და ისე მოიქცეს, როგორც მას გული უკარნახებს. არის ადგილები, სადაც ეს კოსტუმირებული საზოგადოება ჯგუფებად დადის სიმღერისა და მუსიკის თანხლებით.

მეორე მნიშვნელობანი დღე არის Rosenmontag. ეს ის დღეა, როდესაც დიდი საკარნავალო პროცესიები ეწყობა. ყველაზე დიდი და ცნობილი პროცესიები ტარდება კიოლნში, დიუსელდორფსა და მაინცში (მაგ., Der Kölner Rosenmontagszug). სიტყვას Rosenmontag არაფერი აქვს საერთო Rosen-თან (‘ვარდები’). არამედ ეს არის ქვემო რაინის მხრის rasen(d)Montag, კერძოდ, rasender (wilder, toller) Montag (‘შემოილი, თავბრუდამხვევი’ (ველური, შმაგი, მაგარი, გიჟური) ორშაბათი). ამ დღეს კარნავალი თავის ზენიტს აღწევს. პროცესიას წინ აუცილებლად მიუძღვის სამი პერსონაჟი, უფლისწული, გლეხი და ქალწული. ისინი კანფეტებს, შოკოლადებსა და სათამაშოებს ყრიან ქუჩაში.

ყველიერის სამშაბათს (Faschingsdienstag) - კარნავალის დასრულებამდე ერთი დღით ადრე - კვლავ გრძელდება გიჟური ზეიმი შუაღამემდე, ვიდრე ბოლო ცეკვა „Kehraus“ შესრულდება¹.

შევჩერდებით კიდევ ერთ ტერმინზე Aschermitwoch (‘ფერფლის ოთხშაბათი’). სიტყვა მოდის ფორმიდან aschtac (ძველი მრ. რიცხვის ფორმა სიტყვისა Asche ‘ფერფლი, ნაცარი’). ამ დღეს მღვდელი კათოლიკური ღვთისმსახურების დროს მორწმუნეებს შუბლზე ხის ფერფლით გამოსახავს ჯვარს ნიშნად სინანულისა (DUW, 2001, 169).

ამდენად, ნაშრომში წარმოვადგინეთ გერმანულენოვან ქვეყნებსა და რეგიონებში ტრადიციული სახალხო დღესასწაული კარნავალი თავისი წეს-ჩვეულებებით და ისტორიით. განმარტებითი ლექსიკონების მასალებზე დაყრდნობით შევისწავლეთ თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და მათი რეგიონალური ვარიანტების მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილი მასალები

¹http://www.jav.ge/index.php?option=com_content&view=article&id=406%3A2014-05-03-17-52-38&catid=48%3A2011-10-11-18-51-06&lang=ka

საინტერესოა გერმანული ენის პრაქტიკული მეცადინეობებისათვის და გერმანული კულტურით დაინტერესებული პირებისათვის.

ლიტერატურა:

Duden. Basiswörterbuch. Deutsch als Fremdsprache. (Enthält den kompletten Wortschatz des neuen Goethe-Zertifikats B1). Hrsg. von der Dudenredaktion. Cornelsen/Dudenverlag. Berlin.
DUW = Duden: *Deutsches Universalwörterbuch* (4., neu bearb. und erw. Aufl.). Mannheim: Dudenverlag 2001.
Голышев, Б. А. (Golischev, B.A.): Hauslektüre. Feste und Bräuche. Lesebuch. Moskau Verlag „Hochschule“, 1974.
Meyer = Meyers großes Taschenlexikon: in 24 Bänden. (B. 7) 4., vollst. überarb. Auflage. Hrsg. und bearb. von Meyers Lexikonredaktion. Mannheim 1992-a.
Meyer = Meyers großes Taschenlexikon: in 24 Bänden. (B.11) 4., vollst. überarb. Auflage. Hrsg. und bearb. von Meyers Lexikonredaktion. Mannheim 1992-b.
ქსე = ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5, თბილისი 1980.
Feste und Bräuche. Karneval: Eine Übersicht. <http://www.goethe.de/ins/ie/prj/scl/bdt/de253501.htm>
Museen in und um Köln. Kölner Karnevalsmuseum. <http://www.cologneweb.com/karneval.htm>
კარნავალი - წელიწადის მეხუთე დრო. გერმანულიდან თარგმნა გ. ჩინჩალაძემ
http://www.jav.ge/index.php?option=com_content&view=article&id=406%3A2014-05-03-17-52-38&catid=48%3A2011-10-11-18-51-06&lang=ka

უოლტ უიტმენის ქართული თარგმანები

თამარ კუმლაძე, ლიკა ბალიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია ბოლაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

„რა უნდა უოლტ უიტმენს ? ...
არავინ იცის. მე ჩემს ცხოვრებაში
არ მინახავს კაცი, რომელსაც
ამდენი ეთქვას ისე, რომ არაფერი
იყოს თქმული“
კნუტ ჰამსუნი

ყველაზე რეალური დრო აწმყოა. მხოლოდ აწმყოში შეიძლება რაიმე შექმნა, გააკეთო, გიყვარდეს ან გძულდეს. ის კი არაფერს აკეთებდა, დაეხეტებოდა ოკეანის პირას, მილილინებდა თუ მილაპარაკობდა, ვერ გაარკვევდით. მამა უსაქმურად თვლიდა, წინაპართა ხელობა, დურგლობა მაინც გაგვერძელებინა, საარსებო წყარო ყოველთვის გექნებოდაო. ზღვას არ შორდებოდა, ფიქრობდა და სხვა საქმეს ეძებდა, ლიტერატორობა გადაეწყვიტა და გაზეთებში ცდილობდა თანამშრომლობას, პატარ-პატარა რეცენზიებსა და რეპორტაჟებსაც ბეჭდავდა, უმნიშვნელო ჰონორარსაც იღებდა. გარკვეული დროის შემდეგ თავი რომ გამოეჩინა, ერთმა გამომცემელმა ანტიალკოჰოლური რომანის დაწერაც შესთავაზა. სძულდა ეს საქმე და მაინც უნდა შეესრულებინა, სარფიანი საქმე იყო და ხელიდან ვერ გაუშვებდა. თანხის ნაწილი წინასწარ გადაუხადეს. იჯდა იაფფასიანი სასტუმროს ნომერში და წერდა. თავი რომ შესძულებოდა არასასურველი საქმისგან, ტოვებდა სასტუმროს, გადადიოდა მოპირდაპირე ქუჩაზე, შედიოდა კაფეში და ანტიალკოჰოლური რომანის ავტორი გვარიან დოზა ვისკის გადაჰკრავდა. მერე ისევ უკან ბრუნდებოდა მოვალეობის შესასრულებლად. ასე ეწეოდა ანტიალკოჰოლურ კამპანიას მომავალი კლასიკოსი, მსოფლიო პოეზიის ნოვატორი უოლტ უიტმენი.

XX ს-ის დასაწყისში უიტმენი რუსულად ბლონტმა თარგმნა. იმპერიის ცენზურამ ტირაჟი გაანადგურა. იგივე დაემართა კორნეი ჩუკოვსკის თარგმანსაც. თავდაპირველად რუსეთში უიტმენს არ სწყალობდნენ. მაიაკოვსკიმ კი უმაღლესი მიაპყრო ყურადღება ოკეანისგაღმელი პოეტის სრულიად ახლებურ პოეზიას, ლექსებს, რომლებიც ფორმითაც და შინაარსითაც ადიდებულ მდინარეებს წააგვანან. თუმცა, რა გასაკვირია, მისი პირველი წიგნი, ვისაც კი ფოსტით გაუგზავნა, სხვადასხვა ქალაქში, ყველა უკან უბრუნდებოდა, ან წერილობითი ლანძღვა-გინების თანხლებით, ან უბრალოდ უკომენტაროდ. უკომენტარო უკვე ნიშნავდა კომენტარს. მხოლოდ ერთი ნაჩუქარი წიგნი არ დაუბრუნებიათ მისთვის და ამ ნაჩუქარი წიგნის ადრესატი კონკორდელი რაღაც უორდსთოურთ ემერსონი იყო, რომელმაც შენიშნა უიტმენის გენია და პირველმა ამცნო ამერიკას დიდი პოეტის მოვლენა: „სერ, მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს, თუ რა ძვირფასი საჩუქარია თქვენი „ბალახის ფოთლები“, სიბრძნითა და თვითმყოფადი ნიჭით იგი ყველაფერს აღემატება, რაც კი დღემდე შეუქმნია ამერიკას. თქვენ გააკეთეთ ის, რის გაკეთებასაც ვესწრაფოდი მუდამ, იმიტომ რომ, აქ, დასავლეთში ადამიანთა სულებს სისხლნაკლულობა და სიბერე შეეპარათ, ქონი დაედოთ და დამძორდნენ, თითქოს მეტისმეტი შრომისგან გამოიფიტნენ“.

მანამდე სალანძღავი რეცენზიები ან დუმილი იყო შეფასების ფორმა. დროდადრო დადებითი რეცენზიებიც გაკეთდებოდა პრესაში. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თვითონ უიტმენი წერდა „ბალახის ფოთლებზე“ საქებარ სტატიებს, ოღონდ ფსევდონიმებით. ემერსონის, ამ უდიდესი ავტორიტეტის გამოხმაურებამ ერთიანად გადაფარა ყველა ხმა და უიტმენს დაერქვა უიტმენი. უიტმენის ლექსები და პოემები დაწერილია თავისუფალი რიტმებით, ურითმოდ. მან პირველმა დაარღვია ტრადიციული მეტრული საზომები და დასაბამი მისცა სრულიად ახლებურ პოეტიკას. უიტმენის ბევრი ლექსი უახლოვდება „რიტორული პროზის“ სტილს, მაგრამ როგორც მენდელსონი წერს „უიტმენის საუკეთესო ლექსებს რთული და მკვეთრი რიტმული სტრუქტურა გააჩნიათ. მათში ვარიაციებით მდიდარი რიტმული სურათია, რომელიც მრავალფეროვანი მხატვრული ხერხით იქმნება და ორგანულად არის დაკავშირებული ამ ლექსებში გამოხატულ იდეებთან“. უიტმენის სტილზე გარკვეული გავლენა მოახდინა აგრეთვე ბიბლიის ენამ, რომელიც მან კარგად იცოდა და რომლის ციტირებასაც ახდენდა. კნუტ ჰამსუნი აღნიშნავდა, რომ „ბიბლიის კითხვა მას უმაღლეს პოეტურ ნეტარებას ჰგვრიდა. მის ლექსებში იპარება ბიბლიური გამოთქმები და აზრთა ბიბლიური მოქცევა“. უიტმენმა უხვად შემოიტანა აგრეთვე „ცოცხალი და კუნთოვანი სიტყვები, სალაპარაკო ენათა ინტონაციები და იდიომები“. უიტმენის პოეტიკამ გავლენა მოახდინა არა მარტო ამერიკელ და ევროპელ პოეტებზე, არამედ სულ სხვა ტრადიციებისა და ენობრივი სამყაროს მნიშვნელოვან პოეტებზედაც, მაგალითად, დიდ არაბ პოეტზე ემინ რეიჰანზე, რომლის ერთი ლექსი ქართულად არის თარგმნილი. უიტმენის ლექსები და პოემები ქართულად პირველად კონსტანტინე გამსახურდიამ თარგმნა და 1926 წელს გამოიცა. ამ წიგნის თარგმნით მან ქართული თავისუფალი ლექსის მოდერნიზებული სტრუქტურა დაამუშავა და გზა გაუკვალა უიტმენის სხვა მთარგმნელებსაც. უოლტ უიტმენის პირველ ქართულ თარგმნას ჩამოცილებული აქვს იმ „მეტაფიზიკური ჟურნალიზმის“ იაფი სამოსი, რომელმაც ემერსონზე ბჰაგავატგიტასა და გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდის“ ნაზავის შთაბეჭდილება დატოვა. ანალიზისათვის გთავაზობთ პოეტის ლექსის “A Clear Midnight” („ნათელი შუადამე“) ორიგინალისა და კ. გამსახურდიასეული თარგმანის სრულ ტექსტებს:

“This is thy hour O Soul, thy free flight into the wordless,
 Away books, away from art, the day erased, the lesson done,
 Thee fully forth emerging, silent, gazing, pondering the themes thou lovest best,
 Night, sleep, death and the stars”.

მდრ.. „სხეულო, ჟამი ეგ არის შენი

და ქროლვა შენი გამოუთქმელში,
 შორს ეგ წიგნები, გათავდა საქმე,
 ჰა, ამოცურდი და ამობრწყინდი
 უტყვი, მჭვრეტელი ყოველი არსის
 და შემცნობი ელემენტების:
 დამის სიზმარის, სიკვდილისა და ვარსკვლავების“ .

ჩვენს მიერ მოხმობილ თარგმანში მინიმუმამდეა დაყვანილი გლუვი ემპირიზმის შემცველი სტრიქონების პროზაული ტონი, რაც უიტმენის სხვა მთარგმნელებმა მეტნაკლებად გაიზიარეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორიგინალში არსებული „O Soul“ (სული) თარგმანში გადმოტანილია, როგორც „სხეული“, ხოლო რაც შეეხება მომდევნო ორ სტრიქონს „... away from art, the day erased, the lesson done“, თითქმის მთლიანად არის უგულვებელყოფილი, თუ არ ჩავთვლით წინადადებას „the lesson done“, რომელიც გადმოქართულებულია როგორც „გათავდა საქმე“, რაც ტექსტის კონცეპტის დაშლა-დარღვევას და შინაარსობრივ განსხვავებასაც ნათლად წარმოაჩენს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, გამსახურდიასეული ქართული თავისუფალი ლექსის რიტმული სტრუქტურა, როგორც უიტმენის პოეზიის თარგმნის საფუძველი, სავსებით და უკორექტივოდ იქნება მიღებული.

შემდეგი ოცდაათი წლის განმავლობაში უიტმენის ლექსები აღარ გამოქვეყნებულა ქართულად. მხოლოდ 1955 წელს, „ბალახის ფოთლების“ გამოცემის ასი წლის თავზე, უნივერსიტეტის გაზეთსა და „მნათობში“ დაიბეჭდა უიტმენის თამაზ ჩხენკელისეული თარგმანები, რასაც მოგვიანებით მოჰყვა ლანა ლოლობერიძის, ზვიად გამსახურდიასა და გიორგი ნიშნიანიძის თარგმანები. გთავაზობთ რამდენიმე მათგანის ჩვენეულ ანალიზს.

ლექსის “I saw in Louisiana a Live – Oak growing “ („ლუიზიანაში მე ვნახე ბერმუხა“), ქართულ ენაზე შესრულებული თარგმნის ორი ვარიანტი არსებობს. ორივე მათგანი დაახლოებით ერთ პერიოდშია შექმნილი თ. ჩხენკელისა (1995) და ლ. ლოლობერიძის (1960) მიერ.

ლექსი დაწერილია უოლტ უიტმენისათვის დამახასიათებელი თავისუფალი, ურიტმო, არასტანდარტული ფორმებით. ლ. ლოლობერიძე, თ. ჩხენკელთან შედარებით, დედნისადმი მეტ ერთგულებას ამჟღავნებს და პოეტისეული რიტმისა და დინამიკის დაცვას ზედმიწევნით ცდილობს. ამის დასტურია თუნდაც ორიგინალში არსებული „და“ კავშირი (and), რომელიც ექვსჯერ მეორდება სტრიქონების დასაწყისში. მათი რაოდენობა თარგმანში მხოლოდ ერთით ნაკლები, ანუ ხუთია. თ. ჩხენკელისეულ თარგმანში აღნიშნული კავშირი თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი (მხოლოდ ორჯერ გვხვდება) და ლექსიც უფრო მელოდიური, რითმული და ქართული სალექსო ფორმების მსგავსია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ავტორის მიერ სათაურში გამოყენებული სიტყვა „a live – Oak“ ერთგან გადმოქართულებულია როგორც „მუხა“ /ლ. ლოლობერიძე/, ხოლო მეორეგან – „ბერმუხა“ /თ. ჩხენკელი/. ჩვენი აზრით, „ბერმუხა“ უკეთესად ეხმიანება ორიგინალის მთლიან კონტექსტს და ქართველი მკითხველისთვისაც უფრო ნათელი წარმოსადგენი ხდება თუ ამ ლექსით ოკეანის-გაღმელ დიდ პოეტს რის თქმა სურდა.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ დედნისა და ორივე თარგმნის სრულ ვარიანტებს:

“I saw in Louisiana a live – oak growing,
All alone stood it and the moss hung down from the branches,
Without any companion it grew there uttering joyous leaves of dark green,
And its look, rude, unbending, lusty, made me think of myself,
But I wondered how it could utter joyous leaves standing alone
there without its friend near, for I knew I could not,
And I broke off a twig with a certain number of leaves standing alone
there without its friend near, for I knew I could not,
And I broke off a twig with a certain number of leaves upon it.
and twined it away, and I have placed it in sight in my room,
It is not needed to remind me as of my own dear friends,
(For I believe lately I think of little else than of them.)
Yet it remains to me a curious token, it makes me think of manly love;”

შდრ: „ლუიზიანაში მე ვნახე მუხა,

ის იდგა მარტო, მარტოდმარტო და ტოტებზე ხავსი ეკიდა.
იდგა თავისთვის და მწვანე ფოთლებს მხიარულად აშრილებდა.
მე მას ვუმზერდი - დაკოჟრებულს, უხემს, მოუხრელს,
და იგი ჩემს თავს მაგონებდა,
და მე მიკვირდა, როგორ შესძლო ბებერმა მუხამ
მარტოობაში, უმეგობროდ
ამ მოშრიალე ფოთლების შობა,
რადგან ვიცი, რომ მე ვერ შევძლებდი.
და მე მოვტეხე მუხას ტოტი - დაკოჟრებული და ხავსიანი
და ჩემს ოთახში დავკიდე იგი,
რა ძვირფასი მეგობრების მოსაგონებლად -
მე ხომ ისედაც შეუწყვეტლივ იმათზე ვფიქრობ,
იგი იქნება უცნაური ნიშანი ჩემთვის
და მომაგონებს მამაკაცთა სიყვარულს მარად,
და იდგეს მარტო ვრცელ ტრამალზე ბებერი მუხა,
და აშრილოს მოლივლივე მწვანე ფოთლები,
მე ხომ ვიცი, რომ მის ადგილზე

მე ვერ შევძლებდი.“

ლ. ლოლობერიძე

შდრ... „ლუიზიანაში მე ვნახე ბერმუხა,
მარტოკა იდგა ტრიალ მინდორზე
და ტოტებს ხავსი ეკიდა.
უამხანაგოდ და უტოლოდ გაიზარდა იგი ამ ველზე
მუქი ფოთლების მხიარული შარიშურითა,
ტანდაკორძლი და უდრეკი -
შემართებით მე მგავდა იგი.
მაგრამ მიკვირდა
უსიყვარულოდ როგორ სძლებდა ის ბერი მუხა,
რა ძალა ჰქონდა ასე ამაოდ რომ შრიალებდა,
რადგან ვიცი მე მის ადგილზე ვერ გავძლებდი.
მე ჩამოვტეხე მას ერთი ტოტი
ჩემს ოთახში ჩამოვკიდე რტო ხავსიანი.
მისთვის კი არა,
ჩემი ტკბილი მეგობრები მომგონებოდა
(მე უმისოდ ეს დღეები სხვა რამეზე არც მიფიქრია),
ის უცნაური ნიშანსვეტი იქნება ჩემთვის,
მე მარადჯამს რომ მაგრძნობინებს
სიტკბოს კაცურ სიყვარულისას.
ლუიზიანაში, ტრიალ მინდორზე
დე იშრიალოს იმ ბერმუხამ,
თუნდაც მთელი თავის სიცოცხლე,
მე კარგად ვიცი: მის ადგილზე მე ვერ შევძლებდი.“

თ. ჩხენკელი

ყურადღებას მეოთხე სტრიქონი, სადაც სიტყვა „lusty” / „ვნებიანი“ არც ერთ თარგმანში არ გვხვდება. ლ. ლოლობერიძის მიერ შესრულებულ თარგმანში ეს სტრიქონი - „And its loo, rude, unbending, lusty, made me think of myself”, ასე გამოიყურება:

„მე მას ვუმზერდი - დაკოჭრებულს, უხემს, მოუხრელს,
და იგი ჩემს თავს მაგონებდა“, ხოლო თარგმნის მეორე ვარიანტში /თ. ჩხენკელი/ კი ვკითხულობთ:
„ტანდაკორძილი და უდრეკი -
შემართებით მე მგავდა იგი“

როგორც ვხედავთ, ორიგინალში არსებული სამი ზედსართავი სახელი /rude, unbending, lusty/ თარგმანის პირველ ვარიანტში თითქმის შენარჩუნებულია, თუმცა სიტყვა „lusty“-ის ქართული შესატყვისის /დაკოჭრებული/ სავსებით არასწორია. ამ სიტყვას, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებით იმეორებს მეორე მთარგმნელი „ტანდაკორძილის“ სახით. მიუხედავად სიტყვის არასწორად შერჩეული შესატყვისისა, ლექსის საერთო შინაარსიდან გამომდინარე, „ტანდაკორძილი“ მეტად პოეტურად ჟღერს და კოცეპტსაც მეტად გასაგებს ხდის.

პოეტის გახმაურებული შედეგრი „To a Common Prostitute” /„უბრალო მეძავს“/ უიტმენისათვის დამახასიათებელი უბრალოებითა და სიდიადით გამოირჩევა. გენიოსი აქ ქალს უძღერის. თუმცა უღირსს, საზოგადოებისგან მეძავად შერაცხულსა და მოძულეულს.

“Be composed – be at ease with me – I am Walt Whitman, liberal and lusty as Nature,

Not till the sun excludes you do I exclude you,

Not till the waters refuse to glisten for you and the leaves to rustle for you, do my words

refuse to glisten and rustle for you.

My girl I appoint with you an appointment, and I charge you that you wake preparation to be worthy to meet me,

And I charge you that you be patient and perfect till I come.

Till then I salute you with a significant look that you do not forget me.“

შდრ., „მშვიდად იყავი, მოიქეცი ჩემთან თამამად, ეს

მე ვარ, უოლტ უიტმენი უხვი და ვნებიანი,

როგორც ბუნება. ვიდრემდის შენ მზე არ უარგყოფს, არც

მე უარგყოფ, ვიდრემდის წყალნი არ შესწყვეტენ შენთვის

ლივლივს და ფოთლები შრიალს,

ჩემი სიტყვებიც არ დაშვრებიან შენთვის
შრიალით და ლივლივით.
ჩემო გოგონი, გითქვამ პაემანს და გავალე
იყო მომთმენი და სრულყოფილი, ვიდრემდის მოვალ,
მანამდის კი მოგესალმები მრავლისმთქმელ მზეერთ,
რათა მოსვლამდის არ დამივიწყო.“

ზ. გამსახურდია

„დამშვიდდი, კდემა განიშორე ჩემთან -
მე ვარ უოტ უიტმენი,
ბუნებასავით უხვი და მძლავრი -
და ვიდრე შენ მზე არ უარგყოფს, არც მე უარგყოფ
ვიდრე წყალი დის შენთვის და შრიალს არ იშლიან
შენთვის ფოთლები
ეგრევე ჩემი ხმაც არ მოიშლის დენას და შრიალს
შენს გასაგონად.

ჩემო გოგონი, მე გინიშნავ პაემანს, გეტყვი:
მოემზადე, ღირსეულად რომ შემეცვარო,
და კიდევ გეტყვი:
მომთმენი და სრულქმნილი იყავ, ვიდრე მე მოვალ,
ახლა კი, რომ არ დაგავიწყდე,
მე შენ დიდხანს გესალმები ნიშნულ მზეერთ.“

თ. ჩხენკელი

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. გამსახურდიასა და თ. ჩხენკელის მიერ ქართულად ამეტყველებული ეს
ლექსი თანაბრად სრულყოფილია, ორივე მთარგმნელი ზედმიწევნით ცდილობს დედნის ერთგულებას
და ქართული შესატყვისებიც თითქმის ზუსტადაა შერჩეული. ძალზე საინტერესოა მესამე-მეოთხე
სტრიქონები:

“Not till the sun excludes you do O exclude you,
Not till the waters refuse to glisten for you and the leaves
to rustle for you, do my words refuse to glisten and rustle for you”,
რომელიც ვფიქრობთ, რომ სახარებისეულ ალუზიას უნდა წარმოადგენდეს:
შდრ., „ვიდრემდის შენ მზე არ უარგყოფს, არც მე უარგყოფ.“

/ზ. გამსახურდია/

„და ვიდრე შენ მზე არ უარგყოფს, არც მე უარგყოფ.“

/თ. ჩხენკელი/

„მოვკვდები შენთან ერთად და არ უარგყოფ.“

მათე XXVI

ქართული უიტმენიანა ამით არ მთავრდება. დიდი პოეტის პოეზია კვლავ ცხოველი ინტერესის
საგნად რჩება. ამის დასტურია, რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდა მთარგმნელის – ქარდა ქარდუხის
მიერ ბრწყინვალედ შესრულებული უიტმენის რამდენიმე პოეტური შედეგის თარგმანი /იხ. ჟურნ.
„ჩვენი მწერლობა“, №10, 2008/, რომელთა გაცნობა-გაანალიზება უდავოდ ყურადღებას იმსახურებს.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.
2. ლ. ლოღობერიძე, უცხოური პოეზია ქართულად, თბ., 1995.
3. ზ. გამსახურდია, ამერიკელი პოეტები, თბ., 1971.
4. უოლტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ., 1966.
5. Walt Whitman, Leaves of Grass, A Bantam Book, 1983.

ჯეკ ლონდონის რომანის „მარტინ იდენი“ იდეურ-მხატვრული ასპექტები

მარიამ ხადური, ნინო ვარძელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: მაია ბოლაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

ჯონ გრიფიტ „ჯეკ“ ლონდონი დაიბადა 1876 წლის 12 იანვარს, გარდაიცვალა 1916 წლის 22 ნოემბერს. ამერიკელი მწერალი, ყველაზე უკეთ ცნობილი, როგორც სათავგადასავლო მოთხრობებისა და სოციალური რომანების ავტორი. ჯეკ ლონდონის დედა, ფლორა უელმანი, შეძლებული ამერიკელის შვილი იყო, მამა - მოხეტიალე ირლანდიელი, „ასტროლოგიის პროფესორი“ ჩანი. მამამ დაბადებამდე მიატოვა და არც შემდგომში, როდესაც ჯეკი წამოიზარდა, არ უცვნია შვილად. ჯეკი აღზარდა დაქვრივებულმა ჯონ ლონდონმა, რომელსაც ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი ყავდა მიზარებული ობოლთა თავშესაფარში, როცა ცოლად შეერთო ჯეკის დედა. მამინაცვალი კეთილი და გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა, მაგრამ მისი შრომისმოყვარეობის მიუხედავად, ოჯახი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. პატარა ჯეკი დაწყებით კლასში რომ დადიოდა, თან გაზეთებს ყიდდა მეცადინეობის დაწყებამდე და სკოლის შემდეგ. ბევრს კითხულობდა, მაგრამ მხოლოდ სამკითხველოში, რადგან წიგნების შეძენა არ შეეძლო. ერთხანს კონსერვის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ „ხამანწკების დამჭერი მეკობრე“ გახდა და გაეცნო იმ ველურ და გაბედულ ცხოვრებას, რომელსაც ადრე მხოლოდ წიგნებით იცნობდა. მეზღვური კვლავ ქარხნის მუშად იქცა და სწორედ ამ დროს დაწერა თავისი პირველი მოთხრობა სან-ფრანცისკოს გაზეთ „კოლის“ მიერ გამოცხადებული კონკურსისათვის. ეს იყო „ტაიფუნის იაპონიის ნაპირთან“, რომელმაც პირველი ჯილდო მიიღო, რამაც ავტორი დიდად წააქეზა. მაგრამ გაზეთმა მისი შემდეგი მოთხრობა აღარ მიიღო და ჯეკ ლონდონის ლიტერატურული მოღვაწეობა დროებით შეფერხდა. 1894 წლის გაზაფხულზე წამოჭრილმა ეკონომიურმა კრიზისმა ჯეკ ლონდონი უმუშევარი გახადა. მალე ის უბრალო მაწანწალა გახდა და ამ ხეტიალში ბევრი რამ განიცადა. მცირე ხნით ციხეც კი იწვნია. ყოველივე ამან ჯეკ ლონდონი სოციალისტად აქცია. 1896 წელს შევიდა სოციალისტურ პარტიაში და პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკის შესწავლას შეუდგა. ის კვლავ ოცნებობდა მწერალი გამხდარიყო, მაგრამ ამ საქმეში ხელმოცარულად ჩათვალა თავი და წავიდა ალასკაში ოქროსმაძიებლად. იქ ერთი წელიწადი დაჰყო. მართალია, უკან ისევ დატაკი დაბრუნდა, მაგრამ ცხოვრების მდიდარი გამოცდილება შეიძინა. „კლონდაიკში მე ვპოვე ჩემი თავი, - ამბობდა ის შემდეგში, - იქ ყველა სდუმს. ყველა ფიქრობს. იქ თქვენ გიმუშავდებათ სწორი თვალსაზრისის ცხოვრებაზე. იქ გაფორმდა ჩემი მსოფლმხედველობაც“.

ცხოვრების სიძნელეებთან და რედაქციებთან მძიმე ბრძოლის შემდეგ დამშეულმა და გაწამებულმა ჯეკ ლონდონმა მაინც მიაღწია თავის მიზანს, - მწერალი გახდა. 1899 წლის იანვარში სან-ფრანცისკოს ჟურნალმა „ოვერლენდ მანზლიმ“ გამოაქვეყნა მისი პირველი ჩრდილოური მოთხრობა „მათთვის ვინც გზამია“. ამას მოჰყვა სხვა მოთხრობები, რომლებიც „ჩრდილოეთის ოდისეასთან“ ერთად გამოიცა 1900 წელს ერთ კრებულად სახელწოდებით „მგლის შვილი“. მალე ჯეკ ლონდონი სახელგანთქმული მწერალი გახდა.

ჯეკ ლონდონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება რომანი „მარტინ იდენი“, სადაც თავი მოიყარა მწერლის ცხოვრების გამოცდილებამ, მისმა ნააზრევმა და განცდილმა, პირადმა და საზოგადოებრივმა. თვითონ ავტორსაც არ უარუყვია, რომ ამ რომანის გმირი მისი მსგავსებაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი მეტად განზოგადებული და შემკრებლობითი ტიპია. „მარტინ იდენი“ კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და უახლოვდება მაქსიმ გორკის, სუინბერნის, სტივენსონის და სხვა გამოჩენილი რეალისტების ნაწარმოებებს.

მიუხედავად აღიარებისა, ლონდონი კვლავ განიცდიდა გაჭირვებას და ახლობელ ადამიანებთან ინტენსიური ურთიერთობის მიუხედავად, იგი კვლავ შინაგანად ჩაკეტილ და მარტოხელა კაცად რჩებოდა. ამას თან დაერთო ავადმყოფობაც და, როგორც ფიქრობენ, მან თავი მოიკლა მორფის გადაჭარბებული დოზის მიღებით 1916 წლის 22 ნოემბერს. მისი რომანი, „მარტინ იდენი“, ახალგაზრდა თვითნასწავლ მუშაზე, რომელიც ცდილობს გახდეს მწერალი, დაიწერა 1909 წელს. პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „Pacific Monthly-ში“ 1908 წლის სექტემბრიდან 1909 წლის სექტემბრამდე. წიგნის სახით გამოქვეყნდა 1909 წელს გამომცემლობა „Macmillan-ის“ მიერ. იდენი წარმოადგენს გამომცემელთა სპეკულირებით იმედგაცრუებულ მწერალს. ის გამომცემლობიდან გამომცემლობამდე უშედეგოდ აგზავნის თავის ნაშრომების მათი დაბეჭდვის იმედით.

იდენი ჯეკ ლონდონისგან იმით განსხვავდება, რომ ის უარყოფს სოციალიზმს, თავს ესხმის „მონურ მორალს“ და ეყრდნობა ნიცშესეულ ინდივიდუალიზმს. „აპტონ სინკლერში“ ჯეკ ლონდონი წერს: „ამ წიგნში ერთ-ერთი ჩემი მოტივი იყო ინდივიდუალიზმზე თავდასხმა (მთავარ გმირზე). მე ავფურ-დავფურიე, რაც ვერც ერთმა რეცენზენტმა აღმოაჩინა“.

მოქმედება მიმდინარეობს მე-20 საუკუნის დასაწყისში, ოუქლენდში. მარტინ იდენი ცდილობს გაჭირვებიდან თავის დაღწევას თვითგანათლების გზით. მას იმედი აქვს, რომ დაიმკვიდრებს თავის ადგილს ელიტაში. მისი მთავარი მოტივია არისტოკრატი ქალწულის გულის მოგება. მან იცის, რომ ამას თავისი მეზღვაურობით, ტლანქი აზროვნებით და გაუნათლებლობით ვერ შეძლებს, ამიტომაც საკუთარი თავის შეცვლის სურვილი იპყრობს. მარტინი ახალ ცხოვრებას იწყებს, რადგან მორჩეუბი არიან ბურჟუაზიული წრის წარმომადგენლები და შეუძლებელი იქნება მათ შორის კავშირი სიმდიდრის და განათლების გარეშე.

ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მარტინი არწმუნებს რუთს, რომ წარმატებას მიაღწევს. თუმცა, რუთი კარგავს მოთმინებას და წერილში სწერს, რომ სჯობს, რაიმე საქმე მონახოს.

მარტინი დაუღალავი შრომის შედეგად ახერხებს არისტოკრატებთან ცოდნით გატოლებას. ის ხელს მიჰყოფს მწერლობას. იგი ღამეებს ათენებს და წიგნების კითხვის საშუალებით ცდილობს, რომ საკუთარი შემოქმედებითი უნარი კიდევ უფრო დახვეწოს, მსოფლმხედველობა განივითაროს და თავის შემოქმედებაში წარმოაჩინოს. პროცესს თან ახლავს უკიდურესი სიდუხჭირე, თუმცა არც ამ დროს ივიწყებს სიკეთეს და გულუხვობას. მას საკუთარი ძალის რწმენა ეხმარება. შემდეგ იგი ნამუშევრების რედაქციებში გადაგზავნას იწყებს და თითქოს მარტივად მოიპოვებს წარმატებას, მაგრამ ასე არ ხდება. მას ნაშრომებს რედაქტორები იწუნებენ. იგი არ შედრკება მაინც და იმდენად არის წარმატებებში დარწმუნებული, რომ არ წყვეტს ნაშრომების სხვადასხვა გამომცემლობებში დაგზავნას. მისი ხელთქმნილი იმიტომ იყვნენ დიდებულნი, რომ ისინი სიმართლესა და ჭეშმარიტებას ღაღადებდნენ, ცხოვრებისეულ სინამდვილეს ასახავდნენ და ხალხს მისი შეცვლისკენ მოუწოდებდნენ. ისინი არ ჰგავდნენ გაზეთის პირველ გვერდზე გამოკრულ სტატიებს, რომელიც მხოლოდ ხალხის გართობას ემსახურებოდა და ფულის შოვნის დიდი ხაფანგი იყო, არც იმ კრიტიკულ წერილებს, რომელთა ავტორებიც თავიანთი უნიჭობის, უნიათობის, შურისა და ბოღმის წყალობით დიდებულს ამცირებდნენ და ანადგურებდნენ.

ორი წარუმატებელი წლის განმავლობაში, როდესაც მის ნაშრომებს არ აქვეყნებენ, საკმაოდ ბევრი რამ იცვლება მარტინის აზროვნებაში. მარტინი ხედავს ადამიანებს, რომელთაც მისი საუბრები ბოღვად, ხოლო მისი ნაწერები დაბალი დონის ნაშრომებად მიაჩნიათ. საკმაოდ დიდი ბზარი ჩნდება მას და სხვა ადამიანებს შორის.

მარტინ იდენი სიცოცხლით ტკბობის სურვილს ჰკარგავს. სწორედ ამ დროს მოდის წარმატება. ნელ-ნელა იწყებენ მისი ნაშრომების ბეჭდვას სხვადასხვა გამომცემლობები. მათი დაბეჭდვის მიზეზია იდენის პირველი წარმატებები და ფულის შოვნის სურვილი. მარტინი ნელ-ნელა დიდებას მოიპოვებს, მის მიმართ დადებითად განწყობიან და ჩნდება საპირისპირო აზრი. იდენს იწვევენ დიდებულ სადილებზე, მაგრამ ბრბოს ფსიქოლოგიას ჩამწვდარ მარტინს ეს ყველაფერი გულს ურევს.

ჯეკ ლონდონის ეს ქმნილება ნამდვილად ღირსია შედევრად იწოდებოდეს. მან „მარტინ იდენში“ საკუთარი თვისებები ჩააკერა და ერთობ საინტერესო პიროვნების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ახალი პიროვნების ჩამოყალიბებას დიდი ნიჭისა და სურვილის წყალობით საოცარი სისწრაფით ახდენდა. მას ამაში მისი სატრფოც თითქოსდა ეხმარებოდა, რომელმაც მხოლოდ იმიტომ შეიყვარა მარტინი, რომ ქალური გრძნობები გაუღვიძა. იგი ცდილობდა ეს რბილი თიხა თავის იდეალად ექცია – მამამისს ან იმ ადამიანს დაემსგავსებინა, რომელმაც დიდი შრომისა და ახალგაზრდულ წლებში სიამოვნების ჩაკვლის შედეგად დიდ სიმდიდრეს მიაღწია და ახლა უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა. თუმცა ერთი შეხედვით ეს სამაგალითო კაცი იდენის თვალში არარაობა იყო, რომელმაც ცხოვრების სიამოვნება მხოლოდ იმიტომ მოიკლო, რომ დამპალ ფულს დაუფლებოდა.

მარტინმა თავისი შრომის მეშვეობით შეძლო ცოდნით გატოლებოდა არისტოკრატებს, ახლა მხოლოდ ამ ცოდნის ქონებად გარდაქმნა ესაჭიროებოდა საკუთარი მიზნის მისაღწევად. ამიტომაც მიჰყო ხელი მწერლობას, რისი სურვილიც აქამდეც არაერთხელ გასჩენია. იგი ღამეებს ათენებდა და ძილის 4 საათიანო უმოქმედო მონაკვეთი დროის კარგვად მიაჩნდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ საკუთარი შემოქმედებითი უნარი წიგნების მეშვეობით კიდევ უფრო დაეხვეწა, მსოფლმხედველობა განევითარებინა და შემდგომში თავის ქმნილებებში წარმოეჩინა. ამ წარმატებებში ფეხის ადგმისას მას

საკუთარი ძალის რწმენა ეხმარებოდა, რაც იმ ცნობილი ადამიანების წყალობაც იყო, რომლებმაც ცხოვრების რთული გზა განვლეს. იგი ხშირად იმეორებდა შემდეგ სიტყვებს: „სხვამ თუ შეძლო მეც შევძლებ“; „შეუძლებელს შევძლებ“; მისი აზრით თავისი გონება სრულად ჩამოყალიბებულიყო, რათა შედეგები შეექმნა და შექმნა კიდევ.

ჯეკ ლონდონის ამ პერსონაჟის ცხოვრება სწორ გზას გვაჩვენებს და საგნების რეალურ ღირებულებას გვანახებს. მისი განვლილი სარბიელი ნათლად გვისახავს საპირისპირო სქესისადმი სიყვარულის რაობას. იგი გვასწავლის, რომ ეს სიყვარული მხოლოდ მაშინაა უძლეველი და ჭეშმარიტი, როდესაც იგი მხოლოდ გრძნობებისა და ვნების ტყვეობაში არაა, არამედ გონებისა, რომელიც გულთან დამოყვრებისა და დამეგობრების შემდეგ განიცდის ამ საგნის სიდიადეს. ამერიკელი მწერალი კიდევ ერთხელ გვეუბნება და გვარწმუნებს, რომ ჩვენი მიზნების მიღწევაში მხოლოდ საკუთარი თავის რწმენა და მონდომება დაგვხმარება, ხოლო მიზნის მიღწევით სიამოვნების მიღებაში კი ამ დასახული საგნის რეალური ღირებულების სიდიდე. ამიტომაც საჭიროა გონივრულად და შორსმჭვრეტელობით ავირჩიოთ „სარბენი ბილიკი“, რათა მარტინის ბედი არ გავიზიაროთ. ჩვენ მომავალს იმედის თვალით კი არ უნდა შევხედოთ, არამედ ოპტიმიზმი რეალობად (რეალიზმად) ვიქცეოთ. მე მჯერა, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია შეუძლებელი შეძლოს, რადგან ვიცით, რომ შეუძლებელი არაფერია.

რომანის ძირითადი თემა არის მარტინ იდენის მიერ აღქმული სოციალური კლასი. მარტინ იდენი არის მეზღვაური, მუშათა კლასის წარმომადგენელი, რომელსაც უსიამოვნო შეგრძნება ეუფლება, მაგრამ ამასთანავე შთაბეჭდილებების ქვეშ რჩება მორბევების ოჯახში სტუმრობის შემდეგ, რომლებიც ბურჟუაზიული წრის წარმომადგენლები არიან. ის ცდილობს ცოდნის მიღებას, მაგრამ ამჩნევს, რომ შორდება მის კლასს და გარშემომყოფებს. როდესაც მარტინი აღმოაჩენს, რომ ის განათლებით აღემატება ბურჟუაზიული წრის წარმომადგენლებს, ის თავს გრძნობს მარტოსულად და გარიყულად, როგორც არასდროს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯეკ ლონდონი სოციალისტი იყო, მან წარმოადგინა ნახევრად-ბიოგრაფიული გმირი მარტინ იდენის სახით, ძლიერი ინდივიდუალიზმით. მიუხედავად იმისა, რომ იდენი მუშათა კლასის წარმომადგენელია, მას აქვს თვითგანვითარების ისეთი მოტივაცია, რომელიც მისი კლასის წარმომადგენლებს არ აქვთ ერთად აღებული. ფრიდრიხ ნიცშესა და ჰერბერტ სპენსერის ციტირებით, ის გმობს სოციალიზმის „მონურ მორალს“, თუნდაც სოციალურ შეხვედრებზე. მიუხედავად ამისა, ლონდონი ხაზს უსვამს, რომ ეს ინდივიდუალიზმი საბოლოო ჯამში იწვევს იდენის თვითმკვლევლობას. მან აღნიშნა, რომ რომანი არის იგავი კაცზე, რომელმაც თავი მოიკლა „არაღვთისადმი რწმენის ნაკლებობის გამო, არამედ ადამიანისადმი რწმენის ნაკლებობის გამო“.

მარტინ იდენი კაცია, რომელმაც მიაღწია იმას, რაც უნდოდა და დაკარგა სიყვარული და თვით სიყვარულის რწმენაც კი. მარტინ იდენი კაცია, რომლისთვისაც მიზანი უმთავრესია. მარტინ იდენი კაცია, რომელმაც შესძლო წარმოუდგენლად მოკლე დროში აეთვისებინა ის, და იმაზე მეტი, რასაც ხალხმა წლები მოანდომა. თუმცა ღირდა კი? ის უბრალო მუშათა კლასში აღზრდილი მეზღვაური იყო. სიარულიც მეზღვაურისა ჰქონდა. სიყვარულის ძალამ შეაძლებინა დაევიწყებინა ყველაფერი წარსულიდან და გაეზარდა უფსკრული, რომელშიც თავად ჩაიკარგა. სიყვარულმა აიძულა განვეითარებინა გონება და იდეოლოგიით კიდევ უფრო დაშორებოდა საყვარელ ქალს.

ცოდნამ, წიგნებმა, განათლებამ, აზროვნების უნარმა დაანახა, რომ ბურჟუაზია სხვა არაფერია თუ არა ერთი დიდი ნეხვის კასრი, რომელიც მხოლოდ ფულზე და სახელზეა ორიენტირებული. სწორედ წიგნებმა აუხილა თვალი და დაანახა, რომ ამ „ნეხვის კასრს“ ეთაყვანებოდა. თვით საყვარელი ქალიც კი, რომლის სიყვარულმა აამაღლა მარტინის გონება, ძალიან შორს დარჩა იდენისგან.

მარტინი ებრძოდა ჩამოყალიბებულ დოგმებს, აზროვნებას და იმას, რაც „უნდა“ და არა საჭიროა. მარტინმა ზედმეტად ბევრი იცოდა, ზედმეტად ჭკვიანი იყო და ზედმეტად ჩაულრმავდა წუთისოფლის სიმყრალეს, ზედმეტად ბევრი გაიგო და ამ ცოდნამ, შეიძლება ითქვას, დაღუპა კიდევ.

ნაწარმოები მთავრდება სუიციდით, მარტინ იდენი იკლავს თავს და ასე ამთავრებს თავის ბრძოლას საზოგადოების წინააღმდეგ. მკვლევრები ფიქრობენ, რომ ჯეკ ლონდონის ცხოვრებაც სწორედ ისე დასრულდა, როგორც მარტინ იდენის ცხოვრება. ეს კიდევ ერთი ფაქტია იმისა, რომ ჯეკ ლონდონმა ასე თუ ისე თავისი ცხოვრება აღწერა ამ წიგნის მეშვეობით, რომელიც სავსეა მისი გამოცდილებით და ფილოსოფოსების კარგად ცოდნით, მაგალითად, როგორიცაა ნიცშე.

ლიტერატურა:

1. ლონდონი ჯეკ, „მარტინ იდენი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.

2. ნიჟარაძე გუნანა, „რომანის ჟანრული თავისებურება“, „ცისკარი“, №2, თბ., 1993.
3. ნორაკიძე ვლადიმერ, „ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა“, თბ., 1972.
4. საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, ავტორთა ჯგუფი, თბ., 1985.
5. Jack London, „Martin Eden“, Ltd „Literature“, London, 1990.
6. The Oxford Companion to English Literature, edited by Sir Paul Harvey, Oxford, Clarendon Press, 1975.
7. The Movement of English Prose, London, Longman, 1966.

ინტერნეტ-რესურსები:

1. https://ka.wikipedia.org/wiki/მარტინ_იდენი
2. <http://ucnauri.com/212426/ჯეკ-ლონდონის-მარტინ-იდენი>
3. <http://genia.ge/?p=3790>
4. https://ka.wikipedia.org/wiki/ჯეკ_ლონდონი

**თინეიჯერების ზოგადსაკაცობრიო პრობლემა
(ჯ. დ. სელინჯერის რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ მიხედვით)**

თამარ ხანიშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაია ბოლაშვილი**, მოწვეული სპეციალისტი

ჯერომ დავიდ სელინჯერს სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში. მწელად მოიძებნება სხვა მწერალი, ასე რომ ჰყვარებოდეს მკითხველს და ამავე დროს, ასე ინტენსიურად აკრიტიკებდნენ ლიტერატორები. სელინჯერის პოპულარობას მშრალი სტატისტიკაც ადასტურებს. რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ უკვე 65 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაახლოებით ასეულობით მილიონ ადამიანს აქვს წაკითხული. ამ თვალსაზრისით ის მეთერთმეტეა ყველა დროის ერთტომიან წიგნთა შორის. ჰამესის უახლესმა კვლევამ კი, ამერიკელი მკითხველის აზრს რომ სწავლობდა, სელინჯერს ყველა ეპოქის მწერალთა შორის მეათე ადგილი მიაკუთვნა...

სელინჯერი მთელი ცხოვრების მანძილზე ნამდვილ ბრძოლაში იყო ჩართული. II მსოფლიო ომში ის ელიტარულ მეოთხე დივიზიაში იბრძოდა, რომელმაც ხელჩართული ბრძოლებით გაიკვლია გზა ნორმანდიიდან გერმანიამდე და 1944-45 წლებში პირადი შემადგენლობის დაახლოებით 250 პროცენტი დაკარგა.

მშვიდობიანობის დროც საკმაოდ რთული გამოდგა მისთვის. ის უპირისპირდებოდა ფულის დიქტატურას დაქვემდებარებულ სამყაროს, ცრუ ფსიქოანალიტიკურ მოძღვრებებსა და ათეიზმს, რომელსაც ამხელდა საკუთარი პერსონაჟების, ძირითადად, ბავშვების პირით...

კორნიშიმი განმარტოებულ სელინჯერს თმები ჯარისკაცისებრ ჰქონდა გაკრეჭილი, წერისას ხშირად სამხედრო ფორმა ეცვა და ეს სიმბოლურიც იყო... ის ისევ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა, მძიმე ბრძოლების გადატანა უწევდა საკუთარ თავთან და მყუდროების დამრღვევებთან, ლიტერატორებთან, ყოველი მხრიდან რომ უტევდნენ; ბიოგრაფოსებთან და ჟურნალისტებთან, რომლებიც თანდათანობით კომპრომატების მაძიებლებს ემსგავსებოდნენ, ასევე პაპარაცებთან, მასზე რომ ნადირობდნენ. სელინჯერი თვალთმაქცებს უწოდებდა ყველას, ვინც ფულისთვის საკუთარ ნიჭს ყიდდა; წინააღმდეგი იყო მასკულტურით ადამიანის ზომბირების; სწავლა-განათლების, რომელიც სიბრძნის დაუფლებას არ ისახავდა მიზნად... ბრძოლა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და აი, სელინჯერის ავტობიოგრაფიულმა პერსონაჟმა, ბადი გლასმა, ასეთი შეკითხვაც კი დაუსვა საკუთარ თავს, იმათ მხარეზე ხომ არ გადავედიო („სიმორი-შესავალი“)...

თუმცა არა, ჯერი არავის მხარეზე არ გადასულა. ეს, უბრალოდ, თავის გამამხნევებელი სამხედრო შემახილი იყო...

ასეთი გახლდათ დიდი ამერიკელი მწერალი ჯერომ დ. სელინჯერი!

სელინჯერის ბიოგრაფია, უმჯობესია დავიწყოთ არა ბავშვობიდან, არამედ თინეიჯერობის ხანიდან, როგორც ეს სურდა მწერლის საუკეთესო ბიოგრაფოსს, რომელიც ამის შესახებ თავისი ნაწარმოების პირველსავე აბზაცში მიგვანიშნებს:

„მართლა თუ გაინტერესებთ ჩემი თავგადასავალი, პირველად, ალბათ, იმას მკითხავთ, სად დავიბადე, რა სამაგელი ბავშვობა მქონდა, მშობლები რას აკეთებდნენ, და ათასგვარ დავით კოფერფილდისებურ აბდაუბდას. მაგრამ მართალი გითხრათ, სულაც არ მეპიტნავება ამეების გახსენება. ჯერ ერთი, გულს ამირევს და მეორეც - ჩემი მშობლების პირადი საქმეები რომ ჩამოგითვალოთ, თითო ამბის ხსენებაზე საწყლებს ორ-ორჯერ მაინც ჩაექცევათ ტვინში სისხლი. ძალიან ახლოს მიაქვთ ხოლმე ამისთანა ამბები გულთან, განსაკუთრებით მამაჩემს. რა მეთქმის, კარგი ხალხია... განა იმას ვამბობ... მაგრამ საშინელი ფხუკიანები არიან. ეგეც არ იყოს, ვის რაში სჭირდება, რომ ავდგე და მთელი ჩემი წყეული ავტობიოგრაფია წვრილად ჩავუკაკლო.“ მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები - მწერლის საუკეთესო ბიოგრაფოსს - ჯ. დ. სელინჯერს, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ მკვლევრებს. ეს განსაკუთრებით აღიზიანებდა მწერალთან ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაპირისპირებულ ლიტერატორს მერი მაკკართის. “იმას კიდევ ავიტანთ, ჰემინგუეის ყოველი ნაწარმოებიდან ერთი ჰემინგუეი რომ შემოგცქერის, მაგრამ შვიდი სელინჯერი ერთ ნაწარმოებში?! ეს უკვე მეტისმეტია!” - ასე გამოხატავდა ლიტერატორი თავის აღშფოთებას გლასების ოჯახზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი და ერთ რამეში არც ცდებოდა - ვოდევილის ყოფილი მოცეკვავეების - ლესი და ბესი გლასების შვიდივე შვილი მართლაც რაღაცით ჰგავდა მწერალს.

ჰოლდენ კოლფილდი მწერლის თინეიჯერული პერიოდის ავტობიოგრაფია, ბადი გლასი კი - მოწიფულობის. ის ბევრი რამით ჰგავს ჯერის: შერეული წარმოშობით, ცხოვრების წესით - ბადიც, სელენჯერისა არ იყოს, მწერალი - განდეგილია; რელიგიური კუთვნილებით; კინოხელოვნებასა და თეატრზე შეხედულებებით და სხვა. თუმცა, თუკი გლასების ოჯახს კარგად დააკვირდებით, სელინჯერი ჰიპოთეტურად ბადის დანარჩენ ოთხ ძმასაც შეიძლება მივამსგავსოთ, რადგან მას სიმორივითაც შეეძლო თავი მოეკლა, როცა ომის შემდეგ დეპრესიაში იმყოფებოდა და საავადმყოფოში რეაბილიტაციის კურსს გადიოდა, შესაძლოა ისიც, ზუის მსგავსად, მსახიობი გამოსულიყო, მამამისს რომ არ დაეშალა; უოლტივით იაპონიასთან ომში მომკვდარიყო, სამედიცინო კომისიას პირველსავე ნაკადში წასასვლელად ვარგისად რომ ეცნო; ან, თუკი აღმსარებლობის თვალსაზრისით დედის მხარეს გადაიხრებოდა, უეიკერის მსგავსად კათოლიკე მღვდელი გამხდარიყო. ამრიგად, მწერალს რეალურად მხოლოდ ბადი გლასი ჰგავს, დანარჩენი ოთხი ძმა კი მის ჰიპოთეტურ ორეულებად შეიძლება მივიჩნიოთ. რაც შეეხება ბუ ბუსა და ფრენის, მსოფლმხედველობრივად თვით ისინიც კი ჰგვანან სელინჯერს...

სელინჯერის რომანის - “თამაში ჭვავის ყანაში” - პირველსავე აბზაცის გაცნობისთანავე მკითხველი ხვდება, რომ მწერალმა წამოჭრა მარადიული თემა, რომელიც ოქრო-ვერცხლისა და ფულის გაჩენის დღიდანვე აწუხებდა კაცობრიობას. რა შეიძლება ეყიდა ან გაეყიდა ადამიანს გარკვეული ფულადი თანხის საფასურად, მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ქონება, საკვები პროდუქტები თუ საკუთარი ნიჭი, სხეული და ხანდახან სულიც კი? ან, ვთქვათ, ზოგჯერ ისეთი საქმიანობისთვის ხომ არ უხდებდნენ ადამიანს ხელფასს, რომელიც საზიანო იყო სულიერებისთვის? აი, კითხვები, სელინჯერი რომანის დასაწყისშივე რომ სვამს.

ნაწარმოების მთავარი გმირის, ჰოლდენ კოლფილდის უფროსი ძმა - დ. ბ. ჰოლივუდშია, ის პრესტიჟული მანქანითაც დადის და „ფულიც ჩეჩქევით აქვს“. თუმცა „უწინ ქესატად გახლდათ. შინ რომ იჯდა, მწერალიც მაშინ იყო. იმისთანა პატარ-პატარა მოთხრობებს წერდა, შიშით სული გაგძვრებოდა. იქნებ გაგიგონიათ კიდევ მოთხრობების წიგნი „დამალული ოქროს თევზი“. ამ წიგნში საუკეთესო მოთხრობას სწორედ “დამალული ოქროს თევზი” ჰქვია. ერთი პატარა ბიჭის ამბავია, თურმე არასდიდებით არ აჩვენებდა სხვას თავის ოქროს თევზს, ჩემი ფულით მაქვს ნაყიდიო. ჭკუიდან შემშალა! ახლა ჰოლივუდშია დ.ბ.-სთან დაკავშირებით ნახმარია გამოთქმა „ხელიდან წავიდა“, როგორც ჩანს, მთარგმნელებმა დ.ბ. დაზოგეს, რადგან ინგლისურ ტექსტში ჰოლდენი საკუთარ ძმას უფრო მკაცრი ეპითეტით - prostitute-ით მოიხსენიებს. რაბინის შვილიშვილს, ჯერომ სელინჯერს, კარგად უნდა სცოდნოდა, რას ნიშნავდა სულიერი პროსტიტუცია და რა გაგებით ხმარობდნენ ამ სიტყვას ბიბლიაში („ნუ იმრუშებთ უცხო ღმერთებთან“, - ხშირად აფრთხილებდა იელოვა წინასწარმეტყველების პირით ებრაელ ხალხს). კერპთაყვანისმცემლობა ყოველთვის ცოდვა იყო. ცოდვილები იყვნენ მოსეს თანამედროვე ებრაელებიც, ოქროს სამკაულებისგან ხბოს კერპი რომ ჩამოასხეს და ჰოლდენის ძმა დ.ბ.-ც, ნამდვილ მწერლობას იაფფასიანი ჰოლივუდური დიდება რომ ამჯობინა. ის ხომ ადრე ადამიანის სულზე წერდა - „დამალულ ოქროს თევზზე“. მაგრამ შემდეგ ყველაფერი დაივიწყა და თანამედროვე წარმართული კერპი - ფული განადიდა, სწორედ ამიტომ უწოდებს მას ჰოლდენი prostitute -ს.

ერთი შეხედვით, რომანში გადმოცემულია მორიგი სკოლიდან მოზარდის გარიცხვის ამბავი, მაგრამ ამასთან, ნაწარმოები აღწერს საკუთარი არსის წვდომის პროცესს. ჰოლდენ ქოლფილდი სკოლიდან გარიცხეს წარუმატებელი სწავლის გამო. ის ტოვებს სკოლას და მიემგზავრება ნიუ-იორკში, რათა „არდადეგები მოიწიოს“, სანამ თავს დაატყდება მშობლების გარდაუვალი რისხვა. რომანში მონაწილე ფორმით აღწერილია ჰოლდენის ფიქრები და მოქმედებები ამ რამდენიმე დღის განმავლობაში. ყმაწვილის ნერვული მოშლილობის სიმპტომებს წარმოადგენს უმიზეზო დეპრესიის ხშირი შეტევები, ფულის იმპულსური ფლანგვა და, რაც მთავარია, ექსცენტრული ქცევა, რაც წინ უძღვის მის ნერვულ გამოფიტვას. ამასთან ჰოლდენის გარშემო ცხოვრება ჩვეული წესით გრძელდება და ადამიანთა უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს ახირებულ ყმაწვილს, სანამ ის არ დაუპირისპირდება მყარ სოციალურ ნორმებს. რომანი გვაძლევს, დავფიქრდეთ, ხომ არ უკავია საზოგადოებას „ქვიშაში თავგარგული სირაქლემას“ პოზიცია, განზრახ ხომ არ უგულბებელიყოფს ის ადამიანის არსებობის სიცარიელეს? და თუ ასეა, როდესაც ქოლფილდი იწყებს იზოლაციის საკუთარი განცდის ანალიზს, გასარკვევია, თვით გმირს ემუქრება შემოიღობის საფრთხე, თუ შეშლილია საზოგადოება, რომელიც ვერ ამჩნევს თავისი არსებობის უსუსურობას?

ზოგჯერ საკუთარ სულში ვპოულობთ იმ განწყობილებების დათრგუნულ, ოდნავ შესამჩნევ ელემენტებს, რომლებიც ახასიათებს ჰოლდენ კოლფილდის შინაგან სამყაროს.

ჰოლდენს სძულს სიმახინჯე, ბიწიერება, უსულგულობა, ანუ ის, რასაც ჩვენი გმირი „თაღლითობას“ უწოდებს. ამასთან ის მეტისმეტად მგრძნობიარეა სილამაზისა და ზნეობრივი სისპეტაკის, განსაკუთრებით კი - ბავშვების სიწრფელის მიმართ. ფულის გადაჭარბებული სიყვარული ჰოლდენ კოლფილდს გულს ურევს. თუკი დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ამპარტავნებაა მიჩნეული უმთავრეს ცოდვად, რომელიც ადამიანებს პირდაპირ ეშმაკის თანამზრახველად ხდის, სელინჯერის რომანში „მწვანე კერპის“ თაყვანისცემაა უდიდესი დანაშაული. სწორედ ის შობს მეორე არანაკლებ დიდ ცოდვას, რომელიც ჰოლდენ კოლფილდს ასევე ეზიზღება, ესაა სიყალბე. სიყალბე რეკლამაში, საუბარში, ქცევაში, კინოხელოვნებაში, თეატრში, ადამიანურ ურთიერთობებში - ტოტალური სიყალბე, საზოგადოება რომ მოუცავს, რომელიც ადამიანებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. მას ყველა სფეროში შეუღწევია, ამიტომ მწერალსაც მრავალჯერ უწევს სიტყვა თვალთმაქცის ხსენება. აი, როგორ ხსნის ჰოლდენი ძველი კოლეჯის, ელტონ-ჰილის, მიტოვების ძირითად მიზეზს: „იქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიყალბეზე იყო აგებული. ეგ არის და ეგ. ყველაფერი გამოსაჩენად ჰქონდათ. თუნდაც თვითონ დირექტორი ავიღოთ - მისტერ ჰაასი. იმისთანა ფუყესა და თვალთმაქც ნაბიჭვარს ჩემს დღეში არ შევხვედრივარ“. მისტერ ჰაასი დამამცირებლად ექცეოდა ღარიბ და სოფელურად ჩაცმულ ადამიანებს, შვილების სანახავად, რომ მოდიოდნენ სკოლაში. მაგრამ საკმარისი იყო, მდიდარი მშობელი დაენახა „სულ ტკბებოდა და დაითაფლებოდა“ და მერე კი „ბარე ნახევარსაათიან საუბარს“ გაუბამდა. ჰოლდენს პენსივ სძულდა, სადაც ყველაფერი აღიზიანებდა, დაწყებული კოლეჯის რეკლამით, დასრულებული მასწავლებლებითა და მოსწავლეებით, რომლებთანაც საერთო ენას ვერ პოულობდა. ჰოლდენს თვით პენსიში დაწესებული კვების გრაფიკიც კი თვალთმაქცური ხრიკი ეგონა. მართლაც, სკოლის დირექტორმა მშვენივრად იცოდა, რომ მშობლები შვილების სანახავად სწორედ კვირას ჩამოდიოდნენ. ბუნებრივია, „ყველა დედა ჰკითხავდა საყვარელ შვილს, გუშინ რა გაჭამესო. ისიც უპასუხებდა - ბიფშტექსიო“. ბიფშტექსი კი მხოლოდ შაბათობით ჰქონდათ. ჰოლდენის აზრით ეს გაუგონარი თვალთმაქცობა იყო. თუმცა სკოლებში გამეფებული სიყალბე არაფერი იყო ჰოლივუდურ თვალთმაქცობასთან შედარებით, რომელიც მილიონობით ადამიანს აპიპნოზირებდა. ჰოლდენს აღიზიანებდა ჰოლივუდის მსახიობების პოპულარულობა. ქალები ჭკუას კარგავდნენ მათზე. ისინი საგანგებოდ საათობით ისხდნენ ბარებში იმ იმედით, რომ ჰოლივუდის რომელიმე ვარსკვლავს გაიცნობდნენ. მსახიობების კერპებად ქცევა თვით სელინჯერისთვისაც გამაღიზიანებელი უნდა ყოფილიყო, რადგან შეყვარებული სწორედ მსახიობმა დააკარგვინა, თანაც უდიდესმა მსახიობმა.

1941 წლიდან სელინჯერს ახალი ურთიერთობა ჰქონდა უნა ო'ნილთან, მწერალ იუჯინ ო'ნილის ქალიშვილთან. ეს ურთიერთობა უეცრად შეწყდა მას შემდეგ, რაც უნამ ჩარლი ჩაპლინთან დაიწყო შეხვედრა, ვისზეც შემდეგ დაქორწინდა კიდევ.

თუმცა ეს ძველი ამბავი იყო და ნაკლებად სავარაუდოა, სელინჯერს რაღაც პირადული მიზეზების გამო აეთვალწუნებინა კინოხელოვნება და მსახიობები, თანაც მას სძულდა არა კინოხელოვნება, არამედ ანტიხელოვნება, რაც ნათლად ჩანს ჰოლდენის დამოკიდებულებით თავის უმცოროსი დის, ფიბისადმი. ჰოლდენს უხაროდა, როცა ფიბი კარგ ფილმს უყურებდა, განსაკუთრებით კი ის ხიბლავდა, რომ ამ ერთ ციდა ბავშვს ცუდი ფილმის კარგისაგან გარჩევის უნარი გააჩნდა... სელინჯერს არც თეატრის მსახიობები უნდა სძულებოდა, უბრალოდ, მწერლის ლიტერატურული გმირი, ჰოლდენ კოლფილდი, თავისებურად აფასებდა თეატრალურ ხელოვნებას. ის თინეიჯერული უკომპრომისობით ცდილობდა, აღმოეჩინა

ხარვეზები თვით ისეთი დიდი მსახიობის თამაშშიც კი, როგორც იყო ლორენს ოლივიე. ჰოლდენის აზრით, ის საოცრად ნიჭიერი გახლდათ, ხმაც დიდებული ჰქონდა და ტანადობაც, მაგრამ ჰამლეტის როლს მაინც არ შეეფერებოდა, რადგან გენერალს უფრო ჰგავდა, „ვიდე გულდამიმბეზულსა და დარტყმულ ტიპს“.

ჰოლდენს და, მასთანადამე, სელინჯერსაც, მსგავსი უკომპრომისო შეხედულებები გააჩნდა უამრავ საკითხთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, ის აკრიტიკებდა თითქმის ყველაფერს, რითიც ამერიკა ამყობდა: ჯარს, კოლეჯებს, თეატრს და თვით ზოი სკაუტებსაც კი... და მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც არ იყო მიჩნეული დისიდენტ მწერლად, რატომ? განა ცნობილი რუსი მწერალი სოლჟენიცინი რაიმე სხვას აკეთებდა? საქმეც ესაა, რომ სელინჯერსა და სოლჟენიცინს შორის დიდი სხვაობაა. რუსი მწერალი სახელმწიფოსა და მის სტრუქტურებს აკრიტიკებდა, სელინჯერი კი ამ სტრუქტურაში მყოფ და დასაქმებულ ადამიანებს. ის შინაგანად ეთანხმებოდა შექსპირის ცნობილ გამონათქვამს: ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არისო. და მართლაც, განა ბოროტება სახელმწიფო წყობილების ბრალი იყო? რით განსხვავდებოდა მოსეს ეპოქის მკვლელი, ან კერპთაყვანისმცემელი თანამედროვესგან? ბოროტებას არ ჰქონდა არც ეპოქა, არც სქესი, არც ეროვნება და არც საზღვრები და ეს სელინჯერს, როგორც ჩანს მშვენივრად ესმოდა, ამიტომ ის აკრიტიკებდა არა განათლების სისტემას ან, ვთქვათ, ამერიკულ ჯარს, არამედ სკოლებსა და ჯარში მყოფ ადამიანებს, რაც კარგად ჩანს ჰოლდენის შინაგანი მონოლოგიდან: „ჯარში რომ გავეწვიე და იქ ეკლისთანა და სტრედლეიტერისთანა, თუნდაც იმ მორისისთანა ვაჟბატონებს გადავყრიდი, იძულებული ვყოფილიყავი, მათთან ერთად მწკრივში მევლო და მეცხოვრა, უთუოდ ჭკუიდან შევირყეოდი“.

სელინჯერის მიერ დახატულ ჯოჯოხეთის სურათს კიდევ ერთ შტრიხს უმატებს იელის სტუდენტი, თანმხლებ გოგონასთან ერთად კაფეში, რომ განმარტოებულა. სტუდენტი ბიჭი გოგოს ვიღაცის თვითმკვლელობის მცდელობის ამბავს უყვება, დიდი რაოდენობით აბები, რომ გადაყლაპა და თან მაგიდის ქვეშ ხელი შეუცურებია და გოგოს უფათურებს... მსგავსი ცივისსხლიანობა წარმოუდგენელია, ირგვლივ სისასტიკის, გულცივობის და ურცხვობის ატმოსფერო სუფევს... ჰოლდენი ძალიან რთულ სულიერ მდგომარეობაშია, ის არ არის მორწმუნე, რომ ილოცოს, არ ჰყავს მეგობარი, ვისაც გულს გადაუშლიდა. არც ის სურს, რომ სხვებს დაემსგავსოს, იმ თვალთმაქცებს, რომლებიც „სწავლითაც იმიტომ სწავლობენ, რომ გამოიქეჭონ და ერთ მშვენიერ დღეს... მშვენიერი კანდილაკი შეიძინონ“. მას გულს ურევს „მთელი დღეები ცარიელი ყბედობა“- გოგონებზე, დალევაზე, ხვევნა-კოცნაზე. ყველას თავისი ბინძური ბანდა ჰყავს და იმათთან ტრიალებს. ჰოლდენი ცდილობს გაიქცეს, სადმე ცხრა მთის იქით გადაიხვეწოს, მუნჯობა მოიგონოს და ცოლიც მუნჯი მოიყვანოს. ის მზადაა მთელი ცხოვრება სადმე ტყისპირა ქოხში გაატაროს, ოღონდაც კი ამ ჯოჯოხეთს დააღწიოს თავი. ჰოლდენს გული წყდება, რომ დრო გადის და ყველაფერი იცვლება. მისი აზრით „ზოგიერთი რამე არ უნდა იცვლებოდეს, ისევე ისეთი უნდა დარჩეს. უნდა შეიძლებოდეს მინის დიდ ყუთში ჩასმა, რომ თავისთვის დასტოვო და ხელი არ ახლო“.

სელინჯერის სურვილია ადამიანში სულიერი სისპეტაკე გადაარჩინოს. ეს სურვილი იმდენად მძაფრია, რომ თავისი სიღრმითა და სიძლიერით რელიგიურ გრძნობასაც კი ჰგავს. მართალია, სელინჯერის ლიტერატურული გმირი, ჰოლდენი, თვითონვეა გაორებული და დაბნეული, მაგრამ ის გულწრფელია და სწორედ ამ საოცარი გულწრფელობით იპყრობს ადამიანთა გულს. გულწრფელი გახლდათ სელინჯერიც, როდესაც 1953 წელს მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ეს რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათის იყო. „ჩემი სიყმაწვილე ძალიან ჰგავდა იმ ბიჭისას, წიგნში რომაა... და ძალიან დიდი შვება ვიგრძენი, როცა ხალხს მის შესახებ მოვუყევი“.

ნიშანდობლივია და სიმბოლურიც, რომ ეს რომანი მოთხრობის - „მცირე ამბოხი მედისონ-ავენიუზე“ - საფუძველზე შეიქმნა. „თამაში ჰვავის ყანაში“ მართლაც ამბოხებაა გულცივი და სასტიკი სამყაროს წინააღმდეგ ჩვენი ბავშვობის გადასარჩენად!

ლიტერატურა:

1. ჯ. დ. სელინჯერი, „თამაში ჰვავის ყანაში“, ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976.
2. თ. გაბუნია, „ჯერომ სელინჯერი - ნამდვილი ბრძოლა“, გამომცემლობა „24 საათი“, თბ., 2014.
3. ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, № 187, თებერვალი, 2003.
4. J. D. Salinger, “The Catcher in the Rye”, Ltd “Literature”, New York, 2000.
5. J. D. Salinger, “Nine Stories”, “Progress Publishers”, Moscow, 1982.

ინტერნეტ-რესურსი:

genia.ge/?P=12008

ისტორია

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან (ძმები კერესელიძეები და დუმეთის ხაზინის ექსპროპრიაცია)

მარიამ არხოშაშვილი, თამარი გოგოლაური
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე**, პროფესორი

საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია მრავალ მამულიშვილს იცნობს - ნაწილს სახელითა და გვარით და უფრო მეტს - უსახელოდ დარჩენილს. მათგან ბევრი ისე განშორდა წუთისოფელს, რომ თავის უმთავრეს მიზანს - სამშობლოს დამოუკიდებლობას ვერ მოესწრო. ცხადია, არიან ისეთებიც, რომლებმაც არა მხოლოდ კვალი დააჩნიეს ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის მატთანეს, არამედ ამ ბრძოლის დამაგვირგვინებელი შედეგიც - სუვერენული საქართველოც იხილეს და წვლილი მის სამსახურშიც შეიტანეს.

ახლა, ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში, როდესაც საქართველო, კიდევ ერთხელ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზას მიუყვება და ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი ცივილიზებულ ერთა დიდ ოჯახში, ჩვენი ვალაა მეტი ვიცოდეთ იმ პიროვნებების შესახებ, რომელთა მთელი შეგნებული ცხოვრება სწორედ მამულის დახსნას, ქართველი ერის თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებას, მისი უკეთესი მომავლისათვის ძალისხმევას მოხმარდა. ამგვარ ადამიანთა სიმრავლიდან ჩვენ გასამუქებლად ჩვენი რეგიონის - შიდა ქართლის მკვიდრი კერესელიძეების ოჯახი შევარჩიეთ და დღევანდელ კონფერენციაზე სამი ძმის - ლეო, გიორგი და იასონ კერესელიძეების თავგადასავალზე მოგიხსნათ. უფრო სწორად, ყურადღებას მათი ბიოგრაფიის იმ შედარებით ნაკლებად ცნობილ ერთ ფაქტზე გავამახვილებთ, რომელიც 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში კონკრეტულად საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას უკავშირდება. როგორც სპირიდონ კეცია წერდა თითქმის ერთი საუკუნის წინ: „პატარა ჩვენი ქვეყანა დიდ საქართველოთ, ნამვილ საქართველოთ მხოლოდ ასეთი ადამიანების მეოხებით გადაიქცევა“.¹ ჩვენი მიზანია, გავიხსენოთ და პატივი მივავით ამ ტიპის მოღვაწეთა შორისაც კი გამორჩეულ სამ ღირსეულ ქართველს, სამ ძმა კერესელიძეს, რომელთაგან ერთის - საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილი იასონის საფლავი არსად არსებობს, ხოლო ლეოსა და გიორგის ბედმა საუკუნოდ სამკვიდრებელი გერმანიის მიწაში არგუნა.

დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ თავისუფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში ქართველი ხალხი დროისა და ვითარების ადეკვატურ წინააღმდეგობის ხერხებსა და საშუალებებს მიმართავდა. ჩვენი ისტორია იცნობს საპროტესტო მოძრაობის მრავალ გამოვლინებას, აჯანყებებს, შეთქმულებებს, მშვიდობიან დაპირისპირებას და სხვ. გასული საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს კოლონიური უღლის გადაგდებისათვის ბრძოლას ახალი მეთაური ძალა - პოლიტიკური პარტიები გამოუჩნდნენ. მათგან ქვეყნის ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ხალხის დარაზმვას ერთ-ერთი პირველი სოციალისტ-ფედერალისტური პარტია შეუდგა.

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში მოქმედი რადიკალური პარტიებისათვის, მთელი იმპერიის მასშტაბით დამახასიათებელი იყო პოლიტიკური ტერორი, რისთვისაც სპეციალურ საბრძოლო ორგანიზაციებს ან რაზმებს აყალიბებდნენ. ამზადებდნენ ბომბებს, ხელყუმბარებს, ასაფეთქებელ მასალებს და თავს ესხმოდნენ ჟანდარმებს, პოლიციელებს, ადმინისტრაციის ყველაზე აუტანელ მოხელეებს. ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრი თანაუგრძნობდა ამ ძალმომრეობას და მას ხელისუფლებასთან დაპირისპირების ერთ-ერთ მისაღებ ფორმად აღიქვამდა. არც თუ იშვიათად ტერორისტებში სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის უანგაროდ თავგანწირულ ადამიანებს, „კეთილშობილ რევოლუციონერებს“ ხედავდნენ და მათ გმირების შარავანდედით მოსავდნენ. თავდაპირველად ჟურნალ-გაზეთები ამგვარ ფაქტებს მომეტებულ ყურადღებას უთმობდნენ და ცდილობდნენ მკითხველისათვის უმნიშვნელო წვრილმანიც კი მოეთხროთ.

¹ სპირიდონ კეცია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 23.

მერე, როდესაც ტერორისტული აქტები მეტისმეტად გახშირდა, პრესამაც თითოეული მათგანის დეტალების გაშუქებას თავი ანება და უფრო მოკლე ინფორმაციის გავრცელებით იფარგლებოდა.

აღნიშნულ პერიოდში მასობრივ მოვლენად იქცა ასევე ე.წ. ექსპროპრიაციები. ამ ლათინური წარმომავლობის სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათგან ერთმა დეფინიციამ, რომელიც შეიარაღებულ მარცვას, კერძო პირების თუ სახელმწიფო დაწესებულებათა ქონების იძულებით მითვისებას ითვალისწინებდა და ფართოდ გავრცელდა რომანოვთა იმპერიაში (შემოკლებით მას „ექსებს“ უწოდებდნენ), სპეციფიკური რუსული ხასიათი შეიძინა.¹ ექსებს რადიკალური პოლიტიკური პარტიები უმთავრესად თავიანთი არალეგალური მოღვაწეობის დასაფინანსებლად იყენებდნენ.

სანკტ-პეტერბურგში დაბადებული და დღეს ისრაელში მოღვაწე ისტორიკოსი ანა ჰეიფმანი, რომელმაც ბოსტონის უნივერსიტეტში დისერტაცია მიუძღვნა რევოლუციური ტერორის პრობლემას რუსეთის იმპერიაში, აღნიშნავს: მარტო 1906 წელს ქვეყანაში ექსპროპრიაციის 362 შემთხვევა აღირიცხა, რომლის დროსაც ბანკებმა ერთ მილიონ მანეთზე მეტი თანხა დაკარგეს.²

ერთ-ერთი ასეთი ფართოდ გახმაურებული ექსპროპრიაცია ძმები კერესელიძეების სახელთანაცაა დაკავშირებული. ვინ იყვნენ ძმები კერესელიძეები და რა ვიციით მათ შესახებ?

კერესელიძეების მამა, მათე კერესელიძე, რაჭის სოფელ სადმელიდან იყო. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მას მრევლი ქართლში მისცეს. აღსანიშნავია, რომ მათე კერესელიძეს იცნობდნენ ილია ჭავჭავაძე და ანტონ ფურცელაძე. სწორედ მათი რჩევით, ახალგაზრდა მოძღვარი გორში დასახლებულა. მათე აქ დაოჯახდა, მეუღლედ ადგილობრივი აზნაურის ყანჩელის ასული მარიამი მოიყვანა. ცოლ-ქმარს 5 შვილი შეეძინათ გიორგი, ელენე, ბუდუ, ლეო და იასონი. აქვე დავძენთ, რომ მათე კერესელიძის შვილებიდან იასონი, როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის წევრი, 1923 წლის მაისში ბოლშევიკებმა დახვრიტეს თბილისში, ბუდუ ახალგაზრდა დაიღუპა, ელენე აქ დარჩა, გიორგი და ლეო კი ემიგრაციაში აღმოჩნდნენ. გიორგი და ლეო კერესელიძეები იყვნენ პირველი მსოფლიო ომის დროს საზღვარგარეთ აღმოცენებული საქართველოს იმ განთავისუფლების კომიტეტის თვალსაჩინო წევრები, რომელმაც მნიშვნელოვანწილად შეამზადა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ ძმები კერესელიძეები კვლავ დაპყრობილი სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და ღირსეული კვალიც დააჩნიეს ქართული ემიგრაციის ისტორიას.

მათე კერესელიძის ახლად შექმნილი ოჯახი თავდაპირველად გორიდან 15 კილომეტრში, მდინარე მეჯუდის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფელ ახრისში დაეფუძნა. ახრისი საზოგადოდ ღარიბი სოფელი ყოფილა, მაგრამ კერესელიძეების დედის ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა. მათ დიდ კალოს თურმე ხარისა და ცხენის ოთხ-ოთხი კვერი არა ჰყოფნიდა გასალეწად. „გორის მაზრაში იშვიათი იყო ისეთი თავადი თუ აზნაური, რომელიც ჩვენი ოჯახისოდენა მნას დასდგამდა“, იგონებდა გიორგი კერესელიძე. მათე, როგორც ირკვევა, ახრისში დიდხანს არ დარჩენილა და, სავარაუდოდ, 1890 წლისათვის საცხოვრებლად ოჯახით თბილისში გადასულა (ცხოვრობდნენ დღევანდელი მ. ლალიძის ქუჩის №7-ში).

ძმები კერესელიძეების შესახებ ცნობებს ვიგებთ გიორგი კერესელიძის ფრანგულ და გერმანულ ენაზე დაწერილი მოგონებებიდან, რომელიც მკვლევარმა გიორგი მამულიამ მოიძია, თარგმნა და კომენტარებით გამოაქვეყნა ჟურნალში „ქართული ემიგრაცია“.³ არსებობს ასევე, ლეო კერესელიძის ხელით დაწერილი მისი ავტობიოგრაფიაც, რომელიც ჩვენი თემისათვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს.⁴

კონკრეტულად დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის გასაშუქებლად მნიშვნელოვანი წყაროა იმ დროინდელი პერიოდული პრესის მასალები, ასევე, საყურადღებო ცნობებს შეიცავს გიორგი ლასხიშვილის მემუარები და იოსებ გედევანიშვილის გამოუქვეყნებელი მოგონებები. რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ მიხაკო წერეთლის 1916 წელს, პოტსდამში, გერმანულ ენაზე გამოცემულ წიგნში „საქართველო და მსოფლიო ომი“, რომლის ქართული თარგმანი 2014 წელს

¹ მოგვიანებით ვ. ლენინმა ლათინური სიტყვები „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“ რუსულით „граб нагребленное“-თი შეცვლა და პრაქტიკაში „ნაპარცვის მარცვა“ დაამკვიდრა. <http://www.bibliotekar.ru/encSlov/4/77.htm>

² Гейфман А. Революционный террор в России, 1894-1917. М., 1997, с. 33.

³ ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 141-175.

⁴ ლეო კერესელიძის Curriculum Vitae, ჟურნ. „თანამემამულე“, 2007, № 3(24), გვ. 14 (გ. მამულიას პუბლიკაცია).

თბილისში დაიბეჭდა.¹ არსებობს ერთი გვიანდელი საგაზეთო პუბლიკაციაც, სადაც ამ საკითხის ისტორია ზოგად შტრიხებშია გადმოცემული.²

გიორგი კერესელიძე 1880, ხოლო ლეო კერესელიძე 1885 წელს დაიბადა. ლეოსთვის სახელი ცნობილი ფრანგი რესპუბლიკელისა და პოლიტიკური მოღვაწის, ლეონ გამბეტას პატივსაცემად დაურქმევიათ. გიორგი კერესელიძის გადმოცემით, იმ დროის ქართულ პროგრესულ წრეებში პოპულარობით სარგებლობდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, იტალიის სახალხო გმირი ჯუზეპე გარიბალდიც. მათე კერესელიძის სამუშაო ოთახის კედელზე ყოველთვის ეკიდა თურმე „გარიბალდის დიდი სურათი, თავის ცნობილ წითელ პერანგში, წელზე შემორტყმული მახვილით“.³ ძმები ბავშვობიდანვე თავისუფლების იდეების ერთგულებით იზრდებოდნენ. ეს იდეები მაშინდელ საქართველოში ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ როდესაც ინგლისმა ბურების წინააღმდეგ გაილაშქრა, არაერთი ქართველი ახალგაზრდა თურმე ბურთა ლეგიონებში ჩაწერაზე ოცნებობდა, რათა მცირერიცხოვან ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში მიშველებოდა.

მეოცე საუკუნის პირველი წლებიდან მოყოლებული ქართველი ახალგაზრდობა, უფროსი თაობის მსგავსად, ორ ბანაკად ირაზმებოდა: პირველი სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას ემხრობოდა, ხოლო მეორე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ იდეოლოგიას თანაუგრძნობდა. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ გიორგი და ლეო კერესელიძეებიც. შალვა ამირეჯიბსა და გიორგი კერესელიძეს დაუარსებიათ „რაინდთა წრე“, რომლის წევრები ფიცს სდებდნენ, რომ სასტიკად დასჯიდნენ, თუ საჭიროა, იარაღითაც კი, მას ვინც უდიერად შეეხებოდა საქართველოს, მანდილოსანს და მათ წრეს.⁴ ძმები კერესელიძეები იმთავითვე მონარქისტული სულისკვეთებით ყოფილან გამსჭვალული და საქართველოში მეფობის აღდგენის იდეას იზიარებდნენ. რა თქმა უნდა, მანამდე აუცილებელი იყო რუსების განდევნა საქართველოდან და დამოუკიდებლობის მოპოვება. ამისათვის კი ბრძოლა იყო საჭირო.

1905 წლიდან თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ პეტერბურგში დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობას საქართველოც შეუერთდა. როგორც რევოლუციური გაბაშვილი წერდა, „პატარა საქართველო დიდი რუსეთის ბუმბერაზს, როგორც მტარვალს, ვულკანის ამოხეთქვით ემუქრებოდა“.⁵ ოღონდ ამ მუქარის უმთავრესი მიზანი არა პოლიტიკური, არამედ სოციალური თავისუფლების მიღწევა იყო. მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ის ძალა, რომელიც წინა პლანზე ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნას წამოსწევდა. სახალხო მოძრაობას სათავეში სოციალისტური პარტიები - სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები ედგნენ (ამათგან მხოლოდ ქართველი ფედერალისტები მოითხოვდნენ საქართველოს ავტონომიას).

ხსენებული პარტიები თავიანთ ოფიციალურ დეკლარაციებში უარს აცხადებდნენ ტერორისტული აქტების ორგანიზებაზე, გამოდნენ ამგვარ ძალმომრეობას, მაგრამ სინამდვილეში ტერორს არც თუ იშვიათად მიმართავდნენ, ანუ უარყოფდნენ თეორიულად და იყენებდნენ პრაქტიკულად.

პოლიტიკურ პარტიათა არსენალში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად იმპერიისათვის ეკონომიკური და ფინანსური ზიანის მიყენებაც მოიაზრებოდა. ამ მიზნით ფართოდ მიმართავდნენ ბანკების ან სახაზინო დაწესებულებების ძარცვასა და მათი ქონების მისაკუთრებას.

პირველი ცნობილი ექსპროპრიაცია საქართველოში 1905 წლის 30 დეკემბერს ყვირილაში განხორციელდა. მაშინ ხაზინიდან 200 000 მანეთი გაიტაცეს. ყვირილის ხაზინის ძარცვა რევოლუციური ბრძოლების პიკს დაემთხვა. იმ დროს ასეთი „რევოლუციური აქტივობა“ არავის უკვირდა, ამიტომ ამ ფაქტმა საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან ნაკლები ყურადღება მიიპყრო. რაც შეეხება მომდევნო წელს დუშეთის ხაზინის გამარცვას, რომლის ინიციატორიც სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრები იყვნენ, ფართოდ გახმაურდა და საერთაშორისო რეზონანსიც შეიძინა. სწორედ ამ „რევოლუციური აქტის“ მონაწილენი იყვნენ ძმები - გიორგი და ლეო კერესელიძეები.

¹ წერეთელი მ., საქართველო და მსოფლიო ომი, შესავალი წერილი, რედაქცია, შენიშვნები და კომენტარები ოთარ ჯანელიძისა, თბ., 2014.

² მახარაძე ი., დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია, ისტორიანი, 2013, ოქტომბერი, №10/34; ასევე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2013 წ., 9 დეკემბერი. <http://www.kviripalitra.ge/history/19781-dushethis-khazinis-eqspropriacia.html>

³ კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 145.

⁴ კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 146.

⁵ გაბაშვილი რ., რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება. მრავალტომეული, 3, თბ., 1992, გვ. 46.

რუსეთის იმპერიაში ყველაზე დიდი ექსპროპრიაცია ასევე საქართველოში, თბილისში, 1907 წლის 13 ივნისს განხორციელდა. ამ ექსპროპრიაციის შედეგად, რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი 250 ათასი მანეთი და ბანკის საკრედიტო ბარათები იქნა გატაცებული. მარცვის ორგანიზატორად იოსებ სტალინი სახელდებოდა, შემსრულებლად კი – სიმონ ტერ-პეტროსიანი, კამო. სინამდვილეში მარცვა ესერებმა განახორციელეს, მაგრამ ფულის უცხოეთში გატანა და ვ. ლენინისათვის გადაცემა სტალინმა სწორედ კამოს მეშვეობით შეძლო.¹

ახლა უფრო ვრცლად დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციაზე:

გიორგი ლასხიშვილის მოგონების თანახმად: „სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ პარტიის მთავარ კომიტეტში წინადადება შეიტანა დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის შესახებ. კომიტეტმა განიხილა ეს წინადადება და მის განხორციელებაზე უარი განაცხადა“. მართალია, მთავარმა კომიტეტმა ექსი უარყო, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციისთვის მის განხორციელებაში ხელი არ შეუშლია. დავიმოწმეთ ფრაგმენტი ლეო კერესელიძის ავტობიოგრაფიიდან: „1905-1906 წ(ლებში) ვიღებდი მონაწილეობას რევოლუციაში, საქართველოში. ვიყავი ფედერალისტების მებრძოლი კომიტეტის წევრად და ფედერალისტების მებრძოლი რაზმები მე შევადგინე. 1906 წლის მაისში ამ კომიტეტის ბრძანებით დავეცი დუშეთის ხაზინას, საიდანაც 315. 000 მანეთი გამოვიტანე“. ამ თანხის ნაწილი ფედერალისტებმა პარტიულ საქმეებზე დახარჯეს.²

მომავალი ექსპროპრიატორები დიდხანს ბჭობდნენ რა გზით ჩაეგდოთ ხელში ფული. ხაზინაზე ყაჩაღური თავდასხმა დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა, რადგან მახლობლად ჯარისკაცთა პოლკი იდგა. ზოგი სასმელის მოწამელის ანდა მცველი ჯარისკაცების დათრობის წინადადებას აყენებდა, ზოგი კი მათი მოსყიდვის იდეას ემხრობოდა. ბოლოს გადაწყვიტეს ყალბი დოკუმენტებით ემოქმედათ. ექსპროპრიაციის ერთ-ერთი მონაწილე იოსებ გედევანიშვილი იმ დროს ნოვო ბაიაზეთის პოლკში ასეულს მეთაურობდა, აქედან გამომდინარე, კარგად იცნობდა პოლკის ოფიცრობას და პოლკის მეთაურს, ხანში შესულ პოლკოვნიკ დიკს. გედევანიშვილმა ზედმიწევნით შეისწავლა შტაბის საქმის წარმოება, წერილების დაგზავნის წესი, სტილი და ფორმა. მან შეადგინა საიდუმლო მიწერილობა-განკარგულება ოლქის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ დიკის მისამართით, რომელშიც ნათქვამი იყო: „რადგანაც სამხედრო ნაწილებს დიდი ჯაფა აწევთ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში,რაც ხელს უშლის და აბრკოლებს ჯარის ნაწილთა მომზადებას და სწავლას, ამიტომ კავკასიის ჯარების უფროსმა გადაწყვიტა დროებით გაათავისუფლოს ჯარის ნაწილები არასამთავრობო დაწესებულებების დარაჯობისგან.წინადადება გეძლევათ განკარგულების მიღებისთანავე მოხსნათ სამხედრო სადარაჯო დუშეთის ხაზინიდან“.³ ამ ყალბი ბრძანების ტექსტი ტასო ვახვახიშვილმა დაბეჭდა, ხოლო მისამართი ხელით გიორგი კერესელიძემ წააწერა. განკარგულების გადაგზავნა ფოსტით არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი საიდუმლო მიმოწერისთვის განსაკუთრებული წესი არსებობდა, საჭირო გახდა მეორე წერილის შედგენა მცხეთის ბოქაულის სახელზე, რომ პოლკოვნიკ დიკისათვის გადასაცემად გამოგზავნილია საიდუმლო პაკეტი და ის სასწრაფოდ შიკრიკის მიერ უნდა გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

მცხეთის ბოქაულს გაბო სულხანიშვილს გამოეცხადა საოლქო შტაბის ფორმაში გამოწყობილი „ჯარისკაცი“ კოლა ყორღანოვი. ყველაფერი შესრულდა წესისამებრ. ამ უკანასკნელმა დარაჯები ხაზინიდან გაიყვანა. მთავარი დაბრკოლება მოიხსნა. 12 აპრილს საღამოხანს თბილისიდან დუშეთისაკენ გეზი აიღო ეტლმა, რომელშიც ისხდნენ ილია და ივანე თაქთაქიშვილები, კორნელი კასრაძე, ლეო კერესელიძე, კოლა ალავიძე, დათუნაშვილი და ეტლის პატრონი ვიქტორ ყიფიანი. გვიან ღამით ჯარისკაცები დუშეთში შევიდნენ. იმ დღეს ხაზინაში მორიგეობდა ფედერალისტთა პარტიის წევრი მაზიტაშვილი, რომელმაც ფსევდო ჯარისკაცებს კარი გაუღო. „ჯარისკაცმა“ ყველა განაიარაღეს, მაზიტაშვილმა უჩვენა ხაზინის კარი, სადაც ინახებოდა 315 000 მანეთი. მმარცველებმა ფული პარკში ჩადეს და ხელი არ ახლეს კასრს, რომელშიც ინახებოდა 2000 მანეთის ოქრო, ასევე პარკებს, სადაც ვერცხლის ფული იყო ჩალაგებული“ - იუწყებოდა გაზეთი „ისარი“.⁴ საქმეს რომ მორჩნენ, გამტაცებლებმა ხელ-ფეხ შეკრული მცველები, მათ შორის მაზიტაშვილი, იატაკზე დააწვინეს და ფეხებთან ყალბი ბომბი დაუდეს, თუ გაინძრევით, გასკდება და მტვრად იქცევითო, გააფრთხილეს და სასწრაფოდ გაიქცნენ.

ერთ საათში თავდამსხმელები მცხეთაში იყვნენ. ფული გედევანიშვილის ოჯახში დამალეს, რადგან თბილისში ჩატანა საშიში იყო. 12 აპრილის მარცვის დროს გედევანიშვილი საკუთარ ასეულთან ერთად

¹ შველიძე ა., როგორ განახორციელა სტალინმა კამოს მეშვეობით ტერორისტების მიერ ბანკიდან გატაცებული ფულის საქართველოდან გატანა, ჟურნ. „თბილისელები“, 2013, №21.

² ლეო კერესელიძის Curriculum Vitae, ჟურნ. „თანამემამულე“, 2007, №3(24), გვ. 14 (გ. მამულიას პუბლიკაცია).

³ მახარაძე ი., დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია, ისტორიანი, 2013, ოქტომბერი, №10/34; ასევე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2013 წ., 9 დეკემბერი. <http://www.kvirispalitra.ge/history/19781-dushethis-khazinis-eqspropriacia.html>

⁴ გაზ. „ისარი“, 1907 წ., 27 ნოემბერი.

სოფელ ძალისში იმყოფებოდა და ეს ამბავი იქ შეიტყო. ამის შემდეგ იგი გაემართა მცხეთისკენ ჯარისკაცების თანხლებით, ვითომდა კვალის საპოვნელად. ჯარისკაცები ერთ დუქანში დატოვა, თვითონ ჩაჯდა მატარებელში და ჩავიდა თბილისში ლადო ცაგარელის ჩამოსაყვანად, რომელიც კავკასიის მეოთხე ბატალიონის მსროლელი იყო. ფული ჩემოდანში ჩაალაგეს და თბილისში წაიღეს. ასე დასრულდა ეს ექსპროპრიაცია.¹

მარცვის ამბავი მთელს იმპერიაში გახმაურდა. დედაქალაქის ერთ-ერთი გაზეთი წერდა: ტიფლისი. 13 აპრილის ღამით დუშეთის ხაზინაში პირობითი პაროლით გამოცხადდა საგუშაგო ცვლა 6 კაცის შემადგენლობით. როგორც კი ძველი ცვლა წავიდა, ახალმა გუშაგებმა, შეკოჭეს მოხელეები და შევიდნენ განძთსაცავში, აიღეს 315 ათასი მანეთი, დატოვეს მუნდირები და გაეცალნენ ხაზინას. ეს ყალბი ცვლა 20 წუთით ადრე გამოცხადდა ნამდვილ ცვლამდე, რომელიც მისი წასვლის შემდეგ მოვიდა.²

წამოღებული ფულიდან ნაწილი გატაცების დროს გზაში დაეკარგათ, ნაწილი მონაწილეებს დაურიგდა, დანარჩენი სამხედრო ორგანიზაციამ გაუნაწილა თბილისისა და ქუთაისის კომიტეტებს და თავის საჭიროებასაც მოახმარა. გიორგი ლასხიშვილის ცნობით, ამ ფულით მთავარმა კომიტეტმა საკუთარი სტამბა შეიძინა, რომელშიაც იბეჭდებოდა გაზეთები და პარტიის სხვა გამოცემები.³

ექსპროპრიაციის მეორე დღესვე ფეხზე დადგა თბილისის გუბერნიის მთელი პოლიცია, დამნაშავეების საპოვნელად ჯილდოდ 10 000 მანეთი დააწესეს. ამოქმედდნენ ჯაშუშები და აგენტები. პირველ რიგში პოლიციამ მაზიტაშვილი და ხაზინის დარაჯები დააპატიმრა, თუმცა, დიდი წამების მიუხედავად, ვერაფერი შეიტყვეს. რა თქმა უნდა, მიადგნენ პოლკოვნიკ დიკსაც, რომელმაც წარადგინა ოლქის შტაბის უფროსისაგან მიღებული განკარგულება. ოლქის შტაბმა განკარგულება ყალბად ცნო და თან აღნიშნა, რომ განკარგულება ისეთი შრიფტით არის დაბეჭდილი, რომელიც არ უდგება შტაბში არსებულ არც ერთ საბეჭდ მანქანას. მოგვიანებით ეს დოკუმენტები ექსპერტებმა შეადარეს გიორგი კერესელიძის ხელს და დაამტკიცეს, რომ წარწერა მას ეკუთვნოდა. გამოძიებამ ეჭვი მიიტანა გედევანიშვილზეც. გამოძიებულების აზრით, საქმეში აუცილებლად სამხედრო პირი იყო გარეული და თანაც ეს ოფიცერი ქართველი უნდა ყოფილიყო, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ ვითარებას. ადმინისტრაციამ კვალს მალე მიაგნო. დააპატიმრეს საქმის ორგანიზატორები, შტაბის კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი და ლადო ცაგარელი, აგრეთვე უშუალო მონაწილენი ციმაკურიძე, თავთაქიშვილი და სხვა, რამდენიმე კაცმა თავს უცხოეთში გაქცევით უშველა, მათ შორის ძმებმა კერესელიძეებმა.⁴

როგორც გიორგი კერესელიძე წერს, ფიქრობდნენ საფრანგეთში გახიზვნას, მაგრამ ბოლოს შვეიცარიაში წასვლა ამჯობინეს. ძმებმა ეს ქვეყანა უფრო საიმედოდ მიიჩნიეს, რადგან საფრანგეთი რუსეთის მოკავშირე იყო და, გამორიცხული არ იყო, ჩვენ გაცემაზე უარი არ ეთქვაო. ლეომ აქ გაიგნო თავისი მომავალი მეუღლე, რომლის მამა პოლკოვნიკი ლეკულტრი ისე მოხიბლულა სასიძოთი, რომ „საქართველო და ქართველობა საოცნებო საგნად“ გახდომია.

სამშობლოდან დევნილ ქართველ ახალგაზრდებს რუსეთის ჟანდარმერიის აგენტურამ შვეიცარიაშიც მიაგნო. ოფიციალურმა პეტერბურგმა შვეიცარიის ხელისუფლებას მათი გადაცემა მოსთხოვა. ადგილობრივმა პოლიციამ ძმები კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი დააპატიმრა და საპრობილეში ჩასვა. თუ მათ რუსეთის მთავრობას გადასცემდნენ, ბრალდებულებს ან ხანგრძლივი პატიმრობა ანდა კატორღაში გაგზავნა არ ასცდებოდათ.

პოლკოვნიკმა ლეკულტრიმ სასწრაფო ზომები მიიღო და საქმე შვეიცარიის ცნობილ ადვოკატებს – ადრიან ლაშენალს, ცეზარ ჰიუდრის და სტრიტმატერს ჩააბარა. ლაშენალი შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი, ხოლო სტრიტმატერი ფედერაციული სასამართლოს ყოფილი პროკურორი იყო.⁵

¹ მახარაძე ი., დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია, ისტორიანი, 2013, ოქტომბერი, №10/34; ასევე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2013 წ., 9 დეკემბერი. <http://www.kvirispalitra.ge/history/19781-dushethis-khazinis-eqspropriacia.html>

² Газ. „Русское слово“, 27 (14) апреля 1906 г. года <http://starosti.ru/archiv/april1906.html>

³ ლასხიშვილი გ., მემუარები, თბ., 1992, გვ. 143. ლეო კერესელიძის ცნობით, თანხის ნაწილი - 25 ათასი მანეთი ს. გედევანიშვილს, ხოლო 75 ათასი მანეთი ა. ჯაბადარს მიუთვისებიათ. იხ. ლეო კერესელიძის Curriculum Vitae, ჟურნ. „თანამემამულე“, 2007, №3(24), გვ. 14 (გ. მამულიას პუბლიკაცია). ზემოთ ნახსენები მკვლევარი ა. ჰეიფმანი შენიშნავს, რომ თანხის დიდი ნაწილი დარჩა ამ აქტის ერთ-ერთი ორგანიზატორს ვინმე კერესელიძეს. ის წავიდა კავკასიიდან და ხელგაშლით ცხოვრობდა ჟენევაში, სადაც შეიძინა ძვირფასი სახლი და საკუთარი ავტომობილი (იხ. Гейфман А. Революционный террор в России, 1894-1917. М., 1997, с. 157; ასევე, „Явились экспроприации, налеты, грабежи, убийства“ <http://www.kommersant.ru/doc/1385951>). სავარაუდოდ, ეს ცნობები ჟანდარმერიის აგენტურას უნდა ეკუთვნოდეს. სინამდვილეში ლეო კერესელიძე შვეიცარიაში მეუღლის ოჯახში ცხოვრობდა და არც ისე შემძლებულად.

⁴ მათთან ერთად იყო ამ საქმის თანამონაწილე, კერესელიძეების დეიდაშვილი ნესტორ კალანდარიშვილი.

⁵ კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 146. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 148.

ადვოკატებმა კარგად შეისწავლეს საქმე და ბრალდებულთა დასაცავად სათანადო მასალების შეგროვებას შეუდგნენ. სასამართლოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელით საქართველოდან გაეგზავნა „მოწმობა, რომ ექსპროპრიაცია პოლიტიკურის მიზნით იყო მოხდენილი.“¹

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასკვნას, რომელიც 1906 წლის 24 ნოემბერს სასამართლოს წერილობით წარუდგინა ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა ერნესტ ნისსიმ. ეს აღიარებული სამართალმცოდნე იმავდროულად სააპელაციო სასამართლოს წევრიც იყო, ამიტომ მის აზრს იურიდიული საზოგადოება გარკვეულ ანგარიშს უწევდა.

ერნესტ ნისსის დასკვნაში აღნიშნული იყო: „რუსეთის მთავრობის ბატონობა საქართველოში გაუმართლებელია, როგორც თავისი პრინციპებით, ასევე ისტორიული წარმომავლობით. ის აღმოცენდა სიყალბეზე და საუკუნეების განმავლობაში იყენებდა თავის საშინელ და ტირანულ მეთოდებს... ეს ზეწოლა გულისამრევი და მომაკვდინებელი იყო ქართული ეროვნულობისთვის. რუსული რეჟიმი ქართული ენისა და კულტურის დაუძინებელ მტრად იქცა. ... ყოველგვარი უფლებების გარეშე იმ ადამიანებს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობა შეესრულებინათ, ასახლებდნენ შორეულ პროვინციებში. მათი დამცირების ყველა ხერხი იყო გამოყენებული. პატრიოტებს სიკვდილს უსჯიდნენ და ციხეებში სვამდნენ. ზედამხედველები პატიმრებს საშინლად აწამებდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ ვინ გაბედავდა იმის თქმას, რომ რევოლუცია და აჯანყება სხვა არაფერი იყო, თუ არა მოვალეობა. ... საქართველოს მდგომარეობა რევოლუციურია. ძალადობრივი აქტები, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება, არის პოლიტიკური ქმედებები, რათა ქართული საქმე გამარჯვებამდე მივიდეს.“²

სასამართლომ ეს შეხედულება სრულად გაიზიარა, საქმე პოლიტიკური დატვირთვის მქონედ მიიჩნია და ძმები კერესელიძეები კრიმინალებად არ ჩათვალა. ამის საფუძველზე შვეიცარიის მთავრობამ უარყო რუსეთის შუამდგომლობა მათი გადაცემის შესახებ და ბრალდებულნი პატიმრობიდანაც გაანთავისუფლა.

გიორგი კერესელიძე თავის მოგონებებში სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ გვამცნობს: „ფედერაციული სასამართლოს მსაჯულებმა რიცხვით თხუთმეტმა, რუსეთის მთავრობას, რომლის სათავეში იმ დროს დიდად ენერგიული სტოლიპინი იდგა, ჩვენს გადაცემაზე ერთხმად უარი უთხრეს. გამოქვეყნდა დიდი ფორმატის 28 გვერდიანი წიგნაკი, იმ მოტივების აღნიშვნით, რომელთა ძალით რუსეთის მოთხოვნა უკუაგდეს, მისი სათაურია „დადგენილება შვეიცარიის ფედერაციული სასამართლოსი გამოტანილი 1907 წლის 12 თებერვალს პლენარულ სხდომაზე, შესახებ რუსეთის საიმპერატორო ლეგაციის მოთხოვნისა გადაეცნენ მას ძმანი ლეო და გიორგი კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი... ლოზანა, სტამბა ჟორჟ ბრიდელ და კომპ. 1907 წ.“³

ექსპროპრიაციის მონაწილე დანარჩენი მძარცველების საქმის გამოძიებამ წელიწად-ნახევარი გასტანა. სასამართლო პროცესი 1909 წლამდე გაგრძელდა. გაზეთ „დროების“ ცნობით, „14 მარტს საქმე თბილისის სამოსამართლო პალატაში უნდა გარჩეულიყო. ბრალდებულებმა ციმაკურიძემ და აზატოვმა გამოუცხადეს პალატას, რომ საქმე უნდა გადაიდოს და სასამართლომ გამოიკვლიოს მოწმეების გამოკითხვით, იყვნენ ისინი სარევოლუციო პარტიების წევრებად თუ მემარჯვენე ორგანიზაციებში მოქმედებდნენ. ვეკილმა გვაზავამ კი, თავის მხრივ, მოითხოვა შვეიცარიის ფედერაციული სასამართლოს გადაწყვეტილების ოქმი იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სასამართლომ ძმები კერესელიძეები და მაღალაშვილი გაამართლა, სასამართლო პალატის ოქმში კი წერია, ვითომც შვეიცარიაში ხსენებული პირები იქაურ სასამართლოს გაემტყუნებინოს. პალატამ საქმის გარჩევა შემდეგისთვის გადადო, საქმე ირჩეოდა ხალხის თანდასწრებით“.⁴

პროცესზე გასამართლებულნი იყვნენ იოსებ გედევანიშვილი და ლადო ცაგარელი, მათ ჩამოერთვათ სამხედრო ღირსება და ორ-ორი წლით ციხე მიესაჯათ, მაგრამ შემდეგ თავდებით გაანთავისუფლეს. თავთაქიშვილი, ციმაკურიძე და სხვანი კატორღაში გაიგზავნენ. იოსებ გედევანიშვილის მოგონების თანახმად, დაპატიმრებულები დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ... ერთი და იმავე სერიის ფულის ნიშნები აღმოაჩნდა: აზატოვი კომპანიით და ვანო თავთაქიშვილი, ილია თავთაქიშვილი, ამაზე უწინ სხვა რამდენიმე ტუსადთან ერთად გაიქცა ციხიდან“.⁵

¹ ლასხიშვილი გ., მემუარები, თბ., 1992, გვ. 143.

² წერეთელი მ., საქართველო და მსოფლიო ომი, შესავალი წერილი, რედაქცია, შენიშვნები და კომენტარები ოთარ ჯანელიძისა, თბ., 2014, გვ. 103-107.

³ კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 149.

⁴ გაზ. „დროება“, 1909, 14 მარტი., N58.

⁵ მახარაძე ი., დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია, ისტორიანი“, 2013, ოქტომბერი, №10/34; ასევე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2013 წ., 9 დეკემბერი. <http://www.kvirispalitra.ge/history/19781-dushethis-khazinis-eqspropriacia.html>

მიხაკო წერეთელი ამ ფაქტს „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის აღიარების შესახებ ძალიან საინტერესო პრეცედენტს“ უწოდებდა. იგი წერდა: „ეს განაჩენი გამოტანილი იყო ევროპაში საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტის აზრის საფუძველზე. ის მიიჩნევდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინებით ამ ადამიანთა საქციელის აჯანყებად შეფასება არ შეიძლებოდა და რომ ეს მხოლოდ მეზობელი პარტიის ქმედების ფორმა იყო“.¹

კერესელიძეების საქმეს დიდი გამოხმაურება მოყვა პრესაში ევროპაში თუ ამერიკაში. ეხებოდნენ საქართველოს ისტორიას, მის უფლებებს და რუსეთის მიერ ტრაქტატის პირობების ვერაგულ დარღვევას. როგორც გიორგი კერესელიძე წერდა: „ამ პროცესმა, უცხოეთში საქართველოს საკითხს ცოტად თუ ბევრად ნიადაგი განუწმინდა. მან პრესა აამეტყველა. საგანგებო დაწესებულება გვიგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ იმ წერილებს, რომელნიც საქართველოს ან ჩვენ გვეხებოდნენ. ამ ამონაჭრებმა ორი მოზრდილი უჯრა გაავსეს.“²

ამ დროს ევროპა ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობდა საქართველოს. 1903 წელს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მისწრაფებაზე საზღვარგარეთ პირველი სიტყვა გაზეთმა „საქართველომ“ და მისმა ფრანგულმა დამატებამ „ლა ჟორჟიმ“ თქვა. ძმები კერესელიძეების სასამართლო პროცესი კიდევ ერთი საშუალება აღმოჩნდა ევროპაში საქართველოს საკითხის გაცხოველებისა და ქართველი ერის მხარდასაჭერად დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის. ამდენად, დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია და მის გამო შევიცარიაში გამართული სასამართლო პროცესი საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის საყურადღებო ეპიზოდად უნდა მივიჩნიოთ.

საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი)

მერი გიგუაშვილი, მარი მერებაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოღბორდი**, პროფესორი

„ხელმწიფე, როგორც მზე ჰორიზონტზე გამოჩენისთანავე ანათებს და ათბობს დედამიწას, ასევე თქვენმა უდიდებულესობამ ტახტზე ასვლისთანავე გამოიწვია პატივისცემა და აღტაცება. მისი კეთილმოსურნეობის სხივებმა ანათო იმედის ცეცხლი ყველაზე უფრო შორეული ერების გულშიც კი, ხელმწიფე, განგებამ მოგავლინათ თქვენ ამ ქვეყნად, რათა გაუადვილოთ, დაეხმაროთ და მფარველობა გაუწიოთ კაცობრიობას, ყველაზე უფრო შორეულ ხალხებს იგივე უფლება აქვთ, რაც მათ, რომლებსაც აქვთ ბედნიერება იყვნენ თქვენი მეზობლები, იგრძნონ თქვენი სიდიადისა და თქვენი ძლიერების ზემოქმედება.“

ჩემი ოჯახი 1200 წელია მეფობს ხალხებზე, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ. მე ჯერ კიდევ შემემლო აქ მშვიდობიანად სიამოვნება, რუსეთის ამ ბარბაროსული სახელმწიფოს, სიხარბეს რომ მასში არ გაეღვიძებინა პროექტი ჩემი სიმშვიდის დარღვევისა და გამოეწვია უცხო ომები, რათა უფრო იოლად დაუფლებოდა ჩემს სამფლობელოებს, დამუქრებოდა ჩემს არსებობასაც კი. ეს ომები დიდ სისხლისღვრას მოითხოვენ, მაგრამ ჩვენ უმალ ამ სისხლისღვრას ვარჩევსთ, ვიდრე დავემორჩილოთ რუსეთს.

ვბედავ ვიმედოვნო, რომ თქვენი უდიდებულესობა მიიღებს მხედველობაში ჩემს თხოვნას, არ უკუაგდებს სურვილებს ხალხისას, რომელსაც სურს თქვენი (უდიდებულესობის) მძლავრი მკლავის მფარველობის ქვეშ ყოფნა, ელოდება შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თავისუფლება, მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის წყალობით დააღწიონ თავი მჩაგვრელ ტირანისას.

¹ წერეთელი მ., საქართველო და მსოფლიო ომი, შესავალი წერილი, რედაქცია, შენიშვნები და კომენტარები ოთარ ჯანელიძისა, თბ., 2014, გვ. 78.

² კერესელიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, №1, გვ. 149.

მე ვევედრები თქვენს უდიდებულესობას პატივი დამდოს და პასუხით მანუგეშოს, რომ მან ჩემი თხოვნა შეიწყნარა და ჩემი იმედები განხორციელდება“.

ეს არის ფრაგმენტები იმერეთის მეფის სოლომონ მეორის წერილიდან საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ პირველისადმი (ახალციხე, 1810 წლის 20 ოქტომბერი) და იგი ჩვენში იწვევს არაერთგვაროვან განწყობასა და შეფასებას. ერთდროულად იგი აღძრავს სევდასა და უმწიობის განცდასაც და იმედგაცრუებული ქართველი მონარქის გვერდში დგომის სურვილსაც რაც გამოწვეული იყო ერთმორწმუნე მოძალადე მეზობლის ძალმომრეობით.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქვეყნებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში. ეს ქვეყნები არც საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს იყო დავიწყებული. საფრანგეთის დიპლომატია თვალყურს ადევნებდა იმას, რაც იმ პერიოდში ხდებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთში, კერძოდ, თურქეთსა და ირანში, კავკასიაში (3, გვ. 5).

მკვლევართა ნაწილი საფრანგეთის დაინტერესებას საქართველოთი XVII საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. პ. მარკოვა თავის შრომაში „აჯანყება კახეთში 1812 წელს“, წერს: „საფრანგეთის ინტერესი ამიერკავკასიის მიმართ დიდი ხნის წინათ აღმოცენდა... XVII საუკუნის დასაწყისიდან ამიერკავკასიაში ჩნდებიან საფრანგეთის აგენტები, მაგრამ ვაჭრები კი არა მისიონერები: იტალიელები და ფრანგები გამოგზავნილნი ანრი IV-ის მთავრობის მიერ (ესენი იყვნენ კაპუცინები).“

სინამდვილეში მარკოვას მიერ მითითებულ XVII საუკუნეზე დაახლოებით 500 წლით ადრე (უფრო ზუსტად XII საუკუნით) თარიღდება ქართველებსა და საფრანგეთიდან (ევროპიდან) მოსულ რაინდებს შორის პირველი უშუალო კონტაქტები (2, გვ. 159-160).

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს, აქ მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა. 1784 წელს იმერეთის მეფე სოლომონ პირველი გარდაიცვალა. ერეკლე II-მ მხარი დაუჭირა სოლომონ პირველის ძმისწულის დავით არჩილის ძის კანდიდატურას იმერეთის ტახტზე. დავითი ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო. გამეფებისთანავე დავითმა სოლომონ მეორის სახელი მიიღო (1, გვ. 9).

სოლომონ მეორე ხედავდა, თუ როგორ ეცლებოდა ხელიდან ტახტი. იგი ეძებდა გარეშე ძალებს, რათა მათი დახმარებით შეენარჩუნებინა ძალაუფლება. მისი ყურადღება მიპყრობილი იყო საფრანგეთისაკენ, რომელიც თავის მხრივ რუსეთის საწინააღმდეგო ძალებს ეძებდა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

1802 წლის ივნისში, თურქეთთან ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთმა მიიღო შავ ზღვაში შესვლის უფლება. ამიერიდან კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებთან საფრანგეთის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ საფრანგეთი „კავშირს დაამყარებს ისეთ ცენტრებთან როგორცაა თბილისი, დაიწყებს ვაჭრობას ჩერქეზებთან, საქართველოსთან და მის მეზობელ ქვეყნებთან“ (2, გვ. 15-16).

1802 წლის 25 ივნისს თურქეთ-საფრანგეთის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთის ქვეყნებს. თურქეთთან საქმეების მოგვარებით საფრანგეთს გზა გაეხსნა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. მალე ამ ზღვის სანაპიროების ქალაქ-ნავსადგურებში გაჩნდნენ საფრანგეთის კონსულები და ვიცე-კონსულები, კერძოდ, სინოპში, ტრაპეზუნტში და სხვა. 1807 წელს საფრანგეთის გენერალური კონსული სინოპში ფურკადი გადავიდა სოხუმში, „სადაც იგი რუსებმა გულითადად მიიღეს“ (3, გვ. 111).

ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებასთან ერთად ფრანგი ემისრების რიცხვი გაიზარდა არა მარტო შავი ზღვის აუზის რეგიონში, არამედ საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

ამ ფრანგი ემისრების თავმოყრის ადგილი იყო კონსტანტინოპოლი, სადაც მდებარეობდა საფრანგეთის საელჩო. კონსტანტინოპოლიდან ირანისკენ მიმავალი ფრანგები ხშირად გადიოდნენ თბილისზე. ფრანგების ასეთ ნაბიჯებს თვალყურს ადევნებდა რუსეთი.

ნაპოლეონ I-ის მიზანი იყო ახლო და შუა აღმოსავლეთში შეექმნა საფრანგეთ-თურქეთ-ირანის კავშირი, როგორც რუსეთის, ისე ინგლისის წინააღმდეგ. კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის სებასტიანის სახელზე გაგზავნილ ინსტრუქციაში 1804 წლის 10 ივნისს ნაპოლეონი წერდა: „ჩემი მუდმივი მიზანია სამთა კავშირის შექმნა - ჩემს, პორტასა და სპარსეთს შორის, რომელიც არაპირდაპირ ან ფარულად მიმართული იქნება რუსეთის წინააღმდეგ“.

როგორც ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი კ. ვანდალი მიუთითებდა, ნაპოლეონის განზრახვა იყო საფრანგეთს გარანტია მიეცა თურქეთზე და სპარსეთზე, მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე, რათა ამ გზით ისინი უფრო დაკავშირებინა საფრანგეთისათვის (1, გვ. 87).

ნაპოლეონმა ირანში გაგზავნა თავისი ორი წარმომადგენელი - ა. ჟობერი და ა. რომიე. 1806 წლის აგვისტოში ისინი ირანში არიან. მათ შაჰს გადასცეს ნაპოლეონის სურვილი: ნება დაერთო საფრანგეთის

ჯარებისთვის განლაგებულიყვნენ ირანის სამხრეთ სანაპიროებზე. თუ ფათ-ალი ხანი ამ წინადადებას მიიღებდა, ნაპოლეონი ირანს დახმარებას პირდებოდა საქართველოს დაპყრობასა და იქიდან რუსეთის განდევნაში. მაგრამ შაჰმა ეს წინადადება არ მიიღო. ა. ჟობერი მაღალ შეფასებას აძლევდა ირანის ჯარს, მაგრამ მიუთითებდა, რომ მას აკლდა ქვემეხიანი ნავეები, რომლებიც ირანის შაჰს შეეძლო მიეღო საფრანგეთიდან.

ნაპოლეონის ემისრები არწმუნებდნენ ფათ-ალი ხანს, რომ ნაპოლეონი მალე გაგზავნიდა თავის წარმომადგენელს თბილისში, რომელიც ირანის სასარგებლოდ მოაგვარებდა ზავის საკითხს რუსეთსა და ირანს შორის.

1806 წელს სოხუმში რამდენჯერმე იყო ტრაპიზონში საფრანგეთის ვიცე-კონსულის შვილი ადრიან დიუპრე. იგი ცდილობდა საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცია აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე. დიუპრემ შეადგინა ტრაპიზონსა და სოხუმს შორის მდებარე ნავსადგურების აღწერა. ამბობდნენ, რომ ტრაპიზონის ფაშა ფრანგების მხარეზე იყო.

1807 წლის 20 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი თავის ელჩს კონსტანტინოპოლში სებასტიანს სწერდა: „აფხაზეთის მთავრის კეთილგანწყობის შენარჩუნებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ დიდ დივერსიაში მისი ჩაბმის შესახებ“.

გენერალი რომიესა და ამაღე ჟობერის მისიას ირანში მოჰყვა 1807 წელს გენერალ გარდანის სამხედრო მისია. ამ მისიაში იყო ზემოხსენებული ამაღე ჟობერი, რომელიც კარგად იცნობდა აღმოსავლეთის ქვეყნებს და როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, იცოდა აღმოსავლური ენები, მათ შორის ქართულიც.

გარდანის მისიის ერთ-ერთი მიზანი იყო ირანის არმიის გარდაქმნა ევროპულ ყაიდაზე და რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ მოქმედება.

1807 წლის 4 მაისს ფინკენშტეინში (აღმ. პრუსია) ხელი მოეწერა საფრანგეთ-ირანის ხელშეკრულებას. დადებული შეთანხმებით, ნაპოლეონი ირანის შაჰს ფათ-ალი ხანს აღუთქვამდა აღმოსავლეთ საქართველოს დაბრუნებას და რუსების განდევნას კავკასიიდან. საფრანგეთის იმპერატორი პირდებოდა ირანის შაჰს, რომ რუსეთთან მოსალოდნელი მოლაპარაკების დროს იგი შეეცდებოდა მიეღო რუსეთის თანხმობა, რათა იგი წასულიყო საქართველოდან და დაეთმო საქართველო ირანისათვის, მაგრამ რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებულმა ტილზიტის ზავმა შეაჩერა ამ გეგმების განხორციელებისაკენ მიმართული მოქმედება (3. გვ. 88-89).

1808 წლის ზაფხულში, თეოდოსიაში ნეაპოლის სამეფოს კონსულ ფელიქს ლაგორიის ინიციატივით საქართველოში გაიგზავნა ექსპედიცია, რომელმაც აღწერა იმერეთსა და სამეგრელოში განლაგებული რუსეთის ძალები.

ფინკენშტეინის ხელშეკრულების 2-4 მუხლებში შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული ტერიტორიული საკითხები, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც ირანს შეეხებოდა, ეწერა: „საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფეს გარანტიას აძლევს სპარსეთის ახლანდელი ტერიტორიის განუყოფლობაზე“.

„საფრანგეთის იმპერატორი, იტალიის მეფე საქართველოს ცნობს სპარსეთის იმპერატორის კანონიერ საკუთრებად. იგი ვალდებულია კისრულობს გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა საზავო ხელშეკრულებით მიაღწიოს ინტერვენციაზე უარის თქმას“.

ირანის შაჰმა საქართველოს მიმართ თავის მიზანს ვერ მიაღწია, ხოლო ნაპოლეონმა კი თავის თავზე ასე იოლად აღებული ვალდებულება ვერ შეასრულა.

შემდგომში ნაპოლეონი ირანის შაჰისადმი მიწერილ წერილებში არაერთხელ შეეხო საქართველოს, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. ერთ-ერთ წერილში ნაპოლეონი ირანი შაჰს სწერდა: „შენს მხრიდან შენც დაჟინებით შეუტეე მტერს... წაართვი მათ და წაიღე უკანვე საქართველო და ყველა პროვინცია, რომელიც შენს იმპერიაში შედიოდა; ასევე დაკეტე მათთვის ყველა ნავსადგური და შემოსასვლელი, რომლებსაც ისინი დიდი ხანია იცავდნენ“.

1907 წლის 20 იანვარს ტალეირანი უგზავნის დეპეშას თავის ელჩს კონსტანტინოპოლში სებასტიანს, სადაც ლაპარაკია „სპარსეთისა და პორტას საერთო დივერსიის აუცილებლობაზე“ რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე, საქართველოსა და ყირიმზე თავდასხმაზე; ირანის ჯარების გაგზავნაზე საქართველოს დასაპყრობად.

ტალეირანი სახელმძღვანელო მითითებას აძლევდა ელჩ სებასტიანს: „აუცილებელია ასევე სპარსეთის შეგულიანება და მისი ძალების გაგზავნა საქართველოსკენ... მხარი დაუჭირეთ აფხაზეთის მთავრის კეთილგანწყობას, განაწყვეთ იგი ისე, რომ მონაწილეობა მიიღოს საერთო მტრის წინააღმდეგ დიდ დივერსიაში. დე ამ მთავარმა, არზრუმის ფაშამ, სპარსეთმა და პორტამ შეუტიონ ერთდროულად საქართველოს, ყირიმს და ბესარაბიას“.

როგორც ტალიერნის ამ დეპუტის შინაარსიდან ჩანს, ნპოლეონის მიზანი იყო რუსეთისათვის კავკასია გაეხადა ბრძოლის არენად, აქ დაეკავებინა რუსეთის ძალები, ხოლო ამ საქმისთვის გამოეყენებინა ირანისა და თურქეთის ძალები.

იმავე ირანისა და თურქეთის ძალების გამოყენებაზე ფიქრობდა ნპოლეონი ახლო და შუა აღმოსავლეთში ინგლისის წინააღმდეგ.

ფინკენშტეინის ხელშეკრულების მე-8 მუხლში ნათქვამი იყო, რომ სპარსეთი იღებდა ვალდებულებას - შეეწყვიტა ყოველგვარი პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა ომი მისთვის და ემოქმედა აქტიურად ყველგან ინგლისის წინააღმდეგ, სადაც ხელი მიუწვდებოდა ირანს.

1807 წლის 12 აპრილს ნპოლეონის სპეციალური დეკრეტით, ირანში გაიგზავნა საფრანგეთის მისია გენერალ დე გარდენის მეთაურობით.

ამ მისიის ერთ-ერთი მიზანი იყო ირანის არმიის გარდაქმნა და მისი გამოყენება რუსეთის და ინგლისის წინააღმდეგ. გენერალ გარდენს უნდა შეეგულიანებინა ირანის ხელისუფლება, რათა მოეწყო დივერსიები რუსეთის საზღვრებზე, „ესარგებლათ რუსეთის არმიის შესუსტებით კავკასიაში მისი ერთი ნაწილის ევროპაში გაგზავნის გამო...“ საქმე ისე იყო წარმოდგენილი, რომ თითქოს საქართველოს რუსეთის მმართველობა არ უნდოდა და სურდა ირანის ბატონობის დაბრუნება. მაგრამ მთავარი მიზანი აქ ის იყო, რომ საფრანგეთს უნდოდა რუსეთი არ დარჩენილიყო კავკასიაში.

ირანმა უნდა განიხილოს რუსები, როგორც მისი ბუნებრივი მტრები, მათ ირანს წაართვეს საქართველო, ისინი ემუქრებიან მის ყველაზე უკეთეს პროვინციებს, მათ ჯერ კიდევ არ ცნეს ირანში დღეს არსებული დინასტია, უფრო მეტიც, რაც მმართველობაში ეს დინასტია მოვიდა, სულ საომარ მდგომარეობაში არიან მასთან და ა. შ. აი, როგორ უნდა განეწყოს გენერალ გარდენის მისიას ირანის მმართველობა რუსეთისადმი.

გენერალ გარდენის მისია კონსტანტინოპოლში ჩავიდა 1807 წლის აგვისტოში, ხოლო სექტემბერში იგი უკვე თეირანში იყო. იგი დიდი პატივით მიიღო ირანის შაჰმა, რომელმაც დაამტკიცა ფინკენშტეინის ხელშეკრულება, ხელი მოაწერა ირან-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულებას, ისინი სწავლობდნენ ნპოლეონის ინდოეთში მომავალი ლაშქრობის გზებსა და საშუალებებს. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. აქტიურად მოქმედებდნენ გენერალ გარდენის მისიის წევრები. ისინი სწავლობდნენ არა მარტო ირანს, არამედ ირანის მეზობელ ქვეყნებსაც. გენერალ გარდენის მისიის ერთ-ერთი წევრი – კამილტრეზელი, გენერალი გარდენის დავალებით გაემგზავრა საქართველოში. აღწერა მისი მთავარი გზები, ქალაქები და მნიშვნელოვანი ადგილები, მაგრამ 1808 წლის ზაფხულისათვის მდგომარეობა შეიცვალა. ირანის შაჰი თანდათანობით იმედგაცრუებული ხდებოდა ნპოლეონის პოლიტიკით. ნპოლეონი არავითარ ზომებს არ მიმართავდა რუსეთის მიმართ საქართველოსთან დაკავშირებით.

1807 წლის 7 ივლისს ტილზიტში ხელი მოაწერეს რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებას. ამით შეწყუბუღებულმა შაჰმა წერილით მიმართა ნპოლეონს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შეცვლის შესაბამისად, უნდა შეცვლილიყო საფრანგეთის გეგმები ირანში რუსეთის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში გენერალი გარდენიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთ-ერთ წერილში იგი ტალიერანს სწერდა, რომ შაჰისათვის მთავარია რუსეთის წასვლა ამიერკავკასიიდან.

1808 წლის 28 აგვისტოს გენერალ გარდენი პარიზს ატყობინებდა, რომ შაჰი ძალიან შეწუხებული იყო ნპოლეონის დუმილით და კერძოდ იმით, რომ მან დღემდე ვერ მიიღო ნპოლეონის გადამწყვეტი სიტყვა „რუსების მიერ საქართველოს განთავისუფლების შესახებ“.

იმავე წლის 23 ოქტომბერს გენერალ გარდენთან საუბარში შაჰმა განაცხადა, რომ ნპოლეონმა დაივიწყა ირანი. ამასობაში ინგლისელები აქტიურად მოქმედებდნენ ირანის მიმართ. გენერალი გარდენი ცდილობდა არ დაეშვა ინგლისელების შემოსვლა ირანში, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ინგლისელები მივიდნენ თეირანში, გენერალ გარდენმა დატოვა ირანი, ასე უშედეგოდ დამთავრდა გენერალ გარდენის მისია. ირანის შაჰმა ვერ მიიღო ნპოლეონის დაპირებული საქართველო (1, გვ. 90-93).

ამდენად, ნპოლეონის პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსთან, ვფიქრობთ, უნდა განვიხილოთ მისი ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის კონტექსტში, რომლებიც რა თქმა უნდა, როგორც რუსეთის დაუძინებელი მტრები, მოკავშირეებად სჭირდებოდა საფრანგეთს, თუმცა ქართველ პოლიტიკოსებს ალბათ სხვა გზა ევროპული არჩევანისა არ ჰქონდათ. ამავე დროს საფრანგეთის მისიის მონაწილე პირების აღწერილობა საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს რეალობის შესასწავლად.

ლიტერატურა:

1. არდაშელია ო., საქართველო და ევროპის ქვეყნები, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1991.

2. ეგრემიძე მ., საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის საწყისებთან, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიკური შრომები, X, თბ., 1965.
3. ტაბაღაძე ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურული - XIX ს. დასაწყისი), გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1974.
4. <http://200years.freeuni.edu.ge/index.php/2012-05-04-10-19-40/2012-05-07-15-55-57/107-ii-1810-20>.

შიდა ქართლის სიძველეების ისტორიიდან (სოფელი სამწევრისი)

სოფიკო დოლიაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: მამუკა ჯოღბორდი, პროფესორი

სოფელი სამწევრისი მდებარეობს ქარელიდან 4-5 კილომეტრში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 640 მეტრზე. იგი ძამის ხეობას მიეკუთვნება.

თანამედროვე სოფლის ძველი დასახლება განფენილია სოფლის სამხრეთით ერთ კილომეტრზე, მთის კალთაზე და განვითარებულ ფეოდალურ ხანას განეკუთვნება. აქ აღმოჩენილია ცისფრად მოჭიქული, წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, დიდი ზომის ქვევრის ნამტვრევები, წყალსადენის თიხის მილები და სხვ. [5: 389] აქვე ფიქსირდება რიყის ქვით ნაგები შენობის საძირკვლები.

ზოგიერთი მკვლევარი სოფლის სახელწოდებას უკავშირებს „სამ წევრს“. აღნიშნული ცნობის თანახმად აქ სახლებულა სამი კომლი (სამი წევრი) და ამის გამო ეწოდა სამწევრისი. [7: 7]

სოფელი სამწევრისი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV საუკუნეში. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, როდესაც ქართლში შემოიჭრა თემურ ლენგი „გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს. და ოდეს ესმა მოსვლა თფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით“. რადგან გიორგი VII (1393-1407 წწ.) სამწევრისში გამაგრდა, საფიქრებელია, რომ აქ უკვე არსებობდა ციხე.

როგორც ცნობილია XIV საუკუნის II ნახევარში ტაო-შავშეთიდან შიდა ქართლში გადმოვიდნენ ფანასკერტელთა ფეოდალური სახლის წევრები, რომლებიც XV საუკუნეში საბოლოოდ დამკვიდრდნენ ძამის ხეობაში და საფუძველი ჩაუყარეს ახალ სათავადოს. [13: 189-190]

საციციანოს თავდაპირველ ბირთვს შეადგენდა ორბოძლელისეული მამული (ხვედურეთი, კეხიჯვარი). დავით ულუს (1247-1270 წწ) ორბოძლელისთვის მიუცია სვეტიცხოვლის მამულები, შემდეგ კი 1355 წელს ხსენებული მამულები დავით IX-ს ორბოძლელისთვის გამოურთმევა და კვლავ მცხეთისთვის დაუბრუნებია. 1392 წლისთვის ეს მამულები და სამწევრისიც მცხეთას უჭირავს. [11: 121] შემდეგში ციციშვილებმა მიიღეს უფლისციხე, ქვახვრელი, კარალეთი. ისინი ხშირად ფლობდნენ მეოთხე სადროშოს სარდლის თანამდებობას, რომელიც სამფლობელოების გასაფართოებლად გამოიყენეს. მათი რეზიდენცია იყო: სამწევრისში, მძოვრეთში, ნიჩბისში, ხოლო საგვარეულო სამკვალე-სამარხი: ყინწვისში, სამწევრისში, ხვედურეთსა და ნიჩბისში.

სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით დღესაც არის მერაბ ციციშვილის სამკვალე და მიეკუთვნება XVI საუკუნის II ნახევარს. [8: 290] ნაგებია კვადრატული აგურით, ნახმარია რიყის ქვაც. რელიეფური შორენკეცებით შემკულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები. მათი მორთულობა ორგვარია: ორნამენტული და სიუჟეტური. სიუჟეტური შორენკეცებით შემკულ საკურთხეველზე გამოსახულია წმინდანთა ფიგურები.

თავიანთი სამეფოს გამაგრების მიზნით, ციციშვილებს უზრუნიათ, რომ ძამის ხეობის სტრატეგიულ ადგილებზე ციხე-კოშკები აეგოთ. იქ, სადაც ძამა მტკვარს უერთდება სამწევრისში, ციციშვილებს აუგიათ დიდი ციხე, რომელიც მტკვრის ხეობას გადასცქერის. მას უჭირავს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაგისტრალი. იგი იცავდა გორის ციხეს სამხრეთ-დასავლეთით და კეტავდა ძამისა და მტკვრის ხეობებს სამწევრისთან.

სამწევრისის ციხე-დარბაზი თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი. აქ ძირითადად 5 ფენის გამოიკვეთა ხერხდება. [8: 390-391] თავდაპირველად აქ დიდი ზომის კოშკი მდგარა, შემდეგ აღმოსავლეთით საშუალო ზომის ეკლესია აუგიათ. მესამე ფენა შეიცავს კოშკის ირგვლივ წარმოქმნილ გალავანს, მეოთხე სამშენებლო ფენამ უფრო ხანგრძლივად გაუძლო დროს და გადარჩენილი კედლების უმრავლესობა ამ დროისაა. მეხუთე პერიოდს შეიძლება მიეკუთვნოს ქვედა გალავანი.

კომპლექსის პირველ ნაგებობას, ორიგინალური ფორმის კოშკს, ანალოგი არ გააჩნია, იგი მასიურია, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ხუთ სართულიანი. მისი გეგმა შიგნიდან კვადრატს უახლოვდება, გარედან კი კუთხეები შესამჩნევადაა მომრგვალებული. პირველი სართულის ქვემოთ მოთავსებულია ბნელი სარდაფი, მეორე სართულის სიმაღლე ხუთ მეტრს აღემატება, რაც იშვიათი შემთხვევაა. სქელი კედლების ღრმა ნიშებში მოთავსებულია საბრძოლო ხვრელობები. კოშკი ადრე ფეოდალური ხანით თარიღდება.

სასახლე კედლის ფრაგმენტების მიხედვით სამ სართულიანი იყო. მოცულობის გამო მას ანალოგი არ მოეპოვება (სიღრმე - 2,1 მ; სიგრძე - 1,5 მ; სიმაღლე - 4,2 მ). პირველი სართულის დონეზე კონტრაფორსში ნახევრად მომრგვალებული ნიშია.

XV-XVI საუკუნეების გალავანი ნაგებია ნატეხი ქვით. კედლების სიმაღლე დაახლოებით 5 მეტრი უნდა ყოფილიყო.

ანსამბლში მდგარი ეკლესია მოგვიანებითაა აგებული საკმაოდ დიდ გალავანთან ერთად. ვახუშტი საციციანოს აღწერისას მოიხსენიებს სამწევრისის ციხეს და აღნიშნავს, რომ შიგ არის ეკლესია „კეთილშენი“. შემდგომში ჭიშკრის გვერდით აუგიათ საცხოვრებელი თუ სამეურნეო ხასიათის ნაგებობა, იქვე იყო მარანიც. დღეის მდგომარეობით ციხის გალავანი და მასში მოქმედი ეკლესია მთლიანად აღდგენილია.

სამწევრისის ციციშვილების ეს ციხე ტიპიურია, მისი ციხე-გალავანი კი მთელი ხეობის მოსახლეობას დაიტევდა. იგი გამოჩნული იყო ხანგრძლივი გარემოცვისთვის, რასაც მოწმობენ საცხოვრებელი ოთახები, დიდი ხარობები და კარის ეკლესიის არსებობა.

საციციანოში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა მძოვრეთი, რომელსაც ვახუშტი „მცირე ქალაქს“ უწოდებს. [10: 344] ასეთივე დასახლებები იყო სამწევრისი და ქარელი.

საციციანომ, როგორც სათავადომ იარსება XIX საუკუნის 40-იან წლებამდე.

1723 წელს ქართლში ოსმალთა დაპყრობის შემდეგ სამწევრისსაც, ხოლო როდესაც ქართლში მეფობა მოსპეს და იგი სამმართველოებად დაჰყვეს, ერთ-ერთ სამმართველოში, რომელსაც ეწოდა ე.წ. „გადამხარი“ შევიდა მდ. მტკვრის მარჯვენა მხარე მცხეთიდან ტაშისკარამდე, მას ბაგრატ ციციშვილი განაგებდა.

მტრის მუდმივი თარეში, ციციშვილებს შორის ძმათა სისხლისღვრა, ურთიერთყმების რბევა-აწიოკება მოსახლეობას კატასტროფულად ამცირებდა. დ. გვრიტიშვილის ცნობით, საციციანოში ოთხი წლის განმავლობაში „არც ხენა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალენილა და არც მამალს უყვილია“. ეს რა თქმა უნდა, პირდაპირ აისახებოდა სოფლის განვითარებაზე.

XVIII საუკუნისთვის საციციანოში 70-მდე სოფელი შედიოდა და სულ 406 კომლი მოითვლებოდა, აქედან სოფელ სამწევრისში მხოლოდ 5 კომლი ცხოვრობდა. [4: 128] ძამის ხეობის მოსახლეობის შემცირების მთავარი მიზეზი დაღესტნელი ფეოდალების ყაჩაღთა რაზმები ე.წ. „ლეკიანობა“ იყო, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო XVII-XVIII საუკუნეებში. აზრს ეყვება მედგარ ბრძოლას უწევდნენ ძამის, მძორეთისა და სამწევრისის ციხეები, სადაც მოსახლეობა თავს აფარებდა და იქიდან ებრძოდა მტერს.

1755 წელს ლეკები „სოფლებს გარდა დაეცნენ ციხეებს: სამწევრისს, კუმისს, ნიჩბისს, ზოგი აიკლეს ზოგან დამარცხდნენ... შეიკრა გზები მტერთაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს“. [1: 103] 1801 წლის 23 აგვისტოს ლაზარევი კნორინგს მოახსენებდა, „...პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი მაცნობებს... 26 ივნისს ლეკების 200 კაციანი რაზმი თავს დაესხა სოფელ სამწევრისს და ცდილობდა საქონლის გარეკვას, მაგრამ სიმონოვიჩის რაზმის დანახვაზე ისევ მთებში შებრუნებულან“. [1: 162]

XIX საუკუნის დასაწყისში სოფ. სამწევრისში დასახლებულან ოსური ოჯახები. როგორც რ. თოფჩიშვილი მიუთითებს, 1804-1814 წლებში პატარა ლიახვის მთიანეთიდან მიგრირებულ 310 კომლ ოსს, შიდა ქართლის ბარში კომპაქტური ოსური დასახლება არ შეუქმნიათ. ისინი ძირითადად განსახლდნენ შემდეგ სოფლებში: მეჯვრისხევი, ხელთუბანი, ქიწნისი, კარალეთი, სამწევრისი, ტყვიავი, დიცი, კარბი და სხვ.

1830 წელს სოფ. სამწევრისში 4 ოსური ოჯახი ცხოვრობდა, რომლებიც უკვე 20 წლის მოსულები იყვნენ, ანუ აქ 1810 წელს ჩამოსახლებულან. [6: 178] შესაძლოა, მათთან ერთად სხვებიც იყვნენ და შემდეგ საცხოვრებელი შეიცვალეს.

სოფლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავობას წარმოადგენს ტაძარი, რომელიც დგას სოფლის თავზე მაღალ გორაზე. სამწევრისის წმ. გიორგის ტაძარი თავისი მხატვრული ღირსებებით, შესრულების ტექნიკური დონით იმ ეპოქის საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება. [2: 76.] აგებულია VII საუკუნის პირველ მესამედში. ეკლესია პატარაა, მაგრამ ადგილის კარგი შერჩევის წყალობით შესანიშნავად ჩანს დიდი მანძილიდან. გეგმით წარმოადგენს მარტივ ჯვარს, რომლის სამი მკლავი სწორკუთხოვანია, საკურთხეველისა კი აფსიდით მთავრდება. ცენტრალური კვადრატი გვირგვინდება გუმბათით, რომლის ყელის რვაკუთხედზე გადასვლა განხორციელებულია მაღლად აზიდული კონუსური ტრომპებით. შიდა სივრცე კარგადაა განათებული და შემოსილია სუფთა თლილი ქვის კვადრატებით. ფასადები ხასიათდებიან უნაკლო წყობითა და დახვეწილი ფორმებით. დეკორატიული მორთულობა თავშეკავებულია, მხოლოდ თაღებია ხაზგასმული ხვეული თავსართებით. [12: 63-64] აღმოსავლეთ სარკმლის სათაური უბრალო ლილვია, მაგრამ მას არა მარტო აკეცილი, არამედ „აფრიალებული“ ბოლოები აქვს, ასეთსავე სათაურებს ვხვდებით მცხეთის ჯვარშიც. გ. ჩუბინაშვილის აზრით, „როგორც ჩანს ეს ერთგვარი სტილიზაცია სალოცავისათვის მისართმევ უმთავრეს შესაწირავს წარმოადგენდა“. [2: 48] კედლები და გუმბათის ყელი ბოლოვდება თაღიანი ლავრარდნით. ეკლესია გადახურული იყო კრამიტით. თავდაპირველ კრამიტთან ერთად გვხვდება XV-XVI საუკუნის და XIX საუკუნის კრამიტიც.

სამწევრისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე ამოკვეთილია X საუკუნის ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს სამწევრისის წინამძღვრის - დომნიონოსისა და გიორგი თუალისძის მიერ არხის გაყვანაზე:

„ქ. ზედა წელსა კს კონსტანტინე მეფისასა ესე რუვი მე
მამასახლისმან და გიორგი თუალის ძემან მოვიღეთ რუვი ესე
ჯუარად და არავინ არს სხუაი. რუვსა ამას გარნა
პატიოსანი ჯუარი და გიორგი ვინ ესე აღმოიკითხოს მე
დომნოს მონაი ჯვარია,
იგი ქრისტემან შეიწყალენ ამენ იყა (ვან)“ [7: 19]

ამ წარწერაში მოხსენიებულია აფხაზთა მეფე კონსტანტინე, რომელიც მეფობდა მე-10 საუკუნის დასაწყისში.

მეორე წარწერა მოთავსებულია სამწევრისის სამხრეთის ფასადზე ჩადგმულ ფილაზე. ეს წარწერა არის მისი განმახლებლის - მერაბ ფანასკერტელისა, შესრულებულია გვიანი ასომთავრულით:

„მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს
შეუნდვეს ღმერთმან ზედამდეგს ცოდვილს
საბას შეუნდვეს ღმერთმან“.

ეს მერაბი ზაზა ფანასკერტელის შვილია, იგი XVI საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. წარწერაში მოხსენიებული ზედამდეგი საბა ეკლესიის განახლებას ხელმძღვანელობდა. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ამ ადგილის მფლობელებს - ფანასკერტელ-ციციშვილებს ეკლესია შეუკეთებიათ და უკურთხებიათ წმ. გიორგის სახელობაზე, თავდაპირველად კი წმინდა ჯვარი ეწოდებოდა.

მოგვიანებით ეკლესიისთვის სამხრეთით მიუშენებიათ კარიბჭე, რომელიც 1925 წელს სოფლის მოსახლეობას დაუნგრევია.

1940 წლის 8 მაისის მიწისძვრამ ეკლესია სანახევროდ დაანგრია, თუმცა მთლიანად აღდგენილ იქნა პირვანდელი სახით 1951-1952 წლებში არქიტექტორ ლევან ხიმშიაშვილის პროექტით. ეს ტაძარი დღესაც მოქმედია.

ლიტერატურა:

1. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), ლევიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.
2. ბერიძე ვახტანგ, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I, თბ., 2014.
3. ბერიძე ვახტანგ, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. II, თბ., 2014.
4. გვრიტიშვილი დავით, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995.
5. ზაქარაია პარმენ, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.
6. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

7. მაკალათია სერგი, ძამის ხეობა, თბ., 1961.
8. საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.
9. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
10. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985.
12. ციციშვილი ირაკლი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1995.
13. ხარაძე კობა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბ., 2003.

ერთი ეპიზოდი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან

ნანა კასრაძე, ეთერ პავლიაშვილი
 ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
 სწავლების მესამე წლის სტუდენტები
 ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოღობორდი, პროფესორი**

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მის შესწავლას მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. ჩვენი ნაშრომი ეხება ამ ურთიერთობის ვიქტორიულ, ერთ-ერთ საინტერესო ასპექტს - მძევლის საკითხს, რომელიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში პირველად მე-16 საუკუნის 90-იან წლებში დადგა, როცა მოსკოვმა შაჰ თამაზ პირველის მიერ 1575/76 წელს ირანში მძევლად წაყვანილი ალექსანდრე მეორე კახთა მეფის ვაჟის კონსტანტინეს მოსკოვში წაყვანა მოინდომა. რუსეთის ეს ნაბიჯი რა მიზნებს ემსახურებოდა და როგორ განვითარდა მოვლენები, ეს სხვა ნაშრომის თემაა, მაგრამ როდესაც საქართველოდან მძევლის წაყვანის და სამეფო კარზე ზემოქმედების ამგვარი საშუალების მოპოვების მცდელობამ არ გაამართლა, მოსკოვმა ტაქტიკა შეცვალა.

1604 წლის მაისში რუსეთის ხელმწიფემ ბორის გოდუნოვმა საგანგებო მისია მიანდო საქართველოში ელჩებად მივლინებულ ტატიშჩევს და ივანოვს. რუს ელჩებს კახეთსა და ქართლში უნდა ამოერჩიათ ბატონიშვილები (ქალ-ვაჟი) საქართველოს სამეფო გვარიდან.¹

ის იყო შვილიშვილი სიმონ მეფისა, ასული გიორგი მეათისა, რომელიც შემდგომში შაჰ აბასის ცოლი გახდა. ამ ქალს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ ქართული წყაროები. ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი უწოდებენ თინათინს. ანტონ კათალიკოსი და იოანე ბატონიშვილი ელენეს (ამავე სახელით მოიხსენიებენ რუსი ელჩები). ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, ქართლის მეფე გიორგის ორი ქალი ჰყავდა. უფროსი, სახელად ლელა ცოლად შეირთო შაჰ აბასმა, უმცროსი სახელად ხორეშან – თეიმურაზ მეფემ. ეტყობა „ელენე“ იყო ნათლობის სახელი მეფის ასულისა. ისე თინათინი ერქვა და მოფერებით ლელას ეძახდნენ. ვახუშტი და ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავენ შაჰ აბასის დაქორწინებას თინათინზე მისი ძმის ლუარსაბის გამეფებისთანავე. სამი სახელის პატრონს კიდევ ერთი სახელი შეარქვეს ისპაანში: ფათმა სულთან ბეგუმი. ალბათ, ასე „მონათლა“ იგი თვით შაჰ აბასმა.²

დაახლოებით თხუთმეტი წელი გაატარა ქართველმა ბატონიშვილმა სეფიანი ხელმწიფის ჰარამხანაში. ლუარსაბის მოკვლის შემდეგ შაჰ აბასმა ისიც მოიშორა და ცოლად გაატანა კახეთის გამგებელს ფეიქარ ხანს. ირანის შაჰის მეუღლე გადაიქცა კახეთის დედოფლად. 1624 წელს მოსკოვში საქართველოს ელჩად ჩასული ბერძენი ეპისკოპოსის ცნობით, ფეიქარ ხანის ცოლი იყო ელენე, ასული ქართლის მეფის გიორგისა, როგორც შაჰ აბასის ცოლყოფილი სარგებლობდა დიდი გავლენით და მფარველობდა ქრისტიანულ სარწმუნოებას.³

ლელა ბატონიშვილს ცოლად შეგრთავო, ასე ჰპირდებოდა გიორგი სააკაძე პატივმოყვარეობით შეპყრობილ ზურაბ არაგვის ერისთავს. სწორედამ რომ სასურველი იყო ზურაბისთვის სამეფო გვარის ქალზე დაქორწინება, მაგრამ ფეიქარ ხანმა თავისი ჯალაბითურთ დროულად გაასწრო აჯანყებულ ქართველებს კახეთიდან და მშრალზე დატოვა ბაგრატიონთა სიძობის პრეტენდენტი.⁴ ლალი ძოწენიძემ

¹ მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, მეორე ტომი, 2011, გვ. 418-421.

² სანიკიძე ლ., მუჭა მუჭად გატანილი საქართველო <http://www.bu.org.ge/x2235?lang=geo>

³ ნატროშვილი თ., მაშრიყით მალრიბამდე, 1978, გვ. 144.

⁴ ფურცელაძე ა. ბრძოლა საქართველოს მოსასპობად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1892, გვ.103.

მიაკვლია ვინმე ელენე ხანუმის სამიჯნურო ეპისტოლეებს და მათი ანალიზის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ეპისტოლეების ავტორი ელენე ხანუმი იყო ლუარსაბის და ელენე-ლელა, რომელიც ირანიდან სამიჯნურო ბარათებს უგზავნის ზურაბ ერისთავს.¹

ლელა ბატონიშვილის შემდგომი თავგადასავალი ბნელით არის მოცული. ალბათ ფეიქარ ხანის ჰარამხანაში დაასრულა თავისი სიცოცხლე. ვინ იცის როგორ შეტრიალდებოდა მისი ბედი, ზოგიერთი მოვლენა ისტორიისა სხვაგვარად რომ წარმართულიყო. შესაძლოა, ქართლის მეფის ასული ისპანს კი არ გაესტუმრებინათ, არამედ მოსკოვს. შესაძლოა იგი გამხდარიყო არა ერთ-ერთი ცოლთაგანი შაჰ აბასისა, არამედ ერთადერთი მეუღლე ბორის გოდუნოვის ვაჟიშვილისა, ხოლო შემდგომში დედოფალი რუსეთისა. ბორის გოდუნოვის მიერ ჩაფიქრებული საქორწინო პროექტი შემთხვევითი არ ყოფილა და პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული. დიდგვაროვანი გოდუნოვის მეფობა იმ დროს როდესაც არსებობდნენ რიურისკთა დინასტიის უშუალო წარმომადგენლები, იწვევდა გაუთავებელ მითქმა-მითქმას და შურს. ბორის გოდუნოვის წარუმატებელი მეფობის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არც ბოიარებმა და არც ხალხმა არ მიიღო ღვთისაგან ბოძებულ მეფედ. ბორის გოდუნოვი არც უყვარდათ და არც ეშინოდათ მისი, მას ითმენდნენ როგორც გაქნილ მედროვეს, რომელმაც ტახტი უსამართლოდ მიიტაცა. მოპოვებული წარმატებისათვის მის მიმართ მაღლიერებით არ იმსჯელებოდნენ, ხოლო წარუმატებლობას არ პატივდნენ.²

გოდუნოვისთვის ჰაერივით აუცილებელი შეიქნა რომელიმე საყოველთაოდ ცნობილ სამეფო გვართან დამოყვრება, რათა მეფური სისხლი შერეოდა მის შთამომავლობას. მე-16 საუკუნის დამლევს ჩაიშალა იტალიაში გადახვეწილი შვედი უფლისწულის – გუსტავის ჩამოსიძების ცდა, ვინაიდან მან გადაჭრით იუარა ბერძნული წესის მართლმადიდებლობის მიღება. ბორის გოდუნოვის მოთხოვნა საქმროს მიერ რჯულის შეცვლაზე საგრძნობლად ავიწროებდა კანდიდატა წრეს. 1602 წელს რუსეთში ჩამოიყვანეს დანიის მეფის ძმა, სახელად იოანე. მას საზღვარზე შეეგება რუსეთის უპირველესი დიდებული მიხეილ სალტიკოვი, რომელიც საკმაოდ დაუახლოვდა დანიელ უფლისწულს. სალტიკოვი სწერდა ხელმწიფეს: „როდესაც ვეახლებით ხოლმე უფლისწულს იგი უზომოდ გვწყალობს. მაშინვე ფეხზე წამოდგება და ქუდმოხდილი გვესალმება. ვუთხარით კიდევ დანიელ ელჩებს რომ უფლისწული მოგვეპყრას ისე, როგორც ჩვენ შეგვეფერება. ელჩებმა გვიპასუხეს უფლისწული ჯერ ახალგაზრდაა და გამოუცდელი, არ იცის მოსკოვური ადათ-წესები, დამკვიდრდება მოსკოვში, თქვენებურ ქუდს დაიხურავს და თქვენებურად მოიქცევაო“. დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს მოსკოვში უფლისწული. ძალზე ალერსიანად შეხვდნენ მას თვით ბორის გოდუნოვი და ტახტის მემკვიდრე თეოდორე ბორისის ძე. საქორწინო სამზადისი უკვე გაჩაღებული იყო, როდესაც სასიძოს მოულოდნელად შეეყარა ცხელება, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა ოცი წლის ახალგაზრდას. როგორც გადმოგვცემენ ისტორიკოსები, ბორის გოდუნოვი ძალზე განიცდიდა უცხოელი უფლისწულის სიკვდილს, მაგრამ ვრცელდებოდა ხმები, დანიელი უფლისწული თვით ბორისის ბრძანებით მოწამლესო. ვითომდა ხელმწიფე შიშობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თეოდორეს ნაცვლად სამეფო ტახტზე არ დაესვათ დანიელი უფლისწული, რომელსაც მოკლე ხანში მასპინძელთა სიყვარული მოეხვეჭა.

არ იშურებენ ქებას აგრეთვე თეოდორე ბორისის ძის მისამართით. თუმცა ის სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავისი ჭკუა-გონებითა და განსწავლულობით მრავალ მხცოვანს აღემატებოდა. სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს მოსკოვის სახელმწიფოს რუკა, შედგენილი თეოდორეს ხელით. 1604 წელს დაიწყო მოლაპარაკება გერმანელ ჰერცოგთან, მერე ნიადაგი მოსინჯეს ავსტრიასა და ინგლისში, შემდეგ ერთმორწმუნე საქართველოსაც მიაპყრეს თვალი. მოსკოვში იმყოფებოდა ალექსანდრე კახთა მეფის ელჩი ბერი კირილე. სწორედ მისგან შეიტყო ბორის გოდუნოვმა, რომ ალექსანდრეს ჰყავდა ორი შვილი: 17 წლის თეიმურაზი და 14 წლის ელენე, ხოლო გიორგი ქართლის მეფეს ათიოდე წლის ასული. კირილეს სიტყვით, ქართლ-კახეთსა და იმერეთში იყვნენ სხვა ბატონიშვილებიც, რომელთაგან დიდ ხელმწიფეს შეეძლო შეერჩია შესაფერისი სასიძო და სარძლო.³

ტატიშჩევმა და ივანოვმა ალექსანდრე ბატონიშვილს აცნობეს, რომ რუსეთის ჯარი ბუტურლინის სარდლობით უკვე ემზადებოდა საშამხლოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. გიორგი ბატონიშვილისაგან კი რუსეთის მეფის ერთგულების ფიცის მიღებას ითხოვდნენ. ამავე დროს შაჰის ელჩი მაჰმად-ბეგი უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში კახეთში იმყოფებოდა და თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი დის,

¹ მოწინიძე ლ., ელენე ხანუმის ვინაობისათვის კრებული, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, 1976, გვ. 234-246, ციტირებულია: მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, მეორე ტომი, 2011.

² ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 74.

³ ნატროშვილი თ., მაშრიყით მალრიბამდე, 1978, გვ. 145-149.

ელენეს ირანში წაყვანას ცდილობდა. კახელ ფეოდალთა ერთი ნაწილიც ალექსანდრეს რუსული ორიენტაციის წინააღმდეგი იყო და შაჰ აბასთან დაახლოებას მოითხოვდა. ალექსანდრე მეფე კრაგად გრძნობდა სიტუაციის სირთულეს და გამოსავალს ეძებდა. ალექსანდრე მეფემ შემოუთვალა გიორგი ბატონიშვილს „ჩემი შვილიშვილები გამოგზავნე შაჰთან, თორემ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ მომცემსო“. კახეთის მეფის მოთხოვნა შესრულებულ იქნა. მისი დასტურით გიორგი ბატონიშვილმა თეიმურაზი და მისი და ელენე ირანში გაგზავნა. ელენე ცოლად შეირთო შაჰმა.¹

1605 წელს კი მოსკოველი ელჩების თვალწინ გათამაშდა საშინელი ტრაგედია: კონსტანტინე მირზას მიერ მამისა და ძმის მკვლელობა. ბოლოს და ბოლოს ელჩები მიხვდნენ, რომ კახეთში ყოფნას აზრი არ ჰქონდა და ქართლისკენ აიღეს გეზი. აპრილის დამლევს ავიდნენ მეჯვრისხევში, სადაც დაბანაკებული იყო ქართლის მეფე გიორგი, ტატიშჩევსა და ივანოვს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.²

მათ ქართლის მეფეს გადასცეს ბორის გოდუნოვის წერილი. დიდი რუსეთის ხელმწიფეს დამოყვრება სურდა ბაგრატიონთა დინასტიასთან. მასზე უკეთესს რას ინატრებდა კაცი, მაგრამ საქმე ცოტა არ იყოს საჭოჭმანო იყო. ელჩებმა დაამშვიდეს ქართლის მეფე, რომ რუსეთის დიდი ხელმწიფე დაიცავს თავის ხელდებულს და მოყვარეს, არ მიატოვებს მტრის ანაზარა. გარდა ამისა უთხრეს, რომ ირანის შაჰი მათი ხელმწიფის მეგობარი იყო და მის საწინააღმდეგოს არაფერს მოიმოქმედებდა. მაგრამ გიორგი მეფე ეჭვის თვალით უყურებდა ნათქვამს და ელჩების დაპირება უფრო კეთილ სურვილად მიიჩნია, ვიდრე საიმედო გარანტიად. მან უთხრა ტატიშჩევს და ივანოვს:

„ვაი, რომ ჩვენი სამეფო ძალზე შორსაა თქვენგან და დიდი ხელმწიფის დახმარება ვერ მოაღწევს. ხოლო მაჰმადიანებმა თუნდაც მეგობრად მოგვაჩვენონ თავი, მათი ნდობა არ შეიძლება. თქვენ თვითონ მოგეხსენებათ ჩემზე კარგად თუ რა ბედი ეწიათ ალექსანდრე მეფეს და გიორგი ბატონიშვილს. ხუთასი მეთოფე მანც უნდა დამიტოვოთ, რომ აღარა მქონდეს მტრების შიში“. მოლაპარაკება თავიდანვე ჩიხში მოექცა. ამაში არავის მიუძღოდა ბრალი, არც რუს ელჩებს და არც ქართლის მეფეს. დიახაც, დიდი პატივი იყო გიორგი მეფისთვის რუსეთის ხელმწიფესთან დამოყვრება, მაგრამ იგი ფხიზლად აფასებდა შექმნილ ვითარებას. როგორც ყოველთვის საქართველო ორ მაჰმადიან იმპერიას შორის იყო მოქცეული ტყვედ. გიორგი მეფის მამა, სახელოვანი გმირი სვიმონი, ოსმალებს ჰყავდათ, ხოლო თვით ქართლის მეფემ ძლივს დაიძვრინა თავი ყიზილბაშთა ლაშქრობიდან. იგი ხვდებოდა, რომ რუსეთს იმხანად საკმარისი ძალღონე არ მოსდევდა, რათა მეტოქეობა გაეწია ირან-ოსმალეთისათვის ამიერკავკასიაში. ამიტომაც ყოყმანობდა ქართლის მეფე. იგი თანახმა იყო, რომ რუსეთის ტახტის მემკვიდრეს ცოლად შეერთო მისი ასული, ოღონდ უზოდიშებდა ელჩებს, უსაკობის გამო ჯერჯერობით ვერ გაგატანთო.

ამასობაში ამორჩეულ იქნა საქმრო ქსენია ბორისის ასულისთვის 23 წლის ხოსრო ბატონიშვილი, ბაგრატიონთა მუხრან ბატონების შტოს წარმომადგენელი. ელჩების აღწერით იგი იყო მოხდენილი ტანისა და ჰქონდა მიზიდველი შესახედაობა: შავგვრემანი და სუფთა პირისახე, თაფლისფერი თვალები, თხელი და ოდნავ კეხიანი ცხვირი, წაბლისფერი თმა, მოშვებული ჰქონდა საშუალო ზომის უღვაშები. ქაიხოსრო ბატონიშვილი კარგი მოსაუბრე და გონებაგახსნილი ახალგაზრდა ყოფილა. თანამედროვენი ასევე ქებით მოიხსენიებენ ქსენია ბორისის ასულის გარეგნობას, გონიერებასა და განათლებას. ტატიშჩევმა და ივანოვმა ნახეს ბორის გოდუნოვის სარძლო. ელენე ბატონიშვილს ხელმარჯვნივ ეჯდა დიდება (მეუღლე სვიმონ მეფის) და ხელმარცხნივ დედა, ქართლის დედოფალი. მათ ეცვათ შავი ხავერდის კაბები. ელჩებს აუხსნეს რომ ისინი გლოვობდნენ ალექსანდრე კახთა მეფეს, რომელიც ცოლისძმა იყო სვიმონისა. ელჩებმა მიართვეს თითოეულ მათგანს 40-40 სიასამურის ბეწვი, საჩუქრად გამოგზავნილი რუსეთის ხელმწიფისაგან. ტატიშჩევი და ივანოვი აღნიშნავენ, რომ ელენე ბატონიშვილი მშვენიერი ქალწული იყო. თხელი და თეთრი სახე ჰქონდა, შავი თვალები, წითლად შეღებილი თმა. ტანწერწეტა ყოფილა, ოღონდ ძალზე გამხდარი ეჩვენათ ელჩებს. რუსმა ელჩებმა ისევ მოითხოვეს ბატონიშვილი მოსკოვში გაგვატანეთო, მაგრამ ქართლის მეფემ კვლავ მოიმინჯა, რომ კიდევ სამი წელიწადი უნდა გასულიყო, სანამ ბატონიშვილი მიაღწევდა საქორწინო ასაკს. შემდეგ მან დასძინა: „ჩვენში ასეთი ჩვეულებაა, რომ სასიძოს მოციქულნი ქალის მშობლებს ორჯერ და სამჯერ ეახლებიან ხოლმე, თქვენ მხოლოდ პირველი ელჩები ხართ დიდი ხელმწიფისა“.³

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ელჩებს რუსეთში გაჰყვებოდა ქაიხოსრო ბატონიშვილი და ქართლის მეფეს ორას რუს მეთოფეს უწილადებდა თერგის ჯარიდან. 11 მაისს ელჩებმა დატოვეს ქართლი. ივნისის დამდეგს ისინი არაგვის საერისთავოში იყვნენ და თერგიდან მხლებელთა რაზმის მოსვლას ელოდნენ. ამასობაში შეიტყვეს, რომ ყირიმის ხანი მოდიოდა შირვანისკენ ოსმალთა საშველად,

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი 4, 1972 გვ.166 -169

² მჭედლიშვილი მ., რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობისა და მისი შედეგების მოკლე ისტორიული მიმოხილვა (1491-1783 წლები) <https://iberiana.wordpress.com/m-mchedlishvil/m-mchedlishvili-3/>

³ ნატროშვილი თ., მაშრიყით მალრიბამდე, 1978, გვ. 150.

ხოლო ლეკები დადესტანში რუსთა მიერ აგებული ციხეების ასაღებად ემზადებოდნენ. ქართლის სამეფო საბჭომ მხარი არ დაუჭირა ამგვარ ქორწინებას იმ მოტივით რომ შეიძლებოდა შემდგომში რუს ხელმწიფეს თავისი სიძის ქართლში გამეფება მოეწადინებინა. ქართლის სამეფოს რისკზე წასვლა არ უნდოდა, არც იმის თქმა შეიძლებოდა რომ „ხოსრო ბატონიშვილი მძევლად იყო გამიზნული რუსული დიპლომატიის მიერ“¹

არავის შეეძლო მაშინ წინასწარ თქმა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, როგორი შესაძლებლობები გაუჩნდებოდა მოსკოვს სამხრეთ კავკასიაში და გოდუნოვის სიძე როგორ მნიშვნელობას შეიძენდა შეცვლილ ვითარებაში. ისტორიული გამოცდილება ქართლისა და კახეთის პოლიტიკოსებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.²

ტატიშჩევმა და ივანოვმა ქაიხოსრო ბატონიშვილი და ქართლის მეფის ელჩები არაგვის საერისთავოში მიატოვეს და თვითონ თერგისაკენ დაიძრნენ. თერგის ციხეში კიდევ უფრო საშიში ამბები დაუხვდათ. მოვიდა ცნობა, რომ ოსმალებმა და ლეკებმა დაამარცხეს ბუტურლინის ლაშქარი და შვიდი ათასი ჯარისკაცი დაილუპა თავის სარდალთან ერთად. საქორწინო პროექტი ვიღას ახსოვდა. ქაიხოსრო ბატონიშვილი და ქართლის მეფის ელჩები ერთხანს ელოდნენ რუს მეთოფეებს, მაგრამ არავინ გამოჩენილა და ისინიც არაგვის საერისთავოდან ქართლისკენ გამობრუნდნენ. ეს წელიწადი ერთობ მარცხიანი გამოდგა საქორწინო პროექტის გმირებისთვის. ჯერ იყო და ბორის გოდუნოვი მოულოდნელად გარდაიცვალა 1605 წლის 13 აპრილს (მანამდე, სანამ ქართლში ჩამოვიდოდნენ რუსი ელჩები). რუსეთის ხელმწიფედ გამოაცხადეს 18 წლის თედორე ბორისის ძე. ასე რომ ტატიშჩევი და ივანოვი ფაქტიურად რუსეთის ხელმწიფის საცოლეს ეძებდნენ და არა სარძლოს, თუმცა მათ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. ბორის გოდუნოვის მემკვიდრეს დიდხანს არ უგემია მონომახის ქუდის სიმძიმე. დაახლოებით ერთ თვის შემდეგ გავლენიანმა ბოიარებმა ამცნეს ჯარს რომ სამეფო ტახტის პრეტენდენტი, ცნობილი ისტორიაში ცრუდიმიტრის სახელით, ნამდვილად შვილი იყო ივანე მრისხანისა.³

10 ივნისს ცრუ დიმიტრი შევიდა მოსკოვში და ხელმწიფის ტახტი დაიჭირა. ძმისა და დედის დაღუპვის მერე 23 წლის ქსენია ბორისის ასული ერთხანს ხარჭად ჰყავდა ცრუ დიმიტრის, შემდეგ კი მონაზვნად აღიკვეცა და გარდაიცვალა 1622 წელს.

მალე გამოეთხოვა წუთისოფელს ქართლის მეფეც. ტახტი დაიკავა ლუარსაბმა და ბორის გოდუნოვის სარძლო ცოლად მიათხოვეს შაჰ აბასს. ქაიხოსრო ბატონიშვილი ოციოდე წლის შემდეგ გიორგი სააკაძესთან ერთად გადაიხვეწა ოსმალეთში და მასთან ერთად დაილუპა. ტატიშჩევი და ივანოვი ჩავიდნენ მოსკოვში 1605 წლის დამლევს და წარუდგნენ ახალ ხელმწიფეს. ცრუ დიმიტრის რასაკვირველია არ აინტერესებდა ბორის გოდუნოვის საქორწინო მისიის შედეგები. შფოთიანი ხანა დგებოდა რუსეთში.

ლიტერატურა:

1. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2004.
2. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, მეორე ტომი, 2011, მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი თეიმურაზ პირველის ეპოქა.
3. მჭედლიშვილი მ., რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობისა და მისი შედეგების მოკლე ისტორიული მიმოხილვა (1491-1783 წლები) <https://iberiana.wordpress.com/m-mchedlishvil/m-mchedlishvili-3/>
4. ნატროშვილი თ., მაშრიყით მალრიბამდე, 1978.
5. სანიკიძე ლ., მუჰა მუჰად გატანილი საქართველო <http://www.bu.org.ge/x2235?lang=geo>
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4, 1972.
7. ფურცელაძე ა., ბრძოლა საქართველოს მოსასპობად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1892.
8. ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, 1955.
9. მოწინიძე ლ., ელენე ხანუმის ვინაობისათვის, კრებული „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, 1976.

¹ ცინცაძე ი., რუსეთ საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, 1955, გვ. 253.

² მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, მეორე ტომი, 2011, გვ. 422.

³ ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 75-76.

გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა

თამარ ქოქაშვილი

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: ელდარ მამისთვალიშვილი, პროფესორი

1299 წელს აჯანყებულ დავით VIII-ის საპირისპიროდ მონღოლებმა მეფედ დასვეს მისი მცირეწლოვანი ძმა გიორგი, შემდეგში გიორგი ბრწყინვალე. მის ფაქტიურ უფლებაში მაშინ მხოლოდ თბილისი ითვლებოდა. მალე ამ უფლებასაც ძალა დაეკარგა, როცა მონღოლებმა ამავე დავითის დასაპირისპირებლად მისი მეორე ძმა ვახტანგი გაამეფეს. ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ დაამტკიცეს დავით VIII-ის შვილიშვილი გიორგი მცირე (გიორგი VI), რომელსაც „საქმის მოურავად“ მისივე ბიძა „დედის“ გიორგი დიმიტრის ძე დაუდგინეს. გიორგი მცირეს გარდაცვალების შემდეგ, 1318 წელს, მეფე გახდა გიორგი V.

XIV საუკუნის დამდეგისათვის საქართველო უკიდურესად დაცემული იყო. ეკონომიურად დაქვეითებული, პოლიტიკურად კარგა ხნის დაქსაქსული, წლების განმავლობაში მონღოლთა ექსპედიციებისაგან ფიზიკურად დაზიანებული. გიორგი V-ის დროს ქვეყანა ყოველმხრივ მოღონიერდა და მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლდა. ვითარების ასე შეცვლას ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარმა ცვლილებებმა. დაშლის გზაზე მდგარი ილხანთა სახელმწიფო დიდ სიძნელებს განიცდიდა, რაც გამოიყენა ნიჭიერმა, გამჭრიახმა პოლიტიკოსმა გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346). მან საქართველოს გასანთავისუფლებლად აჯანყების დაწყება სახიფათოდ მიიჩნია, რადგან, მართალია, მონღოლები დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ აჯანყების შემთხვევაში მათ საპასუხო დარტყმას ადვილად შეეძლო დაუძლურებული საქართველო მთლიანად მოესპო. ამიტომ გიორგიმ სხვა გზას მიმართა. მან ისარგებლა ურდოში მოპოვებული პირადი გავლენით და მონღოლებისავე მხარდაჭერით შეუდგა საქმეს. საილხანოში ოლჯაითუ (1304-1317) და აბუსაიდ (1317-1335) ყაენების დროს პირველი ემირის ჩობანის ხელში იყო თავმოყრილი მთელი ძალაუფლება. არაბი ისტორიკოსი ელ-კალკაშანდი საგანგებოდ შენიშნავს ჩობანთან გიორგის ახლო ურთიერთობის შესახებ.

გიორგიმ მოიპოვა უზომოდ განდიდებული ჩობანის პირადი ნდობა, რაც შორსმჭვრეტელურად გამოიყენა საქართველოს საკეთილდღეოდ. ამ წყაროს თანახმად, ეს ნდობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ჩობანი საყაენოს საქმეებსაც კი ეკითხებოდა გიორგის. ქართველ მეფესთან ამგვარი ურთიერთობა ნაკარნახევი იყო საქართველოს დიდი მნიშვნელობით საყაენოსთვის. საქართველოს ლაშქარი ყოველთვის სათანადო ძალას წარმოადგენდა შეთქმულებებისა და აჯანყების ჩასახშობად, რომლებიც ასე გახშირებული იყო მაშინ და ძირს უთხრიდა საყაენოს ძლიერებას.

1317 წელს როცა გარდაცვლილ ოლჯაითუს მაგიერ ახალი ყაენის აბუსაიდის ტახტზე ასვლის გამო გიორგი ურდოში გამოცხადდა, ჩობანმა მას, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „მისცა ყოველი საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასანი“. ეს ნიშნავდა ყაენის კარის დასტურსა და ნებართვას, გიორგის თავის ხელში გაერთიანებინა მთელი ამიერ და იმიერ საქართველო, დაემორჩილებინა დავით მეფის შვილები და ყველა მთავარი, მათ შორის სამცხის მთავარიც. ეს ნიშნავდა სამცხის სამთავროს ხასობის გაუქმებას, სამაგიეროდ ამ უფლების გიორგისათვის გადაცემას. ამიერიდან მონღოლ მოხელეთა გარეშე თვითონ გიორგი კრეფდა ხარკს. ამგვარად, საქართველოს გაერთიანების კურსი, რომელიც ოლჯაითუ ყაენმა და ჩობანმა აიღო, იმას მოწმობდა, რომ საილხანოსაც აღარ აწყობდა დაქსაქსული საქართველო, საიდანაც ხარკის აკრეფა და ლაშქრის გამოყვანა ძნელდებოდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მთავრების ალაგმვა. გიორგისაც აქედან დაუწყია. ამოცანა მეტად რთული ჩანდა, რადგან საქართველოს სახელმწიფოებრივ დაშლილობას მონღოლთა ბატონობის წყალობით ღრმად გაედგა ფესვები და არსებითი ცვლილებებიც მოეხდინა. ერისთავი თუ ერისთავთ ერისთავი ახლა სამმართველო ტერიტორიის ჩვეულებრივი მემკვიდრეობითი გამგებელი კი არ იყო, არამედ მისი პატრონი-სუვერენი „მთავარი“. გიორგის საყაენოსაგან მთავრების დამორჩილების დასტური ჰქონდა მიღებული და ისინი, ალბათ ძალის გამოუყენებლად შემოიმტკიცა.

საქართველოს XIV საუკუნის I ნახევარში დიპლომატიური და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან: რომის პაპთან, ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან და სხვა.

ისტორიკოსების მიერ აღნიშნულია, რომ საქართველო და ეგვიპტე ზოგჯერ მოქმედებდნენ როგორც პოლიტიკური მოკავშირენი საერთო მტრების მონღოლების და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის მოწესრიგებამ ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა XIII-XIV საუკუნეთ მიჯნაზე, რადგან ეგვიპტის სასულთნოს შემადგენლობაში იყო პალესტინა, სადაც განთავსებული იყო საერთო ქრისტიანული, მათ შორის ქართული სიწმინდეებიც. ეს ის პერიოდია, როდესაც მიუხედავად საქართველოს მონღოლთა საყაენოს შემადგენლობაში ფორმალური არსებობისა, იგი სულ უფრო ძლიერდება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა გიორგი V ბრწყინვალეს დროს. საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის აღსადგენად აუცილებელი იყო იერუსალიმის ქართული სიწმინდეების ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს გავლენისაგან საბოლოოდ განთავისუფლება და მისი ქართული ეკლესიისათვის დაბრუნება.

რადგან წმინდა მიწა ეგვიპტის სასულთნოს შემადგენლობაში შედიოდა, მასთან უშუალოდ ურთიერთობის დარეგულირებისათვის გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯების გარდა, ქართული სამეფო კარი ცდილობდა სასულთნოზე ზემოქმედებისათვის გამოეყენებინა სხვა ორი სერიოზული ძალაც – მუსლიმანი მონღოლები და კათოლიკე ევროპელები.

ერთი ცნობით, ჯვრის მონასტრის დაბრუნება მოხდა 1305 წელს. დავით VIII დიმიტრის ძემ (1293-1311) მეჩეთად გადაქცეულ ტაძარს ძველი ფუნქცია დაუბრუნა. ის ჯვრის მონასტრის საღაპე წიგნში იხსენიება, როგორც „მეორედ აღმამენებელი წმიდისა მონასტრისა, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუნული მონასტერი და ეკლესია მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცავად შეცვალა და კუალად არგო ნათესავთა ქართველთასა“¹.

გიორგი ბრწყინვალეს თანამედროვე არაბი ისტორიკოსი ალ-უმარი (1301-1310) წერს: „მან (ბარტილმა) დაიწყო მიმოწერა სულტნის მაღალ კართან ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამკვრობლური ხელი (რის შედეგადაც) გამოიცა სულტნის ფირმანები (ქართველებისათვის) მისი დაბრუნების შესახებ. (ადრე) ეს მონასტერი წაართვეს (ქართველებს) და გადააკეთეს მეჩეთად. იგი მდებარეობს დიდებული იერუსალიმის ფარგლებს გარეთ. (მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება) ტყუილ-უბრალოდ არ მომხდარა. არ იშურებდა (ქართველი მეფე) მისთვის (ჯუბანისათვის) მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ქონებას და ამბობენ, რომ აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ“².

ალ-უმარის მონათხრობს მთლიანად იმეორებს მეორე არაბი ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი (1335-1418) და თავის მხრივ მხოლოდ იმას უმატებს, რომ „მარტალმა“ რომელიც ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“³.

არაბი ისტორიკოსის ამ ცნობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სამეფო-სამთავროთა დიპლომატები აუცილებლად მიაქცევდნენ ყურადღებას საქართველოს მეფის პოლიტიკას ეგვიპტის მიმართ. კერძოდ, გიორგი ბრწყინვალეს გამეფებისთანავე ეგვიპტის სულთანთან გამწვავდა ურთიერთობა მისი ილხანთა ყაენთან და ჩობან ნოინთან კარგი დამოკიდებულებების გამო. ეგვიპტის სულთნის კარზე ილხანთა სახელმწიფო განიხილებოდა როგორც მტრული. ამის გამო ეგვიპტის ხელისუფლება ავიწროვებდა ქართველებს იერუსალიმში. იმავე დროს გიორგი V ცდილობდა ილხანთა ძალის გამოყენების მუქარით ან კათოლიკურ ევროპასთან ერთად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში თავის შეიარაღებული ძალებით მონაწილეობით აიძულოს ეგვიპტის სულთანი დათმობაზე წავიდეს და ქართველებს წმინდა ადგილები დაუბრუნოს.

დასავლეთ ევროპაში, გიორგი ბრწყინვალემდეც უკვე იცნობდნენ ქართველთა დაინტერესებას წმ. ადგილების განთავისუფლებით. XIV საუკუნის დასაწყისში კილიკიელი სომეხი ისტორიკოსი რომის პაპს კლიმენტ V-ს (1305-1314) მიმართავს: „თქვენი უწმინდესობის ნებართვით, მე დავუმატებ კიდევ რამდენიმე სიტყვას. ხომ არ ინებებდა ის, რომ ქართველთა მეფისათვის მიეწერა (მონაწილეობა მიეღო პალესტინაში ლაშქრობაში) ისინი ქრისტიანები არიან და სხვა ერებთან შედარებით უფრო მონდომებულნი არიან დაიბრუნონ წმინდა მიწები. ხომ არ სთხოვდით მათ დახმარება აღმოუჩინონ ჯვაროსნებს“⁴.

¹ მეტრეველი ე., იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1961, გვ. 43-44, 106, 148. იხ. აგრეთვე: მამისთვალისიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2014, გვ. 132.

² XIV-XXV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბი, ალ-კალკაშანდი). არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988, გვ. 52.

³ იქვე, გვ. 55

⁴ კიკნაძე ვ., უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, „მნათობი“, 1986, №6, გვ. 158.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესება, რამაც თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ქართველი ბერმონაზვნების მდგომარეობაზე იერუსალიმში, განპირობებული იყო იმ დიპლომატიური ნაბიჯებით, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა გადაადგა ახლო აღმოსავლეთის ამ ძლიერ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით.

პარალელურად არის კათოლიკური ევროპის კონტაქტები გიორგი ბრწყინვალეს დროს, რაც განხილული უნდა იქნას საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობების ფონზე.

გვაქვს არაბი ისტორიკოსის ალ-მაკრიზის ორი ცნობა ქართველი მეფის ელჩის ეგვიპტის სულთანთან მისვლის შესახებ. ერთი განეკუთვნება 1316-1317, მეორე კი 1320 წელს. პირველი ელჩობისას სულთანის კარზე ერთდროულად (შეიძლება ერთად) მივიდნენ საქართველოს მეფის და ოქროს ურდოს უზბეგის ელჩები. „716 წელს (1316-17) მოვიდნენ უზბეგის ელჩები, საქართველოს მეფის ელჩები... საჩუქრებით. მათ უპასუხეს და გაუგზავნეს (ქართველ მეფეს და უზბეგს) საჩუქრები“¹. უეჭველია, რომ ქართველი მეფე, რომლის სახელს გვამცნობს ისტორიკოსი, იყო ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე I (1293-1327). იგი ოქროს ურდოს მოკავშირედ გამოდიოდა ილხანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთადერთი ქართული წყარო, რომელიც ამ ელჩობაზე გვამცნობს, არის „მეგლი ერისთავთა“. მასში გადმოცემულია ელჩისა და მისი თანამგზავრის მოგზაურობაზე ეგვიპტეში, იქიდან იერუსალიმში ჩასვლასა და ელჩობის წარმატებულ შედეგებზე.

1320 წლის მაისში ალექსანდრიაში კვლავ იმყოფებიან ქართველი მეფის ელჩები, რომლებმაც თავიანთი მეფის სახელით სულთანს მღვენი მიაართვეს². ეს ქართული ელჩობა უნდა იყოს პიპა ქვენიფნეველის მეთაურობით, რომელიც ეწვია ეგვიპტეს, იერუსალიმს და მეფე გიორგი V ბრწყინვალეს „კლიტენი იერუსალიმისანი“ ჩამოუტანა.

1322 წელს პილიგრიმმა სიმონ დე სიმომენისმა და მისმა თანმხლებმა მორჩილმა ძმამ უფლის საფლავის ტაძარში ორი ქართველი მორწმუნე იხილეს. თითქმის საეჭვო არ არის, რომ გიორგი ბრწყინვალის დროს ქართველებმა მოიპოვეს ბეთლემის ტაძრის გასაღები, რომელთა გამო, გვიან XVII ს-ის 30იან წლებში ერთმანეთს ედავებოდნენ ბერძნები და ფრანგები. ამ უკანასკნელმა თავიანთი უფლებების დასაცავად დიდევზირის საბჭოში თავიანთ მიერ გაყალბებული ქართველთა დოკუმენტები წარადგინეს.

გადმოცემის მიხედვით, როდესაც სალადინმა ბეთლემის ტაძრიდან ფრანგები განდევნა, მან იგი სირიელ, ბერძენ და ქართველ მართლმადიდებლებს გადასცა. ეს ტაძარი მათ ეკუთვნოდათ იერუსალიმში მამლუქთა მთელი ბატონობის დროს. „მეგლი ერისთავთას“ ავტორი ყურადღებას იმითმ ამახვილებს ქრისტეს საფლავის ეკლესიაზე, რომ ის ითვლებოდა უმთავრეს ქრისტიანულ სიწმინდედ და მისი კლიტეების დაპატრონება, ე.ი ამ ეკლესიის ქართველთა განკარგულებაში გადასვლა და იქ ქართველი დეკანოზის „მოდღუართ მოძღურად“ კურთხევა, სრულიად სამართლიანად, უდიდეს წარმატებად მიაჩნდა. 1335 წელს ქართველებს დაპირდნენ, რომ უფლის საფლავის მღვიმეს ხელსაყრელ ვითარებაში გადასცემდნენ. ზოგადად, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესება და, შესაბამისად, ქართველთა ბერმონაზვნების მდგომარეობის გაუმჯობესებაც განპირობებული იყო იმ დიპლომატიური ნაბიჯებით, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა გადაადგა. ამავე წელს ავგუსტინელმა ბერმა ჯაკომო ვერონელმა უფლის საფლავის ეკლესიაში ნახა სამი ქართველი, რომელთა ხელში იყო ამ ტაძრის გასაღებები. მათ ტაძარში შესვლის მოსურნე მომლოცველებისათვის დააწესეს გადასახადი ერთი ვენეციური ოქროს მონეტა. „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეეღვევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი, აღნიშნავდა გერმანელი პილიგრიმი ლუდოლფ ზუდჰაიმი. 1347 წელს როგორც რ. ჟანენი შენიშნავდა, ამის შემდეგ „ბერძნებს და დანარჩენ ქრისტიანებს ქართველებისათვის უნდა ეთხოვათ, რომ ქრისტეს წმინდა საფლავზე ლოცვის ნება მიეღოთ.ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართველები მშვიდობიანად ფლობდნენ გოლგოთის თხემის მთელ სავანე-სამლოცველოს. მაგრამ გვაქვს ფრანცისკანელი პილიგრიმის ნიკო ჰოჯიბონსის 1347 წლის ცნობა, რომ საფლავის ნიშის გასაღებები მუსლიმანი დამცველების ხელში იყო“³.

ერთ-ერთი ანონიმი რუსი პილიგრიმის მიხედვით, უფლის საფლავის ეკლესიაში ოთხი ლათინი და ოთხი ქართველი ბერი მომლოცველის ეკლესიის კარებში გალობით ეგებებოდნენ და მოუძღოდნენ

¹ Абу-ль-Аббас аль-Макризи. Торная дорога для познания царских династии // Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды. Т. I. Извлечения из сочинении арабских. СПб. 1884. С. 438.

² ალ-მაკრიზის თხზულების პარიზული ხელნაწერის მიხედვით დამატებული შენიშვნა. Абу-ль-Аббас аль-Макризи. Торная дорога для познания царских династии. С. 417; მენთეთაშვილი ა., საქართველოს და ეგვიპტის ურთიერთობიდან // ჟურნ. „დროსა“, 1958, №9. გვ. 19.

³ მამისთვალისშვილი ე., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2015, გვ. 51-52.

საფლავის ნიშისაკენ. ამის შემდეგ ისინი აწყობდნენ მსვლელობას და ყველა სიწმინდის წინ ჩერდებოდნენ¹.

ეგვიპტის სახელმწიფოს საქართველოსადმი კეთილი ნების დემონსტრირების მაჩვენებელია მამლუქების სახელმწიფო კანცელარიაში სულთან ან ნასირ მუჰამედის (1309-1340) დროინდელი რამდენიმე დოკუმენტის შექმნა. იერუსალიმის მართლმადიდებლურ საპატრიარქოში დაცული ორი დოკუმენტი გვიჩვენებს იერუსალიმის ქართული თემის სამართლებრივ და უფლებრივ მდგომარეობას.

გიორგი ბრწყინვალეზე არსებულმა ინფორმაციამ საფუძველი მისცა საფრანგეთის მეფეს ფილიპე VI ვალუას (1320-1350), რომ დაახლოებით 1332-1333 წლებში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ანტიეგვიპტურ სამხედრო კოალიციაში საქართველოს შეყვანაც განეზრახა. ასეთი შინაარსის წერილის გიორგი მეფისთვის გადაცემა დაევალა ორ ფრანცისკიელ ბერს, რიკარდო მერჩის და ალექსანდრე ინგლისელს. ისინი თბილისში ეწვივნენ მეფეს და აღნიშნული წერილი გადასცეს.

მეფე გიორგიმ მოუსმინა დესპანებს, წერილსაც გაეცნო და ამის შემდეგ საკმაოდ მკვეთრად გამოთქვა აზრი ეგვიპტის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში საქართველოს მონაწილეობისა და თავისი სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. „საფრანგეთის მეფეები ხშირად შეაგულიანებდნენ ხოლმე აღმოსავლეთის ხელმწიფეებს სარკინოზების წინააღმდეგ, მიატოვებდნენ რა მათ მარტო. ისინი კი ღებულობდნენ სამწუხარო შედეგებს ასეთი ომიდან. მიუხედავად ამისა, გადაეცით მის უდიდებულესობას მეფეს, რომ როგორც კი ზღვაზე გადავა, იქვე მნახავს მე მისი განკარგულების შესრულების მიზნით მოსულს 30 ათასიანი ლაშქრით“. ქართველი მეფის წერილმა საფრანგეთის მეფის კარამდე ვერ მიაღწია და კოალიციის შექმნის იდეამაც ვერ გაამართლა².

ლიტერატურა:

კიკნაძე ვ., უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, „მნათობი“, 1986, №6

მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2014.

მეტრეველი ე., იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1961.

მამისთვალიშვილი ე., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2015.

XIV-XXV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბი, ალ-კალკაშანდი), არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლიევიშვილმა, თბ., 1988.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, საქართველო - საუკუნეებში, თბ., 1979.

Абу-ль-Аббас аль-Макризи. Торная дорога для познания царских династии // Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды. Т. I. Извлечения из сочинении арабских. СПб. 1884.

¹ იქვე, გვ. 52.

² იქვე, გვ. 53.